ევროპის უნივერსიტეტი

ლევან მახაშვილი მერაბ გოხელაშვილი

ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკური ისტორია

ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი
2020

© ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი 2020
© ლევან მახაშვილი, მერაბ გოხელაშვილი, თბილისი 2020

დამკაბადონებელი თამარ ტყაბლაძე

ISBN 978-9941-485-85-5

სარჩევი

წინასიტყვაობა 9

თავი 1

ევროპული ინტეგრაციის „პრეისტორია" 15

მეორე მსოფლიო ომიდან ცივ ომამდე 15

მსოფლიო ომის შემდგომი პოლიტიკა 17

მარშალის გეგმა 22

ევროპული მოძრაობა 25

ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივა 29

გერმანულ პრობლემასთან გამკლავება 33

მონეს გეგმა 36

საფრანგეთი წნეხის ქვეშ 38

გარდაუვალის აღიარება 41

შუმანის დეკლარაცია 44

თავი 2

1950-იანი წლები: თანამეგობრობების ევროპა 49

ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობა (ESCS) 49

ბრიტანეთის პოზიცია 50

ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია 52

მნიშვნელოვანი საკითხები 55

ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის ამუშავება 59

ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის მნიშვნელობა 61

თავდაცვის ევროპული თანამეგობრობა და ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობა 62

თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის მარცხი 65

ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობა 70

დაკარგული შესაძლებლობა? 72

ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობა და ატომური ენერგიის ევროპული თანამეგობრობა 74

მესინა 76

მესინადან ვენეციამდე 81

ბრიტანეთის უარი 83

ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია 84
რომის ხელშეკრულებები 90
რატიფიკაცია 92

თავი 3
1960-იანი წლები: ევროპული თანამეგობრობის
ჩამოყალიბება 94
კომისია 94
მინისტრთა საბჭო და მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი .. 96
ევროპული პარლამენტი 98
საბაჟო კავშირის იმპლემენტაცია და თავისუფალი სავაჭრო
სივრცის უკუგდება 100
საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა (სსმპ) 106
სსმპ, ბრიტანეთის განევრიანება და გრანდ დიზაინი 111
ფუშეს გეგმა 113
დე გოლის უარი 114
ელისეის ხელშეკრულება (ELYSÉE TREATY) 117
ცარიელი სკამის კრიზისი და ლუქსემბურგის კომპრომისი 119
საფრანგეთის პროტესტი 121
კრიზისის დასასრული 123
ბრიტანეთის წევრობის მეორე განაცხადი 126
კენედის რაუნდი და აშშ-ევროპული თანამეგობრობის
ურთიერთობები 130
ასოციაციის ხელშეკრულებები 132
შიდა პოლიტიკის სფეროების განვითარება 134
ინსტიტუციური მიღწევები 138
საერთო გავლენა 141

თავი 4
1970-იანი წლები: ევროპული თანამეგობრობის განვითარება .. 143
ჰაagის სამიტი და მისი შედეგები 143
ბრანდტი და პომპიდუ 144
ჰააგის სამიტი 145
„დასრულება“ 147
„გაღრმავება“ 148

„გაფართოება“ 150
სხვა აპლიკანტები 154
1972 წლის რეფერენდუმები 156
პოლიტიკის მიმართულებების განვითარება 158
ეკონომიკური და მონეტარული კავშირი 159
რეგიონული პოლიტიკა 160
სოციალური პოლიტიკა 162
გარემოს დაცვის პოლიტიკა 163
ენერგო პოლიტიკა 163
ლომეს კონვენცია 164
ბრიტანეთის გაწევრიანების პირობებზე ხელახლა მოლაპარაკებები და რეფერენდუმი 165
ფრანგულ-გერმანული ურთიერთობები 167
ინსტიტუციური განვითარებები 168

თავი 5

1970-1980-იანი წლები: გზა ერთიან ევროპულ აქტამდე 173
ცვლილებების დასაწყისი 173
საბერძნეთის გაწევრიანება 173
ევროპული პარლამენტის პირდაპირი არჩევნები 176
ევროპული მონეტარული სისტემა 177
პრობლემები 181
ბრიტანეთის საბიუჯეტო საკითხი 182
დაძაბულობა ხმელთაშუაზღვისპირეთში 185
ევროპული ინტეგრაციის აღმასვლის დაწყება 187
საბიუჯეტო ბატალიების დასასრული 188
პორტუგალიის და ესპანეთის გაწევრიანება 191
კომისიის აქტივიზმი 193
შიდა ბაზარი 194
ევროპული პარლამენტის აქტივიზმი 196
წევრი სახელმწიფოების აქტივიზმი 199
ბრიტანეთის შეთავაზება 201
მიტერანის აქტიურობა და ლიდერობა 202

თავი 6
1980-იანი წლები: ერთიანი ევროპული აქტიდან მაასტრიხტის ხელშეკრულებამდე 205
ერთიანი ევროპული აქტი 205
ხმელთაშუაზღვისპირეთის პრობლემის მოგვარება 206
დუჯის ანგარიში 208
მილანის სამიტი 210
ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია 211
შედეგები 218
რატიფიკაცია 219
ერთიანი ბაზრის პროგრამა თეთრი წიგნი 220
ერთიანი ბაზრის პროგრამის იმპლემენტაცია 221
სირთულეები 224
საერთაშორისო გავლენა 227
ევროპული ეკონომიკური სივრცე 228
სოლიდარობა ერთიანობისა (COHESION) და სოციალური პოლიტიკის მეშვეობით 229
ერთიანობა (COHESION) 230
სოციალური პოლიტიკა 233

თავი 7
1990-იანი წლები: ევროპული ინტეგრაციის „ოქროს ეპოქა“ .. 236
ეკონომიკური და მონეტარული კავშირი 236
დელორის კომიტეტი და ანგარიში 239
ბიძგი ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მიმართულებით 243
ცვალებადი პოლიტიკური ვითარება 245
მაასტრიხტის ხელშეკრულება 249
ეკონომიკური და მონეტარული კავშირი 251
პოლიტიკური კავშირი 255
პირველი საყრდენი 257
მეორე საყრდენი 260
მესამე საყრდენი 264
შედეგები 266
რატიფიკაცია 268

თავი 8
1990-2000-იანი წლები: „გაფართოებების ეპოქა“ 273
ავსტრიული და სკანდინავიური გაფართოება 275
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული გაფართოება 278
დახმარებიდან ასოციაციამდე 280
კოპენჰაგენიდან კოპენჰაგენამდე 282
ხმელთაშუაზღვისპირეთის მესამე გაფართოება 291
ბულგარეთის და რუმინეთის გაწევრიანება 295
ხორვატიის გაწევრიანება 297

თავი 9
1990-2000-იანი წლები: ინსტიტუციური და პროგრამული გამოწვევები 301
ინსტიტუციური გამოწვევები ამსტერდამიდან ნიცამდე 301
ამსტერდამის ხელშეკრულება 303
ნიცის ხელშეკრულება 307
სხვა ინსტიტუციური რეფორმები 311
უფრო მჭიდრო პოლიტიკური კავშირი 314
კონსტიტუცია ევროპისთვის 321
პროგრამული გამოწვევები მაასტრიხტიდან მონეტარულ კავშირამდე 326
სოფლის მეურნეობა და ერთიანობა 336
შიდა უსაფრთხოება 341
საგარეო ურთიერთობები 343

თავი 10
2000-იანი წლები: კონსტიტუციონალიზაცია და ლისაბონის ხელშეკრულება 350
კონსტიტუციური კონვენცია 350
ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია 352
კონსტიტუციური ხელშეკრულება 355
კონსტიტუციური ხელშეკრულების რატიფიკაცია 359
კონსტიტუციური ხელშეკრულებიდან ლისაბონის ხელშეკრულებამდე 362
ლისაბონის ხელშეკრულება 367
ლისაბონის ხელშეკრულების მნიშვნელობა 371

თავი 11
2000-2010-იანი წლები: ფინანსური კრიზისი 374
ფინანსური კრიზისი და რეცესია 374
კრიზისის მიმდინარეობა ევროკავშირში 375
გავლენა ევროკავშირზე 385
საბერძნეთის კრიზისი 391

თავი 12
2010-იანი წლები: ევროპული მიგრაციული კრიზისი..... 397
პრეისტორია..... 398
მიგრაციული მარშრუტები..... 400
წევრ ქვეყნებს შორის უთანხმოება..... 402
ევროკავშირის და წევრი ქვეყნების პოლიტიკა..... 404
გერმანიის ცვალებადი ლიბერალური პოლიტიკა..... 407
უნგრეთის მკაცრი პოლიტიკა..... 409
საბერძნეთის სუსტი პოლიტიკა 411
ჩრდილოეთ ევროპელების რეაქცია..... 414
ევროკავშირი-თურქეთის შეთანხმება..... 415

თავი 13
2010-იანი წლები: პოპულიზმის მოძალავრება ევროპაში... 417
ფრანგული ეროვნული ფრონტი..... 423
შოვინისტური კეთილდღეობა: ნამდვილი ფინების პარტია 425
აღმოსავლეთ ევროპული ნაციონალიზმი: მოძრაობა
უკეთესი უნგრეთისთვის 426
პოპულიზმის დასასრულის დასაწყისი? 427

თავი 14
2010-იანი წლები: ბრექსიტი..... 431
ბრიტანული სკეპტიციზმი..... 431
მონეტარული პოლიტიკის მართვიდან ევროსკეპტიციზმამდე 434
გზა რეფერენდუმამდე..... 435
რეფერენდუმი და შემდგომი პოლიტიკა 438
რეფერენდუმის შემდგომი მოვლენები ევროკავშირში..... 441
ბრექსიტის პირობებზე მოლაპარაკებები და რატიფიკაცია ... 444
გამოყენებული ლიტერატურა 447
ავტორების შესახებ..... 449

წინასიტყვაობა

სამოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც ევროკავშირი არის მშვიდობის, კეთილმეზობლობისა და სტაბილური განვითარების უნიკალური მოდელი; ეფექტური გამოსავალი დაპირისპირების, ქაოსის, გათიშულობისა და ნგრევის წინააღმდეგ. იგი დიდი ხანია გასცდა მხოლოდ ეკონომიკური ორგანიზაციის საზღვრებს და გახდა თავისუფლების, სამართლიანობისა და დემოკრატიის გარანტია. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ ბოლო ათწლეულში საქართველოში ევროპული ინტეგრაციისადმი საზოგადოების ყურადღება მნიშვნელოვნად გაიზარდა და იგი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად იქცა, რაც რამდენჯერმე გამყარდა ოფიციალური საპარლამენტო და სამთავრობო დოკუმენტებით. უფრო მეტიც, 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით, კონსტიტუციური ორგანოები ვალდებულები გახდნენ, „თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა [ევროკავშირსა და ნატოში] საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“.

ღირებულებითი სისტემების თანხვედრის გარდა, საქართველოსთვის ევროპული ინტეგრაცია პრაგმატულ არგუმენტებს ეფუძნება. უპირველესად, მოქალაქეებისთვის ეს არის ცხოვრებისა და განვითარების უკეთესი პირობები, მშვიდობიანი და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფო, ფუნქციონირებადი ეკონომიკა, თვითრეალიზების შესაძლებლობები ყველა თაობისა და საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის, საკუთარი კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაციის შესაძლებლობა. და ბოლოს, ევროპული ინტეგრაციის პროცესისგან მიღებულმა ხელშესახებმა სიკეთეებმა, მათ შორის, შენგენის ზონის ქვეყნებში ვიზის გარეშე შესვლის უფლებამ, ახალმა აკადემიურმა, სამეცნიერო, კულტურულმა, ეკონომიკურმა შესაძლებლობებმა, მკვეთრად გაზარდა მოსახლეობის ცნობიერება და ინტერესი ევროკავშირისადმი.

შესაბამისად, ისე, როგორც არასდროს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა ორგანიზაციასთან

გვაქვს საქმე? რატომ იყო და არის ევროპული პროექტის საჭიროება? როგორ მოხდა ევროკავშირის დაფუძნება და განვითარება? რა იყო ის მთავარი არგუმენტები და იდეები, რამაც საცი-ცოცხლო როლი ითამაშა ამ პროცესში? რა იყო წევრი სახელმწიფოებისა და მთავარი საერთაშორისო აქტორების პოზიციები ევროკავშირის ისტორიის ყველა საკვანძო მოვლენის დროს? რატომ იმ ფორმით, რა ფორმითაც დღეს არსებობს ევროკავშირი? წინამდებარე წიგნი რიგითი ადამიანისთვის გასაგებ ენაზე პასუხს სცემს ყველა ამ კითხვას და დეტალურად მიმოიხილავს ევროკავშირის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, მათ განმაპირობებელ ფაქტორებს და მათ გავლენას ევროპული ინტეგრაციის პროცესზე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პარიზის, რომის, ერთიანი ევროპული აქტის, მაასტრიხტის, ამსტერდამის, ნიცის, კონსტიტუციურ და ლისაბონის ხელშეკრულებებს, როგორც ევროკავშირის განვითარების სამართლებრივ საფუძვლებს. მკითხველი მიიღებს დეტალურ ინფორმაციას თითოეული მათგანის მოლაპარაკებების პროცესსა და დოკუმენტების მიერ შემოტანილ სიახლეებზე.

მკითხველისთვის საინტერესო იქნება ასევე ევროკავშირის გაფართოებების რაუნდების პროცესი, მათ შორის, გაფართოებების მოლაპარაკებები, მთავარი პრობლემური საკითხები, გაფართოებების გავლენა ევროკავშირზე. შედეგად, ბრექსიტი, როგორც დიდ ბრიტანეთში ევროსკეპტიციზმის აპოთეოზი, შეიძლება აღარ იყოს ისეთი გასაკვირი, მოულოდნელი და წარმოუდგენელი მოვლენა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება დღეს-დღეისობით მოგვეჩვენოს.

რა თქმა უნდა, ევროპულ ინტეგრაციაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლიდით ცალკეული პირების შესახებ მსჯელობას, რომლებმაც დადებითი და უარყოფითი როლი ითამაშეს ევროპული პროექტის ჩამოყალიბებაში. მაგალითისთვის, გამოვყოფდით შარლ დე გოლს, კონრად ადენაუერს, მარგარეტ ტეტჩერს, ჰელმუტ კოლს, ანგელა მერკელსა და სხვა ლიდერებს, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს, რევოლუციური გავლენა იქონიეს ევრო-

პული ინტეგრაციის პროცესზე და რადიკალურად შეცვალეს ევროკავშირის ბედი; ორგანიზაციისადმი ნეგატიური თუ პოზიტიური დამოკიდებულებების მიუხედავად, თავიანთი ენერგიით, სიმამაცითა და ხედვით ევროკავშირს პროგრესისა და უკეთესი მომავლისკენ უბიძგეს.

ევროპის კონტინენტისთვის კრიზისი არასდროს ყოფილა უცხო მოვლენა. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ თავად ევროპული პროექტი ყველაზე ტრაგიკული კრიზისიდან - მეორე მსოფლიო ომიდან - ამოიზარდა: ევროპულ სახელმწიფოებს ერთმანეთთან ბრძოლისთვის აღარც სურვილი ჰქონდათ და აღარც შესაძლებლობა, რამაც ევროკავშირის პირვანდელ ინიციატივას - ფოლადისა და ქვანახშირის ევროპულ თანამეგობრობას დაუდო სათავე. სწორედ კიდევ ერთი დამანგრეველი ომის თავიდან არიდება ევროპული პროექტის უმთავრესი მიზანი იყო, რაც წარმატებით მოხერხდა. მართლაც, საწყის ეტაპზე სამხედრო ინდუსტრიის უმთავრეს რესურსებში (ფოლადსა და ქვანახშირში), მოგვიანებით კი მთლიანად ეკონომიკურად, ევროპის სახელმწიფოები იმდენად ურთიერთდამოკიდებულები გახდნენ, რომ ერთმანეთში ომის წარმოებამ სრულიად დაკარგა აზრი. სწორედ ამ კონტექსტში მოხდა დამარცხებული და გაპარტახებული გერმანიის ხელახალი გაძლიერება და მისი ინტეგრირება დასავლურ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო სივრცეში იმგვარად, რომ საფრთხე არ შექმნოდა არც საფრანგეთის და არც სხვა წევრი სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას და ტერიტორიულ მთლიანობას (არადა წარსული 70 წლის მანძილზე, ძლიერმა გერმანიამ სამჯერ მოახერხა საფრანგეთის დაპყრობა). უფრო მეტიც, ფრანგულ--გერმანული თანამშრომლობა დღემდე რჩება ევროკავშირის საფუძვლად და ევროპული ინტეგრაციის მამოძრავებელ ძალად.

მას შემდეგ ევროპული თანამეგობრობის შიგნით სხვა ტიპის ბევრმა გამოწვევამ საფრთხის წინაშე დააყენა ორგანიზაციის არსებული ფორმით არსებობა, მათ შორის, „ცარიელი სკამის“ კრიზისმა, „ევროსკლეროზის“ პერიოდმა, ბრიტანეთის საბიუჯეტო ბატალიებმა, ცივი ომის დასასრულმა და კომუნისტური წყობის ჩამოშლამ, ხელშეკრულებების რატიფიკაციის კრიზი-

სებმა, ბალკანეთის ომებმა და თანმდევმა მიგრაციულმა ნაკადებმა, და სხვებმა. თუმცა, ყოველ ჯერზე, რეფორმირებული ევროკავშირი უფრო ძლიერი, უფრო ერთიანი და უფრო მიმზიდველი ხდებოდა.

წინამდებარე წიგნში მკითხველი აგრეთვე გაეცნობა ევროკავშირის წინაშე არსებულ თანამედროვე გამოწვევებს, მათ შორის, ფინანსურ კრიზისს, ევროპულ მიგრაციულ კრიზისს, ბრექსიტს, პოპულიზმის მომძლავრებას ევროპის კონტინენტზე და სხვას. მართალია, ამ კრიზისების მასშტაბები ბევრად დიდია, ვიდრე ზემოხსენებული გამოწვევების, მაგრამ ევროკავშირის მდიდარი ისტორიული გამოცდილებისა და ევროპული სახელმწიფოების ბუნების გააზრების საფუძველზე, გვჯერა, რომ ევროკავშირი შეძლებს ამ სირთულეებთანაც ღირსეულად გამკლავებას. უფრო მეტიც, არსებული ან სხვა უფრო ეფექტური ფორმით, ევროკავშირი კვლავ გააგრძელებს არსებობას მანამ, სანამ ევროპის კონტინენტზე იქნება გრძელვადიანი მშვიდობის, კეთილდღეობის, სტაბილურობისა და ურთიერთთანამშრომლობის სურვილი და საჭიროება.

წიგნი ეფუძნება მსოფლიოს აკადემიურ საზოგადოებებში ფართოდ აღიარებული ავტორების ნაშრომებს, მათ შორის, დესმონდ დინანის, მარტინ დედმანის, ნილ ნუგენტის, ჯონ მაკკორმიკის, ანდრეას გრიმელის, მარტინ საიდიკისა და მიქაელ შვარზინგერის, იან ბახის, სტეფან ჯორჯისა და საიმონ ბულმერის წიგნებსა და სტატიებს. ეს არის სახელმძღვანელო ამ თემით დაინტერესებული სტუდენტებისთვის, რომლებსაც პირველად ექნებათ შესაძლებლობა, ქართულ ენაზე ათწლეულების მიხედვით დეტალურად გაეცნონ ევროკავშირის ჩამოყალიბების ისტორიას.

პირველი თავი მიმოიხილავს 1945 წლის შემდგომ ევროპულ თანამშრომლობას; ევროპის კონტინენტზე არსებულ პრობლემურ საკითხებს, რაც ხელს უშლიდა ევროპული ინტეგრაციის დაწყებას; აგრეთვე, შუმანის დეკლარაციას, მის ინსტიტუციურ სიახლეებს და პოლიტიკურ შედეგებს.

მეორე თავში გაანალიზებულია 1950-იან წლებში ევროპული თანამშრომლობა, მათ შორის, ფოლადისა და ქვანახშირის ევრო-

პული თანამეგობრობის ჩამოყალიბება; თავდაცვის ევროპული თანამეგობრობისა და ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის მარცხი; რომის ხელშეკრულებების მოლაპარაკებები და ხელმოწერა.

მესამე თავი განიხილავს 1960-იან წლებში ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის ჩამოყალიბებას; საბაჟო კავშირის იმპლემენტაციას; საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის განვითარებას; თანამეგობრობაში ბრიტანეთის გაწევრიანების მცდელობებს; „ცარიელი სკამის კრიზისს“ და სხვა.

მეოთხე თავში ვსაუბრობთ 1970-იანი წლების მნიშვნელოვან მოვლენებზე, მათ შორის, 1969 წლის ჰააგის სამიტის შედეგებზე; 1973 წლის გაფართოებაზე; ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის პოლიტიკის მიმართულებების და ინსტიტუციურ განვითარებაზე; დიდი ბრიტანეთის გაწევრიანების პირობებზე ხელახალ მოლაპარაკებებსა და რეფერენდუმზე.

მეხუთე თავი მოიცავს 1970-1980-იანი წლების ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორებიც არის საბერძნეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის გაწევრიანებები; ევროპული მონეტარული სისტემა; ევროპარლამენტის პირველი პირდაპირი არჩევნები და დიდი ბრიტანეთის საბიუჯეტო ბატალიები.

მეექვსე თავი აანალიზებს 1980-იანი წლების მოვლენებს, მათ შორის, ერთიან ევროპულ აქტს; ერთიანი ბაზრის პროგრამას; ერთიანობისა და სოციალური პოლიტიკის მიმართულებების განვითარებას.

მეშვიდე თავი იკვლევს ევროკავშირის „ოქროს ეპოქას“, კერძოდ, მაასტრიხტის ხელშეკრულების მოლაპარაკებებს, თავად დოკუმენტის ძირითად სიახლეებს და მის ძალაში შესვლას; ეკონომიკური და მონეტარული კავშირის პროგრამის შემუშავებას; კომუნისტური ბლოკისა და საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეულ ცვალებად ვითარებას.

მერვე თავი მიმოიხილავს 1990-2000-იანი წლების გაფართოებების რაუნდებს: ავსტრიულ-სკანდინავიურ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპულ, ხმელთაშუაზღვისპირეთის, ბულგარულ-რუმინულ და ხორვატიულ განზომილებებს.

მეცხრე თავი იკვლევს 1990-2000-იანი წლების ინსტიტუციურ და პროგრამულ გამოწვევებს და ფარავს ამსტერდამისა და ნიცის ხელშეკრულებებს; ინსტიტუციურ რეფორმებს; კონსტიტუციურ ხელშეკრულებაზე მუშაობის დაწყებას; ეკონომიკური და მონეტარული კავშირის პროგრამის იმპლემენტაციას და მის ძალაში შესვლას; სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების იმპლემენტაციას; შიდა უსაფრთხოებას და საგარეო ურთიერთობებს.

მეათე თავი მოიცავს დეტალურ ინფორმაციას კონსტიტუციურ ხელშეკრულებასა და ლისაბონის ხელშეკრულებაზე, მათ მოლაპარაკებებზე, დოკუმენტების მიერ შემოტანილ სიახლეებზე, ხელშეკრულებების რატიფიკაციის კრიზისებზე, ლისაბონის ხელშეკრულების მნიშვნელობაზე.

მეთერთმეტე თავი განიხილავს 2000-2010-იანი წლების ფინანსურ კრიზისს, მის საფუძვლებს, მიმდინარეობას, შედეგებსა და გავლენას ევროკავშირზე; აგრეთვე, საბერძნეთის კრიზისს.

მეთორმეტე თავში მკითხველი გაეცნობა ევროპულ მიგრაციულ კრიზისს, მათ შორის, მის პრეისტორიას, განვითარებასა და შედეგებს; ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების პოლიტიკას; და ევროკავშირ-თურქეთის შეთანხმებას.

მეცამეტე თავი აანალიზებს ევროპაში პოლიტიკური პოპულიზმის მომძლავრებას და საუბრობს მის მიზეზებსა და ცალკეულ ევროპულ მაგალითებზე.

და ბოლოს, მეთოთხმეტე თავი იკვლევს ბრექსიტის მოვლენას, მათ შორის, ბრიტანული ევროსკეპტიციზმის საფუძვლებს; დიდ ბრიტანეთში ევროკავშირიდან გამოსვლის საკითხზე გამართულ რეფერენდუმს და მის შედეგებს; ასევე, ბრექსიტის თაობაზე ევროკავშირსა და დიდი ბრიტანეთს შორის გამართულ მოლაპარაკებებს.

იმედი გვაქვს, მკითხველისთვის ინფორმაციული და საინტერესო იქნება წინამდებარე ნაშრომი. აგრეთვე, ჩავთვლით, რომ ჩვენ მცდელობა იყო წარმატებული, თუ თითოეულ თქვენგანში გავაჩენთ დამატებით ინტერესს ევროპული ინტეგრაციისა და ევროკავშირის თაობაზე.

თავი 1

ევროპული ინტეგრაციის „პრეისტორია“

მეორე მსოფლიო ომიდან ცივ ომამდე

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანია ბოლომდე დამარცხებული და განადგურებული იყო. ყოფილი რაიხი ოთხი საოკუპაციო ძალის (ბრიტანეთი, საფრანგეთი, აშშ და საბჭოთა კავშირი) წყალობაზე იყო დამოკიდებული. 1945 წელი გერმანიისთვის ნულოვანი წელი (*Stunde Null*) იყო. ქვეყანამ შეიცვალა ფორმა მას შემდეგ, რაც პოლონეთმა და ჩეხოსლოვაკეთმა დაიბრუნეს სადავო ტერიტორიები გერმანიის აღმოსავლეთში. ასობით ათასობით ეთნიკურად გერმანელს დასავლეთისკენ გაქცევა მოუხდა. ამას ემატებოდა გერმანიაში უკვე მყოფი ლტოლვილების (იძულებით გადაადგილებული მუშა ხელი და საკონცენტრაციო ბანაკებიდან გადარჩენილები) უზარმაზარი რაოდენობა, რამაც ერთიანობაში უპრეცედენტო მასშტაბების ლტოლვილთა პრობლემა წარმოშვა. ოფიციალური ეკონომიკა ჩამოიშალა, შავმა ბაზარმა კი ღრმად მოიკიდა ფეხი. მოიშალა წესრიგი და კანონიერებაც.

1945 წლის ზაფხულში დანარჩენ ევროპაში მდგომარეობა ძირითადად ასევე უიმედო იყო. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობა სერიოზულად დააზარალა გერმანულმა ოკუპაციამ და 1944-1945 წლებში საბჭოთა და გერმანულ არმიებს შორის გამართულმა ეპიკურმა ბრძოლებმა. დასავლეთ ევროპაში გერმანული საოკუპაციო რეჟიმი არ ყოფილა ისეთი მკაცრი და სისხლიანი, როგორც აღმოსავლეთში. ამასთან, დასავლეთის ფრონტი არ იყო ისეთი მასშტაბების და შედეგების, როგორიც აღმოსავლეთის. დასავლეთ ევროპის შიგნით პირობები მერყეობდა, თუმცა, ყველა სახელმწიფო ეკონომიკური გაბანკროტებისა და სოციალური დისლოკაციის წინაშე იდგა. ბელგია 1945 წელს შედარებით ყველაზე შეძლებული იყო, ვინაიდან იგი გადაურჩა გამანადგურებელ ბრძოლებს და 1944 წლის ბოლოს-

თვის განთავისუფლებულ იქნა. მისი მეზობელი ჰოლანდიის ნაწილი კი პირიქით, მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე დაპირისპირების არენა იყო. რამდენიმე განთავისუფლებულ ქვეყანაში (მაგალითად, საფრანგეთსა და იტალიაში), გერმანიის არმიის უკანდახევის პერიოდში, მოკლე, მაგრამ სისხლიანმა სამოქალაქო ომებმა იფეთქა. წინააღმდეგობის მოძრაობები უმოწყალოდ უსწორდებოდნენ ადგილობრივ ფაშისტებსა და საკუთარი იდეოლოგიისგან განსხვავებულ ჯგუფებს.

საბჭოთა კავშირმა მნიშვნელოვანი ფიზიკური, ადამიანური დანაკარგები განიცადა 1941 წლის ივნისის შემდეგ. თუმცა, საბჭოელებმა მაინც მოახერხეს გერმანული არმიის ბერლინამდე უკანდახევა. საბჭოთა კავშირი ომიდან დიდი სახელმწიფოს სახელით გამოვიდა, რომელსაც საკუთარი სამხედრო ნაწილები მთელს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ჰყავდა განლაგებული. ამიტომ იოსებ სტალინი იმ პოზიციაში იყო, რომ კომუნისტური რეჟიმები დაემყარებინა ევროპის იმ ნაწილში, რომელიც აშშ-მა და ბრიტანეთმა საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროებად აღიარეს. დასაწყისისთვის, სტალინი თითქოს ნებას აძლევდა არაკომუნისტ პარტიებს, რომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საბჭოთა კავშირის მიერ მხარდაჭერილ კომუნისტურ პარტიებთან ერთად კოალიციურ მთავრობებში მიეღოთ მონაწილეობა.

ამერიკის შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომიდან დაუზიანებელი და უფრო ძლიერი გამოვიდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა მონაწილე. მას გლობალური ამბიციები და ინტერესები გააჩნდა. უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს სურდა საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის დაფუძნება, რომელიც ღია იქნებოდა თავისუფალი ვაჭრობისა და ინვესტიციებისთვის. ეს სისტემა მოითხოვდა სამმიმართულებიან ინსტიტუციურ სტრუქტურას: მსოფლიო ბანკს, საერთაშორისო მონეტარულ ფონდს და ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციას. მხოლოდ გავლენიან და საკუთარ თავში ისეთ დარწმუნებულ ქვეყანას, როგორც აშშ იყო, შეეძლო გლობალური ეკონომიკური მენეჯმენტისთვის ასეთი გრანდიოზული სქემის შექმნა. საბოლოოდ, მეორე მსოფ-

ლიო ომის შემგომ მსოფლიოსთან დაკავშირებულ აშშ-ს გეგმებს საშინაო და საგარეო წინააღმდეგობა შეხვდა და მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა.

მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში არსებითი განსხვავებების მიუხედავად, აშშ და საბჭოთა კავშირი ომის შემდეგ სამუშაო ურთიერთობების შენარჩუნებას იმედოვნებდნენ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოაზრებულ იყო იმისათვის, რომ ომისდროინდელი დიდი ალიანსის წევრებს შორის ომისშემდგომი დიპლომატიური ურთიერთობებისთვის პოლიტიკური ჩარჩოები დაარსებულიყო. 1945 წლის აპრილში პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის გარდაცვალებამ შეასუსტა აშშ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის პერსპექტივები. ახალმა პრეზიდენტმა ჰარი ტრუმანმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უფრო აგრესიული მიდგომა შეიმუშავა. აშშ-ის მიერ ატომური ბომბის ერთპიროვნულმა მფლობელობამ გააძლიერა ტრუმანის პოზიცია, საბჭოთა კავშირში კი კიდევ უფრო გაზარდა ამერიკისადმი უნდობლობა. ომამდე გავრცელებულმა ორმხრივმა უნდობლობამ კვლავ აქტიურად იჩინა თავი.

მსოფლიო ომის შემდგომი პოლიტიკა

გერმანული არმიის გასვლისთანავე ევროპაში ძალაუფლებაში ეროვნული მთავრობები დაბრუნდნენ. დისკრედიტირებული და უმომავლო კოლაბორაციონისტების გარდა, პოლიტიკოსებს შორის ორი ძირითადი განსხვავება იყო: პარტია, რომელსაც ეკუთვნოდნენ და ის, თუ სად გაატარეს მათ ოკუპაციის წლები. ზოგი პოლიტიკოსები საზღვარგარეთ გაიქცა და იქ ჩამოაყალიბა დევნილი მთავრობა, სხვები კი საშინაოში დარჩნენ და უმრავლეს შემთხვევაში წინააღმდეგობის მოძრაობას შეუერთდნენ. მათ შორის (ვინც დარჩა და ვინც გაიქცა) მოგვიანებით დაპირისპირება დაიწყო, იმის მიუხედავად, თუ რომელ პარტიასთან ასოცირდებოდა. თუმცა, მთავარი განმასხვავებელი ომამდე, ომის დროს და ომის შემდეგაც ალბათ მაინც ის იყო, თუ რო-

მელი პარტიის წევრი იყო, რომელ იდეოლოგიას უჭერდა მხარს. კომუნისტები საკმაოდ ძლიერად გამოვიდნენ ომიდან, ვინაიდან მათ წამყვანი როლი ითამაშეს წინააღმდეგობის მოძრაობაში და თან საბჭოთა კავშირის (ჰიტლერის დამმარცხებლის) მხარდაჭერით სარგებლობდნენ. სოციალ დემოკრატებიც ასევე პოპულარულები იყვნენ, რადგან მათ ფაშიზმის წინააღმდეგ დგომის დიდი ხნის ისტორია ჰქონდათ. ამასთან, ისინი მხარს უჭერდნენ ბაზრის სოციალისტურ მოდელს, რაც მოსწონდათ იმ ამომრჩევლებს, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებდნენ კომუნიზმსა და კაპიტალიზმს. კონსერვატორებმა ომის შემდეგ ომის წინა პერიოდის პოპულარობადაკარგული მემარჯვენე პარტიებისგან დისტანცირება სცადეს და სახელი შეიცვალეს. ამჯერად უკვე ქრისტიან დემოკრატების სახელით, ისინი სასურველ კაპიტალიზმსა და კეთილდღეობის სახელმწიფოს უჭერდნენ მხარს.

უშუალოდ ომისშემდგომი მთავრობების უმეტესობა კომუნისტების, სოციალისტებისა და ქრისტიან-დემოკრატების კოალიციებს წარმოადგენდა. ისინი ერთად ცდილობდნენ მუშაობას, უკეთესი საზოგადოებების ჩამოყალიბებასა და უფრო სამართლიანი ეკონომიკური სისტემების აშენებას. თუმცა, ადამიანურმა სისუსტეებმა, ღრმა ანტაგონიზმმა, პოლიტიკურმა ამბიციებმა და პარტიათა შორის ქიშპმა ისინი მალე დააშორა ერთმანეთს. კომუნისტებსა და არაკომუნისტებს შორის უნდობლობამ ღრმა ფესვები გაიდგა და ცივი ომის გარიჟრაჟზე საჯაროდ იფეთქა. 1940-იანი წლების ბოლოს, დასავლეთ ევროპაში კომუნისტური პარტიები ან ტოვებდნენ მთავრობებს ან ძალით ყრიდნენ მათ (მაგალითად, საფრანგეთი და იტალია), ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი მსგავსი ბედი არაკომუნისტურმა პარტიებმა გაიზიარეს (მაგალითად, ჩეხოსლოვაკეთი და პოლონეთი). დასავლეთ ევროპაში სოციალისტური და ქრისტიან დემოკრატიული პარტიები კი, რომლებთაც კომუნისტების წინააღმდეგ საერთო ანტიპატია გააჩნდათ, ერთმანეთთან თანამშრომლობას განაგრძობდნენ.

ბრიტანეთი ომისშემდგომი ევროპული მაგალითისგან განსხვავებული იყო. ბრიტანეთს არ ჰყავდა ძლიერი კომუნისტური

პარტია. მთელი რიგი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების წყალობით, ბრიტანეთის მუშათა კლასის დიდმა ნაწილმა უკუაგდო რევოლუციური სოციალიზმი XIX საუკუნეში. სანაცვლოდ, მათ მხარი დაუჭირეს არარევოლუციურ, სოციალ-დემოკრატიულ ლეიბორისტულ (მუშათა) პარტიას. გარდა ამისა, ბრიტანეთს ორ პარტიული სისტემა ჰქონდა, სადაც ერთი პარტია ტრადიციულად მთლიანად აყალიბებდა მთავრობას. XIX საუკუნის დასაწყისში ლიბერალური პარტიის ჩამოშლის შემდეგ, ორი მთავარი პარტია ლეიბორისტები და კონსერვატორები იყვნენ. მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ისინი უინსტონ ჩერჩილის ხელმძღვანელობით ეროვნული ერთობის მთავრობას ქმნიდნენ. თუმცა, ომის შემდეგ პირველივე არჩევნებში, 1945 წლის ივლისში ისნი უკვე ერთმანეთის ოპონენტები იყვნენ. ბევრი ბრიტანელი ჩერჩილს, როგორც ომისდროინდელ ლიდერს, პატივს სცემდა, მაგრამ ისინი მაინც არ ენდობოდნენ კონსერვატორებს. მათი აზრით, კონსერვატორები ვერ შეძლებდნენ საცხოვრებლების აშენებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და მდიდარი კეთილდღეობის სახელმწიფოს სისტემის მშენებლობას. ამიტომ არჩევნები ლეიბორისტებმა მოიგეს და ხელისუფლებაში 1951 წლამდე დარჩნენ.

ბრიტანეთს სიტუაცია მნიშვნელოვანი იყო განსაკუთრებით კონტინენტური სოციალისტებისთვის, რომლებიც იმედის თვალით უყურებდნენ ბრიტანელ ლეიბორისტებს. როგორც დენის ჰელი, 1940-იანი წლების ბოლო ლეიბორისტების საერთაშორისო მდივანი, აღნიშნავდა, ამ პერიოდში ლეიბორისტები კონტინენტზე ისეთი პრესტიჟითა და გავლენით სარგებლობდნენ, რომელიც მათ არც მანამდე და არც ამის შემდეგ აღარ ჰქონიათ. ბრიტანეთი ევროპაში ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც სოციალისტებმა კოალიციური პარტნიორების გარეშე მოიგეს არჩევნები და დააკომპლექტეს მთავრობა. კონტინენტზე მყოფი ახალგაზრდა სოციალისტების იმედგაცრუებად იქცა ლეიბორისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკა, რომელიც ევროპის ურთიერთობებს მესამე ადგილზე აყენებდა (აშშ-ისა და ბრიტანეთის თანამეგობრობის შემდეგ).

გერმანია ომისშემდგომი კონტინენტური პოლიტიკური ნორმიდან კიდევ ერთი გამონაკლისი იყო. ამ პერიოდში პოლიტიკა დასაწყისისთვის მკაცრად კონტროლირდებოდა საოკუპაციო ძალების მიერ. მაგრამ მათი მიდგომა ადგილობრივი მთავრობებისადმი განსხვავებული იყო. საკუთარი ეროვნული ფორმის მსგავსად, ამერიკელებს სადავეები ყველაზე მეტად ჰქონდათ მიშვებული, საბჭოელები ყველაზე მკაცრები იყვნენ, ბრიტანელები ზემოდან, ამაყად, ამპარტავნად იქცეოდნენ, ფრანგები კი ეგოისტური და აღმატებული პოზიციებიდან მოქმედებდნენ. განსაკუთრებით, ბრიტანეთისა და საფრანგეთის საქციელი ეფუძნებოდა თავიანთ იმპერიულ ტრადიციებს. როგორც ისტორიკოსი ნოელ ანანი აღწერდა, ბრიტანელი წარმომადგენლები გერმანელებს აღიქვამდნენ, როგორც ბედუინებს შორის ყველაზე ინტელიგენტურ ტომს. ერთ-ერთი ამერიკელი მეცნიერი კი ანიშნავდა, რომ საკუთარ საოკუპაციო ზონაში ფრანგები ცდილობდნენ გერმანელი ხალხის ხელახალ განმანათლებლობას და დემოკრატიზებას, იმ მიზნით, რომ მათ ევროპის მორალურ და კულტურულ თანამეგობრობაში ღირებული ადგილი დაეკავებინათ. კერძოდ, ისინი გერმანელებს საფრანგეთის კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნაშრომებთან „აზიარებდნენ“.

მოაზრებული იყო, რომ ოთხ საოკუპაციო ძალას გერმანიის მართვაში მოკავშირეთა მაკონტროლებელი საბჭოს ფარგლებში ერთმანეთთან უნდა ეთანამშრომლათ. საბჭოს შემადგენლობაში აშშ-ის, ბრიტანეთის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მაღალი ოფიციალური პირები იყვნენ. თუმცა, თანამშრომლობა ვერ შედგა. მნიშვნელოვან საკამათო საკითხად იქცა რეპარაციები. საბჭოელებს დასავლეთის მიერ ოკუპირებულ ინდუსტრიულ ზონებში რაც შეიძლება მეტი მასალის დაუფლების სურვილი ჰქონდათ. ამერიკამ გაითვალისწინა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში ეკონომიკური შეცდომები, მიიჩნია, რომ მძიმე რეპარაციები გამოსწორების ნაცვლად გაართულებდა სიტუაციას და 1946 წლის მაისში დასავლეთის ზონებიდან საერთოდ შეუწყვიტა საბჭოთა კავშირს რეპარაციების გადახდა. ამას მოჰყვა მოვლენათა მთელი სერია, რამაც საბოლოო დაა-

ცილა ერთმანეთს ერთდროს მოკავშირეები. მათგან ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მოვლენა 1948-1949 წლების ბერლინის ბლოკადა იყო, როდესაც საბჭოელებმა ბერლინსა და დასავლეთს შორის ყოველგვარი სარკინიგზო, სახმელეთო და სანაოსნო გზები ჩაკეტეს. დასავლეთმა ამას ბლოკადაში მოქცეული თავისი ბერლინის ზონებისთვის საკვებისა და სხვა საქონლის საჰაერო ძალებით მიწოდებით უპასუხა. ეს მანამ გაგრძელდა, სანამ საბჭოთა კავშირმა თერთმეტი თვის შემდეგ ბლოკადა არ მოხსნა. ბერლინის ბლოკადა 1945 წლის იალტისა და პოცდამის ხელშეკრულებების კრახისა და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაპირისპირების დაწყების სიმბოლოდ იქცა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ქვეყნების ეკონომიკებმა მოულოდნელად მაღალი ტემპებით გაუმჯობესება დაიწყეს. 1946 წლისთვის რამდენიმე პატარა ქვეყანამ (ბელგიამ, დანიამ და ნორვეგიამ) თავისი მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) 1938 (ანუ ომის დაწყების წინა) წლის მონაცემებს მიაღწიეს. მსგავსი მაჩვენებლები საფრანგეთსა და იტალიას 1949 წელს ჰქონდა. ნაკლებ დაზარალებული ბელგია 1938 წლის ნიშნულს უშუალოდ ომის განმავლობაშიც მიუახლოვდა. გერმანიამ კი, რომელიც უმოწყალოდ იყო გაჩანაგებული, მხოლოდ 1951 წელს აღმოფხვრა სხვაობა. აღდგენის პროცესი მიმდინარეობდა ისეთი სერიოზული პრობლემების ფონზე, როგორებიც იყო ინდუსტრიული დაწესებულებებისა და ინფრასტრუქტურის ომისდროინდელი მასიური განადგურება, ძირითადად ეკონომიკურ სექტორებში კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა, მილიონობით იძულებით გადაადგილებული ადამიანი და სხვა. პროცესს არც ამინდმა შეუწყო ხელი: 1946-1947 წლების ზამთარი გამორჩეულად ცივი და ნალექიანი იყო, წინა და შემდეგი ზაფხული კი განსაკუთრებით ცხელი და მშრალი.

1945 წლის აგვისტოში აშშ-მა შეწყვიტა თავისი საიჯარო-სესხების პროგრამა და ომისგან დაზარალებული ევროპის დახმარება *გაეროს დახმარებისა და რეაბილიტაციის ადმინისტრაციის (United Nations Relief and Rehabilitation Administration)* მეშვეობით განაგრძო. ამ უკანასკნელის გამოყენებით ევროპელებმა საკვებისა და საწვავის ნაკლებობის აღმოფხვრა შეძლეს. ევროპის აღდგენის დაჩქარებასთან ერთად, ევროპას დამატებითი საბაზისო მასალების, ტექნოლოგიების, ნედლეულისა და მოხმარების სხვა პროდუქტების მიწოდებაში აშშ-ის იმედი ჰქონდა. იმპორტის სიძვირის გამო მალე ამოიწურა ევროპაში არსებული დოლარის ისედაც იშვიათი რეზერვები. ამიტომ გაჩნდა „დოლარის უფსკრული" (*dollar gap*) (სხვაობა აშშ-დან იმპორტისთვის საჭირო საკმარის დოლარებსა და იმას შორის, რაც რეალურად ევროპას ჰქონდა). ამ სხვაობის შემცირება შიდა მკაცრი ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკითა და ევროპულ ქვეყნებს შორის უფრო მეტი ვაჭრობით შეიძლებოდა. თუმცა, მკაცრი ფინანსური ინსტრუმენტები არაპოპულარული და, შესაბამისად, პოლიტიკურად შეუძლებელი იყო, განსაკუთრებით, ომიდან ასე მცირე ხნის შემდეგ. ამასთან, საქონელისა და კაპიტალის გადაადგილებასთან დაკავშირებული მთელი რიგი შეზღუდვების გამო ფერხდებოდა ევროპისშიდა ვაჭრობა. აქედან ერთადერთი გამოსავალი ევროპისთვის დამატებითი დოლარების მიცემა იყო, მაგრამ ეს ალტერნატივა პოპულარობით არ სარგებლობდა ვაშინგტონში.

1947 წლის დასაწყისში მიღებულმა ანგარიშებმა, რომლებიც გერმანიაში შიმშილისა და სიღარიბის გავრცელებას იუწყებოდა, გააძლიერა ევროპის ეკონომიკური აღდგენის პროცესში სახელმწიფო დეპარტამენტის მცდელობები. გერმანიის სიტუაცია არ იყო დამახასიათებელი მთელი კონტინენტისთვის, თუმცა, ჰუმანიტარული დახმარება მაინც გახდა მნიშვნელოვანი არგუმენტი კონგრესისთვის ამ იდეის მიყიდვის პროცესში. ასევე, კონგრესისთვის მისაღები იყო არგუმენტი, რომ ეკონომიკურად ძლიერი დასავლეთ ევროპა კომუნიზმისთვის ნაკლებ შეღწევა-

დი იქნებოდა. აშშ-ში დახმარების გრძელვადიანი პროგრამის სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრი ყველაზე მეტად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა კონტროლის დამყარებამ და დასავლეთ ევროპაში კომუნისტური პარტიების სიძლიერემ ჩამოაყალიბა და განაპირობა.

მასიური, დიდი მასშტაბებით დახმარება თავად ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურ ინტერესებშიც იყო. 1947 წლის მაისის მემორანდუმში ეკონომიკურ საკითხებში მეორე მდივანი ვილიამ კლეიტონი სახელმწიფო მდივან ჯორჯ მარშალს სწერდა, აშშ-ის მხრიდან დროული და არსებითი დახმარების გარეშე, ევროპას ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური დისინტეგრაცია ემუქრებოდა. მისი აზრით, ამას, მსოფლიოში მომავალი მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ნეგატიური გამოვლინებების გარდა, თავად ამერიკის ეკონომიკისთვის დამანგრეველი შედეგი ექნებოდა: ამერიკის მიერ წარმოებული ჭარბი პროდუქციისთვის ბაზრები გაქრებოდა, უმუშევრობა, დეპრესია და დაუბალანსებელი ბიუჯეტი კი თავს სერიოზულად იჩენდა. ეს იმის ფონზე, როდესაც სახელმწიფოს ჯერ კიდევ ომისდროინდელი უზარმაზარი ვალი ჰქონდა.

გერმანიაში არსებული პრობლემების, „დოლარის უფსკრულისა“ და კომუნიზმის საფრთხის შესახებ ევროპიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე, აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა მარშალს ევროპის დახმარების მრავალწლიანი გეგმის წარმოდგენა დაავალეს. აშშ-ს მხოლოდ ევროპასთან ერთად უნდა ემოქმედა და ეს არ უნდა ყოფილიყო თავს მოხვეული პროგრამა.

ევროპის შიგნით, აშშ-ის მთავრობის შიგნით და ამერიკასა და ევროპას შორის ინტენსიურ მოლაპარაკებებს დაახლოებით ერთი წელი დასჭირდა მანამდე, სანამ ე.წ. *მარშალის გეგმა (Marshall Plan)* სრულად ჩამოყალიბებული და ფუნქციონირებადი არ გახდა. მარშალის გეგმის უშუალო მიზანი დოლარის უფსკრულის აღმოფხვრა და ევროპისშიდა ვაჭრობის ხელშეწყობა იყო. ამის გაკეთებას იგი აშშ-იდან იმპორტის შეზღუდვითა და ვალუტის გადაცვლადობის წახალისებით აპირებდა. გეგმის გრძელვადიანი მიზნები კი აშშ-ის ბიზნეს პრაქტიკების გავრცელება-დანერ-

გვა და ევროპაში ამერიკის მსგავსი (დიდი, ინტეგრირებული, ეფექტური, ადეკვატური, აქტიური) საბაზრო სივრცის ჩამოყალიბება გახლდათ. ამერიკის პოზიციით, ერთიანი ბაზარი ევროპაში მშვიდობისა და კეთილდღეობისა და გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ევროპის სრული ჩართულობის უმთავრესი პრერეკვიზიტი, წინაპირობა იყო.

ცოტა ადრე, 1947 წლის მარტში, პრეზიდენტმა ტრუმანმა მიიღო დოქტრინა (ე.წ. ტრუმანის დოქტრინა), რომლის მიხედვითაც აშშ გაუწევდა სამხედრო დახმარებას საბერძნეთსა და ევროპის სხვა ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც კომუნისტური საფრთხის წინაშე დადგებოდა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მარშალის გეგმა ტრუმანის დოქტრინის ეკონომიკურ ნაწილს წარმოადგენდა.

დასაწყისისთვის, ამერიკელები მარშალის გეგმიდან საბჭოთა კავშირის გამოთიშვას ფრთხილად ეკიდებოდნენ და საჯაროდ არ აცხადებდნენ ამის შესახებ. თუმცა, გეგმაში საბჭოელების მონაწილეობა შინაარსიდან გამომდინარე თავისთავად შეუძლებელი, შეუსაბამო იყო. 1947 წლის ივლისში პარიზში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დახმარების პოტენციური მიმღებების კონფერენციას დაესწრო, მაგრამ დატოვა მალევე მას შემდეგ, რაც ვერ დაარწმუნა ევროპელები, რომ უარი ეთქვათ აშშ-სადმი დახმარების ერთობლივ მოთხოვნაზე. იმ მიზეზით, რომ მარშალის გეგმა საშინაო საქმეებში აშშ-ის ჩარევის მცდელობა იყო, საბჭოთა კავშირმა აიძულა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მასში არ მიეღოთ მონაწილეობა.

მარშალის გეგმა და მისდამი საბჭოთა კავშირის ნეგატიური დამოკიდებულება ცივი ომის ადრეულ ისტორიისთვის მნიშვნელოვან მოვლენებად იქცა. 1948 წლის თებერვალში ჩეხოსლოვაკეთში კომუნისტების მიერ ძალაუფლების ძალისმიერმა მოპოვებამ და სამი თვის შემდეგ ბერლინის ბლოკადამ კიდევ უფრო გააღრმავა დაპირისპირება.

საერთო ჯამში, მარშალის გეგმა მნიშვნელოვანი და წარმატებული ნაბიჯი იყო. პოლიტიკურად, მან მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ

ევროპაში დარჩენას აპირებდა (განსხვავებით ევროპისგან იმ იზოლაციისგან, რომელსაც ქვეყანამ ერთი თაობით ადრე მიმართა). ეკონომიკურად, მან ევროპა არ „იხსნა“, ვინაიდან ევროპა ისედაც აღდგენის გზაზე იდგა. თუმცა, მარშალის გეგმამ აღმოფხვრა დოლარის უფსკრული (1948-1949 წლებში აშშ-ში დეპრესიამ იმძლავრა, რის გამოც სხვაობა დროებით კვლავ გაიზარდა). პროგრამით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების გამო, მიმღებმა მთავრობებმა ადგილობრივ ვალუტაში დამატებითი ფონდების დაარსება მოახერხეს, რითაც ისეთი ეროვნული ეკონომიკური მიზნების განხორციელება დაიწყეს, როგორებიცაა ინფრასტრუქტურული განვითარება და ვალის შემცირება. ამ პერიოდის ისტორიკოსის ჩარლზ მაიერის მტკიცებით, ამერიკულმა დახმარებამ შესაძლებლობა მისცა ევროპულ ეკონომიკებს, რომ საკუთარი კაპიტალი უფრო თავისუფლად ეწარმოებინათ და თავიდან აეცილებინათ 1930-იანი წლების მსგავსი დეფლაციური კონკურენცია.

ერთი სიტყვით, მარშალის გეგმამ მოტორის ზეთის (არა საწვავის) როლი შეასრულა - საშუალება მისცა მანქანას, რომ უფრო ეფექტურად ემუშავა.

ევროპული მოძრაობა

1948 წლის მაისში, მეორე მსოფლიო ომიდან სამი წლის შემდეგ, ჰააგაში თითქმის ათასი ადამიანი დაესწრო *ევროპის კონგრესს*. მათ შორის იყვნენ მაღალი რანგის პოლიტიკოსები ევროპის უმეტესი ქვეყნიდან და პოლიტიკური პარტიიდან (კომუნისტი მემარცხენეებისა და უკიდურესი მემარჯვენეების გარდა). შეხვედრას ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი უძღვებოდა.

ევროპული მოძრაობის მონაწილეები თანხმდებოდნენ იმაზე, რომ მათი ზოგადი მიზანი ევროპული კავშირი იყო, თუმცა, განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ მის ფორმაზე. ზოგიერთი თავგამოდებული ფედერალისტის აზრით, ფედერალიზმი

ევროპის ავადმყოფობის წამალი და ნაციონალიზმის ნეგატიური გამოვლინებების ანტიდოტი იყო. ერთ-ერთ მათგანს, ალტიერო სპინელის ევროპული კავშირისადმი „დიდი აფეთქების“ მსგავსი მიდგომა ჰქონდა: ევროპის შეერთებულ შტატებს უცბად და მთლიანად უნდა ჩაენაცვლებინა სახელმწიფოების არსებული სისტემა.

ამის საპირისპიროდ, კონგრესის მონაწილეთა უმრავლესობას ევროპის მომავალზე გაცილებით ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. ზოგადად ევროპელების უმეტესობის მსგავსად, ისინიც ან ინდეფერენტულები იყვნენ ფედერალიზმისადმი ან საერთოდ ეწინააღმდეგებოდნენ მას. მათთვის ევროპისშიდა თანამშრომლობა სასურველი და აუცილებელიც კი იყო, თუმცა, ერი-სახელმწიფოს ლეგიტიმაციისა და შესაძლებელსუნარიანობის ეჭვქვეშ დაყენება მიუღებელი. ევროპული კავშირის იდეას ყოველგვარი კონკრეტული კონსტიტუციური კონტურების გარეშე ჰქონდა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მიმართულებები. ყველა მისი მომხრესთვის იგი დემოკრატიისადმი, სამართლიანობისადმი და ადამიანის უფლებებისადმი ვალდებულებას გულისხმობდა. იდეა ასევე აღიარებდა საერთაშორისო არენაზე გერმანიის კვლავ დაბრუნების საჭიროებას. ევროპული კავშირის შესახებ რიტორიკა პან-ევროპულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ მზარდი ცივი ომის რეალობის გათვალისწინებით, ამ იდეასთან დაკავშირებული კონკრეტული ინიციატივები მხოლოდ დასავლეთ ევროპაში (მათ შორის, მხოლოდ დასავლეთ გერმანიაში) შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

დიდი და ჰეტეროგენული ჯგუფის გამო, ფინალური რეზოლუციისთვის ტექსტის ჩამოყალიბება საკმაოდ გართულდა. არსებობდა ზოგადი შეთანხმება, რომ *ევროპული ერთიანობისთვის მოძრაობის საერთაშორისო კომიტეტი* გარდაექმნათ ქოლგა ორგანიზაციად *ევროპული მოძრაობა*. ასეც მოხდა და მან ფუნქციონირება 1948 წლის ოქტომბერში ბრიუსელში დაიწყო. მისი თავმჯდომარეები ერთდროულად იყვნენ ჩერჩილი, ლეონ ბლუმი (ფრანგი სოციალისტი), ალსიდე დე გასპერი (იტალიელი ქრისტიან დემოკრატი) და პოლ-ჰენრი სპააკი (ბელგიელი სოცი-

ალისტი). ასევე, კონგრესის გადაწყვეტილებით, 1950 წელს ბელგიის ქალაქ ბრიუგეში დაარსდა *ევროპის კოლეჯი*, რომელსაც თავისი აკადემიური საქმიანობა ევროპული ინტეგრაციის სფეროში უნდა ეწარმოებინა.

თუმცა, სხვა უფრო არსებით საკითხებზე კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა. ევროპული ასამბლეის დაფუძნება, რომელიც იქნებოდა დემოკრატიული პრინციპებისა და საზოგადოებრივი აზრისათვის პატივისცემისადმი ევროპული მოძრაობის ვალდებულების გამოვლინება, განხეთქილების საგნად იქცა. ასამბლეის მიზეზსა და ორგანიზებაზე მაშინვე იჩინა თავი მკაფიოდ განსხვავებულმა პოზიციებმა. ფედერალისტებს სურდათ ძლიერი ასამბლეა, რომელიც ორგანიზებული იქნებოდა ტრანსეროვნულ საფუძვლებზე და რომელიც შეიმუშავებდა ევროპულ კონსტიტუციას; ანტიფედერალისტებს კი არაფრის გაგონება არ უნდოდათ, გარდა საკონსულტაციო ინსტიტუციისა, რომელიც ორგანიზებული იქნებოდა ეროვნულ საფუძვლებზე და ანგარიშვალდებულებას მინისტრებისგან შემდგარი ორგანოს წინაშე გამოხატავდა. ბოლოს, კონგრესი შეთანხმდა იმაზე, რომ ვერ შეთანხმდნენ, ამიტომ ასამბლეის წინადადების კონკრეტული საკითხების განხილვა მომავლისთვის გადადეს.

ჩერჩილს უყვარდა ევროპული კავშირის შესახებ ორატორობა, თუმცა, არასდროს გამოხატავდა არც პიროვნულად და არც პოლიტიკურად რაიმე ტიპის ვალდებულებას. მისი ციურიხის 1946 წლის სექტემბრის ცნობილი გამოსვლა, სადაც მან ევროპის შეერთებული შტატების შექმნის მოწოდებები გააკეთა, ხშირად ევროენთუზიაზმის მაგალითად მოიხსენიება. მაგრამ რეალურად, იგი ზედმეტად ნაციონალისტი იყო იმისათვის, რომ გაზიარებულ სუვერენიტეტზე დაფუძნებული ახალი ევროპული სისტემისთვის დაეჭირა მხარი.

იმის მიუხედავად, თუ რა თქვა ჩერჩილმა ან ხალხს რა უნდოდა, რომ ჩერჩილს ეთქვა, ოფიციალური ბრიტანეთის პოზიცია ევროპული კავშირისადმი ძალიან ნეგატიური იყო. ბრიტანეთი თავის თავს გლობალურ ძალად აღიქვამდა, რომლის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებიც ამერიკის შეერთებულ შტატებ-

თან და თავის თანამეგობრობასთან (ყოფილ და არსებულ კოლონიებთან) ურთიერთობები იყო. ევროფედერალიზმის იდეა ბრიტანეთისთვის ანათემას წარმოადგენდა, ვინაიდან იგი ამაყობდა განსხვავებული პოლიტიკური ინსტიტუტებითა და კულტურით და თავისი მეორე მსოფლიო ომის შედეგებით. ლონდონში გავრცელებული იყო შეხედულება, რომ გაზიარებული სუვერენიტეტი ბრიტანელი გამარჯვებულებისთვის კი არა, არამედ კონტინენტელი დამარცხებულებისთვის იყო.

შესაბამისად, საბოლოო ჯამში, ბრიტანეთის მთავრობა მხოლოდ *საკონსულტაციო ასამბლეის* დაარსებას დათანხმდა, რომელიც თითქმის უუნარო და მინისტრთა კომიტეტის (ინტერგავერნმენტალისტური ორგანოს) წინაშე იყო პასუხისმგებელი. ეს იყო *ევროპის საბჭოს* ინსტიტუციური საფუძველი, რომელიც ათი სახელმწიფოს (ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბენილუქსის ქვეყნები (ამ ხუთეულს ბრიუსელის ჯგუფს, ბრიუსელის ძალებსაც უწოდებდნენ), დანია, ირლანდია, იტალია, ნორვეგია, შვედეთი) მიერ იქნა ფორმირებული, როდესაც 1949 წლის მაისში ხელი მოეწერა ვესტმინსტერის სტატუტს. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერნესტ ბევინმა საბჭოს ადგილმდებარეობად სტრასბურგი დაასახელა. მას იმედი ჰქონდა, რომ ორგანიზაციის იმ ქალაქში განთავსებით, რომელიც გერმანიასა და საფრანგეთს შორის დიდი ხნის დავის საგანი იყო და ასევე ეროვნული დედაქალაქებისაგან საკმაოდ მოშორებით მდებარეობდა, მისი მარგინალიზაციას შეუწყობდა ხელს.

ასამბლეა პირველად 1949 წლის აგვისტოში შეიკრიბა. ინაუგურაციის სესიაზე ბრიტანელი კონსერვატორების დელეგაციას ჩერჩილი ხელმძღვანელობდა, რომელიც სტრასბურგის ომისგან დაზიანებულ ქალაქის ცენტრში მოედანზე სიტყვით გამოვიდა. ჩერჩილი თავის სტიქიაში იყო: ენერგიული, აღმაფრთოვანებელი და მომაჯადოებელი. თუმცა, ეს იყო მისი, როგორც ევროპული კავშირის მხარდამჭერის კარიერის მწვერვალიც. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი თავმჯდომარეობდა ახლად წამოწყებულ ევროპულ მოძრაობას და მიუხედავად იმისა, რომ კონტინენტზე ინტეგრაციისადმი საზოგადოებრივი

ინტერესი შენარჩუნდა, ევროპის საბჭოს აშკარა ნაკლოვანებებმა შეასუსტა პოლიტიკური მხარდაჭერა მსგავსი ტიპის გრანდიოზული ინიციატივებისადმი.

ევროპული ინტეგრაციის ენთუზიასტებს მაინც ჰქონდათ იმედები, რომ ასამბლეა ლიდერის როლს შეასრულებდა და ფედერალური კავშირის განუყოფელ ორგანოდ იქცეოდა. ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი და ასამბლეის პირველი პრეზიდენტი სპააკის მათი განსახიერება იყო. თუმცა, 1951 წლის დეკემბერში ასამბლეის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომით (იგი გადადგა იმის პროტესტის ნიშნად, რომ მინისტრთა საბჭო ოპოზიციურად იყო განწყობილი ნებისმიერი და ყველა ფედერალური ინიციატივებისადმი) ნათელი მინიშნება გაკეთდა: ევროპის საბჭო ვერ იქნებოდა პოლიტიკური ინტეგრაციის შესაძლო ინსტრუმენტი.

ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივა

ომის შემდეგ ევროპაში რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია ფუნქციონირებდა, რომელთა მიზანი, ევროპის ეკონომიკურად ინტეგრირების ნაცვლად, ეროვნული ეკონომიკების აღდგენა იყო. მათ შორის აღსანიშნავი იყო *ქვანახშირის ევროპული ორგანიზაცია (European Coal Organization), შიდა ცენტრალური ტრანსპორტის ევროპული ორგანიზაცია (European Central Inland Transport Organization), ევროპის საგანგებო ეკონომიკური კომიტეტი (Emergency Economic Committee for Europe)* და *გაეროს დახმარებისა და რეაბილიტაციის ადმინისტრაცია* (ეს უკანასკნელი 1949 წელს დაიხურა). 1947 წლის მაისში ევროპისთვის გაეროს ეკონომიკურმა კომისიამ (*United Nations Economic Commission for Europe*) პირველი სამი ორგანიზაცია შეიერთა. ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ ოფიციალურ პირს იმედი ჰქონდა, რომ ეს ორგანიზაცია ევროპის ეკონომიკური ერთიანობისკენ გადადგმულ ნაბიჯებს მნიშვნელოვნად შეუწყობდნენ ხელს.

ცივი ომის დაწყებამ გაანადგურა ყველანაირი პოტენციალი, რაც ამ ორგანიზაციას ევროპული ინტეგრაციის გაღრმავების პროცესში ჰქონდა. საბჭოთა კავშირი დაინტერესებული იყო კომისიის არსებობით, მაგრამ არ სურდა მისი ისეთ ფორუმად, ორგანოდ გადაქცევა, რომელიც ეკონომიკურ თანამშრომლობას კაპიტალისტურ საფუძველზე უზრუნველყოფდა. აშშ და დასავლეთის სხვა ქვეყნები იძულებულები იყვნენ მათი ფოკუსი სხვა ორგანიზაციებზე გადაეტანათ. მათი ყურადღება მარშალის გეგმამ მიიქცია, რომელსაც, ევროპის ეკონომიკური კომისიისგან განსხვავებით, მისი ეკონომიკური ამბიციების დასაკმაყოფილებელი ფინანსური ინსტრუმენტები გააჩნდა და, როგორც აშშ იმედოვნებდა, შეეძლო ევროპული ინტეგრაციის მხარდაჭერა.

ევროპის აღდგენის პროგრამა (იგივე მარშალის გეგმა) ძალაში 1948 წლის აპრილში შევიდა, როდესაც აშშ-ის მიერ მიღებულ იქნა *საგარეო დახმარების აქტი (Foreign Assistance Act).* აქტის „პოლიტიკის დეკლარაციის" მიხედვით, ევროპის ქვეყნები მარშალის დახმარებას მიიღებდნენ არა ცალ-ცალკე ინიციატივების, არამედ ერთიანი ორგანიზაციის და ერთიანი მოთხოვნის ფარგლებში. თავად ევროპის ქვეყნებს ამ პირობის წინააღმდეგი არაფერი ჰქონდათ. ამიტომ 1947 წელს მათ ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტი (*Committee on European Economic Cooperation*) დააარსეს, 1948 წლის აპრილში კი იგი ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციად - ეეთო (*Organization for European Economic Cooperation - OEEC*) გადაკეთდა. თუმცა, როდესაც მათი ეკონომიკების ერთიან ევროპულ ბაზარში ინტეგრირებაზე დაიწყო საუბრები, მათ მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა იქნა გამოხატული. გაურკვეველ გეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ და მონეტარულ გარემოში, სატარიფო და არასატარიფო ბარიერებისგან მთავრობები მაქსიმალურად მეტი ეროვნული უპირატესობების მიღებას ცდილობდნენ. ომებსშორისი წლების გამოცდილება სულ სხვა რამეზე მიუთითებდა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი რიტორიკა სხვა რამეს გულისხმობდა, მაგრამ როგორც რეალობამ აჩვენა,

1940-იანი წლების ბოლოს ევროპაში პროტექციონიზმს ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული.

ასეთ გარემოში იყო ერთი გამონაკლისიც. ბელგიამ და ლუქსემბურგმა, რომლებმაც 1921 წელს ეკონომიკური კავშირი შექმნეს, თავის ორგანიზაციაში ნიდერლანდებიც მიიღეს და 1944 წელს ბენილუქსის საბაჟო კავშირი ჩამოაყალიბეს. ამ უკანასკნელმა ფუნქციონირება 1948 წელს დაიწყო. თუმცა, ნიდერლანდებში მონეტარული ტრანსაქციების პრობლემისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული არასატარიფო ბარიერების გამო ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების პერსპექტივები შესუსტდა. ამასთან, ბენილუქსი მიჩნეული იყო არა უფრო მჭიდრო ევროპული ინტეგრაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი, არამედ როგორც ომისშემგდომი შესაძლო ეკონომიკური რეცესიისგან და დიდი ქვეყნების პროტექციონისტული ინსტრუმენტებისგან დამცავი მექანიზმი.

საფრანგეთი დაინტერესებული იყო საბაჟო კავშირის ჩამოყალიბებით თავდაპირველად ჯერ იტალიასთან, შემდეგ კი რამდენიმე სხვა სახელმწიფოსთანაც. მას სურდა არა მხოლოდ ევროპული ბაზრების გახსნა, არამედ ასევე გერმანიის ეკონომიკური აღდგენის შეფერხებაც. 1949 წლის მარტში იტალია და საფრანგეთი ნაწილობრივ საბაჟო კავშირზე შეთანხმდნენ. საფრანგეთის იდეას კი, რომ მომხდარიყო ბენილუქსის გაფართოება, სკეპტიკურად უყურებდნენ ბელგიასა და განსაკუთრებით ნიდერლანდებში. მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გერმანიის ეკონომიკასთან, ამიტომ გერმანიის ომისშემდგომი განვითარების შეფერხება მათ ინტერესებში ყველაზე ნაკლებად იყო. ამის გამო, საფრანგეთმა მოგვიანებით უფრო ფართო ევროპული საბაჟო კავშირის წინადადება წარმოადგინა, ამჯერადაც გერმანიის მასში მონაწილეობის გარეშე. ამასთან დაკავშირებით 1947 წლის ნოემბრიდან 1948 წლის დეკემბრამდე ევროპული საბაჟო კავშირის კვლევითი ჯგუფის მიერ ბრიუსელში მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. მასში თოთხმეტი ქვეყანა (მათ შორის, ბრიტანეთიც) მონაწილეობდა. მალე ნათელი გახდა, რომ თითოეული სახელმწიფო, ბაზრების მთლიანად გახსნის ნაცვლად, მისთ-

ვის სასურველ სფეროში უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა, სუვერენიტეტთან დაკავშირებული საკითხები კი ბრიტანეთის საერთოდ გარეთ დარჩენის წინაპირობა იყო. მოგვიანებით, კვლევითი ჯგუფი საბაჟო თანამშრომლობის საბჭოდ გარდაიქმნა. ბოლოს კი, 1949 წლის აპრილში საფრანგეთმა ბენილუქსის ქვეყნებთან და იტალიასთან საბაჟო კავშირის შექმნის წინადადების გამოვიდა (მას ფრიტალუქსი უნდა რქმეოდა). ნიდერლანდების მოთხოვნამ, რომ მასში გერმანიაც ყოფილიყო ჩართული, კიდევ ერთხელ ჩაშალა ინიციატივა.

ეს მცდელობები ნათლად მოწმობს, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია იყო იდეა, რომლის ფრთებშესხმის დრო ჯერ არ იყო დამდგარი.

გრძელ ვადაში, როგორც ერთიანმა ევროპულმა ბაზრის პროგრამამ აჩვენა თითქმის ორმოცი წლის შემდეგ, მარშალის გეგმამ და აშშ-ის სხვა ინიციატივებმა არსებითი გავლენა იქონია ევროპულ ინტეგრაციაზე. აშშ-ის პოლიტიკამ და მარშალის გეგმამ ევროპას ინტეგრირებული და მრავალმხრივი მომავლისკენ უბიძგა; შექმნა მექანიზმები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა აშშ-ის საუკეთესო კომერციული კულტურის, ორგანიზაციის, სოციალური ჩარჩოებისა და ტექნოლოგიის ტრანსფერი; და ხელი შეუწყო ღია და გაერთიანებული საერთაშორისო ბაზრის ჩამოყალიბებას. მარშალის დახმარებამ პირდაპირი გავლენა მოახდინა ევროპისშიდა ვაჭრობის ზრდაზე, დააარსა რა გადახდების ევროპული კავშირი 1950 წელს. ამ უკანასკნელით შესაძლებელი გახდა დავების მრავალმხრივი ჩართულობით დარეგულირება და ვალუტის სრული გადაცვლადობის შემოღება, რომელმაც 1950-iani წლების ბოლოს დაიწყო მოქმედება. აშშ-ის მხარდაჭერით, გადახდების ევროპულმა კავშირმა შესაძლებლობა მისცა წევრ ქვეყნებს ერთმანეთთან მიმართებაში ჰქონოდათ გადაჭარბება ან დეფიციტი იმის შიშის გარეშე, რომ ვეღარ დაიბრუნებდნენ ფინანსებს (ოქროს და დოლარი სახით) ან მოხდებოდა კრედიტების შეჩერება.

მარშალის გეგმამ, ეეთო-მ და გადახდების ევროპულმა კავშირმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სატარიფო და არასა-

ტარიფო ბარიერების მოხსნაში და ამით საზღვრებსშორისი ვაჭრობის განვითარებაში. ამასთანავე, აშშ-ის დაფინანსებულ ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალურ ხელშეკრულებაში (*General Agreement on Tariffs and Trade – GATT - გატტ*) მონაწილეობით ევროპული ქვეყნები გლობალური სავაჭრო ლიბერალიზაციის გრძელ გზას დაადგნენ. სავაჭრო პროტექციონიზმის თანდათანობითმა შესუსტებამ 1950-იანი წლების ბოლოსკენ ევროპულ ეკონომიკურ თანამეგობრობას დაუდო საფუძველი. თუმცა, ეკონომიკური თანამეგობრობის ჩამოყალიბება ვერ მოხდებოდა რომ არა იმ პრობლემასთან გამკლავება, რომელსაც ფუნდამენტური პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო ე.წ. გერმანული პრობლემა.

გერმანულ პრობლემასთან გამკლავება

დასავლეთ ევროპაში პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის დაწყება შეუძლებელი იყო გერმანიის სტატუსთან დაკავშირებული პრობლემის ისე გადაჭრის გარეშე, რომლითაც ყველა მხარე კმაყოფილი იქნებოდა. დასავლელი ლიდერების მთავარი თავსატეხი იყო გერმანიის უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალის იმგვარად რეალიზება, რომ იგი კვლავ ჰეგემონად არ გადაქცეულიყო და ევროპაში კვლავ არ შექმნილიყო ძალთა დისბალანსი. აღნიშნული დილემა მნიშვნელოვანი იყო როგორც აშშ-სთვის, ასევე, გერმანიის მეზობლებისა და თავად გერმანიისთვის. ამერიკას ამ დროისთვის უგულვებელყოფილი ჰქონდა ომის პერიოდის მორგენთაუს გეგმა, რომელის ომის შემდგომ მრავალი წლის განმავლობაში პოლიტიკურად და ეკონომიკურად გერმანიის სრულ განადგურებას ითვალისწინებდა. უკვე 1940-იანი წლების ბოლოსთვის ეკონომიკურად ძლიერი გერმანია აშშ-ის ინტერესებში შედიოდა, განსაკუთრებით, ცივი ომის გაღრმავების კონტექსტში. ერთი სიტყვით, ამერიკის პოზიცია ნათელი და გასაგები იყო: სუსტი გერმანია სუსტ ევროპას ნიშნავდა, სუსტი ევროპა კი - სუსტ ატლანტიკურ ალიანსს.

ომის შემდგომ ბრიტანეთმაც მსგავსი მოტივებით შეიცვალა თავისი დამოკიდებულება გერმანიასთან მიმართებაში. ასევე მოიქცა საფრანგეთიც, თუმცა, არა ისე რადიკალურად, როგორც ბრიტანეთი და აშშ. საფრანგეთი განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდებოდა გერმანიის ხელახალ შეიარაღებას და მისი ინდუსტრიის უკონტროლო და უპირობო გამოცოცხლებას. მოკავშირეებს შორის გერმანიასთან დაკავშირებული პოზიციების განსხვავება ნაწილობრივ გეოგრაფიასთან იყო დაკავშირებული (საფრანგეთი გერმანიასთან გაცილებით ახლოს იყო, ვიდრე ბრიტანეთი ან მითუმეტეს აშშ), ნაწილობრივ კი - ისტორიასთან (ინდუსტრიული ეპოქის დასაწყისიდან მოყოლებული საფრანგეთი გერმანიასთან შედარებით ყოველთვის უფრო სუსტი იყო, გერმანიის ეკონომიკური სიძლიერე კი ყოველთვის იწვევდა ან ხელს უწყობდა თითქმის ერთსაუკუნოვან საფრანგეთ-გერმანიის დაპირისპირებას. ამიტომ გერმანიის საკითხზე განხილვის დაწყებამ გააძლიერა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გერმანიის შეშფოთება. სხვა სიტყვებით, შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის საკითხი საფრანგეთ-გერმანიის ან უფრო მეტიც, საფრანგეთის საკითხი იყო).

ამის საპირისპიროდ, არანაირი კითხვები არ არსებობდა იტალიასთან დაკავშირებით. ომის შემდეგ იტალიასთან მიმართებაში საფრანგეთს უსაფრთხოების ნაკლებობის განცდა არ ჰქონდა. იმის მიუხედავად, რომ გერმანიის მსგავსად იტალიაც XIX საუკუნის ბოლოსკენ გაერთიანდა და მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის წინააღმდეგ იბრძოდა, იტალიის არსებობა საფრანგეთს საფრთხეს არ უქმნიდა. გერმანიასთან და საფრანგეთთან შედარებით, იტალიას შეზღუდული ეკონომიკური პოტენციალი ჰქონდა. ამასთან, იტალიას ტვირთად აწვა უკიდურესად ღარიბი და მჭიდროდ დასახლებული სამხრეთი. თანაც, 1947 წელს საფრანგეთმა და იტალიამ სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

ომისშემდგომი იტალიის უმთავრესი პრობლემა პოლიტიკური არასტაბილურობა იყო, რაც სათავეს შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობებისა და ძლიერი კომუნისტური პარტიის არსე-

ბობისგან იღებდა. იტალიის ქრისტიან დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ალსიდე დე გასპერიმ ჭკვიანურად გამოიყენა ეროვნულ დონეზე კომუნისტების საფრთხე და ამერიკაში მცხოვრები იტალიელი იმიგრანტების გავლენა იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაეზარდა აშშ-ის მხრიდან ეკონომიკური დახმარება. შედეგად, 1948 წლის გადამწყვეტ და მნიშვნელოვან არჩევნებში, ქრისტიან დემოკრატებმა დამაჯერებლად სძლიეს კომუნისტებს.

ომის შემდეგ პერიოდში საფრანგეთი პოლიტიკური ბუნდოვანების წინაშე იდგა. ომისდროინდელმა თავისუფალი საფრანგეთის მოძრაობის ლიდერმა შარლ დე გოლმა გათავისუფლებული საფრანგეთის პირველი მთავრობა ჩამოაყალიბა (რომელმაც 1944 წლის აგვისტოდან 1946 წლის იანვრამდე იარსება). მწვავე შიდა პრობლემების მიუხედავად, დე გოლი დიდი მონდომებით იყო დაინტერესებული საგარეო ურთიერთობებით. მას საფრანგეთი გლობალური ინტერესების მქონე ომში გამარჯვებულ ზესახელმწიფოდ მიაჩნდა. თუმცა, საინტერესოა, რომ საფრანგეთი არ იყო მიწვეული 1945 წლის თებერვლის იალტისა და 1945 წლის ივლის-აგვისტოს პოცდამის კონფერენციებზე, რომლებშიც სამი მოკავშირე ქვეყანა (აშშ, დიდი ბრიტანეთი და საბჭოთა კავშირი) მონაწილეობდა. დე გოლი კრიტიკულად უყურებდა იალტისა და პოცდამის შეთანხმებებს და იცავდა მათ პირობებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი მისთვის სასარგებლოდ მიაჩნდა. მაგალითად, მან არ გაიზიარა ბრიტანეთისა და აშშ-ის მკაფიო აღიარება იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპა საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროს წარმოადგენდა. სამაგიეროდ, დე გოლმა მიიღო პოცდამის გადაწყვეტილება, რომლითაც საფრანგეთს გერმანიის მცირე საოკუპაციო ზონა გადაეცა. დე გოლის რწმენით, საფრანგეთს გერმანიის ნაწილის ოკუპაცია და დანარჩენ სამ მოკავშირე ზესახელმწიფოსთან ერთად ოკუპირებული ქვეყნის მომავლის განსაზღვრის სრული და თანაბარი უფლება ჰქონდა.

თუმცა, დე გოლი არ იყო იმდენად არარეალისტი, რომ ეფიქრა, რომ მოკავშირეები მას თანაბარი პოზიციებიდან დაელაპარაკებოდნენ. დე გოლისთვისაც და სხვებისთვისაც საფრანგეთის ეკონომიკური სისუსტე ნათელი იყო. ამიტომ 1945 წელს დე

გოლმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საფრანგეთის არა მხოლოდ იმ პერიოდის ეკონომიკურ საჭიროებებს, არამედ, ასევე, გრძელვადიანი ეკონომიკური აღდგენის გეგმებსაც. საწყის ეტაპზე საფრანგეთის მოთხოვნილებები დამარცხებული გერმანიის რეპარაციებიდან ნაწილობრივ დაკმაყოფილდებოდა. გრძელ ვადაში კი საფრანგეთის განვითარება დე გოლს გერმანიის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებით წარმოდგინა.

მონეს გეგმა

მაღალი თანამდებობის მქონდა ჟან მონე აქტიურად ლობირებდა საფრანგეთის მოდერნიზაციის ისეთ გეგმას, რომელიც ეკონომიკურ აღდგენასა და გრძელვადიან უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. მან თავისი გეგმით შეძლო დე გოლის მრჩევლებისა და თავად დე გოლის მოხიბლვა. მაგრამ წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, იგი მაინც ფრთხილობდა დე გოლთან ურთიერთობას. დე გოლის მსგავსად, 1940 წლის ივნისში საფრანგეთის სამხედრო ძალების კოლაფსისას მონეც ლონდონში იმყოფებოდა. თუმცა, მონე არ შეუერთდა დე გოლის თავისუფალი საფრანგეთის მოძრაობას და სანაცვლოდ ვაშინგტონში ბრიტანეთის საელჩოს მეშვეობით მოკავშირეთა ეკონომიკურ პოლიტიკაზე მუშაობას შეუდგა. მონე და დე გოლი ხელმეორედ 1943 წელს ალჟირში შეხვდნენ. დე გოლი ამ დროს პოლიტიკურ ბრძოლაში იყო ჩართული და ცდილობდა შეესუსტებინა გენერალი ჰენრი ჟიროს გავლენა, რომელიც თავის მხრივ საფრანგეთის მომავალი მთავრობის ხელმძღვანელად მოიაზრებოდა და რომელიც რუზველტის მხარდაჭერით სარგებლობდა. რუზველტმა, რომელიც მონეს ვაშინგტონიდან იცნობდა, მონეს ალჟირში დე გოლთან შეხვედრისას ჟირეს პოზიციების დაცვა სთხოვა. თუმცა, ალჟირში ჩასვლის შემდეგ, მონემ შეიცვალა პოზიცია და მხარი დაუჭირა დე გოლს, რომელიც თავისუფალი საფრანგეთის მოძრაობის ლიდერობისთვის ცალსახად უფრო კვალიფიციური იყო, ვიდრე უხეში და არადემოკრატიული ჟირო.

წესით, დე გოლი მონეს მადლიერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მადლიერება გენერლის ხასიათში არ იყო. უფრო მეტიც, დე გოლს არ მოსწონდა მონე რამდენიმე მიზეზის გამო, მათ შორის: 1940 წელს მონეს უარი ემსახურა მასთან ლონდონში; მისი საქმიანობა ვაშინგტონში ბრიტანეთის საელჩოში; მისი კონტაქტები აშშ-ის გავლენიან გადაწყვეტილების მიმღებებთან; მონეს კოსმოპოლიტური და ინტერნაციონალური ბუნება. ყველაფრის მიუხედავად, დე გოლი აფასებდა მონეს, როგორც კარგი ეკონომიკური დამგეგმავის უნარებისა და გამოცდილების მქონეს. ამასთან, მონე არ იყო არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, რაც დე გოლისთვის პოზიტიური ნიშანი იყო, ვინაიდან იგი ვერ იტანდა პოლიტიკურ პარტიებს, განსაკუთრებით, მათ, რომლებმაც საფრანგეთის გათავისუფლების შემდეგ კვლავ განაახლეს საქმიანობა. დე გოლს ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნა სურდა. თუმცა, ამ პოლიტიკურმა პარტიებმა სძლიეს დე გოლს და ახალი მეოთხე რესპუბლიკის კონსტიტუციით საპარლამენტო სისტემა ჩამოაყალიბეს. შედეგად, 1946 წლის იანვარში დე გოლი გადადგა. მაგრამ გადადგომამდე მან ჟან მონე დაგეგმარების ეროვნული კომისიის ხელმძღვანელად დანიშნა.

ეკონომიკის ფრანგული დაგეგმარება საერთოდ არ ჰგავდა საბჭოთა კავშირის დაგეგმარებას, მითუმეტეს, რომ მონე არც სოციალისტი იყო და არც კომუნისტი. მონე განასახიერებდა ომისშემდგომ საფრანგეთში ჩამოყალიბებულ კონსენსუსს, რომ კაპიტალიზმი ყველაზე ეფექტური იქნებოდა მაშინ, თუ მთავრობა საკვანძო ეკონომიკურ აქტივობებს ზოგად მიმართულებებს მისცემდა. მონეს გეგმისგან სრულიად განსხვავებულმა მარშალის გეგმის ამოქმედებამ აჩვენა, რომ ვაშინგტონმაც გაიზიარა იდეა, რომლის მიხედვითაც მხოლოდ საბაზრო მექანიზმები ვერ იქნებოდა საკმარისი ევროპული ეკონომიკის სრული დატვირთვით ამოქმედებისთვის.

ერთი შეხედვით, მარშალის გეგმა ხელს უწყობდა მონეს გეგმის სტრატეგიას, ვინაიდან მისით მოხდებოდა საფრანგეთის ინდუსტრიული მოდერნიზაციის ინვესტირება. თუმცა, ამავე დროს, იგი საფრთხე იყო როგორც მონეს გეგმის, ასევე, ზოგადად საფრანგეთის უსაფრთხოებისთვის. მაშინ, როდესაც მარშალის გეგმა გერმანიის ეკონომიკურ აღდგენას მთლიანი ევროპის ეკონომიკური აღდგენის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებდა, მონეს გეგმა საფრანგეთის ეკონომიკურ განვითარებას გერმანიის ეკონომიკური სისუსტის ხარჯზე ითვალისწინებდა. ეს უფრო მეტად ნათელი იყო ფოლადისა და ქვანახშირის სექტორებში. ისტორიულად, საფრანგეთს მუდმივად მზა ქვანახშირის დეფიციტი ჰქონდა, რაც ხელს უშლიდა მისი ფოლადის წარმოების განვითარებას. სამაგიეროდ, გერმანიას ჰქონდა ქვანახშირის სიჭარბე, განსაკუთრებით, ქვეყნის დასავლეთით, რურის რეგიონში. მონეს წარმოდგენით, საფრანგეთის ფოლადის ინდუსტრიის მოდერნიზება შესაძლებელი იქნებოდა ეკონომიკურად განადგურებული გერმანიის რურის ქვანახშირის ულიმიტო რაოდენობით მიღებითა და ომამდე გერმანიის მიერ დაკავებული ბაზრების ათვისებით. ამასთან, გერმანიის ომამდელი და ომისდროინდელი სამხედრო-ინდუსტრიული სისტემის ბუნების გამო, რური საფრანგეთში მილიტარიზმისა და ნაციზმის სინონიმი იყო. შესაბამისად, რურის გაკონტროლება საფრანგეთის საკვანძო ინტერესი იყო ეკონომიკურად და სტრატეგიულად.

აშშ-მა, მიანიშნა რა მარშალის გეგმით, რომ მას გერმანიის ეკონომიკური აღდგენა სურდა, საფრთხე შეუქმნა რურთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ფრანგულ პოლიტიკას. თუმცა, აშშ ითვალისწინებდა საფრანგეთის პოზიციასაც და სურდა ისეთი გამოსავალი მოეძებნა, რომელიც ყველა მხარისთვის მისაღები იქნებოდა. როგორც მარშალის გეგმის პირობები მიუთითებდა, ამერიკელებს ასეთად ევროპული ინტეგრაცია წარმოედგინათ. მაგრამ აშშ-ს უნდოდა, რომ ეკონომიკური და, საბოლოო ჯამში, პოლიტიკური ინტეგრაციის კონკრეტული ინიციატივა

თავად ევროპელებს წარმოედგინათ და საფრანგეთს გერმანული საკითხის მოგვარებაში წამყვანი როლი ეთამაშა.

სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო გერმანიასთან მიმართებაში საფრანგეთის რეპრესიული პოლიტიკიდან დაახლოების პოლიტიკად გარდაქმნის პროცესი. რამდენიმე ანგარიშგასაწევმა პიროვნებამ, მათ შორის, მონეს ერთ-ერთმა დამგეგმავმა რობერტ მარჯოლინმა, გააცნობიერა, რომ ევროპის აღდგენა წარმოუდგენელი იყო ძლიერი ინდუსტრიული გერმანიის და ევროპულ თანამშრომლობაში მისი ჩართვის გარეშე. თუმცა, ასეთი ადამიანები ჯერ კიდევ ერთეულები იყვნენ. საფრანგეთის მთავრობა და ფრანგთა უმეტესობა არ აპირებდა დათმობას. ამიტომ საფრანგეთმა უარი განაცხადა თავისი საოკუპაციო ზონის ბრიტანელებისა და აშშ-ის ნაწილებთან გაერთიანებასა და გერმანიის ინდუსტრიული წარმოების გარკვეული რაოდენობის გაზრდაზე. ფრანგების წინააღმდეგობის მიუხედავად, ბრიტანეთმა და აშშ-მა თავიანთი საოკუპაციო ზონებიც გააერთიანეს და გერმანიის წარმოებაც გაზარდეს.

სანამ კომუნისტები მთავრობაში ჯერ კიდევ იყვნენ, საფრანგეთს არ შეეძლო თავის დასავლელ მოკავშირეებთან მჭიდროდ ეთანამშრომლა. 1947 წლის მაისში კომუნისტების მოცილებით (რაც ცივი ომის გაღრმავების გარდაუვალი შედეგი იყო), საფრანგეთის მთავრობას აშშ-თან ურთიერთობისა და მანევრირების უფრო მეტი თავისუფლება მიეცა, სანაცვლოდ კი, ამან საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობა შეუძლებელი გახადა. ცივი ომის ესკალაციის პარალელურად, აშშ-მა გააააქტიურა თავისი წნეხი საფრანგეთზე, რათა ამ უკანასკნელს შეერბილებინა თავისი პოლიტიკა გერმანიასთან მიმართებაში და ამით გერმანიის ეკონომიკური (და საბოლოო ჯამში, სამხედრო) პოტენციალი დასავლეთის ქოლგის ქვეშ მოქცეულიყო.

საფრანგეთი თანდათან მოლბა მას შემდეგ, რაც გერმანია პოლიტიკურად ფეხზე წამოდგა იმაზე გაცილებით ადრე, ვიდრე მოკავშირეები ელოდნენ. გერმანიის სოციალისტური და კომუნისტური პარტიები, რომლებიც 1933 წელს ნაცისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ გაქრნენ, კვლავ წელში

გაიმართნენ. პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდა ქრისტიან დემოკრატიული პარტიაც. აღმოსავლეთში კომუნისტები იყვნენ უმრავლესობაში, დასავლეთში კი სოციალისტებს და ქრისტიან დემოკრატებს უფრო მეტი გავლენა ჰქონდათ. კონრად ადენაუერი, რომელიც ძველი კონსერვატორი და ანტი-ნაცისტი იყო, ქრისტიან დემოკრატების ლიდერი გახდა. სოციალ დემოკრატიულ პარტიას კი სათავეში შეურიგებელი სოციალისტი და მგზნებარე ნაციონალისტი (მაგრამ ნაციონალური სოციალიზმის მოწინააღმდეგე) კურტ შუმახერი ჩაუდგა.

1948 წლის ივნისის ლონდონის შეთანხმებით, თავისი საოკუპაციო ზონის ბრიტანეთისა და აშშ-ის ნაწილებთან გაერთიანებით, საფრანგეთი ბოლოსდაბოლოს დათანხმდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩამოყალიბებას. საფრანგეთი დაჟინებით ითხოვდა გერმანიაში ფედერალური და დეცენტრალიზებული სისტემის დაფუძნებას და სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის ქვანახშირით მდიდარ რეგიონ ზაარზე კონტროლის შენარჩუნებას. რურის საერთაშორისო ხელისუფლების დაარსებით კი, რომელიც ქვანახშირის წარმოებასა და განაწილებას უზედამხედველებდა, საფრანგეთი იმედოვნებდა, რომ შეამცირებდა რურზე გერმანიის კონტროლის ხარისხს. ეს მოთხოვნები და პირობები გაწერილ იქნა 1949 წლის აპრილის საოკუპაციო სტატუტში, რომლითაც დარეგულირდა გერმანიასა და დასავლელ მოკავშირეებს შორის ურთიერთობები.

ლონდონის შეთანხმების, საოკუპაციო სტატუტისა და საბაზისო კანონის (კონსტიტუციის) საფუძველზე, რომელიც გერმანიის რეგიონული წარმომადგენლების მიერ იქნა მიღებული, 1949 წლის მაისში ფედერალური რესპუბლიკა დაფუძნდა. რამდენიმე კვირით ადრე ჩატარებული არჩევნების გათვალისწინებით კი, პარლამენტის ქვედა პალატამ (ბუნდესტაგმა) კანცლერად ადენაუერი აირჩია. ქრისტიან დემოკრატებმა და პატარა ლიბერალურმა პარტიამ დასავლეთ გერმანიის პირველი მთავრობა ჩამოაყალიბეს. კომუნისტებმა კი აღმოსავლეთ გერმანიაში ძალაუფლების მონოპოლიზება მოახდინეს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა დააარსეს.

დასავლეთ გერმანიის სუვერენიტეტი შეზღუდული დარჩა, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის სფეროებში. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ ადენაუერი სუვერენიტეტის ხარისხის მაქსიმალურად გაზრდას ცდილობდა. იგი განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა რურის საერთაშორისო ხელისუფლებას, რომელიც არაეფექტურობის მიუხედავად, გერმანიის ეკონომიკური დაპყრობისა და დამოკიდებულების სიმბოლოს წარმოადგენდა. რურის საერთაშორისო ხელისუფლების უფუნქციობამ საფრანგეთში იმაზე მეტი უკმაყოფილება გამოიწვია, ვიდრე მისმა არსებობამ გერმანიაში. ფრანგები ნელ-ნელა რწმუნდებოდნენ, რომ მათი პოლიტიკა რურთან მიმართებაში გამოუსადეგარი იყო.

გარდაუვალის აღიარება

აშშ განაგრძობდა საფრანგეთზე ზეწოლას იმ მოთხოვნით, რომ პარიზს წარმოედგინა ისეთი სქემა, რომელიც დაამშვიდებდა საფრანგეთს რურთან დაკავშირებით და ამავე დროს ხელს არ შეუშლიდა გერმანიის ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეაბილიტაციას. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა ახალი სახელმწიფო მდივნის დინ აჩინსონის ხელისუფლებაში მოსვლით. აჩინსონმა თავის ფრანგ კოლეგას რობერტ შუმანს რაიმე ახალი ინიციატივის წარდგენის ბოლო ვადად 1950 წლის მაისი, ლონდონში მოკავშირეთა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა დაუთქვა.

მაშინ როდესაც აშშ და საფრანგეთი გერმანიის პრობლემის მოგვარების საქმეში წინ მიიწევდნენ, ბრიტანეთი პროცესიდან დისტანცირებას ახდენდა. ეეთო-სა და ევროპის საბჭოში ბრიტანეთის საქციელმა კონტინენტური ევროპის წარმომადგენლები დაარწმუნა იმაში, რომ ბრიტანეთი ევროპული ინტეგრაციის პროცესში (და ამით გერმანული პრობლემის გადაჭრაში) წვლილის შეტანით დაინტერესებული არ იყო. ლეიბორისტული პარტიის 1948 წლის პამფლეტი ცხადად გადმოსცემდა ბრიტანეთის პრაგმატული საგარეო პოლიტიკის მიდგომას: ბრიტანეთის კონტინენტურ

მეზობლებს თავად უნდა ეზრუნათ თავიანთ პრობლემებზე. თუმცა, ბრიტანეთის არმონაწილეობა ევროპელების უმრავლესობისთვის წარმოუდგენელი იყო. ბრიტანეთი თავისი ომისშემდგომი ძალაუფლებისა და პრესტიჟის პიკზე იყო, მისი ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერე კი ევროპული (თუმცა, არა ამერიკული და საბჭოური) სტანდარტებით ანგარიშგასაწევი.

1949 წლის აპრილის მოვლენამ საშუალება მისცა ევროპელებს, ემოქმედათ ბრიტანეთის გარეშე. კერძოდ, ვაშინგტონში ხელი მოეწერა ჩრდილო ატლანტიკურ ხელშეკრულებას. როგორც ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის საკონტრაქტო საფუძველი, ვაშინგტონის ხელშეკრულებამ ცალსახად გამოხატა დასავლეთ ევროპის თავდაცვისადმი აშშ-ის ვალდებულება. თავის მხრივ, დასავლეთ ევროპის თავდაცვა ამ დრომდე 1947 წლის მარტის ბრიუსელის პაქტს ეფუძნებოდა. მისი მონაწილეები იყვნენ ბრიტანეთი, საფრანგეთი და ბენილუქსის ქვეყნები, რომლებიც მეტწილად ბრიტანეთის სამხედრო შესაძლებლობების იმედზე იყვნენ. ბრიუსელის პაქტი თავის დროზე შექმნილი იყო იმისთვის, რომ თავი დაეცვათ რევანშისტული გერმანიისგან. თუმცა, ცივი ომის გაღრმავებასთან ერთად, გერმანია ჩაანაცვლა საბჭოთა კავშირმა, როგორც უსაფრთხოების უფრო მნიშვნელოვანმა საფრთხემ, ბრიუსელის აქტი კი - ნატომ, როგორც უფრო ეფექტურმა სამხედრო ალიანსმა. აღნიშნული ცვლილების შემდეგ, ევროპელები ნაკლებად გახდნენ დამოკიდებულები ბრიტანეთზე. 1950 წლის ბოლომდე ნატოს ორგანიზაციული სტრუქტურა გამოკვეთილი არ ყოფილა, თუმცა, გერმანიისა და რუსეთის წინააღმდეგ საფრანგეთს ჩრდილოეთ ატლანტიკურმა ხელშეკრულებამ უფრო მეტი უსაფრთხოება მიანიჭა, ვიდრე ბრიუსელის პაქტმა. ამიტომ დიპლომატიური ინიციატივების წარდგენისას იგი უფრო თავდაჯერებული და თამამი გახდა და აღარ ეშინოდა ბრიტანეთის რეაქციის.

ამის მიუხედავად, პოლიტიკური სიტუაცია საფრანგეთში მაინც არ იყო მომწიფებული სერიოზული საგარეო პოლიტიკური ინიციატივებისთვის. ქვეყანა მუდმივი ცვლილებების პროცესში იყო. მთავრობები და პრემიერ-მინისტრები ხშირად იცვლე-

ბოდნენ. მაგრამ მეოთხე რესპუბლიკის ხანგრძლივობის მცირე პერიოდის (1946-1958) მანძილზე მხოლოდ ორ პირს ეკავა საგარეო მინისტრის პოსტი: ჟორჟ ბიდოსა და რობერტ შუმანს. ბიდო ასოცირებული იყო გერმანიისადმი წინააღმდეგობის, შუმანი კი გერმანიასთან შერიგების პოლიტიკასთან. როგორც დე გოლის საგარეო საქმეთა მინისტრი უშუალოდ ომის შემდეგ, ბიდო იძულებული იყო გერმანიისადმი მკაცრი პოლიტიკა გაეტარებინა. თუმცა, დე გოლის წასვლის შემდეგაც, რამდენიმე წლის განმავლობაში საზოგადოებრივი განწყობები და სახელმწიფო პოზიცია მას პოლიტიკის შერბილების საშუალებას არ აძლევდა. მდგომარეობის შეცვლა 1948 წლის ბოლოდან დაიწყო, მაგრამ ამ დროს მისი თანამდებობა უკვე შუმანმა დაიკავა, რომელიც გერმანიასთან უკეთეს ურთიერთობებსა და ევროპულ ერთიანობას უჭერდა მხარს. ბიდოსგან განსხვავებით, შუმანი მალე გახდა არა მხოლოდ ფრანგულ-გერმანული დაახლოების, არამედ ფრანგულ-გერმანული შერიგების სიმბოლო.

იყო რა კათოლიკე, წარმოშობით ლოტარინგიის სადავო ტერიტორიიდან, გერმანული აქცენტით საუბრობდა ფრანგულს, ფრანგული აქცენტის გარეშე კი - გერმანულს, ფრანგულ-გერმანული თაობათა მტრობის შემდეგ შუმანი ფრანგულ-გერმანულ მეგობრობას განასახიერებდა. მისდა საბედნიეროდ, გერმანიასთან მიმართებაში ფრანგული პოლიტიკის გადახედვამ საშუალება მისცა შუმანს, თავისი პიროვნული მონაცემები და პოლიტიკური პრეფერენციები ერთმანეთთან შეეხამებინა და საკუთარი სახელი მიეცა დეკლარაციისთვის, რომელიც საფრანგეთის მხრიდან რადიკალურად ახალი დასაწყისის სიმბოლოს წარმოადგენდა. დეკლარაცია შეიცავდა წინადადებას, რომელიც ქვანახშირისა და ფოლადის სექტორებში სუპრანაციონალური უმაღლესი ხელისუფლების მეშვეობით სუვერენიტეტის დათმობას ითვალისწინებდა. შედეგად, ჰარმონიულად დაკმაყოფილდებოდა აშშ-ის, გერმანიისა და საფრანგეთის ინტერესები და ამავე დროს, თავიდან იქნებოდა არიდებული პოლიტიკური კავშირი.

შუმანის დეკლარაციის საჯაროდ გამოცხადება 1950 წლის 9 მაისს საჩქაროდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში შედგა. შუმანმა წარადგინა როგორც რურის პრობლემის კონკრეტული გადაჭრის გზა (ფოლადისა და ქვანახშირის სუპრანაციონალური ორგანიზაცია), ასევე, გერმანიის საკითხის ზოგადი გამოსავალი (თანასწორობა და არადისკრიმინაციულობა ევროპული კავშირის ფარგლებში). ასეთი მიდგომა მოიცავდა როგორც ეკონომიკურ, ასევე, პოლიტიკურ და სოციალურ მიზნებს. შუმანმა ისინი ევროპული ინტეგრაციის უფრო ფართო მიზნებს დაუკავშირა და მისივე სიტყვებით, ფოლადისა და ქვანახშირის გაზიარებამ „პირველი კონკრეტული საფუძველი ჩაუყარა ევროპულ ფედერაციას, რაც ასე აუცილებელი იყო მშვიდობის შენარჩუნებისთვის“.

დეკლარაციის შექმნის პროცესი საკმაოდ დრამატული აღმოჩნდა. როგორც მონე აღნიშნავდა თავის მემუარებში, მონემ აღნიშნული იდეა 1950 წლის აპრილში ალპებში არდადეგებზე სეირნობისას განავითარა. პარიზში დაბრუნების შემდეგ, მან თავის ოფისში რამდენიმე ადამიანს დეტალების დამუშავება დაავალა. რამდენიმე ვერსიის გადახედვის შემდეგ, მან საბოლოო ვარიანტი ჯერ პრემიერ მინისტრ ბიდოს გაუგზავნა (რომელმაც არც კი უპასუხა), შემდეგ კი საგარეო საქმეთა მინისტრ შუმანს (რომელმაც უპასუხა). შუამავლის მეშვეობით, მონე ადენაუერსაც დაუკავშირდა და მისგან პოზიტიური გამოხმაურება მიიღო. ადენაუერის პოზიციით გამხნევებულმა შუმანმა ინიციატივა ცნობილი პრესკონფერენციიდან რამდენიმე საათით ადრე საკუთარ კაბინეტში დაჩქარებულად გაიარა.

ზოგიერთი ისტორიკოსი გაოცებული იყო შუმანის სითამამით, რომელმაც წინადადება საკუთარ სამინისტროში არც კი შეათანხმა, გეგმა ზედმეტად საიდუმლო ვითარებაში დაამუშავა, საკუთარ კაბინეტს მოკლედ გააცნო და საფრანგეთის პარტნიორებს გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე შეატყობინა. მოგვიანებით სხვა ისტორიკოსები (განსაკუთრებით, ალან მილ-

ვორდი) წერდნენ, რომ მონე ნამდვილად იყო შორსმჭვრეტელი და მეოცნებე, მაგრამ მას შემოთავაზებული თანამეგობრობა არაფრიდან არ მოუგონებია. ფოლადისა და ქვანახშირის სფეროში რაიმე ტიპის ასოციაციის იდეა წლების მანძილზე ტივტივებდა საფრანგეთისა და გერმანიის სამთავრობო და კერძო სტრუქტურებში. 1949-1950 წლებში საფრანგეთზე გაძლიერებული წნეხის პირობებში კი მონე უფრო ჭკვიანი და სწრაფი აღმოჩნდა: უმაღლესი ხელისუფლება, როგორც სექტორული ინტეგრაციის სუპრანაციონალური ინსტრუმენტი, ნამდვილად ახალი და დროული აღმოჩნდა. ამასთან, მონე მუდმივ კონტაქტზე იყო საფრანგეთში აშშ-ის უმაღლეს წარმომადგენლებთან. მან იცოდა, თუ როგორი მონდომებით სურდა ამერიკას, რომ პარიზს ახალი ინიციატივა წარმოედგინა. ყველაფერთან ერთად, მონეს ადრეული გეგმა უკვე საფრთხის წინაშე იდგა: საფრანგეთის ეკონომიკური მოდერნიზაცია ვერ განხორციელდებოდა რურის პრობლემის გადაჭრის გარეშე. „ინტერნაციონალიზაციამ" (რურის საერთაშორისო ხელისუფლების გზით საფრანგეთის მიერ კონტროლის შენარჩუნებამ) მარცხი განიცადა, „ევროპეიზაციას" კი შეიძლება წარმატება მოეტანა. ასე რომ, საფრანგეთის პოლიტიკური ვარიანტები შეზღუდული იყო.

ამ პირობებში მონე აღმოჩნდა საჭირო პიროვნება (პროფესიონალი და ამერიკელების ახლო მეგობარი), საჭირო ადგილზე (დაგეგმარების ეროვნული კომისიის ხელმძღვანელი) და საჭირო დროს (როდესაც საფრანგეთს გერმანიის აღდგენის მისაღები პირობები სჭირდებოდა). შუმანის დეკლარაციით, მან წარმოადგინა ყველასთვის მისაღები გამოსავალი და ამავე დროს, თავიც გადაირჩინა. სხვა სიტყვებით, მონეს გეგმა იხსნა არა მხოლოდ მარშალის გეგმამ, არამედ, შუმანის გეგმამაც.

შუმანის დეკლარაციით, უმაღლესი ხელისუფლება ფრანგული დაგეგმარების ოფისის საერთაშორისო ვერსია იქნებოდა. ისევე როგორც დაგეგმარების ოფისი იყო ტექნოკრატებით დაკომპლექტებული და სამინისტროებისგან დამოუკიდებლად მოქმედება შეეძლო, ასევე იქნებოდა უმაღლესი ხელისუფლება

ტექნოკრატებისგან შემდგარი სტრუქტურა, რომელიც წევრი ქვეყნების მთავრობებისგან ავტონომიურად იმუშავებდა.

მიუხედავად იმისა, რომ გეგმა მონემ შეიმუშავა, მთავარი პოლიტიკური რისკი სწორედ შუმანმა გასწია. საფრანგეთის მთავრობის წევრები ჯერ კიდევ ფრთხილობდნენ გერმანიასთან მიმართებაში. შუმანმა კი გაბედულად წარადგინა აღნიშნული წინადადება როგორც კაბინეტის წევრებთან, ასევე, საზოგადოებაში პრესკონფერენციის მეშვეობით. მთავრობის წევრები მხოლოდ მაშინ შეეგუვნენ ამ იდეას, როდესაც პრესაში მას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. ასე რომ, ხშირად ამბობენ, რომ მონე იმსახურებდა იმას, რომ დეკლარაციას მისი სახელი ჰქონოდა, თუმცა, დეკლარაციის სახელი ზუსტად მიუთითებდა იმას, თუ ვინ აიღო თავის თავზე დეკლარაციის პოლიტიკური ვალდებულებები და რისკები.

ბრიტანეთისთვის წინასწარ საერთოდ არ უცნობებიათ დეკლარაციის შესახებ, ვინაიდან შუმანი შიშობდა, რომ ბრიტანეთი კვლავ ხელს შეუშლიდა მის წამოწყებას. ამიტომ გასაგებია, რომ დიდი ბრიტანეთი ამის გამო გაცოფებული იყო. სავარაუდოდ, აშშ-ის ინფორმირება 7 მაისს მოხდა, როდესაც აჩინსონი ლონდონის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრამდე ჯერ პარიზში ჩავიდა. მონემ საქმის კურსში ჩააყენა როგორც ამერიკელი ვიზიტორები, ასევე, აშშ-ის უმაღლესი კომისარი ბონში და მისი მეგობარი ჯონ მაკკლოი და აცნობა მათ, რომ მისი ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი ინიციატივა განიხილებოდა. მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ შუმანი საერთაშორისო კარტელს არ სთავაზობდა, აჩინსონი კმაყოფილი დარჩა დეკლარაციით. მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივის მასშტაბები არ იყო ისეთი, როგორსაც ამერიკა ისურვებდა, ვაშინგტონმა მაშინვე გაუსვა ხაზი დეკლარაციის პოლიტიკურ მნიშვნელობას.

ადენაუერის პოზიციაც დადებითი იყო. მას გერმანიის საკითხის მოგვარება ისევე მონდომებით სურდა, როგორც მის პარტნიორებს. ოკუპაციის სტატუტითა და რურის საერთაშორისო ხელისუფლებით გაღიზიანებულმა ადენაუერმა დიდი სიამოვნებით მიიღო თანასწორობისა და არადისკრიმინაციის

პრინციპებზე დაფუძნებული ინიციატივა. შუმანის დეკლარაციის პირობების შესრულება ადენაუერის ვესტპოლიტიკის (დასავლური პოლიტიკის) ძირითად ელემენტად იქცა, რომელიც თავის მხრივ, გერმანიის სუვერენიტეტის მაქსიმიზაციას, ატლანტიკურ სივრცეში გერმანიის ინტეგრაციასა და საფრანგეთთან დაახლოებას ითვალისწინებდა. ერთი სიტყვით, შუმანის დეკლარაცია ადენაუერის წისქვილზეც ასხავდა წყალს (მისთვის გაზიარებული სუვერენიტეტი უკეთესი ვარიანტი იყო, ვიდრე შეზღუდული სუვერენიტეტი).

შუმანის დეკლარაცია იმ დროს გაცხადდა, როდესაც ადენაუერისა და საფრანგეთის ურთიერთობები დაძაბულობის ზღვარზე იყო. 1950 წლის მარტში საფრანგეთის მთავრობასა და საფრანგეთის მიერ მხარდაჭერილ გერმანიის ყოფილი ტერიტორიის ზაარის მთავრობას შორის ხელმოწერილი კონვენციით საფრანგეთმა ზაარის ვირტუალური ანექსია მოახდინა, რამაც უკიდურესად გაართულა მდგომარეობა და გერმანიაში ნეგატიური განწყობები გააღვივა. შუმანის მიერ წინასწარ დაგეგმილი კეთილი ნების გამომხატველი ვიზიტი ბონში 1950 წლის თებერვალში მწარე ნოტაზე დასრულდა, როდესაც ადენაუერმა სასტიკად გააკრიტიკა საფრანგეთის პოლიტიკა ზაართან მიმართებაში.

გერმანიაში ადენაუერს ხშირად აკრიტიკებდნენ და ადანაშაულებდნენ იმაში, რომ იგი მთლიანად იყო დამოკიდებული ყოფილ საოკუპაციო ძალებზე. ოპოზიციური სოციალისტური პარტიის ლიდერი შუმახერი ადენაუერს „მოკავშირეთა კანცლერს“ უწოდებდა. მაგრამ განვლილი თვეების მანძილზე რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით მოკავშირეებთან შეწინააღმდეგების შემდეგ, ადენაუერი ნაკლებად მოწყვლადი გახდა ასეთი ბრალდებების მიმართ. თუმცა, შუმანის დეკლარაცია მაინც ყველაზე მნიშვნელოვან შიდა პოლიტიკურ საკითხად იქცა. სოციალისტებს იდეოლოგიური მიზეზებით არ მოსწონდათ შემოთავაზებული ფოლადისა და ქვანახშირის ორგანიზაცია და ფიქრობდნენ, რომ იგი სამუდამოდ გახლეჩდა გერმანიას. ადენაუერი აღიარებდა, რომ დასავლეთთან დაახლოება არ შეესაბამებოდა აღმოსავლეთ გერმანიასთან გახსნილობის პოლიტიკას, მაგრამ

ირწმუნებოდა, რომ ევროპული ინტეგრაცია მათ საბოლოო ჯამში გერმანიის გაერთიანებამდე მიიყვანდა, ვინაიდან ეკონომიკურად სუსტი აღმოსავლეთ გერმანია ბოლოსდაბოლოს გადაიხრებოდა ეკონომიკურად ძლიერი დასავლეთ გერმანიისკენ.

შუმანის დეკლარაცია ამჟამად ასოცირებულია ფრანგულ-გერმანულ ურთიერთობებსა და ევროპის თანამედროვე ისტორიაში გარდამტეხ მომენტთან. ისინი, ვინც თავის დროზე ისმენდნენ შუმანის სიტყვებს, ვერ წარმოიდგენდნენ, თუ რა რადიკალურად განსხვავებულ შედეგებს მოიტანდა მისი გადაწყვეტილება. მაგრამ ყველა ხვდებოდა, რომ რაღაც ახალის სუნი ტრიალებდა ჰაერში. ამჯერად გერმანელი და ფრანგი ლიდერები ტალღის ერთ მხარეს იდგნენ, საზოგადოებრივი აზრი მათ მხარეს იყო, აშშ კი მტკიცედ უმაგრებდა მათ ზურგს. თუმცა, ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის გზით შუმანის გეგმის რეალიზება მათ ჯერ კიდევ ბევრ გამოწვევას უქადდა.

თავი 2

1950-იანი წლები: თანამეგობრობების ევროპა

ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობა (ESCS)

შუმანის დეკლარაციის მიხედვით, შეთავაზებული ფოლადისა და ქვანახშირის თანამეგობრობაში წევრობა შესაძლებელი იქნებოდა სხვა ევროპული ქვეყნებისთვისაც. თუმცა, ამ პერიოდისთვის არც ისე ბევრ ქვეყანას შეეძლო მასში მონაწილეობა: ცივი ომის გამო, აღმოსავლეთ ევროპა გამოთიშული იყო ამ პროცესებიდან; 1940-იანი წლების ბოლოს სკანდინავიურმა ქვეყნებმა უარი განაცხადეს სუპრანაციონალიზმზე; ესპანეთი კი იზოლაციაში იმყოფებოდა იმიტომ, რომ გენერალი ფრანცისკო ფრანკო მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერს მხარს უჭერდა. შესაბამისად, ეს შეთავაზება ძალაში იყო სახელმწიფოთა მხოლოდ პატარა ჯგუფისთვის (ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და იტალია), რომლებიც ეკონომიკური და სტრატეგიული მიზეზებით მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულები საფრანგეთთან და გერმანიასთან. იტალიის პრემიერ-მინისტრმა ალსიდე დე გასპერიმ აქტიურად დაუჭირა მხარი ამ ინიციატივას არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თავგადაკლული ევროფედერალისტი იყო, არამედ იმის გამოც, რომ მას შესაძლებლობა ექნებოდა, გავლენიანი იტალიელი კომუნისტების წინააღმდეგ თავისი მთავრობის პოზიციები გაეძლიერებინა. ამ წინადადებას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ბენილუქსის ქვეყნების პოლიტიკოსთა უმრავლესობა (ბელგიელი პოლ-ჰენრი სპააკისა და ლუქსემბურგელი ჯოზეფ ბეხის გარდა) მაინც სკეპტიკურად იყო განწყობილი ევროფედერალიზმისადმი. თუმცა, მათ კარგად ესმოდათ, რომ ფრანგულ-გერმანული ეკონომიკური ორგანიზაციის გარეთ დარჩენით მათი ქვეყნები ძალიან ბევრს დაკარგავდნენ.

შეთავაზება ღია იყო ბრიტანეთისთვისაც. რობერტ შუმანმა თავისი დეკლარაცია ლონდონთან კონსულტაციის გარეშე ჩამოაყალიბა, მაგრამ იგი მაინც იმედოვნებდა, რომ ბრიტანეთი დაარღვევდა ტრადიციას და ევროპულ საქმეებში წამყვან როლს ითამაშებდა. სხვა პოტენციურ ქვეყნებსაც ამის სურვილი ჰქონდათ. განსაკუთრებით, ბენილუქსის სახელმწიფოებს უნდოდათ ბრიტანეთის წევრობა, ვინაიდან ამით საფრანგეთისა და გერმანიის დაბალანსებას შეძლებდნენ. თუმცა, ბრიტანეთი არ იყო წევრობით დაინტერესებული. ამის სანაცვლოდ, შუმანის დეკლარაციიდან ერთ თვეში, ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაციის შედარებით ლიმიტირებული, შეზღუდული წინადადებები წარმოადგინა (ე.წ. სტიკერის, პელასა და პეჩის გეგმები). მონეს დაჟინებული მოთხოვნა, რომ მოლაპარაკებების დაწყებამდე მონაწილე ქვეყნებს გაეზიარებინათ სუპრანაციონალიზმის პრინციპი, თავიდანვე გამორიცხავდა ბრიტანეთის ჩართულობას.

სუვერენიტეტთან დაკავშირებით ბრიტანეთის შიშები გასაგები იყო, მაგრამ გაზვიადებული. ნიდერლანდების მაგალითი ამ მხრივ ნათელი არგუმენტი შეიძლება იყოს. იგი ბრიტანეთივით სკეპტიკურად იყო განწყობილი სუპრანაციონალიზმისადმი, თუმცა, ჰოლანდია მაინც დათანხმდა მონეს მოთხოვნას. მისი ზომის მიუხედავად, მოლაპარაკებების განმავლობაში მან წარმატებით მოახერხა მონეს სუპრანაციონალიზმის საწყისი იდეის შესუსტება. და როგორც მოლაპარაკებების შედეგმა ცხადყო, სუპრანაციონალიზმი პრაქტიკაში აღარ იყო ისეთი „საშიში“, როგორც ერთი შეხედვით თავიდან ჩანდა. ამასთან, როგორც ბრიტანელი პოლიტიკოსი და ევროპული კომისიის წევრი ედმუნდ დელი მოგვიანებით აღნიშნავდა, ბრიტანეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება არ გამორიცხავდა მოლაპარაკებებში მის მონაწილეობას. ბრიტანეთს შეეძლო ყოფილიყო გლობალური ძალა ყოფილ კოლონიებთან თანამეგობრობისა და

სტერლინგის სივრცის ცენტრში და მაინც გაეზიარებინა შუმანის გეგმა. დელის აზრით, ბრიტანეთმა არაადეკვატურად, არასათანადოდ შეაფასა შეთავაზებული გეგმა. მისივე მტკიცებით, ეტლის მთავრობის (კერძოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მინისტრ ბევინის) პოზიცია, საბოლოო ჯამში, განპირობებული იყო უფრო მეტად საფრანგეთთან კონსულტაციების ნაკლებობით, ვიდრე ეროვნული ინტერესების დაცვის მოტივით.

დელის რწმენით, შუმანის გეგმის უარყოფა ბრიტანეთს ევროპაში ლიდერის როლის დაკარგვად დაუჯდა. მართლაც, ბრიტანეთმა უკანა რიგები დაიკავა. ამით კი საფრანგეთმა ისარგებლა და ევროპაში „დიპლომატიური რევოლუცია“ წამოიწყო. პოლიტიკური გაგებით, შუმანის დეკლარაცია არაფერი იყო თუ არა „კონტინენტზე საფრანგეთის ლიდერობის დრამატული აღზევება“. საფრანგეთს ეშინოდა გერმანიის გაძლიერების, ამიტომ მან ბოლოსდაბოლოს წარმოადგინა კრეატიული და თამამი ინიციატივა. ბრიტანეთს არ ადარდებდა საფრანგეთის შიში და საკუთარ თავში ზედმეტად იყო დარწმუნებული, ამიტომ იგი ერთი შეხედვით წარმოუდგენელ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა.

ბრიტანეთის პოზიცია არც 1951 წლის ოქტომბერის არჩევნების შემდეგ შეცვლილა, როდესაც მთავრობაში კონსერვატორებმა ლეიბორისტები ჩაანაცვლეს და ჩერჩილი კვლავ პრემიერ-მინისტრი გახდა.

ასე რომ, მოლაპარაკებებში ბრიტანეთი არ მონაწილეობდა. თუმცა, მისი არსებობა მუდმივად იგრძნობოდა პარიზში შეხვედრების მაგიდასთან, სადაც მონაწილეები შიშობდნენ, რომ ბრიტანეთი (პოლიტიკისა და სიამაყის გამო) მოლაპარაკებების ჩაშლას შეეცდებოდა. სინამდვილეში, ბრიტანეთი ასე არ მოქცეულა. ალბათ, იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებმა ძალიან მკაფიოდ გამოხატა თავისი ინტერესი და სურვილი მომავალში მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებასთან დაკავშირებით. ბრიტანეთი გარეთ დარჩა, მაგრამ ამან ხელიც კი შეუწყო მოლაპარაკებებს: ჯერ ერთი, იმით, რომ შეხვედრების მაგიდასთან დამატებითი იდეები, წინადადებები და ინიციატივები აღარ წამოყენებულა; და მეორე, იმით, რომ ადენაუერი

იძულებული იყო შეთანხმებაზე წასულიყო იმ დროს, როდესაც 1951 წლის დასაწყისში ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს გერმანია გეგმისადმი ინტერესს ნელ-ნელა კარგავდა.

ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია

შუმანის გეგმის რეალიზებისა და ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის დაფუძნების მიზნით, 1950 წლის ივნისში საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და ბენილუქსის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები დაიწყო. თუმცა, კორეაში დაწყებულმა ომმა მალევე გადაფარა ეს შეხვედრები. გერმანიის რემილიტარიზაციის საკითხი კვლავ აქტუალური გახდა. ადენაუერს ახლა უკვე შეეძლო ამერიკის მიზანი (გერმანიის რემილიტარიზაცია) გერმანიის მიზანთან (სრული სუვერენიტეტის აღდგენა) დაეკავშირებინა. საფრანგეთს ეშინოდა, რომ გერმანია მოლაპარაკებებისადმი ინტერესს დაკარგავდა. მაგრამ ადენაუერი საფრანგეთის შიშებს კარგად აცნობიერებდა, ამიტომ შუმანის გეგმა გერმანიის პოლიტიკის (საფრანგეთთან დაახლოება და დასავლეთში სრული ინტეგრაცია) განუყოფელ ნაწილად დარჩა.

ევროპული ინტეგრაციის ისტორიაში ეს პირველი ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია ანუ ხანგრძლივი დიპლომატიური მოლაპარაკებები იყო. შუმანის მოლაპარაკებებმა დაამკვიდრა როგორც პროცედურული, ასევე, პოლიტიკური პრეცედენტი. თითოეულ ქვეყანას მთავრობის წარმომადგენლების დელეგაცია წარმოადგენდა. სამუშაო ჯგუფები კონფერენციის ყველაზე ქვედა საფეხურებს შეადგენდნენ. მათ ზედა დონეზე რეგულარულად იკრიბებოდნენ დელეგაციის ხელმძღვანელები. სულ ზევით კი, საგარეო საქმეთა მინისტრები (მათ შორის ადენაუერი, რომელიც გერმანიის კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ერთდროულად იყო) ერთმანეთს კონკრეტული პრობლემური საკითხების გადასაჭრელად ხვდებოდნენ.

მოგვიანებით გამართულ ინტერგავერნმენტალისტურ კონფერენციებთან შედარებით, შუმანის გეგმის მოლაპარაკებე-

ბი ორი მნიშვნელოვანი ასპექტით განსხვავდებოდა. პირველი, სუპრანაციონალური ორგანო ჯერ არ არსებობდა, ამიტომ ამ მოლაპარაკებებში სუპრანაციონალური ჩართულობა არ დაფიქსირებულა. და მეორე, მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფოების დელეგაციებში ძირითადად საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები შედიოდნენ, საფრანგეთის დელეგაციის უმრავლესობა მონეს პარიზელი ეკონომიკური მგეგმავებით იყო დაკომპლექტებული (მონე კი დელეგაციის ხელმძღვანელი იყო). ამის მიუხედავად, მონეს აქტიური კავშირი ჰქონდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ შუმანთან, რომელიც საფრანგეთის დელეგაციასა და ზოგადად მოლაპარაკებებს პოლიტიკურ მიმართულებას აძლევდა.

მონე გამორჩეული ფიგურა იყო, იგი ფაქტობრივად წარმართავდა მოლაპარაკებებს. მას არ მოსწონდა დიდი შეხვედრები და ერჩივნა, რომ ორმხრივად ან მრავალმხრივად პირდაპირ დელეგაციის ხელმძღვანელებთან ჰქონოდა ურთიერთობა. მონე იმდენად დომინირებდა შეხვედრებზე, რომ მის მონაწილეებს ეს კონფერენცია დაამახსოვრდათ არა იმდენად როგორც მოლაპარაკებების ერთობა, არამედ უფრო მეტად როგორც მონესთან კონსულტაციების სერია. შემდეგი ინტერგავერნმენტალისტური მოლაპარაკებების მსგავსად, მისთვის დამახასიათებელი იყო ინტენსიური ვაჭრობა და ანტაგონისტური განწყობა. როდესაც მდგომარეობა იძაბებოდა და სიტუაციის კონტროლიდან გასვლის საფრთხე დადგებოდა, შუმანი ერთვებოდა პროცესებში. იგი დელეგატებს, როგორც კეთილი ბიძა ურჩ ბავშვებს, ისე მიმართავდა და ევროპული კავშირისთვის ეროვნული ინტერესების აგრესიული ტონის შერბილებისკენ მოუწოდებდა. იმდენად დიდი იყო საფრანგეთის გავლენა და შუმანის სტატუსი და შესაძლებლობები, რომ დელეგატები იძულებული იყვნენ ხოლმე, უკან დაეხიათ.

გერმანიის დელეგაციას უოლტერ ჰოლშტაინი, ყოფილი პროფესორი და მომავალი კომისიის მომავალი პრეზიდენტი, ხელმძღვანელობდა. კონფერენციის მიმდინარეობისას იგი გერმანიის ახლადშექმნილი საგარეო საქმეთა სამინისტროს უფროსი და ადენაუერის უახლოესი კოლეგა გახდა. შესაბამისად, გაიზარდა

მისი პრესტიჟი, თავდაჯერებულობა, გავლენა და ევროპული ინტეგრაციისადმი ენთუზიაზმიც.

მონეს ხელშეკრულების პირველი პროექტის მიხედვით, უნდა შექმნილიყო უმაღლესი ხელისუფლება, საპარლამენტო ასამბლეა და სასამართლო. უმაღლეს ხელისუფლებას (გაზიარებული სუვერენიტეტის მთავარ ნიშანს) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუზღუდავი ძალაუფლება უნდა ჰქონოდა. დემოკრატიული კონტროლის ნიშნად კი, ხელშეკრულების ერთ-ერთ მუხლში გათვალისწინებული იყო ასამბლეის უფლება, ორი მესამედის საშუალებით გადაეყენებინა უმაღლესი ხელისუფლება. სხვა შემთხვევებში, ასამბლეა ნაკლებ გავლენიანი იქნებოდა.

კონფერენციის ფარგლებში მთავარი ინსტიტუციური ბრძოლა უმაღლესი ხელისუფლების როლზე გაიმართა. მთავარი მოწინააღმდეგე ნიდერლანდები იყო, რომელიც (შემდეგი პერიოდისგან განსხვავებით) სკეპტიკურად იყო განწყობილი სუპრანაციონალიზმისადმი და ეროვნული კონტროლით უმაღლესი ხელისუფლების ძალაუფლების შეზღუდვას ემხრობოდა. ადენაუერის ბიოგრაფი ჰანს-პიტერ შვარცი ჰოლანდიელების პოზიციას ახასიათებდა როგორც სავაჭრო კალკულაციების, ფრანგული ან გერმანული ჰეგემონიისადმი მტრული დამოკიდებულების, ბრიტანეთის გავლენის მხარდაჭერისა და უფრო დიდ ერთეულებში ასიმილაციის შიშის ნარევს.

ჰოლანდიურმა პრაგმატიზმმა გააღიზიანა ადენაუერიც და მონეც. თუმცა, უმაღლეს ხელისუფლებაში ფრანგულ-გერმანული ჰეგემონიის შიშით, სხვა ქვეყნის ლიდერებიც იზიარებდნენ ჰოლანდიელების შეშფოთებას. ამიტომ მონე იძულებული იყო მინისტრთა საბჭოს დაარსებაც გაეთვალისწინებინა. ხელშეკრულებამ ერთგვარი ბალანსი დააფუძნა მინისტრთა საბჭოსა და უმაღლეს ხელისუფლებას შორის (ამ უკანასკნელს კონკრეტულ სუპრანაციონალურ სფეროებში უმაღლესი სიტყვა ეთქმოდა). საწყის წინადადებასთან შედარებით, ინსტიტუციური შედეგი (და, პრინციპში, მომავალი ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის საქმიანობაც) სუპრანაციონალიზმის აშკარა უკანდახევა იყო.

საბოლოო ჯამში, გეგმის გამორჩეულად ეკონომიკური მიზანი მონაწილე ქვეყნებს შორის ფოლადისა და ქვანახშირის სფეროებში ერთიანი ბაზრის შექმნას ითვალისწინებდა. ეს გულისხმობდა უამრავი სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გაუქმებას, მათ შორის, ფასების ხელოვნურად დაწესებას, სუბსიდიებს, მოგების გადასახადებს და სხვა. მხოლოდ ასე გახდებოდა შესაძლებელი ეროვნულ საზღვრებს შორის ფოლადისა და ქვანახშირის თავისუფალი მიმოქცევისთვის ხელშეწყობა. თუმცა, ერთიანი ბაზარი დაურეგულირებელი ბაზარი არ იქნებოდა. უმაღლესი ხელისუფლება და მინისტრთა საბჭო, სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, შეეცდებოდა პროდუქტიულობის გაუმჯობესებას, დისტრიბუციის (განაწილების) რაციონალიზაციას, სამუშაო ადგილების დაცვას, სამუშაო პირობების გათანაბრებას, ეკონომიკური განსხვავებების შემცირებას. ხელშეკრულების ყველაზე ინოვაციური მუხლები კონკურენციის პოლიტიკის სფეროს ეხებოდა. უმთავრესად აშშ-ის შეშფოთების საპასუხოდ, შემზღუდველი პრაქტიკებისა და მონოპოლიების წინააღმდეგ ხელშეკრულებაში ჩაიდო ისეთი მკაცრი ზომები, როგორიც იყო, მაგალითად, წლიური ბრუნვის 10%-ით კომპანიების დაჯარიმების შესაძლებლობა. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს 50 წლის მანძილზე უნდა ემოქმედა (მართლაც, ფოლადისა და ქვანახშირის ევროპულმა თანამეგობრობამ არსებობა 2002 წელს შეწყვიტა).

მნიშვნელოვანი საკითხები

1950 წლის დეკემბერში, მოლაპარაკებების დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ ხელშეკრულება პრინციპში უკვე მზად იყო, თუმცა, მის ხელის მოწერამდე პროცესი დამატებით კიდევ ოთხი თვე გაჭიანურდა. ამის მიზეზი გერმანია იყო, რომელიც ფეხს ითრევდა საფრანგეთის დაჟინებულ მოთხოვნაზე, რომ რურის ოლქში ფოლადისა და ქვანახშირის ინდუსტრიების დეკონცენტრაცია (დაშლა, დანაწევრება) მოეხდინა. ჯერ კიდევ პოცდამის

შეთანხმების პირობებით, რურის დიდი კონგლომერატები უნდა დაშლილიყო, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის მეკავშირეები ამას თავგადაკვლით მაინცდამაინც არ ითხოვდნენ. თუმცა, 1951 წლის დასაწყისში საფრანგეთის მთავრობამ აგრესიული სტრატეგია წამოიწყო. საფრანგეთი ეჭვობდა, რომ რურის კონგლომერატებს შეიძლება გვერდი აეარათ ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის ხელშეკრულების კონკურენციის მუხლებისთვის. ასევე, ქვეყნის შიგნით იზრდებოდა შეშფოთება რურსა და გერმანიის ხელახალ შეიარაღებას შორის კავშირზე. ამიტომ საფრანგეთმა მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება პირდაპირ დაუკავშირა დეკონცენტრაციის საკითხს.

ბოლო წუთამდე საფრანგეთის ასეთმა დაჟინებულმა მოთხოვნამ რურში ინდუსტრიული რეორგანიზაციის თაობაზე გერმანიაშიც გააჩინა ნეგატიური დამოკიდებულება. გერმანელ ინდუსტრიალისტებს გაუჩნდათ ეჭვები, რომ შუმანის გეგმით საფრანგეთი გერმანიის ინდუსტრიის დასუსტებას აპირებდა. საფრანგეთის ქმედებამ და გერმანიის ამ რეაქციამ ადენაუერი დილემის წინაშე დააყენა: როგორ დაეკმაყოფილებინა ეროვნულ დონეზე ეკონომიკური ინტერესები და ევროპულ დონეზე პოლიტიკური ინტერესები? ადენაუერს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციამ უშველა. საქმე იმაში იყო, რომ აშშ აქტიურად უჭერდა მხარს საფრანგეთის მოთხოვნას დეკონცენტრაციის შესახებ. ამიტომ ყველაზე ოპოზიციონერი გერმანელებიც კი იძულებულები იყვნენ ეღიარებინათ, რომ ადენაუერს აშშ-ის პოზიცია უნდა გაეთვალისწინებინა. შედეგად, 1951 წლის მარტის ბოლოს, ადენაუერსა და აშშ-ის უმაღლეს კომისარ ჯონ მაკკლოის შორის შედგა შეთანხმება დეკონცენტრაციის პირობებზე. ამან მწვანე შუქი აუნთო აპრილში პარიზში ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის ხელშეკრულების ხელმოწერას.

ადენაუერმა და შუმანმა გადაწყვიტეს, რომ რურის საერთაშორისო ხელისუფლება (*International Ruhr Authority*) (რასაც ადენაუერი ვერ იტანდა) ევროპისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის ამოქმედებისთანავე შეწყვეტდა ფუნქციო-

ნირებას. შესაბამისად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობების ყველაზე პრობლემური საკითხი (რურის სპეციალური სტატუსი) ბოლოსდაბოლოს გადაიჭრა. თუმცა, კონფერენციის განმავლობაში კვლავ მოუგვარებელ სირთულედ დარჩა ომის შემდეგ საფრანგეთის მიერ კონტროლირებადი გერმანული რეგიონის ზაარის მომავალი. საფრანგეთის მიერ კონტროლირებად ზაარის მთავრობას სურდა, რომ რეგიონი ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის მეშვიდე წევრი სახელმწიფო გამხდარიყო. ეს პარიზში საფრანგეთის მთავრობისთვისაც კი მეტისმეტი იყო, რომელმაც ხელშეკრულებას ხელი საფრანგეთისა და ზაარის სახელით მოაწერა. ხელის მოწერის მიუხედავად, ადენაუერმა განაცხადა, რომ ამით იგი არ თმობდა გერმანიის უფლებას მოეთხოვა ზაარის უკან დაბრუნება. მან და შუმანმა ამ საკითხთან დაკავშირებით ხელშეკრულებას წერილები დაურთეს, რომლებშიც ორივე მხარის პოზიციები იყო დაფიქსირებული.

ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის ფუნქციონირების დაწყებამდე, საგარეო საქმეთა მინისტრებს კიდევ სხვა სამი რთული საკითხის გადაჭრა მოუხდათ.

- პირველი შეეხებოდა მინისტრთა საბჭოში აწონილ ხმებს. უნდა ჰქონოდა თუ არა გერმანიას უფრო მეტი ხმა, ვინაიდან თანამეგობრობაში მისი ფოლადისა და ქვანახშირის სექტორები ყველაზე დიდი იყო? როგორც მოსალოდნელი იყო, საფრანგეთმა გერმანიასთან შედარებით კენჭისყრის თანაბარი ხმები მოითხოვა. როგორც ასევე მოსალოდნელი იყო, გერმანია შემოთავაზებას დათანხმდა.
- მეორე პრობლემური საკითხი თანამეგობრობაში სამუშაო ენა იყო. საგარეო საქმეთა მინისტრების საერთო ენა გერმანული იყო, მაგრამ შუმანის წინადადებით ფრანგული ფოლადისა და ქვანახშირის ევროპულ თანამეგობრობაში ან ერთადერთი ენა უნდა ყოფილიყო ან ყველაზე დომინანტური. საბოლოოდ, მინისტრების შეთანხმებით, თითოეული ქვეყნის ენას ოფიციალური სტატუსი მიენიჭებოდა, მაგრამ ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამე-

გობრობის ინსტიტუტებში სამუშაო ენად ფრანგული იქნებოდა გამოყენებული.

- მესამე ყველაზე რთულად გადასაჭრელი აღმოჩნდა. იგი ინსტიტუტების მდებარეობას შეეხებოდა. 1952 წლის ივლისის პარიზის შეხვედრაზე თითოეული საგარეო საქმეთა მინისტრი საკუთარ ქვეყანაში ერთი ან რამდენიმე ინსტიტუტის განთავსებას ითხოვდა (ადენაუერმა უარი თქვა შოვინიზმზე და საკუთარ „კანდიდატურად" საფრანგეთის მიერ ოკუპირებული ზაარის დედაქალაქი ზაარბრუკენი დაასახელა). შეხვედრა იმდენად დაძაბული იყო, რომ ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი დირკ სტიკერი იხსენებდა: „მთელი ამ თვეების განმავლობაში ჩვენი დისკუსიები სუპრანაციონალიზმის მაღალ პრინციპების პატივისცემაზე და ეგოისტური, მთლიანად ეროვნული ინტერესების უარყოფაზე გვქონდა დაფუძნებული", ამ შეხვედრით კი ყველაფერი წყალში ჩაიყარა; „შედეგები ეროვნული პრესტიჟის საკითხად იქცა. არავინ აპირებდა რაიმეს დათმობას მანამ, სანამ სხვაგან არ მიიღებდა საპირწონე მოგებას"; ევროპამ თავისი სახე დაკარგა. ბოლოს, სტიკერმა უარი განაცხადა რომელიმე ინსტიტუტის ჰოლანდიაში განთავსებაზე და დემონსტრაციულად დატოვა ოთახი. მოგვიანებით, საგარეო საქმეთა მინისტრებმა როგორც იქნა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც მინისტრთა საბჭოს სხდომებს გამართავდნენ ბრიუსელში, სასამართლო და უმაღლესი ხელისუფლება დაფუძნდებოდა ლუქსემბურგში, საპარლამენტო ასამბლეა კი ფუნქციონირებას სტრასბურგში დაიწყებდა (აქ იგი შენობას ევროპის საბჭოს ასამბლეასთან გაიზიარებდა).

1951 წლის ბოლოსკენ ხელმომწერი ქვეყნების პარლამენტებში ხელშეკრულების რატიფიკაციის პროცესი დაიწყო. თუმცა, იგი არ აღმოჩნდა ისეთი მარტივი, როგორიც ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდა. სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებმა ხელშეკრულების წინააღმდეგ პოლიტიკური და ეკონომიკური არგუმენტები გამოიყენეს. 1951 წლის ივნისის საპარლამენტო არჩევ-

ნებზე ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის წინააღმდეგმა ფოლადის მწარმოებლებმა შუმანს სერიოზული პრობლემები შეუქმნეს (შუმანი კენჭს ფოლადის მწარმოებელ რეგიონში - ლოტარინგიაში - იყრიდა). თუმცა, უმთავრესი საფრთხე მაინც მოდიოდა არა ბიზნეს ინტერესებიდან, არამედ უკიდურესი მემარჯვენე (ნაციონალისტების) და უკიდურესი მემარცხენე (კომუნისტების) პოლიტიკური პარტიებისგან. დასავლეთ გერმანიაში პატარა კომუნისტური და ნაკლებ გავლენიანი ნაციონალისტური პარტიები არსებობდნენ. მაგრამ სოციალისტები კურტ შუმახერის მეთაურობით, რომლებიც იყვნენ როგორც მარქსისტები, ასევე ნაციონალისტები, ძლიერ ეწინააღმდეგებოდნენ ხელშეკრულებას. საფრანგეთში კი კომუნისტებმა და ახლად შექმნილმა გოლისტურმა პარტიამ (რომელიც პარლამენტის ყველაზე დიდი პარტია იყო) ხელშეკრულების ჩაგდება სცადეს, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს.

ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის ამუშავება

ფოლადისა და ქვანახშირის ევროპულმა თანამეგობრობამ ფუნქციონირება 1952 წლის აგვისტოში, პოლიტიკურად ძალიან არასასურველ დროს დაიწყო. ადენაუერის მთავრობა სუსტი და არაპოპულარული იყო. საფრანგეთის მთავრობა კიდევ უფრო სუსტი იყო. იმ დროისთვის ყველაზე მნიშვნელოვანმა საკითხმა - გერმანიის ხელახალმა შეიარაღებამ - ევროპული ინტეგრაციის პროცესებს დამატებითი წინაღობები შეუქმნა. ამასთან, ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის პოლიტიკური მნიშვნელობა შესუსტდა იმ გაუგებრობით, ბუნდოვანებითა და დაძაბულობით, რაც ევროპული თავდაცვის თანამეგობრობას უკავშირდებოდა. ამას ერთვოდა ასევე ახალი ხელშეკრულების ინსტიტუციური და პოლიტიკის მიმართულებების შესახებ მუხლების კომპლექსურობა. საერთო ჯამში, ახალმა თანამეგობრობამ მედიის მხოლოდ მწირი ინტერესი მიიპყრო

როგორც ევროპაში, ისევე აშშ-ში. უმაღლესი ხელისუფლებისა და საერთო ასამბლეის შეხვედრები ძირითადად გაუშუქებელი რჩებოდა. ფოლადისა და ქვანახშირის ევროპულ თანამეგობრობას ნაკლები შეხება ჰქონდა ჩვეულებრივი ევროპელების ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

თუმცა, ფოლადსა და ქვანახშირზე დიდი მოთხოვნის გამო, კულისებს მიღმა ამ ორგანიზაციამ აქტიურად დაიწყო მუშაობა. აღნიშნულ რესურსებზე მოთხოვნა უმთავრესად განპირობებული იყო იმით, რომ კორეაში ომი კვლავ მიმდინარეობდა და ამიტომ დასავლეთ ევროპა და აშშ ხელახალ შეიარაღებას განაგრძობდა; ასევე იმითაც, რომ ევროპაში ომის შემდგომი აღმშენებლობის ბუმი იწყებოდა (ამის კარგი მაგალითი ე.წ. „გერმანიის სასწაული“ იყო). ამის მიუხედავად, მაინც საეჭვო იყო იმის მტკიცება, რომ ევროპის სწრაფ ეკონომიკურ აღმავლობაში გადამწყვეტი როლი ფოლადისა და ქვანახშირის ევროპულმა თანამეგობრობამ ითამაშა. მართლაც, მართალია, ფოლადისა და ქვანახშირის სექტორებში ტარიფები და სხვა რაოდენობრივი შეზღუდვები მოიხსნა, მაგრამ არასატარიფო ბარიერები კვლავ მოქმედებდა. მათი იდენტიფიკაცია და გაუქმება ყველაზე რთული საქმე აღმოჩნდა. ბაზარი კვლავ დანაწევრებული დარჩა, კონკურენცია დიდად არ გაზრდილა, წარმოება დიდად არ გაუმჯობესებულა, კარტელები კი კვლავ არსებობდნენ.

ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის უმაღლესი ხელისუფლების ხელმძღვანელს მონეს ენატრებოდა პარიზი. სამაგიეროდ, პარიზს არ ენატრებოდა იგი. მონეს პოლიტიკური კარიერა ფაქტობრივად დასრულდა. საფრანგეთის მთავრობას მონე მხოლოდ იმიტომღა სჭირდებოდა, რომ მას ამერიკელებთან მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა. თუმცა, ევროპაში აშშ-ის გავლენის შემცირებასთან ერთად, აშშ-ის დახმარება საფრანგეთისთვის უფრო და უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდებოდა. მონე აღარ იყო საჭირო იმისათვის, რომ მოდერნიზაციის გეგმა წარემართა, შუმანის გეგმის რეალიზაციამ კი მონეს, როგორც ევროპული ინტეგრაციის დამფუძნებლისა და ორგანიზატორის, ღირებულება შეამცირა. ამასთან, იგი თავდაცვის თა-

ნამეგობრობის არაპოპულარული იდეის ავტორი იყო, ამიტომ მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხიც წინა პლანზე იყო. პარიზში ევროპული თავდაცვის თანამეგობრობისადმი ოპოზიციის პიკზე, საფრანგეთის მთავრობას ერჩივნა, მონე პროცესებისგან შორს, ლუქსემბურგში ჰყოლოდა.

როგორც ყოველთვის, მონე ენერგიულად მოქმედებდა. იგი დღედაღამე მუშაობდა იმისათვის, რომ ფოლადისა და ქვანახშირის ევროპულ თანამეგობრობას ნორმალურად ეფუნქციონერა. თუმცა, იგი იმედგაცრუებული იყო და მობეზრებული ჰქონდა: იმედგაცრუებული იმიტომ, რომ უმაღლესი ხელისუფლება მის გემოვნებასთან შედარებით ზედმეტად დიდი და ბიუროკრატიული იყო; მობეზრებული კი იმიტომ, რომ ლუქსემბურგში არაფერი ხდებოდა, მთავარი პოლიტიკური ცხოვრება პარიზში დუღდა. ამიტომ გასაკვირი არ ყოფილა, რომ 1954 წლის აგვისტოში თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის მარცხის შემდეგ, მონემ უმაღლესი ხელისუფლების ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადადგომის, პარიზში დაბრუნებისა და აქედან ევროპული ინტეგრაციის გამოცოცხლების სურვილი გამოთქვა.

ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის მნიშვნელობა

ყველაფრის მიუხედავად, ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობა მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკურად და ინსტიტუციურად. უმაღლესმა ხელისუფლებამ მინისტრთა საბჭოსთან და წევრი ქვეყნების მუდმივ წარმომადგენლებთან კარგი სამუშაო ურთიერთობები დაამყარა. მონეს საწყისი ვიწრო, ტექნოკრატიული ხედვა უმაღლეს ხელისუფლებასა და ინდუსტრიებსა და მთავრობებს შორის ურთიერთობების შესახებ განვითარდა და ჩამოყალიბდა იმ პოლიტიკურ სისტემად, რა ფორმითაც დღეს ვიცნობთ ევროპულ კავშირს. ასე რომ, თანამეგობრობის ფუნქციონირება დაწყებიდანვე ხასიათდებოდა სუპრანაციონალიზმისა და ინტერგავერნმენტალიზმის ნარევით.

ფოლადისა და ქვანახშირის ევროპულმა თანამეგობრობამ სრულად მიაღწია მის უშუალო და გრძელვადიან მიზნებს (რურის პრობლემის მოგვარება და ფრანგულ-გერმანული მტრობის დაძლევა). ეს ორგანიზაცია ღირებული აღმოჩნდა ორი მიმართულებით: პირველი, იგი გაერთიანებული ევროპის გზაზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო; და მეორე, იგი ფრანგულ-გერმანულ ურთიერთობებში დიდი გარღვევა, რევოლუცია იყო. ომების, დომინირების მცდელობებისა და ანტაგონიზმის თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, სრული თანასწორობის პირობებში თანამშრომლობის სურვილი გაჩნდა. ამასთან, თანამეგობრობის მნიშვნელობა იმაშიც გამოიხატა, რომ მან საფრანგეთ-გერმანიას შორის ოთხმოცწლიანი სისხლიანი ურთიერთობები დაასრულა და დასავლეთ ევროპის რეკონსტრუქცია შესაძლებელი გახადა. ეს მან ინსტიტუციური ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ფორმალიზებული სისტემის ჩამოყალიბებით მოახერხა. სხვა სიტყვებით, პოლიტიკური კონფლიქტის მთავარი სფეროების ფორმალური დიპლომატიური გამოსავლის ეფექტურ ალტერნატივად ეკონომიკის საერთაშორისო ფორმით რეგულაციის ინსტიტუციონალიზაცია იქცა.

გარდა ამისა, ფოლადისა და ქვანახშირის ევროპულმა თანამეგობრობამ ისტორიული პრეცედენტიც შექმნა. როგორც ევროპული ინტეგრაციის ადრეული წლების ერთ-ერთმა საუკეთესო ისტორიკოსმა ჯონ გილინგამმა დაახასიათა, პარიზის ხელშეკრულება იყო საფრანგეთსა და გერმანიას შორის *დე ფაქტო* სამშვიდობო ხელშეკრულება.

თავდაცვის ევროპული თანამეგობრობა და ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობა

1949 წლის ივლისში საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის წინაშე გამოსვლისას, რობერტ შუმანმა განაცხადა, რომ ნატო-ში გერმანიის გაწევრიანების საკითხი არც ახლა და არც მომავალში დღის წესრიგში არ დადგებოდა, რომ გერმანიას არ ჰყავდა

და არც ეყოლებოდა არმია, რომ მას არ ჰქონდა და არც ექნებოდა იარაღი. თუმცა, ერთ წელზე ცოტა მეტი იყო გასული ამ მოხსენებიდან, როდესაც კორეაში ომის წყალობით, გერმანიის ნატო-ში წევრობა უკვე დღის წესრიგში იდგა. თავისი გამოსვლისას შუმანს გულწრფელად სჯეროდა იმისა, რაც განაცხადა; მას ვერც კი წარმოედგინა, რომ 1950 წელს მოვლენები ასე განვითარდებოდა.

ადენაუერს კორეის ომამდეც სურდა გერმანიის ხელახალი შეიარაღება. მას პოლიტიკურზე (სრული სუვერენიტეტის აღდგენა) მეტად სტრატეგიული მოტივები (გერმანიის თავდაცვა) ამოძრავებდა. გერმანიის ორ ნაწილს შორის საზღვარზე ფორტიფიკაციები ჯერ კიდევ არ იდგა. აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობას კი საბჭოთა კავშირის დახმარებით შეიარაღებული ძალები (*სახალხო პოლიცია - Volkspolizei*) უკვე ჰქონდა ჩამოყალიბებული. დასავლეთ გერმანიაში მოკავშირეების ოკუპაციური ძალები სუსტი და მცირე რაოდენობით იყვნენ. ამიტომ ადენაუერი შიშობდა, რომ წითელი არმიის ოკუპაციის ან სახალხო პოლიციის შემოჭრის შემთხვევაში დასავლეთ გერმანია წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და ადვილად დასაპყრობი იქნებოდა. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ საჭირო იყო მოკავშირეთა ძალების გაძლიერება და დასავლეთ გერმანიის არმიის ჩამოყალიბება.

ადენაუერი კარგად აცნობიერებდა, თუ რაოდენ საკამათო საკითხი იყო გერმანიის ხელახალი შეიარაღება. ჯერ კიდევ 1949 წლის დეკემბერში ხელახალი შეიარაღების შესახებ მის მიერ პრესისთვის მიცემულ ინტერვიუს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა, ამიტომ მას შემდეგ ფრთხილად ეკიდებოდა ამ საკითხს. თუმცა, კორეის ომმა ვითარება უეცრად შეცვალა. თუ ჩრდილოეთ კორეამ დაიპყრო სამხრეთ კორეა, რატომ არ შეეძლო აღმოსავლეთ გერმანიას დასავლეთ გერმანიის ოკუპაცია? ამჟამინდელი გადმოსახედიდან ეს შეუძლებლად ჩანს, თუმცა, იმ დროს ბევრი ევროპელი დარწმუნებული იყო, რომ 1950 წლის ზაფხულისთვის საბჭოთა კავშირი თავდასხმას განახორციელებდა. ბრიტანელები და ამერიკელები ხმამაღლა ალაპარაკდნენ გერმანიის ხელახალი შეიარაღების შესაძლებლობაზე. 1950 წლის აგვისტოში

ევროპის საბჭოს ასამბლეის სხდომაზე ჩერჩილმა ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში და ფარგლებში გერმანიის შეიარაღების მოწოდებები გააკეთა. საბოლოო სიცხადე ამ საკითხთან დაკავშირებით აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა დინ აჩინსონმა შეიტანა, რომელმაც 1950 წლის სექტემბრის ნიუ იორკის ნატო-ს მინისტერიალზე ოფიციალურად განაცხადა: აშშ-ს გერმანიის სამხედრო შენაერთების ჩამოყალიბება და მათი ევროპაში ნატო-ს ძალებში ინტეგრირება სურდა.

შუმანს არ გაჰკვირვებია აჩინსონის განცხადება, მაგრამ აჩინსონი გაოცებული იყო შუმანის სასტიკი წინააღმდეგობრივი რეაქციით. საფრანგეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა გერმანიის რაიმე დოზით ან ფორმით ხელახალ შეიარაღებას. ამ საკითხის გასაჯაროებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა ადენაუერის დიპლომატიური პოზიცია. ლოგიკური იყო, რომ ფოლადისა და ქვანახშირის მოლაპარაკებებში გერმანიის პოზიცია გამკაცრდა. ასევე, როგორც მოსალოდნელი იყო, ადენაუერმა ერთმანეთთან დააკავშირა გერმანიის ხელახალი შეიარაღების თაობაზე აჩინსონის მოწოდება და საოკუპაციო სტატუტის გაუქმებასა და სრული სუვერენიტეტის აღდგენის შესახებ გერმანიის დიდი სურვილი. შესაბამისად, საფრანგეთის პოლიტიკას გერმანიის ომისშემდგომი აღდგენის პროცესის გაკონტროლების სფეროში კვლავ საფრთხე დაემუქრა.

შუმანის გეგმისა და გერმანიისადმი მისი ერთიანი სტრატეგიის დასაცავად, საფრანგეთს ახალი ინიციატივა ესაჭიროებოდა. 1950 წლის ოქტომბერში მონემ იგი პლევენის გეგმის სახით წარმოადგინა. ამ გეგმის მიხედვით (რომელიც საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის სახელს ატარებდა) შეიქმნებოდა ევროპული სუპრანაციონალური არმია, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდებოდა. გერმანიის ხელახალი შეიარაღების საკითხში აჩინსონისა და პლევენის გეგმებს შორის განსხვავება აშკარა იყო: აჩინსონს სურდა, რომ გერმანიას მძიმე შეიარაღებით აღჭურვილი დიდი სამხედრო შენაერთები ჰყოლოდა (თუ საჭირო იყო, იგი გერმანიის არმიის აღდგენის

წინააღმდეგიც არ იყო); პლევენს კი, გერმანიის არმიის ჩამოყალიბების გარეშე, გერმანული (მხოლოდ) ქვეითი დანაყოფების პირდაპირ ევროპულ არმიაში ინტეგრირება სურდა. პლევენის გეგმის საწყისი ვარიანტი პოლიტიკურად უსამართლო, დისკრიმინაციული და სამხედრო თვალსაზრისით შეუძლებელი იყო. ამიტომ აჩინსონმა მასზე მთლიანად უარი განაცხადა. ადენაუერი უფრო ფრთხილად მოიქცა: იგი მიესალმა გერმანიის ხელახალი შეიარაღების შესაძლებლობას, თუმცა, შეეწინააღმდეგა გეგმის კონკრეტულ შემოთავაზებებს. მან ასევე დაარწმუნა შუმანი, რომ ცვალებადი სტრატეგიული ვითარების მიუხედავად, გერმანია კვლავ დაინტერესებული იყო ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის ხელშეკრულების მოლაპარაკებებით. აშშ-იც აცნობიერებდა საფრანგეთის უსაფრთხოების ინტერესებს, ამიტომ იგი გერმანიას ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის მოლაპარაკებებისადმი პატივისცემისკენ მოუწოდებდა, სხვა შემთხვევაში კი სრული სუვერენიტეტის არაღდგენით ემუქრებოდა.

თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის მარცხი

ამ დროიდან დაიწყო ოთხწლიანი დრამა, რომელმაც პოლიტიკურად საფრანგეთის ტრავმატიზება მოახდინა, ფრანგულ-გერმანული ურთიერთობები დაძაბულობის ზღვარზე მიიყვანა, საფრანგეთი და აშშ კი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად დააცილა. 1951 წლის თებერვალში, ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის დაარსების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებების პარალელურად, მისმა ექვსმა მონაწილემ ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია წამოიწყო. კონფერენციის მიზანი თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის დაფუძნება გახლდა. ბრიტანეთმა მასში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, ვინაიდან იგი მტრულად იყო განწყობილი სუპრანაციონალიზმისადმი. საფრანგეთისა და ბენილუქსის ქვეყნებისთვის ეს მნიშვნელოვან დარტყმას წარმოადგენდა. ბრიტანეთი დასავლეთ ევ-

როპაში წამყვანი სამხედრო ძალა და კონტინენტზე ძალთა ბალანსის ტრადიციული გარანტორი იყო. თავდაცვის ევროპულ თანამეგობრობაში მისი ჩართულობა კი დაძლევდა საფრანგეთისა და ბენილუქსის შიშს, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით გერმანიის კვლავ გაძლიერებასთან იყო დაკავშირებული. იმ იმედით, რომ ბრიტანეთს შეიძლება ბოლოს მაინც მიეღო მონაწილეობა, ნიდერლანდებმა მოლაპარაკებებში თავისი სრული ჩართულობა 1951 წლის ნოემბრამდე გადადო.

გერმანიის ხელახალი შეიარაღების შესაძლებლობამ საფრანგეთში ბევრს ძველი პოლიტიკური ჭრილობები გაახსენა და კომუნისტური და გოლისტური ოპოზიცია გააძლიერა. 1951 წლის ივნისის არჩევნებზე გოლისტებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ამ საკითხზე ერთსულოვნება არც გერმანიაში არსებობდა. სოციალისტები პაციფისტური სლოგანებით გამოდიოდნენ (მაგალითად, ე.წ. *Ohnemich* - პირდაპირი გაგებით, „ჩემს გარეშე", ანუ სხვა სიტყვებით, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ამ ინიციატივაში გერმანიის მონაწილეობას). თავდაცვის ევროპული თანამეგობრობა ადენაუერს დამატებით პოლიტიკურ ხმებს ვერ მოუტანდა, ამის გაკეთება სუვერენიტეტის სრულ აღდგენას შეეძლო. შესაბამისად, შიდა პოლიტიკური მოხმარებისთვის, მან თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის დაფუძნების მოლაპარაკებები და ოკუპაციის სტატუტის გაუქმება ერთმანეთთან დააკავშირა.

არჩევნების შემდეგ საფრანგეთის მთავრობის სისუსტის მიუხედავად, თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის დაფუძნების მოლაპარაკებები 1951 წლის შემოდგომაზე მაინც გააქტიურდა. წინა თვეებში კი მონე მჭიდროდ თანამშრომლობდა აშშ-ის უმაღლეს კომისართან მაკკლოისთან და ნატო-ს ახლად დანიშნულ უმაღლეს სარდალთან გენერალ დვაით ეიზენჰაუერთან. გერმანიის სამხედრო შენაერთების ზომასა და აღჭურვილობასთან დაკავშირებით საფრანგეთი დათმობებზე წავიდა. სანაცვლოდ, მაკკლოი და ეიზენჰაუერი, რომლებიც ევროპაში გავლენიანი პიროვნებები იყვნენ, მხარს უჭერდნენ პლევენის გეგმის შესწორებულ ვერსიას. მათი აზრით, გეგმის ეს ვარიანტი ნატო-

ში ევროპული წვლილის (კონტრიბუციის) გაძლიერების კარგი საშუალება იქნებოდა. ვაშინგტონში აჩინსონმაც მხარი მალევე აუბა მაკკლოისა და ეიზენჰაუერს. ადენაუერმა კი თვალი დახუჭა გეგმის ერთი შეხედვით დისკრიმინაციულ შემოთავაზებებზე. ამასთან, ყველაფერთან ერთად, მას და ამერიკელებს კვლავ სურდათ, რომ თავდაცვის ევროპულ თანამეგობრობას ნატო-ში გერმანიის შემყვანის როლი ეთამაშა, ეს პროცესი დაეჩქარებინა, თუმცა, ეს საფრანგეთისთვის მეტისმეტი იყო. ყველაფრის მიუხედავად, აშშ გულმხურვალე მხარდაჭერის ფონზე, მომლაპარაკებლებმა პარიზში თანდათან გამოკვეთეს თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის ინსტიტუციური და ორგანიზაციული ელემენტები: ცხრა წევრიანი კომისია, მინისტრთა საბჭო, საპარლამენტო ასამბლეა, 12,500 ჯარისკაცის ოდენობის გერმანული *დაჯგუფებები* (სიტყვა *დივიზია* ფრანგების დაჟინებული მოთხოვნით არ იქნა გამოყენებული), გერმანულ კონტრიბუციას არ უნდა გადაეჭარბებინა მთლიანი ძალების ერთი მესამედი, და არ უნდა შექმნილიყო არც გერმანიის თავდაცვის სამინისტრო და არც გაერთიანებული შტაბი.

1952 წლის მარტში საბჭოთა კავშირიდან მიღებული დიპლომატიური ნოტა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ოთხ გამარჯვებულ ძალას გერმანიის სამშვიდობო ხელშეკრულების მიღებისკენ მოუწოდებდა, თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის მოლაპარაკებებში „ბომბასავით აფეთქდა“. გერმანიის გაერთიანებისა და მისი ნეიტრალიტეტის პერსპექტივის გაჩენით, საბჭოელები დასავლური ალიანსის ფარგლებში გერმანიის ხელახალი შეიარაღების თავიდან აცილებას ცდილობდნენ. ნეიტრალური გერმანია კი, იქნებოდა რა კომუნისტური საბოტაჟის მუდმივი საფრთხის ქვეშ, შეიძლება საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში მოხვედრილიყო. ამერიკელები კარგად აცნობიერებდნენ ამ საფრთხეს. შესაბამისად, დასავლელმა ძალებმა გადაწყვიტეს, რომ პლევენის გეგმის განხორციელება დაეჩქარებინათ. 1952 წლის მაისში პარიზში მოლაპარაკებების ექვსმა მონაწილე ქვეყანამ ხელი მოაწერა თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის ხელშეკრულებას. მომდევნო დღეს კი ბრიტანეთმა, საფრან-

გეთმა, გერმანიამ და აშშ ბონში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც უქმდებოდა ოკუპაციის სტატუტი და მის ნაცვლად ფუნქციონირებას იწყებდა რამდენიმე საკონტრაქტო ხელშეკრულება. სხვა სიტყვებით, გერმანიამ წარმატებით აღიდგინა სრული სუვერენიტეტი.

1952 წლის თებერვალში, თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან სამი თვით ადრე, საფრანგეთის ეროვნულ ასამბლეაში გამართული დებატები მიანიშნებდა იმას, რომ ხელშეკრულების რატიფიკაცია არ იქნებოდა მარტივი. საერთაშორისო არენაზე მომხდარმა ცვლილებებმა, განსაკუთრებით, კორეაში ცეცხლის შეწყვეტამ და 1953 წლის მარტში იოსებ სტალინის გარდაცვალებამ, გააძლიერა ხელშეკრულების ოპონენტთა პოზიციები. ცივი ომის შესაძლო დათბობის პირობებში, იყო კი აუცილებელი გერმანიის ხელახალი შეიარაღება? ადენაუერს ამაზე მკაფიო პასუხი ჰქონდა და წარმატებითაც დაიცვა ხელშეკრულება გერმანიის პარლამენტში. ბენილუქსის სახელმწიფოებმა და იტალიამაც მოახდინეს მისი რატიფიკაცია. ამის შემდეგ ყველაფერი საფრანგეთზე, პლევენის გეგმის ავტორზე, იყო. ეიზენჰაუერი, რომელიც უკვე აშშ-ის პრეზიდენტი იყო, და მისი სახელმწიფო მდივანი ჯონ ფოსტერ დუნესი მთელი ძალებით აიძულებდნენ საფრანგეთს, მოეხდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია. ასევე იქცეოდნენ ადენაუერი და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი და აქტიური ევროფედერალისტი სპააკი.

საზოგადოებრივი აზრი ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დროთა განმავლობაში იცვლებოდა. 1954 წლის ივნისში, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრად გახდომის შემდეგ, პიერ მენდეს-ფრანსმა, რომელიც ევროპული ინტეგრაციისადმი ინდეფერენტულად, თავდაცვის ევროპული თანამეგობრობისადმი კი წინააღმდეგობრივად იყო განწყობილი, გადაწყვიტა ერთხელ და საბოლოოდ დაესრულებინა ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დისკუსიები. მცირე ხნის წინ პიერ მენდეს-ფრანსმა შეძლო ინდოჩინეთში საფრანგეთისთვის საშინელი და დამანგრეველი ჩართულობა შეეჩერებინა, ტუნისში კი ადგილობრივ აჯანყებუ-

ლებთან შეთანხმებისთვის მიეღწია, ამიტომ მას უფრო ძლიერი პოზიცია ეკავა და უფრო გავლენიანი პიროვნება იყო, ვიდრე მეოთხე რესპუბლიკის ნებისმიერი სხვა პრემიერ-მინისტრი.

საბოლოოდ, საპარლამენტო დებატები 1954 წლის აგვისტოში გაიმართა. ხელშეკრულების ოპონენტები უფრო მეტად საფრანგეთისთვის ხელშეკრულების გავლენით იყვნენ შეშფოთებულები, ვიდრე გერმანიის ხელახალი შეიარაღებით. გავლენიანი ძველი პოლიტიკოსისა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის ედუარდ ჰერიოტის განცხადებით, თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის წევრობა „საფრანგეთის დასასრულს“ ნიშნავდა. სხვები ყურადღებას ამახვილებდნენ საფრთხეებზე, რომლებიც საფრანგეთის ორ ყველაზე პატივსაცემ ინსტიტუტს (არმიასა და იმპერიას) ემუქრებოდა. მათი აზრით, არსებობდა საფრთხე, რომ ფრანგული არმია გამქრალიყო, „არმია, რომელიც ყველა რეჟიმის ცვლილების დროსაც კი, სამშობლოს მუდმივ არტერიას წარმოადგენდა“. ამასთან, ასამბლეის წევრებს აინტერესებდათ, თუ როგორ შეძლებდა საფრანგეთი კოლონიების შენარჩუნებას მაშინ, როდესაც თავად აპირებდა სუვერენიტეტის ფართომასშტაბიან დათმობას. სხვა დეპუტატები დამატებითი ემოციური გამოსვლებით გამოირჩეოდნენ: „ჩვენ ამჟამად ვართ ერი, რომელსაც იგივე უფლებები აქვს, რაც აშშ და დიდი ბრიტანეთს. თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის [ხელშეკრულების] რატიფიკაცია კი ორი დამარცხებული და სამი ციცქნა სახელმწიფოს დონეზე დაგვიყვანს“.

ასეთი ემოციების ფონზე ფაქტობრივად შეუძლებელი იყო რატიფიკაციის სასარგებლო არგუმენტების წარდგენა. თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის მომხრეები - ქრისტიან დემოკრატები, ცენტრისტები და ზოგიერთი სოციალისტი - რიცხობრივ უმცირესობაში მოექცნენ. ხმათა 319/264-ის უმრავლესობით საფრანგეთის პარლამენტმა ხელშეკრულების რატიფიკაცია ჩააგდო.

ამის შემდეგ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ენტონი ედენმა შესთავაზა ქვეყნებს, ბრიუსელის ხელშეკრულების ორგანიზაცია (რომელიც ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ბენილუქსის სახელმწიფოებისგან შედგებოდა) *დასავლეთ ევროპულ*

კავშირად (Western European Union) გადაკეთებულიყო, რომელსაც გერმანია და იტალია დაემატებოდა. დასავლეთ ევროპული კავშირის მეშვეობით ყოფილ ფაშისტურ ქვეყნებს ნატო-ში ინტეგრაციის საშუალება ექნებოდათ. იდეა პირველად ლონდონში კონფერენციაზე იქნა გაჟღერებული, 1954 წლის ოქტომბერში კი პარიზის ხელშეკრულებაში აისახა. დასავლეთ ევროპული კავშირი შედგებოდა მინისტრთა საბჭოსა და ასამბლეისაგან, და ფარავდა როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო, ასევე, სამხედრო საკითხებსაც. სუპრანაციონალურის ნაცვლად, იგი ინტერგავერნმენტალისტური ორგანიზაცია იყო. ამ ფაქტმა კი, მასში ბრიტანეთის მონაწილეობის არგუმენტთან ერთად, ბევრი იმ ფრანგი პარლამენტარის გული მოიგო, რომლებმაც თავის დროზე უარი განაცხადეს თავდაცვის ევროპულ თანამეგობრობაზე. შესაბამისად, 1954 წლის დეკემბერში დასავლეთ ევროპული კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაცია წარმატებით განხორციელდა (სხვათა შორის, საფრანგეთის მთავრობის გადადგომა-არგადადგომა რატიფიკაციის შედეგზეც იყო დამოკიდებული - ე.წ. *ნდობის გამოცხადების კენჭისყრა (vote of confidence)*). შედეგად, თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის კრახიდან ერთი წელიწადში, გერმანია უკვე ხელახლა შეიარაღებული და ნატო-ს წევრი იყო.

ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობა

თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის მარცხმა მასთან დაკავშირებული ინიციატივის - ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის - კრახიც გამოიწვია. მისი ავტორი იყო იტალიის ფედერალისტი პრემიერ-მინისტრი ალსიდე დე გასპერი, რომელსაც სურდა, რომ თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის ხელშეკრულებას დამატებოდა მუხლი (მუხლი 38), რომლის მიხედვითაც დაარსდებოდა თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის ასამბლეა. მოცემული ასამბლეა ფუნქციონირების დაწყებიდან ექვსი თვის განმავლობაში განიხილავდა მუდმივი

ორგანიზაციის დაფუძნების შესაძლებლობას ფედერალურ ან კონფედერალურ საწყისებზე. 1952 წლის სექტემბერში მომავალი თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის ხელშეკრულების რატიფიკაციის მოლოდინში და ამ პროცესის პარალელურად, დროებით ასამბლეას დაევალა 38-ე მუხლის პირობების შესრულება. დროებითმა ასამბლეამ (რომელიც რეალურად ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის ასამბლეას წარმოადგენდა) სპააკის მეთაურობით 1953 წლის მარტში მიიღო ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის დაარსება იყო გათვალისწინებული.

ევროპულ პოლიტიკურ თანამეგობრობას ორგანიზაციული ქოლგა უნდა შეექმნა თავდაცვის ევროპული თანამეგობრობისა და ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობისთვის. ასე რომ, ამ უკანასკნელთა ინსტიტუტების ჩანაცვლება მოხდებოდა ორდონიანი პარლამენტის (პირდაპირ არჩეული ხალხის პალატა და არაპირდაპირი წესით არჩეული სენატი), ევროპული აღმასრულებელი საბჭოს (რომლის პრეზიდენტიც სენატის მიერ იქნებოდა არჩეული), ეროვნული მინისტრების საბჭოსა და მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ. მომავალ წევრ ქვეყნებში წარმატებული რატიფიკაციის შემთხვევაში, ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობა ფუნქციონირებას თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის ამოქმედებასთან ერთად დაიწყებდა.

წამყვანი გერმანელი პოლიტიკოსი და დროებითი ასამბლეის საკონსტიტუციო კომიტეტის ხელმძღვანელი ჰაინრიჰ ფონ ბრენტანო ენთუზიაზმით იყო გამსჭვალული და ხელშეკრულებასთან დაკავშირებით აცხადებდა, რომ თანამეგობრობა თანდათან უფრო დაიხვეწებოდა და ბუნებრივი პროცესით განვითარდებოდა იქამდე, სანამ იგი ნადვილ ფედერალურ სახელმწიფოდ ან კონფედერაციად არ ჩამოყალიბდებოდა. ბრენტანოს მსგავსად, მოჰყავდა რა ჯორჯ ვაშინგტონის სიტყვები აშშ-ის კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით, სპააკიც თავის ფედერალისტურ ამბიციებს ვერ მალავდა.

თუმცა, თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის რატიფიკაციის დებატების განმავლობაში არსებულ მზარდ ანტი-სუპრანაციონალისტურ გარემოში, ბრენტანოს მსგავსი სენტიმენტები ან სპააკის ნაირი იდეები და ენთუზიაზმი ნაკლებ რეალისტურად და მიმზიდველად ჩანდა. პრინციპში, გასაკვირია, საგარეო საქმეთა მინისტრები სხვა შედეგს რატომ ელოდნენ, როდესაც დროებითი ასამბლეის ხელმძღვანელი სპააკი იყო? ასეა თუ ისე, იტალიის ევროფედერალისტი საგარეო საქმეთა მინისტრის გარდა, ხელშეკრულების პროექტი სერიოზულად არავის მიუღია. ამიტომ ლოგიკურია, რომ 1953 წლის ბოლოსა და 1954 წლებში მათ რეაქცია არ ჰქონიათ იმაზე, რომ ამ საკითხმა დღის წესრიგის ბოლოში გადაინაცვლა. საბოლოოდ კი, თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის კრახთან ერთად, ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობაც დავიწყებას მიეცა. საფრანგეთის ასამბლეაზე თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის უარყოფამდე თორმეტი დღით ადრე გარდაიცვალა გასპერი, რის გამოც იტალიამაც დაკარგა მთელი მისი ფედერალისტური ენთუზიაზმი.

დაკარგული შესაძლებლობა?

ევროპული ფედერალიზმის მომხრეებისთვის თავდაცვის ევროპული თანამეგობრობისა და ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის მარცხი ევროპული ინტეგრაციის ისტორიაში ყველაზე დიდი დაკარგული შესაძლებლობა იყო. რევოლუციური 1848 წლის მსგავსად, 1954-იც გარდამტეხი წელი იყო. მაგრამ, ევროპამ ამ შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება ვერ შეძლო.

თუმცა, როგორც მენდეს-ფრანსის უახლოესმა კოლეგამ განაცხადა, თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის ჩავარდნა „ისტორიული საჭიროება“ იყო. მისი განცხადებით, ხელშეკრულების რატიფიკაცია საფრანგეთში მუდმივ სამოქალაქო ომს გამოიწვევდა. ეს იყო ის საციცოცხლო საფრთხე, რომელსაც მენდეს-ფრანსი იმ დროს სავარაუდოდ ვერ ხედავდა და რომლის თავიდან აცილებაც მან და მისმა კოლეგებმა მოახერხეს.

საფრანგეთისა და გერმანიის საკითხებში ექსპერტის ალფრედ გროსერის შეფასებით კი, ხელშეკრულების მარცხით მნიშვნელოვნად ისარგებლა ფრანგულ-გერმანულმა ურთიერთობებმა და ევროპულმა ინტეგრაციამ. ექსტრემისტი მემარცხენეებისა და მემარჯვენეების გარდა, თავდაცვის ევროპულ თანამეგობრობას ეწინააღმდეგებოდა ასევე ახალგაზრდების უმრავლესობა და ბევრი მოდერატორი ადამიანი. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების რატიფიკაცია გააღიზიანებდა და გააუცხოებდა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელთა ჩართულობაც გადამწყვეტი იყო ევროპული ინტეგრაციისა და საბოლოო ფრანგულ-გერმანული შერიგების პროცესისთვის. სხვა სიტყვებით, ევროპული ინტეგრაციის მოძრაობის გაძლიერების ნაცვლად, შემოთავაზებული თავდაცვის ევროპული თანამეგობრობა წყალს სერიოზულად აამღვრევდა.

ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის ხელშეკრულების ერთ-ერთ მუხლში ერთიანი ბაზრის დაარსებაზე იყო საუბარი. ნიდერლანდების მთავრობა დაჟინებით ითხოვდა ერთიანი ბაზრის რეჟიმის ჩამოყალიბებას, სანაცვლოდ კი თავდაცვის ევროპული თანამეგობრობისთვის მხარდაჭერის პირობას დებდა. ეს პრობლემური საკითხი იყო საფრანგეთისთვის, რომელიც კომერციული პროტექციონიზმის პოლიტიკას აწარმოებდა. ამიტომ, თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შემთხვევაშიც კი, მოსალოდნელი იყო, რომ წევრ ქვეყნებს შორის ფუნდამენტური ეკონომიკური განსხვავებების გამო, ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის იმპლემენტაცია გვიან ან საერთოდ არ განხორციელდებოდა.

თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის ჩავარდნამ ერთი შეხედვით დამღუპველი დარტყმა მიაყენა ინტეგრაციის გაღრმავების პერსპექტივას (სუპრანაციონალიზმი სიბნელესთან და სიბინძურესთან ასოცირდებოდა, ფრანგულ-გერმანული ურთიერთობები მოწამლული და დაძაბულობის პიკზე იყო, ფედერალისტების იმედები კი ჰაერში იყო გამოკიდებული). ამის მიუხედავად, მან განმუხტა მდგომარეობა და საშუალება მისცა ქვეყნებს, ფოკუსირება ეკონომიკურ პრიორიტეტებზე მოეხდი-

ნათ. მართლაც, ხელშეკრულების კრახიდან სულ მხოლოდ სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ექვსმა წევრმა სახელმწიფომ მოილაპარაკა, მოაწერა ხელი და რატიფიკაცია გაუკეთა ევროპულ ეკონომიკურ თანამეგობრობას (ანუ რომის ხელშეკრულებას). შეიძლება ითქვას, რომ თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის მარცხმა არათუ ხელი შეუშალა, არამედ გააადვილა კიდეც რომამდე მავალი გზა.

ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობა და ატომური ენერგიის ევროპული თანამეგობრობა

ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობა მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკურად და ინოვაციური ინსტიტუციურად, თუმცა, არა განსაკუთრებით მომგებიანი ეკონომიკურად. მან დასავლეთ ევროპულ ქვეყნებს შორის მსოფლიო ომის შემდგომი ურთიერთობებისათვის ორგანიზაციული პრეცედენტი ჩამოაყალიბა. მაგრამ რურის პრობლემის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა, ფოლადისა და ქვანახშირის სექტორის უნიკალურმა ბუნებამ და ეროვნული სუვერენიტეტისადმი მაინც ღრმად ლოიალურმა დამოკიდებულებამ გამორიცხა ავტომატური გადაღვრის ეფექტი. თავდაცვის ევროპულმა თანამეგობრობამ მარცხი განიცადა. ამიტომ ენდრიუ მორავჩიკმა ევროპული თანამეგობრობის ისტორიის შესახებ სამართლიანად აღნიშნა, როდესაც განაცხადა, რომ ევროპული თანამეგობრობა დიდი მარცხით დაიწყო.

პარადოქსულია, მაგრამ თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის ჩავარდნამ ხელი შეუწყო საფრანგეთსა და გერმანიას შორის ურთიერთობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას 1955-1956 წლებში. საფრანგეთის ახალ მთავრობას ედგარ ფაურეს ხელმძღვანელობით სურდა იმ ანტი-გერმანული რიტორიკის შერბილება, რაც საფრანგეთში გერმანიის ხელახალი მილიტარიზაციის შესახებ დებატებისას მუსირებდა. საფრანგეთის მთავრობამ კულტურულ, საგანმანათლებლო და ლინგვისტურ სფეროებში

რამდენიმე ინიციატივა განახორციელა. თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის ტრავმატული მოვლენებიდან სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, 1955 წლის აგვისტოში დასრულებული *კომერციული ხელშეკრულება* ნათელი დემონსტრირება იყო იმისა, თუ რა დონეზე იყო „დამთბარი“ ფრანგულ-გერმანული ურთიერთობები. 1956 წლის სექტემბერში მდინარე რაინზე სტრასბურგისა და კელის დამაკავშირებელი ახალი ხიდის გახსნა კი ფრანგულ-გერმანული დაახლოების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. ასევე, ოდნავ მოგვიანებით, ამავე წლის ნოემბერში, სუეცის კრიზისის პიკზე ერთმანეთს შეხვდნენ ადენაუერი და მისი ფრანგი კოლეგა გაი მოლე, რაც კიდევ ერთი გამოხატულება იყო ერთობლივი ფრანგულ-გერმანული მუშაობის სურვილისა.

ფრანგულ-გერმანული ურთიერთობების გაუმჯობესება და ახლად დაწყებული ხელახალი შერიგების პროცესი ხორციელდებოდა არა მხოლოდ თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის, არამედ ცვალებადი სტრატეგიული სიტუაციის კონტექსტშიც. 1954 წლის ოქტომბრის დასავლეთ ევროპული კავშირის დამაარსებელი პარიზის ხელშეკრულების შედეგად, გერმანიამ თითქმის შეუზღუდავი სუვერენიტეტი დაიბრუნა. ამასთან, 1955 წლის მაისში ნატო-ში გაერთიანებით, გერმანია მყარად დაუკავშირდა დასავლურ ბანაკს. სუვერენული და ხელახლა შეიარაღებული გერმანიის პირობებში, „გერმანიის პრობლემის“ და მაშასადამე ფრანგულ-გერმანული ურთიერთობების ბუნება მკვეთრად შეიცვალა. საფრანგეთს აღარ შეეძლო ბრიტანეთისგან და აშშ-სგან რაიმე დათმობების მოთხოვნა იმის მუქარით, რომ იგი დაბლოკავდა გერმანიის აღდგენას. ამიტომ საფრანგეთმა გერმანიისადმი თავისი პოლიტიკა გეოპოლიტიკურის ნაცვლად, ნელ-ნელა ეკონომიკურ კალკულაციებს დააფუძნა.

1950-იანი წლების შუა პერიოდში საფრანგეთსა და გერმანიას შორის გაუმჯობესებული ურთიერთობების ერთ-ერთი მკაფიო შედეგი იყო ზაარის პრობლემის მოგვარება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ზაარი საფრანგეთის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, რაც გერმანიის გაღიზიანებას იწვევდა. საფრანგეთის 1954 წლის წინადადება, რომლითაც დასავლეთ ევროპული კავშირის

ფარგლებში უნდა მომხდარიყო ამ რეგიონის „ევროპეიზაცია“, ამ მიმართულებით დიდი შეღავათი არ ყოფილა. ამიტომ, გერმანიასთან დაძაბულობის მოხსნისა და საერთაშორისო კრიტიკის განეიტრალების მიზნით, საფრანგეთმა ზაარის სტატუსთან დაკავშირებით ახალი ინიციატივა წარმოადგინა. ამ ინიციატივის მიხედვით, ზაარის პრობლემა გადაწყდებოდა იმ რეფერენდუმის შედეგებზე დაფუძნებით, რომელიც ზაარის რეგიონში 1955 წლის ოქტომბერში დაიგეგმა. რეფერენდუმზე ზაარის მოსახლეობას ეკითხებოდნენ, სურდათ თუ არა დამოუკიდებლობა ევროპის საბჭოს ქოლგის ქვეშ. გერმანიის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში მხოლოდ ადენაუერი უჭერდა მხარს „დიახ“ კამპანიას. იგი ფრანკოფილიითა და ყველაფერი ევროპულით იყო შეპყრობილი. თუმცა, მისგან განსხვავებით, ზაარის მოსახლეობამ უარი განაცხადა დამოუკიდებლობაზე და სანაცვლოდ გერმანიასთან გაერთიანება მოითხოვა. ამის ძირითადი მიზეზი იყო არა გერმანული ნაციონალიზმი, არამედ ეკონომიკური თვით--ინტერესი (ომისშემდგომი გერმანია ამ დროს უკვე გაცილებით მდიდარი იყო, ვიდრე საფრანგეთი). საბოლოო ჯამში, პარიზმა და ბონმა ზაარის გერმანიისთვის დაბრუნების შესახებ შეთანხმებას სიძულვილისაგან თავისუფალ გარემოში მიაღწიეს. ზაარი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1957 წლის იანვარში, რომის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე გაერთიანდა.

მესინა

შეიძლება ითქვას, რომ 1955 წლის ივნისში სიცილიის ქალაქ მესინაში გამართული საგარეო საქმეთა მინისტრების ცნობილი შეხვედრა მზარდი ფრანგულ-გერმანული მეგობრული ურთიერთობების გარემოში გაიმართა. ამ შეხვედრას ევროპული ინტეგრაციისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის ფატალური მარცხის შემდეგ სწორედ მესინაში დაიწყო ხელახალი ინტეგრაციის პროცესი.

თუმცა, მესინას თავდაპირველი მიზანი გაცილებით ნაკლებ გრანდიოზული იყო, ვიდრე ევროპული ინტეგრაციის განახლება: მინისტრებს უმაღლესი ხელისუფლების პრეზიდენტი მონეს შემცვლელი უნდა დაენიშნათ. საფრანგეთმა დაჟინებით მოითხოვა თანამდებობაზე კვლავ ფრანგის დანიშვნა. დანარჩენმა წევრმა ქვეყნებმა მხარი დაუჭირეს საფრანგეთის შემოთავაზებულ კანდიდატს - ყოფილ პრემიერ-მინისტრ რენე მეიერს. მეიერის დანიშვნა მესინას შეხვედრის პირველივე დღეს იქნა გამოცხადებული.

ამის შემდეგ მინისტრებმა უფრო ღრმა ეკონომიკური ინტეგრაციისათვის საჭირო ინიციატივების განხილვა განაგრძეს. დღის წესრიგში დადგა ორი შემოთავაზება. პირველი, რომელსაც მხარს უჭერდნენ მონე და სპააკი, როგორც ევროპული პროექტის გამოცოცხლების საშუალებას, იყო ფოლადისა და ქვანახშირის თანამეგობრობის მსგავსი ატომური ენერგიის თანამეგობრობა. მეორე იყო ბეიენის გეგმის (სახელი დაერქვა ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრის გამო) შესწორებული ვარიანტი, რომელიც გულისხმობდა ინდუსტრიული საბაჟო კავშირის ჩამოყალიბებას და რომელიც თავდაპირველად ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის ხელშეკრულების პროექტში იყო შეტანილი. თავის დროზე თავდაცვის ევროპული თანამეგობრობისა და მასთან ერთად, პოლიტიკური თანამეგობრობის ჩავარდნასთან ერთად, ბეიენის გეგმაც ჩრდილში მოექცა. სპააკი მხარს უჭერდა მონეს ატომური ენერგიის ინიციატივას, ვინაიდან მიაჩნდა, რომ საბაჟო კავშირი ზედმეტად ამბიციური იყო. თუმცა, ბეიენის ზეგავლენით, სპააკმა ატომური ენერგიისა და საბაჟო კავშირის შემოთავაზებები ერთიან პაკეტში, ე.წ. 1955 წლის მაისის ბენილუქსის მემორანდუმში მოაქცია. სპააკსა და ბეიენს სხვადასხვა ინტერესები ამოძრავებდათ. სპააკს ეკონომიკური ინტეგრაცია პოლიტიკური კავშირისკენ სვლის ძირითად ეტაპად მიაჩნდა. ბეიენს კი ახალი შესაძლებლობების ეკონომიკური ზრდისთვის გამოყენება სურდა.

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციით ბეიენის დაინტერესება გამოწვეული იყო საერთაშორისო ვაჭრობაზე ნიდერლან-

დების დამოკიდებულებით. სავაჭრო ბარიერები მნიშვნელოვნად აფერხებდა ჰოლანდიის ეკონომიკას. ამიტომ ნიდერლანდები და სხვა სახელმწიფოები, რომლებიც ე.წ. *დაბალი ტარიფის კლუბის* წევრები იყვნენ, თავისუფალი ვაჭრობის თავგამოდებული დამცველები გახდნენ. ისინი უკმაყოფილოები იყვნენ გატტ-ის ფარგლებში ტარიფების შემცირების და ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში კვოტების გაუქმების ნელი ტემპებით. მათ მალევე დაკარგეს ამ ორგანიზაციების იმედი. შესაბამისად, მათ აქტიურად დაიწყეს ისეთი რეგიონული ორგანიზაციის მხარდაჭერა, რომელსაც ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებისთვის რეალური გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება ექნებოდა.

გერმანიაში საკითხავი იყო არა ის, მომხდარიყო თუ არა, არამედ როგორ მომხდარიყო ვაჭრობის ლიბერალიზაცია. გერმანიას ლიბერალიზაცია გლობალური მასშტაბით გატტ-ის მეშვეობით უნდა განეხორციელებინა, თუ რეგიონული მასშტაბით ევროპული ორგანიზაციის გამოყენებით? თუ რეგიონული მასშტაბით, მაშინ ეს უნდა ყოფილიყო თავისუფალი ვაჭრობის სივრცე თუ საბაჟო კავშირი? გერმანიის ეკონომიკის მინისტრ ლუდვიგ ერჰარდს მრავალმხრივი მიდგომა ერჩივნა. როგორც დოქტრინული ეკონომიკური ლიბერალი, იგი თვლიდა, რომ დახმარების ნაცვლად, რეგიონული ეკონომიკური მოწყობა შეაფერხებდა გლობალური თავისუფალი ვაჭრობის მიღწევას. ამიტომ ორი რეგიონული ინიციატივიდან მას პოტენციურად პროტექციონისტულ და შესაბამისად არასასურველად საბაჟო კავშირი მიაჩნდა.

საგარეო საქმეთა მინისტრი ჰოლშტაინი კი პირიქით, საბაჟო კავშირს უჭერდა მხარს. მას ამის ეკონომიკური და პოლიტიკურ მიზეზები ჰქონდა. მისი აზრით, საბაჟო კავშირი გერმანიას საბაზრო ლიბერალიზაციის ეკონომიკურ მოგებას და უფრო ღრმა ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკურ უპირატესობებს მიანიჭებდა. ერჰარდსა და ჰოლშტაინს შორის დაძაბულობა პიროვნული, იდეოლოგიური და ბიუროკრატიული მიზეზებით იყო გამოწვეული. პიროვნულად, მათ არ მოსწონდათ ერთმანეთი. იდეოლოგიურად, ერჰარდი მტრულად იყო განწყობილი ჰოლ-

შტაინის ევროფედერალიზმისადმი. ბიუროკრატიულად კი, სავაჭრო პოლიტიკის ფორმულირების პროცესში ეკონომიკისა და საგარეო საქმეთა სამინისტროები ერთმანეთს ეცილებოდნენ/ეჯიბრებოდნენ ლიდერობას.

ადენაუერი მის ორ გავლენიან მინისტრს შორის არბიტრის როლს ასრულებდა. კანცლერის პრეფერენციების გათვალისწინებით, იგი ჰოლშტაინს ერჰარდზე მეტად ენდობოდა. თუმცა, იგი მაინც ძალიან ფრთხილობდა. ერჰარდი უზომოდ პოპულარული იყო გერმანიაში (სწორედ მის სახელთან ასოცირდებოდა ეკონომიკური სასწაული) და იგი გავლენიანი ინტერესთა ჯგუფების მხარდაჭერით სარგებლობდა. ერჰარდი ხვდებოდა, რომ იგი წაგებულ ბრძოლაში იყო ჩართული. მას უნდა სცოდნოდა, რომ გერმანიის ევროპული პოლიტიკა 1950-იან წლებში ისეთი მიზნების გავლენის ქვეშ იყო, რომლის მიხედვითაც ეროვნული ეკონომიკური ინტერესები, თუნდაც მას ეკონომიკის სამინისტროსგან ჰქონოდა მხარდაჭერა, განწირული იყო.

1950-იან წლების შუა პერიოდში თავისუფალი ვაჭრობის მომხრეები საფრანგეთში უმცირესობაში იყვნენ. რობერტ მარჯოლინი, რომელიც 1955 წლის აპრილში ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ხელმძღვანელის თანამდებობიდან ორგანიზაციის არაეფექტურობის გამო გადადგა, ერთერთი იმ ფრანგთაგანი იყო, რომელიც საბაზრო ლიბერალიზაციას უჭერდა მხარს. იგი არ იყო იდეოლოგი. მას ევროპული ინტეგრაციის ფორმაზე მეტად, მისი შინაარსი აინტერესებდა. მას სჯეროდა, რომ საფრანგეთს სრული პოტენციალის რეალიზება მხოლოდ საერთო ბაზარში მონაწილეობით შეეძლო. მაღალი სავაჭრო ბარიერები და გაუფასურებული ვალუტა აშკარად აფერხებდა საფრანგეთის განვითარებას. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის გარეშე ქვეყანას ეკონომიკური ჩავარდნა ემუქრებოდა.

ფრანგული პოლიტიკური და ბიზნეს ელიტები კვლავ ძლიერ პროტექციონისტულები იყვნენ. ერთადერთი ინიციატივა, რომელიც მათ აიტაცეს, ატომური ენერგიის თანამეგობრობა ანუ ე.წ. ევრატომი იყო. მონე და საფრანგეთის ისტებლიშმენ-

ტი ევრატომს სხვადასხვა მიზეზების გამო უჭერდა მხარს. მონე თვლიდა, რომ ეს იყო სუპრანაციონალიზმის გაძლიერებისა და ევროპული ინტეგრაციის ხელახალი დაწყების საშუალება და შესაძლებლობა. ფრანგ ლიდერებს იგი ვიწრო ნაციონალისტური მიზეზით მოსწონდათ. მათი მთავარი მიზანი ევროპული რესურსების ფრანგული ატომური ენერგიის ინდუსტრიისთვის გამოყენება იყო. თუმცა, ფრანგული მიზნები იმდენად ნათელი იყო, რომ სხვა ქვეყნები ინსტიქტურად დაეჭვდნენ და დაფიქრდნენ იდეაზე. მხოლოდ მონეს თავგამოდებულმა მხარდაჭერამ და ატომური ენერგიისა და საერთო ბაზრის ინიციატივების ერთმანეთთან დაკავშირებაზე ფრანგების დაჟინებამ შეუნარჩუნა ევრატომს მომავლის პერსპექტივა.

მესინაში მთავრობებს არ ჰქონიათ ევროპული ინტეგრაციის დიდი მასშტაბებით განახლების სურვილი. მიუხედავად იმისა, რომ დამსწრე მინისტრების უმრავლესობა ევროპული ორიენტაციის, ინტეგრაციის პერსპექტივა კი გაცილებით ნათელი იყო, ეროვნული მთავრობების უმრავლესობა მაინც ნელი ტემპებით სვლას ამჯობინებდა. თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის მარცხის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ფრანგულ-გერმანული ურთიერთობები, მაგრამ ფრანგები ეჭვის თვალით უყურებდნენ გერმანელების მოწოდებას ვაჭრობის ლიბერალიზაციის თაობაზე, ისევე, როგორც გერმანელები არ ენდობოდნენ ფრანგების მოწოდებას ატომური ენერგიის სფეროში თანამშრომლობაზე. ამის ფონზე, ბენილუქსის ქვეყნებს აინტერესებდათ, შეიძლებოდა თუ არა საერთოდ საფრანგეთში პროტექციონიზმის და გერმანიაში შიდა განსხვავებების გადალახვა.

იმისათვის, რომ მესინა მთლად უშედეგოდ არ დასრულებულიყო, საგარეო საქმეთა მინისტრები ბოლო წუთზე შეთანხმდნენ, რომ დააფუძნებდნენ ინტერგავერნმენტალისტურ კომიტეტს, რომელიც მუშაობას ატომური ენერგიისა და საერთო ბაზრის ინიციატივებზე გააგრძელებდა.

ინტერგავერნმენტალისტური კომიტეტი სპააკის მეთაურობით 1955 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე დიდი ზარზეიმის გარეშე იკრიბებოდა. საფრანგეთისა და გერმანიის მთავრობებსა და მოსახლეობას გაცილებით უფრო პრობლემური საკითხები ჰქონდათ გადასაწყვეტი. გერმანიას ზაარის საკითხსა და 1955 წლის დეკემბერში მოსკოვში ადენაუერის ისტორიულ ვიზიტზე, საფრანგეთს კი ალჟირში დაწყებულ კონფლიქტზე ჰქონდა ყურადღება გადატანილი. ამის მიუხედავად, კომიტეტი მაინც ცდილობდა ენერგიულად მუშაობას. მთავრობის შესაბამისი სამინისტროები და ინტერესთა ჯგუფები კომიტეტის საქმიანობაში შეძლებისდაგვარად აქტიურად იყვნენ ჩართულები. ყველაზე დიდი გამოწვევა საფრანგეთისთვის იყო, ვინაიდან საერთო ბაზრის ჩამოყალიბებისთვის ყველაზე მეტი ბარიერები სწორედ საფრანგეთში იყო. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა. საბოლოოდ, 1956 წლის იანვრის არჩევნებით ხელისუფლებაში გაი მოლეს პრო-ევროპული მთავრობა მოვიდა. ახალმა მთავრობამ შიდა დონეზე სხვადასხვა ინდუსტრიულ და სოფლის მეურნეობის ინტერესებთან, ინტერგავერნმენტალისტური კომიტეტის დონეზე კი ეროვნულ მთავრობებთან მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო. ამიტომ მისი დახმარებით შესაძლებელი გახდა მომზადებულიყო საბოლოო ანგარიში, რომელიც მოგვიანებით საერთო ბაზრის დაფუძნებაზე მოლაპარაკებებისთვის ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის ბაზისი გახდებოდა.

საფრანგეთი არ აპირებდა საერთო ბაზარზე მოლაპარაკებებს ევრატომის გარეშე, ისევე, როგორც გერმანია არ აპირებდა ევრატომზე მოლაპარაკებებს საერთო ბაზრის გარეშე. ამიტომ 1956 წლის აპრილში სპააკის ანგარიშით ექვსი წევრი სახელმწიფოს მთავრობებს ორივე ვარიანტი წარედგინათ. ანგარიში ძირითადად ფოკუსირებას შემოთავაზებულ საერთო ბაზარზე ახდენდა. საერთო ბაზრის შუაგულში საბაჟო კავშირი იყო. საერთო ბაზარში ჩართვაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო

ასევე სოფლის მეურნეობის პოლიტიკა, სოციალური და ფისკალური ვალდებულებების ჰარმონიზაცია (იმის გამო, რომ საფრანგეთში მაღალი გადასახადები და უკეთესი სოციალური შეღავათები იყო დაწესებული), მუშა ხელის თავისუფალი გადაადგილება, მონეტარულ პოლიტიკაში თანამშრომლობა, ხელახალი ადაპტაციის ფონდი (რომელიც სამუშაო ადგილების დაკარგვის კომპენსაციას მოახდენდა), და საინვესტიციო ფონდი ღარიბი რეგიონებისთვის.

საგარეო საქმეთა მინისტრები მესინადან თითქმის ერთი წლის შემდეგ, 1956 წლის მაისში ვენეციაში შეიკრიბნენ. მათი განსახილველი თემა სპააკის ანგარიში იყო. ამასობაში, შიდა ინტერესთა ჯგუფებმა შემოთავაზებული საერთო ბაზრისა და ევრატომის მხარდაჭერის ან შეწინააღმდეგებისთვის მობილიზება მოახდინეს. საზოგადოებრივი აზრი უმეტეს ქვეყანაში დადებითად იყო განწყობილი საერთო ბაზრისადმი და უარყოფითად ევრატომისადმი. ფრანგების მოსაზრება კი ძლიერ პოზიტიური იყო ევრატომისადმი და ძირითადად ნეგატიური საერთო ბაზრისადმი. შესაბამისად, მოლაპარაკებები არ იქნებოდა მარტივი. წინა მოთხოვნების გარდა, ვენეციის შეხვედრაზე საფრანგეთმა დამატებით დაჟინებით მოითხოვა საბოლოო შეთანხმებაში პუნქტის დამატება, რომლის მიხედვითაც შემოთავაზებულ საერთო ბაზარზე თავისუფლად შემოვიდოდა პროდუქტები ფრანგული კოლონიებიდან. ზედმეტი დავიდარაბის თავიდან აცილების სურვილით, გერმანია კონფერენციის დღის წესრიგში ამ საკითხის დამატებას დათანხმდა. ამის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრებმა „მწვანე შუქი აუნთეს“ ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის დაწყებას, რომლის დროსაც საერთო ბაზრისა და ატომური ენერგიის თანამეგობრობების დაფუძნებაზე იმსჯელებდნენ.

შემოთავაზებულ საერთო ბაზარში მონაწილეობა ოფიციალურად შეზღუდული არ ყოფილა. მაგრამ ბრიტანეთმა უარი განაცხადა მესინას შეხვედრაში მონაწილეობაზე და ინტერგავერნმენტალისტური კომიტეტის საქმიანობაზე დაკვირვებისთვის მხოლოდ საშუალო რანგის დიპლომატი გააგზავნა. მისი გამოწვევა კი 1955 წლის ოქტომბერში, საბოლოო ანგარიშის გამოქვეყნებამდე ექვსი თვით ადრე განხორციელდა.

უეჭველია, რომ ბრიტანეთის ვაჭრობის სტრუქტურა ექვსი წევრი ქვეყნისგან სრულიად განსხვავდებოდა. წევრი ქვეყნები ძირითადად ერთმანეთთან ვაჭრობდნენ, მაშინ, როდესაც ბრიტანეთის ვაჭრობის უმეტესი ნაწილი ამ ექვს სახელმწიფოზე არ მოდიოდა. ამასთან, ბრიტანეთს თავის თანამეგობრობასთან სპეციალური სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა, რაც გულისხმობდა ისეთ პრეფერენციებულ პირობებს, რომლებიც მიუწვდომელი იყო სხვა სავაჭრო პარტნიორებისთვის და რომლებიც გამორიცხავდა ევროპულ საერთო ბაზარში მონაწილეობას. თუმცა, ბრიტანეთის ოფიციალურ პირებსა და ბიზნესმენებს უნდა სცოდნოდათ, რომ ბრიტანეთის სავაჭრო ნაკადები ბრიტანეთის თანამეგობრობიდან ნელ-ნელა ევროპის მიმართულებით იცვლებოდა. რა თქმა უნდა, 1950-იან წლებში ევროპულ საერთო ბაზარში ჩართვა ბრიტანეთისთვის პოლიტიკურად მტკივნეული იქნებოდა. მაგრამ ისეთმა ღრმად პროტექციონისტულმა ქვეყანამაც კი, როგორიც საფრანგეთია და რომელიც მსგავსი რთული პოლიტიკური გადაწყვეტილების წინაშე იდგა, ინტეგრაციის გაღრმავება აირჩია. ამიტომ ბრიტანეთისთვის შეუძლებელი არაფერი იყო.

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული სივრცე, რომელიც მხოლოდ ინდუსტრიულ საქონელს მოიცავდა, ბრიტანეთისთვის ზედგამოჭრილი იქნებოდა. იგი მისაღები იქნებოდა ასევე ერჰარდისა და სხვა გერმანელი ეკონომიკური ლიბერალებისთვისაც. თუმცა, ეს ვარიანტი მიუღებელი იყო ექვსი წევრი სახელმწიფოს უმეტესი პოლიტიკური ლიდერებისთვის. საფრანგეთს

ისეთი შეთანხმება სურდა, რომელიც დაფარავდა სოფლის მეურნეობას, სოციალურ უსაფრთხოებას და დაცვის სხვა მექანიზმებს. ექვსივე ქვეყანა კი ზოგადად, თავისუფალი ვაჭრობის ზედაპირული ხელშეკრულების ნაცვლად, უფრო მეტად ერთიანი და დინამიური ეკონომიკური ორგანიზაციით იყო დაინტერესებული.

საბოლოოდ, ბრიტანეთმა ინტეგრაციის გაღრმავების სფეროში კონტინენტის წარმომადგენლების მცდელობებზე მაინც ჯიუტად უარი განაცხადა. ევროპული ინტეგრაციისადმი ბრიტანეთის ინდეფერენტულობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ხშირად ანგლო-ამერიკული „სპეციალური ურთიერთობები" სახელდებოდა. თუმცა, შეუძლებელია ამ არგუმენტის გაზიარება, ვინაიდან აშშ მუდმივად მხარს უჭერდა ევროპულ ინტეგრაციას და მასში ბრიტანეთის ჩართულობას.

ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია

ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია სპააკის მიერ ინტერგავერნმენტალისტური კომიტეტის წარმატებული ხელმძღვანელობის პატივსაცემად ბრიუსელში გაიმართა. ძირითადი საქმიანობა უმეტესად ექსპერტთა ორ ჯგუფში (ერთი ევრატომზე და ერთი საერთო ბაზარზე) მიმდინარეობდა. პოლიტიკური გადაწყვეტილებები კი დელეგაციების მეთაურების რეგულარულ და საგარეო საქმეთა მინისტრების არარეგულარულ შეხვედრებზე მიიღებოდა. მთავრობის ხელმძღვანელები კი (საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად) კონფერენციის ბოლოსკენ ყველაზე პრობლემური საკითხები გადასაჭრელად შეიკრიბნენ. ადენაუერი და მოლე, რომლებიც ცალკე 1956 წლის ნოემბერში პარიზში და საგარეო და პრემიერ მინისტრებთან ერთად 1957 წლის თებერვალში ასევე პარიზში შეხვდნენ ერთმანეთს, ფაქტობრივად, წარმართავდნენ ინტერგავერნმენტალისტურ კონფერენციას. დანარჩენი წევრი ქვეყნები შეგუებულები იყვნენ ფრანგულ-გერმანულ ჰეგემონიას, ამიტომ, როგორც წესი, ისინიც ეთანხმებოდნენ ადენაუერისა და მოლეს გადაწყვეტი-

ლებებს. ხშირი პოლიტიკური ცვლილებებისა და ეკონომიკური სირთულეების გამო, იტალია მოლაპარაკებებში სუსტი მოთამაშე აღმოჩნდა.

როგორც კონფერენციის მასპინძელი და საკუთარი ქვეყნის დელეგაციის ხელმძღვანელი, სპააკი დიდი გავლენით სარგებლობდა. იგი ფრთხილობდა და ცდილობდა, რომ არ გაეღიზიანებინა ფრანგი პროტექციონისტები და გერმანელი ეკონომიკური ლიბერალები, ამიტომ მას თავისი ჩვეული ევროფედერალისტური პოზიციის დათმობა და პატიოსანი შუამავლის როლის შესრულება მოუწია. მას კარგად ახსოვდა თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის გამოცდილება, რის გამოც იგი კონფერენციის განმავლობაში ფედერალისტური ლექსიკისგან თავს იკავებდა. მისი უახლოესი დამხმარე ფოლადისა და თავდაცვის ევროპულ თანამეგობრობაში საფრანგეთის წარმომადგენელი და მოლაპარაკებების განმავლობაში ბრიუსელში მივლინებული პიერ ური იყო. ეს გახლდათ ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის განმავლობაში სუპრანაციონალური ჩართულობის მთელი მასშტაბი.

ბრიუსელში მყოფი მომლაპარაკებლები, ასევე, პრემიერ- და საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებიც დროდადრო იკრიბებოდნენ ხოლმე, მხოლოდ აისბერგის ზედა ნაწილს წარმოადგენდნენ. ბრიუსელსა და ეროვნულ დედაქალაქებში მთავრობის ოფიციალური პირები, პარლამენტარები და ინტერესთა ჯგუფების ლიდერები გარკვეული პერიოდულობით აქტიურად ერთვებოდნენ პროცესებში. თავდაცვის ევროპული თანამეგობრობის მარცხის გამეორების თავიდან აცილების მიზნით, მთავრობები ოპოზიციურად განწყობილ პარტიებთან და ინტერესთა ჯგუფებთან კოალიციების ჩამოყალიბებას ცდილობდნენ. ამით მათ კონფერენციისა და მისი შედეგების მხარდაჭერის უზრუნველყოფა სურდათ. საფრანგეთში მიღწეულმა ორმა საპარლამენტო გამარჯვებამ (ერთი ევრატომზე და ერთი საერთო ბაზარზე) კიდევ უფრო განმუხტა მდგომარეობა და გააძლიერა ბრიუსელში საფრანგეთის მთავრობის მომლაპარაკებელი პოზიცია.

საფრანგეთის პრეზიდენტი მოლე, საგარეო საქმეთა მინისტრი კრისტიან პინო და მისი სპეციალური მრჩეველი რობერტ

მარჯოლინი კამპანიას ორ ფრონტზე აწარმოებდნენ: ერთს ბრიუსელში კონფერენციის განმავლობაში, მეორეს საფრანგეთში კაბინეტში, პარლამენტში, შეხვედრების ოთახებსა და ინტერესთა ჯგუფების ოფისებში (ამ უკანასკნელს მარჯოლინიმ „პარიზის ბრძოლა" უწოდა). დანარჩენმა ხუთმა წევრმა ქვეყანამ იცოდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო საფრანგეთის საშინაო მხარდაჭერა, ამიტომ მთავრობას უთმობდნენ იმდენს, რამდენიც საჭირო იყო საპარლამენტო რატიფიკაციისთვის. ბუნებრივია, ფრანგულმა დელეგაციამ ეს თავის სასიკეთოდ გამოიყენა: დროდადრო ისინი აზვიადებდნენ შიდა ოპოზიციის მასშტაბებს იმ მიზნით, რომ სხვა დელეგაციებისგან დამატებითი დათმობები მიეღოთ.

საფრანგეთს ეს თამაში გამოუვიდა, მას მისცეს ამის გაკეთების საშუალება იმის გამო, რომ უფრო ღრმა ინტეგრაციის პროექტისთვის საფრანგეთს ცენტრალური ადგილი ეკავა. დიდი ეკონომიკური პოტენციალის ქვეყანა უკვე იყო კონტინენტის არაფორმალური სავაჭრო ბლოკის ნაწილი. დანარჩენი ხუთი წევრი სახელმწიფოსთვის საერთო ბაზრის გარეთ საფრანგეთის დატოვება ბევრად წამგებიანი იქნებოდა. გარდა ამისა, პოლიტიკური მიზეზების გამო, გერმანია საფრანგეთთან თანამშრომლობას ყველაზე პრიორიტეტულ საკითხად განიხილავდა. შესაბამისად, ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის განმავლობაში საფრანგეთი პრივილეგირებულ პოზიციაში იმყოფებოდა, რისი საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებაც ფრანგმა მომლაპარაკებლებმა ბოლომდე და სრული მასშტაბებით მოახდინეს.

თუმცა, რა თქმა უნდა, საფრანგეთის მოთხოვნებსაც ჰქონდა თავისი ლიმიტი. მაგალითად, ევრატომის ხელშეკრულება იმაზე გაცილებით ნაკლებს მოიცავდა, ვიდრე ეს საფრანგეთს სურდა. კერძოდ, საფრანგეთი დათანხმდა, რომ ევრატომი არ მოახდენდა ბირთვული მასალების მონოდების მონოპოლიზებას, არ ექნებოდა ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობისა და ევროპული თანამეგობრობისგან განსხვავებული ასამბლეა, და იგი არ იქნებოდა სამხედრო მიზნებისთვის გამოყენებული (ეს გერმანული პარლამენტის მოთხოვნა იყო). კონფერენციის განმავლობაში საფრანგეთის შიდა წრეებში განსაკუთრებით გა-

აქტიურდა საერთო ბაზრის კრიტიკა. თუმცა, ისინი მხარს უჭერდნენ ევროპული თანამეგობრობის სოფლის მეურნეობის პოლიტიკის მუხლებს. ამიტომ, ვინაიდან ევრატომისა და ევროპული თანამეგობრობის მომავალი ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და ცალ-ცალკე არ განიხილებოდა, უფრო ღრმა ინტეგრაციის მოწინააღმდეგეები შემოთავაზებული საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის გამო იძულებულები იყვნენ მიეღოთ ხელშეკრულება არსებული ფორმით.

საფრანგეთმა ევრატომთან შედარებით ევროპული თანამეგობრობის მოლაპარაკებებში უფრო მეტი პროგრესის მიღწევა შეძლო, მაგრამ აქაც მოუწია ბევრ დათმობაზე წასვლა. ყველაფრის მიუხედავად, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით თავისი პოზიციის ცვლილებაზე საფრანგეთმა ჯიუტად უარი განაცხადა. მას ყველაზე დიდი ფერმერული სექტორი ჰქონდა, ამიტომ მოლაპარაკებებისას ყველაზე მეტი დასაკარგი პოლიტიკურად და ეკონომიკურად სწორედ საფრანგეთს ჰქონდა. მარჯოლინიმ და ინდუსტრიული საერთო ბაზრის სხვა მხარდამჭერებმა ყურადღება გაამახვილეს სოფლის მეურნეობის პოლიტიკიდან საფრანგეთისთვის მომავალში მიღებულ სარგებელზე, რითაც ნაწილობრივ გააძლიერეს რომის ხელშეკრულებისადმი პოზიტიურად განწყობილი შიდა ფრანგული ლობი.

ბელგიის მხარდაჭერით, საფრანგეთმა დაჟინებით მოითხოვა საერთო ბაზარში წევრი სახელმწიფოების ზღვისგადაღმა ტერიტორიების ჩართვაც. ამ იდეას საფრანგეთში დიდი ემოციური გამოხმაურება ჰქონდა, ვინაიდან ამით შეიძლებოდა იმ მოსაზრების გაქარწყლება, რომ ევროპული ინტეგრაციის გაღრმავება საფრანგეთს მის არსებულ და ყოფილ კოლონიებთან კიდევ უფრო დააშორებდა. გერმანია წინააღმდეგი იყო ამ იდეის. მას განსაკუთრებით ლათინურ ამერიკასთან ვაჭრობის ეშინოდა და თვლიდა, რომ ეს კატასტროფულ შედეგებს მოიტანდა. ეს საკითხი კონფერენციის ერთ-ერთი ყველაზე საკამათო თემად იქცა. საბოლოოდ, ადენაუერი და მოლე შეთანხმდნენ, რომ წევრი ქვეყნების ზღვისგადაღმა ტერიტორიები პრეფერენცირებული სავაჭრო პირობებით ისარგებლებდნენ. ასევე, ორი ლიდერის

გადაწყვეტილებით, თანამეგობრობის ბიუჯეტს გარეთ დაარსდებოდა განვითარების დახმარების სპეციალური ფონდი, რომელშიც ყველაზე მეტ ფინანსებს გერმანია, როგორც ყველაზე დიდი წევრი ქვეყანა, შეიტანდა. ფრანგულ-გერმანული მეგობრობის ხათრით, ადენაუერმა ეს დათმობა თავის ნეგატიურად განწყობილ კაბინეტში მაინც გაიტანა. თუმცა, მას ეს დიდ პოლიტიკურ ფასად დაუჯდა.

საფრანგეთმა გაიზიარა სპააკის ანგარიშის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც საბაჟო კავშირი უნდა ჩამოყალიბებულიყო 12 წელინადში სამ თანაბარ პერიოდიან ეტაპად. საფრანგეთს საერთაშორისო კონკურენციის გავლენის ეშინოდა, ამიტომ ითხოვდა, რომ მეორე ეტაპის დაწყება წევრი ქვეყნების მხოლოდ ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მომხდარიყო. ეს საფრანგეთს საბაჟო კავშირის იმპლემენტაციის პროცესზე ვეტოს უფლებას მიანიჭებდა, რასაც სხვები ეწინააღმდეგებოდნენ. ამ საკითხზე 1956 წლის ნოემბერში ადენაუერმა და მოლემ ორმხრივი სამიტის დროს კომპრომისს მიაღწიეს: ხელშეკრულება ნებას რთავდა სახელმწიფოს მეორე ეტაპზე გადასვლა ორი წლით გადაედო, ამის შემდეგ კი შესაძლებელი იქნებოდა წევრი ქვეყნის უარის გასაჩივრება. შედეგად, წევრ სახელმწიფოს შესაძლებლობა ექნებოდა გაეჭიანურებინა, მაგრამ ვერ მოახდენდა საბაჟო კავშირის იმპლემენტაციის შეჩერებას.

კიდევ ერთი პრობლემურ საკითხად სოციალური პოლიტიკა იქცა. საფრანგეთი აცხადებდა, რომ დანახარჯები, რომლებსაც საფრანგეთი მაღალ სამუშაო უპირატესობებზე (გრძელვადიანი სახელფასო არდადეგები, ზედმეტ სამუშაო საათებზე მაღალი დანამატები, ქალებისთვის და კაცებისთვის თანაბარი ხელფასები და მისთანები) სწევდა, საფრანგეთს საერთო ბაზარზე არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩააყენებდა. საფრანგეთის აზრით, დანარჩენი წევრი ქვეყნები ფრანგულ სოციალურ მოდელზე უნდა გადასულიყვნენ. ხუთი წევრი სახელმწიფო საფრანგეთის გამო არ აპირებდა სოციალური ჰარმონიზაციისთვის დამატებითი ფინანსური ვალდებულებების აღებას, რის გამოც

კონფერენციის განმავლობაში ამ საკითხზე დაძაბული კამათი გაიმართა.

ადენაუერმა და მოლემ შეთანხმებას 1956 წლის ნოემბერში მიაღწიეს. გერმანია დათანხმდა სოციალურ პოლიტიკაზე ხელშეკრულების მუხლის დამატებას, რომლის მიხედვითაც კაცებისთვის და ქალებისთვის მომავალში თანაბარი ანაზღაურება მოხდებოდა. ეს იქნებოდა საერთო ბაზარზე სოციალური სისტემების ჰარმონიზაციის ერთ-ერთი გამოვლინება. ხელშეკრულებაზე თანდართული სპეციალური პროტოკოლის სახით გერმანიამ ასევე ნება დართო საფრანგეთს, მიეღო დამცავი მექანიზმები იმ ინდუსტრიებისთვის, რომლებიც ზიანს მიიღებდნენ ზედმეტ სამუშაო საათებზე მაღალი დანამატების სფეროში წევრ ქვეყნებს შორის განსხვავებების გამო (თუ ასეთი განსხვავებები კიდევ იარსებებდა საერთო ბაზრის პირველი ეტაპის იმპლემენტაციის შემდეგ). სანაცვლოდ, ხუთი წევრი სახელმწიფოს ერთობლივი წინააღმდეგობის ფონზე, საფრანგეთმა შეარბილა თავისი მოთხოვნა სოციალური ჰარმონიზაციის თაობაზე. კონფერენციის ბოლოსკენ, საერთო ბაზრის დაფუძნებით საფრანგეთისთვის მიღებულმა ეკონომიკურმა სარგებელმა აშკარად გადაწონა სოციალური გათანაბრების მოთხოვნით გამოწვეული პოლიტიკური დანახარჯები.

ხშირად საერთო ბაზარს საფრანგეთსა და გერმანიას შორის ვაჭრობის შედეგს უწოდებენ: სოფლის მეურნეობის საერთო ბაზარი საფრანგეთისთვის, სანაცვლოდ კი ინდუსტრიული საერთო ბაზარი გერმანიისთვის. სინამდვილეში, საფრანგეთის მთავრობას ორივე სურდა, მაგრამ გამოიყენა ერთი (სოფლის მეურნეობის საერთო ბაზარი) მეორის (ინდუსტრიული საერთო ბაზრის) მისაღწევად. გერმანიას კი უპირველეს ყოვლისა ინდუსტრიული საერთო ბაზარი სურდა, თუმცა, დათანხმდა სოფლის მეურნეობის საერთო ბაზარზე არა მხოლოდ თანამეგობრობაში საფრანგეთის ჩართულობის უზრუნველსაყოფად, არამედ თავისი სოფლის მეურნეობის სექტორის დასაკმაყოფილებლადაც.

1957 წლის 25 მარტს რომში წევრი ქვეყნების პრემიერ და საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობისა და ევრატომის ხელშეკრულებებს. ევრატომის ხელშეკრულების პრეამბულაში ჩაიწერა ევროპული ინტეგრაციის ლექსიკონის ორი არსებითი სიტყვა: მშვიდობა და კეთილდღეობა. ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის ხელშეკრულებამ კი აღნიშნა არა მხოლოდ მშვიდობა და კეთილდღეობა, არამედ განაცხადა, რომ ევროპული თანამეგობრობა იყო უფრო დიდი საბოლოო მიზნის (*ევროპის ხალხთა შორის უფრო მჭიდრო კავშირის - an ever closer union among the peoples of Europe*) მიღწევის საშუალება.

ევრატომის ხელშეკრულება მოიცავდა დეტალურ მუხლებს, რომლებიც ფარავდნენ ორგანიზაციის მთავარ მიზნებს: კვლევის მხარდაჭერა, ინფორმაციის გავრცელება, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, ინვესტიციების წახალისება, ბირთვული მადნეულისა და საწვავის მიწოდება, ბირთვული მასალების შესაბამისი გამოყენება, და სპეციალიზებულ მასალებსა და აღჭურვილობაში საერთო ბაზრის დაფუძნება. თუმცა, ხელშეკრულების ძალაში შესვლამდეც კი, ბევრ წევრ ქვეყანას ევრატომი უკვე არარელევანტურად მიაჩნდა. ინტეგრაციის გაღრმავების ნაცვლად, იგი ექვს წევრ სახელმწიფოს შორის მხოლოდ ინფორმაციის იოლად გაცვლის საშუალებად იქცა. ვინაიდან იმპორტირებული სანვავი ჭარბი და იაფი იყო და ვინაიდან გაიზარდა მომხმარებლების ნეგატიური დამოკიდებულება ბირთვული ენერგიისადმი, ევრატომმა მნიშვნელობა ნელ-ნელა დაკარგა. სამაგიეროდ, საფრანგეთმა წარმატებით განახორციელა სამოქალაქო და სამხედრო მიზნებისთვის ატომური ენერგიის ეროვნული პროგრამა.

ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობა უფრო მნიშვნელოვანი იყო; იმდენად მნიშვნელოვანიც კი, რომ ტერმინ *რომის ხელშეკრულებას* მალე მხოლოდ მას უწოდებდნენ. ხელშეკრულებას დანართის სახით დართული ჰქონდა არსებული ტარიფების უზარმაზარი სია. სხვა დანართები (ზღვისგადაღმა ტერიტო-

რიების სია, ზღვისგადაღმა ტერიტორიებთან ასოციაციის საიმპლემენტაციო კონვენცია, პროტოკოლები და დეკლარაციები) თავად ხელშეკრულებაზე გაცილებით დიდი მოცულობის იყო.

საკუთრივ ხელშეკრულება მოიცავდა მუხლებს ისეთი საკითხებისთვის, როგორებიც იყო საბაჟო კავშირი, საერთო კომერციული პოლიტიკა, საერთო ტრანსპორტის პოლიტიკა, კონკურენციის პოლიტიკა, შეზღუდული მონეტარული პოლიტიკის თანამშრომლობა, და მაკროეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია. სოციალური პოლიტიკის მუხლის მიხედვით, უნდა დაარსებულიყო ევროპული სოციალური ფონდი იმისათვის, რომ მუშახელისთვის დაეფინანსებინათ ტრეინინგები და სხვა სახის დახმარება. ხელშეკრულებამ ასევე დააფუძნა ევროპული საინვესტიციო ბანკი, რომელიც გასცემდა იაფ სესხებს რეგიონული განვითარებისა და მოდერნიზაციის სხვა პროექტებისთვის. ხელშეკრულების მუხლები ადამიანების, სერვისისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების შესახებ შედარებით თავშეკავებული იყო და ასახავდა იმ კამათს, რომელიც წევრ ქვეყნებს შორის არსებობდა საერთო ბაზრის დაარსებისთვის საჭირო თეორიულად სასურველ და პოლიტიკურად შესაძლებელ მექანიზმებთან დაკავშირებით.

ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის ხელშეკრულებამ (იგივე რომის ხელშეკრულებამ) დააფუძნა ასამბლეა, საბჭო, კომისია და სასამართლო. კომისია გამორჩეულად განსხვავებული ახალი ინსტიტუტი იყო. სუპრანაციონალიზმის შეზღუდვის მიზნით, ექვსმა წევრმა სახელმწიფომ მრავალისმეტყველი „უმაღლესი ხელისუფლების“ ნაცვლად ახალ ინსტიტუტს კომისია უწოდეს. თუმცა, კომისია, რომელიც ეროვნული მთავრობებისგან დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო, პოტენციურად მაინც გავლენიანი იყო, განსაკუთრებით, თანამეგობრობის კანონების დაცვისა და თანამეგობრობის კანონმდებლობის ინიცირება-იმპლემენტაციის სფეროში. ამის მიუხედავად, ევროპული თანამეგობრობის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო მინისტრთა საბჭო იქნებოდა. ხელშეკრულებაში გაწერილი მუხლების შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიღება მოხდებოდა ერთსულოვნად, უბრალოდ უმრავლესობით და კვალიფიციური უმრავ-

ლესობით. საბჭოში ხმების განაწილება მოხდებოდა წევრი ქვეყნების ზომის მიხედვით (გერმანიასა და საფრანგეთს თანაბარი წარმომადგენლობა ეყოლებოდა).

ხელშეკრულების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლი აღნიშნავდა, რომ თანამეგობრობის რომელიმე მიზნის მისაღწევად, ეს ხელშეკრულებაში რომც არ ყოფილიყო აღნიშნული, საბჭოს ერთსულოვანი მოქმედებით შეეძლო საჭირო ზომების მიღება. სხვა სიტყვებით, თუ ამაზე წევრ ქვეყნები ერთსულოვნად შეთანხმდებოდნენ, მათ შეეძლოთ ინტეგრაციის გაღრმავება ისეთ სფეროებშიც, რომლებსაც ხელშეკრულება არ ფარავდა. ეს ფაქტობრივად იყო ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების უსაზღვრო, ულიმიტო ინსტრუმენტი.

რატიფიკაცია

ეროვნულმა პარლამენტებმა ხელშეკრულებების რატიფიკაციის პროცესი 1957 წლის ბოლომდე დაასრულეს. საფრანგეთში ზოგიერთი ეწინააღმდეგებოდა ხელშეკრულებას იმ მიზეზით, რომ მას შეიძლება მასობრივი მიგრაცია და სამუშაო ადგილების მასობრივად დაკარგვა გამოეწვია. თუმცა, 1956 წლის ივლისის და 1957 წლის იანვრის საპარლამენტო კენჭისყრებმა (პირველი ევრატომის, მეორე კი ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის მოლაპარაკებების დაწყების სასარგებლოდ) საფრანგეთში საბოლოოდ გადაწყვიტა ეს საკითხი. 1957 წლის მაისში ხელშეკრულების რატიფიკაციისას (პოზიტიურის სასარგებლოდ) ხმებს შორის თითქმის 100 ერთეულით სხვაობა მკაფიო გზავნილი და დასკვნა იყო. 1957 წლის მაისში, ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი თვის შემდეგ და მის რატიფიკაციამდე ორი თვით ადრე, საფრანგეთში კიდევ ერთი პოლიტიკური კარუსელი დატრიალდა, რასაც მოლეს მთავრობა შეეწირა. ამის მიუხედავად, ამას ხელშეკრულებისთვის არანაირი ზიანი არ მოუტანია.

ადენაუერს თავის ფრანგ კოლეგასთან შედარებით უფრო რთული რატიფიკაცია ელოდა. ეს არ იყო იმიტომ, რომ გერმანიაში რომის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ვინმეს რაიმე

ეჭვი ჰქონდა - ფედერაციული რესპუბლიკისთვის იგი პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც ცალსახად მომგებიანი იყო. მთავარი პრობლემა ადენაუერისადმი ერჰარდის ანტაგონიზმი, სიძულვილი და გერმანიის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით მისი უკმაყოფილება იყო. ერჰარდმა რომის ხელშეკრულება დიდი ყოყმანის შემდეგ მიიღო. მას ერჩივნა ბრიტანეთის მიერ შემოთავაზებული ალტერნატივა განეხილა, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ინდუსტრიულ პროდუქტებზე უნდა შექმნილიყო უფრო ფართო თავისუფალი სავაჭრო სივრცე. მან ადენაუერს ვერ აპატია საფრანგეთისადმი დათმობა. ამან მმართველ ქრისტიან დემოკრატიულ პარტიაში განხეთქილება გამოიწვია, რაც, საბოლოო ჯამში, ადენაუერს გერმანიის კანცლერის თანამდებობად დაუჯდა.

საფრანგეთისა და გერმანიის მიერ რატიფიკაციამ გზა გაუხსნა სხვა ქვეყნებში ამ პროცესის წარმატებით დასრულებასაც.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ჯერ კიდევ მისაღები იყო, ევროპული თანამეგობრობის ინსტიტუტების მდებარეობას შეეხებოდა. ლუქსემბურგში უკვე ფუნქციონირებდა უმაღლესი ხელისუფლება, ასამბლეის სამდივნო და მართლმსაჯულების სასამართლო, ამიტომ მისი კანდიდატურა ნაკლებ განიხილებოდა. ვინაიდან ინტერგავერნმენტალისტური კომიტეტიც და კონფერენციაც ბრიუსელში გაიმართა, წევრი ქვეყნები ყოყმანის გარეშე კომისიის ბრიუსელში განთავსებაზე შეთანხმდნენ.

ამის შემდეგ დასანიშნი იყო კომისიის პირველი პრეზიდენტი. ვინაიდან დიდ ქვეყანა საფრანგეთს უკვე ეკავა უმაღლესი ხელისუფლების თავმჯდომარეობა, საერთო თანხმობით, ჯერი იყო პატარა ქვეყანაზე. ბენილუქსის არაოფიციალურმა ლიდერმა ბელგიამ სანაცვლოდ ბრიუსელში კომისიის დაფუძნება არჩია. ამიტომ ბურთი ამჯერად გერმანიის მოედანზე აღმოჩნდა. ჰოლშტაინი ადენაუერის ნდობით სარგებლობდა, თანაც, ჩართული იყო ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის საქმიანობასა და ევროპული თანამეგობრობის მოლაპარაკებების პროცესში. ამიტომ იგი სასურველი კანდიდატურა აღმოჩნდა. ჰოლშტაინი კომისიის პირველი პრეზიდენტი გახდა.

თავი 3

1960-იანი წლები: ევროპული თანამეგობრობის ჩამოყალიბება

კომისია

ევროპულმა კომისიამ 1958 წლის იანვარში ბრიუსელში დაიწყო მუშაობა. უოლტერ ჰოლშტაინი ცხრა კომისრის კოლეგიას ხელმძღვანელობდა. საფრანგეთი, გერმანია და იტალია 2-2, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი კი 1-1 კომისრით იყვნენ წარმოდგენილნი. თითოეულ მათგანს იმ ეტაპზე არსებული თანამეგობრობის სფეროების მიხედვით საკმაოდ წონიანი პორტფოლიოები ებარა.

ჰოლშტაინის კომისია ზოგადად დადებითად იყო შეფასებული. მისი შესაძლებლობები, კომპეტენცია, ერთიანობა და მნიშვნელობა ეჭვქვეშ იშვიათად იდგა. თუმცა, მას მუდმივად დაძაბულ და რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა. ჰოლშტაინი სამუშაოზე თავგადაკლული, ცივი და მკაცრი იყო. ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ მას თანამეგობრობისთვის თავი ჰქონდა გადადებული ან იმაში, რომ ხელშეკრულებები ზედმიწევნით კარგად იცოდა ან იმაში, რომ ევროპული ინტეგრაციის დასაფასებელი და პატივსაცემი გამოცდილება ჰქონდა. მაგრამ ისიც ნათელი იყო, რომ ჰოლშტაინი ნაკლებ ქარიზმატული პიროვნება იყო. იგი კარგი თავმჯდომარე იყო, თუმცა, ამავე დროს, ცუდი ხელმძღვანელი. იმ იმედით, რომ ხელმძღვანელობის საპრეზიდენტო სტილს დაამკვიდრებდა, მას თავის კოლეგებთან ყოველთვის დისტანცირებული ურთიერთობები ჰქონდა.

წევრმა სახელმწიფოებმა პორტფოლიოები არა კომისრების შესაძლებლობებისა და გამოცდილების, არამედ ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით გაანაწილეს. შესაბამისად, ზოგი კომისარი უკმაყოფილო იყო თავისი საქმიანობით. ყველა მათგანი რესურსებისთვის იბრძოდა. ჰალშტაინმა კი რესურსები

არა უშუალო საჭიროებების, არამედ თანამეგობრობის მოსალოდნელი საქმიანობის გათვალისწინებით გადაანაწილა. შედეგად, ზოგიერთი დატვირთული დეპარტამენტი პერსონალის ნაკლებობას განიცდიდა, ზოგს კი, რომელიც ჯერ ნორმალურად ამუშავებულიც კი არ იყო, ზედმეტი კადრები ჰყავდა.

კომისრებმა *კაბინეტები* (კერძო ოფისები) ჩამოაყალიბეს და სხვა ფრანგული ადმინისტრაციული პრაქტიკები გადმოიღეს. ჰოლშტაინი სიფრთხილით ეკიდებოდა იმას, რომ იგი გერმანელი იყო, ამიტომ მთელი მონდომებით ცდილობდა ფრანგად ყოფნას. ბრიუსელში კომისიის განთავსებამ ფრანგულის, როგორც სამუშაო ენის, განვითარებას შეუწყო ხელი (ომიდან ასე მცირე დროის შემდეგ გერმანულის ფართო გამოყენება პოლიტიკურად არასწორი იქნებოდა). ამასთან, კომისიის გენერალურ მდივნად ფრანგი მაღალი ოფიციალური პირი ემილი ნოელი დაინიშნა, რამაც ფრანგული ადმინისტრაციული ნორმების კომისიაში დამკვიდრება წაახალისა. კომისრები კვირაში ერთხელ მთელი დღის განმავლობაში იკრიბებოდნენ. მათი სესიები კი კაბინეტების ხელმძღვანელების მიერ მზადდებოდა. კომისიაში სფეროების შესაბამისად ჩამოყალიბდა გენერალური დირექტორიები (დეპარტამენტები), რომლებიც, თავის მხრივ, დირექტორატებისა და სამმართველოებისგან შედგებოდა.

პირველ კომისიაში ჰოლშტაინმა ადმინისტრაციული საქმეების პორტფოლიო თავად ჩაიბარა. ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის უმაღლესი ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელსაც საკუთარი ფინანსები და მკაფიოდ განსაზღვრული მოკლევადიანი მიზნები ჰქონდა, კომისია დასაწყისში ფინანსების თვალსაზრისით მინისტრთა საბჭოზე იყო დამოკიდებული, ევროპული თანამეგობრობის მთავარი მიზნების იმპლემენტაციისთვის კი შედარებით უფრო მოქნილი განრიგი გააჩნდა.

კომისიის პერსონალი, ძირითადად, ან ეროვნული საჯარო სექტორიდან მოვიდა ან ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის უმაღლესი ხელისუფლებიდან ან უნივერსიტეტებიდან (განსაკუთრებით, ბრიუგეს ევროპის კოლეჯიდან).

კარიერის თვალსაზრისით, ევროპული თანამეგობრობა დასაწყისში ძალიან სარისკო არჩევანი იყო. ისეთი მოსაზრება და შთაბეჭდილება იყო, რომ თანამეგობრობა დიდ ხანს ვერ გასტანდა: ჯერ იყო და საფრანგეთში საკონსტიტუციო კრიზისმა იჩინა თავი, შემდეგ კი დე გოლმა სუპრანაციონალიზმს გამოუცხადა შეურიგებლობა. ამიტომ ეროვნული ბიუროკრატიებიდან კომისიაში მოსული პირები ძველ სამსახურში დაბრუნების უფლებას იტოვებდნენ.

თანამეგობრობის მომავლისადმი საწყისი ბუნდოვანების მიუხედავად, დამწყები ევროკრატები მოგვიანებით ნოსტალგიით იხსენებდნენ მათი საქმიანობის პირველ წლებს. ისინი ბრიუსელში პრივილეგირებული ცხოვრებით ცხოვრობდნენ და უამრავი უპირატესობებით სარგებლობდნენ. მათ სიამოვნებდათ საერთაშორისო გარემოში მუშაობა და სოციალიზაცია. კომისიაში მომუშავე პირები სხვადასხვა ენებზე არათუ უბრალოდ საუბრობდნენ, არამედ ხუმრობდნენ, ჩხუბობდნენ, უყვარდათ კიდეც. გერმანელები იტალიელებზე ქორწინდებოდნენ და მათი შვილების პირველი ენა ფრანგული იყო. ერთი სიტყვით, ბრიუსელის გარეუბანში პოლიგლოტები ცხოვრობდნენ, რომლებიც (გადატანითი მნიშვნელობით) ევროპულ იდეაზე იყვნენ დაოჯახებულები.

კომისია სხვადასხვა საკანონმდებლო წინადადებებით გამოდიოდა, პოლიტიკის სფეროებში ინიციატივებს წარადგენდა. თანდათანობით იგი ევროპული ინტეგრაციის გაღრმავების მთავარი ლობისტად იქცა.

მინისტრთა საბჭო და მუდმივ ნარმომადგენელთა კომიტეტი

ევროპული თანამეგობრობის ჯერ კიდევ ოფიციალურად დაარსებამდე, მინისტრთა საბჭო დროებითი კომიტეტის სახით უკვე არსებობდა. იგი 1957 წლის ბოლოს შეიკრიბა იმისათვის, რომ ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმებასა (*General Agreement on Tariff and Trade – GATT - გატტ-ი*) და უფრო ფართო თავისუფალი ვაჭრობის ევროპული სივრცის მოლაპარაკებებ-

თან დაკავშირებით თანამეგობრობის პოზიცია შეემუშავებინა. მან სრულყოფილი პირველი შეხვედრა ბელგიის თავმჯდომარეობის დროს ბრიუსელში, 1958 წლის იანვარში გამართა (თავმჯდომარეობა ექვს თვეში ერთხელ იცვლებოდა როტაციული პრინციპით). თავმჯდომარის ფუნქციები ბუნდოვნად იყო განსაზღვრული. დასაწყისში, ის უმეტესად შეხვედრების თავმჯდომარეობით შემოიფარგლებოდა. მას საბჭოს სამდივნო ეხმარებოდა, რომლის წევრებიც ეროვნული საჯარო სექტორიდან იყვნენ რეკრუტირებულები და რომლებიც ეროვნული მთავრობებისგან დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. დასაწყისში, თანამეგობრობის სფეროების სიმწირის გამო, საბჭოს მხოლოდ რამდენიმე ფორმატი არსებობდა (მაგალითად, საგარეო საქმეთა ან სოფლის მეურნეობის მინისტრების საბჭო). მათგან ყველაზე ხშირად (თვეში ერთხელ) საგარეო საქმეთა მინისტრები (გენერალური ურთიერთობების საბჭოს ფორმატში) იკრიბებოდნენ. 1960-iani წლების ბოლოს შუმანის მოედანზე შარლემანის შენობაში (*Charlemagne building*) გადასვლამდე, საბჭოს შეხვედრები ახალ კონგრეს დე პალაიში (*Palais de Congres*) იმართებოდა.

საბჭოსა და კომისიას შორის ურთიერთობების განგრძობადობის შენარჩუნების მიზნით, ეროვნულმა მთავრობებმა მინისტრთა საბჭოში მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი (იგივე კორეპერი) დააფუძნეს. კორეპერი საელჩოებში წევრი სახელმწიფოების ყველაზე მაღალი ოფიციალური პირებისგან შედგებოდა. იგი ყოველკვირეულად იკრიბებოდა, კომისიის წინადადებებს განიხილავდა, ამასთან დაკავშირებით ეროვნულ პოზიციებს ცვლიდა, და საბჭოს შეხვედრებს ამზადებდა. ამასთან, თითოეული მუდმივი წარმომადგენელი წევრი ქვეყნის მუდმივ წარმომადგენლობას ხელმძღვანელობდა. შესაბამისად, ისინი იყვნენ ემისრები როგორც საბჭოსა და კომისიას, ასევე ეროვნულ მთავრობებსა და თანამეგობრობას შორის.

თავდაპირველად, კომისია უკმაყოფილო იყო კორეპერის არსებობით. კომისრებს მინისტრებთან სურდათ ურთიერთობა და არა ელჩებთან. ისინი სამართლიანად შიშობდნენ, რომ კორეპერი მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლე-

ბის უზურპაციას მოახდენდა. მაგრამ კორეპერი ძალიან მალე თანამეგობრობის სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა და, ფაქტობრივად, საბჭოს ერთ-ერთი არაოფიციალურ კონფიგურაციადაც კი იქცა. ამიტომ კომისრებს სხვა გზა აღარ ჰქონდათ, მათ საკუთარი სიამაყე „დაივიწყეს“ და, კომისიის პოზიციების განმარტებისა და დაცვის მიზნით, კორეპერის შეხვედრებზე დასწრება დაიწყეს.

ევროპული თანამეგობრობის ისტორია შეხვედრების ისტორიაა: კომისიის, მინისტრთა საბჭოსა და კორეპერის შეხვედრების; ეროვნული და კომისიის ოფიციალური პირებისგან დაკომპლექტებული მინისტრთა საბჭოს სამუშაო ჯგუფების შეხვედრების; მოსამზადებელ ეტაპზე კომისიის იდეების განსახილველად კომისიის შიგნით სამმართველოების, დირექტორატების, გენერალური დირექტორატების, კაბინეტის წევრების შეხვედრების; თანამეგობრობის განვითარებაზე მსჯელობისთვის ეროვნულ დედაქალაქებში მინისტრებისა და სხვა ოფიციალური პირების შეხვედრების; ლობისტებსა და ეროვნულ და თანამეგობრობის წარმომადგენლებს შორის შეხვედრების; თანამეგობრობის საკითხების განსახილველად და პრობლემების გადასაჭრელად მინისტრებსა და ოფიციალურ პირებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრების ისტორია. 1960-იან წლებში ინტეგრაციის გაღრმავებასთან და თანამეგობრობის სრულყოფასთან ერთად, შეხვედრების რაოდენობამ და მნიშვნელობამ მკვეთრად იმატა.

ევროპული პარლამენტი

ევროპული თანამეგობრობის ისტორია ასევე მოიცავდა ევროპული პარლამენტის შეხვედრებს, მათ შორის, კომიტეტის შეხვედრებს; პარლამენტის ოფიციალური პირების შეხვედრებს; ევროპარლამენტარებისა და პარლამენტის წარმომადგენლების თანამეგობრობის ინსტიტუტების ოფიციალურ პირებთან, ეროვნული მთავრობების წარმომადგენლებთან და ინტერესთა ჯგუფებთან შეხვედრებს. თავდაპირველად, პარლამენტი შეда-

რებით უმნიშვნელო ინსტიტუტი იყო. მას მხოლოდ მცირეოდენი საკანონმდებლო ძალაუფლება ჰქონდა. მართალია, მას ორი-მესამედის უმრავლესობით კომისიის გადაყენება შეეძლო, თუმცა, პარლამენტის მიერ ამ უფლების გამოყენება ისევე შეუძლებელი იყო, როგორც ბირთვული იარაღის.

ოფიციალურად მას ევროპული საპარლამენტო ასამბლეა ერქვა. იგი საერთო ინსტიტუტი იყო ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობისთვის, ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობისა და ევრატომისთვის. მისი 142 წევრი ეროვნული პარლამენტებიდან ეროვნული მთავრობების მიერ ინიშნებოდა (ე.წ. ორმაგი მანდატი). რომის ხელშეკრულებით პარლამენტის სავალდებულო შეკრება წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ოქტომბერში უნდა მომხდარიყო. ამ სხდომაზე პარლამენტი კომისიის აქტივობების შესახებ ანგარიშს ისმენდა. პარლამენტი სტრასბურგში იკრიბებოდა, მაგრამ საკომიტეტო შეხვედრები ბრიუსელში ტარდებოდა.

პარლამენტმა პირველი პლენარული სესია 1958 წლის მარტში გამართა. ამ სხდომაზე ევროპული თანამეგობრობის დამაარსებლისთვის პატივისცემის ნიშნად, პარლამენტის პირველ პრეზიდენტად რობერტ შუმანი აირჩიეს. ამ ქმედებით მათ ისიც დაამტკიცეს, რომ პარლამენტი მინისტრთა საბჭოსგან დამოუკიდებელი ინსტიტუტი იყო (საბჭოს სურდა, რომ პარლამენტის პრეზიდენტი იტალიელი ყოფილიყო, ვინაიდან საფრანგეთის, გერმანიისა და ბენილუქსის წარმომადგენლები არსებული სამი თანამეგობრობის აღმასრულებელ ორგანოებს უკვე თავმჯდომარეობდნენ).

ამასთან, პირველი სესიის განმავლობაში პარლამენტმა რამდენიმე მნიშვნელოვანი მინიშნებაც გააკეთა. პირველი, ეს იყო პირდაპირი არჩევნების სურვილი, რომელსაც ხელშეკრულების მიხედვით მინისტრთა საბჭოს ერთსულოვანი თანხმობა სჭირდებოდა. მეორე, ეს იყო თანამეგობრობის ყოველდღიური საქმიანობით დაინტერესება. მისი შეზღუდული საკანონმდებლო ძალაუფლების (მინისტრთა საბჭოს პარლამენტთან უბრალოდ კონსულტაციის გავლა ევალებოდა, ისიც მხოლოდ რამდენიმე სფეროში) მიუხედავად, პარლამენტმა სფეროების მიხედვით კო-

მიტეტები ჩამოაყალიბა, რომლებიც კომისიის წინადადებებსა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებზე ანგარიშებს ამზადებდნენ. თავის მხრივ, კომისიამ პარლამენტის პირველ პლენარულ სესიაზე მიანიშნა, რომ იგი პარლამენტში ხედავდა მის ინსტიტუციურ მეკავშირეს და ლეგიტიმაციის პოტენციურ წყაროს.

საბაჟო კავშირის იმპლემენტაცია და თავისუფალი სავაჭრო სივრცის უკუგდება

საბაჟო კავშირისკენ პირველი ნაბიჯის გადადგმას (1959 წლის იანვრისთვის თანამეგობრობის შიგნით ტარიფების 10%-ით შემცირება, კვოტების კი 20%-ით გაზრდა) ვადის მოახლოებასთან ერთად უფრო მეტად პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე ტექნიკური. შეასრულებდა, თუ არა საფრანგეთის ახალი მთავრობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ განრიგს? თუ მისი არშესრულებით თანამეგობრობისადმი ინტერესის ნაკლებობას გამოხატავდა? კომისია და სხვა ქვეყნის ლიდერები ფიქრობდნენ, რომ დე გოლი, სუპრანაციონალიზმისადმი მტრული დამოკიდებულების გამო, ევროპულ თანამეგობრობასაც დაიწუნებდა. თუმცა, 1958 წლის ივნისში მთავრობაში მოსული დე გოლის მიერ განხორციელებულმა ეკონომიკურმა და ფინანსურმა რეფორმებმა მატერიალურად საშუალება მისცა საფრანგეთს, 1959 წლის იანვრისთვის შეესრულებინა დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, შიდა რეფორმა და საგარეო ლიბერალიზაცია ეკონომიკური მოდერნიზაციისადმი დე გოლის მიდგომის განუყოფელი ნაწილი იყო. ამიტომ, ევროპული თანამეგობრობის პარტნიორების გასახარად, 1958 წლის ოქტომბრის ბოლოს საფრანგეთმა განაცხადა, რომ იგი პატივს სცემდა ხელშეკრულებით დადგენილ ვალდებულებას.

ეს მიდგომა სრულად შეესაბამებოდა საფრანგეთის ეკონომიკის გამოცოცხლების დე გოლისეულ გრძელვადიან მიზანს. 1945 წელს დე გოლმა სუპრანაციონალისტი მონე ეკონომიკური მოდერნიზაციის ოფისის ხელმძღვანელად დანიშნა. ამის მსგავ-

სად, დე გოლს ამჟამადაც მოსწონდა ევროპული თანამეგობრობა, სუპრანაციონალური ორგანიზაცია, როგორც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთს ეკონომიკის გამწევი ძალა. სუპრანაციონალური ელემენტების მიუხედავად, მონესაც და ევროპულ თანამეგობრობასაც გააჩნდათ ის, რაც იმ პერიოდში საფრანგეთს სჭირდებოდა და სხვაგან ვერსად და ვერავისგან შეეძლო მისი მიღება.

თუმცა, სხვა წევრი ქვეყნები მაინც ეჭვის თვალით უყურებდნენ საფრანგეთს. დე გოლისთვის მთავარი ტესტი იქნებოდა მისი პოზიცია თავისუფალი ვაჭრობის სივრცეზე მოლაპარაკებების დროს, რომელიც იმ პერიოდში ევროპული თანამეგობრობისა და ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრებს შორის მიმდინარეობდა. უფრო ფართო თავისუფალი სავაჭრო სივრცის მხარდაჭერით დე გოლს, ხელშეკრულების ვალდებულებების დარღვევის გარეშე, ევროპული თანამეგობრობის პროექტის მოკვლა შეეძლო. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ წინადადების უკუგდებით კი მას შეეძლო იმის დემონსტრირება, რომ იგი პატივს სცემდა და მხარს უჭერდა ევროპულ თანამეგობრობას.

ბრიტანეთმა თავისუფალი ვაჭრობის სივრცის იდეა 1950-iani წლების შუა პერიოდში წარმოადგინა. იმის შიშით, რომ ევროპული თანამეგობრობის შექმნის გამო, კონტინენტის მიმართულებით ექსპორტი შეიძლება შემცირებულიყო, ბრიტანულ ინდუსტრიას ნებისმიერ ფასად სურდა თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება. ბრიტანეთი იმედოვნებდა, რომ ამ იდეის გამო გერმანია და ნიდერლანდები (მათი დაბალი ტარიფებისა და ვაჭრობის დიდი ინტენსიობის გამო) ევროპულ თანამეგობრობას ზურგს შეაქცევდნენ. თუმცა, ბრიტანეთმა საკმარისად ვერ შეაფასა ექვსი წევრი სახელმწიფოსთვის საერთო ბაზრის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა. როდესაც ქვეყნებთან ინდივიდუალურად ვერაფერი გააწყო, რომის ხელშეკრულების მიღების შემდეგ, ბრიტანეთმა წარმოადგინა წინადადება, რომლის მიხედვითაც ევროპულ თანამეგობრობას შესაძლებლობა ჰქონდა, თავისუფალი ვაჭრობის სივრცეში ბლოკის სახით გაწევრი-

ანებულიყო. წევრ ქვეყნებს შორის შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ რომის ხელშეკრულებისთვის ხელის ვერშეშლის შემდეგ, ბრიტანეთს ახლა მთლიანი ევროპული თანამეგობრობის განეიტრალება უფრო ფართო თავისუფალი ვაჭრობის სივრცით სურდა. ბრიტანეთის ხელმძღვანელობით, ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრმა (მაგრამ, ამავე დროს, ევროპული თანამეგობრობის არაწევრმა) ქვეყნებმა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მოთხოვნა განსაკუთრებით 1958 წლის დეკემბრისთვის (ანუ ტარიფების შემცირებისა და კვოტების გაზრდის პირველი ეტაპის წინ) გააძლიერეს. მათი მტკიცებით, სხვა შემთხვევაში ევროპული თანამეგობრობა მათ წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაცია იქნებოდა.

წინადადების დადებითი მხარეების მიუხედავად, მხარეები ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებდნენ. ეს ეჭვები კიდევ უფრო გააძლიერა რეგინალდ მოდლინგმა, თავისუფალი ვაჭრობის სივრცის მიღწევაზე პასუხისმგებელმა ბრიტანელმა მინისტრმა, რომელმაც თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს შორის სოლიდარობის შესუსტება სცადა. მან თანამეგობრობის წევრი ქვეყნების დედაქალაქებში ვიზიტები მოაწყო. ბონში იგი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის დიდი ხნის მხარდამჭერმა, ეკონომიკის მინისტრმა ერჰარდმა თბილად მიიღო. მას ჰააგაში ასევე პოზიტიურად შეხვდა ნიდერლანდების მთავრობა, რომელიც ისტორიულად ბრიტანეთისადმი სიმპათიით იყო გამსჭვალული. სამაგიეროდ, იგი ცივად მიიღეს პარიზში. საფრანგეთს უკვე მკაფიოდ ჰქონდა დაფიქსირებული თავისი ნეგატიური დამოკიდებულება თავისუფალი ვაჭრობის სივრცისადმი და მხარდაჭერა ერთიანი ბაზრისადმი. ერთიანი ბაზრით მას მიღებული ჰქონდა ის გარანტიები, რაც აკმაყოფილებდა საფრანგეთის სენსიტიურ ინტერესებს. შესაბამისად, თავისუფალი ვაჭრობის სივრცის მიღებით, რატომ უნდა დაეყენებინა საფრანგეთს ევროპული თანამეგობრობა კითხვის ნიშნის ქვეშ? მითუმეტეს, რომ საფრანგეთისთვის მისაღები ხელშეკრულების პირობები (პოლიტიკის ფართო კოორდინაცია, ძლიერი ინსტიტუტები, ერთიანი წესები, სოფლის

მეურნეობისთვის სპეციალური რეჟიმი და სხვა) კატეგორიულად მიუღებელი იყო ბრიტანეთისთვის.

1957 წლის ბოლოსა და 1958 წლის დასაწყისში ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მინისტერიალურ კომიტეტში (რომელიც თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნაზე იყო პასუხისმგებელი) ევროპული თანამეგობრობის წევრი ქვეყნები ერთიანი პოზიციით გამოდიოდნენ. აპრილში მდგომარეობა ბუნდოვანი გახდა, ვინაიდან საფრანგეთის მეოთხე რესპუბლიკამ არსებობდა შეწყვიტა. მინისტრების კომიტეტის სხდომა ივლისამდე ანუ დე გოლის ძალაუფლებაში მოსვლამდე აღარ გამართულა. ამჯერად ბრიტანელები ევროპული ინტეგრაციისადმი დე გოლის მტრულ განწყობაზე ამყარებდნენ იმედებს. თუმცა, დე გოლმა ერთიანი ბაზრის იმპლემენტაციის დაწყებისა და თავისუფალი ვაჭრობის სივრცეზე მოლაპარაკებების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. მისი გადაწყვეტილება შიდა პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობული: ფრანგული ინდუსტრია გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა თავისუფალი ვაჭრობის სივრცეს, ვინაიდან თითქმის ვერავინ ხედავდა მასში რაიმე ღირებულ ეკონომიკურ სარგებელს.

ადენაუერმა გადაწყვიტა ერჰარდის პოზიციის წინააღმდეგ წასულიყო და ბრიტანეთთან მოლაპარაკებები აღარ გაეგრძელებინა. 1958 წლის სექტემბერში დე გოლთან პირველი შეხვედრის დროს მან მხარი დაუჭირა ფრანგი კოლეგის სურვილს, შეეწყვიტათ მოლაპარაკებები. შესაბამისად, ადრეულ დეკემბერში ბრიუსელში მინისტრთა საბჭომ ფრანგულ-გერმანული პოზიცია გაიზიარა. ევროპული თანამეგობრობის ისტორიაში ეს იყო საფრანგეთ-გერმანიის თანამშრომლობითი ღერძის ერთ-ერთი პირვანდელი მაგალითი. პარადოქსულია, მაგრამ ბრიტანელებს ეს ინფორმაცია თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნის მომხრე ერჰარდმა შეატყობინა (ვინაიდან გერმანია ამ დროს თავმჯდომარე ქვეყანა იყო). რა თქმა უნდა, ბრიტანელები გაცოფებულები იყვნენ და არ სურდათ საკითხის ასე დასრულება. შედეგად, 1958 წლის დეკემბერში ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის საბჭოს შეხვედრა ბრიტანელი

და ფრანგი მინისტრების მწარე და ცივი კომენტარების ფონზე წარიმართა.

ოქტომბერში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ მაკმილანმა აშშ-ის ადმინისტრაციას განუცხადა, რომ თავისუფალი ვაჭრობის სივრცის იდეის დამარცხების ნაცვლად, ბრიტანეთი საპირისპირო მოძრაობას მაინც გაუწევდა ორგანიზებას და, ამავე დროს, ნატოში მისი პოზიციის გადახედვა მოუწევდა. ამის შემდეგ, 1959 წლის დასაწყისში, ბრიტანეთმა დანარჩენი დასავლეთ ევროპული და ევროპული თანამეგობრობის არაწევრი ექვსი ქვეყანა (ავსტრია, დანია, ნორვეგია, პორტუგალია, შვედეთი და შვეიცარია) თანამეგობრობის მეტოქე ეკონომიკური ბლოკის - თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის (*European Free Trade Association – EFTA* - ეფტა) დაარსების მოლაპარაკებების დაწყებისთვის მოიწვია. შემოთავაზებული ასოციაციით ბრიტანეთი ბევრს ვერაფერს მოიგებდა, ვინაიდან ბრიტანეთთან შედარებით ასოციაციის პოტენციური წევრი ქვეყნების ეკონომიკები ძალიან პატარა იყო, სკანდინავიურ სახელმწიფოებში კი ტარიფები ისედაც დაბალი იყო. ეფტა-ს მთავარი მიზანი ის იყო, რომ ევროპულ თანამეგობრობა თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბებაზე მოლაპარაკებების განახლების წნეხის ქვეშ მოექცია და მოლაპარაკებების ხელახალი დაწყება აეძულებინა. ბრიტანეთი იმედოვნებდა, რომ აშშ, რომელიც შეშფოთებული იყო ევროპის ექვსეულად და შვიდეულად (ევროპული თანამეგობრობის ექვსი და თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის შვიდი წევრი) დაყოფის გამო, ერთხელ და საბოლოოდ ბოლოს მოუღებდა ევროპულ თანამეგობრობას.

ამერიკის შეერთებულ შტატებს არ მოსწონდა ეფტა. აშშ-ის აზრით, იგი ევროპულ თანამეგობრობასთან შედარებით ეკონომიკურად გაცილებით ნაკლებ მომგებიანი იყო. ერთიან ბაზარს ჰქონდა იმის პოტენციალი, რომ გაეზარდა ვაჭრობა არა მხოლოდ თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს შორის, არამედ ასევე ევროპულ თანამეგობრობასა და აშშ-ს შორის. ამასთან, აშშ-თვის თანამეგობრობა პოლიტიკურადაც მნიშვნელოვანი იყო: იგი უზრუნველყოფდა დასავლეთ გერმანიის დასავლეთ ევროპაში

მჭიდრო ინტეგრაციას; გააძლიერებდა დასავლეთ ევროპის შესაძლებლობას, რომ წინ აღდგომოდა კომუნისტურ საფრთხესა და საბჭოთა წნეხს და რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად მხარდამხარ მდგარიყო ძლიერ ტრანსატლანტიკურ თანამეგობრობაში.

ამის მიუხედავად, აშშ ცდილობდა საჯაროდ არ შეწინააღმდეგებოდა ეფტა-ს. მხოლოდ მას შემდეგ დაკარგა ვაშინგტონმა ლონდონისადმი ნებისყოფა, როდესაც ეფტა-ს დაფუძნების მოლაპარაკებები გაღრმავდა. აშშ-ს აზრით, ყველასთვის საუკეთესო გამოსავალი თანამეგობრობის ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა და გატტ-ის მოლაპარაკებების წარმატებული რაუნდი იქნებოდა. ამდენად, საფრანგეთი, გერმანია და აშშ ერთმანეთთან სრულ თანხმობაში იყვნენ. ერჰარდმაც კი, რომელიც სასიამოვნოდ გაკვირვებული იყო ვაჭრობის პოლიტიკაში ევროპული თანამეგობრობის ლიბერალური ორიენტაციითა და თანამეგობრობისადმი აშშ-ის მხარდაჭერით, საბოლოო ჯამში, უგულებელყო თავისუფალი ვაჭრობის სივრცის იდეა.

1959 წლის ბოლოსკენ აშშ-მა თავისი პოზიცია მკაფიოდ დააფიქსირა. აშშ-ში ბიზნესს ინტერესები შეშფოთებულები იყვნენ ეფტა-ს შექმნის პერსპექტივითა და მსოფლიოს მასშტაბით თავისუფალი ვაჭრობის რეგიონული სივრცეების გავრცელების შესაძლებლობით. ამიტომ მათგან შიდა წნეხის შედეგად, აშშ-ის ადმინისტრაცია იძულებული იყო ემოქმედა. აშშ-მა შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის უფრო ფართო ეკონომიკურ ორგანიზაციად გარდაქმნა და რომელშიც, აშშ, კანადა და, სავარაუდოდ, იაპონიაც იქნებოდა ჩართული. ეს იყო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (*Organization for Economic Cooperation and Development)* საფუძველი, რომელმაც დასავლეთ ევროპის მასშტაბით თავისუფალი ვაჭრობის სივრცის წინადადება საბოლოოდ დაასამარა.

საფრანგეთმა და გერმანიამ აშშ-ის შემოთავაზება სწრაფად, ბრიტანეთმა კი ყოყმანითა და ენთუზიაზმის გარეშე გაიზიარა. ლონდონში კვლავ ფიქრობდნენ, რომ ევროპული თანამეგობრო-

ბა პროტექციონისტული ბლოკი იყო, რომლის ლიბერალიზებაც მხოლოდ ეფტა-ს გავლენით შეიძლებოდა მომხდარიყო. ეფტა-ს საკითხებში აშშ-ს ბრიტანეთთან 1960 წლის განმავლობაში რთული ურთიერთობები ჰქონდა. ამის პარალელურად, მაკმილანი ამერიკას აფრთხილებდა დასავლეთ ევროპულ უსაფრთხოებაზე ეფტა-ევროპული თანამეგობრობის გაყოფის შესაძლო შედეგების შესახებ. ასევე, იმის შესახებაც, რომ ბრიტანეთს შესაძლოა გერმანიიდან თავისი საჯარისო ნაწილები გამოეყვანა. ამ მოვლენების გათვალისწინებით, მომდევნო წელს მაკმილანის პოზიციის რადიკალური შეცვლა, რაც ევროპულ თანამეგობრობაში ბრიტანეთის მიერ გაწევრიანების აპლიკაციის გააქტიურებაში გამოიხატა. ნადვილად აღსანიშნავი მოვლენა იყო.

ევროპული თანამეგობრობის დაფუძნებამ საფრანგეთი, გერმანია და აშშ ეკონომიკურ საკითხებში ერთმანეთთან დააახლოვა, ბრიტანეთი კი, პირიქით, გარიყა. დე გოლის ძალაუფლებაში დაბრუნებით ევროპული თანამეგობრობისთვის საფრთხის შექმნის არგუმენტი ჯერჯერობით უსაფუძვლო იყო. საფრანგეთის ეკონომიკური პროტექციონიზმისა და სუპრანაციონალიზმისადმი დე გოლის მტრული დამოკიდებულების მიუხედავად, 1959 წელს საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკამ ევროპული თანამეგობრობის პირველ სატარიფო შეკვეცები და კვოტების ზრდა მაინც განახორციელა, თავისუფალ სავაჭრო სივრცეს შეეწინააღმდეგა და თანამეგობრობის საკმაოდ ლიბერალურ კომერციულ პოლიტიკას დაუჭირა მხარი. შედეგად, ევროპული თანამეგობრობის პერსპექტივა 1960 წელს გაცილებით ნათელი გახდა, ვიდრე ეს 1958 წლის ბოლოსთვის იყო.

საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა (სსმპ)

საფრანგეთის დაჟინებული მოთხოვნით, წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ რომის ხელშეკრულების ფარგლებში დააფუძნებდნენ საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკას (სსმპ). 1950-იანი წლების ბოლოსკენ მსხვილი ეროვნული სუბსიდიების წყა-

ლობით, საფრანგეთი იმაზე მეტ საკვებ პროდუქტს აწარმოებდა, ვიდრე სჭირდებოდა. სუბსიდიების შემცირებით მთავრობები ვერ ბედავდნენ ფერმერების ძლევამოსილი ლობის ანტაგონიზებას, განაწყენებას (არადა ქვეყანას უჭირდა სუბსიდიებში ამდენი ფინანსების ჩადება). არც დე გოლი იყო ამ მხრივ გამონაკლისი. საფრანგეთი შეეცადა, მისი ჭარბი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი განეხორციელებინა (რაც ჭარბი საქონლის დასაწყობებასა ან განადგურებასთან შედარებით უფრო იაფი ალტერნატივა იყო), მაგრამ ფრანგული სუბსიდირებული პროდუქტი არ იყო კონკურენტული საერთაშორისო ბაზრებზე. შესაბამისად, ქვეყანას ესაჭიროებოდა ან საექსპორტო ბაზრები გარანტირებულად მაღალი ფასებით ან მსხვილი სუბსიდიები ექსპორტირებულ პროდუქტებზე. ამით საფრანგეთი შეძლებდა იმ განსხვავების აღმოფხვრას, რაც არსებობდა მაღალ ფრანგულ ფასებსა და დაბალ საერთაშორისო ფასებს შორის. საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკით საფრანგეთს ორივეს მიღების საშუალება ჰქონდა: ევროპული თანამეგობრობის მასშტაბის ბაზრის გარანტირებულად მაღალი ფასებით და თანამეგობრობიდან ექსპორტირებულ პროდუქტებზე სუბსიდიების.

ამით საფრანგეთი, ფაქტობრივად, ორი ქვეყნის კურსის წინააღმდეგ წავიდა: გერმანიის და აშშ-ის. საფრანგეთთან შედარებით, გერმანიას ნაკლები რაოდენობის ფერმერები ჰყავდა (მთლიანი მოსახლეობის 15%, მაშინ, როდესაც საფრანგეთში ეს მაჩვენებელი 23% იყო). გერმანიაც ახდენდა მისი ფერმერების სუბსიდირებას, მაგრამ ისინი ვერასდროს აწარმოებდნენ იმდენ პროდუქტს, რომ მთლიანი მოსახლეობა გამოეკვებათ. შესაბამისად, გერმანია საკვების დიდი რაოდენობით იმპორტს ახორციელებდა. საფრანგეთი ცდილობდა გერმანული ბაზრის ათვისებას, მაგრამ მისი პროდუქტები არ იყო კონკურენტული სხვა ქვეყნების, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების, შედარებით იაფ პროდუქტებთან შედარებით. თავის მხრივ, აშშ-ს არ სურდა გერმანიის ან ევროპული თანამეგობრობის წევრი სხვა ქვეყნების ბაზრებიდან საფრანგეთის მიერ მხარდაჭერილი სა-

ერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის გამო ყოფილიყო გამოდევნილი.

საფრანგეთს სსმპ-სთან დაკავშირებით ურთიერთობები კომისიასთანაც დაეძაბა. კომისიაში სოფლის მეურნეობის დიდ და გავლენიან გენერალურ დირექტორიაზე პასუხისმგებელი ნიდერლანდების ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრი და, ამავე დროს, კომისიის ვიცე-პრეზიდენტი სიკო მანსჰოლტი იყო. თეორიულად, სსმპ გულისხმობდა გაზიარებულ სუვერენიტეტსა და კომისიის უზენაესობას. თუმცა, პრაქტიკაში, საფრანგეთსა და სხვა წევრ ქვეყნებს არ სურდათ სოფლის მეურნეობაზე პასუხისმგებლობის მთლიანად კომისიისთვის გადაცემა. საფრანგეთის მოთხოვნით, წევრმა ქვეყნებმა ბრიუსელში დააარსეს ეროვნული წარმომადგენლობების მუდმივი კომიტეტი - *სოფლის მეურნეობის სპეციალური კომიტეტი (Special Committee on Agriculture)*, რომელიც სსმპ-ს საკითხებში კომისიასთან ურთიერთობდა და ანგარიშს პირდაპირ სოფლის მეურნეობის მინისტრებს აბარებდა.

სსმპ-ის რეალიზებისთვის დე გოლს კომისიასთან ერთად უნდა ემუშავა (ხელშეკრულების მიხედვით, კომისია ახდენდა წინადადებების ინიცირებას და გადაწყვეტილებების იმპლემენტაციას). თუმცა, დე გოლმა უარყო სუპრანაციონალიზმი და უნდობლობა გამოუცხადა აშკარა ევროფედერალისტსა და ეკონომიკურ ლიბერალს მანსჰოლტს. ასე დაიწყო (საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის გამო) საფრანგეთსა და კომისიას შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლა. ორივე მხარეს სჭირდებოდა ერთმანეთი, მაგრამ არ ენდობოდნენ ერთმანეთს.

თუმცა, გადამწყვეტი ბრძოლა არ დაწყებულა 1960 წლამდე, ანუ იქამდე, სანამ კომისიამ სსმპ-ის წინადადების და რამდენიმე რეგულაციის პროექტი არ წარადგინა. კომისიის მთავარი საზრუნავი თანამეგობრობის მასშტაბით სოფლის მეურნეობის ბაზრების ისეთი ორგანიზება იყო, რომელიც ფერმერებს ცხოვრების პირობებს მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებდა, მაგრამ, ამავე დროს, გადამეტებულად ჭარბი პროდუქციის წარმოებას არ შეუწყობდა ხელს, ძვირი არ დაჯდებოდა და თანამეგობრო-

ბის სავაჭრო პარტნიორებს არ გაანაწყენებდა. ეს დავალება განსახორციელებლად შეუძლებელი აღმოჩნდა. ერთი მხრივ, კომისიას სურდა, რომ სსმპ-ის მაქსიმალურად დიდი ნაწილი თავისუფალი პრინციპზე ყოფილიყო დაფუძნებული. მეორე მხრივ კი, კომისიამ დაიწყო საბაზრო ინტერვენცია, მათ შორის, ძირითად პროდუქტებზე ფიქსირებული ფასები და გარანტირებული გაყიდვები, ასევე, სოფლის მეურნეობის იმპორტირებულ საქონელზე ცვალებადი დაბეგვრის სისტემა (ცვალებადი იმიტომ, რომ მსოფლიოს დაბალ ფასებსა და თანამეგობრობის მაღალ ფასებს შორის სხვაობა ფასების მერყეობასთან ერთად იცვლებოდა). საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის დანახარჯები იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ ვინ დაადგენდა ფასებს. ფერმერების ზეგავლენით, საბჭოს მაღალი ფასები სურდა. საბჭოსთან შედარებით, ფერმერებს კომისიაზე ნაკლები ზეგავლენა ჰქონდათ, ამიტომ კომისიას შედარებით დაბალი ფასების დაწესება სურდა. მათ შორის მიღწეული კომპრომისით, გადაწყდა, რომ მინისტრთა საბჭო დაადგენდა ფასების ზოგად გაიდლაინებს, რომელთა ფარგლებშიც კომისია მოგვიანებით განსაზღვრავდა კონკრეტულ პროდუქტზე ზუსტ ფასს.

საფრანგეთი მხარს უჭერდა ინტერვენციულ სსმპ-ს, რომელშიც მინისტრთა საბჭოს იმაზე მეტი როლი ჰქონდა, რაც კომისიას სურდა. გერმანიაში ამასთან დაკავშირებით აზრი ორად იყო გაყოფილი. ერჰარდი და სხვა ეკონომიკური ლიბერალები აპროტესტებდნენ იმას, რომ სსმპ ზედმეტად პროტექციონისტული იყო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ფერმერები კი აპროტესტებდნენ, რომ იგი არ იყო საკმარისად პროტექციონისტული და რომ იგი გერმანელი ფერმერების შემოსავლის შემცირებას გამოიწვევდა. 1961 წლის ივნისში დე გოლმა განაცხადა, რომ 1961 წლის ბოლოსთვის საბაჟო კავშირის მეორე ეტაპზე გადასვლას დაბლოკავდა, თუ ამ დროისთვის სსმპ-თან დაკავშირებით წევრი ქვეყნები ვერ მიაღწევდნენ შეთანხმებას. ადენაუერი გაოცებული იყო იმით, თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდა დე გოლი სსმპ-ს ჰარმონიული ფრანგულ-გერმანული ურთიერთობების განვითარებაში (რომელიც, თავის მხრივ, გერმანიის კან-

ცლერის უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტს წარმოადგენდა).

1961 წლის დეკემბრის შუა რიცხვებიდან 1962 წლის იანვარის შუა პერიოდამდე საბჭოს რამდენიმე ლეგენდარული, ისტორიული შეხვედრა გაიმართა. ტექნიკურად ისინი 31 დეკემბერს შუაღამისას წარმატებით დასრულდა და, შესაბამისად, შესაძლებელი გახდა ერთიანი ბაზრის პროგრესი. სოფლის მეურნეობაზე მოლაპარაკებები პრინციპში საფრანგეთსა და გერმანიას შორის მიმდინარეობდა. საბოლოოდ, გერმანიამ გაიზიარა საფრანგეთის პოზიცია იმის ნაცვლად, რომ მიიღებდა ინდუსტრიულ საბაჟო კავშირს (რაც, სოფლის მეურნეობის ერთიან ბაზართან შედარებით, გერმანიისთვის ეკონომიკურად უფრო მომგებიანი იყო).

ამ კონფლიქტის შედეგი საფრანგეთისთვის დიდი გამარჯვება იყო არა მხოლოდ გერმანიასთან მიმართებაში, რომელიც სსმპ-ის მთავარი დამფინანსებელი გახდა, არამედ კომისიასთან მიმართებაშიც, რომლის კომპეტენციებიც (კომისიის საწყის წინადადებასთან შედარებით) მინიმუმამდე დავიდა. გერმანიის მთავრობის მსგავსად, კომისიამაც თანხმობა განაცხადა საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკაზე, როგორც ინტეგრაციის გაღრმავებისთვის გაღებულ ხარკზე.

ამერიკელი ფერმერები და მათი პოლიტიკური მხარდამჭერები შიშობდნენ, რომ შეიძლება მომგებიანი ევროპული ბაზარი მათთვის დახურულიყო. თუმცა, ამერიკის შეერთებული შტატები, ევროპული ინტეგრაციის გაღრმავების სანაცვლოდ, იძულებული იყო მიეღო საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა. სხვა სიტყვებით, აშშ იძულებული იყო პოლიტიკური მიზნებისთვის ეკონომიკური საშუალებები გაეწირა.

სოფლის მეურნეობამ, ევროპულ თანამეგობრობაში ბრიტანეთის გაწევრიანების აპლიკაციამ და ევროპის მომავლის შესახებ კონკურენციულმა და კონფრონტაციულმა დიზაინებმა ევროპული თანამეგობრობის ისტორიაში პირველი კრიზისი წარმოშვა - 1963 წლის იანვარში დე გოლმა ბრიტანეთის აპლიკაციას ვეტო დაადო.

ბრიტანეთს დასავლეთ ევროპულ ბაზრებზე იოლი შესვლა სურდა. ამის მიღება ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანებით მარტივად შეიძლებოდა. არც ბრიტანეთის თანამეგობრობა და არც თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია არ იყო ევროპული თანამეგობრობის ადეკვატური ალტერნატივა. თუმცა, გაწევრიანებას შიდა პოლიტიკაში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, რომლებიც ძირითადად სუვერენიტეტის შესაძლო დაკარგვით იყვნენ შეშფოთებულნი. მათ გასანეიტრალებლად მაკმილანმა ხელოვნურად დაწია გაწევრიანების პოლიტიკური მნიშვნელობა და ამ პროცესს ექსკლუზიურად ეკონომიკური დახასიათება მისცა. 1961 წლის აგვისტოში ბრიტანეთმა ევროპულ თანამეგობრობას გაწევრიანების თხოვნით მიმართა.

ბრიტანეთის აპლიკაცია დაემთხვა კენედის ახალი ადმინისტრაციის მიერ დაწყებულ გრანდ დიზაინის (*Grand Design*) პოლიტიკას. ამით ამერიკის შეერთებული შტატები შეეცადა (ევროპელების გულის მოსაგებად, რომლებიც სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგებოდნენ აშშ-ის დომინანტურ როლს აშშ-დასავლეთ ევროპის ურთიერთობებში) ტრანსატლანტიკური ურთიერთობები უფრო მეტ თანასწორობაზე აეგო და ალიანსის პოლიტიკური ერთიანობა გაეძლიერებინა. კომისიის პრეზიდენტის ჰოლშტაინის ხედვა ევროპისა და ტრანსატლანტიკური ურთიერთობების დიზაინის შესახებ კენედის გეგმებთან თანხმობაში მოდიოდა. ნიუ იორკში აკადემიურ საზოგადოებასთან მიმართვაში, ჰოლშტაინმა აშშ-ის ფედერალიზმისა და ევროპული ინტეგრაციის ისტორიები ერთმანეთს შეადარა. როგორც მან აღნიშნა, თანამეგობრობა მუდმივად განვითარებადი ორგანიზმი, შექმნის პროცესში მყოფი

ფედერაცია იყო. მან, ასევე, მოიწონა იდეა, რომლის მიხედვითაც გრანდ დიზაინის ცენტრალური ნაწილი ტრანსატლანტიკური პარტნიორული ურთიერთობები უნდა ყოფილიყო.

თუმცა, დე გოლს რადიკალურად განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდა ევროპული კავშირისა და ტრანსატლანტიკური ურთიერთობების ისტორიასა და კონკურენტულ ხედვებზე. მისთვის ევროპის მომავალი დაფუძნებული იყო არა სუპრანაციონალიზმზე, არამედ ინტერგავერნმენტალიზმზე; ფედერალური ევროპის ნაცვლად, დე გოლისთვის მისაღები იყო „სახელმწიფოების ევროპა“ (*Europe of the states*); და დე გოლის აზრით, ნატო-ში ევროპა აშშ-ის თანასწორი იყო და არა ვაშინგტონის სამხედრო მოსამსახურე. ბრიტანეთი, ერთი მხრივ, იზიარებდა დე გოლის ნეგატიურ დამოკიდებულებას სუპრანაციონალიზმთან დაკავშირებით, მაგრამ, მეორე მხრივ, მისთვის მისაღები იყო ვაშინგტონის ხედვა ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებით (ხედვა, რომლის ევრო-ამერიკული თანასწორობის ფასადის მიღმაც აშშ-ის ჰეგემონია ინიღბებოდა).

აშშ-ის გრანდ დიზაინის მნიშვნელოვან ნაწილს დიდი ბრიტანეთი წარმოადგენდა. შესაბამისად, აშშ-თვის ერთიანი ევროპის ბირთვში - ევროპულ თანამეგობრობაში - ბრიტანეთის არყოფნა პოლიტიკურად უცნაური და მიუღებელი იყო. ამიტომ ამერიკელები კმაყოფილები დარჩნენ, როდესაც 1961 წლის დასაწყისში ბრიტანეთმა თანამეგობრობის წევრობის სურვილი გამოთქვა. თუმცა, მათ კარგად ესმოდათ, რომ ეს გადაწყვეტილება ყველასთვის ისე უნდა ყოფილიყო აღქმული, როგორც ბრიტანეთის მიერ დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილება. სხვა შემთხვევაში, საფრანგეთი ბრიტანეთის ამ ქმედებაში „ანგლო-საქსურ შეთქმულებას“ დაინახავდა.

1961 წლის აპრილში კენედიმ ადენაურთან საუბარში განაცხადა, რომ ატლანტიკური თანამეგობრობისთვის საუკეთესო გამოსავალი ევროპულ თანამეგობრობაში ბრიტანეთის უპირობო მიღება იქნებოდა. მაგრამ აშშ შიშობდა, რომ დე გოლი პოლიტიკური მიზეზებით ბრიტანეთის აპლიკაციისადმი დადებითად არ იქნებოდა განწყობილი. მართლაც, 1961 წლის ივნისში დე გოლმა

კენედის უთხრა, რომ ბრიტანეთის წევრობასთან დაკავშირებით მას „ან-ან“ პოზიცია ჰქონდა: ან სრული წევრობა ან უარი. სხვა სიტყვებით, საფრანგეთი სიამოვნებით მიიღებდა ბრიტანეთს თანამეგობრობაში, თუ იგი უპირობოდ სცემდა პატივს რომის ხელშეკრულების მუხლებს. ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პოლ-ჰენრი სპააკმა (რომელსაც ვაშინგტონში იმაზე მეტი გავლენა ჰქონდა, ვიდრე მისი ქვეყნის ზომა „იმსახურებდა“) თავის კოლეგებს განუცხადა, რომ დე გოლს არ სურდა ბრიტანეთის წევრობა, ვინაიდან ამით თანამეგობრობაში საფრანგეთის წამყვან როლს საფრთხე შეექმნებოდა.

ფუშეს გეგმა

1959 -1962 წლებში, შესაძლო ევროპული პოლიტიკური კავშირის მხარდაჭერის მიზნით, დე გოლმა ორი წინადადება წარმოადგინა. პირველი იყო ექვს წევრ სახელმწიფოს შორის „საგარეო პოლიტიკის თანამშრომლობა“ (*foreign policy cooperation*), რომელსაც პარიზში სამდივნო გაუწევდა დახმარებას. სხვა წევრ ქვეყნებს არ სურდათ სამდივნო. საგარეო საქმეთა მინისტრები პოლიტიკურ თანამშრომლობაზე დისკუსიებისთვის სულ ორჯერ შეიკრიბნენ, რის შემდეგაც 1960 წლის სექტემბრის პრესკონფერენციაზე დე გოლმა უფრო ამბიციური წინადადება წარმოადგინა. დე გოლის შემოთავაზებით, თანამეგობრობის ექვსი წევრი ქვეყნის ან მთავრობის მეთაურის მონაწილეობით უნდა გამართულიყო რეგულარული შეხვედრები, რომლის დროსაც მოხდებოდა ინტერგავერნმენტალისტური თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სამხედრო საკითხებში. დე გოლმა ეს წინადადება ნატო-ს რეფორმის პროცესს დაუკავშირა.

1961 წელს და 1962 წლის დასაწყისში კომიტეტი ფრანგი ელჩის კრისტიან ფუშეს ხელმძღვანელობით ამუშავებდა ამ ინიციატივას. დელეგაციების ნაწილი ეჭვის თვალით უყურებდა დე გოლის განზრახვებს. კერძოდ, ჰოლანდიელები და ბელგიელები შიშობდნენ, რომ ევროპულ თანამეგობრობაში ფრანგული ან

ფრანგულ-გერმანული ჰეგემონია ჩამოყალიბდებოდა. ამიტომ მათ სურდათ, რომ მოლაპარაკებებში ბრიტანეთსაც, როგორც წევრობის კანდიდატ ქვეყანასაც, მიეღო მონაწილეობა. ისინი, ასევე, წუხდნენ იმაზეც, რომ დე გოლის გეგმები შეიძლება ნატო-ზე უარყოფითად ასახულიყო. მოლაპარაკებები დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში შეთანხმებისა და კოლაფსის ზღვარზე მიმდინარეობდა. ბოლოს, ნიდერლანდებმა უარი განაცხადა მონაწილეობაზე მანამ, სანამ ბრიტანეთიც არ იქნებოდა მასში ჩართული. დე გოლმა უარყო ეს მოთხოვნაზე, ვინაიდან ბრიტანეთს სხვა ხედვა ჰქონდა ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებით. შესაბამისად, 1962 წლის აპრილში მოლაპარაკებები ჩავარდა. დე გოლისთვის ეს მოულოდნელობა არ ყოფილა. მისი გადამეტებული მოთხოვნების გამო, მას არც ჰქონდა იმის მოლოდინი, რომ ე.წ. ფუშეს გეგმა აუცილებლად განხორციელდებოდა. მოლაპარაკებების კოლაფსის შემდეგ, დე გოლმა მთელი სტრატეგიული ყურადღება გერმანიასთან ორმხრივ ურთიერთობებსა და ნატო-ში ცალმხრივ ქმედებებზე გადაიტანა.

დე გოლის უარი

1962 წლის დეკემბერში კენედიმ და მაკმილანმა ნასაუში მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ბრიტანეთის პოტენციურად დამოუკიდებელ ბირთვულ ძალებს ამერიკა რაკეტებით მოამარაგებდა. ამით დე გოლმა გაიმყარა თავისი არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ბრიტანეთი აშშ-ის მოსამსახურე და „ჯაშუში“ იყო. როგორც უკვე აღინიშნა, ვაშინგტონს ატლანტიკური ურთიერთობების განვითარება ევროპული თანამეგობრობის გარეშე ვერ წარმოედგინა, დე გოლს კი არ მოსწონდა პარტნიორული ურთიერთობების ის ტიპი, რისი ჩამოყალიბებაც აშშ-ს სურდა. ამიტომ ნასაუს შეთანხმებით დე გოლისთვის ნათელი იყო ის პოტენციური პოლიტიკური სირთულეები, რაც შეიძლება საფრანგეთისთვის ბრიტანეთის ევროპულ თანამეგობრობაში განევრიანებას შეექმნა.

ნასაუს შეთანხმება ბრიტანეთის წევრობის პერსპექტივისთვის ამაზე უფრო ცუდ და შეუფერებელ დროს ვერ გაფორმდებოდა. ბრიუსელში მოლაპარაკებების ისედაც კრიტიკულ ეტაპზე იყო. ბრიტანეთს არ შეეძლო დე გოლის ეჭვების უგულვებელყოფა და რომის ხელშეკრულების მთლიანად გაზიარება. ბრიტანელები სუპრანაციონალიზმისადმი სკეპტიკურად განწყობილები დარჩნენ (ამ სკეპტიციზმს დე გოლიც იზიარებდა), მაინც საკუთარ ყოფილ კოლონიებთან თანამეგობრობას სცემდნენ მეტ პატივს, და სოფლის მეურნეობის ისეთი სისტემა სურდათ, რომელიც ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სსმპ-სთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. ბრიტანეთი მოლაპარაკებების დროს ბევრ დათმობაზე წავიდა, თუმცა, არა იმდენზე, რომ საფრანგეთის და სხვა წევრი ქვეყნების დაყოლიება მოეხერხებინა.

დე გოლის საბოლოო პოზიციის ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად დააჩქარა სწორედ სსმპ-დმი ბრიტანეთის დამოკიდებულებამ. 1963 წლის იანვარში პარიზში გამართულ პრესკონფერენციაზე დე გოლმა დრამატული ფორმით უარი განაცხადა ბრიტანეთის წევრობის აპლიკაციაზე. მისი გადაწყვეტილების მიზეზი, ალბათ, გასაგები იყო: მან მოახერხა წევრი ქვეყნების დაყოლიება იმაზე, რომ გაეზიარებინათ სოფლის მეურნეობის დე გოლისეული წინადადებები; ბრიტანეთის გაწევრიანების შემთხვევაში კი მისგან ძლიერ და, შესაძლოა, გადაულახავ წინააღმდეგობასაც წააწყდებოდა, ვინაიდან ბრიტანეთს სოფლის მეურნეობის რადიკალურად განსხვავებული ინტერესები და პოლიტიკური გავლენა ჰქონდა. ამიტომ დე გოლი საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის სრულყოფამდე ვერ დაუშვებდა ბრიტანეთის ევროპულ თანამეგობრობაში მიღებას. ეს იყო ის ძირითადი იდეა, რაც დე გოლმა პრესკონფერენციაზე წინასწარ გამზადებულ კითხვაზე ასევე წინასწარ მომზადებულ და დამუშავებულ პასუხში იგულისხმა. ეს, ფაქტობრივად, ბრიტანეთის აპლიკაციაზე ვეტოს დადებას ნიშნავდა.

საფრანგეთმა ამ მიმართულებით ფორმალური ნაბიჯები 1963 წლის ბოლოს საბჭოს შეხვედრაზე გადადგა, როდესაც ბრიტანეთის გაწევრიანებას შეეწინააღმდეგა და სხვა წევრ ქვეყნებს

გაწევრიანების მოლაპარაკებების დასრულებისკენ მოუწოდა. სხვა წევრმა სახელმწიფოებმა გააპროტესტეს დე გოლის ცალმხრივი და აგრესიული ქმედებები. დე გოლის პიროვნებისა და წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, პრინციპში, ისინი გაკვირვებულები უკვე აღარ იყვნენ. დე გოლის საქციელმა დააჩქარა კრიზისი ევროპულ თანამეგობრობაში. ბენილუქსის ქვეყნები გაბრაზებულები იყვნენ მინისტრთა საბჭოში საფრანგეთის სიჯიუტითა და გულგრილი დამოკიდებულებით. უფრო მეტიც, ჰოლშტაინმა მიანიშნა, რომ თანამეგობრობას არავისთვის უნდა მიეცა ნება, რომ ყოფილიყო საერთაშორისო ურთიერთობებში ჰეგემონიის, შურისძიებისა და შანტაჟის ძველი მეთოდების მსხვერპლი. ამ სიტყვების მიუხედავად, თავად ჰოლშტაინიც, ამავე დროს, აფასებდა იმას, რომ უახლოეს მომავალში ბრიტანეთი არ იქნებოდა ევროპული თანამეგობრობის წევრი. თანამეგობრობამ შედარებით იოლად გადაიტანა დე გოლის მიერ ვეტოს დადებით გამოწვეული შოკი, ვიდრე ეს შეიძლება ბრიტანეთის გაწევრიანებას გამოეწვია, ვინაიდან ამ უკანასკნელის შემთხვევაში, თანამეგობრობაში შევიდოდა ისეთი დიდი ქვეყანა, რომელიც თანამეგობრობის უმთავრეს პრინციპებსა და პოლიტიკის მიმართულებებს არა თუ უბრალოდ არ იზიარებდა, არამედ ძლიერ ეწინააღმდეგებოდა კიდეც.

ბრიტანეთმა დე გოლის უარი ეროვნულ შეურაცხყოფად მიიღო. მართლაც, ვეტოს პოლიტიკური შედეგები გამაოგნებელი იყო. დე გოლისგან პიროვნულად შეურაცხყოფილი მაკმილანი მალევე, გაუარესებული ჯანმრთელობის მიზეზით გადადგა. ის პირველი პოლიტიკური მსხვერპლი აღმოჩნდა იმათგან, ვინც ევროპულ თანამეგობრობასთან ბრიტანეთის ურთიერთობას შეეწირა.

1963 წლის იანვრის ბოლოს, ერთი კვირის შემდეგ იმ კონფერენციისგან, რომლის დროსაც დე გოლმა უარყო ბრიტანეთის კანდიდატურა, დე გოლმა და ადენაუერმა ელისეის სასახლეში ფრანგულ-გერმანულ თანამშრომლობაზე ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ფუშეს გეგმის ჩავარდნის შემდეგ, დე გოლს ეს ხელშეკრულება პოლიტიკური კავშირისკენ სვლის ალტერნატიულ ვარიანტად წარმოედგინა. კომისია, პატარა წევრი ქვეყნები და იტალია ამ ახალი ხელშეკრულების პოტენციური შედეგებით უფრო მეტად იყვნენ შეშფოთებულები, ვიდრე ბრიტანეთისთვის გამოცხადებული ვეტოთი. ჩამოყალიბების პროცესში მყოფ მჭიდრო ფრანგულ-გერმანულ თანამშრომლობით ღერძთან დაკავშირებით მათ უკვე ისედაც ჰქონდათ კითხვის ნიშნებით. ამ ხელშეკრულებით კი, როგორც ისინი შიშობდნენ, ევროპულ თანამეგობრობაში საფრანგეთ-გერმანიის ჰეგემონიის ინსტიტუციონალიზაცია მოხდებოდა. ჰოლშტაინი ფიქრობდა, რომ ადენაუერი დე გოლის სრული გავლენის ქვეშ იყო. ერთ დროს ახლო კოლეგებს, ჰოლშტაინსა და ადენაუერს, თანამეგობრობის პოლიტიკურ პერსპექტივებთან დაკავშირებით ამჯერად ფუნდამენტურად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ.

აშშ-მა დე გოლის პრესკონფერენციასა და ელისეის ხელშეკრულებას შორის კავშირი დაინახა: თავის პრესკონფერენციაზე დე გოლმა უარი განაცხადა ევროპულ თანამეგობრობაში ბრიტანეთის წევრობაზე, ანუ ვაშინგტონის გრანდ დიზაინის განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილზე; ელისეის ხელშეკრულებით კი იგი შეეცადა, გერმანია ევროპის იმ დიზაინში ჩაერთო, რომელიც საფრანგეთის მიერ იყო შემუშავებული და რომელიც ვაშინგტონის ვარიანტის კონკურენტს წარმოადგენდა. ადენაუერი შეეცადა, „დაემშვიდებინა“ და დაერწმუნებინა ამერიკელები, რომ ელისეის ხელშეკრულება არ შეასუსტებდა გერმანიის მიერ ევროპული ინტეგრაციისა და ატლანტიკური პარტნიორობისადმი მხარდაჭერას. ბოლოს და ბოლოს, ფრანგულ-გერმანული

მეგობრობა ხომ სრულად იყო თანხმობაში ომისშემდგომ იმ ევროპულ პოლიტიკასთან, რაც გერმანიას და აშშ-ს გააჩნდათ?!

თუმცა, ეს დარწმუნება არ აღმოჩნდა საკმარისი არც ამერიკისთვის და არც ადენაუერის შიდა კრიტიკოსებისთვის. აშშ-მა მხოლოდ მაშინ გამოხატა კმაყოფილება, როდესაც გერმანიის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია (რომელიც თან დაერთო ელისეის ხელშეკრულებას), რომელშიც გერმანია კიდევ ერთხელ გამოხატავდა თავის ვალდებულებას და პატივისცემას ევროპულ თანამეგობრობის, ნატო-ს და გატტ-ის მიმართ. ადენაუერისთვის ეს რეზოლუცია შემაცბუნებელი იყო (საკუთარი პარტიის წამყვანმა წევრებმაც კი მხარი დაუჭირეს რეზოლუციას). პრაქტიკული გაგებით, ფრანგების მოსაზრებით, ამ რეზოლუციამ ძალა, გავლენა შეუსუსტა ხელშეკრულებას და გააბრაზა, გაანაწყენა დე გოლი. 1963 წლის ბოლოს ადენაუერის გადადგომამ და კანცლერად ერჰარდის დანიშვნამ კი საბოლოოდ დაუსვა წერტილი ბონში გერმანელი გოლისტების აღმასვლას და გერმანულ-ამერიკული ურთიერთობები კვლავ ძველებურ ყაიდაზე დააბრუნა.

1963 წლის იანვარში განვითარებულმა ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა საბოლოოდ შეცვალეს თეთრი სახლისა და სახელმწიფო ადმინისტრაციის დამოკიდებულება დე გოლისადმი. დე გოლს აშშ-ში ვერ იტანდნენ და მისი სახელის ხსენებაც კი ზოგიერთს ზიზღს ჰგვრიდა. დე გოლს ადანაშაულებდნენ იმაში, რომ მან ევროპა იმ ძველი დამანგრეველი ჩვევების (ფრაგმენტაციისა და ეროვნული ქიშპის) დაბრუნების წინაშე დააყენა, რომლებმაც წარსულში ორჯერ მიიყვანა მსოფლიო კატასტროფამდე. ამერიკის ზოგიერთი მაღალჩინოსნის რწმენით (რაც 1963 წლის ივნისში პრეზიდენტ კენედისადმი გაგზავნილ მემორანდუმში გააჟღერეს კიდეც), დე გოლის ძველი სტილის ქიშპური ნაციონალიზმი და ევროპული ერთიანობის სტრუქტურაზე თავდასხმა ყოვლად მიუღებელი იყო. უფრო მეტიც, დე გოლის ასეთი საქციელით საფრანგეთი სულ უფრო იხრებოდა აბსოლუტიზმისკენ. ამ პროცესში კი შესაძლოა ფრანგ კომუნისტებს ესარგებლათ და ძალაუფლებაში მოსულიყვნენ.

თუმცა, მათი შიშები ალბათ უსაფუძვლო იყო. მეხუთე რესპუბლიკა საფრანგეთის თანამედროვე ისტორიაში ყველაზე სტაბილური რეჟიმი იყო (და დარჩა კიდეც ასე დე გოლის შემდეგ). ევროპული ინტეგრაცია კი 1963 წელს განსაკუთრებით არ შეფერხებულა. პრინციპში, შეიძლება ითქვას ისიც, რომ საეჭვოა, დე გოლის არყოფნის შემთხვევაშიც კი, ევროპული თანამეგობრობა ფედერალური მიმართულებით რაიმე განსაკუთრებული პროგრესით წასულიყო.

დე გოლის მსოფლმხედველობამ, შეხედულებებმა კიდევ უფრო გარიყა პარიზი და ვაშინგტონი ერთმანეთისგან, განსაკუთრებით, ნატო-სთან და ბირთვულ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა, ევროპული თანამეგობრობა აღარ გამხდარა საფრანგეთსა და აშშ-ს შორის დაპირისპირების სფერო, არეალი. ამასთან, ამ პოლიტიკური პრობლემების მიუხედავად, ევროპული თანამეგობრობა არც ეკონომიკურად შესუსტებულა. საბაჟო კავშირი კვლავ იყო ინტერესის საგანი, პოლიტიკის სხვა მიმართულებები კი თანდათანობით მაინც ყალიბდებოდა.

ცარიელი სკამის კრიზისი და ლუქსემბურგის კომპრომისი

1963 წლის დაძაბული მდგომარეობა ჯერ ჩამცხრალი არ იყო, რომ ჰორიზონტზე ახალი კრიზისი გამოჩნდა. 1965 წლის ივლისში საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკისთვის ეროვნული შემოწირულობების სისტემას ვადა გასდიოდა. ამიტომ კომისიამ სსმპ-თვის ახალი ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ წინადადებები წარმოადგინა. 1970 წლიდან, ანუ საბაჟო კავშირის ჩამოყალიბების ბოლო, მესამე ეტაპის დასრულების შემდეგ, ევროპულ თანამეგობრობას „საკუთარი რესურსების" (*"own resources"*) მოძიება უნდა მოეხდინა. საკუთარი რესურსებში მოაზრებული იყო სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიული პროდუქტების იმპორტზე ის გადასახადები, რომლიდანაც სსმპ-ის მუდმივი დაფინანსება განხორციელდებოდა. ჰოლშტაინი მოუთმენლად ელოდა საკუთარი რესურსების შემოღებას იმიტომ,

რომ ეს, დიდი ალბათობით, გამოიწვევდა ეროვნული პარლამენტებიდან საბიუჯეტო ძალაუფლების ევროპული პარლამენტისთვის გადაცემას (რადგან სსმპ-თვის დაფინანსება მოხდებოდა არა ეროვნული ბიუჯეტებიდან, არამედ ევროპული თანამეგობრობის ბიუჯეტიდან). ამ პროცესში კი შეიძლება კომისიასაც მიეღო ბიუჯეტთან დაკავშირებული დამატებითი, ახალი ძალაუფლება. იმის ნაცვლად, რომ ახალი რესურსების 1970 წელს (ანუ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში) შემოღებას დალოდებოდა, ჰოლშტაინს ამ ცვლილების განხორციელება 1965 წელს სურდა (ამ დროისთვის სხვა დროებითი ფინანსური ინსტრუმენტი იყო გათვალისწინებული). ჰოლშტაინმა იცოდა, რომ დე გოლი ეწინააღმდეგებოდა პარლამენტისთვის და კომისიისთვის დამატებითი ძალაუფლების მინიჭებას. თუმცა, მან ისიც იცოდა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს „საკუთარი წყაროების“ შემოღება სურდა, რითაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა საფრანგეთის ფინანსურ ტვირთს. ჰოლშტაინი ფიქრობდა, რომ, საბოლოო ჯამში, დე გოლისთვის სასურველი ფინანსური ინსტრუმენტი არასასურველ პოლიტიკურ ინსტრუმენტზე უფრო მისაღები იქნებოდა და იგი მას ამჯობინებდა. ამიტომ კომისიის პრეზიდენტმა ეს სადავო საბიუჯეტო წინადადება 1965 წელს წარადგინა.

დასაწყისისთვის, კრიზისი ჰოლშტაინსა და დე გოლს შორის პიროვნული დაპირისპირებით დაიწყო. თავის მემუარებში, დე გოლი ჰოლშტაინს მიიჩნევდა, უპირველეს ყოვლისა, გერმანელად, რომელსაც თავის სამშობლოსთან დაკავშირებით დიდი ამბიციები ჰქონდა. არააპოლოგეტი ნაციონალისტი დე გოლისგან განსხვავებით, ჰოლშტაინს თავისი თავი ევროპული პოსტნაციონალიზმის პიროვნულ განსახიერებად მიაჩნდა. როგორც ჰოლშტაინი აცხადებდა, მას ძალაუფლების გამოხატულებები (მაგალითად, სიტყვა „პრეზიდენტი“, სასიამოვნო დიპლომატიური ნიუანსები, წითელი ხალიჩა და სხვა) სჭირდებოდა არა პიროვნული განდიდებისთვის, არამედ იმისთვის, რომ კომისიის პოლიტიკური ძალაუფლება გაემყარებინა და გამოეხატა. თუმცა, დე გოლი ღიზიანდებოდა ჰოლშტაინის პოლიტიკური ჟესტებით. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კომისიის პრეზიდენტს გან-

დიდების მანიით შეპყრობილს, თავად კომისიას კი უსამშობლო ტექნოკრატების გროვას უწოდებდა. დე გოლმა კარგად იცოდა ჰოლშტაინის ყველაზე დიდი სისუსტე: კომისიის პრეზიდენტი დანიშნული იყო და არა არჩეული.

ჰოლშტაინს რამდენიმე მეგობარი ჰყავდა ეროვნულ დედაქალაქებში, მაგრამ იგი პოლიტიკურად თითქმის მთლიანად იზოლირებული აღმოჩნდა. გერმანიის კანცლერი ჰოლშტაინის წინააღმდეგ საჯაროდ ვერ წავიდოდა, თუმცა, მან თავისი პოზიცია მკაფიოდ დააფიქსირა. ამიტომ ჰოლშტაინი იძულებული იყო უკან დაეხია. არც სხვა წევრ ქვეყნებს მოსწონდათ კომისიის საწყისი წინადადება. სანაცვლოდ, მათ სსმპ-თვის სხვა დროებითი ფინანსური ინსტრუმენტის მიღება სურდათ, რაზე შეთანხმებაც რთული იქნებოდა, დროში გაჭიანურდებოდა და, სავარაუდოდ, წინასწარ დადგენილ საბოლოო ვადამდე (1965 წლის 30 ივნისის შუაღამემდე) მისი მიღება ვერ მოხდებოდა. თუმცა, წინა გამოცდილებიდან უკვე არსებობდა პრეცენდენტი, როდესაც საბოლოო ვადამდე ხდებოდა ტექნიკურად შეთანხმების მიღწევა, მოლაპარაკებები კი კვლავ გრძელდებოდა. სწორედ ამის მოლოდინი ჰქონდათ ხუთ წევრ სახელმწიფოს, როდესაც 28 ივნისს საბჭოს შეხვედრას იწყებდნენ.

საფრანგეთის პროტესტი

წევრი ქვეყნები ბჭობდნენ, დე გოლი კი სხვანაირად ფიქრობდა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და საბჭოს თავმჯდომარემ მაურის კუვ დე მურვილმა განაცხადა, რომ მისმა პარტნიორებმა დაარღვიეს ვალდებულება (რომ ახალი ფინანსური ინსტრუმენტი მიეღოთ წინასწარ დადგენილ ვადებში) და 1 ივლისს მოულოდნელად დატოვა სხდომა. ამის შემდეგ, საფრანგეთმა საბჭოდან თავისი წარმომადგენლობა გამოიწვია (საფრანგეთმა თანამეგობრობის მხოლოდ რუტინულ საქმიანობაში მონაწილეობა გააგრძელა). ამას ეწოდა „ცარიელი სკამის“ კრიზისი იქიდან გამომდინარე, რომ საფრანგეთმა უარი განაცხადა,

დაეკავებინა თავისი ადგილი საბჭოს შეხვედრებზე, მისი სკამი ცარიელი იყო.

„ცარიელი სკამის“ კრიზისის სრული მასშტაბები რამდენიმე თვე უცნობი იყო. 1965 წლის სექტემბერში კი დე გოლმა ტიპიურად გრანდიოზული პრესკონფერენცია გამართა. დე გოლმა კომისიის კრიტიკით დაიწყო, შემდეგ კი განაცხადა, რომ მას არ სურდა კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის მუხლების ამოქმედება, რომლებიც 1966 წლის იანვარში უნდა შესულიყო ძალაში. დე გოლს ამის ორი მიზეზი ჰქონდა: პირველი, მან უარი განაცხადა კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრაზე, როგორც სუპრანაციონალიზმის პირდაპირ ნიშანზე; და მეორე, მას ეშინოდა, რომ პრაქტიკაში კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრა ნეგატიურად აისახებოდა სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაში საფრანგეთის ინტერესებზე (კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის გამოყენებით ლიბერალური წევრი ქვეყნების კოალიცია შეძლებდა სსმპ-ის შეცვლას და წყალში ჩაყრიდა საფრანგეთის მცდელობებს, დაეცვა სოფლის მეურნეობა გატტ-ის მოლაპარაკებები დროს). დე გოლი დაიმუქრა, რომ იგი გააგრძელებდა ბოიკოტირებას მანამდე, სანამ წევრი ქვეყნები არ შეთანხმდებოდნენ საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ახალ ფინანსურ ინსტრუმენტზე, სანამ კომისია არ დაიოკებდა თავის პოლიტიკურ ამბიციებს და სანამ რომის ხელშეკრულებიდან ამოღებული არ იქნებოდა კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის მუხლები.

სხვა წევრ ქვეყნებს არანაირი სურვილი არ ჰქონდათ, რომის ხელშეკრულება თავიდან გადაეხედათ, მიუხედავად იმისა, ეს მოსწონა დე გოლს, თუ არა. ისინიც სიფრთხილით ეკიდებოდნენ კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის გამოყენებას, მაგრამ არ აპირებდნენ დე გოლის პოლიტიკური შანტაჟის მსხვერპლად ყოფნას. ბრიტანეთის წევრობის აპლიკაციაზე ვეტოს დადების დროსაც და ამჯერადაც, ხუთივე წევრმა სახელმწიფომ ერთსულოვნად დაგმო დე გოლის გამაღიზიანებელი ორატორობა და ცალმხრივი მოქმედება. მათ ერთად დგომა და ერთ პოზიციაზე ყოფნა გადაწყვიტეს, ოღონდ კომისიის გარეშე. სპააკმა,

რომელიც სუპრანაციონალისტი იყო და დე გოლთან მეგობრობა ნამდვილად არ აკავშირებდა, პრობლემის გადასაჭრელად საბჭოს საგანგებო სხდომა მოიწვია. შეხვედრა საგანგებო იყო იმ გაგებით, რომ იგი რიგგარეშედ ტარდებოდა და მასზე დასასწრებად კომისია არ იყო მოწვეული.

1965 წლის ბოლოსთვის დე გოლი და ერჰარდი არჩევნებისთვის ემზადებოდნენ. ზემოაღნიშნულმა კრიზისმა გერმანულ არჩევნებზე თითქმის არანაირი გავლენა არ იქონია. გერმანული ბიზნესის და სოფლის მეურნეობის ინტერესები მხარს უჭერდნენ ერჰარდის ქმედებებს კრიზისთან დაკავშირებით. ამიტომ ერჰარდმა არჩევნებში იოლი გამარჯვება მოიპოვა. ამით ახალი კანცლერი ბოლოსდაბოლოს გამოვიდა ადენაუერის ჩრდილიდან და დე გოლის წინაშე უფრო ძლიერი პოზიციებიდან წარსდგა. საფრანგეთში განსხვავებული ვითარება იყო. ეს იყო საფრანგეთსა და მთლიანად ევროპაში პირველი არჩევნები, რომელშიც დისკუსიების ცენტრალური თემა ევროპული თანამეგობრობა იყო. საფრანგეთის ბიზნესის და სოფლის მეურნეობის ინტერესები შიშობდნენ, რომ დე გოლის სიხისტეს შეიძლება საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის განადგურება გამოეწვია (იმის მიუხედავად, რომ დე გოლი, მისი აზრით, სწორედ სსმპ-ის იცავდა). დე გოლმა არჩევნებში შოკი განიცადა, როდესაც პირველ რაუნდში გამარჯვება ვერ მოიპოვა, მეორე რაუნდში კი თავის ოპონენტს ძალიან მცირე უპირატესობით მოუგო.

კრიზისის დასასრული

ამომრჩეველმა დე გოლს ნათელი სიგნალი გაუგზავნა. მაგრამ მოუსმენდა კი დე გოლი მათ და წაიყვანდა იგი კრიზისს დასასრულისკენ? დე გოლს უყვარდა ფიქრი იმაზე, რომ იგი პოპულისტურ პოლიტიკაზე უფრო მაღლა იდგა, და რომ იგი ლიდერი იყო და არა მიმდევარი. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, მისი აზრით, იგი აღარ იყო საზოგადოების წინაშე ვალდებული (ყოველ შემთხვევაში, შემდეგ არჩევნებამდე მაინც). თუმცა, რა

თქმა უნდა, არჩევნების შედეგებით იგი გაოცებული იყო, ისევე, როგორც იმით, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდნენ ბიზნესის და სოფლის მეურნეობის ინტერესები დე გოლის მიერ კრიზისის მართვის სტრატეგიას. არჩევნების შედეგებმა გააძლიერა თანამეგობრობის ხუთი წევრი სახელმწიფოს პოზიციებიც, რომლებმაც დე გოლის მიერ თანამეგობრობის სისტემაზე შეტევის წინააღმდეგ ერთიანობა შეინარჩუნეს.

დე გოლისადმი გაღიზიანების მიუხედავად, ისინი დე გოლის დათანხმებას მაქსიმალურად ფრთხილად და დიპლომატიურად ცდილობდნენ. იანვრის შუა რიცხვებში მათ საბჭოს შეხვედრა ლუქსემბურგში გამართეს. კუვ დე მურვილმა კვლავ გაიმეორა საფრანგეთის ნეგატიური დამოკიდებულება კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრასთან დაკავშირებით და წევრ ქვეყნებს შორის წერილობითი შეთანხმების გაფორმება მოითხოვა, რომლის მიხედვითაც საბჭოში გადაწყვეტილების მიღება ერთსულოვნად მოხდებოდა მაშინ, თუ საფრანგეთის ეროვნული ინტერესები საფრთხის ქვეშ დადგებოდა. მან, ასევე, წარმოადგინა ათ-პუნქტიანი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იყო კომისიის სამომავლო ქცევა და საბჭოსთან ურთიერთობები. ამას ორმხრივი დისკუსიების სერია მოჰყვა. იანვრის ბოლოს კი საბჭოს მეორე საგანგებო სხდომა გაიმართა. სწორედ აქ მოხდა თანამეგობრობის ექვს სახელმწიფოს შორის შეთანხმება, რომელიც *ლუქსემბურგის კომპრომისით (Luxembourg Compromise)* არის ცნობილი. კომპრომისის მიხედვით, თუ ძალიან მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესები საფრთხის ქვეშ იდგა, საბჭოს კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრისგან თავი უნდა შეეკავებინა. ლუქსემბურგის კომპრომისმა, ფაქტობრივად, აღიარა წევრი სახელმწიფოს უფლება, ვეტო დაედო საკანონმდებლო ინიციატივებზე. ამ შეთანხმების შემდეგ, საფრანგეთმა გადაწყვიტა, საბჭოში თავის ადგილს დაბრუნებოდა.

ამასთან, წევრმა ქვეყნებმა დაამტკიცეს კომისიის ქცევის კოდექსი, რომელიც საფრანგეთის ბევრ მოთხოვნას ითვალისწინებდა. ისინი შეთანხმდნენ, რომ კომისიის პოლიტიკური პროფილი დაიწევდა. თუმცა, მათ წარმატებით დაიცვეს კომისიის

უფლება, ყოფილიყო საკანონმდებლო ინიციატივების ექსკლუზიური ინიციატორი. ჰოლშტაინის მომავალი ბუნდოვანი გახდა. დე გოლმა გამოსცადა იგი, გერმანიის მთავრობამ კი მხოლოდ გულგრილი მხარდაჭერა გამოუცხადა. შედეგად, ლოგიკური იყო, რომ 1967 წლის მაისში ჰოლშტაინმა განაცხადა, რომ იგი გადადგებოდა ორი თვის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც შერწყმის შედეგად ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის კომისიის, ევრატომის კომისიისა და ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის უმაღლესი ხელისუფლების ნაცვლად, ერთიანი ორგანო დაიწყებდა ფუნქციონირებას.

კრიზისის მოგვარების შემდეგ, სსმპ-ს ახალ ფინანსურ ინსტრუმენტზე მოლაპარაკებების გაგრძელება უკვე შესაძლებელი გახდა. 1966 წლის მაისისა და ივლისის საბჭოს შეხვედრებზე წევრმა ქვეყნებმა შეთანხმებას მიაღწიეს. ამ გარიგების მიხედვით, საფრანგეთი დათანხმდა გერმანიის მოთხოვნას და მზად იყო 1968 წლის ივლისისთვის (ანუ როდესაც საერთო საგარეო ტარიფი (*common external tariff*) ძალაში შევიდოდა), ინდუსტრიულ პროდუქტებზე ევროპული თანამეგობრობის შიგნით არსებული ყველა დარჩენილი ტარიფი გაეუქმებინა. შესაბამისად, საბაჟო კავშირის სრული ჩამოყალიბება გეგმაზე 18 თვით ადრე მოხდებოდა. საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და საბაჟო კავშირის სადავო საკითხებზე შეთანხმებით, ევროპულ თანამეგობრობას გატტ-ის კენედის რაუნდის განახლების შესაძლებლობა მიეცა, რომელიც აქამდე კრიზისის გამო შეფერხებული იყო.

ერთი შეხედვით, კრიზისიდან გამოსავალი ევროპული თანამეგობრობის გამარჯვება იყო: ხელშეკრულება ხელშეუხებელი დარჩა; ხუთი წევრი სახელმწიფო ერთ მუშტად იყო შეკრული; საფრანგეთი დაუბრუნდა თავის ადგილს საბჭოში; თანამეგობრობის წევრმა ქვეყნებმა კი სსმპ-ისა და საბაჟო კავშირის ჩამოყალიბების დასრულების შესახებ შეთანხმებას მიაღწიეს. თუმცა, მთავარი საფრთხე მოგვიანებით გახდა ნათელი. ჰოლშტაინთან შედარებით, კომისიის ახალი პრეზიდენტი ჟან რეი უფრო მეტად უწევდა ანგარიშს ეროვნულ ინტერესებსა და პოზიციებს.

მისი ხელმძღვანელობის დროს, კომისია გაცილებით ნაკლებად ამბიციური, ნაკლებად აგრესიული და ნაკლებად თავდაჯერებული გახდა. ამის პარალელურად, მინისტრთა საბჭო ნელ-ნელა ემსგავსებოდა უფრო იმ ფორუმს, რომელიც ტრადიციული ინტერგავერნმენტალისტური მოლაპარაკებებისთვის იყო განკუთვნილი, ვიდრე თანამეგობრობაზე ორიენტირებულ და თანამეგობრობის მსოფლმხედველობის ინსტიტუტს.

1966 წლიდან საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის გამოყენება იმაზე ხშირად დაიწყეს, ვიდრე ეს შეიძლება აქამდე ხდებოდა. თუმცა, პოლიტიკურად სენსიტიურ საკითხებზე ერთსულოვნება დომინირებდა. მთავრობებს იშვიათად უწევდათ ხოლმე ლუქსემბურგის კომპრომისზე პირდაპირი მითითება: საკმარისი იყო, რომ მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესისადმი საფრთხის არსებობაზე მინიშნება გაეკეთებინათ და კენჭისყრა აღარ ტარდებოდა. არ არსებობდა მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესის ობიექტურად გაზომვის საშუალება, რის გამოც მთავრობები ამ ტერმინს ძალიან ზოგადად იყენებდნენ. შედეგად, ლუქსემბურგის კომპრომისმა ევროპული თანამეგობრობის გადაწყვეტილების მიღების პროცესს შავი ჩრდილი დიდი ხნის მანძილზე გადააფარა.

ბრიტანეთის ნევროზის მეორე განაცხადი

ამჯერად ლეიბორისტულმა მთავრობამ (ჰაროლდ ვილსონის ხელმძღვანელობით) სცადა ევროპულ თანამეგობრობაში ბრიტანეთის გაწევრიანება. მაკმილანის მსგავსად, არც ვილსონი გამოირჩეოდა ევროპული თანამეგობრობისადმი გადამეტებული პატივისცემით. მაგრამ ისიც კარგად აცნობიერებდა, რომ ბრიტანეთს ეკონომიკური მიზეზებით სჭირდებოდა თანამეგობრობა. დე გოლის პირველი ვეტოს შემდეგ, ბრიტანეთში სიტუაცია გაუარესდა. 1967 წლისთვის „სტერლინგისთვის ბრძოლა“ კრიტიკულ ეტაპზე იყო. ბრიტანეთს დოლართან მიმართებაში თავისი გაცვლითი კურსის 2,80-ის დონეზე დაჭერა და სტერ-

ლინგის, როგორც სარეზერვო ვალუტის სტატუსის შენარჩუნება სურდა. ამიტომ ვილსონმა სტერლინგის გაუფასურებასა და მკაცრ ფისკალურ ინსტრუმენტებზე უარი განაცხადა. სანაცვლოდ, მთავრობამ გაამკაცრა კაპიტალის კონტროლი და საერთაშორისო სავალუტო ფონდს დახმარებისთვის მიმართა. ფინანსების ბალანსის დეფიციტის (ანუ უარყოფითი სხვაობა მიღებულ შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის) აღმოსაფხვრელად და ქვეყნის ეკონომიკის გასაჯანსაღებლად, ბრიტანეთისთვის ევროპული თანამეგობრობის წევრობა ისეთი საჭირო იყო, როგორც არასდროს. 1967 წლის მაისში, ეროვნულ დონეზე შიდა წინააღმდეგობის მიუხედავად, გრძელი და დაძაბული საპარლამენტო დებატების შედეგად, ვილსონმა მაინც შეძლო წევრობის მეორე აპლიკაციის შეტანაზე საპარლამენტო ხმების უმრავლესობის მოპოვება. მისი მთავარი სტრატეგია წევრობის მყარ ეკონომიკურ საფუძველზე გადატანა იყო, რაც, როგორც ჩანს, წარმატებით გამოუვიდა.

მაკმილანთან საერთო ომისდროინდელი ნეგატიური ემოციებისგან განსხვავებით, დე გოლს ვილსონთან ურთიერთობის გამოცდილება არ ჰქონია. ამასთან, დე გოლს მოსწონა ის, რომ ვილსონი მხარს უჭერდა ევროპის მასშტაბით ტექნოლოგიურ თანამშრომლობას და რომ აკრიტიკებდა ვიეტნამში აშშ-ის პოლიტიკას. თუმცა, ვილსონმა ვერ შეძლო დე გოლის დარწმუნება იმაში, რომ თანამეგობრობაში ბრიტანეთის წევრობა შეესაბამებოდა საფრანგეთის ეკონომიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს. დე გოლმა თავისი „წუხილები“ 1967 წლის მაისში, განაცხადის შეტანიდან ოთხი დღის შემდეგ პრესკონფერენციაზე დააფიქსირა. დე გოლის რწმენით, რა საჭირო იყო დესტრუქციული პროცესების გამოწვევა თანამეგობრობაში ბრიტანეთის გაწევრიანებით, განსაკუთრებით, სტერლინგის მოწყვლადობის გათვალისწინებით? უკეთესი არ იქნებოდა, სტატუს-კვო შენარჩუნებულიყო იმ დრომდე, როდესაც ბრიტანეთის წევრობა მისაღები და სარწმუნო იქნებოდა, როდესაც ინგლისს საფუძვლიანი ტრანსფორმაცია უკვე გავლილი ექნებოდა?

ბრიტანეთის მედიამ დე გოლის გამოსვლა მაშინვე მონათლა „ხავერდოვან ვეტოდ“ (მიუხედავად იმისა, რომ დე გოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი არ ბლოკავდა ბრიტანეთის წევრობას). ამიტომ მომდევნო თვეს პარიზში ვიზიტისას ვილსონმა დე გოლს ახსნა-განმარტება სთხოვა. დე გოლმა პირდაპირ იკითხა: იქნებოდა ბრიტანეთისთვის საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა მისაღები და მოახდენდა ბრიტანეთი აშშ-გან დისტანცირებას? ვილსონი თანახმა იყო სსმპ-ზე, რომლის უდიდესი ნაწილი, იმ დროისთვის უკვე ფუნქციონირებდა. თუმცა, იგი სიფრთხილით მოეკიდა ანგლო-ამერიკული ურთიერთობებზე კითხვას, ვინაიდან ის ძალიან სენსიტიური შიდა და საერთაშორისო საკითხი იყო.

ვილსონი მაინც ოპტიმისტურად იყო განწყობილი, ვინაიდან მას საფრანგეთის პარტნიორების მხარდაჭერა ჰქონდა. იგი დიდ იმედებს ამყარებდა ბონში ქრისტიან-დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატების მიერ ჩამოყალიბებულ დიდ კოალიციაზე, რომლის შედეგადაც გერმანიის კანცლერი კურტ კიზინგერი, საგარეო საქმეთა მინისტრი კი ვილი ბრანდტი გახდა. ვილსონი იმედოვნებდა, რომ პარიზისადმი ბონის მზარდი გაღიზიანება და კიზინგერის სურვილი, შეემცირებინა დე გოლის გავლენა, გააძლიერებდა ბრიტანეთის წევრობის პერსპექტივებს.

1967 წლის სექტემბერში კომისიამ ბრიტანეთის აპლიკაციაზე სავალდებულო მოსაზრება გამოაქვეყნა. იგი გაფართოებულ ევროპულ თანამეგობრობაში ერთიანობისა და დინამიზმის შენარჩუნების მოწოდებით გამოდიოდა. მაგრამ მან არ შეაფასა ის გავლენა, რაც შეიძლება თანამეგობრობაზე ბრიტანეთის წევრობას ჰქონოდა. სანაცვლოდ, კომისიამ მოლაპარაკებების დაწყების რეკომენდაცია გასცა იმ მიზნით, რომ არსებული გაუგებრობები უფრო ნათელი გამხდარიყო და გადაწყვეტილიყო ის განსხვავებები, რომლებიც ზოგიერთ ფუნდამენტურ საკითხთან იყო დაკავშირებული. კომისია მინიშნებას ცალსახად საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკასა და საკუთარ ყოფილ კოლონიებთან ბრიტანეთის თანამეგობრობის პრეფერენციებზე აკეთებდა.

1967 წლის ნოემბერსა და ოქტომბერში საბჭომ ბრიტანეთის აპლიკაციისა და კომისიის მოსაზრების პირველადი განხილვები მოახერხა. თუმცა, ნოემბრის ბოლოს დე გოლის მიერ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადებების შემდეგ, ეს საკითხი საბოლოოდ დაიხურა. კომისიის მოსაზრებაზე საუბრისას, დე გოლმა თავისი პოზიცია დააფიქსირა, რომ ბრიტანეთის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა გამორიცხავდა ევროპული თანამეგობრობის წევრობას. ამავე თვის დასაწყისში ბრიტანეთი (ნაწილობრივ სტერლინგის სტაბილურობასთან დაკავშირებით ფრანგულ ეჭვებზე საპასუხოდაც) იძულებული იყო სტერლინგი 17%-ით გაეუფასურებინა. დე გოლმა ეს ფაქტი გამოიყენა და განაცხადა, რომ სტერლინგის კრიზისი და ბრიტანეთის კომერციული და სოფლის მეურნეობის პოლიტიკები გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყებას შეუძლებელს ხდიდა. დე გოლის განმარტებით, ამ ეტაპზე ბრიტანეთთან და მასთან ასოცირებულ ქვეყნებთან რაიმე ტიპის მოლაპარაკებებში შესვლა ევროპული თანამეგობრობის განადგურებას გამოიწვევდა.

ბრიტანეთისთვის და დანარჩენი ხუთი წევრი სახელმწიფოსთვის დე გოლის განცხადება ირონიული იყო, ვინაიდან ფრანგული ინტერესების დაცვის მიზნით, ცარიელი სკამის კრიზისის დროს სწორედ მან დააყენა ევროპული თანამეგობრობა დაშლის საფრთხის წინაშე. დე გოლი ამჯერადაც საფრანგეთის ინტერესებს იცავდა. მას სსმპ-ზე ბრიტანეთის გაწევრიანების უარყოფითი გავლენის ეშინოდა: სოფლის მეურნეობის საკითხებზე მნიშვნელოვანი ბატალიები უკვე გადავლილი კი იყო, მაგრამ სსმპ-ის მშენებლობის ბოლო ნაწილი - მუდმივი ფინანსური ინსტრუმენტი - 1970 წლამდე ძალაში არ შედიოდა. შესაბამისად, დე გოლს ამ დრომდე ბრიტანეთის მიღება არ აწყობდა და არ სურდა.

დე გოლის მიერ მეორე ვეტოს დადების გადაწყვეტილებაზე გავლენა სტრატეგიულმა მოსაზრებებმაც იქონია. 1966 წელს დე გოლმა დაიწყო ახალი მცდელობები იმისთვის, რომ ნატოში აშშ-ის ჰეგემონიისთვის ძირი გამოეთხარა და აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა კონტროლი შეესუსტებინა. მათგან ყველა-

ზე დრამატული მოვლენა ნატოს ინტეგრირებული სამხედრო შტაბიდან საფრანგეთის გამოყვანა, საფრანგეთიდან ნატოს მთავარი შტაბბინის გადატანა, მოსკოვში ცნობილი ვიზიტი და რუმინეთის კვაზი-დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის მხარდაჭერა იყო. დე გოლს ევროპული თანამეგობრობა ჯერ კიდევ პანევროპული ეკონომიკური და უსაფრთხოების ორგანიზაციისთვის პოტენციურ პლატფორმად წარმოედგინა, რომელიც ზესახელმწიფოებისგან დამოუკიდებელი იქნებოდა. ევროპულ თანამეგობრობაში ბრიტანეთის გაწევრიანებით კი ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნებოდა, რომ თანამეგობრობა სტრატეგიულად აშშ-ისკენ იხრებოდა.

ვილსონისთვის დე გოლის ვეტოს ყველაზე იმედგამაცრუებელი ნაწილი გერმანიის საბოლოო ოფიციალური პოზიცია იყო. კიზინგერი და ბრანდტი ვილსონთან პირად საუბრებში შეიძლება ერთს აფიქსირებდნენ, მაგრამ მათ არ სურდათ საჯაროდ დე გოლთან დაპირისპირება. დე გოლის საქციელი მათთვის საშინლად გამაღიზიანებელი იყო, მაგრამ არც კიზინგერი და არც ბრანდტი არ აპირებდნენ იმის გამო დე გოლთან კინკლაობას, რაც მისი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ისედაც გარდაუვლად ჩანდა. გერმანიისთვის თანამეგობრობაში ბრიტანეთის წევრობა ეკონომიკურად და სტრატეგიულად მომგებიანი იყო, თუმცა, არა იმდენად, რომ დე გოლის ანტაგონიზმის გამო ფრანგულ-გერმანული ურთიერთობები და თანამეგობრობა კრიზისის საფრთხის წინაშე დაეყენებინათ. საფრანგეთის წინააღმდეგობისა და გერმანიის ყოყმანის გამო, 1967 წლის დეკემბერში ბრიტანეთმა წევრობის აპლიკაცია დროებით შეაჩერა.

კენედის რაუნდი და აშშ-ევროპული თანამეგობრობის ურთიერთობები

1967 წელს დასრულებული გატტ-ის კენედის რაუნდი ევროპული ინტეგრაციის უპირატესობის ნათელი გამოხატულება იყო. გატტ-ის 53 წევრი ქვეყანა შეთანხმდა, რომ შემდეგი ხუთი

წლის მანძილზე ტარიფებს დაახლოებით 40%-ით შეამცირებდნენ. თანამეგობრობის ნევრი ქვეყნები როგორც ერთიანი ბლოკი, ისე მოქმედებდნენ. კენედის რაუნდის დამაკმაყოფილებელმა შედეგმა მკაფიოდ მოახდინა მოლაპარაკებებში ევროპული თანამეგობრობის ერთიანი პოზიციით გამოსვლის მაღალი ღირებულების დემონსტრირება.

თუმცა, კენედის რაუნდის მსვლელობისას, თანამეგობრობის შიგნით, ასევე, თანამეგობრობასა და აშშ-ის შორის ურთიერთობებში დაძაბულობა იჩინა თავი. ევროპული თანამეგობრობის შიგნით, ტარიფების შემცირებაში სოფლის მეურნეობის ჩართვა-არჩართვასა და ინდუსტრიულ პროდუქტებზე სატარიფო შემცირების რაოდენობასთან დაკავშირებით, საფრანგეთისა და დანარჩენი ხუთეულის (რომლის არაოფიციალური ლიდერიც გერმანია იყო) პოზიციები გაიყო. საფრანგეთს არ სურდა უკვე მოლაპარაკებული და გარკვეულ ფასად დაცული საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა სოფლის მეურნეობის პროდუქტებში ლიბერალიზებულ ვაჭრობაზე გლობალური შეთანხმების ნაწილი ყოფილიყო. საფრანგეთის ინდუსტრიული მწარმოებლები თანამეგობრობის შიგნით ლიბერალიზაციას ისედაც უკვე გაჭირვებით უმკლავდებოდნენ, ამიტომ საფრანგეთს დამატებითი გლობალური კონკურენციით არც მათი გაღიზიანება უნდოდა. მაგრამ დე გოლისთვის გლობალური ინდუსტრიული ლიბერალიზაცია ნაკლებ წამგებიანი იყო, ვიდრე გლობალური სოფლის მეურნეობის ლიბერალიზაცია. შესაბამისად, დე გოლმა გერმანიასთან შეთანხმებას მიაღწია, რის მიხედვითაც გატტ-ის მოლაპარაკებებში გერმანია დაიცავდა საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკას, საფრანგეთი კი მხარს დაუჭერდა ინდუსტრიულ პროდუქტებზე ტარიფების შემცირების საკითხში გერმანიის ინტერესებს.

კენედის რაუნდი ევროპულ თანამეგობრობასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაპირისპირების წყაროც აღმოჩნდა. აშშ კენედის რაუნდიდან იმაზე მეტ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელს ელოდა, ვიდრე მან რეალობაში მიიღო. აშშ-ის მიერ წინასაწარ დაგეგმილი ინსტრუმენტები გათვლილი იყო

იმაზე, რომ ბრიტანეთი მოლაპარაკებების პერიოდისთვის უკვე იქნებოდა ევროპული თანამეგობრობის წევრი. დე გოლის მიერ ბრიტანეთის აპლიკაციის დაბლოკვამ უარყოფითად იმოქმედა აშშ-ის გეგმებზე და საბოლოო შედეგებზე. ამასთან, აშშ დიდ იმედებს ამყარებდა ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებზე. დე გოლმა კი, აშშ-ის გრანდ დიზაინზე პირდაპირი შეტევის გამო, შეასუსტა ამ საკითხში ამერიკის ოპტიმიზმი. დე გოლის ვეტოს გამო კენედის რაუნდის მიზნები პოლიტიკურიდან უფრო ეკონომიკურისკენ შეიცვალა.

ასოციაციის ხელშეკრულებები

კენედის რაუნდის გარდა, საგარეო ურთიერთობებში ევროპული თანამეგობრობის არსებობის პირველი ათწლეულის ყველაზე გამორჩეული მოვლენა საბერძნეთთან, თურქეთთან და აფრიკის ქვეყნებთან (ყველა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ყოფილი კოლონიები იყვნენ) ასოციაციის ხელშეკრულებების გაფორმება იყო. საბერძნეთთან და თურქეთთან დადებული ხელშეკრულებები ხარისხობრივად განსხვავდებოდა აფრიკის ქვეყნებთან მიღწეული შეთანხმებებისგან, ვინაიდან პირველნი გრძელვადიან პერსპექტივაში ევროპული თანამეგობრობის წევრობისთვის იღწვოდნენ.

საბერძნეთთან ასოციაციის ხელშეკრულებას 1961 წლის ივლისში მოეწერა ხელი. იგი 12 წლის ვადაში საბაჟო კავშირის ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა. თურქეთთან ხელშეკრულება 1963 წლის სექტემბერში გაფორმდა, რომელშიც, ასევე, საბაჟო კავშირის შექმნა იყო მოაზრებული, თუმცა, არ იყო დაკონკრეტებული ტრანზიციის პერიოდის კონკრეტული თარიღი. ეს თურქეთის ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით იყო გამოწვეული. ევროპულმა თანამეგობრობა იზიარებდა თანამეგობრობაში საბერძნეთის გაწევრიანების სურვილს. ამ საკითხზე თურქეთის პოზიციას კი დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა. იგი პატივს სცემდა ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის

განვითარებაში საბერძნეთის დიდ წვლილს, თურქეთის ევროპულ მახასიათებლებს კი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. 1967 წელს ათენში მომხდარი გადატრიალების საპასუხოდ (რომლის შედეგადაც ქვეყანაში სამხედრო დიქტატურა დამყარდა), ევროპულმა თანამეგობრობამ შეაჩერა საბერძნეთთან ასოციაციის ხელშეკრულების მოქმედება. ამის პარალელურად, თურქეთში განვითარებულმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ეკონომიკურმა დაძაბულობამ ასოციაციის ხელშეკრულებისადმი ანკარას ინტერესიც შეასუსტა.

1963 წლის ივლისში კამერუნის დედაქალაქ იაუნდეში აფრიკის 17 სახელმწიფოსთან ხელმოწერილმა ასოციაციის ხელშეკრულებამ ჩაანაცვლა ის ასოციაციის შეთანხმებები, რომლებიც ევროპულ თანამეგობრობასა და მისი წევრი ქვეყნების ყოფილ კოლონიებს შორის იყო მოლაპარაკებული (როგორც რომის ხელშეკრულების ნაწილი) და რომელიც 1958 წლის იანვრიდან მოქმედებდნენ. რომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ასოციაციის ხელშეკრულებები ევროპულ თანამეგობრობასა და ამ ზღვისგადაღმა ქვეყნებს შორის თავისუფალ სავაჭრო სივრცეს აყალიბებდა. მისი გამოყენებით და განვითარების ფონდის საშუალებით ხდებოდა ასოცირებულ ტერიტორიებზე დახმარების გაგზავნაც. თუმცა, ასოციაციის ფორმამ, არსმა და ფონდის ზომამ საფრანგეთისა და გერმანიის პოზიციების ორად გაყოფა გამოიწვია. გერმანია ეწინააღმდეგებოდა როგორც ფონდში მისი ფინანსური შენატანის რაოდენობას, ისევე თანამეგობრობის ასეთ მჭიდრო დაახლოებას მსოფლიოს ისეთ ნაწილთან, რომელშიც მას ნაკლები ინტერესი გააჩნდა.

რომის ხელშეკრულების მიხედვით, მინისტრთა საბჭოს ჰქონდა უფლება, გაეფართოებინა და გაეგრძელებინა ასოციაციის ხელშეკრულებები. თუმცა, 1950-იანი წლების ბოლოსა და 1960-იანი წლების დასაწყისში ზღვისგადაღმა ტერიტორიების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ახალი ხელშეკრულების მიღების აშკარა აუცილებლობა შეიქმნა. ახლად დამოუკიდებლობამიღებულ ქვეყნებს პირველ შეთანხმებაში არსებული უპირატესობების შენარჩუნების სურვილი ჰქონდათ, ყოფილ კოლო-

ნიურ მმართველებს კი თავისი ყოფილი კოლონიების დახმარება უნდოდათ. გერმანია ანომალიურ პოზიციაში იყო, ვინაიდან, ერთი მხრივ, მას სურდა მესამე სამყაროს ქვეყნების განვითარების ხელშეწყობა, მაგრამ, მეორე მხრივ, არ უნდოდა პოსტკოლონიური დამოკიდებულებისთვის მხარდაჭერა. ასე რომ, მოლაპარაკებები, რომლებიც ბოლოს იაუნდეს კონვენციით დასრულდა, ორ ფრონტზე მიმდინარეობდა: საგარეო დონეზე, ევროპულ თანამეგობრობასა და აფრიკის სახელმწიფოებს შორის და, შიდა დონეზე, ევროპული თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს შორის.

აფრიკის სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების დროს, ევროპული თანამეგობრობა წამყვანის პოზიციაში იყო როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და ადმინისტრაციულად. აფრიკის ქვეყნები იძულებულები იყვნენ მიეღოთ ის, რასაც თანამეგობრობა მათ სთავაზობდა. ევროპული თანამეგობრობის შიგნით, საფრანგეთმა გერმანიის დაყოლიება მაინც მოახერხა, ვინაიდან ნათელი იყო კავშირი გატტ-ისა და იაუნდეს მოლაპარაკებებს შორის: კენედის რაუნდის დროს საფრანგეთის მხარდაჭერის სანაცვლოდ, გერმანიამ დათმო ახალი კონვენციის პირობები. ამერიკის შეერთებული შტატები შიშობდა, რომ იაუნდეს კონვენცია არ იყო გატტ-თან თავსებადი და რომ მის დისკრიმინაციულ ხასიათს ლათინური ამერიკიდან ევროპულ თანამეგობრობაში განხორციელებულ ექსპორტზე უარყოფითი გავლენა ექნებოდა. თუმცა, გერმანიის მსგავსად, გატტ-ის ხელშეკრულების მიღწევის წყალობითა და ევროპული ინტეგრაციის გაღრმავების სურვილით, თავისი პოზიციის დათმობა აშშ-საც მოუწია.

შიდა პოლიტიკის სფეროების განვითარება

1960-იან წლებში ევროპულმა თანამეგობრობამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ისეთ სფეროებში, რომლებიც ხელშეკრულებით დეტალურად იყო გაწერილი (მაგალითად, საბაჟო კავშირი), ან ისეთებში, რომლებშიც გავლენიანი წევრი ქვეყნების ინტერესები მკვეთრად იყო გამოხატული (მაგალითად,

საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა). სამაგიეროდ, ნაკლები პროგრესი აღინიშნა პოლიტიკის ისეთ მიმართულებებში, რომლებიც ხელშეკრულებაში ზოგადად იყო მოხსენიებული ან მხოლოდ ნაკლებად გავლენიანი ქვეყნების მხარდაჭერა ჰქონდა. არასატარიფო ბარიერები (მაგალითად, სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში პროდუქტის სტანდარტების განსხვავებული წესები) საბაჟო კავშირის ცენტრალური ნაწილის - საქონლის თავისუფალი გადაადგილების - მთავარ გამოწვევად იქცა. კომისიამ ჰარმონიზაციის რთული პროცესი დაიწყო, მაგრამ მალევე შეხვდა ძლიერი წინააღმდეგობა ეროვნული დედაქალაქებიდან. ბიუროკრატიული ინერტულობა და წევრი ქვეყნების მხრიდან გამოხატული ოპოზიცია კიდევ უფრო აფერხებდა ამ პროცესს, სამუშაო ჯგუფებში წინადადებების განხილვა ჭიანურდებოდა და გადაწყვეტილებისთვის, უმეტესად, საერთოდ ვერ აღწევდა საბჭომდე.

ტრანსპორტი პოლიტიკის ერთ-ერთი ის მიმართულება იყო, რომელშიც ევროპულმა თანამეგობრობამ ნაკლებ პროგრესს მიაღწია. რომის ხელშეკრულებაში საერთო ტრანსპორტის პოლიტიკის შექმნის მოწოდება იყო, თუმცა, ზუსტი განრიგი დაკონკრეტებული არ იყო. მხოლოდ ნიდერლანდები ითხოვდა ტრანსპორტის პოლიტიკის იმპლემენტაციას, ვინაიდან მას ევროპულ თანამეგობრობაში ყველაზე კონკურენტული საგზაო სატვირთო ავტომანქანების სისტემა, ევროპის ყველაზე დიდი საზღვაო პორტი, საწვავის შედარებით დაბალი ფასები და, ასევე, ტრანსპორტზე შედარებით ნაკლები გადასახადები ჰქონდა. გერმანია, რომელიც ნიდერლანდების მხრიდან კონკურენციის მთავარი სამიზნე იყო, ყოყმანობდა გადაწყვეტილების მიღებას. საფრანგეთს კი ინდიფერენტული პოზიცია ეკავა. ამ საკითხთან დაკავშირებით წევრი ქვეყნები არა თუ ვერ შეთანხმდნენ ერთმანეთთან, არამედ 1968 წელს ჰოლანდიელები და გერმანელები სავაჭრო ომის ზღვარზეც კი აღმოჩნდნენ, როდესაც გერმანიაში ინიცირება მოახდინეს კანონპროექტის, რომლის მიხედვითაც გერმანიის გზებზე ჰოლანდიური სატვირ-

თო ავტომობილებისთვის შემოსვლის ნებართვების რაოდენობა უნდა შემცირებულიყო.

საბაჟო კავშირთან და საერთო კომერციულ პოლიტიკასთან ერთად, საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა ევროპული თანამეგობრობის პირველი ათწლეულის ყველაზე ინოვაციური პოლიტიკის მიმართულება იყო. 1960-იანი წლების ბოლოსთვის, სსმპ-ის წყალობით, თანამეგობრობაში პროდუქტის გადაჭარბებულად წარმოება და გარემო პირობების დეგრადაცია დაიწყო. ასევე, ამ პერიოდისთვის, სსმპ ხელს უწყობდა მსხვილ მეწარმეთა არაპროპორციულ დაფინანსებას და მცირე ფერმერების მიწებიდან განდევნას. 1968 წელს, პირველად თანამეგობრობაში, სურსათის გადაჭარბებული წარმოების შედეგები გამოჩნდა: კარაქის მთები და რძის ტბები. პოლიტიკის სხვა სფეროების მსგავსად, მოსახლეობა სსმპ-ისადმი კრიტიკას მიმართავდა არა წევრი ქვეყნების მიმართულებით (ანუ იქით, საითაც იგი ლოგიკურად უნდა ყოფილიყო), არამედ კომისიის მიმართულებით, რომელიც თანამეგობრობის სისტემის სიმბოლოს წარმოადგენდა.

1960-იან წლებში ევროპულმა თანამეგობრობამ რეგიონულ პოლიტიკაშიც ნაკლები პროგრესი განიცადა. რომის ხელშეკრულების პრეამბულა აღნიშნავდა, რომ საჭირო იყო რეგიონული განსხვავებების შემცირება, თუმცა, ამისათვის ხელშეკრულებაში მხოლოდ რამდენიმე რედისტრიბუციული ინსტრუმენტი იყო დასახელებული. ხელშეკრულება, ძირითადად, პათოსის დონეზე აცხადებდა, რომ ერთიანი ბაზარი თანამეგობრობაში ეკონომიკური აქტივობების ჰარმონიულ განვითარებას თავისთავად წაახალისებდა. ხელშეკრულების მიხედვით, ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისი იყო მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც მთავრობებს ნება ეძლეოდათ ევროპული თანამეგობრობის იმ სფეროების ინდუსტრიების სუბსიდირება მოეხდინათ, რომლებშიც ცხოვრების სტანდარტი გამორჩეულად დაბალი იყო ან რომლებშიც უმუშევრობის სერიოზული პრობლემა იდგა.

კომისიას რეგიონულ განვითარებაზე საბაზრო ინტეგრაციის დადებითი გავლენისა არ სჯეროდა. კომისიის რწმენას იზიარებდა იტალიაც, რომელიც 1960-იან წლებში ერთადერთი წევრი

ქვეყანა იყო მნიშვნელოვანი რეგიონული განსხვავებებით (სამხრეთ იტალია განსაკუთრებით ღარიბი იყო). 1961 წელს კომისიამ რეგიონულ განსხვავებების თემაზე კონფერენციის ორგანიზება მოახდინა, 1967 წელს კი თავის შიდა სტრუქტურაში რეგიონულ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი გენერალური დირექტორია ჩამოაყალიბა. ამის მიუხედავად, სხვა წევრი ქვეყნები ეწინააღმდეგებოდნენ თანამეგობრობის კომპეტენციის გაფართოებას იმ სფეროში, რომელიც რომის ხელშეკრულების მიერ დეტალურად არ იყო დაფარული.

კომისიის მიერ წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და მონეტარული თანამშრომლობის (და, საბოლოოდ, ეკონომიკური და მონეტარული კავშირის) ჩამოყალიბების მოწოდებები დარჩა მხოლოდ „ხმად მღაღადებელსა უდაბნოსა შინა". ბრეტონ ვუდსის სისტემის (*Bretton Woods System*) აყვავების პერიოდში მონეტარული კავშირი ისედაც არ იყო საჭირო. თუმცა, 1960-იანი წლების ბოლოს ვერც ამ სისტემის რღვევის დროს შეძლეს წევრმა ქვეყნებმა შეთანხმების მიღწევა. აშშ-ის ფინანსების ბალანსის დეფიციტი (ანუ უარყოფითი სხვაობა მიღებულ შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის) და (ომის შემდეგ არსებული დოლარის დეფიციტის შემდეგ) დოლარის სიჭარბის რეალური პერსპექტივა დე გოლისთვის კარგი შესაძლებლობა იყო, რომ ფინანსურ ფრონტზე ამერიკის შეერთებულ შტატებზე შეტევა განეხორციელებინა. 1967 წელს, ამერიკის ექსპანსიური მაკრო-ეკონომიკური პოლიტიკებისა და საერთაშორისო მონეტარულ სისტემაში აშშ-ის დომინანტურობის გაპროტესტების ნიშნად, საფრანგეთმა მის ხელთ არსებული ჭარბი დოლარების ოქროზე გადაცვლა დაიწყო (იმის ნაცვლად, რომ უბრალოდ რეზერვში შეენახა). თანამეგობრობის სხვა წევრი ქვეყნებიც აკრიტიკებდნენ აშშ-ის ეკონომიკურ და მონეტარულ პოლიტიკებს, თუმცა, ისინი უფრო მიმტევებლურად იყვნენ განწყობილნი იმ მოკავშირის მიმართ, რომელმაც ისინი ომის შემდგომ არსებული კრიზისიდან გამოიყვანა და რომელიც მათ სამხედრო უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. დე გოლის პოზიციის გამო, საერთაშორისო მონეტარულ მდგომარეობასთან დაკავშირე-

ბით შეუძლებელი იყო ევროპული თანამეგობრობის ერთიანი პოზიციის დაფიქსირება. ამის მიუხედავად, ეროვნული ცენტრალური ბანკის მმართველებს, მთავრობის ოფიციალურ პირებსა და კომისიის წარმომადგენლებს შორის ხშირმა კონტაქტებმა, 1970-იანი წლების დასაწყისისთვის (ანუ ბრეტონ ვუდსის სისტემის საბოლოო კოლაფსის შემდეგ) მონეტარული კავშირის გეგმას დაუდო საფუძველი.

ინსტიტუციური მიღწევები

1965 წელს დე გოლთან კონფრონტაციამ მნიშვნელოვნად შეასუსტა კომისია. ცარიელი სკამის კრიზისმა შეარყია კომისიის თავდაჯერებულობა და შეზღუდა მისი პოლიტიკური აქტივიზმი. ამიტომ 1960-იანი წლების მეორე ნახევარში კომისია ნაკლებად გავლენიანი ინსტიტუტი გახდა, ვიდრე ის პირველ ნახევარში იყო. თანამეგობრობის კომპეტენციების ზრდასთან ერთად, იგი აყალიბებდა ახალ გენერალურ-დირექტორიებს და დაკავებული იყო თანამეგობრობის საქმეებით. კომისიის ზოგიერთ მაღალ თანამდებობის პირს კი ევროფედერალიზმისაც სწამდა. თუმცა, 1960-იანი წლების ბოლოს კომისიაში „ევროპის მშენებლობის" ენთუზიაზმის ნაცვლად, მაინც კარიერიზმმა, უნდობლობამ, პესიმიზმმა და ცინიზმმა იმძლავრა. ამ პერიოდში იგი ერთადერთი საერთაშორისო ბიუროკრატია იყო, მაგრამ არა ჭეშმარიტად სუპრანაციონალური ხასიათის.

კომისიისთვის ერთ-ერთი გამოწვევა შერწყმის ხელშეკრულება იყო, რომლითაც იმ პერიოდში არსებული სამი თანამეგობრობის აღმასრულებელი ორგანოების (ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობის უმაღლესი ხელისუფლების, ევრატომისა და ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის კომისიების) ერთ ინსტიტუტად (ევროპულ კომისიად) ჩამოყალიბება უნდა მომხდარიყო. ხელშეკრულების გაფორმებას წინ მოკლე ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია უძღოდა, რომლის დროსაც განხილულ იყო დაგეგმილი ცვლილების მხოლოდ ადმინისტრაციული ასპექტები. კომისიას გარკვეული დრო დასჭირდა

იმისათვის, რომ გადაელახა ის ორგანიზაციული და კულტურული გამონვევები, რაც ამ სამი განსხვავებული ბიუროკრატიების გაერთიანებამ წარმოშვა. 1967 წლიდან (ანუ როდესაც ხელშეკრულება ძალაში შევიდა) 1970 წლამდე (როდესაც მისი ყველა მუხლის იმპლემენტაცია განხორციელდა) კომისიის კოლეგიას, ჩვეულებრივი 9 წევრის ნაცვლად, 14 კომისარი ჰყავდა.

პარლამენტმა, რომელზეც ასევე უარყოფითად იმოქმედა დე გოლის მოღვაწეობამ, გამოავლინა განვითარების ის ადაპტირებადი და კრეატიული მახასიათებლები, რაც მას ევროპული თანამეგობრობის მთელი ისტორიის მანძილზე გააჩნდა. დე გოლის ხისტი წინააღმდეგობის მიუხედავად, 1960-იან წლებში ევროპარლამენტარები პირდაპირი წესით არჩევნებს აქტიურად უჭერდნენ მხარს. მათი უმრავლესობა ევროპული ინტეგრაციის მომხრე იყო. მათ არ მოსწონდათ შეზღუდული საკანონმდებლო როლი (კანონპროექტებზე მათ მიერ დაფიქსირებული მოსაზრება არ იყო სავალდებულო) და ძალაუფლების გაზრდის მოთხოვნით გამოდიოდნენ. 1960-იან წლებში პოლიტიკის მიმართულებებსა და პროცედურულ საკითხებზე პარლამენტმა რამდენიმე რეზოლუცია მიიღო. ამას გარდა, მან შეძლო ისეთ სფეროებში ჩართვა, რომელშიც ევროპული პარლამენტის მონაწილეობა თავიდან არ იყო გათვალისწინებული. მაგალითად, მან მოახერხა მინისტრთა საბჭოს დარწმუნება, რომ ევროპული თანამეგობრობის მიერ გაფორმებული ასოციაციის ხელშეკრულებების ინსტიტუციურ ინფრასტრუქტურაში ერთიანი საპარლამენტო კომიტეტები დაარსებულიყო.

ამავე პერიოდში, ევროპული თანამეგობრობის მესამე „სუპრანაციონალური“ ინსტიტუტი - მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო - ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მაინც ვითარდებოდა. ევროპული ინტეგრაციის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი გარღვევა (რომელიც ზედაპირზე ყველაზე ნაკლებ ჩანდა) ევროპული თანამეგობრობის კანონმდებლობის ჩამოყალიბების დაწყება იყო. 1963 და 1964 წლებში მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ის ძირითადი პრინციპები დაამკვიდრა, რასაც თანამეგობრობა ბმუამად ეფუძნება: პირდაპირი ეფექტი

და უზენაესობა. *ვან გენდ ენ ლოოსი ნიდერლანდების საბაჟო ადმინისტრაციის წინააღმდეგ (Van Gend en Loos VS Nederlandse Administratie der Belastingen)* (1963) საქმეში, ჰოლანდიურმა სატვირთო ავტომობილებით გადაზიდვების კომპანიამ ჰოლანდიის საბაჟო სამსახურს უჩივლა იმ მიზეზით, რომ ეს უკანასკნელი გერმანიიდან იმპორტირებულ პროდუქტებზე გადასახადებს აწესებდა და ამით არღვევდა ერთიანი ბაზრის შესახებ რომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მუხლებს. სასამართლომ დაასკვნა, რომ ევროპული თანამეგობრობა, რომელიც საერთაშორისო სამართლის ახალი სამართლებრივი სივრცე იყო, ჩამოყალიბებული იყო იმ უპირატესობების მისაღებად, რომლის გამოც მისმა წევრმა სახელმწიფოებმა ნებაყოფლობით შეზღუდეს თავიანთი სუვერენული უფლებები. ამიტომ, სასამართლოს მტკიცებით, ჰოლანდიური კომპანია დაცული იყო თანამეგობრობის კანონმდებლობით. სხვა სიტყვებით, თანამეგობრობის კანონმდებლობა ავტომატურად პირდაპირი ძალით ვრცელდებოდა ევროპული თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე. მომდევნო წელს, სასამართლომ განიხილა *კოსტა ენელის წინააღმდეგ (Costa VS ENEL)* საქმე, რომელიც იტალიის ეროვნულ ელექტრომომმარაგებელს ეხებოდა. ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ეროვნულ კანონმდებლობაზე ევროპული თანამეგობრობის კანონმდებლობის უზენაესობა დაადგინა. სასამართლოს მტკიცებით, წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი სუვერენული უფლებები თანამეგობრობას გადასცეს, ამიტომ ეროვნული კანონების საფუძველზე ევროპული თანამეგობრობის კანონმდებლობის უარყოფა არ შეიძლებოდა მომხდარიყო (ყოველ შემთხვევაში, თანამეგობრობის არსებული სამართლებრივი ბაზის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების გარეშე).

ეს იყო ახალი საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოტანილი მამაცური, გაბედული გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ იმ პერიოდში თანამეგობრობაში გოლისტური ინტერგავერნმენტალიზმი სუფევდა. ეროვნული მთავრობები ხვდებოდნენ, თუ რამხელა დატვირთვა და მნიშ-

ვნელობა ჰქონდა ამ გადაწყვეტილებებს. მათ სამართლიანად ეშინოდათ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები მათ მიერ ინტეგრაციის პროცესის კონტროლის შესაძლებლობას შეასუსტებდა. ამიტომ ყველაზე ინტეგრაციულად მოაზროვნე მთავრობებმაც კი შეიტანეს სასამართლოში განაცხადები, რომლითაც პირდაპირი ეფექტისა და უზენაესობის პრინციპებს აპროტესტებდნენ. ეროვნულ მთავრობებს შეიძლება ეფიქრათ, რომ მათი იმპლემენტაცია და ცხოვრებაში გატარება ეროვნული სასამართლოების მხარდაჭერის გარეშე მაინც შეუძლებელი იქნებოდა. ეროვნული სასამართლოები კი, მთავრობების რწმენით, საზოგადოებრივ აზრს მხედველობაში მიიღებდნენ და ეროვნულ სამართლებრივ უფლებებს უპირატესობას მიანიჭებდნენ. თუმცა, წევრი ქვეყნები ცდებოდნენ და არასათანადოდ აფასებდნენ შექმნილ სიტუაციას. თანამეგობრობის კანონმდებლობის უგულვებელყოფის ნაცვლად, პირდაპირი ეფექტისა და უზენაესობის პრინციპების იმპლემენტაციისთვის, ეროვნული ქვედა დონის სასამართლოები მომდევნო ათწლეულები აქტიურად თანამშრომლობდნენ მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოსთან.

საერთო გავლენა

1960-იან წლებში, პატარა ბიზნესების, სამართლებრივი და პოლიტიკური რგოლების გარდა, ცოტამ თუ იცოდა მართლმსაჯულების სასამართლოსა და ევროპული თანამეგობრობის შესახებ. თანამეგობრობის პოლიტიკის მიმართულებებსა და ინსტიტუტებს ევროპელების უმრავლესობის ყოველდღიური ცხოვრებასა და საქმიანობაზე ნაკლები გავლენა ჰქონდა. ცარიელი სკამის კრიზისისა და ბრიტანეთის წევრობის აპლიკაციის პროცესების გარდა, პრესაც ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ევროპულ თანამეგობრობას. ჩვეულებრივ მოსახლეობა კი არ იყო დაინტერესებული ბრიუსელით.

ევროპული თანამეგობრობის არსებობა შედარებით გარკვეული რაოდენობის ევროპელებისთვის მაინც იყო ხელშესახები.

ფერმერები საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკაზე იყვნენ დამოკიდებულნი, ზოგიერთი ბიზნესმენი კი საბაზრო ინტეგრაციის (შეზღუდული, მაგრამ მაინც) უპირატესობებით სარგებლობდა. ბრიუსელში ფერმერების, დასაქმებულებისა და დამსაქმებლების პოზიციების დამცველი ტრანსნაციონალური ინტერესთა ჯგუფებიც მომრავლდნენ. ბევრმა ეროვნულმა პოლიტიკოსმა და ბიუროკრატმა საკუთარ საქმიანობაში ევროპული მიმართულებაც განავითარა. აღმოცენდა და გააქტიურდა ასევე ბრიუსელის აპარატი, რომელიც ევროპული თანამეგობრობის ინსტიტუტების ინტერაქციას, ეროვნულ და ევროპულ დონეებზე პოლიტიკის კოორდინაციას და ბრიუსელსა და ეროვნულ დედაქალაქებში ლობირებას მოიცავდა. ასე რომ, ჯერ კიდევ საზოგადოების ყურადღების მიღმა მყოფი ევროპული თანამეგობრობის პოლიტიკა და პოლიტიკის წარმოების პროცესი ნელ-ნელა, მაგრად მყარად ვრცელდებოდა ევროპის პოლიტიკურ, ბიუროკრატიულ და ბიზნეს ელიტებზე.

თავი 4

1970-იანი წლები: ევროპული თანამეგობრობის განვითარება

ჰააგის სამიტი და მისი შედეგები

1969 წლის დასაწყისში ევროპული თანამეგობრობის განვითარების პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანი იყო. ლუქსემბურგის კომპრომისმა მნიშვნელოვნად შეაფერხა საკანონმდებლო და გადაწყვეტილების მიღების პროცესები. დე გოლის ხისტი პოზიციის გამო ევროპული ინტეგრაციის პროცესში საფრანგეთ-გერმანიის თანამშრომლობითი ურთიერთობებიც (და შესაბამისად ზოგადად ევროპული ინტეგრაციაც) შეფერხდა. კომისიაში უკვე კრიზისსა და ევროპული თანამეგობრობის დაშლაზეც კი დაიწყეს საუბარი.

დიდი ბრიტანეთის ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანება პირდაპირ იყო დე გოლის პოზიციაზე დამოკიდებული. 1969 წელს დე გოლმა ბრიტანეთის ელჩ სერ ქრისტოფერ სოამეს შესთავაზა იდეა ბრიტანეთს, საფრანგეთს, იტალიასა და გერმანიას შორის უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებზე მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ. ეს ინიციატივა შეიძლებოდა გამხდარიყო დე გოლის მხრიდან გარკვეული მინიშნებაც კი ბრიტანეთისადმი ნეგატიური დამოკიდებულების შეცვლის მიმართულებით. თუმცა, იმდენად დიდი იყო უნდობლობა დე გოლისადმი, რომ ბრიტანეთმა ამ იდეის შესახებ მედიას საიდუმლოდ მიაწოდა ინფორმაცია. დე გოლი, რა თქმა უნდა, აღშფოთდა ბრიტანეთის საქციელით. მისი შეფასებით, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებდა ბრიტანეთისადმი მისი ნეგატიური დამოკიდებულების სისწორეს.

ამის მიუხედავად, დე გოლი პრაგმატულად აფასებდა შექმნილ ვითარებას. 1968 წლის სტუდენტებისა და მუშათა სისხლიანი გამოსვლების შემდეგ მკაფიოდ გამოჩნდა საფრანგეთის ეკონომიკის სისუსტე და გერმანიის ეკონომიკის სიძლიერე. ამას გარდა, გერმანიის საგარეო პოლიტიკა სულ უფრო მეტ

ყურადღებას უთმობდა აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირს. საფრანგეთი კი შიშობდა, რომ გერმანიას შეიძლებოდა დაეკარგა დასავლეთის სტრუქტურებში ინტეგრირების ინტერესი. ამიტომ დე გოლისთვის დიდი ბრიტანეთის ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანება მნიშვნელოვნად უზრუნველყოფა ევროპულ თანამეგობრობაში გერმანიის ეკონომიკური ჰეგემონობის დაბალანსებას და დასავლეთ ევროპასთან გერმანიის მჭიდრო თანამშრომლობას. შესაბამისად, რეალისტური მიდგომით დე გოლის საბოლოო მიზნად დიდი ბრიტანეთის ევროპულ თანამეგობრობაში ყოფნა წარმოადგენდა. თუმცა, ეს არ მოხდებოდა მანამ, სანამ არ დასრულდებოდა სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ჩამოყალიბება და არ შეიქმნებოდა მისი დაფინანსების მუდმივი ინსტრუმენტები. მისი დასრულების შემდეგ დიდ ბრიტანეთს ნაკლები შესაძლებლობა ექნებოდა გავლენა მოეხდინა სოფლის მეურნეობის პოლიტიკაზე და ფრანგი ფერმერებიც უფრო უსაფრთხოდ იგრძნობდნენ თავს.

1969 წელს საფრანგეთში ჩატარებულ რეფერენდუმზე დე გოლის მხარდაჭერილი ინიციატივა ჩავარდა. დე გოლისთვის ეს ფაქტობრივად ნდობის გამოუცხადებლობას ნიშნავდა, რის გამოც იგი გადადგა. იმდენად მჭიდროდ იყო დიდი ბრიტანეთის ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანება დე გოლთან დაკავშირებული, რომ მისი გადადგომისთანავე გაჩნდა პერსპექტივა ამ მიმართულებით და აქტიურად დაიწყეს საუბრები ევროპული თანამეგობრობის გაფართოებაზე.

ბრანდტი და პომპიდუ

დე გოლის გადადგომის შემდეგ, საფრანგეთის პრეზიდენტი ხდება ჟორჟ პომპიდუ. გარკვეულ საკითხებზე იგი ტიპიური გოლისტი იყო: იცავდა ლუქსემბურგის კომპრომისს, მომხრე იყო ინტერგავერნმენტალიზმის და მხარს უჭერდა საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკას. ევროპულ თანამეგობრობაში პომპიდუც ძირითადად ეკონომიკურ სარგებელს ხედავდა და მი-

სი საშუალებით ფრანგული ეკონომიკის მოდერნიზაციის იმედი ჰქონდა. დე გოლისგან განსხვავებით კი, მას შედარებით რბილი დამოკიდებულება ჰქონდა ბრიტანეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით. გერმანიის ეკონომიკურ და დიპლომატიურ გაძლიერებასთან ერთად, იგი უფრო მეტად აფასებდა გაფართოების სტრატეგიულ მნიშვნელობას. თუმცა, ასევე გამალებით იცავდა საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკას.

პომპიდუს ხელისუფლებაში მოსვლის პარალელურად, გერმანიაში შეიცვალა კანცლერი - კიზინგერი ჩაანაცვლა ბრანდტმა. იდეოლოგიური, პოლიტიკური საქმიანობის და სხვა განსხვავებების მიუხედავად, ერთადერთი საკითხი, რამაც პომპიდუსა და ბრანდტს შორის ურთიერთობა დაძაბა გერმანიის ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერება იყო. პომპიდუ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღებითა და დაკვირვებით ეპყრობოდა. იგი ნეგატიურად აფასებდა ბრანდტის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს - *Ostpolitik* (აღმოსავლეთის პოლიტიკას). ამასთანავე, პომპიდუ აღშფოთებული იყო 1969 წლის გაცვლითი კურსის კრიზის დროს გერმანიის ქმედებებით. გერმანიამ, იმის ნაცვლად, რომ საფრანგეთთან ერთად შეთანხმებულად ემოქმედა, ცალმხრივი ქმედებები განახორციელა, თავდაპირველად მარკას გაცვლითი კურსის ცვალებადობით და შემდგომში მისი გამყარებით. თავის მხრივ, გერმანია ხმამაღლა აკრიტიკებდა საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკას მისი უზარმაზარი ბიუჯეტისა და საკვები პროდუქციის ჭარბად წარმოების ნახალისების გამო, რაც, გამაღიზიანებელი იყო საფრანგეთისთვის.

ჰააგის სამიტი

ევროპული გაერთიანების წევრი სახელმწიფოების ლიდერების შეხვედრის იდეა საფრანგეთმა 1969 წლის ივლისის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე გააჟღერა. დღის წესრიგის მთავარი საკითხები უნდა ყოფილიყო გაფართოება, საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა (სსმპ) და ეკონომიკური და მონეტარული

კავშირი. გერმანიის ცალმხრივი ფინანსური ღონისძიებებისა და სსმპ-ზე მისი ნეგატიური გავლენის, ასევე, ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში ევროპული მონეტარული იდენტობის გაძლიერების სურვილის გამო, პომპიდუ დაინტერესებული იყო იმით, რომ ევროპული გაერთიანების წევრ ქვეყნებს უფრო მჭიდროდ ეთანამშრომლათ მონეტარული პოლიტიკის საკითხებზე. ასე რომ, სამიტის დღის წესრიგი სამი მიმართულებით შემუშავდა: დასრულება (იგულისხმებოდა ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბება), გაღრმავება (იგულისხმებოდა სხვადასხვა სფეროებში ევროპული ინტეგრაციის გაღრმავება, მათ შორის, ეკონომიკური და მონეტარული კავშირი, რეგიონული პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკის თანამშრომლობა და სხვა) და გაფართოება (ძირითადად ეს იყო დიდი ბრიტანეთის გაწევრიანების საკითხი).

ჰააგის სამიტი იყო კარგი საშუალება, რომ ევროპული ინტეგრაციის პროცესისთვის ახალი ენერგია და ბიძგი მიეცათ. კომისია და პარლამენტი ამ მხრივ ყველაზე მოწადინებული და აქტიურები იყვნენ. თუმცა, საბოლოო ჯამში, სამიტის კომუნიკემ გაზვიადებულად გადმოსცა და ძირითადად ისაუბრა სამიტის მნიშვნელობის შესახებ, და ნაკლები ყურადღება დაუთმო კონკრეტულ ღონისძიებებს. რაც შეეხება „დასრულებას“, წევრი სახელმწიფოების ლიდერებმა ხაზი გაუსვეს მათ სურვილს, რომ დაეწყოთ საერთო ბაზრის საბოლოო ეტაპი 1969 წლის ბოლოსთვის და რომ მიეღოთ სსმპ-ის მუდმივი ფინანსური ინსტრუმენტი (რომლის საშუალებითაც მოხდებოდა მისი ბიუჯეტის შევსება არა ეროვნული სახელმწიფოების ბიუჯეტების, არამედ „დამოუკიდებელი რესურსებიდან“). „გაფართოების“ მხრივ ლიდერები შეთანხმდნენ, რომ დაიწყებდნენ გაფართოების მოლაპარაკებებს, მაგრამ არ დაასახელეს ამის კონკრეტული თარიღი. „გაღრმავების“ საკითხებზე მოლაპარაკებების შემდეგ, გადაწყდა, რომ შემუშავდებოდა გეგმა, რომლის მიხედვითაც 1980 წლისთვის უნდა მიღწეულიყო ეკონომიკური და მონეტარული კავშირი; თანამეგობრობა მხარს დაუჭერდა ინდუსტრიულ კვლევასა და განვითარებას; მოხდებოდა ევროპული სოციალური ფონდის რეფორმირება სოციალური პოლიტიკის შესაბამისად. ასევე,

წევრი სახელმწიფოების ლიდერებმა თავიანთ საგარეო საქმეთა მინისტრებს დაავალეს საგარეო პოლიტიკის თანამშრომლობის ალტერნატივების შესწავლა.

„დასრულება“

დასრულება გულისხმობდა საერთო ბაზრის ჩამოყალიბების ბოლომდე მიყვანას და ევროპული თანამეგობრობის ბიუჯეტის „საკუთარი რესურსებით“ შევსებას. რესურსების 2 ვარიანტი არსებობდა: იმპორტირებულ ინდუსტრიულ საქონელზე ტარიფები და იმპორტირებულ სოფლის მეურნეობის საქონელზე გადასახადი, რომელთა რაოდენობასაც განსაზღვრავდა საერთო კომერციული პოლიტიკა და საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა. თუ საჭირო გახდებოდა დამატებითი ხარჯები, წევრი სახელმწიფოები დაფარავდნენ მას თავიანთი დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილიდან.

საფრანგეთი დაინტერესებული იყო ევროპული თანამეგობრობის “საკუთარი რესურსებით“, ვინაიდან იგი აღარ გადაიხდიდა ამ ფინანსებს საკუთარი ბიუჯეტიდან. კომისიაც დაინტერესებული იყო ამ ცვლილებით, ვინაიდან იგი შედარებით დამოუკიდებლობას მოიპოვებდა ეროვნული სახელმწიფოებისგან. თუმცა, წინა მსგავსმა მცდელობამ 1965 წელს გამოიწვია ცარიელი სკამის კრიზისი. ამიტომ ამ შემთხვევაში კომისია გაცილებით ფრთხილად მოქმედებდა. საბოლოო ჯამში, მინისტრთა საბჭოში მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ რამდენიმე ეტაპად განხორციელდებოდა „საკუთარი რესურსების“ ძალაში შესვლის პროცესი, და 1971 წლის იანვრიდან 1975 წლის იანვრამდე ეტაპობრივად აიწევდა ეროვნული სახელმწიფოების შენატანი (დამატებითი ღირებულების გადასახადის 1 პროცენტამდე).

ცალკე მინი ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია დაეთმო პარლამენტის როლსაც. წევრმა სახელმწიფოებმა 1970 წლის აპრილში ხელი მოაწერეს ლუქსემბურგის ხელშეკრულებას, რომლითაც ცვლილებები შეიტანეს რომის ხელშეკრულების

საბიუჯეტო და ინსტიტუციურ მუხლებში. შედეგად, პარლამენტი და მინისტრთა საბჭო გახდნენ საბიუჯეტო ძალაუფლების მქონე ინსტიტუტები (თუმცა, მინისტრთა საბჭო გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე პარლამენტი). ასევე, წევრ ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების შედეგად 1975 წელს დაიდო ბრიუსელის ხელშეკრულება, რომლითაც დაარსდა აუდიტორთა სასამართლო.

„გაღრმავება“

ევროპული ინტეგრაციის გაღრმავება ძირითადად ეკონომიკური და მონეტარული კავშირის (ემკ) ჩამოყალიბებას გულისხმობდა. საფრანგეთისთვის ეს იყო ძირითადი ინსტრუმენტი იმისა, რომ მოეხდინა გერმანიის მონეტარული დამოუკიდებლობის შეზღუდვა და მსოფლიოში მზარდი ფინანსური ტურბულენტობის პირობებში ევროპის და საფრანგეთის მონეტარული იდენტობის შენარჩუნება. გერმანიას ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირში არა იმდენად ეკონომიკური, რამდენადაც სტრატეგიული ინტერესები გააჩნდა. ბრანდტისთვის ემკ იყო ეფექტური ინსტრუმენტი იმისთვის, რომ დაეშოშმინებინა საფრანგეთის შეშფოთება გერმანიის აღმოსავლეთის პოლიტიკის გამო. ამასთანავე, ემკ-ში გერმანიის გაწევრიანებით, იგი აშშ-საც დაანახებდა, რომ ყველაფრის მიუხედავად, გერმანია კვლავ დაინტერესებული იყო დასავლეთთან თანამშრომლობით და დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაციით. კომისიისთვის ემკ მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც გაფართოების შემთხვევაში იგი მკვეთრად შეასუსტებდა პრობლემებს. მან თავისი პოზიტიური დამოკიდებულება 1969 წლის თებერვალში გამოხატა ემკ-ს შესახებ ბარის მემორანდუმში.

1969 წლის ჰააგის სამიტზე წევრი სახელმწიფოების ლიდერებმა დაავალეს მინისტრთა საბჭოს, რომ კომისიასთან ერთად, 1970 წლისთვის წარმოედგინა ემკ-ს ჩამოყალიბების ეტაპები და გეგმა. კონკრეტულად ამ საკითხის შესწავლა დაევალა ლუქსემბურგის პრემიერ მინისტრსა და ფინანსთა მინისტრ პიერ

ვერნერს. ვერნერის კომიტეტში მონაწილეობდნენ ევროპული თანამეგობრობის მონეტარული და ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში არსებული კომიტეტების ხელმძღვანელები (ფაქტობრივად, წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები) და კომისიის წარმომადგენლები. კომიტეტმა თავისი ანგარიში წარადგინა 1970 წლის ოქტომბერში. ანგარიშში გაწერილი გეგმის მიხედვით, ემკ-ს პირველ ეტაპზე, წევრი სახელმწიფოები შეამცირებდნენ თავიანთი ვალუტების გაცვლითი კურსის მარჟებს და განახორციელებდნენ სხვა საშუალო-ვადიან მონეტარულ ინსტრუმენტებს. ემკ-ს ბოლო, მესამე ეტაპზე კი მოხდებოდა რომის ხელშეკრულების ჩასწორება იმ მიზნით, რომ ევროპულ დონეზე დაარსებულიყო ახალი ინსტიტუტები და შესაბამისი ძალაუფლება გადასცემოდა პარლამენტს. ვერნერის გეგმა თითქმის არაფერს ამბობდა ემკ-ს მეორე ეტაპზე, არადა პირველ და მესამე ეტაპებს შორის დიდი სიცარიელე რჩებოდა.

ვერნერის გეგმაზე ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა საფრანგეთმა. პომპიდუ წინააღმდეგი იყო პარლამენტისთვის ძალაუფლების მინიჭებისა და სუპრანაციონალიზმის გაძლიერების. თუმცა, 1971 წლის იანვრის გერმანია-საფრანგეთის სამიტზე ორივე მხარიდან გარკვეული დათმობების შედეგად, მიღწეულ იქნა შეთანხმება. წარმატებული ორმხრივი სამიტის შედეგად, მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა ემკ-ს ზოგადი მიზანი და მიიღო მისი მიღწევის შესაბამისი ინსტრუმენტებიც. წარმატების მიუხედავად, ემკ-ს თითოეულ დეტალზე საფრანგეთისა და გერმანიის დამოკიდებულებით ნათლად გამოჩნდა, რომ ვერნერის გეგმის მიღწევა არ იქნებოდა მარტივი.

ამას გარდა, ვერნერის გეგმას სერიოზული საფრთხე შეუქმნა 1971 წლის მაისის საერთაშორისო მონეტარულმა კრიზისმა, რომლის დროსაც აშშ-დან გერმანიაში ფონდების მასობრივმა შემოდინებამ და ამასთან დაკავშირებულ სამომავლო რეაქციაზე საფრანგეთთან შეუთანხმებლობამ აიძულა გერმანია ემოქმედა ცალმხრივად და მოეხდინა საკუთარი ვალუტის მარკას გამყარება. ამან პირდაპირ დაარტყა ვერნერის გეგმას და შეუძ-

ლებელი გახადა ემკ-ს პირველ ეტაპისთვის გაცვლითი კურსების მარჟის შემცირდება. თუმცა, ამით არ დასრულებულა სირთულეები. ვერნერის გეგმაზე მეორე შეტევა 1971 წლის აგვისტოს საერთაშორისო მონეტარული კრიზისითაც განხორციელდა, როდესაც აშშ-მა ოფიციალურად შეწყვიტა დოლარის ოქროზე გადაცვლის პრაქტიკა. ამ დროსაც ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებმა ვერ შეძლეს ერთობლივი ქმედებების განხორციელება და ყველამ დამოუკიდებლად, ცალმხრივად იმოქმედა.

ამის მიუხედავად, მაინც მოხერხდა ემკ-ს პერსპექტივის შენარჩუნება, მაგრამ მნიშვნელოვნად შეირყა ევროპული თანამეგობრობის თავდაჯერებულობა და კიდევ უფრო მეტი ბზარი გააჩინა ბრანდტსა და პომპიდუს შორის.

„გაფართოება“

1969 წელს დე გოლის გადადგომისთანავე ბრიტანეთმა გააქტიურა თავისი გაწევრიანების აპლიკაცია, მინისტრთა საბჭომ კი რეაგირებისთვის კომისიას დაავალა პოზიციის დაფიქსირება. მიუხედავად იმისა, რომ ლეიბორისტულმა მთავრობამ გააქტიურა აპლიკაცია, მოლაპარაკებებს აწარმოებდა კონსერვატიული მთავრობა, ვინაიდან მათ მოლაპარაკებების დაწყებიდან 2 კვირით ადრე, 1970 წლის ივნისის არჩევნებზე დაამარცხეს ლეიბორისტები. პრემიერ მინისტრი ჰაროლდ ვილსონი ჩაანაცვლა ედვარდ ჰეთმა. იგი მისი წინამორბედისგან განსხვავებით ევროპულ თანამეგობრობისადმი უფრო პოზიტიურად იყო განწყობილი. ორგანიზაციაში გაწევრიანების მთავარი არგუმენტი ბრიტანეთისთვის იყო ევროპაში იმ ცენტრალური როლის დაბრუნება, რაც მან დაკარგა 1958 წლის რომის ხელშეკრულებით საფრანგეთი-გერმანიის როლი გაზრდის შედეგად. ამის მისაღწევად დიდი ბრიტანეთი მზად იყო მაგალითად საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის სფეროში გარკვეულ დათმობებზეც წასულიყო.

გაწევრიანების მოლაპარაკებები 2 მიმართულებით მიმდინარეობდა: ბრიტანეთსა და 6 წევრ სახელმწიფოს შორის (რომელთა სახელითაც მოქმედებდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა); და თავად 6 წევრ სახელმწიფოთა შორის. ოფიციალური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ბრიუსელში მინისტრებისა და მინისტრთა მოადგილეების დონეზე. მინისტრთა შორის მოლაპარაკებები ძირითადად ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ძირითადი პროდუქტიული საქმიანობა მინისტრთა მოადგილეების შეხვედრებზე ხორციელდებოდა.

მოლაპარაკებების გარკვეულ ეტაპზე ცხადი გახდა, რომ გადამწყვეტი მოლაპარაკებები გაიმართებოდა არა დიდ ბრიტანეთსა და 6 წევრ სახელმწიფოს შორის, არამედ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ყველას მოლოდინი იყო ის, რომ მოხდებოდა ევროპული თანამეგობრობის გაფართოება, მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება მაინც საფრთხის ქვეშ იდგა. პომპიდუს რომ ნდომებოდა ბრიტანეთის გაწევრიანებისთვის ვეტოს დადება, ძალიან გაუჭირდებოდა ამის გაკეთება. დანარჩენი 5 წევრი სახელმწიფო ამის გაკეთების საშუალებას არ მისცემდა (განსხვავებით მათი დე გოლისადმი დამოკიდებულებისა). ბრანდტმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ კიდევ ერთი ფრანგული ვეტო მიუღებელი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, პომპიდუს შეეძლო სხვა მხრივ შეექმნა პრობლემები - გაეჭიანურებინა მოლაპარაკებები ან ბრიტანეთისთვის აშკარად მიუღებელი პირობები დაეყენებინა.

მოლაპარაკებების დროს გამოიკვეთა მხარეთა შორის 3 მნიშვნელოვანი დაბრკოლება: თევზჭერა, საკვები და ფინანსები.

დიდი ბრიტანეთისთვის მოულოდნელად მინისტრთა საბჭომ მიიღო საერთო თევზჭერის პოლიტიკა ბრიტანეთთან გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყების დღეს. ლოგიკურია, ბრიტანეთმა ეს აღიქვა, როგორც ევროპული თანამეგობრობის მცდელობა, ბრიტანეთის გაწევრიანებამდე მიღწეულიყო შეთანხმება ბრიტანეთისთვის ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე. ვინაიდან საერთო თევზჭერის პოლიტიკა ყოველგვარი დაბრკოლების გა-

რეშე აძლევდა თანამეგობრობის წევრებს საკუთარ წყლებში ულიმიტო შესვლის უფლებას, აღნიშნულმა ქმედებამ თევზის რეწვის სფეროში ჩართული ბრიტანელების აღშფოთება და გაღიზიანება გამოიწვია. ბრიტანეთთან ერთად, გაწევრიანების სხვა აპლიკანტი სახელმწიფოებიდან ზეწოლის შედეგად ეს საკითხი მოგვიანებით თავიდან გადაიხედა.

საერთო თევზჭერის პოლიტიკისგან განსხვავებით, ევროპული თანამეგობრობის წევრები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ევროპული გაერთიანების გაფართოების გამო საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის გადახედვას. განსაკუთრებული დაპირისპირება გამოიწვია ბრიტანეთის თანამეგობრობის შაქარმა და ახალი ზელანდიის კარაქმა. ბრიტანეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ბრიტანეთის თანამეგობრობის შაქრის ხელშეკრულების გადახედვას, რის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ბრიტანეთის თანამეგობრობიდან შაქარზე იმპორტის შეზღუდვა. თავის მხრივ, საფრანგეთი არ თმობდა ფრანგი და მისი ყოფილი კოლონიების შაქრის მწარმოებლების ინტერესებს, რომლებიც სამართლებრივად გამყარებული იყო იაუნდეს კონვენციით. ვინაიდან იაუნდეს კონვენციაცა და ბრიტანეთის თანამეგობრობის შაქრის ხელშეკრულებაც ხელახალი მოლაპარაკებების პროცესში იყო, გადაწყდა, რომ 1974 წლამდე (მოლაპარაკებების დასრულებამდე) ორივე მხარე (ბრიტანეთი და საფრანგეთი) სტატუს-კვოს შეინარჩუნებდა.

უფრო პრობლემური საკითხი იყო ახალი ზელანდიის კარაქი. დიდი ბრიტანეთისა და ახალი ზელანდიის მოსახლეობის ნათესაური კავშირებისა და ფაშისტების წინააღმდეგ ახალი ზელანდიის მედგარი მხარდამჭერის გამო, ახალი ზელანდიის კარაქი პოლიტიკურად და სენტიმენტალურად მნიშვნელოვანი საკითხი იყო ბრიტანეთისთვის. დიდი ბრიტანეთის კარაქის ბაზრის 40% სწორედ ახალ ზელანდიას ეკავა. საფრანგეთს და ნიდერლანდებს სწორედ ამ ნაწილის ათვისების იმედი ჰქონდათ. ეს საკითხი პოლიტიკურად იმდენად სენსიტიური იყო, რომ ახალი ზელანდიის მთავრობასთან შეთანხმების გარეშე დიდი ბრიტანეთი

ცალმხრივად არ აპირებდა რაიმე დათმობების გაკეთებას. საფრანგეთმა ისარგებლა საკითხისადმი დიდი ბრიტანეთის მოწყვლადობით და თავისი დათმობის სანაცვლოდ ბრიტანეთს შესთავაზა ევროპული თანამეგობრობის ბიუჯეტზე დათმობების განხორციელება. გაწევრიანების მოლაპარაკებების დასაწყისში ბრიტანეთის შეთავაზებით, ბიუჯეტში მისი შენატანი 1973 წელს იქნებოდა 3%, ხოლო 1977 წლამდე გაიზრდებოდა 15%-მდე. დიდმა ბრიტანეთმა მალევე გააცნობიერა, რომ საფრანგეთი თანახმა იქნებოდა, ახალი ზელანდიის კარაქი შესულიყო ევროპული თანამეგობრობის ბაზარზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტში ბრიტანეთის შენატანი 1973 წელს იქნებოდა 8,64% და თუ იგი 1977 წლისთვის გაიზრდებოდა 18,92%-მდე. ბრიტანეთი დათანხმდა ამ შეთავაზებას, რითაც ფაქტობრივად ბრიტანელი გადასახადების გადამხდელების ხარჯზე მოგვარდა ახალი ზელანდიის კარაქის მწარმოებელთა პრობლემა.

სამივე პრობლემის მოგვარების შემდეგ, 1971 წლის მაისის სამიტზე ბრიტანეთმა და საფრანგეთმა მიაღწიეს შეთანხმებას. საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ფინანსურად უზრუნველყოფის შემდეგ და გერმანიის მზარდი სიძლიერის ფონზე, პომპიდუ მოუთმენლად ელოდა დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში გაწევრიანებას. ჰეთმა და პომპიდუმ მოიწვიეს პრესკონფერენცია, რომელიც იმავე ოთახში გაიმართა, სადაც დე გოლმა თავის დროზე ორჯერ პომპეზურად განაცხადა უარი პრესის წინაშე ბრიტანეთის გაწევრიანებაზე. ბრიტანეთ-საფრანგეთის მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებით მოიხსნა ყველანაირი წინაღობა გაფართოების პროცესში. შესაბამისად, საგარეო საქმეთა მინისტრებმა გაწევრიანების მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულეს 1972 წლის იანვარში.

მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ პრესაში გაჩნდა ეჭვები, რომ დასრულდა გერმანია-საფრანგეთის თანამშრომლობითი ღერძი ევროპულ თანამეგობრობაში და რომ ყალიბდებოდა ახალი, ანგლო-ფრანგული თანამშრომლობითი ღერძი. რა თქმა უნდა, პომპიდუს სულ უფრო მეტად ჰქონდა ნეგატიური დამოკიდებულება მონეტარულ პოლიტიკაში გერმანიის ქმედე-

ბებით და გერმანიის აღმოსავლეთის პოლიტიკით, და ბრანდტზე ზეგავლენის მოსახდენად ცდილობდა ჰეთის გამოყენებას. თუმცა, ბრანდტი არ ღელავდა ამაზე. მან კარგად იცოდა, რომ საფრანგეთ-გერმანიის საერთო ინტერესები გაცილებით ღრმა და ყოვლისმომცველი იყო, ვიდრე ანგლო-ფრანგული ან ანგლო-გერმანული. მას შედარებით უფრო მეტად აწუხებდა სუპრანაციონალიზმისა და თანამეგობრობაში გადაწყვეტილების მიღებისადმი საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ანტიპათია და გოლისტური დამოკიდებულება.

დიდ ბრიტანეთში ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანების საკითხზე გადამწყვეტი დებატები პარლამენტში 1971 წლის ოქტომბერში გაიმართა. მთავრობამ დიდი უმრავლესობით მოახდინა გაწევრიანების ხელშეკრულების რატიფიკაცია. მას ორმა ყველაზე დიდმა პარტიამ დაუჭირა მხარი. თუმცა, მნიშვნელოვანი ევროსკეპტიკური დამოკიდებულება სუფევდა კონსერვატორების მნიშვნელოვან უმცირესობასა და ლეიბორისტების თითქმის ნახევარში, რამაც მოგვიანებით სერიოზულ უარყოფით ინტეგრაციულ პროცესებს დაუდო სათავე.

სხვა აპლიკანტები

დიდი ბრიტანეთის გარდა, ევროპული თანამეგობრობის წევრობის კანდიდატები იყვნენ დანია, ირლანდია და ნორვეგია. ბრიტანეთის მსგავსად, ყველა მათგანი პარალელურად, მაგრამ დამოუკიდებლად აწარმოებდა თანამეგობრობასთან გაწევრიანების მოლაპარაკებებს. დიდი ბრიტანეთის მსგავსად, სამივე ქვეყანაში მნიშვნელოვანი ევროსკეპტიკური დამოკიდებულება სუფევდა.

ირლანდიაში ბევრი კითხვის ნიშანი ჰქონდა ნეიტრალიტეტის თემას. ირლანდიის მთავრობამ 1949 წელს უარი განაცხადა ნატოს წევრობაზე დიდი ბრიტანეთის მიერ ჩრდილოეთ ირლანდიის „ოკუპაციის“ გამო. ევროპული თანამეგობრობა არ იყო სამხედრო ორგანიზაცია, მაგრამ რომის ხელშეკრულების

ერთ-ერთი ვალდებულება ('ever closer union' - „მუდმივად მჭიდრო კავშირი") გულისხმობდა, რომ თანამეგობრობა მომავალში აუცილებლად განავითარებდა თავდაცვის პოლიტიკას. თუმცა, ირლანდიელები ასევე აცნობიერებდნენ, რომ ვინაიდან მათი ეკონომიკა მიბმული იყო ბრიტანეთის ეკონომიკას, ბრიტანეთის გაწევრიანების შემდეგ, მათთვის თანამეგობრობის გარეთ დარჩენა წამგებიანი იქნებოდა ეკონომიკურად. ასევე, თანამეგობრობა კარგი საშუალება იქნებოდა ირლანდიისთვის საზოგადოების მოდერნიზაციისა და ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში. „ბრიუსელის ფულის" ირლანდიელების ჯიბეებში შემოდინების პერსპექტივამ ევროპული თანამეგობრობა უფრო მიმზიდველი გახადა. პოლიტიკურადაც, ევროპულ თანამეგობრობაში ყოფნა მეტ სარგებელს მოუტანდა ქვეყანას, ვიდრე მუდმივად ბრიტანეთთან ასოცირება და მის ჩრდილ ქვეშ მოქმედება. ასე რომ, ირლანდიასთან მოლაპარაკებები შედარებით მარტივად წარიმართა. ერთადერთი სირთულე ირლანდიისთვის საერთო თევზჭერის პოლიტიკის საკითხები იყო, სადაც მან წარმატებით აიძულა თანამეგობრობის ქვეყნები გარკვეულ დათმობებზე წასულიყვნენ და შეეცვალათ პოლიტიკის გარკვეული დებულებები.

ნორვეგიაში ევროსკეპტიციზმი გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ირლანდიაში. მას შემდეგ, რაც ნორვეგიამ არც თუ დიდი ხნის წინ დამოუკიდებლობა მოიპოვა შვედეთისგან, ნორვეგიელები მაინცდამაინც პოზიტიურად არ იყვნენ განწყობილნი სახელმწიფოთა კავშირში გაწევრიანებისადმი, თუნდაც ეს ყოფილიყო ნებაყოფლობითი ქმედება. თუმცა, ირლანდიელების მსგავსად, ნორვეგია ევროპულ თანამეგობრობაში გარკვეულ ეკონომიკურ მოგებას ხედავდა. ამასთან, იმ კავშირში გაერთიანება, რომლის წევრიც არ იყო შვედეთი, ნორვეგიას მიანიჭებდა მეტ წონას ძველი იმპერიული სახელმწიფოსთან ურთიერთობისას. ამის მიუხედავად, თანამეგობრობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება გაცილებით ღრმა აღმოჩნდა იმისათვის, რომ ეროვნული იდენტობის გაძლიერების არგუმენტი დაეძლია. ნორვეგიელი ფერმერები შიშობდნენ, რომ საერთო სოფლის მე-

ურნეობის პოლიტიკაში მონაწილეობით შეწყდებოდა სახელმწიფო სუბსიდიები, ნორვეგიელი კონსერვატორები უფრთხოდნენ გაწევრიანების სოციალურ შედეგებს, თევზმჭერები კი საერთო თევზჭერის პოლიტიკისადმი ურყოფით დამოკიდებულებას ხმამაღლა აცხადებდნენ.

დანიაში პოზიციები ორად იყო გაყოფილი, თუმცა, გაწევრიანების ეკონომიკური არგუმენტები ამ ქვეყანაში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა. დანიის ეკონომიკა მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული ბრიტანეთის ეკონომიკას, რომელიც ბრიტანეთის გაწევრიანების შემდეგ დაიკარგებოდა. დანიისთვის ამ დანაკარგის ალტერნატივა არ არსებობდა. ამასთანავე, თანამეგობრობაში გაერთიანებით, დანიისთვის მთლიანად იხსნებოდა გერმანიის ბაზარი. თუმცა, ბევრის მეხსიერებაში ჯერ კიდევ არსებობდა მეორე მსოფლიო ომის წლები და გერმანული საფრთხე, ამიტომ ბევრი დანიელი ეწინააღმდეგებოდა გერმანიასთან მჭიდრო თანამშრომლობას. 1971 წლის ოქტომბერში დანიაში შეიცვალა მთავრობა და ხელისუფლებაში მოვიდნენ ევროსკეპტიკურად განწყობილი სოციალ-დემოკრატები და თავიდანვე დაიკავეს ხისტი პოზიცია რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის, საერთო თევზჭერის პოლიტიკაზე (ეს საკითხი მეტ მნიშვნელობას წარმოადგენდა დანიისთვის იმის გამო, რომ იგი აკონტროლებდა გრენლანდიასა და ფარერების კუნძულებს).

1972 წლის რეფერენდუმები

1972 წელს ოთხ ქვეყანაში ჩატარდა რეფერენდუმები: დანიაში, ირლანდიაში, ნორვეგიასა და საფრანგეთში. ყველასთვის მოულოდნელი იყო პომპიდუს მიერ საფრანგეთში რეფერენდუმის ჩატარება. ფრანგული კანონმდებლობის მიხედვით, გაწევრიანების შეთანხმებების დამტკიცება პარლამენტსაც შეეძლო. თუმცა, პომპიდუს პიროვნული და პოლიტიკური მოტივები ამოძრავებდა. პიროვნულად, მას იმედი ჰქონდა, რომ წარმატებული რეფერენდუმი დაამტკიცებდა საფრანგეთის ერთგულე-

ბას ევროპული თანამეგობრობის მიმართ და საკუთარ ევროპულ ავტორიტეტსაც გაიზრდიდა. პოლიტიკურად, მას სურდა, განხეთქილება შეეტანა თავის პოლიტიკურ ოპონენტებში - წარმატებული რეფერენდუმით გაიმყარებდა თავის პოზიციებს და დაასუსტებდა მის ოპონენტებს (ძირითადად კომუნისტებს და გოლისტებს). თუმცა, მან გაითვალისწინა დე გოლის პრეცენდენტი და რეფერენდუმის შედეგები საკუთარ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას არ დაუკავშირა. რეფერენდუმზე მოსახლეობის 60% გამოცხადდა, რომელთა 61%-მაც ევროპული თანამეგობრობის გაფართოებას დაუჭირა მხარი.

საფრანგეთის რეფერენდუმი მალე მიეცა დავიწყებას. თუმცა, მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა დიდ ბრიტანეთში. ჰეთი და ვილსონი თავიანთ საარჩევნო კამპანიისას არ განიხილავდნენ რეფერენდუმებს ევროპული თანამეგობრობის საკითხებზე იმ მიზეზით, რომ ბრიტანეთის საპარლამენტო სუვერენიტეტის პრინციპი არ დაერღვიათ (ბრიტანეთში ქვეყნის მასშტაბით რეფერენდუმი ჯერ არ ჩატარებულა). თუმცა, ევროსკეპტიკების გულის მოსაგებად და პოლიტიკური დივიდენდების დასანერად ვილსონმა განაცხადა, რომ თუ ხელისუფლებაში მოვიდოდა, იგი აუცილებლად გადახედავდა ბრიტანეთის გაწევრიანების პირობებს და ჩაატარებდა რეფერენდუმს წევრობასთან დაკავშირებით.

ირლანდიაში გაწევრიანების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა. ორმა ყველაზე დიდმა პოლიტიკურმა პარტიამ რეფერენდუმისთვის თანხმობის კამპანია აწარმოა, მხოლოდ მცირერიცხოვანი ლეიბორისტული პარტია იყო წინააღმდეგი. მოსახლეობაც კარგად აცნობიერებდა თანამეგობრობის ეკონომიკურ სარგებელს. შედეგებიც შესაბამისი იყო: მაისის რეფერენდუმზე მოსული 77% მოსახლეობის 83%-მა თანხმობა განაცხადა.

ოქტომბერში ნორვეგიაში ჩატარებულ რეფერენდუმზე საპირისპირო შედეგები დაფიქსირდა. 78%-იანი აქტივობის 54%-მა უარი განაცხადა გაწევრიანებაზე. ნეგატიური დამოკიდებულება განსაკუთრებით ჰქონდათ სოფლის მეურნეობის და თევზის რეწვის წარმომადგენლებს. ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი,

რომლისთვისაც ეს ასევე ნდობის გამოცხადების რეფერენდუმთანაც ასოცირდებოდა, გადადგა შედეგების გამოცხადების შემდეგ (ის აღმოჩნდა პირველი ნორვეგიელი პოლიტიკოსი, რომელიც ევროპული თანამეგობრობის საქმეებს „შეეწირა“).

ნორვეგიული რეფერენდუმის გავლენის საფრთხის მიუხედავად, დანიელთა 63% პროცენტმა მხარი დაუჭირა გაწევრიანებას (აქტივობა 90% იყო).

პოლიტიკის მიმართულებების განვითარება

1970 წელს, როდესაც ჟან რეი გადადგა კომისიის პრეზიდენტის თანამდებობიდან, ყველა თანხმდებოდა, რომ შემდეგი პრეზიდენტი იტალიელი უნდა ყოფილიყო. თუმცა, იტალიაში არცერთ გავლენიან პოლიტიკურ ფიგურას არ უნდოდა ბრიუსელში წასვლა. საბოლოო ჯამში, იტალიის მთავრობამ დაასახელა ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრის ფრანკო მალფატის კანდიდატურა. მალფატის გამორჩეული ორატორული ნიჭი ჰქონდა, მაგრამ ამის მიღმა ძალიან სუსტი გავლენა გააჩნდა ევროპული თანამეგობრობის საქმიანობაზე. იგი მალევე, 1972 წელს გადადგა პრეზიდენტის თანამდებობიდან და ეროვნულ პოლიტიკას დაუბრუნდა. შემდეგი პრეზიდენტის დანიშვნამდე მალფატის საქმე საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემქმნელმა სიკო მანსჰოლტმა ჩაიბარა. კომისიის შემდეგი პრეზიდენტი კი ფრანგი მაღალჩინოსანი ფრანსუა-ხავიერ ორტოლი გახდა.

1974 წელს ბრიტანეთის ხელისუფლებაში მოვიდა ვილსონის მთავრობა. მისი დაბრუნება გარკვეულწილად განაპირობა მისმა პირობამ, რომ გადახედავდა ბრიტანეთის გაწევრიანების პირობებს და ჩაატარებდა რეფერენდუმს. ბრიტანეთის ახალი მთავრობის ხისტმა პოზიციამ 1974-75 წლებში მნიშვნელოვნად გააღიზიანა სხვა წევრი სახელმწიფოები. ამას დაერთო ომი ახლო აღმოსავლეთში, ნავთობზე ფასების გაოთხმაგება და ნიდერლანდების მიერ ისრაელის დახმარების გამო ნავთობის არაბი მწარმოებლების მიერ როტერდამის პორტზე ემბარგო. მო-

ულოდნელმა ასტრონომიულმა ფასებმა სერიოზული დარტყმა მიაყენა თანამეგობრობის წევრების ეკონომიკებს, კარგად დაანახა საგარეო ურთიერთობების სფეროში მათ შორის უთანხმოება, წერტილი დაუსვა ეკონომიკური და მონეტარული კავშირის განვითარების პერსპექტივას და საფრთხე შეუქმნა ბაზრების ერთმანეთთან ინტეგრაციას. უფრო მეტიც, კომისია კვლავ სუსტი იყო, წევრი სახელმწიფოები კი კვლავ ვერ თანხმდებოდნენ სულ მალე ახლად არჩეული პარლამენტის მოწყობაზე.

1970-იანი წლების შუა პერიოდში არსებული დაძაბული ვითარების მიუხედავად, ბევრი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, რეგიონული პოლიტიკის, სოციალური პოლიტიკის, გარემოს დაცვის პოლიტიკისა და საგარეო დახმარების სფეროებში.

ეკონომიკური და მონეტარული კავშირი

1973 წელს გერმანიაში დოლარის ინტენსიურად და დიდი რაოდენობით შემოდინება კიდევ ერთხელ განხორციელდა, რამაც 1971 და 1972 წლების მსგავსი მონეტარული კრიზისი გამოიწვია. გარდა ამისა, ნავთობზე ფასების უეცარი და მკვეთრად აწევისა და ბრეტონ-ვუდსის სისტემის ჩამოშლის შედეგად ევროპაში მძვინვარებდა ინფლაცია, მზარდი უმუშევრობა და სავაჭრო დეფიციტები. ამან საბოლოოდ დაუსვა წერტილი ეკონომიკური და მონეტარული კავშირის შექმნის გეგმებს და ეტაპებს. 1974 წლის დეკემბრის პარიზის სამიტზე ევროპული თანამეგობრობის ლიდერებმა ოფიციალურად აღიარეს, რომ პატივს სცემდნენ და ერთგულნი რჩებოდნენ ეკონომიკური და მონეტარული კავშირის, თუმცა, საშინაო და საგარეო სირთულეების გამო შეუძლებელი იყო უახლოეს მომავალში მისი მიღწევა.

1960-იან წლებში იტალიამ (სადაც რეგიონული პრობლემები ყველაზე მწვავედ იდგა) ვერ შეძლო სხვა ქვეყნების დარწმუნება, რომ რეგიონული განვითარებისთვის ფინანსური ინსტრუმენტები ჩამოეყალიბებინა. 1970-იან წლების დასაწყისში, როდესაც ეკონომიკური და მონეტარული კავშირის შექმნის გეგმა მუშავდებოდა, იტალიამ და კომისიამ გამოიყენეს ემკ-ში გერმანიისა და საფრანგეთის დიდი ინტერესი და წარმატებით მოახერხეს იმ არგუმენტის დამტკიცება, რომ ემკ-ს განვითარება კიდევ უფრო გაზრდიდა რეგიონებს შორის განსხვავებებს და რომ საჭირო იყო ევროპული რეგიონული განვითარების ფონდის დაარსება. გაწევრიანების აპლიკანტი ქვეყნებიდან დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიასაც იტალიის მსგავსად მწვავედ ჰქონდა რეგიონებს შორის განსხვავებები. ამ პრობლემისადმი სენსიტიურმა სამივე ქვეყანამ არაოფიციალური ბლოკიც კი შექმნეს, რომლითაც ფონდის დაარსებას ითხოვდნენ. ბრიტანეთისთვის ფონდის შექმნა განსაკუთრებით მგრძნობიარე თემა იყო პოლიტიკურად და ეკონომიკურად. ბრიტანეთს პატარა სოფლის მეურნეობის სეგმენტი ჰქონდა და სოფლის მეურნეობის საქონლის დიდი უმეტესობის იმპორტს ახორციელებდა. შესაბამისად, მას დიდი იმპორტის გამო უწევდა მეტი გადასახადის გადახდა ევროპული თანამეგობრობის ბიუჯეტში, მაგრამ პატარა სოფლის მეურნეობის სეგმენტის გამო იღებდა სხვა ქვეყნებთან შედარებით მცირე სუბსიდიებს. ფონდის დაარსებით ბრიტანეთის ხელისუფლება ამ პრობლემას მნიშვნელოვან წილად მოაგვარებდა და თავის პოლიტიკურ ოპონენტებთან მიმართებაში პოლიტიკურად მომგებიან მდგომარეობაში იქნებოდა. ამასთანავე, ევროპული თანამეგობრობისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას გაზრდიდა და რეგიონებს ეკონომიკურად განავითარებდა.

იმის მიუხედავად, რომ ყველასთვის რეგიონების განვითარება მნიშვნელოვანი მიზანი იყო, დიდ ქვეყნებს არ უნდოდათ დამატებითი ფინანსების გაღება. ეს განსაკუთრებით ეხებოდა გერმანიას. მაგრამ ბრანდტს ესმოდა ჰეთის არგუმენტაციისაც,

რის გამოც 1972 წლის ოქტომბრის პარიზის სამიტზე ლიდერებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, სხვა აქტივობებთან ერთად 1973 წლის ბოლომდე უნდა დაარსებულიყო რეგიონული განვითარების ფონდი. ჰეთისთვის ეს იყო მნიშვნელოვანი მიღწევა, ვინაიდან მან დიდი ბრიტანეთისთვის ევროპული თანამეგობრობის ბიუჯეტიდან დამატებითი დაფინანსების მოპოვება შეძლო.

თუმცა, ფონდის დაარსება ერთი საკითხი იყო და მასში ფულის მოზიდვა მეორე. ეს საქმე პარიზის კომუნიკეს მიხედვით მინისტრთა საბჭოს დაევალა. იგი იქნებოდა ვალდებული, გადაეწყვიტა ვინ რამდენს შეიტანდა ფონდში და ვინ რამდენს მიიღებდა ფონდიდან. რეგიონული პოლიტიკის პორტფოლიოს მფლობელმა ბრიტანელმა კომისარმა ჯორჯ ტომპსონმა 1973 წლის მარტში მოამზადა ე.წ. ტომპსონის ანგარიში ევროპულ თანამეგობრობაში რეგიონებს შორის განსხვავებებზე. 1973 წლის ოქტომბერში მინისტრთა საბჭოში გადაგზავნილი კომისიის წინადადებით, ფონდში 1974-76 წლებში უნდა მომხდარიყო 2,25 მილიარდი ფულადი ერთეულის მობილიზება.

1973 წლის ოქტომბრის კოპენჰაგენის სამიტზე შეთანხმება ვერ შედგა, ვინაიდან ქვეყნები ისედაც დაპირისპირებულები იყვნენ ნავთობის კრიზისის საკითხებზე და ამაოდ ცდილობდნენ საერთო ენერგო პოლიტიკის შემუშავებას. ერთადერთი, რაზეც შეთანხმდნენ იყო ის, რომ მინისტრთა საბჭოს შემდეგ სხდომაზე უნდა გადაეწყვიტათ ფონდში მოზიდული ფინანსების რაოდენობა და მისი მიღების კრიტერიუმები.

კოპენჰაგენის სამიტის შედეგებმა ვერ უშველა ჰეთს, რომელმაც წააგო არჩევნები და 1974 წლის თებერვალში ხელისუფლებაში დაბრუნდა ვილსონი. მან თავიდანვე მოითხოვა გაწევრიანების პირობების გადახედვა და აღნიშნული ფონდის საქმეების ბოლომდე მიყვანა. ამის პარალელურად ხელისუფლება შეიცვალა გერმანიაშიც და ვილსონის მსგავსად ქვეყნის სათავეში მოვიდნენ სოციალისტები შმიდტის მეთაურობით. თუმცა, იდეოლოგიური თანხვედრის მიუხედავად, განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ ვილსონს და შმიდტს ფონდთან დაკავშირე-

ბით. საბოლოო ჯამში, 1974 წლის დეკემბრის პარიზის სამიტზე კომისიამ შესთავაზათ ფონდის კომპრომისული ვარიანტი (1,4 მილიარდი ფულადი ერთეული, საიდანაც ყველა ქვეყანას ერგებოდა თავისი წილი). ამ დროისთვის პოლიტიკური ვითარება შედარებით განსხვავებული იყო. ვალერი ჟისკარდ დ'ესტენი, რომელიც უკვე საფრანგეთის პრეზიდენტი იყო, უფრო მეტად იყო დაინტერესებული რეგიონული პოლიტიკით, ვიდრე მისი წინამორბედი პომპიდუ. ამასთან, შმიდტის დათანხმება დამატებითი ფინანსების გაღებაზე უფრო მეტად იყო შესაძლებელი, ვიდრე მისი წინამორბედის ბრანდტის. ინტერესთა უფრო მეტად თანხვედრამ საშუალება მისცა ლიდერებს, პარიზის სამიტზე შეთანხმებისთვის მიეღწიათ, რომლის მიხედვითაც 1975-1977 წლებისთვის დააარსეს რეგიონული განვითარების ფონდი 1,3 მილიარდი ფულადი ერთეულით. აქედან 40%-ს მიიღებდა იტალია, 28%-ს დიდი ბრიტანეთი და 15%-ს საფრანგეთი.

სოციალური პოლიტიკა

სოციალური პოლიტიკის განვითარებით ყველაზე მეტად კომისია იყო დაინტერესებული. მან მოამზადა სოციალური აქტივობის პროგრამის პროექტი, რომელიც მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა 1974 წლის იანვარში. პროგრამა მოიცავდა სხვადასხვა ინსტრუმენტებს ახალი სამუშაო ადგილებისა და უკეთესი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების შესაქმნელად, ინდუსტრიის სფეროში გადაწყვეტილებების მიღებაში მუშახელის ჩართულობის გასაზრდელად და ქალებისა და კაცებისთვის თანაბარი მოპყრობის წასახალისებლად. თუმცა, ნავთობის კრიზისის შემდეგ ეს პროგრამა ფუფუნებას უფრო დაემსგავსა, ვიდრე საჭიროებას, რის გამოც იგი მალევე გადაიქცა ცარიელ ქაღალდად.

ამის მიუხედავად, 1970-იან წლებში მაინც მოხერხდა მინისტრთა საბჭოსა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ სოციალური პოლიტიკის სფეროში რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. ამასთან, ევროპულ თანა-

მეგობრობაში დაარსდა ორი სააგენტო - საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესების ევროპული ფონდი (European Foundation for the Improvement of Living and Working Conditions) და პროფესიული მომზადების განვითარების ევროპული ცენტრი (European Center for Development of Vocational Training).

გარემოს დაცვის პოლიტიკა

გარემოს დაცვის პოლიტიკა რომის ხელშეკრულებაში ცალსახად არ იყო ნახსენები. შესაბამისად, გარემოს დაცვითი კანონმდებლობა 1960-იან წლებში ძალიან ვიწრო და ტექნიკური იყო. თუმცა, მოგვიანებით დასავლეთ ევროპაში გარემოს დაცვის მოძრაობა საკმაოდ გააქტიურდა, რის გამოც თანამეგობრობის წევრებმა და კომისიამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს გარემოს დაცვის საკითხების ევროპულ დონეზე განხილვას. 1972 წლის პარიზის სამიტის კომუნიკეში ევროპული თანამეგობრობის ინსტიტუტებისადმი გაჩნდა მოწოდება, რომ 1973 წლის 31 ივლისამდე ჩამოყალიბებულიყო გარემოს დაცვის სფეროში კონკრეტული პროგრამები. ეს იყო გარემოს დაცვის სამოქმედო პროგრამის პირველი საფუძველი (მეორე მსგავსი პროგრამები 1977 წელს ჩამოყალიბდა).

ენერგო პოლიტიკა

გარემოს დაცვის პოლიტიკის მსგავსად, რომის ხელშეკრულება თითქმის არაფერს ამბობდა ენერგო პოლიტიკაზე. ეს უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ ძირითადად სხვა დამფუძნებელი ხელშეკრულებები (პარიზის ხელშეკრულება, რომლითაც ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული თანამეგობრობა დაარსდა და ევრატომი, რომლითაც ატომური ენერგიის ევროპული თანამეგობრობა ჩამოყალიბდა) არეგულირებდნენ ენერგეტიკის საკითხებს. მხოლოდ 1968 წელს წარუდგინა კომისიამ მინისტრთა

საბჭოს საერთო ენერგო პოლიტიკის პირველი გაიდლაინები. როდესაც საერთაშორისო არენაზე ენერგო სიტუაცია გაუარესდა, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰეთმა წარმატებით დაარწმუნა თავისი კოლეგა ლიდერები, რომ 1972 წლის პარიზის სამიტის კომუნიკეში აღენიშნათ წევრი სახელმწიფოების სწრაფვა საერთო ენერგო პოლიტიკისკენ. თუმცა, ნავთობის კრიზისის შემდეგ ჩაიშალა ყოველგვარი გეგმა თუ სურვილი ამ მიმართულებით. ყველა წევრმა სახელმწიფომ ცალმხრივი ქმედებები ამჯობინა. დიდმა ბრიტანეთმაც კი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ საერთო ენერგო პოლიტიკის შემუშავებას აქტიურად ითხოვდა, ნავთობ მომწოდებლებთან ინდივიდუალური კონტრაქტები გააფორმა და ჩრდილოეთის ზღვის რეზერვების განვითარება დაიწყო.

ლომეს კონვენცია

1970-იანი წლები ევროპული თანამეგობრობისთვის იმითაც არის გამორჩეული, რომ 1975 წელს ხელი მოეწერა ლომეს კონვენციას თანამეგობრობასა და 46 განვითარებად სახელმწიფოს შორის. ლომე იყო 1969 წლის იაუნდეს მეორე კონვენციის გაგრძელება, რომელიც 1975 წელს იწურებოდა. იაუნდესგან განსხვავებით, ლომეს კონვენციაში შევიდნენ ბრიტანეთის ყოფილი კოლონიებიც. აფრიკის, წყნარი ოკეანის აუზისა და კარიბის ზღვის ქვეყნებთან მოლაპარაკებები 1973 წელს დაიწყო და დასრულდა 1975 წელს ტოგოს დედაქალაქ ლომეში კონვენციაზე ხელმოწერით. ძირითადი სამუშაო საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობისას გაკეთდა, თუმცა, მოლაპარაკებები ირლანდიის თავმჯდომარეობისას დასრულდა. მოლაპარაკებებში მნიშვნელოვანი დამხმარე როლი შეასრულა კომისიამ. მისი აქტიურობა განსაკუთრებით გამოწვეული იყო იმითაც, რომ კომისიის განვითარების პორტფოლიო ეკავა კლოდ ჩეისონს, აფრიკის ქვეყნებში დიდი გამოცდილების მქონე ყოფილ ფრანგ დიპლომატს. მოლაპარაკებებში ლიდერის ფუნქციებს ასრულებდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა. ამ ინსტიტუტების

გარდა, განვითარების პოლიტიკის სფეროში მნიშვნელოვანი „მოსინჯვითი“ გამოცდილება მიიღო ევროპულმა პარლამენტმაც, რომელიც ლომეს კონვენციის ერთობლივ საპარლამენტო ორგანოში აქტიურად მონაწილეობდა.

ბრიტანეთის გაწევრიანების პირობებზე ხელახლა მოლაპარაკებები და რეფერენდუმი

როგორც უკვე აღინიშნა, ვილსონი 1974 წელს დაბრუნდა ბრიტანეთის ხელისუფლებაში და მოითხოვა ბრიტანეთის გაწევრიანების პირობების გადახედვა. მინისტრთა საბჭოს სხდომაზე აღნიშნული პირობა 1974 წლის აპრილში ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეიმს კალაგენმა დააყენა. ბრიტანეთის მოთხოვნების უმეტესობა ფინანსური ხასიათის იყო: დიდ ბრიტანეთს უნდოდა ნაკლები წვლილი შეეტანა ევროპული თანამეგობრობის ბიუჯეტში და მისგან მიეღო მეტი, ძირითადად რეგიონული განვითარების ფონდის საშუალებით. წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები იზიარებდნენ ბრიტანეთის არგუმენტაციას, თუმცა, თავი შეიკავეს მისი დაკმაყოფილებისგან ბრიტანეთის ხისტი და დიქტატორული სტრატეგიის გამო.

წინა მოლაპარაკებების მსგავსად, ნათელი იყო, რომ წარმატების მისაღწევად საფრანგეთის პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი შეიძლებოდა მხოლოდ სამიტის დონეზე მოგვარებულიყო. გერმანიის კანცლერმა შმიდტმა ვილსონსა და ჟისკარდს შორის შუამავლის როლი იტვირთა. მან 1974 წლის დეკემბრის სამიტის წინა დღეს სადილზე მიიწვია ვილსონი და ჟისკარდი, სადაც ლიდერებს საშუალება მიეცათ თავიანთი არგუმენტები ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ.

პარიზში მიღებული შეთანხმება რეგიონული განვითარების ფონდის ზომისა და ფინანსების განაწილების შესახებ მისაღები იყო ვილსონისთვის. ბრიტანეთის მიერ ბიუჯეტში შესატანი ფინანსების საკითხზე კი მინისტრთა საბჭომ კომისიას მისი

შესწავლა და აღნიშნული პრობლემის „მაკორექტირებელი მექანიზმის“ შემუშავება დაავალა. კომისიამ 1975 წლის იანვარში გამოაქვეყნა თავისი ანგარიში. ბრიტანეთისთვის ანაზღაურების რაოდენობის საკითხზე სამიტის განმავლობაში ბოლო წუთამდე მიმდინარეობდა ვაჭრობა. საბოლოო ჯამში, დუბლინის სამიტზე შეთანხმდნენ ვილსონისთვის საკმარის ოდენობაზე იმისათვის, რომ მას ბრიტანეთში რეფერენდუმზე წარმატებას მიეღწია.

დიდ ბრიტანეთში რეფერენდუმში ორივე დიდი პარტია და ბიზნესის წარმომადგენლები აქტიურად უჭერდნენ მხარს „დიახ“ კამპანიას, ანუ ბრიტანეთის ევროპულ თანამეგობრობაში დარჩენას. მოსახლეობის 64%-დან 67%-მა დადებითი პასუხი დააფიქსირა. ამის მიუხედავად, პოლიტიკურ პარტიებში მაინც მძლავრად იყვნენ ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანების ოპონენტები. ტეტჩერი, რომელიც ამ წლებში კონსერვატორების ახალი ლიდერად მოგვევლინა, ნათლად განასახიერებდა ამ ნეგატივიზმს. მისთვის ევროპული თანამეგობრობა მისაღები იყო ეკონომიკურად, მაგრამ არა პოლიტიკურად. ანუ ის მხარს უჭერდა ეკონომიკურ ინტეგრაციასა და ინტერგავერნმენტალიზმს და ეწინააღმდეგებოდა პოლიტიკურ ინტეგრაციასა და სუპრანაციონალიზმს.

ბრიტანეთის გაწევრიანებამ მნიშვნელოვანი დაღი დაასვა ევროპულ თანამეგობრობას. ამ პროცესმა დღის წესრიგში დააყენა ახალი ენის, ადმინისტრაციული კულტურის, ოფიციალური პირებისა და ხშირ შემთხვევაში საკმაოდ ევროსკეპტიკური პოზიციების ადაპტაციისა და გათვალისწინების სირთულეები. რეფერენდუმის შემდეგ ვილსონმა ცნობილი განცხადება გააკეთა, რომლის მიხედვითაც ბრიტანეთმა ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო და დგებოდა დრო, როდესაც დიდი ბრიტანეთი აქტიურად დაუჭერდა მხარს თანამეგობრობის ფართო ინტერესებს და წევრი სახელმწიფოების ერთიანობას. თუმცა, ეს ცარიელი სიტყვები იყო. არც მაშინ და არც მის შემდეგ არ ჩანდა თანამეგობრობის ახალი, ანგლო-ფრანგული ან ანგლო-ფრანგულ--გერმანული თანამშრომლობითი ღერძი, რომელიც ევროპული ინტეგრაციის მამოძრავებელი ძალა იქნებოდა.

1974 წლის მაისში პომპიდუს გარდაცვალების შემდეგ დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში ჟისკარდმა გაიმარჯვა. ამავე პერიოდში ბრანდტის მოულოდნელი გადადგომის შემდეგ გერმანიის ხელისუფლებაში მოდის შმიდტი. პოლიტიკური ლიდერების შეცვლით გაჩნდა გერმანია-საფრანგეთს შორის ახალი ურთიერთობების შესაძლებლობა, რომლებიც 1970-იანი წლების დასაწყისისთვის შესამჩნევად დაიძაბა.

ჟისკარდი არ იყო არც ხისტი ინტერგავერნმენტალისტი და არც ენთუზიასტი სუპრანაციონალისტი. იგი მოდერატორი კონსერვატორი იყო და ევროპული თანამეგობრობა მიაჩნდა ინტელექტუალურად საინტერესოდ, ეკონომიკურად მნიშვნელოვნად და პოლიტიკურად თავსებადად. მისი ინსტიტუციური პირმშოს - ევროპული საბჭოს ინსტიტუციონალიზებით აშკარად შეიცვალა ძალთა ბალანსი ინტერგავერნმენტალიზმის სასარგებლოდ, ამიტომ მის დასაბალანსებლად იგი თანახმა იყო მინისტრთა საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობით ყოფილიყო კენჭისყრა და პარლამენტი არჩეულიყო პირდაპირი წესით. თუმცა, იგი სიფრთხილით ეკიდებოდა ასეთი რბილი დამოკიდებულების ხმამაღლა გამოხატვას - მან ხომ მეორე ტურში სულ რაღაც 51%-ით დაამარცხა თავისი ოპონენტი და საფრანგეთის პარლამენტში ჯერ კიდევ გოლისტებს ჰქონდათ უმრავლესობა.

ჟისკარდისგან განსხვავებით, შმიდტს შიდა პოლიტიკური დაძაბულობა არ ჰქონია. იგი 1970-იანი წლების ბოლოს ძირითადად ანტიტერორისტული კამპანიებით იყო დაკავებული. ამასთან, მიიჩნევდა რა აშშ-ს უპასუხისმგებლო გლობალურ ლიდერად, იგი უფრო მეტად აფასებდა გერმანიისთვის ევროპული ინტეგრაციის ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელობას. თუმცა, თავად ამ პროცესის პერსპექტივებისადმი დიდი ენთუზიაზმით არ იყო შეპყრობილი. იგი აქტიურად ურთიერთობდა ჟისკარდთან და ძირითადში იზიარებდა მისი ფრანგი პარტნიორის შეხედულებებს ევროპულ თანამეგობრობასთან დაკავშირებით.

1970-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ნოვაცია, რომელიც ჟისკარდისა და შმიდტის სახელებთან ასოცირდება, იყო ევროპული საბჭო, რომელიც ევროპული თანამეგობრობისთვის ზოგად სტრატეგიულ მიმართულებებს ადგენდა. სამიტების გამოცდილება ადრე პერიოდშიც არსებობდა, მაგრამ პირველად მოხდა მისი ინსტიტუციონალიზაცია. მას შემდეგ, რაც თანამეგობრობის მიერ დაფარული საკითხების რაოდენობა და მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა, აუცილებელი იყო გადამწყვეტ საკითხებზე (მაგალითად, გაფართოება და ეკონომიკური და მონეტარული კავშირი) სახელმწიფოს ლიდერების (და არა მთავრობის რიგითი მინისტრების) პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. ასევე, მას შემდეგ, რაც წევრ სახელმწიფოებს შორის ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის მექანიზმის ფარგლებში საგარეო პოლიტიკების კოორდინაციის პროცესის სიმჭიდროვედ და ინტენსივობამ იმატა, სახელმწიფოს ლიდერების რეგულარული შეხვედრები უკვე საციცოცხლოდ აუცილებელი გახდა. შესაბამისად, 1973 წლის ოქტომბრის კოპენჰაგენის შეხვედრაზე გადაწყდა, რომ შიდა ან საერთაშორისო არენაზე მიმდინარე სიტუაციის საჭიროების შემთხვევაში, გაერთიანებული ევროპის მშენებლობისთვის გაიდლაინებისა და ახალი ბიძგის მისაცემად სახელმწიფოს ლიდერები შეხვდებოდნენ უფრო მეტი სიხშირით, ვიდრე აქამდე. კოპენჰაგენის კომუნიკეს მიხედვით, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა იქნებოდა პასუხისმგებელი სახელმწიფოს ლიდერების შეხვედრის ორგანიზებასა და მომზადებაში.

საფრანგეთმა (როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანამ) 1974 წლის დეკემბერში მიიღო სამიტი, რომლის დროსაც გადაწყდა, რომ წევრი სახელმწიფოს ლიდერები საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად წელიწადში 3ჯერ შეიკრიბებოდნენ ევროპული საბჭოს სახელწოდების ფორმატით. ამავე სამიტზე შეთანხმდნენ, რომ აღარ იქნებოდა ევროპული თანამეგობრობის საკითხებსა და ევროპული პოლიტიკური თანამშ-

რომლობის საკითხების თემატური დაყოფა/განსხვავებადობა. შედეგად, გენერალური ურთიერთობების საბჭოს ფარგლებში საგარეო საქმეთა მინისტრებს მიეცათ საშუალება თანამეგობრობის თემების გარდა დისკუსია ეწარმოებინათ საგარეო პოლიტიკის საკითხებზეც. ამასთან, წევრი სახელმწიფოს ლიდერების გადაწყვეტილებით, იმისათვის, რომ მინისტრთა საბჭოს სხდომებზე მხოლოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემების გადაჭრაზე მოეხდინათ ფოკუსირება, მეტი უფლებამოსილება და დატვირთვა მიენიჭათ მუდმივ წარმომადგენლობებსა და წარმომადგენლებს.

ჟისკარდის მიერ ევროპული საბჭოს იდეის ლობირებამ პატარა წევრ ქვეყნებში კითხვის ნიშნები გააჩინა. ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი გარეტ ფიცჯერალდი შიშობდა, რომ ევროპული საბჭო იყო „დიდი სამეულის“ (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი) ინიციატივა და მიზნად ისახავდა თანამეგობრობაში დიდი ქვეყნების ჰეგემონობის განმტკიცებას. პატარა ქვეყნების დასამშვიდებლად ჟისკარდი დათანხმდა, რომ ევროპული საბჭო არ იქნებოდა ფორმალური გადაწყვეტილების მიმღები და რომ პატივს სცემდა ევროპული თანამეგობრობის სისტემაში კომისიის როლს.

პარიზში მიღებული გადაწყვეტილებები ევროპული საბჭოს ჩამოყალიბების, თანამეგობრობის საქმეებში ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის ინკორპორირებით, წევრი სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლობებისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობის გაძლიერებით მნიშვნელოვნად შეირყა ძალთა ბალანსი ინტერგავერნმენტალიზმის სასარგებლოდ. ამის დასაბალანსებლად პარიზში შეთანხმდნენ, რომ მოხდებოდა პარლამენტის პირდაპირი არჩევნები (პრაქტიკაში ეს შესაძლებელი იქნებოდა 1978 წელს და მოგვიანებით). ასევე, დანიელებისა და ბრიტანელების თავშეკავების მიუხედავად, თანამეგობრობის სამართალწარმოების პროცესში პარლამენტს მიენიჭა მეტი უფლებები, ვიდრე ჰქონდა ამ პერიოდამდე, და მიეცა უფლება, თავმჯდომარე ქვეყანასთან ერთად, ჩართული ყოფილიყო ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის პროცესებში.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ პარიზის სამიტი პროდუქტიული და წარმატებული იყო როგორც ინტერგავერნმენტალიზმისთვის, ასევე სუპრანაციონალიზმისთვის.

პარლამენტის პირდაპირი არჩევაზე შეთანხმების მიუხედავად, მოგვიანებით დაძაბული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა პარლამენტის შემადგენლობისა და პირველი არჩევნების თარიღთან დაკავშირებით. პატარა ქვეყნები მეტად იყვნენ წარმოდგენილები პარლამენტში, ვიდრე დიდი სახელმწიფოები, რის გამოსასწორებლადაც ჟისკარდს სურდა პარლამენტარების რაოდენობის გაზრდა დიდი ქვეყნების სასარგებლოდ. თუმცა, ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ პატარა სახელმწიფოები. ამასთან, დიდი ბრიტანეთი ითხოვდა მისთვის ადგილების გაზრდას, რომ შოტლანდია ირლანდიასა და დანიასთან შედარებით ნაკლებ არ ყოფილიყო წარმოდგენილი (ეს უფრო პოლიტიკური მოთხოვნა იყო, ვინაიდან შოტლანდიური ნაციონალიზმი ამ პერიოდში აღმავლობის გზაზე იყო და ლონდონს არ სჭირდებოდა დამატებითი პრობლემები). 1976 წლის აპრილის ლუქსემბურგის სამიტზე განსაკუთრებით დაიძაბა ამ მხრივ მოლაპარაკებები. არცერთი მხარე დათმობაზე წასვლას არ აპირებდა. მხოლოდ 1976 წლის ივლისის სამიტზე მოხერხდა შეთანხმების მიღწევა. მაგრამ ამ პერიოდისთვის უკვე შეუძლებელი იყო 1978 წლისთვის დაეგეგმათ არჩევნები, ამიტომ მისი ჩატარება 1979 წლის ივნისში გადაწყდა.

სირთულე შეიქმნა არჩევნების კონკრეტულ თარიღთან დაკავშირებითაც. ზოგ ქვეყანას ხუთშაბათს სურდა, ზოგს კვირას. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ არჩევნები ჩატარდებოდა ხუთშაბათიდან კვირის ჩათვლით დღეებში და არ დაიწყებოდა დათვლის პროცედურა, სანამ კვირა დღის ბოლოს საბოლოო ბიულეტენი არ ჩავარდებოდა ყუთში.

ასეთ ინტენსიურ და რთულ მოლაპარაკებებს შეეწირა პარლამენტისთვის საკანონმდებლო ფუნქციების გაძლიერების იდეაც. იგი გარკვეული პერიოდით დავიწყებას მიეცა. ამის მსგავსად, წევრმა სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს მეორე მნიშვნელოვანი რეფორმის - კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის მე-

ტად გამოყენების - განხორციელება. ვინაიდან ლუქსემბურგის კომპრომისის შედეგები მჭიდროდ ასოცირდებოდა საფრანგეთთან, ჟისკარდის გახსნილობა ამ საკითხისადმი საკმაოდ რევოლუციური იყო. ასევე, მისასალმებელი იყო ბრიტანეთის სურვილი, რომ მხოლოდ ერთსულოვნად არ მომხდარიყო გადაწყვეტილებების მიღება. თუმცა, სურვილები სურვილებად დარჩა. პრაქტიკაში ლუქსემბურგის კომპრომისი მყარად იყო დაცული მინისტრთა საბჭოში. მხოლოდ ერთხელ, ირლანდიის თავმჯდომარეობის დროს მოახერხა გარეტ ფიცჯერალდმა კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღება (ბოცვანას საქონლის ხორცზე იმპორტის გადასახადის მოხსნაზე - ესეც იმიტომ მოხერხდა, რომ ბრიტანეთის ინტერესებში იყო აღნიშნული გადასახადის მოხსნა). სხვა ყველა, მათ შორის ძალიან უბრალო სიტუაციებშიც კი, 1980-იან წლებამდე მინისტრთა საბჭოში გადაწყვეტილებები მხოლოდ ერთსულოვნად მიიღებოდა.

სუპრანაციონალიზმისთვის კიდევ ერთი დარტყმა იყო ჟისკარდისა და შმიდტის დამოკიდებულება კომისიისადმი. თითქმის ყველა კანცლერის მსგავსად მანამდეც და მის შემდეგაც (კონრად ადენაუერისა და ჰელმუტ კოლის გარდა), შმიდტი არ იყო დაინტერესებული კომისიის სიძლიერით და არც მის პრეზიდენტად და არც რიგით თანამშრომლად არ აგზავნიდა ხოლმე მაღალი თანამდებობის და რეპუტაციის პირებს. არც ფრანგები გამოირჩეოდნენ კომისიისადმი განსაკუთრებული ინტერესით, თუმცა, ყოველთვის ცდილობდნენ, ბევრი ფრანგი ყოფილიყო კომისიის მაღალ თანამდებობებზე. შესაბამისად, საფრანგეთისგან და გერმანიისგან მნიშვნელოვანი პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე, შეუძლებელი იყო კომისიის მიერ თანამეგობრობის საქმეებში და მის განვითარებაში ლიდერის ფუნქციის შესრულება.

მნიშვნელოვანი ზიანის გარდა, კომისიისთვის ევროპული საბჭოს შექმნას ერთი დადებითი შედეგიც ჰქონდა, მიიჩნევდა რა მას ორგანოს, რომელიც გადამწყვეტ მომენტებში მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებდა და ევროპული თანამეგობრობა მიჰყავდა სწორი მიმართულებით. სწორედ მსგავსი პოზიტიური პოზიცია დააფიქსირა 1975 წლის თებერ-

ვალში კომისიის პრეზიდენტმა ორტოლიმ პარლამენტის წინაშე გამოსვლისას. თუმცა, ვინაიდან ევროპული საბჭოს სხდომებს კომისიის პრეზიდენტი არ/ვერ ესწრებოდა, მისივე აზრით, შეუძლებელი იყო ევროპული საბჭოს ამ პოზიტიური პოტენციალის ბოლომდე გამოყენება.

გარდა ამისა, 1970-იანი წლების შუა პერიოდში კომისიას არამარტო სუსტი და პოლიტიკურად არაამბიციური ლიდერები ჰყავდა და არ შეეძლო ლიდერის როლის შესრულება, არამედ თითქმის მთლიანად გაფართოების შედეგების აღმოფხვრით იყო დაკავებული. დიდი ბრიტანეთიდან (2), ირლანდიიდან (1) და დანიიდან (1) ახალი კომისრებისა და თანამშრომლების მიღების შემდეგ მისი საქმიანობა კულტურული, ორგანიზაციული, ენობრივი და საკადრო ცვლილებების მაქსიმალურად მარტივად გადატანისკენ იყო მიმართული.

თავი 5

1970-1980-იანი წლები: გზა ერთიან ევროპულ აქტამდე

ცვლილებების დასაწყისი

1970-იანი წლების ბოლოსთვის გაჩნდა იმედი, რომ მოხდებოდა ევროპული ინტეგრაციული პროცესების განახლება. 1978 წელს კომისიამ წარადგინა თავისი ანგარიში, სადაც აღნიშნავდა, რომ საერთო ჯამში ეკონომიკური მდგომარეობა დამაიმედებელი იყო და რომ ევროპული თანამეგობრობა ნელ-ნელა იწყებდა კრიზისიდან გამოსვლას. 1980 წლამდე (ანუ ნავთობის მეორე კრიზისისგან გამოწვეულ ხელახალ რეცესიამდე) პოლიტიკური ინტეგრაციის პერსპექტივაც საკმაოდ რეალური იყო. 1977 წელს კომისიის პრეზიდენტი გახდა მაღალჩინოსანი ბრიტანელი პოლიტიკოსი როი ჯენკინსი, რომელმაც ახალი სიცოცხლე და აქტივიზმი შემატა ბრიუსელის ბიუროკრატიას. საფრანგეთის პრეზიდენტის ვალერი ჟისკარდ დ'ესტენისა (რომლის პრემიერ-მინისტრი კომისიის ვიცე-პრეზიდენტი რეიმონდ ბარი იყო) და გერმანიის კანცლერის ჰელმუტ შმიდტისგანაც გაჩნდა პოლიტიკური მხარდაჭერისა და ევროპული თანამეგობრობით დაინტერესების დამაიმედებელი პერსპექტივები.

ევროპული ინტეგრაციის განახლების სიმბოლური მაგალითები თანამეგობრობაში საბერძნეთის გაწევრიანება, 1979 წლის პარლამენტის პირდაპირი არჩევნები და ევროპული მონეტარული სისტემა გახდა.

საბერძნეთის გაწევრიანება

საბერძნეთი 1974 წლის ივლისში კვლავ დემოკრატიული სახელმწიფო გახდა. სამხედრო დიქტატორი პოლკოვნიკის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ხელისუფლებაში მოვიდა მემარჯვენე-ცენტრისტული მთავრობა ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და

პატივსაცემი პოლიტიკოსის კონსტანტინე კარამანლისის ხელმძღვანელობით. ამერიკის შეერთებული შტატები თავის დროზე მხარს უჭერდა დიქტატორს, ისევე, როგორც, თურქეთს კვიპროსის კონფლიქტის დროს, რის გამოც კარამანლისმა საბერძნეთი დაუყოვნებლივ გამოიყვანა ნატოს სამხედრო მეთაურობიდან. ამის პარალელურად კი აქტიურად დაიწყო ევროპულ თანამეგობრობაში საბერძნეთის სწრაფ გაწევრიანებაზე ზრუნვა. მის მიერ წარმოებული საგარეო ურთიერთობების გამო, კარამანლისმა 1974 წლის არჩევნებში გამარჯვება იზეიმა.

ამ პერიოდში საბერძნეთი ძალიან ღარიბი იყო. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი ევროპული თანამეგობრობის იმავე მაჩვენებლების 25%-ს შეადგენდა. შესაბამისად, კარამანლისი თანამეგობრობაში გაწევრიანებით იმედოვნებდა, რომ მოახდენდა საერთაშორისო დონეზე რეპუტაციის რეაბილიტაციას, პოლიტიკურ სტაბილურობის შენარჩუნებასა და ეკონომიკის მოდერნიზაციას. საბერძნეთს თურქეთთან დიდხნიანი მტრობა აკავშირებდა, რომელიც 1974 წელს თითქმის ხელახალ ომში გადაიზარდა. ამიტომ, კარამანლისი ფიქრობდა, რომ თანამეგობრობა გააძლიერებდა თურქეთის წინააღმდეგ საბერძნეთის უსაფრთხოებას.

ამის მიუხედავად, საბერძნეთში თანამეგობრობაში გაწევრიანებას ბევრი ოპონენტიც ჰყავდა. ძირითადად, ეს იყო ახლადშექმნილი პოლიტიკური პარტია პანჰელენური სოციალისტური მოძრაობა ანდრეას პაპანდრეუს მეთაურობით. პაპანდრეუს ევროპული თანამეგობრობა ნატოს პოლიტიკურ მიმართულებად და კაპიტალიზმის ექსპლუატაციის ინსტრუმენტად მიაჩნდა.

საბერძნეთმა გაწევრიანების აპლიკაცია 1975 წელს შეიტანა. წევრი სახელმწიფოები პოზიტიურად შეხვდნენ ამ სვლას. თუმცა, კომისია სიფრთხილით მოეკიდა საბერძნეთის გაწევრიანების საკითხს. 1976 წლის იანვრის ანგარიშში მან აღნიშნა, რომ იგი მიესალმება საბერძნეთის გაწევრიანების პერსპექტივას, მაგრამ არსებულ ასოციაციის ხელშეკრულებებში ხედავს მნიშვნელოვან სირთულეებს სოფლის მეურნეობის, კონკურენციის პოლიტიკის და სახელმწიფოს დახმარების (სუბსიდიების) მი-

მართულებით. ამასთან, გაითვალისწინა რა საბერძნეთის სილარიბე და მისი გაწევრიანებით გამოწვეული პრობლემები ევროპული თანამეგობრობა-თურქეთის ურთიერთობებში, კომისიამ გრძელვადიანი გაწევრიანებისწინა პერიოდი ითხოვა. ფაქტობრივად, ეს იყო საბერძნეთისთვის ზრდილობიანად, დიპლომატიურად თქმა იმისა, რომ იგი თანამეგობრობაში გაწევრიანებისთვის ჯერ მზად არ იყო.

კომისიის ანგარიშზე საბერძნეთის მთავრობამ ნეგატიური პოზიცია დააფიქსირა. მსგავსად მოიქცა მინისტრთა საბჭოც. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიჰ გენშერი ამ ნეგატივიზმის კარგი გამოხატულება გახლდათ. მან თავის ემოციურ გამოსვლაში განაცხადა, რომ საბერძნეთი სულ ახლახანს დაუბრუნდა დემოკრატიულ საწყისებს და რომ იგი მომავალში სვლას ევროპული ერების თანამეგობრობასთან ერთად გააგრძელებდა. საბერძნეთმა კარგად გამოიყენა ეს სენტიმენტები და 1976 წლის ივლისში დაიწყო გაწევრიანების მოლაპარაკებები. თუმცა, მოლაპარაკებები ნელა მიმდინარეობდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ათენის მხრიდან არაადეკვატური ინფორმაციის გამო იყო გამოწვეული. ამასთან ერთად, პორტუგალიისა და ესპანეთის მხრიდან გაწევრიანების სურვილის გამოთქმის შემდეგ, მინისტრთა საბჭოს დამოკიდებულება საბერძნეთის მიმართ მნიშვნელოვნად შეიცვალა. აქამდე თუ მინისტრთა საბჭო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა საბერძნეთის გაწევრიანების გავლენას თანამეგობრობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ამჯერად მან კარგად დაინახა და შეაფასა ხმელთაშუაზღვისპირეთის მიმართულებით გაფართოების პოტენციური ნეგატიური შედეგები.

კარამანლისს ეშინოდა, რომ თანამეგობრობას შეიძლება საბერძნეთთან მოლაპარაკებები და მისი შედეგები პორტუგალიისა და ესპანეთის აპლიკაციებთან ერთად განეხილა. ამიტომ მან ლიდერებს შეახსენა 1961 წლის ასოციაციის ხელშეკრულება, რომელშიც საბერძნეთის გაწევრიანება 1984 წლისთვის უნდა მომხდარიყო. მისი აზრით, ეს იყო იმის მტკიცებულება, რომ საბერძნეთთან მოლაპარაკებები დამოუკიდებლად, ხმელთაშუ-

აზღვისპირეთის კონტექსტის გარეშე უნდა წარმართულიყო. მისი არგუმენტის გასამყარებლად მან 1978 წელს ევროპული თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების დედაქალაქებში ვიზიტები მოაწყო. ვინაიდან ესპანეთის შესაძლო გაწევრიანებით საფრანგეთი ყველაზე მეტად ფრთხილი იყო (ვინაიდან ესპანეთსაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფლის მეურნეობის სექტორი აქვს), ჟისკარდის პოზიცია საბერძნეთის აპლიკაციის დამოუკიდებლად განხილვასთან დაკავშირებით გადამწყვეტი იყო. ასევე, ჟისკარდზე დამატებითი ზეგავლენისთვის კარამანლისმა გამოიყენა თავისი კავშირები იმ პერიოდიდან, როდესაც იგი საბერძნეთში დიქტატორული რეჟიმის დროს პარიზში დევნილობაში ცხოვრობდა და წარმატებით მოხსნა საფრანგეთის მხრიდან ყველა ბარიერი. ჟისკარდმა იგი თბილად მიიღო და 1978 წლის თებერვალში მინისტრთა საბჭოს მოუწოდა საბერძნეთი 1980 წლისთვის თანამეგობრობაში მიეღოთ.

მნიშვნელოვანი ბარიერების არარსებობის გამო, გაწევრიანების მოლაპარაკებები სწრაფად წარიმართა და 1979 წლის მაისში ათენში გაწევრიანების ხელშეკრულებით დასრულდა. ეს იყო კარამანლისის ნიჭისა და უნარების ნამდვილი გამარჯვება. რატიფიკაციის პროცესიც სირთულეების გარეშე დასრულდა და 1981 წლის იანვარში საბერძნეთი ევროპული თანამეგობრობის წევრი გახდა.

ევროპული პარლამენტის პირდაპირი არჩევნები

ევროპული ინტეგრაციის პროცესის განახლების მეორე სიმბოლური მაგალითი გახლდათ ევროპული პარლამენტის პირდაპირი არჩევნები. ევროფედერალისტებს იმედი ჰქონდათ, რომ პირდაპირი არჩევნები დააჩქარებდა ევროპული კავშირისკენ სვლას. თანამეგობრობის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოს, განსაკუთრებით, დიდი ბრიტანეთს, დანიასა და საფრანგეთს, ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ პარლამენტისთვის დამატებითი ძალაუფლების მინიჭების საკითხთან დაკავშირებით. სხვა

წევრი ქვეყნები, მაგალითად, გერმანია, ჰოლანდია და იტალია, მხარს უჭერდნენ უფრო ძლიერ პარლამენტს. კომისიაც დაინტერესებული იყო პარლამენტისთვის ძალაუფლების გაზრდით, იმედოვნებდა რა, რომ ამით გაზრდიდა საკუთარ ლეგიტიმაციას და გააძლიერებდა თანამეგობრობის სისტემის სუპრანაციონალურ მიმართულებას.

1979 წლის ივნისის პირველ პირდაპირ არჩევნებს განსაკუთრებული შედეგები არ მოუტანია, კანდიდატების შერჩევისა და კამპანიის წარმოების პროცესში გადამწყვეტი როლი ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებს ეკავათ. ბევრი მოქალაქე ამ არჩევნებში უბრალოდ მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებასთან დაკავშირებულ რეფერენდუმს ხედავდა. არჩევნებში მოქალაქეთა 63%-მა მიიღო მონაწილეობა. პარლამენტში ყველაზე დიდი რაოდენობა სოციალისტების ჯგუფმა (113 ადგილი, 27,5%) აიღო, შემდეგი დიდი ჯგუფი კი ევროპული სახალხო პარტია იყო (110 ადგილი, 26,8%). ევროპარლამენტარების დიდი უმრავლესობა მხარს უჭერდა ევროპულ ინტეგრაციას. პარლამენტის წევრთა 10%-ს ამავე დროს ეროვნული პარლამენტის მანდატიც ჰქონდათ (ე.წ. „ორმაგი მანდატი“), რაც ხშირად ხელს უშლიდა მათ იმაში, რომ სათანადოდ შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობები ევროპულ პარლამენტში. თუმცა, ამის დადებითი მხარე ის იყო, რომ შენარჩუნებული იყო კავშირი ეროვნულ და ევროპულ პარლამენტებს შორის.

ევროპული მონეტარული სისტემა

ევროპული მონეტარული სისტემა (ემს) 1970-იანი წლების ბოლოს თანამეგობრობის რენესანსის კიდევ ერთი სიმბოლურ მაგალითს წარმოადგენს. ემს გახლდათ ევროპული თანამეგობრობის მონეტარული პოლიტიკის მეორე მნიშვნელოვანი ინიციატივა (პირველი იყო ეკონომიკური და მონეტარული კავშირის შესახებ ვერნერის გეგმა). ვერნერის გეგმის წარუმატებლობის შემდეგ, წევრმა სახელმწიფოებმა ემს შეაფასეს არა როგორც

ეკონომიკური და მონეტარული კავშირისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, არამედ გაცილებით მოკრძალებულად - მცდელობა, რომ შეემცირებინათ გაცვლითი კურსის ცვალებადობა და ამ გზით ებრძოლათ ინფლაციის წინააღმდეგ, გაეზარდათ ინვესტიციები და ეკონომიკური აქტივობა.

ემს-ის დაარსება ასოცირდება ჟისკარდისა და შმიდტის სახელთან, თუმცა, ეს იდეა კომისიის პრეზიდენტს როი ჯენკინს ეკუთვნის. ჯენკინს მისი შექმნის რამდენიმე მოტივი ჰქონდა: ევროპული ინტეგრაციის გამოცოცხლება, თანამეგობრობის სისტემასა და მის საქმეებში კომისიის ცენტრალური როლის დაბრუნება, ეკონომიკური და მონეტარული კავშირისადმი დაინტერესების განახლება და თანამეგობრობის მიერ გაცვლითი კურსის საერთაშორისო არასტაბილურობასთან გამკლავება. ჯენკინსმა ეს იდეა პირველად საჯაროდ 1977 წლის ოქტომბერში ფლორენციაში ევროპული უნივერსიტეტის ინსტიტუტში (*European University Institute in Florence*) გააჟღერა. თავდაპირველად, მან ბონში ვიზიტისას შმიდტის დაინტერესება სცადა, თუმცა, ამაოდ. ამ დროს შმიდტი ანტი-ტერორისტული კამპანიებით იყო დაკავებული. ევროპულმა საბჭომაც ნაკლები ყურადღება დაუთმო იდეის განხილვას. მან მხოლოდ ევროფედერალისტისა და იმ პერიოდის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის, ბელგიის ყურადღება მიიპყრო.

1978 წლის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც დოლარის ხელახალი გაუფასურება მოხდა, შმიდტმა ევროპული მონეტარული სისტემისადმი თავისი პოზიცია შეიცვალა და აქტიურად დაიწყო მისი ლობირება. საქმე ის იყო, რომ დოლარის გაუფასურებითა და მარკის გამყარებით ხდებოდა გერმანიის ექსპორტის კონკურენტუნარიანობის შემცირება და საფრთხე ექმნებოდა გერმანულ სამუშაო ადგილებს. სხვა სიტყვებით, ამერიკის შეერთებული შტატები საკუთარი ეკონომიკის გამოცოცხლებას ახდენდა გერმანიის კეთილდღეობის ხარჯზე. ამის გამო შმიდტმა აშშ-ის პრეზიდენტი ჯიმი კარტერი უპასუხისმგებლო საქციელში დაადანაშაულა. ევროპის მასშტაბით მონეტარული სისტემის შექმნით იგი შეამცირებდა ამ ნეგატიურ გავლენას და აშშ-საც

დაანახებდა, რომ ევროპელებს შეეძლოთ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებში ამერიკის ცუდი ლიდერობისთვის სათანადოდ ეპასუხათ.

შმიდტმა ჯენკინსის ნაცვლად პარტნიორად ჟისკარდი აირჩია - ჟისკარდს გაცილებით მეტი პოლიტიკური წონა და გავლენა ჰქონდა, ვიდრე ჯენკინსს. საფრანგეთი, რა თქმა უნდა, დაინტერესებული იყო ამ ინიციატივით. ჟისკარდისა და მისი პრემიერ-მინისტრ ბარისთვის (რომელიც კომისიის მიერ 1969 წელს გამოქვეყნებული ეკონომიკური და მონეტარული კავშირის შესახებ მემორანდუმის ავტორი იყო) ეს იყო კარგი საშუალება, რომ სუსტი ფრანკი მიებათ ძლიერ მარკაზე, მითუმეტეს, თუ გერმანია გაიღებდა სისტემის შენარჩუნებისთვის საჭირო ხარჯებს.

სწორედ ამ პერიოდიდან ევროპული მონეტარული სისტემა ფრანგულ-გერმანულ ინიციატივად გადაიქცა და პირველად მისი წარდგენა 1978 წლის აპრილის კოპენჰაგენის სამიტზე მოხდა. სხვა წევრმა სახელმწიფოებმაც გამოთქვეს ემს-ში მათი ვალუტების მონაწილეობის სურვილიც. მხოლოდ ბრიტანეთმა გამოხატა ნეგატიური დამოკიდებულება. ამით ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯეიმს კალაგანმა დააფიქსირა თავისი პროტესტი საფრანგეთ-გერმანიის საქციელისადმი. ამასთან, მის ლეიბორისტულ პარტიაშიც ბევრმა ევროსკეპტიკმა მასში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ბრიტანეთის პოზიციაში თავისი როლი ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვის არგუმენტმაც ითამაშა.

ბრიტანეთის უარის გამო, საფრანგეთსა და გერმანიას გაცილებით თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა მიეცათ. მათ ინიციატივის დეტალები 1978 წლის ივლისის ევროპული საბჭოს ბრემენის სამიტზე წარმოადგინეს. ამ დროს გერმანია თავმჯდომარე ქვეყანა იყო. ფრანგულ-გერმანული პროექტის მიხედვით, უნდა შექმნილიყო გაცვლითი კურსის მექანიზმი, რომელიც დაეფუძნებოდა ხელოვნურად, წარმოსახვით შექმნილ ევროპულ სავალუტო ერთეულს (ინგლისურიდან ე.წ. ეკიუ - European Currency Unit - ECU). პარიტეტის ბადისა და განსხვავების მაჩვენებლის (*parity grid and divergence indicator*) გამოყენებით მოხდებოდა თითოეული ეროვნული ვალუტის შეფასება ეკიუსთან მიმართე-

ბაში და შემდეგ ამ პირობითი ღირებულებით მოხდებოდა ვალუტების გაცვლითი პროცესების წარმოება. ამასთან, ვალუტების მერყეობა ერთმანეთთან მიმართებით დასაშვები იქნებოდა +/- 2,5%-ის მარჟის ფარგლებში. გარდა ამისა, იმისათვის, რომ დადგენილ მარჟაში მომხდარიყო ვალუტების შენარჩუნება, გერმანიამ მოითხოვა, რომ სუსტი ვალუტის ქვეყნებს (მაგ.: საფრანგეთს და იტალიას) გაეტარებინათ დამატებითი ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტები/შეზღუდვები/რეფორმები და არ ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი მხოლოდ ძლიერი ვალუტის ქვეყნების (განსაკუთრებით, გერმანიის) მხრიდან ინტერვენციაზე.

ამ ინიციატივაზე მუშაობა 1978 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. იტალიის პრემიერ-მინისტრ ანდრეოტის სურდა, რომ იტალიურ ლირასაც მიეღო ინიციატივაში მონაწილეობა. თუმცა, ექსპერტები ეჭვობდნენ, რომ ლირის სისუსტის გამო, იტალიური ვალუტა ვერ შეძლებდა გაცვლითი კურსის მექანიზმში დარჩენას. ირლანდიური ვალუტის სტერლინგთან (რომელიც არ იქნებოდა ამ მექანიზმში ჩართული) მჭიდრო კავშირის მიუხედავად, ირლანდიამაც გამოთქვა მონაწილეობის სურვილი. ვალუტების სისუსტის გამო, ვალუტების გასაძლიერებლად და გაცვლითი კურსის მექანიზმის ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად, იტალიამ და ირლანდიამ ითხოვა, რეგიონული განვითარების ფონდის საშუალებით მომხდარიყო დამატებითი ფინანსური დახმარების მიღება. საქმე იმანაც გაართულა, რომ დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა მოითხოვეს, რომ იტალიისთვის და ირლანდიისთვის დახმარების გაზრდის ხარჯზე არ მომხდარიყო ფონდიდან მათი დახმარების შემცირება. შესაბამისად, გერმანიას რჩებოდა ერთი ვარიანტი - გადაეხატა მეტი.

ფინალური მოლაპარაკებები და შეთანხმება 1979 წლის დეკემბრის ბრიუსელის სამიტზე შედგა. შმიდტი დათანხმდა დაფინანსების გაზრდას, რითაც უზრუნველყო ყველა წევრი სახელმწიფოს (დიდი ბრიტანეთის გარდა) ევროპულ მონეტარულ სისტემაში მონაწილეობა. ევროპული მონეტარული სისტემა მალევე ამოქმედდა.

1970-იანი წლების იმედისმომცემი ძვრების შემდეგ, 1980-იანი წლების დასაწყისში ევროპული თანამეგობრობა ისევ პრობლემების ჭაობში ჩაეფლო. ეკონომიკური ზრდა შეჩერდა, გაიზარდა უმუშევრობა და გაუარესდა სავაჭრო ბალანსი. მხოლოდ ინფლაციის შემცირება მოხერხდა (ისიც ევროპული მონეტარული სისტემის წყალობით). ითვალისწინებდა რა კრიზისების პერიოდში წევრი სახელმწიფოების ცალმხრივად მოქმედებებისკენ მიდრეკილებას, კომისია მოუწოდებდა სახელმწიფოებს თანამეგობრობის შენარჩუნების მიზნით ერთობლივი ქმედებები განეხორციელებინათ. თუმცა, ეკონომიკურის მსგავსად, პოლიტიკური სიტუაციაც არ იყო სახარბიელო. 1981 წლის მაისის არჩევნებში ჟისკარდმა დაკარგა საპრეზიდენტო პოსტი. ახალი პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის ქმედებებმა კი საფრთხე შეუქმნა ფრანკის სტაბილურობას და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ევროპული მონეტარული სისტემის მომავალი. 1982 წელს გერმანიის კანცლერმა შმიდტმაც დაკარგა თანამდებობა, როდესაც კოალიციური მთავრობის ერთ-ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ თავისუფალმა დემოკრატებმა მის ნაცვლად ქრისტიან-დემოკრატებს და მათ ლიდერ ჰელმუტ კოლს დაუჭირა მხარი. კოლი მისი კანცლერობის საწყის ეტაპზე ნაკლებ დროს უთმობდა ევროპულ თანამეგობრობას, რაც კრიზისის მოგვარებას კიდევ უფრო აჭიანურებდა.

მარგარეტ ტეტჩერი ამ პერიოდში უკვე გახდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. იგი ევროპული თანამეგობრობით არ იყო დაინტერესებული. იგი მხოლოდ იმას ფიქრობდა, თუ როგორ აენაზღაურებინა ბრიტანეთის მიერ თანამეგობრობის ბიუჯეტში არაპროპორციულად მეტი შეტანილი ფინანსები. სწორედ ეს ბრიტანეთის საბიუჯეტო საკითხი გახლდათ 1980-იან წლებში თანამეგობრობაში არსებული პოლიტიკური დაძაბულობის მთავარი წყარო. ბრიტანეთის მსგავსად, საბერძნეთის გაწევრიანების შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ევროსკეპტიკი პაპანდრეუ საკმაოდ ხისტად და დესტრუქციულად განეწყო ევროპული

თანამეგობრობისადმი. ამას დაემატა ისიც, რომ გრენლანდიამ (რომელიც დანიის მმართველობის ქვეშ იყო) რეფერენდუმის გზით დატოვა ევროპული თანამეგობრობა.

ამის ფონზე რომის ხელშეკრულების 25 წლისთავის აღსანიშნავი ცერემონიები საკმაოდ უღიმღამოდ წარიმართა. სიმბოლური იყო ლიდერების ქმედებებიც - ტეტჩერი შავებში იყო გამოწყობილი, მიტერანი და (ჯერ კიდევ პოსტზე მყოფი) შმიდტი კი ძალიან ინერტულები იყვნენ. ამ ცერემონიის მომდევნო დღეს, ევროპული საბჭოს შეხვედრაზე კი ლიდერებს აცნობეს, რომ გარდაიცვალა ვალტერ ჰოლშტაინი, კომისიის პირველი პრეზიდენტი. ამან დამატებითი სიმბოლიზმი შესძინა მიმდინარე მოვლენებს.

მოკლედ, ევროპულ თანამეგობრობაში პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა 1980-იანი წლების დასაწყისში სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ბრიტანეთის საბიუჯეტო საკითხი

1979-1984 წლების ევროპული საბჭოს შეხვედრებს შავ ლაქად გასდევს ბრიტანეთის საბიუჯეტო საკითხზე (ბსს) დაძაბული და ხისტი მოლაპარაკებები. კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა არა მარტო თანამეგობრობის ბიუჯეტში ბრიტანეთის შენატანის რაოდენობა, არამედ ზოგადად ბიუჯეტის შემადგენლობაც. 1980 წელს ევროპული თანამეგობრობის ბიუჯეტის დაახლოებით 70% სოფლის მეურნეობის სუბსიდირებაზე იხარჯებოდა. მზარდი ხარჯების გათვალისწინებით, 1980-იანი წლების შუა პერიოდისთვის „საკუთარი ხარჯები" ვეღარ ეყოფოდა ყველა პროგრამას, რის გამოც ქვეყნების წინაში იდგა ორი ალტერნატივა: ან გაეზარდათ საკუთარი დამატებითი ღირებულების გადასახადიდან თანამეგობრობის ბიუჯეტში შენატანი ან შეემცირებინათ სოფლის მეურნეობაზე დანახარჯები. ორივე არაპოპულარული არჩევანი იყო: ერთი მხრივ, ეროვნულ სახელმწიფოებს სურდათ, რომ რაც შეიძლება მეტი დარჩენოდათ საკუთარ ბიუჯეტში დამატებითი

ღირებულების გადასახადიდან იმ მიზნით, რომ დაეფინანსებინათ ეროვნული პროგრამები; მეორე მხრივ, ფერმერებს არ სურდათ პროდუქტებზე ფიქსირებული მაღალი ფასების შემცირება და სასოწარკვეთით იცავდნენ საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკას.

სხვა წევრ ქვეყნებთან შედარებით, დიდი ბრიტანეთი ევროპული თანამეგობრობის გარედან შედარებით მეტ იმპორტს ახორციელებდა და შედარებით პატარა სოფლის მეურნეობის სექტორი ჰქონდა. შესაბამისად, იგი თანამეგობრობის ბიუჯეტში არაპროპორციულად მეტს იხდიდა და მისგან არაპროპორციულად ნაკლებს იღებდა სუბსიდიების სახით. ამ პრობლემის მოგვარება წინა მთავრობებმაც სცადეს, როდესაც 1974-75 წლებში გაწევრიანების პირობების გადახედვა განხორციელდა, მაგრამ არა იმ წარმატებით, რაც თავდაპირველად სურდათ. 1979 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ტეტჩერმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი ევროპულ თანამეგობრობაში ბრიტანეთის საბიუჯეტო დისბალანსის პრობლემის საბოლოოდ მოგვარებას.

ტეტჩერი ნეგატიურად იყო განწყობილი საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის მიმართ. მაშინ როცა საფრანგეთისა და გერმანიისთვის საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა აღიქმებოდა როგორც მათ შორის ომის თავიდან აცილების ერთ-ერთი პირველი ინსტრუმენტი, ტეტჩერი მას უბრალოდ ბაზრისთვის ხელისშემშლელ მექანიზმად თვლიდა. ტეტჩერის აზრით, საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და, ზოგადად, ევროპული თანამეგობრობის მიღმა იმალებოდა ის ფრანგულ-გერმანული თანამშრომლობითი ღერძი, რამაც ევროპაში ბრიტანეთს თავისი გავლენა დააკარგვინა.

ამასთან, ტეტჩერისთვის რწმენით, საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა მის საშინაო პოლიტიკასთან წინააღმდეგობაშიც მოდიოდა. დიდ ბრიტანეთში ტეტჩერი ცდილობდა, ხარჯების შემცირების გზით, ერთხელ და სამუდამოდ დაესრულებინა ბრიტანეთის ქრონიკული ფისკალური პრობლემები. შესაბამისად, მისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო, ევროპულ თანამეგობრობას ასე „უაზროდ“ ეხარჯა საჯარო ფინანსები.

მითუმეტეს, რომ ეს ფინანსები იყო „ჩვენი“ და არა „მათი“, ვინაიდან ევროპული თანამეგობრობის ბიუჯეტში ფული არაფრიდან კი არა, არამედ დამატებითი ღირებულების გადასახადიდან და იმპორტირებულ საქონელზე ბეგარასგან შედიოდა, და მითუმეტეს, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით დიდი ბრიტანეთი იხდიდა მეტს და იღებდა ნაკლებს.

1979 წლის მარტში შმიდტი სამუშაო ვიზიტით ეწვია ლონდონს. ამ შეხვედრაზე ტეტჩერს მიეცა პირველი შესაძლებლობა ოფიციალურად გამოეხატა თავისი სურვილი ბრიტანეთისთვის ანაზღაურების შესახებ და ნეგატიური დამოკიდებულება საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის მიმართ. მოლაპარაკებები გაგრძელდა 1979 წლის ივნისის სტრასბურგის სამიტზე, რომელიც ასევე იმით იყო გამორჩეული, რომ პარლამენტის პირველ პირდაპირ არჩევნებს აღნიშნავდნენ. დაძაბული და უიმედო მოლაპარაკებების მოლოდინით ჟისკარდმა ითხოვა ბიუჯეტის განხილვის გადადება. ტეტჩერმა უარი განაცხადა. ეს იყო ტეტჩერის პირველი „არა“ ევროპულ საბჭოზე, რომელიც მან შემდეგ სამიტებზე არაერთხელ გამოიყენა.

1979 წლის ნოემბრის დუბლინის სამიტი უშედეგოდ დასრულდა. უფრო მეტიც, ტეტჩერმა უარყო კომისიის მიერ ბიუჯეტის პრობლემაზე მომზადებული ანალიზი და საჯაროდ გააფრთხილა ყველა, რომ ბრიტანეთი შეწყვეტდა თანამეგობრობის ბიუჯეტში ფინანსურ შენატანს (რაც არალეგალური ქმედება იყო). თავის მხრივ, ჟისკარდმა და შმიდტმაც დაიწყეს იმაზე მინიშნება, რომ შეიძლება ბრიტანეთისთვის თანამეგობრობის მეორეხარისხოვანი წევრობა მიენიჭებინათ (თუმცა, სამართლებრივად ეს შეუძლებელი იყო). საბოლოო ჯამში, დუბლინის მოლაპარაკებები ჩავარდა. წარმატებას მხოლოდ 1980 წლის მაისის გენერალური ურთიერთობების საბჭოზე მიაღწიეს, როდესაც ბრიტანეთს შესთავაზეს ბიუჯეტში შეტანილი თანხის 2/3-ის ანაზღაურება მომდევნო სამწლიან პერიოდში. ტეტჩერმა ცივად, მაგრამ მაინც მიიღო შემოთავაზება. ამის საფუძველზე 1980 წლის ივნისის ევროპული საბჭოს ვენეციის სამიტზე გაფორმდა ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, შმიდტი დათანხმდა ფარ-

თო საბიუჯეტო რეფორმას. ბრიტანეთის საბიუჯეტო საკითხის პირველ რაუნდი ტეტჩერის გამარჯვებით დასრულდა, თუმცა, ეს ბრიტანეთს დიდ პოლიტიკურ ფასად დაუჯდა. ბრიტანეთთან დაკავშირებული საბიუჯეტო პრობლემა დროებით მოგვარდა, მაგრამ ყველა დარწმუნებული იყო, რომ ტეტჩერი ხელახალ შეტევას განახორციელებდა 1983 წლისთვის, როდესაც ამოიწურებოდა ვენეციის შეთანხმების პირობები.

დაძაბულობა ხმელთაშუაზღვისპირეთში

საბერძნეთის გაწევრიანებიდან მალევე საბერძნეთის ხელისუფლებაში მოვიდნენ სოციალისტები პრემიერ-მინისტრ პაპანდრეუს მეთაურობით. პაპანდრეუმ გადაწყვიტა არ გამოეყვანა საბერძნეთი ევროპული თანამეგობრობიდან, მაგრამ ამის სანაცვლოდ დაიწყო უკეთესი პირობებისთვის ვაჭრობა. ტეტჩერის საქციელით აღფრთოვანებული პაპანდრეუ საბერძნეთისთვის ითხოვდა დამატებით და სპეციალურ დათმობებს. ამასთან დაკავშირებით 1981 წლის მარტში საბერძნეთის მთავრობამ ბრიუსელში გააგზავნა ოფიციალური მემორანდუმი.

მემორანდუმის განხილვის შემდეგ 1983 წლის მარტში კომისიამ კომუნიკაციით მიმართა მინისტრთა საბჭოს. კომისიის რეკომენდაციით, ნაცვლად იმისა, რომ მომხდარიყო ხელშეკრულებებში საბერძნეთისთვის სპეციალური დათმობების გაკეთება, ევროპული თანამეგობრობა საბერძნეთის ეკონომიკას უნდა დახმარებოდა დამატებითი რეგიონული პროგრამებითა და სხვა რედისტრიბუციული ინსტრუმენტებით. 1983 წლის ივნისის შტუტგარტის ევროპული საბჭოს სხდომაზე გაიზიარეს კომისიის მიდგომა (კომისიის შემოთავაზებები მოგვიანებით დეტალიზებულ იქნა „ხმელთაშუაზღვისპირეთის ინტეგრირებულ პროგრამებში“). თუმცა, იმდენად ხისტი იყო პაპანდრეუს სტრატეგია თანამეგობრობისადმი და იმდენად დაიძაბა ლიდერებს შორის ურთიერთობა, რომ ამ საკითხზე საბოლოო შეთანხმება საბერძნეთთან გაჭიანურდა. ამის ფონზე ჩავარდა 1983 წლის დეკემ-

ბრის ათენის სამიტიც, რომლის დროსაც კომუნიკეზეც კი ვერ შეთანხმდნენ.

რთული იყო მოლაპარაკებები პორტუგალიასა და ესპანეთთანაც. 1974 წლის აპრილის რევოლუციის შემდეგ, როდესაც დაამხეს ავტორიტარული რეჟიმი, პორტუგალიამ შეძლო პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება და 1977 წლის მარტში ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანების განაცხადი შეიტანა. მოსახლეობა და პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა მხარს უჭერდა გაწევრიანებას იმ მიზეზით, რომ მოეხდინათ კეთილდღეობის უზრუნველყოფა და დემოკრატიის კონსოლიდირება. საბერძნეთის მსგავსად, პორტუგალიასაც სურდა, რომ მისი აპლიკაცია ესპანეთისგან დამოუკიდებლად განხილულიყო, თუმცა, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა (ესპანეთმა გაწევრიანების განაცხადი პორტუგალიაზე ოთხი თვით გვიან შეიტანა). მოლაპარაკებები პარალელურად წარმოებდა (პორტუგალიასთან დაიწყო 1978 წლის ოქტომბერში, ესპანეთთან კი 1979 წლის თებერვალში). შესაბამისად, ესპანეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით საფრანგეთისა და იტალიის წინააღმდეგობის ფონზე, ავტომატურად ფერხდებოდა პორტუგალიასთან მოლაპარაკებებიც. 1978 წლის მაისში კომისიამ დააფიქსირა პორტუგალიასთან მოლაპარაკებების რამდენიმე პრობლემური მიმართულება. კომისიის აზრით, გართულდებოდა მოლაპარაკებები სოფლის მეურნეობის, ადამიანების თავისუფლად გადაადგილებისა და მსუბუქი მრეწველობის (რომელიც პორტუგალიის მთლიანი ინდუსტრიის 40%სა და ექსპორტის 33%-ს შეადგენდა) საკითხებზე.

პორტუგალიის მსგავსად, ესპანეთსაც პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზებით სურდა ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანება. პოლიტიკურად, ესპანეთს უნდოდა გენერალ ფრანცისკო ფრანკოს დიქტატორული რეჟიმის შემდეგ საერთაშორისო რეპუტაციის აღდგენა. ეკონომიკურად, ესპანეთი მოწადინებული იყო იმისთვის, რომ მოეხდინა ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია.

საფრანგეთსა და იტალიას სურდათ ევროპული თანამეგობრობის სიმძიმის ცენტრის სამხრეთისკენ გადატანა. თუმცა, უფ-

რთხოდნენ საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკაზე ესპანეთის გაწევრიანებით გამოწვეულ მათთვის ნეგატიურ შედეგებს. ესპანეთის თანამეგობრობაში შესვლით 30%-ით იზრდებოდა სოფლის მეურნეობისთვის განკუთვნილი მიწები და 25%-ით კი ფერმების მუშა ხელი, რასაც მნიშვნელოვანი საბიუჯეტო გამოვლინებები მოჰყვებოდა. ამასთან, საფრანგეთისა და იტალიისთვის ესპანეთი იყო საკმაოდ კონკურენტუნარიანი ქვეყანა ხილის, ბოსტნეულისა და ზეთის ხილის წარმოებაში. შესაბამისად, საფრანგეთის სოფლის მეურნეობის ინტერესები პრეზიდენტ ჟისკარდს აქტიურად ლობირებდნენ, რომ უარი ეთქვა თანამეგობრობის გაფართოებაზე.

თუმცა, მოლაპარაკებები მხოლოდ თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მხრიდან არ ჭიანურდებოდა. თავად ესპანეთიც სკეპტიკურად იყო განწყობილი გაწევრიანების ვალდებულებებისადმი, განსაკუთრებით, დამატებითი ღირებულების გადასახადისა და სახელმწიფო სუბსიდიების შეწყვეტის მიმართულებით.

ამის მიუხედავად, 1981 წელს სახელმწიფოებმა კარგად დაინახეს ესპანეთის გაწევრიანების პოლიტიკური მნიშვნელობა - იანვრის არჩევნებზე ესპანელმა სამხედრო ოფიცრების ჯგუფმა სამხედრო გადატრიალება სცადეს (თუმცა, წარუმატებლად), რის გამოც, 1981-1982 წლებში მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, შეჩერდა.

ევროპული ინტეგრაციის აღმასვლის დაწყება

ბევრი პრობლემის მიუხედავად, ევროპული თანამეგობრობის ინსტიტუტები მაინც აგრძელებდნენ ფუნქციონირებას და ნელ-ნელა ქმნიდნენ იმ მყარ საფუძველს, რომელზე დაფუძნებითაც 1980-იანი წლების მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული. სუსტი პრეზიდენტის ინსტიტუტის მიუხედავად, კომისიამ შემოიტანა სერიოზული ინიციატივები ფოლადის ინდუსტრიის რესტრუქტურიზაციის, მაღალი ტექნოლოგიების სექტორში თანამშრომლობის წახალისებისა და შიდა

ბაზრის დასრულების მიმართულებით. პირველი პირდაპირი არჩევნებით აღტკინებულმა პარლამენტმაც შიდა რეორგანიზების რეფორმები გაატარა და აქტიურად დაუჭირა მხარი უფრო ღრმა თანამშრომლობას. 1970-იანი წლებისა და 1980-იანების დასაწყისის ეკონომიკური რეცესიისა და პოლიტიკური უმოქმედობის (რომელიც, ასევე, ცნობილია, როგორც „ევროსკლეროზი“) შემდეგ, საფრანგეთმა (უფრო კონკრეტულად მიტერანმა) 1982-1983 წლებში შეიცვალა თავისი დამოკიდებულება ევროპული თანამეგობრობისადმი და უფრო ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციისადმი პოზიტიურად განეწყო.

საბიუჯეტო ბატალიების დასასრული

1983 წლის ივნისში ტეტჩერი ხელახლა აირჩიეს. მის გამარჯვებაში ძირითადი ფაქტორი ფოლკლენდის/მალვინის კუნძულებზე არგენტინასთან ომის წარმატებით დასრულება იყო. ბრძოლის ველზე და საარჩევნო ყუთებთან წარმატების შემდეგ ტეტჩერი ევროპას მეტი ენერგიით დაუბრუნდა და 1983 წლის ივნისის შტუტგარტის სამიტზე საბიუჯეტო დავის საბოლოო მოგვარება მოითხოვა. თავის დროზე, 1979 წლის ივნისის სტრასბურგის სამიტზე ტეტჩერი პირველად იყო ევროპულ საბჭოზე და მას ჟისკარდისა და შმიდტის მტკიცედ ჩამოყალიბებული ალიანსი უპირისპირდებოდა. ამჯერად კი იგი ევროპული საბჭოს კლუბის ვეტერანი იყო და მეორე მხარეს საფრანგეთისა და გერმანიის შედარებით ახალი ლიდერები მიტერანი და კოლი იყვნენ. თანაც, მიტერანიც და კოლიც თანახმანი იყვნენ, რაც შეიძლება დროულად მოგვარებულიყო ბრიტანეთის საბიუჯეტო საკითხი.

1983 წლის ათენის სამიტი ჩაფიქრებული იყო იმისთვის, რომ განეხილათ საბიუჯეტო პრობლემა. თუმცა, საბოლოო ჯამში, ათენის სამიტი სრული კატასტროფა გამოდგა. პაპანდრეუ არ მალავდა, რომ ევროპული თანამეგობრობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაში მაქსიმალურად ნაკლები წვლილის შეტანის გზით მისგან მაქსიმალურად მეტის მიღება უნდოდა.

ამით ძალიან იყვნენ სხვა ლიდერები გაღიზიანებულები და გამოხატავდნენ თავიანთ ნეგატივიზმს პაპანდრეუსადმი. როგორც წესი, წევრ სახელმწიფოებს სურთ ხოლმე, რომ თავმჯდომარე ქვეყანამ მიაღწიოს რაიმე წარმატებას სამიტის განმავლობაში, რომელიც მომავალში მის სახელთან იქნება ასოცირებული. თუმცა, ამჯერად იმდენად ცუდად იყვნენ განწყობილნი პაპანდრეუსადმი, რომ კომუნიკეს მიღებაზეც კი უარი განაცხადეს და სამიტს სრული კრახი უწოდეს. სამიტზე ჩავარდა ასევე ბრიტანეთის საბიუჯეტო საკითხი. ტეტჩერი ეჭვობდა, რომ მიტერანი შეგნებულად აჭიანურებდა პროცესს, რომ საბერძნეთისგან საფრანგეთისთვის თავმჯდომარეობის გადაბარების შემდეგ დაესრულებინა მოლაპარაკებები და ჩაეწერა დიპლომატიური და პოლიტიკური ქულები.

ტეტჩერს სურდა, რომ ბრიტანეთისთვის ფინანსების დაბრუნება ყოფილიყო ევროპული თანამეგობრობის ფინანსების გრძელვადიანი რეფორმის ნაწილი. იმდენად იზრდებოდა სოფლის მეურნეობაზე დანახარჯები, რომ 1983 წლის ბოლოს თანამეგობრობა გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა. ამიტომ საჭირო იყო სოფლის მეურნეობის დანახარჯებზე კონტროლის დაწესება და შენარჩუნება. 1979 წელს მინისტრთა საბჭომ მცირედით შეცვალა ფასების საგარანტიო სისტემა, და რძის პროდუქტების მწარმოებელი ფერმერებისთვის შემოიღო „გაზიარებული პასუხისმგებლობის გადასახადი“ (*co-responsibility levy*) (ეს გადასახადი შეავსებდა გაზიარებული პასუხისმგებლობის ფონდს, რომლიდანაც დაფინანსდებოდა რძის პროდუქტების ჭარბი პროდუქციის შენახვა და ექსპორტი). თუმცა, ამან პრობლემა ბოლომდე ვერ მოაგვარა, ამიტომ კომისიამ რძის პროდუქტებზე კვოტის დაწესება მოითხოვა. იმდენად რთული ვითარება იყო, რომ გერმანიის სოფლის მეურნეობის გავლენიანმა მინისტრმა და ბავარიელი რძის პროდუქტების მწარმოებლების მტკიცე დამცველმა იგნაზ კიჰლემაც კი ვერ მოიძია კვოტებზე უკეთესი ალტერნატივა და კომისიის წინადადებას დაუჭირა მხარი.

საბოლოო ჯამში, საბიუჯეტო პრობლემა რამდენიმე მიმართულებით საჭიროებდა ცვლილებებს და შეთანხმების მიღწევას:

რძის პროდუქციაზე კვოტების შემოღება და საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის სხვა რეფორმები, ბრიტანეთისთვის ანაზღაურების საკითხი, და თანამეგობრობის ბიუჯეტში დამატებითი ღირებულების გადასახადის რაოდენობის რეკონფიგურაცია. ისეთი პირი უჩანდა, რომ დიდი შეთანხმება მოხდებოდა 1984 წლის მარტის ბრიუსელის სამიტზე საფრანგეთის თავმჯდომარეობის ქვეშ. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ სამიტამდე ცოტა ხნით ადრე სოფლის მეურნეობის მინისტრებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ხარჯების ზრდის შესაჩერებლად რძის პროდუქტებზე შემოეღოთ კვოტები. თუმცა, თავად ევროპული საბჭოს შეხვედრაზე ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა გარეტ ფიცჯერალდმა უარი განაცხადა შეთანხმების პროექტზე იმ მიზეზით, რომ ირლანდიის სოფლის მეურნეობის სტრუქტურიდან გამომდინარე, იგი დიდ ზიანს მიაყენებდა ირლანდიის ეკონომიკას (რძის პროდუქციის სექტორს ირლანდიის GDP-ის თითქმის 10% ეკავა). ფიცჯერალდის განცხადებით, ირლანდიის ეროვნული ინტერესები იდგა საფრთხის ქვეშ (ანუ მან გამოიყენა ლუქსემბურგის კომპრომისი). ამის შემდეგ მან დატოვა სამიტი. ეს სამიტის სხვა მონაწილეებისთვის მინიშნება იყო, რომ ირლანდიასთან ამ კონკრეტულ საკითხზე შეთანხმებას ვერ მიაღწევდნენ, რის გამოც წავიდნენ გარკვეულ დათმობებზე.

თუმცა, ბრიუსელის სამიტი მაინც წარუმატებელი გამოდგა, მაგრამ არა ფიცჯერალდის ვეტოს გამო, არამედ იმის გამო, რომ ვერ შეთანხმდნენ ბრიტანეთის საბიუჯეტო საკითხზე. რამდენიმე ვარიანტის და შემოთავაზებების მიუხედავად, ტეტჩერმა ყველა მათგანზე უარი განაცხადა - მას პრობლემის მოგვარების არა დროებითი, არამედ მხოლოდ მუდმივი ინსტრუმენტი სჭირდებოდა.

საბოლოოდ, ბრიტანეთის საბიუჯეტო საკითხზე შეთანხმება 1984 წლის ივნისის ფონტენბლოს სამიტზე შედგა. საკითხის მოგვარების სურვილით, მიტერანმა და კოლმა წინასწარ კოორდინირება გაუწიეს მათ პოზიციებს. პრობლემის მოგვარების სურვილი ჰქონდა ტეტჩერსაც, რომელმაც ამ სამიტისთვის

გასაკვირად თანამშრომლობითი სტრატეგია აირჩია. ფონტენბლოს შეთანხმების მიხედვით, ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი ანაზღაურების სქემა - დიდ ბრიტანეთს ფიქსირებული პროცენტული მაჩვენებლით დაუბრუნდებოდა ფინანსები იმ წლების, რომლის დროსაც ბრიტანეთის მიერ თანამეგობრობის ბიუჯეტში შენატანი არაპროპორციულად განსხვავებული იყო მისგან მიღებული ფულისგან. ტეტჩერმა დათმო მისი საწყისი შეთავაზება (70%). ასევე დათმეს საწყისი შეთავაზებები დანარჩენმა ლიდერებმა (60%). ტეტჩერი შეჩერდა 66%-ზე, კოლი კი 65%-ზე იყო თანახმა. საბოლოოდ, სამიტის მასპინძელმა მიტერანმა დაარწმუნა კოლი, რომ ტეტჩერისთვის დაეთმო 1%. ამასთან ერთად, შეთანხმდნენ, რომ დამატებითი ღირებულების გადასახადში ევროპული თანამეგობრობის ბიუჯეტში შესატანი თანხის პროცენტული წილი 1%-დან აიწევდა 1,4%-მდე, და რომ ლიდერები იზრუნებდნენ საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ხარჯების შემცირებაზე (თუმცა, ისიც გადაწყვიტეს, რომ გაზრდიდნენ ევროპული თანამეგობრობის ბიუჯეტს). ამ შეთანხმებებით დასრულდა საბიუჯეტო საგა.

პორტუგალიის და ესპანეთის განევრიანება

1982-1983 წლებში მიტერანის მიერ ევროპული თანამეგობრობისადმი დამოკიდებულების შეცვლის შემდეგ, გაჩნდა პორტუგალიასა და ესპანეთთან მოლაპარაკებების წარმატების პერსპექტივა. ამის პარალელურად, პორტუგალიაში შეიცვალა პოლიტიკური ლანდშაფტი და 1983 წლის ივნისში ხელისუფლებაში მოვიდა შემძლე და ენერგიული მარიო სოარეში. მისდამი პოზიტიური დამოკიდებულება ჩამოყალიბდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სოარეშის მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიაღწია შეთანხმებას ქვეყნის საკმაოდ მოცულობითი საგარეო ვალების შემცირებასა და ეკონომიკის რესტრუქტურირების შესახებ. 1983 წელსვე მან ევროპული თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების დედაქალაქებში სამუშაო ვიზიტით

იმყოფებოდა, რა დროსაც მან დამატებითი სიმპათიები დაიმსახურა და მიღწეულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეთანხმება, რის გამოც გაწევრიანების მოლაპარაკებები სწრაფად წარიმართა. თუმცა, მისთვის სამწუხაროდ, პორტუგალიის აპლიკაციის ბედი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ესპანეთთან მოლაპარაკებების შედეგზე.

პორტუგალიის მსგავსად, ესპანეთშიც სოციალისტებმა გაიმარჯვეს და 1982 წელს პრემიერ-მინისტრი გახდა ფელიპე გონსალესი. სოარეშის მსგავსად, იგი სამუშაო ვიზიტით ეწვია თანამეგობრობის დედაქალაქებს და მანაც ლიდერების სიმპათიები დაიმსახურა. ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანების სანაცვლოდ, მან საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ პოლიტიკურად მტკივნეული ეკონომიკური რეფორმები გაატარა. გაწევრიანების მოლაპარაკებები საკმაოდ წარმატებულად წარიმართა. თუმცა, გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური საკითხი, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობა და თევზჭერა. 1983 წლის ოქტომბერში ერთმანეთს შეხვდნენ ევროპული თანამეგობრობის ხმელთაშუაზღვისპირეთის და აპლიკანტი ქვეყნის (საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, პორტუგალია და ესპანეთი) ლიდერები (ყველა სოციალისტი იყო) და სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან შეთანხმებებს მიაღწიეს. ამის საფუძველზე, ლუქსემბურგში ორი დღის შემდეგ გამართულ მინისტრთა საბჭოს შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის მინისტრები შეთანხმდნენ ევროპული თანამეგობრობის ხილის, ბოსტნეულისა და ზეთის ხილის ბაზრების ორგანიზების წესებზე. ამან კი საფუძველი შეუქმნა 1984 წლის დეკემბრის დუბლინის ევროპული საბჭოს შეთანხმებას სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

მოლაპარაკებებში მეორე მნიშვნელოვანი წინაღობა იყო თევზჭერა. ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებს არ სურდათ თავიანთ ტერიტორიულ წყლებში ესპანეთისთვის ულიმიტო შესვლის უფლება მიენიჭებინათ (ესპანეთს თანამეგობრობის მთლიან, საერთო ფლოტზე დიდი საზღვაო ფლოტილია ჰყავდა). თუმცა, საბოლოო ჯამში, 1985 წელს მიღწეულ იქნა თევზჭერის ხელშეკრულებაც.

ბრიტანეთის საბიუჯეტო საკითხის მოგვარებამ კი პორტუგალიისა და ესპანეთის ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანების გზაზე მოხსნა ყველა დაბრკოლება. საბიუჯეტო შეთანხმებასთან ერთად, ფონტენბლოს ევროპულ საბჭოზე ისიც გადაწყვიტეს, რომ პორტუგალია და ესპანეთი 1986 წლის იანვარში გახდებოდნენ თანამეგობრობის წევრები. მეტი დამაჯერებლობისთვის, გონსალესისთვის შეთანხმების პირადად გაცნობის მიზნით, ამ სამიტის შემდეგ მიტერანი პირდაპირ გაფრინდა მადრიდში.

მაშ ასე, პორტუგალიასთან და ესპანეთთან მოლაპარაკებები რატიფიკაციის პროცესთან ერთად დაახლოებით რვა წელზე მეტ ხანს მიმდინარეობდა და ნასწავლი იქნა გაკვეთილი, რომ ევროპული თანამეგობრობაში გაწევრიანების გზა ხანგრძლივი და ყველა მხარისთვის რთული იყო. ახალი გაფართოება ისეთივე გამოწვევებით იყო სავსე, როგორც 1973 წლის. ამასთან, პორტუგალიისა და ესპანეთის გაწევრიანებამ ევროპულ თანამეგობრობაში შემოიტანა ახალი ხმელთაშუაზღვისპირეთის მიმართულება, და გააძლიერა საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ახალი, აქამდე ნაკლებ საინტერესო ფლანგი - ლათინური ამერიკა.

კომისიის აქტივიზმი

1980-იანი წლების დასაწყისში კომისიის მდგომარეობა ისეთივე იყო, როგორიც ევროპული თანამეგობრობის - სუსტი და დემორალიზებული. ტეტჩერთან ბიუჯეტის საკითხებზე, ჟისკარდთან კი კომისიის როლზე პოლიტიკური ბატალიების შემდეგ ჯენკინსი დაუბრუნდა ეროვნულ პოლიტიკას. მის ნაცვლად კომისიის პრეზიდენტად დაინიშნა ლუქსემბურგის ყოფილი პრემიერ-მინისტრი გასტონ თორნი. მისი პრეზიდენტობის საწყისი პერიოდი არაფრით ყოფილა გამორჩეული არა იმის გამო, რომ მას არ ჰქონდა ინტერესი ან ცოდნა ევროპული თანამეგობრობის საკითხების, არამედ მასაც საწყის ეტაპზე არ ჰქონდა ეროვნული დედაქალაქებიდან პოლიტიკური მხარდაჭერა. ჟისკარდი

გულგრილი იყო კომისიისადმი, შმიდტი ინდეფერენტული, ტეტჩერს კი საერთოდ არ მოწონდა კომისია. ახალი ლიდერებიც (მიტერანი და კოლი) საწყის ეტაპზე არ სწყალობდნენ კომისიას.

თუმცა, კომისია მაინც განაგრძობდა უფრო ღრმა ინტეგრაციის მხარდაჭერას. პრეზიდენტისგან განსხვავებით, აქტიურობით გამოირჩეოდნენ ცალკეული კომისრები. მაგალითად, კომისიის ვიცე-პრეზიდენტი და ყოფილი ბელგიელი დიპლომატი ეტიენ დავინიონი (ჯენკინსის კომისიაში ინდუსტრიის პორტფოლიოთი). იგი ცდილობდა, ძველი ინდუსტრიების რესტრუქტურიზაცია მოეხდინა და წაეხალისებინა ახლები, ისევე, როგორც დაესრულებინა შიდა ბაზარი.

შიდა ბაზარი

კომისიამ ძალიან აქტიურად დაიწყო შიდა ერთიანი ბაზრის დასრულების ლობირება. 1979 წლის თებერვალში მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმეში *Cassis de Dijon* დაასკვნა, რომ გერმანიამ ალკოჰოლის შემადგენლობის გერმანულ სტანდარტებთან შეუსაბამობის არგუმენტით არაკანონიერად აკრძალა ფრანგული ლიქიორის კასისის იმპორტი. სასამართლოს დასკვნით, კასისი შეესაბამებოდა საფრანგეთის სტანდარტებს და ჯანმრთელობას არ უქმნიდა საფრთხეს, რის გამოც იგი არ შეიძლებოდა გამოძევებული ყოფილიყო გერმანიის ბაზრიდან. ეს საქმე კომისიისთვის იქნებოდა კარგი საშუალება, რომ ვაჭრობაში არასატარიფო და ტექნიკური ბარიერების მოხსნისთვის წევრ სახელმწიფოებზე ლობირება მოეხდინა. მაგრამ კომისიამ უკეთ შეაფასა სიტუაცია და ფრანგული ლიქიორის საქმე გამოიყენა იმისათვის, რომ განევითარებინა ეროვნული რეგულაციებისა და სტანდარტების ორმხრივი აღიარების პრინციპი. საქმე იმაში იყო, რომ ხელშეკრულებები ისედაც კრძალავდა მსგავსი ტიპის ბარიერებს, თუმცა, სახელმწიფოები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის არგუმენტით მაინც ხშირად აწესებდნენ მათ. ამასთან,

ხელშეკრულებები სახელმწიფოების სტანდარტების განსხვავებების შემთხვევაში ითვალისწინებდა მათ „დაახლოებას“, ჰარმონიზაციას, რაც პოლიტიკურად სენსიტიური პროცესი იყო და პრაქტიკულად თითქმის წარმოუდგენელი (მინისტრთა საბჭოში ყოველთვის ხდებოდა ჰარმონიზაციის ინიციატივების დაბლოკვა რომელიმე ერთი სახელმწიფოსგან მაინც). ამიტომ კომისიამ გამოძებნა საუკეთესო გამოსავალი და ქვეყნებს შესთავაზა, მომხდარიყო ეროვნული სტანდარტებისა და რეგულაციების ურთიერთაღიარება, თუ ისინი აკმაყოფილებდნენ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გარკვეულ დონეს.

გარდა ამისა, კომისია აქტიურად ცდილობდა დაენახვებინა ყველა აქტორისთვის სრულყოფილად ფუნქციონირებადი შიდა ბაზრის უპირატესობები. ძირითადი ყურადღება ამ მხრივ მიმართული იყო ევროპული საბჭოსკენ. დაინახა რა, რომ ბრიტანეთის საბიუჯეტო საკითხი დასასრულს უახლოვდებოდა, კომისიამ ფონტენბლოს სამიტისთვის შეიმუშავა ანგარიში შიდა ბაზრის საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, საბაჟო ბარიერების გაუქმება, ადამიანების, კაპიტალისა და სერვისის თავისუფალი გადაადგილება და სხვა. მართლაც, ფონტენბლოს სამიტის კომუნიკეში ევროპულმა საბჭომ განაცხადა, რომ შიდა ბაზარი დროულად უნდა დასრულებულიყო.

ევროპის დიდი ბიზნესებიც დაინტერესდნენ კომისიის ინიციატივებით. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ვოლვოს ხელმძღვანელი გუი გულენჰამერი (რომელიც ჯერ არ იყო ევროპული თანამეგობრობის წევრი, მაგრამ კარგად ხედავდა შიდა ერთიანი ბაზრის სიკეთეებს საკუთარი კომპანიისთვის და თან იმედოვნებდა, რომ შვედეთიც მალე გაწევრიანდებოდა თანამეგობრობაში) და ჰოლანდიური უზარმაზარი ელექტრონული კომპანია ფილიპსის პრეზიდენტი ვისე დეკერი. მათი მეთაურობით ევროპის დიდმა კომპანიებმა შიდა ბაზარის ლობირებისთვის დააარსეს ევროპული მრგვალი მაგიდა. უფრო ღრმა ეკონომიკური ინტეგრაციისადმი კერძო სექტორის აქტიურმა მხარდაჭერამ კი მალევე მიიქცია ევროპელი პოლიტიკოსების ყურადღება.

იმ დროისთვის კომისიაზე ნაკლებ გავლენიანმა პარლამენტმაც აქტიურად დაიწყო შიდა ბაზრის დასრულების მხარდაჭერა. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური ინტერპარტიული „კენგურუს ჯგუფი", რომელიც თანამეგობრობის შიდა საზღვრების გაუქმებას ლობირებდა. ამასთან, პარლამენტის დავალებით ეკონომისტებმა შეიმუშავეს გავლენიანი ანგარიში დაუსრულებელი შიდა ბაზრის გამო ევროპული ბიზნესის მიერ გაწეული დანახარჯების შესახებ.

1980 წლის ივლისში პარლამენტმა დაუთმო მინისტრთა საბჭოს, რომელმაც უარი განუცხადა ახალ ბიუჯეტზე და, ფაქტობრივად, აიძულა პირდაპირ არჩეულ პარლამენტს ჰქონოდა წინა (დანიშვნითი) პარლამენტის ფინანსები. თუმცა, მოგვიანებით, 1984 წლის ნოემბერში პარლამენტმა საპასუხო უარი განაცხადა 1982 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დამტკიცებაზე (ეს იმას ნიშნავდა, რომ პარლამენტი არ ეთანხმებოდა კომისიის მიერ თანამეგობრობის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სიზუსტესა და შესაბამისობას). პარლამენტის შეფასებით, ეს კომისიისთვის ნდობის გამოუცხადებლობის ტოლფასი იყო და კომისია უნდა გადამდგარიყო. კრიზისი გაგრძელდა 1985 წლის იანვრამდე, როდესაც ისედაც ახალი კომისიის დანიშვნის პერიოდი იყო. ამ ფაქტმა აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კომისიასა და პარლამენტს ინსტიტუციურ პარტნიორებად მიიჩნევდნენ, ხშირად მათ განსხვავებული ინტერესებიც ჰქონდათ.

პარლამენტი აქტიურად განაგრძობდა კომისიასა და, შესაძლებლობის შემთხვევაში, მინისტრთა საბჭოზე ზედამხედველობას. საპარლამენტო კომიტეტები ხშირად ატარებდნენ მოსმენებს, რის საპასუხოდაც კომისიაში განხორციელდა შესაბამისი პროცედურული ცვლილებები. ასევე, 1981 წელს დაიწყო კომისიის პრეზიდენტისა და კომისრების კანდიდატურებისთვის ნდობის გამოცხადებისთვის კენჭისყრაც, რომელმაც ფორმალური ხასიათი მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მიიღო.

პარლამენტი თავისი ფუნქციების გაზრდას ყველაზე მეტად საკანონმდებლო სფეროში ცდილობდა. ამ პერიოდში პარლამენტი მხოლოდ კონსულტაციის პროცედურით იყო ჩართული საკანონმდებლო პროცესში, რის გამოც პარლამენტის მოსაზრებას მინისტრთა საბჭო, როგორც წესი, იგნორირებას უკეთებდა. 1980 წელს მინისტრმა საბჭომ ისე მიიღო დირექტივა, რომ არც კი დალოდებია პარლამენტის მიერ მოსაზრების ჩამოყალიბებას, რის გამოც (პარლამენტის საჩივრის საფუძველზე) მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ცნობილ „იზოგლუკოზის საქმეზე“ მხარი დაუჭირა პარლამენტს და გააუქმა მინისტრთა საბჭოს დირექტივა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, კონსულტაციის პროცედურა წარმოადგენდა თანამეგობრობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში პირდაპირ არჩეული შუამავალი ასამბლეის საშუალებით მოქალაქეების მიერ ძალაუფლების გამოყენების ფუნდამენტური პრინციპის გამოხატულებას. მინისტრთა საბჭოს ქმედება კი ამ ფუნდამენტური პრინციპისა და ხელშეკრულების დარღვევა იყო.

პარლამენტმა იზოგლუკოზის საქმე თავისი პოლიტიკური პოზიციების გასამყარებლად გამოიყენა. მას არ შეეძლო გადაწყვეტილების დაბლოკვა, მაგრამ მას შეეძლო პროცესის გაჭიანურება და ამ გზით მინისტრთა საბჭოზე ზეგავლენის მოხდენა. პარლამენტის აზრით, იზოგლუკოზის საქმეზე სასამართლოს არგუმენტი ასევე სამაგალითო იყო ყველა ინსტიტუტისთვის იმისათვის, რომ პარლამენტის როლის გაზრდით მოეგვარებინათ დემოკრატიული დეფიციტის პრობლემა (ანუ აშკარა სიშორე და კავშირის წყვეტა მმართველსა და მართულს შორის, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ იდგა 1970-iani წლების ევროპული თანამეგობრობის სისტემაში და დღესაც ხშირად აკრიტიკებენ ევროკავშირის ამ პრობლემის გამო).

პარლამენტი განსაკუთრებით აქტიურად უჭერდა მხარს ევროპულ კავშირს. 1980 წლის ივლისში პირდაპირი წესით ახლადარჩეული პარლამენტის წევრმა, ცნობილმა იტალიელმა ყოფილმა კომისარმა და ევროფედერალისტმა სპინელიმ თავისი თანამოაზრეები მიიწვია სტრასბურგის რესტორან „ნიანგში“.

წლის ბოლოსთვის „ნიანგის კლუბი“ 70 წევრამდე გაიზარდა. ისინი მხარს უჭერდნენ ბევრ საკითხს შიდა ბაზრის დასრულებიდან დაწყებული ფედერალური ევროპული კავშირით დამთავრებული. მათი წყალობით 1980-1982 წლებში პარლამენტმა სულ მცირა რვა რეზოლუცია მიიღო, რომლითაც მხარს უჭერდა ინსტიტუციურ ცვლილებებსა და უფრო ღრმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას. „ნიანგის კლუბის“ აქტივობის საბოლოო შედეგი იყო 1984 წლის თებერვალში პარლამენტის მიერ ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კენჭისყრაზე მიღებული „ევროპული კავშირის დაარსების ხელშეკრულების პროექტი“, რომლის შემუშავებისას სპინელი პარლამენტში რაპორტიორის ფუნქციებს ასრულებდა.

ხელშეკრულების პროექტი მიზნად ისახავდა ფედერალურ საწყისებზე დაფუძნებით ევროპული სახელმწიფოების უფრო ეფექტური და დემოკრატიული ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. მის პრეამბულაში ეწერა, რომ ევროკავშირი პასუხისმგებელი იქნებოდა მხოლოდ ისეთ საქმეებზე, რომლებიც უფრო ეფექტურად მოგვარდებოდა ევროპულ დონეზე, ვიდრე ეროვნულ დონეზე სახელმწიფოების დამოუკიდებელი ქმედებებით. ეს იყო სუბსიდიარობის პრინციპის ბუნდოვანი, მაგრამ პირველი ფორმულირება. რამდენიმე სახელმწიფოს მხარდაჭერის მიუხედავად, ხელშეკრულების პროექტი არ იქნა მიღებული. მხოლოდ 1980-იანი წლების ბოლოსკენ იხილა დღის შუქი მისმა რამდენიმე მნიშვნელოვანმა რეკომენდაციამ, რომლებიც, საბოლოო ჯამში, 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულებაში აისახა. ამის მიუხედავად, არასწორი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ამ ხელშეკრულების პროექტმა მისცა ბიძგი 1980-იანი წლების მეორე ნახევარში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს.

პარლამენტის ხელშეკრულების პროექტის იგნორირების მიუხედავად, ნევრი სახელმწიფოები აცნობიერებდნენ, რომ საჭირო იყო ევროპული თანამეგობრობისთვის ახალი ბიძგის მიცემა. ევროპულმა ინტეგრაციამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა იმ პერიოდში მიმდინარე გლობალიზაციისა და დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების დაძაბვის გამო. ლუქსემბურგის კომპრომისი კი თანამეგობრობას ფაქტობრივად უმოქმედო ორგანიზაციად ტოვებდა. 1982 წლის პირველ ნახევარში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა ბელგიამ კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის მხარდასაჭერად იმედის მომცემი ქმედებები დაიწყო. თუმცა, ეს მხოლოდ მცირე ნაწილი აღმოჩნდა ევროპული თანამეგობრობის იმ ფართომასშტაბიანი რეფორმისა, რომელიც მოგვიანებით განხორციელდა.

გენშერ-კოლომბო და შტუტგარტის დეკლარაცია

ევროპულ თანამეგობრობაში გერმანიის როლის გაძლიერებითა და კოალიციურ მთავრობაში საკუთარი თავისუფალი დემოკრატიული პარტიის პოზიციების განმტკიცების მიზნით, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გენშერმა მოამზადა თანამეგობრობისთვის ახალი ბიძგის მიცემის, განახლების გეგმა. გერმანიასთან შედარებით დაძაბული ურთიერთობის გამო, გენშერმა თავის იდეის თანაპარტნიორად იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ემილიო კოლომბო აირჩია. თავის მხრივ, იტალია მოხარული იყო, რომ საშუალება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ისტორიულ პროცესში და ამით გაეზარდა პრესტიჟი საერთაშორისო არენაზე და შეერყია ტრადიციული ფრანგულ-გერმანული თანამშრომლობითი ღერძი.

1981 წლის ნოემბერში პარლამენტის წინაშე გამოსვლისას გენშერმა და კოლომბომ წარმოადგინეს არასავალდებულო „ევროპული აქტი", რომლის მიხედვითაც ევროპული თანამეგობრობის ეფექტურობისა და ლეგიტიმაციის გაზრდის მიზნით უნდა განხორციელებულიყო ინსტიტუციური ცვლილებები, მათ შორის

კვალიფიციური უმრავლესობის კენჭისყრის მეტად გამოყენება და პარლამენტისთვის ძალაუფლების გაზრდა. მათ მნიშვნელოვანი ყურადღება მიანიჭეს საგარეო პოლიტიკის კოორდინაციის იმდროისთვის არსებულ ერთადერთ მექანიზმს - ევროპულ პოლიტიკურ თანამშრომლობას, რომელიც არაეფექტური და არაადეკვატური ინსტრუმენტი აღმოჩნდა (ეს ნათელი იყო 1979 წელს საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთის დაპყრობასა და 1981 წელს პოლონეთში სიკვდილით დასჯის შემოღებასთან მიმართებაში ევროპული თანამეგობრობის წევრი ქვეყნების რეაგირებითაც).

ამასთან, გენშერი და კოლომბო მოუწოდებდნენ წევრ სახელმწიფოებს, ევროპულ პოლიტიკურ თანამშრომლობაში შემოეტანათ უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებიც. 1982 წელს ფოლკლენდის/მალვინის კუნძულებისთვის ომისას არგენტინისთვის ევროპული თანამეგობრობის მიერ შემოღებული სანქციები ადასტურებდა ქვეყნების სურვილს, რომ აშკარა აგრესიის შემთხვევაში ერთობლივად ემოქმედათ. თუმცა, მთავრობები მაინც შორს იყვნენ ევროპულ თანამეგობრობაში უსაფრთხოების და თავდაცვის მიმართულების შემოტანის სურვილისა და შესაძლებლობისგან. ტეტჩერი ეწინააღმდეგებოდა ამ იდეას იმ მიზეზით, რომ ეს იყო ნატოს უფლება და მოვალეობა. დანიასაც პრინციპულად არ სურდა ევროპული ინტეგრაციის პროცესში უსაფრთხოების მიმართულების ჩართვა. ნეიტრალიტეტის გამო, ირლანდიის მთავრობაც ნეგატიურად იყო განწყობილი. პაპანდრეუ კი არათუ უბრალოდ უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის, არამედ საერთოდ უფრო ღრმა ევროპული ინტეგრაციის წინააღმდეგი იყო.

საბოლოო ჯამში, 1983 წლის შტუტგარტის სამიტზე წევრმა სახელმწიფოებმა „ევროპული ერთიანობის ღირსეული დეკლარაციის“ (*Solemn Declaration on European Unity*) ფორმით გენშერ-კოლომბოს ინიციატივების საკმაოდ შეკვეცილი ვარიანტი დაამტკიცეს. დეკლარაცია მოუწოდებდა წევრ ქვეყნებს უფრო მჭიდროდ ეთანამშრომლათ საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებსა და ევროპული ინტეგრაციის გაღრმავების პროცესში. როგორც მოგვიანებით ტეტჩერი იხსენებდა, მან

თანხმობა განაცხადა ამ დეკლარაციაზე იმ მიზეზით, რომ „ყველაფერზე ხომ არ უნდა ეკამათა (?!) და რომ დოკუმენტს იურიდიული ძალა არ გააჩნდა“. თუმცა, მოგვიანებით ინანა, ვინაიდან შტუტგარტის დეკლარაცია ფაქტობრივად გახდა ამ სფეროში შემდგომში განხორციელებული რადიკალური ინსტიტუციური ცვლილებების ლინგვისტური ჩონჩხი.

ბრიტანეთის შეთავაზება

ყველაფრის მიუხედავად, ტეტჩერი მხარს უჭერდა ინტეგრაციის გაღრმავების პროცესს. იგი ევროპულ თანამეგობრობაში ხედავდა ეკონომიკურ და საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს. შიდა ბაზრის დასრულება ბრიტანეთის ეკონომიკისთვის სასარგებლო იქნებოდა. საგარეო პოლიტიკის კოორდინაციით კი ტეტჩერი იმედოვნებდა, რომ ბრიტანეთის ინტერესების უკეთ გატარებას შეძლებდა საერთაშორისო არენაზე. ამის საფუძველზე, 1984 წლის ივნისის ფონტენბლოს სამიტზე ტეტჩერმა წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც ლიდერებს სთავაზობდა საბაზრო ინტეგრაციის გაღრმავებასა და საგარეო პოლიტიკის უკეთ თანამშრომლობას. თუმცა, ხელშეკრულებების ოფიციალურ ჩასწორებებზე მეტად მას არაფორმალური ინსტიტუციური ცვლილებები სურდა. ვინაიდან მინისტრთა საბჭოში გადაწყვეტილების ერთსულოვნად მიღება აბრკოლებდა შიდა ბაზრის დასრულებას, ტეტჩერის შეთავაზებით, წევრი სახელმწიფოები ერთმანეთში უნდა შეთანხმებულიყვნენ იმ საკითხზე, რომ საბჭოში ხმა მიეცათ შიდა ბაზრის რეგულირებისთვის საჭირო ინსტრუმენტებისთვის. აქამდე მისი დესტრუქციული საქციელის შემდეგ, ამ ინიციატივებით ტეტჩერი მიანიშნებდა იმაზე, რომ იგი ევროპული თანამეგობრობით დაინტერესებული იყო და რომ აღარ სურდა გრძელვადიანი საბიუჯეტო ბატალიების შემდეგ ბრიტანეთის იზოლაცია.

მიტერანი იყო საბოლოო ჯამში ის ლიდერი, რომელმაც ევროპული თანამეგობრობის გამოცოცხლებას ჩაუდგა სათავეში. მან არჩევნების კამპანიის დროს პირობა დადო, რომ თუ პრეზიდენტად აირჩევდნენ, მოახდენდა საფრანგეთის ეკონომიკის სოციალისტურ საფუძველზე რეფორმირებას. როგორც ჩანს, იგი კარგად ვერ აცნობიერებდა ან არ იყო დაინტერესებული იმ ფაქტით, რომ მისი პოლიტიკა მთლიანად ეწინააღმდეგებოდა არა მარტო ბრიტანეთისა და აშშ-ის ლიბერალური ეკონომიკის იდეოლოგიას, არამედ ყველა იმ ევროპული ქვეყნისასაც, რომელთა მმართველობაში სოციალ-დემოკრატები იმყოფებოდნენ.

მიტერანის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, მან მართლაც დაიწყო დაპირებული სოციალური და ეკონომიკური რეფორმები. მოხდა ბანკებისა და ინდუსტრიების ნაციონალიზაცია, ძალაში შევიდა შრომის ახალი კანონები, გაიზარდა სოციალური შეღავათები და უპირატესობები. მიტერანს ძველმოდური კეინიზიანისტური რეფლეციური პოლიტიკის საშუალებით სურდა სწრაფი განვითარებისთვის მიეღწია და შეემცირებინა უმუშევრობა (რეფლეციური პოლიტიკა გულისხმობს ფისკალურ ან მონეტარულ პოლიტიკას, რომლის დროსაც ეკონომიკური აქტივობის მატება ხორციელდება ინფლაციის გამომწვევი ანუ ე.წ. ინფლაციური ინსტრუმენტების საშუალებით. ეს ინსტრუმენტები, როგორც წესი, არის სახელმწიფო ხარჯების გაზრდა ან გადასახადების შემცირება, რაც ხშირად ფულის დამატებითი გამოშვებით/ემისიით ხორციელდება და იწვევს ინფლაციურ პროცესებს ან უკეთეს შემთხვევაში მის მაღალ რისკს). მიტერანის სურვილის მიუხედავად, რეფორმის ეკონომიკური შედეგები კატასტროფული აღმოჩნდა: გაიზარდა ფულის ბრუნვა, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რომ უმუშევრობის შემცირებაზე ამას რეალური გავლენა ჰქონოდა; გაიზარდა ინფლაცია; გაუარესდა სავაჭრო ბალანსი; და გაიზარდა საბიუჯეტო დეფიციტი. 1982 წლის შუა პერიოდისთვის ნათელი გახდა, რომ სოციალისტური ეკონომიკური პოლიტიკა ჩავარდა.

საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი ჟაკ დელორი მიტერანისგან უკან დახევას ითხოვდა. თუმცა, მიტერანი ყოყმანობდა, მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმის იმედი, რომ 1982 წლის ივნისში გატარებული დროებითი მკაცრი პოლიტიკის ინსტრუმენტები სიტუაციას კონტროლირებადს გახდიდა (მკაცრი პოლიტიკის ინსტრუმენტები - *Austerity measures*, ნებაყოფლობით გამოიყენება მაშინ, როცა საჭიროა დეფიციტის შემცირება და იძულების წესით გამოიყენება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ვეღარ ახერხებს საჯარო ხარჯების გაღებას, საჯარო ვალების დაფარვას და გაკოტრების საფრთხე ემუქრება. ეს ინსტრუმენტები, როგორ წესი, მოიცავს ხარჯების შემცირებისა (რაც ხშირად პირდაპირ აისახება ხელფასების, პენსიებისა და სხვა სახელმწიფო ხარჯების შემცირებაში) და გადასახადების გაზრდის კომბინაციას).

გადამწყვეტი მომენტი დადგა 1983 წლის მარტში, როდესაც განიხილებოდა ფრანკის ევროპული მონეტარული სისტემის გაცვლითი კურსის მექანიზმში დარჩენა-არდარჩენის საკითხი. ფრანკის მექანიზმში მონაწილეობა გულისხმობდა საფრანგეთის ეკონომიკური პოლიტიკის 180 გრადუსით შემობრუნებას, მის გარეთ დარჩენა კი ფრანკსა და საფრანგეთის ეკონომიკურ სიძლიერეს საფრთხეს შეუქმნიდა. გაცვლითი კურსის მექანიზმში დარჩენა არ იქნებოდა პოლიტიკურად მარტივი და უმტკივნეულო გადაწყვეტილება, ვინაიდან ამისათვის საჭირო იყო ფრანკის (მცირედით, მაგრამ მაინც) გამყარება და ფართომასშტაბიანი მკაცრი პოლიტიკის გეგმის გატარება (რაც მოიცავდა გადასახადების მნიშვნელოვნად მატებასა და ასევე სახელმწიფო ხარჯების საკმაოდ მოცულობით შემცირებას). საბოლოოდ, მიტერანმა თავისი პარტიის პოლიტიკური არგუმენტების ნაცვლად ფინანსური ექსპერტების ეკონომიკური არგუმენტაცია გაიზიარა.

მტკივნეული გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ, უმუშევრობა კვლავაც მაღალ ზღვარზე დარჩა, თუმცა, საფრანგეთის ეკონომიკა შედარებით გაუმჯობესდა, რის გამო მიტერანმა მთელი თავისი ყურადღება ევროპულ დონეზე გადაიტანა, სადაც მას მეტი მანევრის საშუალება ჰქონდა. იგი ევროპულ თა-

ნამეგობრობაში ხედავდა საფრანგეთის ეკონომიკის საშველს. ამიტომ თავგამოდებით დაუჭირა მხარი ევროპული ინტეგრაციის გაღრმავებასა და ფართომასშტაბიან ინსტიტუციურ რეფორმებს. 1981 წელს გენშერ-კოლომბოს ინიციატივისადმი ინდიფერენტულობის შემდეგ, იგი გულითადად მიესალმა 1984 წლის პარლამენტის ხელშეკრულების პროექტს.

მიტერანის ევროპული ინტეგრაციისადმი ინტერესმა თავის ზენიტს 1984 წლის პირველ ნახევარში მიაღწია, როდესაც საფრანგეთი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა იყო. მას სურდა დროულად მოეგვარებინა საბიუჯეტო პრობლემა იმისათვის, რომ სხვა მნიშვნელოვან ინიციატივებზე მოეხდინათ კონცენტრირება. იგი მხარს უჭერდა ყოვლისმომცველ ინსტიტუციურ რეფორმასა და იმ იდეას, რომ ევროპული თანამეგობრობა ჩართული ყოფილიყო საშინაო და საგარეო პოლიტიკის ბევრ სფეროში. მისი მხარდაჭერა მეტი სუპრანაციონალიზმისადმი, რა თქმა უნდა, შორს იყო საფრანგეთის ტრადიციული და აქამდე ჩვეული პოზიციისგან. მაგალითად, მიტერანი ლობირებდა კვალიფიციური უმრავლესობის კენჭისყრის მეტ გამოყენებას მაშინ, როდესაც ლუქსემბურგის კომპრომისი პირდაპირ ასახავდა მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღების პროცესისადმი საფრანგეთის ტრადიციულ პრეფერენციებს. ასევე, მიტერანს სურდა, რომ საგარეო პოლიტიკის თანამშრომლობა ეწარმოებინა მუდმივ სამდივნოს, რაც ძველი გოლისტური მიდგომა იყო. გარდა ამისა, საფრანგეთის პრეზიდენტი ევროპული თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს მოუწოდებდა, შეემუშავებინათ თავდაცვის ერთიანი, საერთო ღონისძიებები.

მიტერანისთვის ამ მხრივ მნიშვნელოვანი გარღვევა იყო საფრანგეთის თავმჯდომარეობის ბოლო, ფონტენბლოს სამიტი, სადაც მისმა მოწადინებამ და ტეტჩერისა და კოლის კონსტრუქციულობამ პირდაპირ განსაზღვრა სამიტის სასურველი და წარმატებული შედეგით დასრულება.

თავი 6

1980-იანი წლები: ერთიანი ევროპული აქტიდან მაასტრიხტის ხელშეკრულებამდე

ერთიანი ევროპული აქტი

1980-იანი წლების შუა პერიოდში თითქმის ყველა თანხმდებოდა იმაზე, რომ საჭირო იყო საბაზრო ინტეგრაციის გაღრმავება. ამის შესახებ ჟაკ დელორს, რომელიც ჯერ კიდევ კომისიის პრეზიდენტობის კანდიდატი იყო, 1984 წლის ბოლოს ეროვნულ დედაქალაქებში ვიზიტების დროს ცალსახად უთხრეს ლიდერებმა. დელორი თავდაპირველად უფრო მეტად ისეთი ამბიციური საკითხებით იყო დაინტერესებული, როგორებიცაა ეკონომიკური და მონეტარული კავშირი და თავდაცვის პოლიტიკაზე თანამშრომლობა. თუმცა, ამ საკითხებზე ლიდერებისგან წამოსული ნეგატივიზმისა და წინააღმდეგობის გამო, დელორი იძულებული გახდა ძირითადი ყურადღება ერთიანი ბაზრის დასრულებაზე გადაეტანა. ამ საკითხსაც დელორი დიდი ენთუზიაზმით მოეკიდა, ვინაიდან მას ერთიანი ბაზრის დასრულება ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირის მიღწევის ერთ-ერთ ინსტრუმენტად წარმოედგინა.

თუმცა, მთავარი სირთულე იყო არ ის, დაესრულებინათ თუ არა ერთიანი ბაზარი, არამედ ის, თუ როგორ გაეკეთებინათ ეს. ყველა თანხმდებოდა, რომ საბაზრო ინტეგრაციის გაღრმავება მინისტრთა საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის პროცედურის გადახედვის გარეშე წარმოუდგენელი იყო. თუმცა, ნაწილი თვლიდა, რომ საკმარისი იყო წევრი სახელმწიფოები არაფორმალურად, ხელშეკრულებების ჩასწორებების გარეშე შეთანხმებულიყვნენ, რომ ხშირად გამოიყენებდნენ კვალიფიციური უმრავლესობის პროცედურას. მეორე ნაწილი კი თვლიდა, რომ აუცილებელი იყო ხელშეკრულებების გადახედვის გზით კვალიფიციური უმრავლესობის გამოყენებაზე ვალდებულების აღება და სხვა შესაძლო ინსტიტუციური რეფორ-

მები (მაგ.: პარლამენტისთვის საკანონმდებლო უფლებამოსილების გაზრდა). ხელშეკრულებების გადახედვა თავისთავად გულისხმობდა ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის ჩატარებასაც.

საწყის ეტაპზე დელორი ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის საჭიროებას ან შესაძლებლობას ვერ ხედავდა. იგი თვლიდა, რომ საკმარისი იქნებოდა წევრი ქვეყნების არაფორმალური შეთანხმება იმაზე, რომ ლუქსემბურგის კომპრომისს აღარ გამოიყენებდნენ. გარდა ამისა, დელორი ეჭვობდა, რომ ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია ბევრი პრობლემური საკითხის გამო დიდი ხანი გაჭიანურდებოდა და ვერ მოიტანდა ისეთ შედეგს, რაც საჭირო იყო ევროპული თანამეგობრობის განვითარებისთვის. ასე რომ, მისი პრეზიდენტობის დასაწყისში დელორი არ იყო ხელშეკრულების რეფორმირებაზე მოლაპარაკებების დაწყების მომხრე, არადა მოგვიანებით მან მაღალი რეპუტაცია და ავტორიტეტი სწორედ ამ რეფორმებით მოიხვეჭა.

ხმელთაშუაზღვისპირეთის პროგლემის მოგვარება

1985 წლის ადრეულ პერიოდში გაფართოებასა და სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივების განხორციელებას სერიოზულ წინაღობად ედგა საბერძნეთის მხრიდან ფინანსური დახმარების მოთხოვნა. საბერძნეთის განცხადებით, ეს დახმარება საჭირო იყო იმისთვის, რომ ქვეყანა გამკლავებოდა თანამეგობრობაში გაწევრიანებისგან და ფონდებში მომავალში განხორციელებული ცვლილებებისგან (პორტუგალიისა და ესპანეთის გაწევრიანების შემდეგ საბერძნეთს შეუწყდებოდა დაფინანსების ნაწილი, რომელიც მოხმარდებოდა ახალ წევრ ქვეყნებს) გამოწვეულ პრობლემებს. 1984 წელს წევრი სახელმწიფოები გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ და საბერძნეთს დახმარება აღმოუჩინეს სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო, სოციალური და სატრანსპორტო პროექტების განხორციელებაში. თუმცა, ფინანსური დახმარების მუდმივი მექანიზმი შემუშავებულ უნდა ყოფილი-

ყო ხმელთაშუაზღვისპირეთის ინტეგრირებული პროგრამების (Integrated Mediterranean Programs) სახით (რომლიდანაც ამ პერიოდის შემდეგ დახმარებას უწევდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის წევრ და მომავალ წევრ სახელმწიფოებს).

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ანდრეას პაპანდრეუმ 1984 წლის დეკემბრის დუბლინის სამიტი სრულ ჯოჯოხეთად აქცია. იგი ამ პროგრამებისთვის დიდ დაფინანსებას ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაფართოებაზე უარის თქმით იმუქრებოდა. ტეტჩერი გაცოფებული იყო პაპანდრეუს საქციელით. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა თანამეგობრობის დამატებითი დანახარჯების გაზრდას. თუმცა, ყველაზე მეტად ტეტჩერი გაღიზიანებული იყო არა იმით, რომ საბერძნეთის გამო თანამეგობრობა წინ ვერ მიდიოდა, ან იმით, თუ რა სტრატეგიით ცდილობდა პაპანდრეუ მიზნის მიღწევას, არამედ იმით, რომ საბერძნეთი თანამეგობრობას არ აძლევდა ნებას პორტუგალიასა და ესპანეთთან მიმართებაში მოქცეულიყო ისე, როგორ თავის დროზე მოექცა ევროპული თანამეგობრობა საბერძნეთს (ანუ ყოფილი დიქტატორული ქვეყანა მიიღო თავის შემადგენლობაში და ეხმარებოდა დემოკრატიის გაძლიერებაში). გაფართოების პროცესის დაბრკოლებასთან ერთად, პაპანდრეუს საქციელი საფრთხეს უქმნიდა ერთიანი ბაზრის პროგრამის განვითარებასაც.

1985 წლის იანვარში კომისიის პრეზიდენტი გახდა დელორი. აცნობიერებდა რა, რომ საბერძნეთის პრობლემის მოგვარების გარეშე წინსვლა გართულდებოდა, იგი დამახასიათებელი ენერგიითა და ქარიზმით შეუდგა საქმიანობას. ერთი თვის შემდეგ კომისიამ წარმოადგინა გამოსავალი, რომელიც გულისხმობდა გრანტებისა და სესხების შვიდწლიან პროგრამას. პროგრამის მეშვეობით ევროპული თანამეგობრობა განვითარებაში დაეხმარებოდა ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონებს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა იტალიას სურდა, რაც შეიძლება დროულად მოგვარებულიყო საბერძნეთის პრობლემა. ამ სირთულიდან გამოსავალი იტალიისთვის ორმაგად მომგებიანი იყო. ერთი ის, რომ ამ პროგრამებიდან თავადაც იხეირებდა. და მეორე

ის, რომ თავისი თავჯდომარეობის დარჩენილ დროს ბოლოსდაბოლოს დაუთმობდა ინტეგრაციის გაღრმავების ინიციატივებს.

1985 წლის მარტში საგარეო საქმეთა მინისტრებმა პორტუგალიისა და ესპანეთის გაწევრიანების ბოლო საკითხები უძილო 40-საათიანი მოლაპარაკებების შემდეგ შეათანხმეს (ეს ამჟამადაც არის თანამეგობრობის რეკორდი). თუმცა, გაფართოება მაინც დამოკიდებული იყო ხმელთაშუაზღვისპირეთის პროგრამებზე შეთანხმებაზე. ამ საკითხზე ინტენსიური მოლაპარაკებები ბრიუსელის სამიტზე შედგა. ტეტჩერის წინააღმდეგობისა და პაპანდრეუს ობსტრუქციონიზმის მიუხედავად, საბოლოო შეთანხმება მაინც მოხერხდა. ლიდერებმა გადაწყვიტეს, რომ პროგრამებისთვის გამოიყოფოდა 6,6 მილიარდი ეკიუ, საიდანაც 30%-ს მიიღებდა საბერძნეთი. ეს თანხა იმაზე მეტი იყო, ვიდრე ტეტჩერს სურდა და იმაზე ნაკლები, ვიდრე პაპანდრეუ ითხოვდა. შედეგი წარმატებული იყო საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა იტალიისთვის. იგი ასევე მნიშვნელოვანი იყო დელორისთვისაც, რომელმაც მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებისთვის სასწორზე თავისი პოლიტიკური რეპუტაცია დადო. წარუმატებლობა მისი პრესტიჟისა და ნდობისთვის სერიოზული დარტყმა იქნებოდა.

დუჯის ანგარიში

1984 წლის ივნისის ფონტენბლოს სამიტზე შეთანხმდნენ, რომ დაარსდებოდა ეროვნული ლიდერების პერსონალური წარმომადგენლების კომიტეტი (მათ შემადგენლობაში იქნებოდა კომისიის პრეზიდენტის წარმომადგენელიც). კომიტეტის მიზანი იქნებოდა ევროპული თანამეგობრობის მომავლის ვარიანტების შემუშავება. ინსტიტუციურ საკითხებზე დროებითმა კომიტეტმა ფუნქციონირება 1984 წლის შემოდგომას დაიწყო. მას მეთაურობდა ირლანდიელი სენატორი და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ჯიმ დუჯი.

კომიტეტში იტალიელი წარმომადგენელი მხარს უჭერდა ხელშეკრულების რადიკალურ რეფორმირებას პარლამენტის მი-

ერ გამოქვეყნებული „ევროპული კავშირის დაარსების ხელშეკრულების პროექტის“ მიხედვით. კომიტეტის ბრიტანელ წევრს კი სურდა არაფორმალური შეთანხმება ქვეყნებს შორის იმაზე, რომ ისინი დაასრულებდნენ ერთიან ბაზარს და რომ მჭიდროდ ითანამშრომლებდნენ საგარეო ურთიერთობების საკითხებზე. თუმცა, კომიტეტის ყველა წევრი თანხმდებოდა, რომ ერთიანი ბაზრის საკითხებზე კენჭისყრისას საჭირო იყო კვალიფიციური უმრავლესობის პროცედურის გამოყენება.

1985 წლის მარტში კომიტეტის საბოლოო ანგარიში წარდგენილ იქნა ევროპული საბჭოს წინაშე. იგი რეკომენდაციას იძლეოდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა მინისტრთა საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის მეტად გამოყენება, პარლამენტისთვის და კომისიისთვის მეტი ძალაუფლების მინიჭება, სხვადასხვა სფეროებში (მათ შორის, საგარეო ურთიერთობების) ახალი ინიციატივების დაწყება და სხვა. ანგარიში მოიცავდა ასევე იმ წინააღმდეგობებსა და თავშეკავებებს, რომლებიც კომიტეტის ცალკეულმა წევრებმა დააფიქსირეს. მაგალითად, დუჯი არ შეუერთდა ანგარიშის რეკომენდაციას იმაზე, რომ მომხდარიყო წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და საგარეო ურთიერთობების პოლიტიკების კოორდინაცია. უფრო მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ბრიტანეთის, დანიისა და საბერძნეთის წარმომადგენლები მხარს არ უჭერდნენ ანგარიშის დასკვნით შეთავაზებას - ხელშეკრულების რეფორმაზე მოლაპარაკებისთვის ევროპული საბჭოს გაემართა ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია.

ევროპულმა საბჭომ დუჯის ანგარიშის განხილვა შემდეგი შეხვედრისთვის, 1985 წლის ივნისის მილანის სამიტისთვის გადადო. ხმელთაშუაზღვისპირეთის პროგრამებზე შეთანხმებამ, გაფართოების რეალურმა პერსპექტივამ, დუჯის ანგარიშმა და ერთიანი ბაზრის შესახებ კომისიის მიერ გამოცემულმა თეთრმა წიგნმა ევროპული ინტეგრაციის გაღრმავების იმედები გააჩინა. იტალიის მთავრობა მონდომებული იყო იმისთვის, რომ მილანში ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის დაწყებაზე გადაწყვეტილების მიღებით თავისი თავჯდომარეობის წარმატებული

სახელი ისტორიაში შეეტანა. ამიტომ იგი ამ ინიციატივას მხარს უჭერდა. ცვლილებების მოლოდინით, დელორიც მხარში ედგა იტალიას. ამის საპირისპიროდ, ტეტჩერი კვლავ ეწინააღმდეგებოდა ხელშეკრულების რეფორმას. საბჭოში გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესებისა და წევრი ქვეყნების მიერ საგარეო ურთიერთობების პოლიტიკების უფრო მჭიდრო კოორდინაციისთვის მას მხოლოდ არაფორმალური შეთანხმება სურდა.

მილანის სამიტი

იტალიის თავჯდომარეობის მონდომების, დელორის ოპორტუნიზმისა და ტეტჩერის წინააღმდეგობის გარდა, მილანის სამიტის შედეგი დამოკიდებული იყო ასევე მიტერანისა და კოლის პოზიციებზე. ყველასგან მოულოდნელად სამიტის დროს მათ აქტიურად დაუჭირეს მხარი ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის დაწყებას. ტეტჩერი ამის გამო საშინლად გაბრაზდა. იგი დანიასა და საბერძნეთთან ერთად ეწინააღმდეგებოდა ხელშეკრულებების რეფორმაზე მოლაპარაკებების დაწყებას. ამის გამო იტალიის პრემიერ-მინისტრმა ბეტინო კრაქსიმ ევროპული საბჭოს ისტორიაში პირველად საკითხის კენჭისყრაზე გატანა მოითხოვა. ფიცჯერალდი მოგვიანებით იხსენებს, თუ როგორ გამოიჭრა მარგარეტ ტეტჩერი ოთახის მეორე ბოლოდან, გზად ჩამოიშორა კრაქსის გარშემო შემოკრებილი ლიდერები და როგორ მიახალა კრაქსის თავისი ნეგატიური მოსაზრება იტალიელი პრემიერ-მინისტრისა და მისივე შემოთავაზების შესახებ. თუმცა, საფრანგეთისა და გერმანიის მხრიდან მხარდაჭერის გამო, კრაქსიმ მაინც ჩაატარა კენჭისყრა. როგორც მოსალოდნელი იყო, შვიდმა ლიდერმა თანხმობა განაცხადა, სამი (ბრიტანეთი, საბერძნეთი, დანია) კი წინააღმდეგ წავიდა. იმ მიზეზით, რომ ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის მონაწილეები მხოლოდ საბაზრო ინტეგრაციაზე ყოფილიყვნენ ფოკუსირებული (და სხვა არასასურველ სფეროებში არ შეჭრილიყვნენ) და რომ ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია თავიანთ მნიშ-

ვნელოვან ეროვნულ ინტერესებს მაინც ვერ უგულებელყოფდა, სამივე სკეპტიკოსმა ქვეყანამ საბოლოო ჯამში მათში მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღეს. თუმცა, თავიდანვე ნათელი იყო, რომ მოლაპარაკებები არ იქნებოდა მარტივი. გარდა იმისა, რომ ქვეყნებს ბევრ საკითხზე რადიკალურად განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ, ბრიტანეთის, საბერძნეთის ან დანიის მიერ კონფერენცია შესაძლოა საერთოდ ჩაშლილიყო კიდეც.

ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია

ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია 1985 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. წინა კონფერენციები ფოკუსირებული იყვნენ ვიწრო მიზნებზე (მაგ.: 1970 და 1975 წლების კონფერენციები საბიუჯეტო რეფორმის საკითხებზე). ამ შემთხვევაში განსახილველი საკითხების წრე ფართო იყო, დაწყებული პოლიტიკის მიმართულებებით დასრულებული ინსტიტუციური საკითხებით. დელორმა ისიც კი აღნიშნა, რომ მსგავსი კონფერენციები ყოველ 5-10 წელიწადში კი არა, შეიძლება 2000 წლამდეც არ ჩატარებულიყო (მაგრამ რეალურად 1985-2000 წლების მონაკვეთში 5 ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია ჩატარდა - 1985-ში 1; 1990-1991-ში 2; 1996-1997-ში 1 და 2000-ში 1).

ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია 1985 წლის სექტემბერში დაიწყო. პორტუგალია და ესპანეთი, რომლებიც ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანების გზაზე იდგნენ, დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდნენ შეხვედრებს. წევრ ქვეყნებს შორის მოლაპარაკებები რამდენიმე დონეზე მიმდინარეობდა. მაღალი დონის წარმომადგენლები (ძირითადად, თანამეგობრობაში მუდმივი წარმომადგენლების სახით, რომელთა უმეტესობაც თავის დროზე დუჯის კომიტეტის წევრები იყვნენ) რეგულარულად ხვდებოდნენ იმ მიზნით, რომ არსებულ ხელშეკრულებაში ცვლილებებზე შეთანხმებულიყვნენ. წევრი ქვეყნების პოლიტიკური დირექტორები (ანუ საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტების ხელმძღვანელე-

ბი) შედარებით ნაკლები სიხშირით იკრიბებოდნენ და საგარეო პოლიტიკის კოორდინირების მექანიზმში - 'ევროპულ პოლიტიკურ თანამშრომლობაში' - შესატან ცვლილებებს განიხილავდნენ. ორივე დონის შეხვედრები ბრიუსელში მიმდინარეობდა. თავიანთ ყოველთვიურ საბჭოს შეხვედრებზე კი საგარეო საქმეთა მინისტრები მიღწეულ შედეგებს ამტკიცებდნენ და არსებული სირთულეების გადაჭრაზე მუშაობდნენ. ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრები კონკრეტულად „მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციაზე" იყვნენ ფოკუსირებულნი და ამ მიმართულებით ხელშეკრულებაში შესატან ცვლილებებს ამუშავებდნენ. 1985 წლის დეკემბრის ლუქსემბურგის ევროპული საბჭოს სამიტზე კი ლიდერებმა ყველაზე საკვანძო და პრობლემურ საკითხებზე პოლიტიკურ შეთანხმებას მიაღწია. თუმცა, ამ ფორმალური შეხვედრების გარდა, ყველა დონეზე მომლაპარაკებლები ორმხრივ და მრავალმხრივ არაფორმალურ ფორმატებშიც ხვდებოდნენ ერთმანეთს. ძირითადი და რეალური საქმე სწორედ მსგავს არაფორმალურ შეხვედრებზე კეთდებოდა.

პარლამენტს ამ მოლაპარაკებებში ფაქტობრივად არანაირი წვლილი არ შეუტანია. მას არც რაიმე ტიპის სტატუსი ჰქონდა და არც შეხვედრებს ესწრებოდა. კომისიასაც ამ მოლაპარაკებებში ოფიციალური სტატუსი არ ჰქონდა. თუმცა, პარლამენტისგან განსხვავებით, კომისია ესწრებოდა მოლაპარაკებებს. დელორმა თავის თავზე აიღო კომისიის პოზიციის გახმოვანება და საქმიანობა. იგი მისთვის ნდობით აღჭურვილი ადამიანებისგან შემდგარ პატარა ჯგუფთან ერთად მუშაობდა და ხშირად საერთოდ გვერდს უვლიდა კომისრებს. დელორის სტრატეგია ის იყო, რომ ერთიანი ბაზრის დასრულება მიება ინსტიტუციურ და სხვადასხვა სფეროებში (განსაკუთრებით, ერთიანობისა (cohesion) და სოციალურ საკითხებში) პროგრესთან. დელორის მტკიცებით, თანამეგობრობის მასშტაბით ეკონომიკური ერთიანობის ვალდებულების აღების გარეშე, მდიდრებსა და ღარიბებს შორის სხვაობა კიდევ უფრო გაღრმავდებოდა. ამის მსგავსად, ევროპულ დონეზე არსებული უფრო ძლიერი შრომის კოდექსის გარეშე, ბაზრების ინტეგრაცია მუშა ხელს დისკრიმინაციულ

პოზიციაში ჩააყენებდა. გარდა ამისა, დელორისთვის წარმოუდგენელი იყო ბაზრების ინტეგრაცია ერთიანი მონეტარული და მაკროეკონომიკური პოლიტიკის გარეშე. სწორედ ამიტომ, დელორი თვლიდა, რომ ერთიანი ბაზრის დასრულებასთან ერთად, უნდა ჩამოყალიბებულიყო ეკონომიკური და მონეტარული კავშირიც.

დელორის მითითებებით კომისიამ წარადგინა სხვადასხვა წინადადებები, რის საფუძველზეც დაიწყო მოლაპარაკებები. იმდენად დიდი იყო კომისიის როლი და აქტივობა, რომ, როგორც ზოგიერთმა მონაწილემ განაცხადა მოგვიანებით, საწყის ეტაპზე ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია კომისიასა და წევრ სახელმწიფოებს შორის დიალოგს უფრო ჰგავდა, ვიდრე წევრი ქვეყნებს შორის მოლაპარაკებებს. თუმცა, დელორი ძალზედ ფრთხილად წარმართავდა პროცესებს. იგი ცდილობდა ევროპული ინტეგრაციის გაღრმავებას, მაგრამ პატივს სცემდა წევრი სახელმწიფოების ინტერესებსაც. განსაკუთრებით სიფრთხილით ეკიდებოდა სამი ევროსკეპტიკური სახელმწიფოების მოთხოვნებს. სწორედ ამ მიზეზით, კომისია ბრიტანელებისთვის ყურადღებას ამახვილებდა საბაზრო ინტეგრაციის უპირატესობებზე, დანიელებისთვის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე და საბერძნეთისთვის ერთიანობის პოლიტიკაზე.

თუმცა, დელორის ენერგიულობისა და ენთუზიაზმის მიუხედავად, ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია მაინც ნელა და მძიმედ დაიწყო. ბრიტანეთი ძალიან ფრთხილად და სკეპტიკურად იყო განწყობილი. საფრანგეთის მთავრობის პოზიცია კი გაცილებით ნაკლებ ამბიციური იყო, ვიდრე მიტერანის რიტორიკა, განსაკუთრებით, კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრისა და პარლამენტის როლთან მიმართებაში. არც გერმანიას ჰქონდა ლიდერობისა და ნოვატორობის სურვილი. იტალიის მთავრობის საწყისი ოპტიმიზმი კი მალევე გაუჩინარდა. მხოლოდ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა ლუქსემბურგი ცდილობდა კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობას, მაგრამ მაინც ფრთხილად იყო, რომ არ გაეღიზიანებინა სკეპტიკოსი ქვეყნები.

მხოლოდ 1985 წლის ნოემბერში გააქტიურდა მოლაპარაკებები. ქვეყნები ადვილად შეთანხმდნენ შიდა ბაზრის განმარტებაზე („სივრცე შიდა საზღვრების გარეშე, სადაც შესაძლებელია საქონლის, ადამიანების, სერვისისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება“) და ამ მიზნის მიღწევის თარიღზე (1992 წელი). თუმცა, ისინი ვერ თანხმდებოდნენ მიზნის მიღწევისთვის საჭირო ინსტიტუციურ ნაბიჯებზე. ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, რომ კომისიის თეთრ წიგნში აღნიშნულ ჰარმონიზაციისთვის საჭირო ინსტრუმენტების ორ-მესამედზე დაუშვებდნენ კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრას, დანარჩენ ძალიან სენსიტიურ ინსტრუმენტებზე (მაგალითად, არაპირდაპირი გადასახადები) კი კვლავ გადაწყვეტილების მიღების ერთსულოვანი პროცედურა იქნებოდა გამოყენებული.

ევროპული თანამეგობრობისთვის დემოკრატიულობის ხარისხის გაზრდის მიზნით პარლამენტისთვის ძალაუფლების მინიჭება ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის ერთ-ერთი ყველაზე სადავო საკითხი აღმოჩნდა. ბევრ წევრ ქვეყანას სურდა, რომ პარლამენტს მინისტრთა საბჭოსთან ერთად თანაგადაწყვეტის პროცედურაში მიეღო მონაწილეობა. თუმცა, საბოლოო ჯამში, გადაწყდა, რომ პარლამენტის ძალაუფლება გაიზრდებოდა თანამშრომლობის პროცედურის გაფართოებით (მისი დაფარვის სფერო გახდა ერთიანი ბაზრის რამდენიმე მიმართულება და ინსტრუმენტი). ასევე, პარლამენტს მიენიჭა ახალი უფლება გაფართოებასა და ასოციაციის ხელშეკრულებებზე, თანხმობის მიცემის სახით (ე.წ. თანხმობის პროცედურა). პარლამენტისგან განსხვავებით, არსებობდა ზოგადი შეთანხმება იმაზე, რომ უნდა გაძლიერებულიყო კომისიის აღმასრულებელი ფუნქციები.

საბერძნეთი და ირლანდია, რომელსაც მხარს უჭერდა კომისია და კონფერენციის დამკვირვებლები პორტუგალია და ესპანეთი, ერთიანობის პოლიტიკის *(cohesion policy)* საშუალებით ითხოვდნენ ღარიბი რეგიონებისთვის თანამეგობრობის დაფინანსების გაზრდას. ამ საკითხზე ბრიტანეთის წინააღმდეგობის გამო გერმანიის თანხმობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა გა-

დაწყვეტილების მიღება. რაც შეეხება სხვა სფეროებს, გერმანია და დანია მხარს უჭერდნენ ხელშეკრულებაში გარემოს დაცვის პოლიტიკის შეტანას. ასევე, ქვეყნების უმრავლესობას სურდა კვლევასა და ტექნოლოგიურ განვითარებაზე თანამშრომლობის შესახებ რამდენიმე მუხლის დამატება. და ბოლოს, ტეტჩერის კონსერვატული მთავრობისთვის ძალიან 'მტკივნეული' თემა - სოციალური პოლიტიკა - ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის ერთ-ერთი ყველაზე ძნელად გადაწყვეტადი საკითხი იყო.

ინტერგავერნმენტალისტურმა კონფერენციამ საშუალება მისცა წევრ ქვეყნებს, მოეხდინათ საგარეო პოლიტიკის კოორდინაციის მექანიზმის (ანუ ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის) რეფორმირება და მოექციათ იგი რომის ხელშეკრულების ქვეშ. ისინი შეთანხმდნენ, რომ მოახდენდნენ თავიანთი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკებისა და საგარეო პოლიტიკების დაახლოებას. ნეიტრალური ირლანდიის, პაციფისტი დანიისა და თავისებურად უცნაური საბერძნეთის მოთხოვნის შემდეგ, 'ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის' საბოლოო ვერსიიდან ამოღებულ იქნა თავდაცვის პოლიტიკის მიმართულებები. ამის გამო, მიღებულ იქნა 'ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის' მხოლოდ შეკვეცილი ვარიანტი. თუმცა, იგი ნებისმიერ შემთხვევაში მაინც მნიშვნელოვან პროცედურულ ცვლილებებს შეიცავდა.

ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის განმავლობაში გერმანია და საფრანგეთი არ ყოფილან მკაცრად მომთხოვნის პოზიციაში. ისინი ძირითადად მხოლოდ იმიტომ ერთვებოდნენ მოლაპარაკებებში, რომ უზრუნველეყოთ ერთიან ბაზარზე გადაწყვეტილების მიღებისას კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის პროცედურის გამოყენება და პარლამენტისთვის მეტი საკანონდებლო ძალაუფლების მინიჭება. უმრავლეს ინსტიტუციურ და სხვადასხვა სფეროების საკითხებზე განსხვავებების მიუხედავად, ორივე ქვეყანას ხელშეკრულების არსებითი რეფორმები სურდა და არა ფასადური ცვლილებები. ამ მხრივ, როლანდ დუმასი და ჰანს-დიტრიჰ გენშერი (საფრანგეთის და

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრები) მიტერანსა და კოლზე გაცილებით მჭიდროდ თანამშრომლობდნენ.

მიტერანი და კოლი პირდაპირ ჩაერთვნენ ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირის შესახებ დისკუსიებში. ბელგიის მხარდაჭერით, კომისიამ წარმოადგინა წინადადება, რომ ქვეყნებს აეღოთ ეკონომიკურ და მონეტარულ პოლიტიკაზე უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ვალდებულება. ბრიტანეთი სასტიკი წინააღმდეგი იყო, საფრანგეთი მხარს უჭერდა, გერმანია კი ორჭოფობდა. საბოლოოდ, კოლმა გადაწყვიტა მიტერანის მხარდაჭერა იმის სანაცვლოდ, რომ საფრანგეთი მოახდენდა კაპიტალის გადაადგილების ლიბერალიზაციას. წევრი ქვეყნები (ბრიტანეთის გარდა) შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულებაში ეკონომიკურ და მონეტარულ პოლიტიკაზე თანამშრომლობის მნიშვნელობაზე საუბრისას, ჩაემატებოდა ფრაზა 'თანამეგობრობის მომავალი განვითარებისთვის' (*'for the further development of the Community'*). ანუ ხელშეკრულების ტექსტი არ დარჩებოდა მხოლოდ ქაღალდზე და ეკონომიკური და მონეტარული კავშირის შექმნისკენ მომავალში გადაიდგმებოდა რეალური ნაბიჯები. რა თქმა უნდა, ბრიტანეთი კიდევ ერთხელ გაღიზიანდა გერმანია-საფრანგეთის ამგვარი აქტივობით. თუმცა, ტეტჩერი მაინც დათანხმდა ამგვარ ფორმულირებას ორი მიზეზით. პირველი, მისთვის საბაზრო ინტეგრაციის გაღრმავება იმ მომენტში უფრო მომგებიანი იყო. და მეორე, ხელშეკრულებაში ჩაიდო, რომ მონეტარული კავშირის შექმნისთვის საჭირო ინსტიტუციური ცვლილებები მხოლოდ ინტერგავერნმენტალისტურ კონფერენციაზე უნდა მომხდარიყო. შემდეგი ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის დაწყებაზე კი ბრიტანეთს ყოველთვის შეეძლო ვეტოს დადება და ამით მონეტარული პოლიტიკის რეფორმის თავიდან აცილება.

მიუხედავად იმისა, რომ 1985 წლის დეკემბრის ლუქსემბურგის სამიტი გრძელი და მომქანცველი იყო, მოლაპარაკებები არ იყო იმ ზიზღით და სიძულვილით გაჟღენთილი, რომლითაც ასე ხშირად ხასიათდებოდა 1980-იანი წლების დასაწყისში ჩატარებული ევროპული საბჭოს სამიტები. ამჯერად განსხვავება ის

იყო, რომ სამი ძირითადი მოთამაშის ინტერესები ხელშეკრულების რეფორმის გზით ბაზრის ინტეგრაციის გაღრმავების თაობაზე ერთმანეთის თანხვედრი იყო. ანუ ტეტჩერს, მიტერანსა და კოლს საერთო მიზანი ჰქონდათ. პოზიტიური შედეგის მისაღწევად, ტეტჩერის აზრით, საჭირო იყო სხვა ქვეყნებთან ალიანსის შეკვრა, კომპრომისებზე თანხმობა და მისთვის არც თუ ისე მისაღები ენის, ლექსიკის გამოყენება. შესაბამისად, მან ყველასგან მოულოდნელად ძალიან თანამშრომლობითი სტრატეგია აირჩია.

ტეტჩერის საქციელის მიზანშეწონილობაში საკუთარი მთავრობის წევრებიც ეჭვობდნენ. ეს ეხებოდა განსაკუთრებით მის ფინანსთან მინისტრს ნიგელ ლოუსონს. მან ტეტჩერი ლუქსემბურგში წასვლამდე გააფრთხილა, რომ ხელშეკრულებაში ეკონომიკური და მონეტარული კავშირი არც კი ეხსენებინა. ამიტომ იგი სკეპტიკურად იყო განწყობილი ტეტჩერის მიერ მიღწეული კომპრომისით. იგი გაკვირვებული იყო, ვინაიდან თვლიდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული პრობლემის - კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის - მოგვარება ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირზე შეთანხმების გარეშეც შეიძლებოდა.

ლუქსემბურგის სამიტზე ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა ასევე კომისიის წინადადება, რომლის მიხედვითაც თანამეგობრობისა და საგარეო პოლიტიკის თანამშრომლობის საკითხების ცვლილებებზე ცალ-ცალკე შეთანხმებების გაფორმების ნაცვლად უნდა შემდგარიყო ერთიანი დოკუმენტი, სადაც გაერთიანდებოდა ხელშეკრულების ყველა ცვლილება. ამ დოკუმენტს დაერქვა *ერთიანი ევროპული აქტი* (აქტი იმიტომ, რომ სიტყვა 'ხელშეკრულებაზე' მისი სადავოობის გამო ვერ შეთანხმდნენ). საგარეო საქმეთა მინისტრებმა 1986 წლის იანვრის ბოლომდე გააგრძელეს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე (მათ შორის, სოციალურ პოლიტიკაზე) მუშაობა. 1986 წლის თებერვლის შუა პერიოდში კი 12 წევრი ქვეყნიდან ცხრამ ბრიუსელში ხელი მოაწერა ერთიან ევროპულ აქტს. დანიამ ეს პროცედურა რეფერენდუმის შედეგებამდე გადადო (თებერვლის ბოლოს ჩატარებულ რეფერენდუმზე დანიელებმა მხარი დაუჭირეს აქტს). იტალიამაც გააჭიანურა პროცედურა იმის გასაპროტესტებლად, რომ

პარლამენტის ძალაუფლება არ გაიზარდა საკმარისად. საბერძნეთის მთავრობამ კი დანიისა და იტალიის საბოლოო პოზიციას უცდიდა. 1986 წლის თებერვლის ბოლოს სამივე მათგანმა (ევროენთუზიასტმა იტალიამ, ევროსკეპტიკოსმა დანიამ და ევრომერყევმა საბერძნეთმა) ჰააგაში სპეციალურ ცერემონიაზე ერთობლივად მოაწერეს ხელი აქტს.

შედეგები

ერთიანი ევროპული აქტი (ეეა) შედარებით მცირე, მაგრამ პროდუქტიული დოკუმენტი გამოდგა. მან მთლიანად ვერ შეცვალა ლუქსემბურგის კომპრომისი, მაგრამ ერთიანი ბაზრის უმრავლეს ინსტრუმენტზე კვალიფიციური უმრავლესობის კენჭისყრის დაშვება ერთსულოვნების წინააღმდეგ მაინც მნიშვნელოვანი გარღვევა იყო. პარლამენტისთვის საკანონმდებლო ძალაუფლების გაზრდა არსებით ინსტიტუციურ ინოვაციას წარმოადგენდა, მაგრამ ეს არ იყო ის, რასაც ინტერგავერნმენტალისტურ კონფერენციაზე პარლამენტის მომხრეები ითხოვდნენ.

ერთიანმა ევროპულმა აქტმა ერთმანეთთან დააკავშირა და ერთმანეთის განუყოფელი ნაწილი როგორც ერთიანი ბაზრის დასრულება და მეტი ეკონომიკური ერთიანობა, ასევე, ერთიანი ბაზრის დასრულება და სოციალური პოლიტიკა. ამასთან, აქტმა ხელშეკრულების ქვეშ მოაქცია გარემოს დაცვის პოლიტიკა და საგარეო პოლიტიკის თანამშრომლობა, ოღონდ ეს უკანასკნელი მკაცრად ინტერგავერნმენტალისტურ საწყისებზე დატოვა. მონეტარული პოლიტიკის ერთიან ევროპულ აქტში მოხსენიებას კი ჯერჯერობით მხოლოდ სიმბოლური ხასიათი ჰქონდა.

ეეა დეკლარაციების ფორმით შეიცავდა წევრი სახელმწიფოებისთვის დაშვებულ გამონაკლისებსაც. მაგალითად, ერთიანი ბაზრისგან გამონაკლისი დაუშვეს ირლანდიური სადაზღვევო ინდუსტრიისთვის. ასევე, პორტუგალიის მოთხოვნით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეეა-ს მიერ განხორციელებულ ცვლილებებს ზიანი არ უნდა მოეტანა პორტუგალიის ეკონო-

მიკის სენსიტიური და საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი სექტორებისთვის. ასეთი დეკლარაციები იყო ინტერგავერნმენტალისტური ვაჭრობის ნათელი მაგალითები და ძირითადად შიდა, ეროვნული მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი.

კომისია და ინტეგრაციის მხარდამჭერი სხვა წევრი ქვეყნები იმედგაცრუებულები დარჩნენ ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის შედეგებით. მათი აზრით, კვალიფიციური უმრავლესობის კენჭისყრის ქვეშ არ მოხვდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საბაზრო ინსტრუმენტი. ასევე, მათი რწმენით, პარლამენტის ძალაუფლება ძალიან მცირედით გაიზარდა. დელორი სერიოზულად ეჭვობდა, რომ ეს ცვლილებები არ იქნებოდა საკმარისი იმისთვის, რომ 1992 წლისთვის დასრულებულიყო ერთიანი ბაზარი. ამის საპირისპიროდ, ტეტჩერი კმაყოფილი იყო, რომ მოახერხა და კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის, ადამიანების თავისუფალი გადაადგილებისა და პარლამენტის ძალაუფლების საკითხებზე რადიკალური ცვლილებების განხორციელება არ დაუშვა. უფრო მეტიც, მისი აზრით, ერთიანი ევროპული აქტი ბრიტანეთის ბიზნესისთვის მომგებიანი იყო. მართლაც, ტეტჩერი სწორი იყო ეეა-ის კომერციულ უპირატესობებზე, თუმცა, იგი ცდებოდა აქტის ზოგადი, უფრო ფართო შედეგების შეფასებისას. როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, მან, ისევე როგორც დელორმა, არასათანადოდ შეაფასეს ერთიანი ევროპული აქტის და მის შედეგად განხორციელებული ცვლილებების მნიშვნელობა.

რატიფიკაცია

ეროვნული პარლამენტების უმრავლესობამ გართულებების გარეშე მოახდინა ერთიანი ევროპული აქტის რატიფიკაცია. თუმცა, იყო რამდენიმე გამონაკლისიც. გერმანიაში რატიფიკაციის პროცესმა საფუძველი ჩაუყარა ევროპული თანამეგობრობის გადაწყვეტილების მიღებაში წევრი სახელმწიფოების როლის შესახებ დებატებს. 1986 წლის იანვარში დანიის მთავრობამ

ორჯერ ვერ მოახერხა ეეა-ზე საპარლამენტო მხარდაჭერის მოპოვება. პარლამენტარები შეშფოთებას ძირითადად მინისტრთა საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების შედეგად დანიის სუვერენიტეტის დაკარგვის თაობაზე გამოთქვამდნენ. ამის გამო, 1986 წლის თებერვალში დანიის მთავრობამ საკითხი რეფერენდუმზე გაიტანა. რეფერენდუმზე მისული 74% მოსახლეობის 56%-მა მხარი დაუჭირა ერთიან ევროპულ აქტს. საბერძნეთის მთავრობის მიერ ევროპული თანამეგობრობის კრიტიკის მიუხედავად, საბერძნეთის პარლამენტმა იოლად მოახდინა ეეა-ს რატიფიკაცია.

ირლანდიაში მოქალაქემ საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში და ითხოვდა ეეა-ს რატიფიკაციის შეჩერებას იმ მიზეზით, რომ აქტის საგარეო პოლიტიკის მუხლები საფრთხეს უქმნიდა ირლანდიის სუვერენიტეტს. ამან დააბრკოლა ეეა-ს რატიფიკაცია და შეუძლებელი გახადა წინასწარ განსაზღვრულ საბოლოო ვადაში აქტის რატიფიკაციის პროცესის დასრულება. 1986 წლის დეკემბრის ირლანდიის სასამართლოს დრამატული გადაწყვეტილებით, საკითხი გატანილ იქნა რეფერენდუმზე, სადაც 45% მისული ამომრჩევლის 70%-მა დადებითი პოზიცია დააფიქსირა. ამ დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, 1987 წლის ივლისში ერთიანი ევროპული აქტის რატიფიკაცია წარმატებით დასრულდა.

ერთიანი ბაზრის პროგრამა
თეთრი წიგნი

1985 წლის მარტში ევროპულმა საბჭომ კომისიას დაავალა, მოემზადებინა ერთიანი ბაზრის დასრულების პროგრამის პროექტი. დელორმა თეთრი წიგნის პროექტის ანუ დეტალური წინადადებების მომზადება შიდა ბაზრის პორტფოლიოს მქონე კომისარ ლორდ არტურ ქოქფილდს გადააბარა. ქოქფილდი ტეტჩერის მთავრობაში ვაჭრობის მინისტრად მუშაობდა, შემდეგ კი კომისრად იქნა დანიშნული. ტეტჩერს სურდა, რომ ქოქფილდს

მოეხსნა ვაჭრობის ბარიერები და ასევე თავიდან აეცილებინა სხვა სფეროებში გადაღვრის ეფექტი (*spillover*). ერთიანი ბაზრის საკითხებში ქოქფილდმა გაამართლა პრემიერ-მინისტრის იმედები, მეორე საკითხში კი გაუცრუა, რის გამოც ტეტჩერის რისხვა დაიმსახურა.

იდეოლოგიური, სოციალური, ენობრივი თუ სხვა განსხვავებებისა და სირთულეების მიუხედავად, ქოქფილდი და დელორი მჭიდროდ და პროდუქტიულად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან ევროპული ბაზრის ლიბერალიზაციის პროგრამის შემუშავება-იმპლემენტაციის პროცესში. მათი ხელმძღვანელობით კომისიის მიერ შემუშავებული თეთრი წიგნი მოიცავდა დაახლოებით სამას ინსტრუმენტს, რისი შესრულებითაც 1992 წლის 31 დეკემბრისთვის მიიღწეოდა ერთიანი ბაზარი (ანუ საქონელის, ადამიანების, კაპიტალისა და სერვისის თავისუფალი გადაადგილება). კომისიამ რეკორდულ პერიოდში დაასრულა დოკუმენტზე მუშაობა იმიტომ, რომ ბევრი ინსტრუმენტი კომისიის მიერ ერთიანი ბაზრის დასრულებისთვის განხორციელებული წინა მცდელობების დროს უკვე იყო განხილული და წინ წამოწეული. ქოქფილდმა ეს ინსტრუმენტები ინტეგრაციის ბარიერების სამი კატეგორიის ქვეშ გააერთიანა: ფიზიკური, ტექნიკური და ფისკალური. თეთრი წიგნი ასევე მოიცავდა დეტალურ სამოქმედო გეგმას, რომლის შესაბამისადაც კომისიის წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს და ბიზნესმენებს შეეძლებოდათ ერთიანი ბაზრის მიმართულებით პროგრესის შეფასება.

1985 წლის ივნისის მილანის სამიტზე ევროპულმა საბჭომ დებატების გარეშე დაამტკიცა კომისიის თეთრი წიგნი.

ერთიანი ბაზრის პროგრამის იმპლემენტაცია

ერთიანმა ევროპულმა აქტმა მწვანე შუქი აუნთო ერთიანი ბაზრის პროგრამის იმპლემენტაციას. თუმცა, მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა ეეა-ის რატიფიკაციამდეც განეხორციელებინა ერთიანი ბაზრის რამდენიმე ინსტრუმენტები. კომისია აქტიუ-

რად ახდენდა სხვადასხვა წინადადებების ინიცირებას, რომელსაც მინისტრთა საბჭო ამტკიცებდა (მათი უმეტესობა ახალი თანამშრომლობის პროცედურის ფარგლებში პარლამენტშიც ხვდებოდა). 1986 წლის პირველ ნახევარში თავმჯდომარე ქვეყანა ნიდერლანდებმა პარლამენტს წარუდგინა კვალიფიციური უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებები, რათა ეჩვენებინა, რომ საბჭოში კენჭისყრა ტაბუ დადებული თემა აღარ იყო. მომდევნო თავმჯდომარე ქვეყანა ბრიტანეთისთვის ერთიანი ბაზრის დასრულება ყველაზე მაღალი პრიორიტეტი იყო, რის გამოც დიდი ბრიტანეთის პოზიცია ევროპული თანამეგობრობისადმი უჩვეულოდ გახსნილი და თანამშრომლობითი გახდა.

1987 წლიდან ფრაზა *ერთიანი ბაზარი* ხშირად გამოიყენებოდა *შიდა ბაზრის* ნაცვლად, მეტწილად იმიტომ, რომ პროგრამა ასოცირებული იყო ერთიან ევროპულ აქტთან. ასევე, სლოგანმა '1992' წარმოუდგენლად ბევრი ადამიანის ყურადღება მიიპყრო. მის ისტორიაში პირველად, ევროპული თანამეგობრობა ევროპელების ზოგადი დისკუსიის საგანი გახდა, დელორი კი ყოველდღიური განხილვის თემა.

ბიზნესის პოზიცია გაცილებით უფრო ენთუზიაზმით აღსავსე იყო, ვიდრე ჩვეულებრივი მოსახლეობის. ევროპელი ბიზნესმენები ერთიანი ევროპული აქტის მიღებამდეც აქტიურობდნენ. კომისია, წევრი სახელმწიფოები და კერძო სექტორის წარმომადგენლები აწყობდნენ კონფერენციებს და განიხილავდნენ საზღვრებისგან თავისუფალი ევროპის უპირატესობებს და ამ უპირატესობების გამოყენების ვარიანტებსა და შესაძლებლობებს. 1987-88 წლებში ევროპულ თანამეგობრობაში შერწყმის მანიამ იფეთქა. 1987 წელს კომპანიების გაერთიანების 68, 1988 წელს კი სამასამდე შემთხვევა დაფიქსირდა.

კომისიის მიერ დაფინანსებულმა პროექტმა 'უევროპობის დანახარჯები' (*'The Cost of Non-Europe'*) კიდევ ერთხელ მიიქცია ბიზნეს და საჯარო ინტერესების ყურადღება. კვლევით პროექტს ხელმძღვანელობდა კომისიის ყოფილი მაღალჩინოსანი და ცნობილი იტალიელი ეკონომისტი პაოლო ჩეჩინი. ჩეჩინის ანგარიშში ასახული იყო ყველა ის ზედმეტი დანახარჯი, რისი

გაღებაც უწევდათ წევრ ქვეყნებს თუ კერძო სექტორს ევროპის ფრაგმენტულ ეკონომიკაში ფუნქციონირებისათვის, დაწყებული სახელმწიფოების მიერ საზღვრების კონტროლით, დასრულებული საზღვრების ფორმალობებისთვის საჭირო ადმინისტრაციულ პროცედურებზე დახარჯული ფინანსებითა და საზღვრებზე ლოდინით გამოწვეული დანაკარგებით.

ჩეჩინის ანგარიშის ფონზე 1988 წელს ძალაში შევიდა 'პროგრამა 1992', რაც ერთიანი ბაზრის დასრულებას გულისხმობდა. 1988 წელსვე წარმატებით დასრულდა ერთიანობის პოლიტიკის (*cohesion policy*) დაფინანსებაზე საბიუჯეტო ბატალიები, რაც საშუალება მისცა თამჯდომარე ქვეყანა გერმანიას, რომ სრული ფოკუსირება გაეკეთებინა ერთიანი ბაზრის იმპლემენტაციაზე. გერმანიის თავმჯდომარეობის დასასრულისთვის, კომისიას თეთრ წიგნში ჩამოყალიბებული ინსტრუმენტების/ინიციატივების უმრავლესობის ინიცირება უკვე ჰქონდა განხორციელებული, საბჭოს კი ასზე მეტ მათგანზე უკვე ჰქონდა ერთიანი პოზიცია (თანამშრომლობის პროცედურით გათვალისწინებული პირველი ეტაპი) დაფიქსირებული. სხვა უფრო სენსიტიური საკითხები, განსაკუთრებით, გადასახადების ჰარმონიზაცია და ადამიანების თავისუფალი გადაადგილება, კი ჯერ კიდევ განხილვის ეტაპზე იყო. 1988 წლის ივნისის ჰანოვერის სამიტზე, ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რასაც მოგვიანებით ეკონომიკური და მონეტარული კავშირის შექმნისთვის საციცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა - 1990 წლის ივლისისთვის მომხდარიყო ყველა ტიპის კაპიტალის გადაადგილების ლიბერალიზება (გამონაკლისი იყო მხოლოდ საბერძნეთი, ირლანდია, პორტუგალია და ესპანეთი, სადაც ბოლო ვადად 1992 წლის დეკემბერი დაწესდა). ეს იყო პროგრამისთვის მთავარი პოლიტიკური შემობრუნების წერტილი. სწორედ ამის შემდეგ გამოაცხადა ევროპულმა საბჭომ თავის კომუნიკეში, რომ ერთიანი ბაზრის დასრულება უკვე შეუქცევადი პროცესი იყო.

პროგრამის გარშემო არსებული ეიფორიის მიუხედავად, საჭირო კანონმდებლობის მიღება და იმპლემენტაცია რთული, გაჭიანურებული და არამიმზიდველი პროცესი იყო. ერთი დირექტივის მიღების და იმპლემენტაციის ციკლში ჩართული იყო ასობით ადამიანი კომისიიდან, პარლამენტიდან, წევრი სახელმწიფოებიდან და კერძო სექტორიდან.

ჩვეულებრივი ევროპელებისთვის მთავარი მოლოდინი სასაზღვრო პოსტების არარსებობა იყო. ამ მიმართულებით კომისიის თეთრი წიგნი აღნიშნავდა სხვადასხვა წინადადებებს იმისთვის, რომ გაუქმებულიყო საბაჟო ფორმალობები, დოკუმენტები და შემოწმებები. 1992 წლისთვის მინისტრთა საბჭომ თითქმის ყველა ეს ინსტრუმენტი დაამტკიცა. თუმცა, უფრო პრობლემური აღმოჩნდა თავად ადამიანების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა. იმისათვის, რომ სხვა ქვეყნებზე განეხორციელებინათ ზეწოლა და აეძულებინათ გაეხსნათ საზღვრები ევროპული თანამეგობრობის წევრი ქვეყნებისთვის, გერმანიამ, საფრანგეთმა და ბენილუქსის ქვეყნებმა 1985 წელს ლუქსემბურგის ქ. შენგენში ხელი მოაწერეს შენგენის ხელშეკრულებას. ამ შეთანხმებით, ამ ქვეყნებს შორის მოიხსნა ყველა ტიპის სასაზღვრო ფორმალობა. საბერძნეთი, იტალია, პორტუგალია და ესპანეთი 1992 წლისთვის შეუერთდნენ შენგენის ხელშეკრულებას. ბრიტანეთმა, დანიამ და ირლანდიამ კი უსაფრთხოებისა და სხვა მიზეზებით შეთანხმებაზე უარი განაცხადეს.

კომისიის თეთრი წიგნი ასევე მოუწოდებდა წევრ ქვეყნებს, მოეხდინათ დამატებითი ღირებულების გადასახადის რაოდენობის ჰარმონიზაცია და განევითარებინათ საზღვრებს მიღმა შეძენილი საქონელის დამატებითი ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ერთიანი სისტემა. 1992 წლის ოქტომბერში მინისტრთა საბჭომ მიიღო ჰარმონიზაციის ზოგადი ჩარჩო, რომელმაც დაადგინა დამატებითი ღირებულების გადასახადის სტანდარტი - 15% ან მეტი. საბჭოზე ასევე მიღწეულ იქნა შეთანხმების პირველი ვარიანტი იმის შესახებ, თუ ვის და სად უნდა გადაეხადა

დამატებითი ღირებულების გადასახადი. თუმცა, ბიზნესის წარმომადგენლები მალე ხმამაღლა ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ანგარიშის ჩაბარების (ე.წ. რეპორტინგის) სისტემა ძალიან რთული იყო; პატარა ფირმები ეჭვობდნენ, რომ საქონელს საერთოდ ვერ გადაიტანდნენ საზღვრებზე; მომხმარებლებისთვის კი საერთოდ გაუგებარი იყო, თუ რა უპირატესობები მოიტანა გადასახადების ჰარმონიზაციამ.

ამის საპირისპიროდ, მომხმარებლებმა მალევე იხეირეს 1991 წლის მარტის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვითაც გაუქმდა საზღვრებს მიღმა პირადი მოხმარებისთვის ნაყიდ ზოგიერთი ტიპის საქონელზე (ძირითადად, საწვავზე, ლიქიორსა და თამბაქოზე) შეზღუდვები. შედეგად, მოქალაქეებს საშუალება მიეცათ, პირადი მოხმარებისთვის საზღვარზე გადაეტანათ 800-მდე სიგარეტი, 90 ლიტრი ღვინო, 110 ლიტრი ლუდი და 10 ლიტრი ძლიერ ალკოჰოლური სასმელები (თუმცა, აეროპორტისა და წყლის ტრანსპორტის წარმომადგენლების წარმატებული ლობის შემდეგ, არ გაუქმებულა ე.წ. *duty-free* გაყიდვები. ამ საკითხის განხილვა 1999 წლისთვის გადაიდო).

ერთიანი ბაზრის პროგრამის ძირითადი ნაწილი მოიცავდა ვაჭრობის ხელისშემშლელი ტექნიკური ბარიერების თავიდან არიდებისთვის საჭირო ინსტრუმენტებს და ფარავდა ისეთ სფეროებს, როგორებიცაა პროდუქციის სტანდარტები, ტესტირება და სერტიფიცირება; კაპიტალის გადაადგილება; საჯარო შესყიდვები; მუშა ხელის თავისუფალი გადაადგილება; სერვისის თავისუფალი გადაადგილება; ტრანსპორტი; ახალი ტექნოლოგიები; ბიზნეს კანონმდებლობა; ინტელექტუალური საკუთრება; ბიზნესის გადასახადები და სხვა. ამათგან, ევროპულ ბიზნესზე ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა სტანდარტებს, ტესტირებასა და სერტიფიცირებას. კომისიის თეთრი წიგნი მაქსიმალურად ცდილობდა ეროვნული რეგულაციებისა და სტანდარტების ორმხრივი აღიარების პრინციპის დაცვას. ხოლო იქ, სადაც მათი ჰარმონიზაცია აუცილებელი იყო, თეთრი წიგნი სთავაზობდა ორმაგ სტრატეგიას. პირველი, საკანონდებლო ჰარმონიზაცია მოხდებოდა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების

მხოლოდ საციცოცხლოდ მნიშვნელოვან სტანდარტებზე, რომელთა შესაბამისობაშიც უნდა ყოფილიყო პროდუქტი. წევრი სახელმწიფოები მოახდენდნენ ამ ფუნდამენტური მოთხოვნების საკუთარ ეროვნულ რეგულაციებში ტრანსპოზიციას, გადმოტანას, მაგრამ აკრძალული ექნებოდათ დამატებით შეზღუდვების დაწესება. და მეორე, სადაც ეს მიდგომა შეუძლებელი იყო, გამოყენებული იქნებოდა ძველი მიდგომა, რომლის მიხედვითაც ხდებოდა ერთიანი, თანამეგობრობის მასშტაბით და ყოვლისმომცველი ტექნიკური მოთხოვნების დეტალური სტანდარტების მიღება კონკრეტული პროდუქტისთვის. ასე რომ, თავისი არსით 'პროგრამა 1992' იყო როგორც დერეგულატორული, ასევე, რეგულატორული რეფორმა.

თუ ორგანიზაცია დააკმაყოფილებდა ამ ახალი სტრატეგიისა და მიდგომების მიხედვით მიღებულ დირექტივებსა და მათში გაწერილ სტანდარტებს, მას ეძლეოდა უფლება, თანამეგობრობის მასშტაბით ეწარმოებინა თავისი პროდუქციის ბრუნვა. თუმცა, იმდენად ბევრი და წვრილმანი იყო ასეთი დირექტივები, და იმდენად ჭირდა მათთვის ფეხის აწყობა და ბიზნესის მათზე მორგება, რომ 1992 წლის ბოლოსკენ პროდუქტის მწარმოებლები სერიოზული საფრთხისა და პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ.

სირთულეების მიუხედავად, ერთიანი ბაზრის პროგრამის იმპლემენტაცია მაინც წარმატებით ვითარდებოდა. ამ პროცესმა შექმნა გარემო, სადაც ადამიანები თუ ფირმები საკუთარ თავს აღიქვამდნენ ევროპელებად და განვითარების შესაძლებლობებს საკუთარი საზღვრების მიღმაც ეძებდნენ. ამ პროგრამამ შეცვალა ევროპული თანამეგობრობის იმიჯიც და მალევე აქცია იგი ცოცხალ და თანამედროვე აქტორად.

ერთიანი ბაზრის პროგრამამ მალევე ჰპოვა გამოხმაურება არაწევრ ქვეყნებშიც. 'პროგრამა 1992' ხშირად 'ციხესიმაგრე ევროპასაც' უწოდებდნენ. განსაკუთრებით აშშ-ში იყო შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ერთიან ბაზარს ნეგატიური გავლენა ექნებოდა ამერიკულ ბიზნესზე. 1988 წლის დეკემბრის როდოსის სამიტზე ევროპულმა საბჭომ განაცხადა, რომ ერთიანი ბაზრის პროგრამა მომგებიანი იქნებოდა ევროპული თანამეგობრობის როგორც წევრი, ისე არაწევრი სახელმწიფოებისთვის და რომ იგი იქნებოდა 'პარტნიორი ევროპა' და არა 'ციხესიმაგრე ევროპა'. თუმცა, ამ განცხადებას ბევრის თვალში აკლდა დამაჯერებლობა. განსაკუთრებით, თანამეგობრობაში ტექსტილის, ბანანისა და მანქანების ექსპორტიორები იყვნენ შეშფოთებულები. ევროპულმა თანამეგობრობამ რომის ხელშეკრულების საფუძველზე კი გააუქმა შიდა კვოტები, მაგრამ სამაგიეროდ შემოიღო საერთო ევროპული თანამეგობრობის მასშტაბის კვოტები, რაც უცხოელი მწარმოებლებისთვის გაღიზიანების საბაბს წარმოადგენდა.

ამ საკითხზე ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ამავე პერიოდში გამართულ გატტ-ის ურუგვაის რაუნდზეც. მოლაპარაკებები ჩავარდა და დაგეგმილ დრომდე (1990 წლის დეკემბერი) გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული. თუმცა, ძირითადი პრობლემა იყო არ ის, რომ ევროპული თანამეგობრობა საკუთარ ბაზარზე არ უშვებდა გარე მწარმოებლებს, არამედ ის, რომ მან სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე სუბსიდიების მნიშვნელოვან შემცირებაზე განაცხადა უარი.

ერთიანი ბაზრიდან გაძევების შიშით, ევროპული თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (ეთვს - EFTA) ქვეყნებმა ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანებაზე დაიწყეს ფიქრი. წევრობის ეკონომიკური სარგებელი იმდენად დიდი იყო, რომ 1989 წლის ივლისში, საბჭოთა კავშირის მხრიდან ურყოფითი პოზიციის მიუხედავად, ნეიტრალურმა ავსტრიამაც კი შეიტანა გაწევრიანების აპლიკაცია. ვოლვოსა და სხვა ეკონომიკური ინტერესების მიერ გაწევრიანების მოთხოვნით მთავრობაზე მნიშვნელოვანი წნეხის და 1980-იანი წლების ბოლოს საერთაშორისო სისტემაში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, მეორე ნეიტრალურმა ქვეყანა შვედეთმა გაწევრიანების აპლიკაციის შემოტანისგან თავი მაინც შეიკავა.

ევროპული თანამეგობრობა არ იყო გაფართოებით დაინტერესებული მანამ, სანამ პორტუგალიისა და ესპანეთის გაწევრიანებით გამოწვეულ სირთულეებს არ გადალახავდა და სანამ არ დაასრულებდა ერთიანი ბაზრის პროგრამის იმპლემენტაციას. ამიტომ 1989 წელს დელორმა ეთვს-ს ქვეყნებს შესთავაზა ახალი ტიპის ასოციაციის შეთანხმება (ევროპულ თანამეგობრობასა და ეთვს-ს შორის), საერთო გადაწყვეტილების მიღებითა და საერთო ადმინისტრაციული ინსტიტუტებით. ეს წინადადება ცნობილი გახდა, როგორც ევროპული ეკონომიკური სივრცე (ეეს - *European Economic Area*). როგორც კომისიის წარმომადგენლები მოგვიანებით აცხადებდნენ, ამ საკითხზე მოლაპარაკებები მათთვის ერთ-ერთი ყველაზე რთული და კომპლექსური აღმოჩნდა. მხოლოდ შიდა ბაზრის თემაზე, ეთვს-ის ქვეყნებს თანამეგობრობის დაახლოებით 1400 აქტის იმპლემენტაცია მოუწევდათ. პრობლემური საკითხები იყო, ასევე, თანამეგობრობის სატვირთო მანქანების ავსტრიასა და შვეიცარიაზე ტრანზიტი, თანამეგობრობის თევზსაჭერი გემების ისლანდიურ და ნორვეგიულ წყლებში შესვლა და სხვა. ეეს-ის პირველადი ვარიანტის მიხედვით, წარმოშობილი დავების მოგვარება მოხდებოდა ევროპული თანამეგობრობისა და ეთვს-ის მოსამართლეთა პანელის მიხედვით. სწორედ

ეს უკანასკნელი გახდა მიზეზი იმისა, რომ მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ დაბლოკა ეეს-ის საწყისი ვარიანტი. ამის გამო მოლაპარაკებები კვლავ განახლდა. ეეს-ის საბოლოო ვარიანტში ამ სირთულის გადალახვის შემდეგ 1992 წელს მიღწეულ იქნა ყველასათვის მისაღები შეთანხმება.

თუმცა, ამ დროისთვის და ამ ფორმით ეეს-მ დაკარგა საწყისი მიზანი - რომ ეთვს-ის ქვეყნებს მიეღოთ ერთიანი ბაზრის უპირატესობები და სარგებელი თანამეგობრობაში გაწევრიანების გარეშე. ეთვს-ის უმრავლესი წევრისთვის იგი უკვე აღარ წარმოადგენდა ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანების წონად ალტერნატივას. ამასთან, ცივი ომი დასრულებული იყო, საბჭოთა კავშირიც აღარ არსებობდა და ნეიტრალურობის არგუმენტმა დაკარგა თავისი სიძლიერე. თანაც, თუნდაც ირლანდიის მაგალითზე, ნათელი იყო, რომ ევროპულ თანამეგობრობაში საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარება თავსებადი იყო ნეიტრალურობის არგუმენტთან. ამიტომ 1991-1992 წლებში ეთვს-ის თითქმის ყველა ქვეყანამ მეტი ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით თანამეგობრობაში გაწევრიანების აპლიკაციები გააააქტიურა.

სოლიდარობა ერთიანობისა (COHESION) და სოციალური პოლიტიკის მეშვეობით

თავისი წარსულიდან გამომდინარე, დელორი აქტიურად უჭერდა მხარს სოლიდარობის იდეას, ანუ იმას, რომ ერთიანი ბაზრის პროგრამის სიკეთე განაწილებულიყო მდიდარ და ღარიბ წევრ ქვეყნებსა და საზოგადოების ყველა ფენას შორის. იგი ცდილობდა, ერთიან ევროპულ აქტში შეტანილიყო ერთიანობისა (ანუ მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის ეკონომიკური განსხვავებების შემცირების) და ძლიერი სოციალური პოლიტიკის მუხლები. შემდეგი ნაბიჯი კი იქნებოდა სტრუქტურული ფონდებისთვის (რის საშუალებითაც მოხდებოდა ერთიანობის პოლიტიკის იმპლემენტაცია) ფული გამოყოფა და სოციალური

პოლიტიკის პროგრამის შემუშავება. თუმცა, ევროპულ თანამეგობრობაში ფულის ხსენებაც კი საფრთხილო იყო. დამატებითი ფინანსების გამოყოფის კატეგორიული წინააღმდეგი განსაკუთრებით ტეტჩერი იყო. იდეოლოგიურად, მისთვის მიუღებელი იყო ერთიანობის და სოციალური პოლიტიკები, რადგან მას მიაჩნდა, რომ ეკონომიკა და საზოგადოება უნდა დაერეგულირებინა არა სახელმწიფოს ან ევროპულ კავშირს, არამედ მხოლოდ ბაზარს. ევროპული გაერთიანების ზოგიერთი სხვა ლიდერი პრინციპში დადებითად იყო განწყობილი ერთიანობისა და სოციალური პოლიტიკებისადმი, ზოგს სტრუქტურული ფონდებისთვის არ სურდა დამატებითი ფულის გამოყოფა, რამდენიმე ღარიბი ქვეყანა კი აქტიურად უჭერდა მხარს სტრუქტურული ფონდების დაფინანსების გაზრდას. ყველა მათგანი, ერთიანობის პოლიტიკასთან შედარებით, კიდევ უფრო მეტი სიფრთხილით ეკიდებოდა სოციალურ პოლიტიკას. მათ არ სურდათ, გაეწიათ ფინანსები, ერთი მხრივ, დამსაქმებლები იმით, რომ მათთვის სამუშაო ადგილებზე მკაცრ პირობებს დაადგენდნენ და, მეორე მხრივ, დასაქმებულები იმით, რომ მათ ინტერესებს უგულვებელყოფდნენ. ლიდერებს კარგად ესმოდათ, რომ საჭირო იყო ოქროს შუალედის მოძებნა.

ერთიანობა (COHESION)

ერთიანობის ბატალიები 1987 წლის თებერვალში დაიწყო, როდესაც დელორმა საბიუჯეტო წინადადებების პაკეტი წარადგინა. იგი შეიცავდა დაფინანსების მნიშვნელოვან გაზრდას კვლევასა და განვითარებაზე, ტრანსპორტზე, გარემოს დაცვის პოლიტიკაზე და განსაკუთრებით, ერთიანობაზე. მაგალითად, დელორის შემოთავაზებით, სტრუქტურული ფონდების დაფინანსება ორმაგდებოდა და ძირითადი ფოკუსირება მოხდებოდა ევროპული თანამეგობრობის საშუალო შემოსავლის 75%-ს ქვემოთ მყოფ რეგიონებზე (ანუ საბერძნეთზე, ირლანდიაზე, პორტუგალიასა და ესპანეთზე). თანამეგობრობის დამატებითი ხარჯების დაფარვა მოხდებოდა დელორის მიერ შემოთავაზებული

ახალი საბიუჯეტო წყაროდან, რომელიც განისაზღვრებოდა წევრი ქვეყნის GDP-is მიხედვით. ამასთან, ტეტჩერის მხრიდან მოსალოდნელი წინააღმდეგობის გასანეიტრალებლად, დელორმა შემოიტანა წინადადება, შემცირებულიყო საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ხარჯები და დაწესებულიყო უკეთესი საბიუჯეტო დისციპლინა. იმისათვის, რომ თავიდან აცილებულიყო ყოველწლიური საბიუჯეტო ბატალიები, დელორის პაკეტი მოიცავდა ხუთწლიან პერიოდს (1988-1992).

ერთიანობის ბატალიების მთავარი ხაზი გადიოდა ტეტჩერსა და სტრუქტურული ფონდების გაზრდის მომხრეებს შორის. ამ უკანასკნელთა რიგში შედიოდნენ (განსაკუთრებით) დელორი და ესპანეთის პრემიერ-მინისტრი ფილიპე გონსალესი. ამავე დროს, ესპანეთი იყო იმ ოთხ სახელმწიფოთა არაოფიციალური ლიდერი, რომლებიც ყველაზე მეტად იხეირებდნენ სტრუქტურული ფონდების დაფინანსების გაზრდით (საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და ირლანდია. მათ ხშირად 'ხმელთაშუაზღვისპირეთის კლუბსაც' უწოდებდნენ 'Club Med'). ტეტჩერმა მაშინვე მოიხსენია დელორი, როგორც არარჩეული სოციალისტი მფლანგველი. მან არც არჩეული სოციალისტი გონსალესი მოიხსენია დადებითად. ტეტჩერი დარწმუნებული იყო, რომ გრძელვადიან პერიოდში, ამაყი და უძველესი ქვეყანა ესპანეთი ადვილად გაცვლიდა თავის ეროვნულ თვითიდენტობას გერმანულ სუბსიდიებზე.

რაც შეეხება გერმანიას, მის პოზიციაზეა იყო დამოკიდებული ერთიანობის პოლიტიკის ბედი, ვინაიდან სწორედ გერმანია იყო ევროპული თანამეგობრობის ბიუჯეტში ყველაზე მეტი ფინანსების შემტანი. სწორედ ამიტომ დელორის პაკეტის მოლაპარაკებებში საციცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა კოლის გადაწყვეტილებას. კოლი პრინციპში უჭერდა მხარს ერთიანობის პოლიტიკას, თუმცა, პრაქტიკულად არ სურდა ბიუჯეტის გაზრდა. მას არც ის სურდა, რომ სოფლის მეურნეობის სუბსიდიებზე თანამეგობრობის დაფინანსების შემცირებით გერმანელი ფერმერები გაეღიზიანებინა.

1987 წლის სამიტები, სადაც ძირითადი თემა სწორედ სტრუქტურული ფონდებისთვის დაფინანსება გაზრდა-არგაზრდა იყო, ძალიან წააგავდა 1980-იანი წლების დასაწყისში გამართულ ევროპული საბჭოს შეხვედრებს - ერთი მხრივ, ტეტჩერი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ხარჯების გაზრდის და ამავე დროს გამწარებით იცავდა ბრიტანეთისთვის ანაზღაურების საკითხს, მეორე მხრივ კი, სხვა ლიდერები მოუწოდებდნენ მას, რომ მიეღო დელორის წინადადებები.

1988 წლის პირველ ნახევარში ეს არასასიამოვნო და დაუმთავრებელი საქმე გერმანიის თავმჯდომარეობამ გადაიბარა. კოლი დილემის წინაშე იდგა: როგორც გერმანიის კანცლერს, მას სურდა გერმანელი ფერმერები სუბსიდიების შემცირებისგან, გერმანელი გადასახადის გადამხდელები კი თანამეგობრობის ბიუჯეტში გერმანიის მეტი შენატანისგან დაეცვა; როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა კი, კოლს სურდა, რომ ერთხელ და საბოლოოდ გადაეჭრა ეს მზარდი და ფეთქებადი პრობლემა, რომელიც გერმანიის კიდევ ერთ ინტერესს - ერთიანი ბაზრის პროგრამის იმპლემენტაციას - უშლიდა ხელს. 1988 წლის თებერვლის ბრიუსელის სპეციალურ სამიტზე კოლი დათმობაზე წავიდა - იგი ბიუჯეტის გაზრდას დათანხმდა. სანაცვლოდ, ტეტჩერმა უკან წაიღო თავისი დაჟინებული მოთხოვნა, შემცირებულიყო ხორბლის მაღალი გარანტირებული ფასები. ბრიტანეთისთვის ანაზღაურების სქემა, რომელიც 1984 წლის ფონტენბლოს სამიტზე იქნა მიღებული, ძალაში დარჩა. გერმანელი ფერმერებისთვის კი კვლავ გაგრძელდა დიდი რაოდენობით სუბსიდირება. შეთანხმების მიხედვით 1992 წლისთვის გაორმაგდებოდა სტრუქტურული ფონდების დაფინანსება. თავმჯდომარე ქვეყანა გერმანიამ კი საბიუჯეტო დავის მოგვარებისთვის დიდი პატივისცემა და აღიარება დაიმსახურა. თუმცა, მთავარი გამარჯვებული მაინც ევროპული თანამეგობრობა აღმოჩნდა: ერთიანობა (*cohesion*) ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი გახდა, დელორის პაკეტზე შეთანხმებით კი '1992'-ის გზაზე ყველა სერიოზული დაბრკოლება მოიხსნა.

დელორის პაკეტზე შეთანხმების შემდეგ, მინისტრთა საბჭომ 1988 წლის ივნისსა და დეკემბერში დაამტკიცა რეგულაციები, რის მიხედვითაც განხორციელდა ევროპული თანამეგობრობის სტრუქტურული ფონდების რეფორმირება. აღნიშნული რეფორმა გულისხმობდა სტრუქტურული ფონდების განაწილებას ხუთი მთავარი მიზნის ქვეშ. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიზანი 1, რომელიც ფარავდა იმ რეგიონებს, რომელთა განვითარებაც მკვეთრად ჩამორჩებოდა ევროპული თანამეგობრობის საერთო განვითარებას. ეს იყო ხმელთაშუაზღვისპირეთის კლუბის დაფინანსების მთავარი წყარო. მასში ყველაზე მეტი ფინანსები იყო თავმოყრილი. ამავე რეფორმებით დამკვიდრდა პარტნიორობის პრინციპი, რისი საშუალებითაც სტრუქტურული პოლიტიკის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესში კომისიამ ჩართო არა მხოლოდ ეროვნული მთავრობები, არამედ რეგიონებიც. ამით მოხდა წევრი ქვეყნების რეგიონების მეტი დაინტერესება ევროპული ინტეგრაციით და ბრიუსელთან ურთიერთობებში მათი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, მოხდა ისე, რომ კომისია და რეგიონები გახდნენ პარტნიორები იმ პოლიტიკურ პროცესში, რომელიც ძირს უთხრიდა ეროვნული მთავრობების ძალაუფლებას და რომელსაც გრავიტაციის ცენტრი ეროვნული დედაქალაქებიდან გადაჰქონდა ზევით ევროპულ და ქვევით რეგიონების დონეებზე.

სოციალური პოლიტიკა

თავისი პრეზიდენტობის დასაწყისიდანვე, დელორმა გამოხატა თავისი დაინტერესება სოციალური პოლიტიკისადმი, განსაკურებით კი, ქალთა და მუშათა უფლებებისა და სამუშაო პირობებისადმი. მისი, როგორც კომისიის პრეზიდენტის ერთ-ერთი პირველი მოქმედება იყო ევროპულ დონეზე 'სოციალურ პარტნიორებს' (დამსაქმებელთა და დასაქმებულთა) შორის დიალოგის დაწყება. დელორი ფიქრობდა, რომ დიდ ბიზნესს ჰქონდა საკმარისი საშუალებები, რესურსები და კავშირები იმისათვის, რომ დაეცვათ საკუთარი ინტერესები და მოთხოვნები. ამიტომ

დელორმა მთავარი ყურადღება მცირე და საშუალო ბიზნესზე გადაიტანა, რომელთაც, მისი აზრით, შეზღუდული რესურსების გამო ერთიანი ბაზრის პროგრამიდან შეიძლება ვერ მიეღოთ სარგებელი. ამან, რა თქმა უნდა, დიდი ბიზნესის შეშფოთება გამოიწვია და კომისიისადმი ეჭვით განაწყო.

დელორისა და მემარცხენე მთავრობების გულის გასახარად, ერთიანმა ევროპულმა აქტმა კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის პროცედურის დაფარვის ქვეშ მოაქცია 'მუშათა ჯანმრთელობა და უსაფრთხოებაც'. სწორედ ამ მუხლის ქვეშ განხორციელდა ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სოციალური პოლიტიკის კანონმდებლობის მიღება 1980-იანი წლების ბოლოს. ეს პერიოდი ევროკავშირის ისტორიაში სოციალური პოლიტიკისთვის ყველაზე აქტიური აღმოჩნდა. გარდა ამისა, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონმდებლობაზე კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის გავრცელებამ საშუალება მისცა კომისიას, ცხოვრებაში გაეტარებინა სოციალური პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტებიც. წევრი ქვეყნები მხარს უჭერდნენ დელორის სურვილს, რომ 'პროექტი 1992'-ის ფართო სოციალური მიმართულება მთლიანად მოეცვა კომისიას. მხოლოდ ტეტჩერი იყო კატეგორიული წინააღმდეგი. ამის მიუხედავად, 1988 წლის ივნისის ჰანოვერის სამიტზე ევროპულმა საბჭომ განაცხადა, რომ იმისათვის, რომ ერთიანი ბაზარი ყოფილიყო ყველასთვის სარგებლის მომტანი, საჭირო იყო სამუშაო პირობებისა და ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, პროფესიული მომზადების ხელმისაწვდომობა, და ინდუსტრიის ორივე მხარეს (დამსაქმებელსა და დასაქმებულს) შორის დიალოგის წარმოება.

1988 წლის ბოლოს დელორმა შეადგინა ძირითადი სოციალური უფლებების ქარტია და სთხოვა მანამდე თითქმის უსაქმურ ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტს (რომელიც ევროპული თანამეგობრობის ეკონომიკურ და სოციალურ აქტორებს წარმოადგენს), დაეფიქსირებინა მისი პოზიცია. კომიტეტში წარმოდგენილი დამსაქმებელთა წარმომადგენლების წინააღმდეგობის მიუხედავად, კომიტეტმა თავის ანგარიშში მხარი დაუჭირა დელორის ინიციატივას. თუმცა, დელორისთვის მთავარი

მხარდაჭერა მაინც საფრანგეთიდან მოდიოდა, სადაც სოციალისტი მიტერანისთვის ასეთი ინიციატივა მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელი იყო. ყველაფერთან ერთად, მისთვის ეს ინიციატივა მემარცხენე ამომრჩევლების გულის მოგებას ნიშნავდა. ამიტომ 1989 წლის მეორე ნახევარში მინისტრთა საბჭოს საფრანგეთის თავმჯდომარეობისას მიტერანმა სოციალური პოლიტიკა თავისი დღის წესრიგის ზედა ნაწილში აიტანა. საფრანგეთის მხრიდან ზურგგამაგრებულმა დელორმა მალევე მოამზადა თანამეგობრობის მუშათა ფუნდამენტური სოციალური უფლებების ქარტიის პროექტი, რომელსაც თან დაურთო 50 ინსტრუმენტამდე მოცულობის სამოქმედო გეგმა (მათი დაახლოებით ნახევარი ევროპულ დონეზე კანონმდებლობის მიღებას საჭიროებდა). 1989 წლის დეკემბრის სტრასბურგის სამიტზე, მიტერანის მხრიდან აქტიური ლობირების წყალობით, თორმეტი წევრი ქვეყნიდან თერთმეტმა მხარი დაუჭირა სოციალურ ქარტიას. მხოლოდ ტეტჩერი იყო წინააღმდეგი.

ერთიანობის პოლიტიკის მსგავსად, სოციალური პოლიტიკაც ბრიტანეთსა და დანარჩენ წევრ ქვეყნებს შორის დაპირისპირების საგანი გახდა. თუმცა, თუ ბრიტანეთმა საბოლოო ჯამში მიიღო ერთიანობის პოლიტიკა, სოციალური პოლიტიკის შემთხვევაში ბოლომდე წინააღმდეგი დარჩა. ამის რამდენიმე მიზეზი შეიძლება დასახელდეს. პირველი ის, რომ ერთიანობის პოლიტიკის დაბლოკვით შეიძლება საფრთხე შექმნოდა 'პროგრამა 1992'-ის იმპელემტაციას, ვინაიდან ხმელთაშუაზღვისპირეთის კლუბის წევრებს და მათ მხარდამჭერებს შეიძლება დაებლოკათ ერთიანი ბაზრის ინსტრუმენტების მიღების პროცესი. და მეორე, სტრუქტურული ფონდების დაფინანსების გაზრდით თავად ბრიტანეთიც იხეირებდა, ვინაიდან რეფორმირებული სტრუქტურული ფონდების მიზანი 2-ის მიხედვით, მოხდებოდა ეკონომიკური მოდერნიზაცია და ადაპტაცია ისეთი რეგიონების, სადაც ერთიანი ბაზრის შექმნის გამო დაიხურა ინდუსტრიული ობიექტები. ამის საპირისპიროდ კი, ერთი მხრივ, სოციალური პოლიტიკა ბრიტანეთისთვის არ იყო პირდაპირი სარგებლის მომტანი და, მეორე მხრივ, სოციალური პოლიტიკისადმი ბრიტანეთის წინააღმდეგობა ერთიანი ბაზრის პროგრამას არ უქმნიდა საფრთხეს.

თავი 7

1990-იანი წლები: ევროპული ინტეგრაციის „ოქროს ეპოქა“

ეკონომიკური და მონეტარული კავშირი

ერთიანი ბაზრის პროგრამის წარმატებამ და ევროპული მონეტარული სისტემის (ემს) ფუნქციონირებამ ეკონომიკური და მონეტარული კავშირის იდეა 1987-1988 წლებში კვლავ ყურადღების ქვეშ მოაქცია. ემს-ის გაცვლითი კურსის მექანიზმმა ეკონომიკური ერთიანობისა და გაცვლითი კურსის სტაბილურობის მაღალ ხარისხს შეუწყო ხელი. გაცვლითი კურსის მექანიზმში ერთობლივმა მონაწილეობამ წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირზე თანამშრომლობის სურვილიც გააჩინა. 10 წლის წინ ქვეყნებს შორის უნდობლობის გამო ეს სრულიად შეუძლებელი იყო.

ამის მიუხედავად, ევროპულ მონეტარულ სისტემაში მაინც იყო პრობლემები, რის გამოც მის რეფორმირებაზე და მისი ეკონომიკური და მონეტარული კავშირით ჩანაცვლებაზე დაიწყეს საუბრები. გერმანული მარკა ამ სისტემის დე-ფაქტო ლიდერი ვალუტა იყო. სხვა ცენტრალური ბანკები კი გერმანული ცენტრალური ბანკის ანტიინფლაციურ პოლიტიკას მიჰყვებოდნენ. რა თქმა უნდა, ბევრს სისტემის ეს ასიმეტრია არ ხიბლავდა, მაგრამ იმდენად დომინანტური პოზიცია ეკავა გერმანულ მარკას, რომ იძულებულები იყვნენ, გერმანიის გადაწყვეტილებებს დამორჩილებოდნენ. 1987 წელს დოლარის მასიური გაუფასურების შემდეგ მნიშვნელოვანი წნეხის ქვეშ მოექცა ფრანგული ფრანკი. გაცვლითი კურსის მექანიზმში ინტერვენციის მკაცრი წესები საფრანგეთის მთავრობას სასურველი ლავირების საშუალებას არ აძლევდა. ამიტომ საფრანგეთის მხრიდან სისტემის კრიტიკამაც იმატა. საფრანგეთს სურდა, მომხდარიყო მონეტარული პოლიტიკების უკეთესი კოორდინაცია და გაცვლითი კურსის მექანიზმში ჩარევის, ინტერვენციის უფრო მეტი შესაძლებლობების

შექმნა. 1987 წლის სექტემბერში ამასთან დაკავშირებით მიღწეულ იქნა ბაზელ-ნაიბორგის ხელშეკრულება, რის მიხედვითაც გაძლიერდებოდა ევროპული მონეტარული სისტემა, განსაკუთრებით, მონეტარული აქტივობების მონიტორინგით, საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკების უფრო მჭიდრო კოორდინაციითა და ინტერვენციის შედარებით რბილი წესების მიღებით. შეთანხმების შემდეგ განახლებულმა ევროპულმა მონეტარულმა სისტემამ შეძლო უკეთესად ეპასუხა საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე არსებული გამოწვევებისთვის, მაგრამ ძალაში დატოვა გერმანიის ვალუტის ჰეგემონიით გამოწვეული ასიმეტრია.

საბაზრო ინტეგრაციის პროცესმა, ევროპულ მონეტარულ სისტემაში ასიმეტრიის ზრდამ და გაცვლითი კურსის მექანიზმზე კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებისგან მოსალოდნელმა გავლენამ უბიძგა საფრანგეთის ფინანსთა მინისტრს ედუარდ ბალადურს 1988 წლის იანვრის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების საბჭოსთვის ჩამოეყალიბებინა მემორანდუმის პროექტი სახელწოდებით „ევროპის მონეტარული მშენებლობა“. მემორანდუმში იგი ასკვნიდა, რომ ევროპას სჭირდებოდა ერთიანი ვალუტა და ერთიანი ცენტრალური ბანკი. ერთი თვის შემდეგ მსგავსი მემორანდუმი გამოაქვეყნა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს-დიტრიჰ გენშერმა. გენშერი მხარს უჭერდა ერთიანი ვალუტისა და ერთიანი ცენტრალური ბანკის იდეას, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აგებული იქნებოდა გერმანიის ცენტრალური ბანკის მოდელზე.

დელორმა, რომელიც აქამდე ერთიანი ბაზრის პროგრამით იყო დაკავებული და წევრი ქვეყნების მხრიდან გაღიზიანების თავიდან ასაცილებლად დიდი აქტიურობით არ გამოირჩეოდა ამ მიმართულებით, ამჯერად უკვე მნიშვნელოვანი ყურადღება მიაპყრო ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირს. ვინაიდან კომისიაში მას ებარა ეკონომიკური და მონეტარული ურთიერთობების პორტფელი, იგი თავად ესწრებოდა მონეტარული პოლიტიკის შემქმნელი მთავარი ორგანოს - ცენტრალური ბანკის მმართველთა კომიტეტის ყოველთვიურ შეხვედრებს ბაზელში. იგი განსაკუთრებით გერმანიის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის

კარლ-ოტო პოლის გულის მოგებას ცდილობდა, რომელიც კომიტეტის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წევრი და ეკონომიკური და მონეტარული კავშირის სავარაუდო ოპონენტი იყო.

დელორი მონაწილეობდა ხოლმე ასევე ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების საბჭოსა (ეკოფინი) და გენერალური ურთიერთობების საბჭოს შეხვედრებზე. თუმცა, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ევროპული საბჭოს სხდომები არა მხოლოდ ემკ-ის პოლიტიკური სენსიტიურობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ერთიანი ევროპული აქტის მიხედვით, ეკონომიკური და მონეტარული კავშირის დაფუძნებისთვის საჭირო რაიმე აქტივობაზე გადაწყვეტილება მოითხოვდა ინტერგავერნმენტალისტურ კონფერენციას. ამ პროცესში კი უკანასკნელი და ყველაზე გავლენიანი სიტყვა სწორედ ევროპულ საბჭოს ეთქმოდა.

დელორს ჰქონდა იმის უპირატესობა და შესაძლებლობა, რომ მიეღო მონაწილეობა ევროპულ საბჭოში, თუმცა, არ გააჩნდა ისეთი წონა, როგორც, მაგალითად, დიდი ქვეყნის ლიდერებს. ეკონომიკური და მონეტარული კავშირის საკითხებზე მთავარი აქტორები მაინც მიტერანი და კოლი იყვნენ. 1983 წლის ეკონომიკური პრობლემების შემდეგ, მიტერანისთვის მჭიდრო ევროპული ინტეგრაცია მთელი მისი დარჩენილი პოლიტიკური კარიერის ლაითმოტივი გახდა. იგი აქტიურად უჭერდა მხარს ევროპულ და მონეტარულ კავშირს და 1980-იანი წლების შუა პერიოდში კოლიც ჩართო ამ აქტიურობაში.

თუმცა, მიტერანისგან განსხვავებით, კოლი მაინც ფრთხილობდა. გერმანული ცენტრალური ბანკის წარმომადგენლები არ ენდობოდნენ პოლიტიკოსებსა და საფრანგეთისა და იტალიის მონეტარული პოლიტიკის ორგანოებს და არ სურდათ ევროპულ მონეტარულ სისტემაში დომინანტური პოზიციის დაკარგვა. გერმანელები დიდ პატივს სცემდნენ დამოუკიდებელ გერმანულ ცენტრალურ ბანკს, რომელსაც მონეტარული პოლიტიკის მართვის უნაკლო წარსული ჰქონდა. ამიტომ კოლი ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირზე გერმანიის ცენტრალურ ბანკს ვერ და არ დაუპირისპირდებოდა მანამდე მაინც, სანამ ვითარება და გერმანელების მოსაზრება ემკ-ის იდეის მიმართ არ შეიცვლებოდა.

ვითარების ცვლილება 1980-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო. გარდა იმისა, რომ ერთიანი ბაზრის პროგრამის იმპლემენტაციამ ემკ-სადმი მოსახლეობის დაინტერესება გაზარდა, საბჭოთა კავშირში მიხეილ გორბაჩოვმა ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები განახორციელა. 1986 წლის ივლისში კოლის მოსკოვში ვიზიტმა კიდევ უფრო გააძლიერა მიტერანის რწმენა, რომ საჭირო იყო გერმანიის ევროპასთან უფრო მჭიდროდ დაკავშირება. კოლი კარგად აცნობიერებდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე ცვლილებების მნიშვნელობას და ამავე დროს, საფრანგეთის შეშფოთებასაც უწევდა ანგარიშს. ამიტომ, ყველაფერთან ერთად, გერმანიის მხრიდან ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის მხარდაჭერა უფრო ღრმა ევროპული ინტეგრაციისადმი სწრაფვისა და გერმანიის მშვიდობიანი მიზნების ნათელი გამოხატულება იქნებოდა.

დელორის კომიტეტი და ანგარიში

1988 წლის ივნისის ჰანოვერის სამიტამდე კოლმა და დელორმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც კოლი ევროპულ საბჭოს შესთავაზებდა კომიტეტის შექმნას. კომიტეტი დაკომპლექტდებოდა ძირითადად ცენტრალური ბანკის მმართველებისგან და მას უხელმძღვანელებდა დელორი. კომიტეტის მთავარი მიზანი იქნებოდა ემკ-ის მიღწევის გზებისა და ალტერნატივების შესწავლა და წარმოდგენა. ევროპულმა საბჭომ მიიღო კოლის შემოთავაზება, რითაც დაფუძნდა დელორის კომიტეტი. მისი წევრები იყვნენ 12 ცენტრალური ბანკის მმართველი, ორი კომისარი (მათ შორის, დელორი) და სამი დამოუკიდებელი ექსპერტი.

ამავე ჰანოვერის სამიტზე დელორი კომისიის პრეზიდენტად ხელმეორედ დანიშნეს. ერთი შეხედვით ყველაფერი კარგად იყო, გასაკვირი იყო მხოლოდ ტეტჩერის მხარდაჭერა. ტეტჩერმა მოგვიანებით თავის მემუარებში აღნიშნა, რომ დელორის დანიშნვა გარდაუვალი პროცესი იყო და თანაც ვერ წარმოედგინა, თუ იგი ასეთი ევროფედერალისტი აღმოჩნდებოდა. თუმცა,

ეს შეფასება სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს. 1980-იანი წლების დასაწყისში ტეტჩერს ევროპულ საბჭოს სამიტებზე გაცილებით მძიმე წნეხისთვის გაუძლია, ვიდრე ეს დელორის კომისიის პრეზიდენტად დანიშვნა შეიძლებოდა ყოფილიყო. ისიც ნაკლებ წარმოსადგენია, რომ ტეტჩერმა არ იცოდა დელორის იდეოლოგიის შესახებ. უბრალოდ, ამ პროცესისთვის წინააღმდეგობის გაწევას დიდი გამბედაობა სჭირდებოდა, სულ მცირე მხოლოდ იმიტომ, რომ დელორს მიტერანისა და კოლის მხარდაჭერა ჰქონდა. ასევე გასაკვირი იყო ის, რომ ტეტჩერმა კომიტეტის ხელმძღვანელად დელორის კანდიდატურას დაუჭირა მხარი. ალბათ, მას იმის იმედი ჰქონდა, რომ კომიტეტის წევრი გერმანიის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი და ეროვნული მონეტარული პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერი პოლი კომიტეტში ემკ-ის წინააღმდეგ გამოვიდოდა.

დელორის კომიტეტი ბაზელში იკრიბებოდა ხოლმე, ცენტრალური ბანკის მმართველთა კომიტეტის რეგულარული შეხვედრების შემდეგ. 1989 წლის აპრილში კი კომიტეტმა თავისი ანგარიში წარმოადგინა. დელორი მოწოდებული იყო იმისკენ, რომ ყველა მონაწილეს მიეღო ამ პროცესში მონაწილეობა და რომ საბოლოო ჯამში მიეღოთ ისეთი ანგარიში, რომელსაც ყველა ერთსულოვნად, დამატებითი დათმობებისა და თავშეკავებების გარეშე დაუჭერდა მხარს. ამ მხრივ იგი წარმატებული აღმოჩნდა. დელორის წარმატება განპირობებული იყო იმით, რომ მას მომლაპარაკებლისა და მედიატორისთვის დამახასიათებელი ძალიან ძლიერი უნარები გააჩნდა.

დელორის კომიტეტმა ეკონომიკური კავშირის ოთხი ძირითადი ელემენტი წარმოადგინა: ერთიანი ბაზარი, კონკურენციის პოლიტიკა და ბაზრის გამაძლიერებელი სხვა მექანიზმები, ერთიანობა (*cohesion*), და მაკროეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია. მან მონეტარული კავშირი განმარტა, როგორც „ვალუტების სრული და შეუქცევადი კონვერტაბელურობა; კაპიტალის ტრანზაქციების სრული ლიბერალიზაცია და საბანკო და სხვა საფინანსო ბაზრების სრული ინტეგრაცია; ვალუტის ცვლილე-

ბის მარჟების გაუქმება და გაცვლითი კურსის პირობების შეუქცევადად, საბოლოოდ დადგენა“.

რაც შეეხება მონეტარულ კავშირს, მისი შექმნა მოითხოვდა ერთიანი მონეტარული პოლიტიკის გატარებასაც, თუმცა, არ იყო აუცილებლად საჭირო ერთიანი ვალუტა. ერთიანი მონეტარული პოლიტიკის მართვისთვის დელორის კომიტეტმა წარმოადგინა ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის იდეა, რომლის წევრებიც იქნებოდნენ ევროკავშირის პასუხისმგებელი ცენტრალური ინსტიტუტი (მოგვიანებით, ევროპული ცენტრალური ბანკის სახით) და შესაბამისი ეროვნული ცენტრალური ბანკები. მონაწილე ცენტრალური ბანკები იქნებოდნენ დამოუკიდებლები და მათი მთავარი მიზანი იქნებოდა ფასების სტაბილურობის შენარჩუნება. ეს უკანსაკნელი ცალსახად ასახავდა გერმანული ცენტრალური ბანკის მოთხოვნას და, ზოგადად, გერმანელი პოლიტიკოსებისა და გერმანელი ხალხის გულის მოსაგებად იქნა მიღებული.

დელორის ანგარიში ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მისაღწევად საჭირო სამ ეტაპიანი მიდგომის შეთავაზებით გახდა ყველაზე ცნობილი. პირველ ეტაპზე მოხდებოდა კაპიტალის მოძრაობის სრული ლიბერალიზაცია და წევრებს შორის მაკროეკონომიკური პოლიტიკის უფრო მჭიდრო კოორდინაცია. მეორე ეტაპზე დაარსდებოდა ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემა და გაცვლითი კურსის მექანიზმში მოხდებოდა ვალუტის ცვლილების მარჟების მუდმივი შემცირება. და ბოლოს, მესამე ეტაპზე, დადგინდებოდა გაცვლითი კურსის მუდმივი, არაცვლადი, ფიქსირებული პირობები და ეკონომიკურ და მონეტარულ პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა ეროვნული ინსტიტუტებიდან გადაეცემოდა ევროპული თანამეგობრობის ინსტიტუტებს.

ყველაფრის მიუხედავად, დელორი მაინც უკმაყოფილო იყო კომიტეტის ანგარიშით. მან ინანა, რომ ერთიანი ვალუტის მხარდასაჭერად მეტი არ იაქტიურა და რომ ანგარიშში არ იყო აღნიშნული ის ვადები ან ავტომატური მექანიზმები, რომლითაც უნდა მომხდარიყო ერთი ეტაპიდან მომდევნო ეტაპზე გადასვლა. თუმცა, ანგარიშში მიეთითა, რომ ეკონომიკური და მონე-

ტარული კავშირის შექმნა ერთიან პროცესად უნდა მომხდარიყო და რომ პირველი ეტაპის დაწყებაზე გადაწყვეტილება ავტომატურად ნიშნავდა პროცესის ბოლომდე მიყვანის პირობას. ანგარიში იძლეოდა რეკომენდაციასაც, რომ პირველი ეტაპი (რომელიც ხელშეკრულებებში ცვლილებებს არ მოითხოვდა) დაწყებულიყო არაუგვიანეს 1990 წლის ივლისში, როდესაც ერთიანი ბაზრის პროგრამის ფარგლებში კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზება იგეგმებოდა.

დელორის ანგარიშს ეროვნული ლიდერებისგან განსხვავებული რეაქციები მოჰყვა. ტეტჩერი გაოცებული იყო იმით, რომ ინგლისის ბანკის მმართველმა ხელი მოაწერა ანგარიშს. ტეტჩერს გერმანიის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა პოლმაც გაუცრუა იმედები. განხეთქილებამ იჩინა თავი ტეტჩერის კაბინეტის შიგნითაც. ფინანსთა მინისტრი ნიგელ ლოუსონი მხარს უჭერდა გაცვლითი კურსის მექანიზმში ბრიტანეთის გაწევრიანებას. ვინაიდან იგი ეწინააღმდეგებოდა ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირს, მას მიაჩნდა, რომ ბრიტანეთი სასწრაფოდ უნდა გამხდარიყო გაცვლითი კურსის მექანიზმის წევრი და ამ ფორმით, შიგნიდან უკეთესი პირობებით გაეწია წინააღმდეგობა ემკ-ის დაფუძნებისთვის. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეფრი ჰოვიც ეწინააღმდეგებოდა ემკ-ს, მაგრამ ევროპული თანამეგობრობისადმი ბრიტანეთის პოლიტიკაში მეტი პოზიტივის შეტანის მომხრე იყო. თანამეგობრობის საკითხებზე კრიტიკულად განწყობილი ტეტჩერისთვის მიუღებელი იყო ჰოვისა და ლოუსონის პოზიციები, რის გამოც მათ შორის დაპირისპირება გაღრმავდა. ამგვარმა პოლიტიკურმა დაყოფამ ემკ-სადმი ბრიტანეთის წინააღმდეგობის გაწევის ხარისხი და ეფექტურობა მკვეთრად შეამცირა. ამან შეიწირა ასევე ლოუსონისა და ჰოვის და, საბოლოო ჯამში, ტეტჩერის თანამდებობებიც.

დელორის ანგარიში სხვა დედაქალაქებში პოზიტიურად მიიღეს. შედეგის თვალსაზრისით ანგარიშისა და ემკ-ს ბედისთვის გადამწყვეტი იქნებოდა შემდეგი, 1989 წლის ივნისის მადრიდის ევროპული საბჭოს სამიტი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა ესპანეთმა ისარგებლა ამ პროცესებით და ევროპულ დონეზე პრესტიჟის მოპოვების მიზნითა და ერთიანობის პოლიტიკისგან დამატებითი ფინანსების მოლოდინით აქტიურად დაუჭირა მხარი ემკ-ს. ესპანეთის პრემიერ-მინისტრი გონსალესი და მიტერანი პოლიტიკური პარტნიორები იყვნენ. ესპანეთის თავმჯდომარეობას შემდეგი ქვეყანა საფრანგეთი გადაიბარებდა, ამიტომ მიტერანი და გონსალესი ემკ-ზე თავიანთი პოზიციების მჭიდრო კოორდინაციას ახდენდნენ. მას შემდეგ რაც გერმანიის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა პოლმა ხელი მოაწერა დელორის ანგარიშს და რაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სტრატეგიული ცვლილებების განხორციელება დაიწყო, კოლმაც უფრო თამამად დაუჭირა მხარი ემკ-ს.

მადრიდის ევროპულ საბჭოზე მოხდა შეთანხმება, რომ მიაღწევდნენ ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირს ისე, როგორც ეს ერთიან ევროპულ აქტში იყო მოცემული და რომ მის მისაღწევად დელორის ანგარიშს გამოიყენებდნენ. გადაწყდა, რომ პირველი ეტაპი დაიწყებოდა 1990 წლის ივლისში, რომელსაც მოჰყვებოდა ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია და სწორედ აქ გადაწყდებოდა შემდეგი ეტაპების დაწყების დრო და პირობები. ტეტჩერი გაცოფებული იყო. ერთადერთი, რაც ლიდერებმა ტეტჩერს დაუთმეს, ამ კონფერენციის სადილისთვის დროის არდანიშვნა იყო. უფრო მეტიც, საკუთარი ფინანსთა და საგარეო საქმეთა მინისტრებისგან ზეწოლის შემდეგ, მადრიდის სამიტზე ტეტჩერმა გაცვლითი კურსის მექანიზმში ბრიტანეთის მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა.

მიტერანმა მადრიდის სამიტის მუხტი საფრანგეთის თავმჯდომარეობის დროსაც შეინარჩუნა. ამასთან, მნიშვნელო-

ვანი ცვლილებები განხორციელდა საერთაშორისო არენაზე. აღმოსავლეთ გერმანიაში ანტი-კომუნისტური დემონსტრაციები ძლიერდებოდა. მისი წინამორბედებისგან განსხვავებით კი გორბაჩოვმა 1989 წლის ნოემბერში დემონსტრანტებს ნება მისცა, დაენგრიათ ბერლინის კედელი. გერმანიის გაერთიანების აშკარა პერსპექტივამ გეოპოლიტიკური სიტუაცია ევროპაში ერთ ღამეში შეცვალა. ერთიანი გერმანიის პოტენციური სიძლიერით შეშფოთებული მიტერანი კიდევ უფრო მეტად რწმუნდებოდა იმაში, რომ საჭირო იყო ემკ-ს სწრაფი მიღწევით გერმანიის ევროპულ თანამეგობრობაში მეტი ჩართულობა და მასზე დამოკიდებულების გაზრდა. სწორედ ეს მესიჯი გაუგზავნა მან კოლსა და სხვა ლიდერებს პარიზის საგანგებო სამიტზე, რომელიც ბერლინის კედლის დამხობიდან ორი კვირის შემდეგ შედგა.

კოლი არ აპირებდა გერმანიის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საგარეო პოლიტიკის შეცვლას, მაგრამ მიტერანის მიერ გერმანიის პრობლემისადმი განსაკუთრებული სიფრთხილის გამო, პარიზსა და ბონს შორის ურთიერთობები მაინც დაიძაბა. კოლმა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან გერმანიის გაერთიანება და ევროპული ინტეგრაცია. 1989 წლის დეკემბრის სტრასბურგის სამიტზე აღინიშნა, რომ გერმანიის გაერთიანება უნდა მომხდარიყო მშვიდობიანად და დემოკრატიულად, შესაბამისი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დაცვით, ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში. სტრასბურგის სამიტზე ასევე გადაწყდა, რომ ემკ-ზე ინტერგაევერნმენტალისტური კონფერენცია ჩატარდებოდა 1990 წელს და მას ამავე წლის ოქტომბერში მოჰყვებოდა გერმანიის არჩევნები.

საფრანგეთის მსგავსად, კომისიამაც შეინარჩუნა ეკონომიკური და მონეტარული კავშირისკენ ბიძგები, რაც 1990 წელს სხვადასხვა აქტივობებში გამოიხატა. მათ შორის აღსანიშნავია ემკ-ის სარგებელისა და დანახარჯების (ანუ მოგება-წაგების, პლიუს-მინუსების, დადებითი-უარყოფითის) შესახებ ანალიზში, სახელწოდებით „ერთი ბაზარი, ერთი ფული“.

1990 წლის ივნისის დუბლინის სამიტზე ევროპული საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ 1990 წლის დეკემბერში რომში და-

იწყებდნენ ორ ინტერგავერნმენტალისტურ კონფერენციას: ერთს ეკონომიკური და მონეტარული კავშირის და მეორეს პოლიტიკური კავშირის მოლაპარაკების მიზნით. ამ კონფერენციების დაწყებამდე ორი თვით ადრე კი გადაწყვიტეს, რომ ემკ-ის მეორე ეტაპი 1994 წლის იანვარში დაიწყებოდა. მხოლოდ ტეტჩერი ეწინააღმდეგებოდა ამ შეთავაზებას. მიუხედავად იმისა, რომ მან გაცვლითი კურსის მექანიზმში სტერლინგის გაწევრიანების პირობა დადო, იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ემკ-ის დამატებით მოთხოვნებს. რომში ტეტჩერის ობსტრუქციონიზმმა და მთელი წლის მანძილზე გერმანიის გაერთიანებაზე უარის თქმამ დაასუსტა საკუთარ მთავრობაში მისი პოზიციები. საქმე იქამდე მივიდა, რომ მისი კაბინეტის წევრებმა იგი პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადააყენეს. ასე რომ, იმის ნაცვლად, რომ ტეტჩერს ემკ-ის შექმნის იდეისთვის წერტილი დაესვა, ემკ-მა პირიქით დაასრულა ტეტჩერის პოლიტიკური კარიერა.

ცვალებადი პოლიტიკური ვითარება

1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში ევროპული ინტეგრაციის ცვალებადი პოლიტიკური ვითარების ნათელი გამოხატულებები იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მშვიდობიანი რევოლუციები, გერმანიის გაერთიანება და საბჭოთა კავშირის დაშლა. ამასთან, ერთიანი ბაზრის პროგრამის იმპლემენტაციასა და ემკ-ის სფეროში ძვრებმა წინა პლანზე წამოწია ევროპული თანამეგობრობის ინსტიტუტების პასუხისმგებლობისა და ლეგიტიმაციის საკითხები. ასევე, მწვავედ იქნა დაყენებული ისეთი თემები, როგორიცაა დემოკრატიული დეფიციტი, ბაზრის ლიბერალიზაცია/ინტეგრაციისა და ემკ-ის გავლენა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებასა და ეროვნულ სუვერენიტეტზე და სხვა.

ტეტჩერის აზრით, თავად დემოკრატია იდგა საფრთხის წინაშე. იგი ეწინააღმდეგებოდა ბრიუსელში ძალაუფლების ცენტრალიზაციის პროცესს. იგი თვლიდა, რომ ევროპულ დონეზე მიმ-

დინარეობდა გადაჭარბებული რერეგულაცია, მაშინ, როდესაც ეროვნულ დონეზე გაცილებით მცირე მასშტაბის დერეგულაციას ჰქონდა ადგილი. ამ ყველაფრის თავი და თავი, მისი რწმენით, იყო კომისია და მისი დანიშნული და თითქმის არავისთან პასუხისმგებელი კომისართა კოლეგია. ტეტჩერისთვის დელორი ბრიუსელთან დაკავშირებულ ყველაფერ ცუდს განასახიერებდა.

შიდა პრობლემების მიუხედავად, დელორის კომისია ევროპული თანამეგობრობის გადაწყვეტილების მიღების პროცესის განუყოფელ და უმნიშვნელოვანეს ნაწილად აღიქმებოდა. მართლაც, დელორის პირველი კომისია (1985-1989) ევროკავშირის ისტორიის განმავლობაში ყველაზე წარმატებულ კომისიად ითვლება. ამ პერიოდში ევროპული საბჭოს სხდომებზე დელორი ეროვნულ ლიდერებზე მეტი გავლენითაც კი სარგებლობდა. თავად დელორი კომისიას ევროპული ინტეგრაციის მოტორად მოიხსენიებდა.

1988 წლის ივლისში დელორმა განაცხადა, რომ 10 წლის შემდეგ ევროპული თანამეგობრობის ეკონომიკური აქტივობის (და შესაძლებელია, ფისკალური და სოციალური კანონმდებლობის) 80% თანამეგობრობის მიერ იქნებოდა დადგენილი. ეს უკვე მეტისმეტი აღმოჩნდა ტეტჩერისთვის, რომელმაც ბრიუგეში, ევროპულ კოლეჯში გამოსვლისას მკაცრად გააკრიტიკა დელორი და კომისია. ამას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა ბრიტანეთში. ტეტჩერის გამოსვლა მალამოსავით იყო ევროსკეპტიკოსებისთვის. თუმცა, ტეტჩერის კონსერვატიულ პარტიაში თანდათან გამწვავდა დაპირისპირება ექსტრემისტ ევროფობებსა და ტრადიციულ ევროფილებს შორის. ლეიბორისტულმა პარტიამაც კი, რომელიც აქამდე თანამეგობრობიდან ბრიტანეთის გამოყვანის მომხრე იყო, შეიცვალა თავისი პოზიცია. ტეტჩერისადმი წინააღმდეგობისა და დელორის სოციალური პოლიტიკის დღის წესრიგისადმი პოზიტიური პოზიციის გამოხატულების ნიშნად, მათ მხარი დაუჭირეს ევროპულ ინტეგრაციას.

ორივეს (ტეტჩერსაც და დელორსაც) სჯეროდათ, რომ ისტორია მათ მხარეს იყო. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში განვითარებული მოვლენები მათ თავისებურად აღიქვეს.

ტეტჩერისთვის კომუნიზმისა და საბჭოთა სისტემის დანგრევა დასავლეთ ევროპული სოციალიზმის გაბანკროტებისა და ბრიუსელში ძალაუფლების ცენტრალიზაციის არაეფექტურობის სიმბოლო იყო. დელორი კი თვლიდა, რომ ეს პროცესები ევროპული ინტეგრაციისა და სუპრანაციონალური ინსტიტუტების კონსოლიდაციის მნიშვნელობაზე მიანიშნებდნენ. 1989 წლის ივნისის ევროპულ საბჭოზე ტეტჩერიც და დელორიც მიესალმნენ განვითარებულ ცვლილებებს. დელორი განსაკუთრებით ბედნიერი იყო იმით, რომ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანების ინტერესი გამოხატეს. მართლაც, თუ ევროპული თანამეგობრობა საბჭოთა კავშირს ჰგავდა, მაშინ რატომ მოინდომებდნენ მასში გაწევრიანებას ახლად მოპოვებული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მქონე ქვეყნები? ამის მიუხედავად, ტეტჩერი სულ უფრო ხშირად ადარებდა ერთმანეთს ევროპულ თანამეგობრობასა და საბჭოთა კავშირს. ევროპული თანამეგობრობის გაფართოება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართულებით ტეტჩერისთვის „სასარგებლო“ იქნებოდა იმიტომ, რომ ამას შეიძლება ევროპული თანამეგობრობა პოლიტიკურად დაესუსტებინა და ეკონომიკური და მონეტარული კავშირის შექმნის პროცესი მნიშვნელოვნად შეეფერხებინა.

განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ ტეტჩერსა და დელორს გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებითაც. ტეტჩერი ეწინააღმდეგებოდა აღმოსავლეთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაერთიანების ხარჯზე ევროპული თანამეგობრობის დე-ფაქტო გაფართოებას. დელორი კი ამის აქტიური მხარდამჭერი იყო. მიტერანი თავიდან ყოყმანობდა, თუმცა, როდესაც გერმანიის გაერთიანება შეუჩერებელი პროცესი გახდა, მანაც მხარი დაუჭირა მიმდინარე პროცესს. აშშ-ის მხარდაჭერით ზურგგამაგრებულმა კოლმა ისარგებლა გორბაჩოვის რბილი პოლიტიკითა და ბერლინის კედლის დანგრევით და გამოიყენა ეს შესაძლებლობა გერმანიის გასაერთიანებლად მანამ, სანამ საბჭოთა კავშირში შესაძლო ამბოხება ამ შესაძლებლობას მოსპობდა. აღმოსავლეთ გერმანიაში ქრისტიან-დემოკრატების

გამარჯვება კოლისთვის ფაქტობრივად გაერთიანების მანდატს წარმოადგენდა. მან 1990 წლის ივლისში საერთო-გერმანული მონეტარული კავშირი ჩამოაყალიბა, რასაც სამი თვის შემდეგ გერმანიის გაერთიანება მოჰყვა.

გაერთიანებული და უფრო დიდი გერმანიის ყოფნა დამოუკიდებელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საზღვრებთან ევროპული თანამეგობრობის მახასიათებლების შეცვლის მომასწავებელი იყო. გერმანია შესაძლოა გამხდარიყო საერთო-ევროპული ვაჭრობის ცენტრი. სტრატეგიულად, ევროპული თანამეგობრობის სიმძიმის ცენტრი შესაძლოა გადაწეულიყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, საფრანგეთიდან გერმანიისკენ.

ამ პროცესებმა წევრ ქვეყნებში ინსტიტუციური და პოლიტიკის რეფორმებისადმი ინტერესი გააღვივა. 1989 წლის ოქტომბერში ბრიუგეში, ევროპის კოლეჯში საუბრისას დელორმა ერთმანეთთან დააკავშირა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და ევროპული თანამეგობრობის შიგნით რეფორმების საჭიროება. თანამეგობრობის წინაშე არსებული ეკონომიკური და სტრატეგიული გამოწვევების გადასალახად, დელორმა განავითარა პოლიტიკური კავშირის იდეა. მისი აზრით, საჭირო იყო ევროპული თანამეგობრობის კომპეტენციის, მის მიერ დაფარვადი სფეროების გაზრდა, მათ შორის, საგარეო და უსაფრთხოების საკითხების, უფრო ეფექტური გადაწყვეტილების მიღების და მეტი სუბსიდიარობის მიმართულებით. ევროპული თანამეგობრობისთვის ლეგიტიმაციის გაზრდის მიზნით, დელორმა ასევე მოითხოვა პარლამენტისთვის ძალაუფლების გაზრდა.

1990 წლის დასაწყისში დელორმა და სხვა ლიდერებმა აქტიურად მოითხოვეს ევროპული თანამეგობრობის ინსტიტუციური და პოლიტიკის მიმართულებების რეფორმა. 1990 წლის მარტში ბელგიამ პირველმა შეიტანა პოლიტიკური კავშირის ოფიციალური წინადადება. მხოლოდ ბრიტანეთი და დანია შეეწინააღმდეგნენ პოლიტიკურ კავშირზე ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის დაწყებას.

ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მსგავსად, პოლიტიკური კავშირისთვის მთავარი ბიძგი ისევ საფრანგეთისა და

გერმანიისგან წამოვიდა. 1990 წლის მარტში აღმოსავლეთ გერმანიის არჩევნების შემდეგ, მიტერანისთვის ნათელი იყო, რომ გერმანიის გაერთიანება გარდაუვალ პროცესს წარმოადგენდა. თანამეგობრობასთან გერმანიის უფრო მჭიდროდ დასაკავშირებლად, მიტერანმა პოლიტიკურ კავშირზე ფრანგულ-გერმანული ინიციატივა წარმოადგინა. მიტერანმა და კოლმა მოითხოვეს ევროპული საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელზე ამ თემასთან დაკავშირებით ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის დაწყების შესაძლებლობა იქნებოდა განხილული. კოლმა და მიტერანმა არ წარმოადგინეს პოლიტიკური კავშირის განმარტება, თუმცა, ახსენეს მისი ოთხი ელემენტი: მეტი დემოკრატიული ლეგიტიმაცია, უფრო ეფექტური გადაწყვეტილების მიღება, თანმიმდევრული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, და საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება.

1990 წლის აპრილში დუბლინში ევროპულმა საბჭომ წარმოადგინა მეორე ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის იდეა, მაგრამ ტეტჩერის გამო, ზუსტი თარიღი არ დაასახელა. 1990 წლის ივნისში დუბლინის სამიტზე ევროპულმა საბჭომ კვლავ განიხილა ეს საკითხი. სამიტზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ 1990 წლის დეკემბერში რომში დაიწყებოდა ორი ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია, ერთი ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირზე და ერთი პოლიტიკურ კავშირზე.

მაასტრიხტის ხელშეკრულება

1990 წლის დეკემბერში წევრმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ორი ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია ემკ-სა და პოლიტიკურ კავშირზე. კონფერენციები ერთი წლის შემდეგ დასრულდა მაასტრიხტის სამიტზე იმ შედეგით, რომ მოხდებოდა არა მხოლოდ არსებული ხელშეკრულებების გადახედვა, არამედ ასევე ევროკავშირის ახალი ხელშეკრულების მიღება. კონფერენციის დაწყებისას ყველა თანხმდებოდა ემკ-ის განმარტებაზე. პოლიტიკური კავშირის ცნება კი ბუნდოვანი იყო, არავინ

იცოდა ზუსტად რას ნიშნავდა იგი. ერთი რამ, რაც იცოდნენ იყო ის, რომ პოლიტიკური კავშირი არ ნიშნავდა უნიტარულ პოლიტიკურ სისტემას ანუ ევროპის შეერთებულ შტატებს.

1990-1991 წლების ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციები ერთიან ევროპულ აქტზე 1985-1986 წლის ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის მსგავსად მიმდინარეობდა. ქვედა რეგულარულ სამუშაო დონეზე საგარეო საქმეთა მინისტრების წარმომადგენლები (როგორც წესი, ბრიუსელში წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლების სახით) განიხილავდნენ პოლიტიკურ კავშირს, ეროვნული ცენტრალური ბანკებისა და ფინანსთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები კი ეკონომიკური და მონეტარული კავშირის საკითხებზე მუშაობდნენ. მოლაპარაკებების შემდეგი დონე იყო საგარეო და ფინანსთა მინისტრები, რომლებიც საბჭოს შესაბამისი კონფიგურაციების ფორმატებში აფასებდნენ მიმდინარე პროგრესს და ერთმანეთთან ათანხმებდნენ პოლიტიკურად უფრო სენსიტიურ საკითხებს. და ბოლოს, ევროპული საბჭოს სხდომებზე წევრი სახელმწიფოების ლიდერები ყველაზე რთულ და მოწყვლად თემებზე მართავდნენ მოლაპარაკებებს.

თავიდან იმედოვნებდნენ, რომ კონფერენციები 1991 წლის ივნისის ლუქსემბურგის სამიტისთვის დასრულდებოდა. თუმცა, ისინი დამატებით კიდევ 6 თვე, დეკემბრის მაასტრიხტის სამიტამდე გაგრძელდა. ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციების გახსნა 1990 წლის დეკემბერში რომში შედგა, თუმცა, ძირითადი სამუშაო ლუქსემბურგისა და ნიდერლანდების თავმჯდომარეობისას განხორციელდა. მომლაპარაკებლების უმრავლესობა ერთიანი ევროპული აქტის ინტერგავერნმენტალისტურ კონფერენციაშიც იღებდა მონაწილეობას. კომისია ამჯერადაც იყო მასში წარმოდგენილი, თუმცა, მას კვლავ არ შეეძლო საბოლოო გადაწყვეტილების დაბლოკვა.

მსგავსებებთან ერთად, 1990-1991 წლების ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციები ეეა-ს კონფერენციისგან პროცედურულადაც განსხვავდებოდნენ. თუ ერთიანი ევროპული აქტის ბაზისი დუჯის კომიტეტმა, ემკ-ისა კი დელორის კომი-

ტეტმა მოამზადა, პოლიტიკური კავშირისთვის არავითარი მოსამზადებელი კომიტეტი არ შექმნილა. სწორედ ამან გამოიწვია კონფერენციის დასაწყისში მცირე დაბნეულობა პოლიტიკური კავშირის რაობასა და მოლაპარაკებების ზუსტ დღის წესრიგთან დაკავშირებით. შესაძლოა, ეს მოლაპარაკებების დაგეგმილზე მეტ ხანს გაგრძელების მიზეზიც ყოფილიყო.

ეკონომიკური და მონეტარული კავშირი

გერმანული ცენტრალური ბანკის გავლენით გერმანელი მომლაპარაკებლები მოითხოვდნენ, რომ ევროპულ დონეზე მონეტარულ პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა აელო ერთიან, დამოუკიდებელ ინსტიტუტს, რომელსაც ექნებოდა ფასების სტაბილურობის შენარჩუნების მკაფიო საკანონმდებლო მანდატი. ანუ ევროპული ცენტრალური ბანკი (ეცბ) უნდა ყოფილიყო გერმანული ცენტრალური ბანკის ევროპული მოდელი. ასევე, ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ ემკ-ის მომავალ წევრებს შორის ეკონომიკური ერთიანობის (*economic convergence*) მნიშვნელობაზეც, თუნდაც ეს მომხდარიყო ისე, რომ ემკ-ის მესამე ეტაპზე ყველა ქვეყანას ვერ შეძლებოდა მასში მონაწილეობა. 1991 წელს, მეორე ვადის დასრულებამდე დიდი ხნით ადრე, ბრიუსელში დელორთან და ბონში კოლთან კინკლაობით დაღლილმა გერმანიის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა პოლმა თანამდებობა დატოვა.

ახალი პრეზიდენტი ჰანს ტიეტმეიერი წინამორბედის მსგავსად აგრესიულად იცავდა გერმანიის ცენტრალური ბანკის ინტერესებს. იგი გერმანიის მთავრობას აფრთხილებდა იმაზე, რომ სხვა ევროპულ ქვეყნებს არ ჰქონდათ ინფლაციის ისტორიული შიში და რომ შემოთავაზებული ეცბ შეიძლება არ ყოფილიყო პოლიტიკური კონტროლისგან ისეთი დამოუკიდებელი, როგორც გერმანიის ცენტრალური ბანკი იყო. გერმანიის მოსახლეობა მხოლოდ მაშინ გააქტიურდა, რაც გაზეთმა *Bild*-მა საკუთარ წინა ფურცელზე გამოაქვეყნა წარწერა „გერმანული მარკის დასასრული“ (*The End of the D-Mark*).

საფრანგეთს ემკ-თან დაკავშირებით განსხვავებული ინსტიტუციური ინტერესები ჰქონდა. საფრანგეთს ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ტრადიცია არ ჰქონდა, ამიტომ მას სურდა, რომ ეცბ გარკვეული პოლიტიკური კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა. თუმცა, ამის შეუძლებლობაში ის კონფერენციის დაწყებამდეც დარწმუნდა. ამიტომ, როგორც ემკ-ზე ვაჭრობის ნაწილი, იგი დათანხმდა, რომ საკუთარი ცენტრალური ბანკი დამოუკიდებელი გაეხადა. გარდა ამისა, საფრანგეთი მოითხოვდა, რომ ეცბ ემკ-ის მეორე ეტაპის დასაწყისში დაარსებულიყო. ფრანგების აზრით, ფუნქციონირებადი ეცბ და ერთიანი ვალუტის შემოტანის მკაცრი წესები წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ერთიანობას შეუწყობდა ხელს. თუმცა, გერმანია ამასაც ეწინააღმდეგებოდა. გერმანელებს ეშინოდათ, რომ ვინაიდან მესამე ეტაპის დაწყებამდე ეცბ თავის მთავარ ფუნქციებს ვერ შეასრულებდა, მისი ადრეულ ეტაპზე დაარსება ბანკის მიზნებსა და პრესტიჟზე ნეგატიურად აისახებოდა.

1991 წლის მაისში თავმჯდომარე ქვეყანა ლუქსემბურგმა წარმოადგინა ემკ-ზე ხელშეკრულების ტექსტის პროექტი. იგი მოიცავდა შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვან მეორე ეტაპსაც, რომლის განმავლობაშიც ცენტრალური ბანკის მმართველთა კომიტეტი ეროვნული მონეტარული პოლიტიკების კოორდინაციას მოახდენდა. პროექტის მიხედვით, ევროპული ცენტრალური ბანკი დაარსდებოდა მესამე ეტაპის დაწყებისას, მეორე ეტაპის დასაწყისში კი დაფუძნდებოდა ეცბ-ის წინამორბედი ევროპული მონეტარული ინსტიტუტი. ამ უკანასკნელის მთავარი მიზანი იქნებოდა წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობის უზრუნველყოფა და მესამე ეტაპის დაწყებისთვის პროცედურულად მომზადება. ლუქსემბურგის პროექტმა ასევე განიხილა კონვერგენციის კრიტერიუმის საკითხიც და შეძლებდა თუ არა რომელიმე ქვეყანა ერთიანი ვალუტის გარეთ დარჩენას.

კონფერენციის განმავლობაში შეთანხმდნენ, რომ მესამე ეტაპის დასაწყებად აუცილებელი იყო კონვერგენციის მაღალი ხარისხის მიღწევა. ამან ლოგიკურად წარმოშვა კითხვები: უნ-

და დაწყებულიყო თუ არა მესამე ეტაპი მანამ, სანამ ყველა ქვეყანა შეასრულებდა კონვერგენციის კრიტერიუმებს? ანუ უნდა შექმნილიყო თუ არა ორ-დონიანი ევროკავშირი? ასევე, უნდა მისცემოდათ თუ არა წევრ ქვეყნებს უფლება, არ მიეღოთ მესამე ეტაპში მონაწილეობა, თუნდაც, უკვე შესრულებული ჰქონოდათ კონვერგენციის კრიტერიუმები? იქიდან გამომდინარე, რომ დადგენილ ვადებში ყველა ქვეყანა ვერ შეასრულებდა კონვერგენციის მკაცრ კრიტერიუმებს, შეთანხმდნენ, რომ მესამე ეტაპი დაიწყებოდა და მასში მონაწილეობას მიიღებდა ის წევრი სახელმწიფო, რომელიც ამ დროისთვის დააკმაყოფილებდა აღნიშნულ კრიტერიუმებს. ეს ნიშნავდა იმას, რომ რამდენიმე სახელმწიფო აუცილებლად აღმოჩნდებოდა მესამე ეტაპის მიღმა. მათ შორის იქნებოდნენ საბერძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი და შესაძლოა, იტალიაც. იმის შიშით, რომ მესამე ეტაპში არ მონაწილეობით შეიძლება მომხდარიყო მათი მარგინალიზაცია, ორმა დიდმა ქვეყანა (იტალიამ და ესპანეთმა) პირველი საბიუჯეტო შეკვეცები განახორციელეს.

1991 წლის მაისში ფინანსთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ ორ-დონიანი სისტემა გარდაუვალი იყო. კონსენსუსი იყო იმ საკითხზეც, რომ თუ რომელიმე ქვეყანა შეძლებდა კონვერგენციის კრიტერიუმების დაკმაყოფილებას, მაგრამ არ სურდა მესამე ეტაპში მონაწილეობა, მას ექნებოდა ამის უფლება. ამასთან, არცერთ ქვეყანას არ ჰქონდა უფლება, მესამე ეტაპზე გადასვლა დაებლოკა. და ბოლოს, არცერთი ქვეყანა არ იქნებოდა იძულებული, მიეღო ერთიანი ვალუტა. სხვა სიტყვებით, ბრიტანეთი და დანია არ დაბლოკავდნენ მესამე ეტაპზე გადასვლის პროცესს, და ამასთან, არც მასში მონაწილეობას აიძულებდა ვინმე. მეიჯორმა, ტეტჩერის შემდეგ ბრიტანეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა, ახალი შემოთავაზებული ხელშეკრულების ამ მუხლის შეფასებისას განაცხადა, რომ „ჩვენ გადავალთ მესამე ეტაპზე თუ გვინდა, როდესაც გვინდა და იმ პირობებით, რომელსაც ჩვენ სწორედ მივიჩნევთ“.

კონფერენციაზე მიღებული ფორმულის მიხედვით, მესამე ეტაპი დაიწყებოდა ან 1997 წლის იანვარში, თუ წევრი ქვეყნების

უმეტესობა დააკმაყოფილებდა კონვერგენციის კრიტერიუმებს ან 1999 წლის იანვარში განურჩევლად იმისა, თუ რამდენს წევრ სახელმწიფოს ექნებოდა ეს კრიტერიუმები შესრულებული. მომლაპარაკებლები, საბოლოო ჯამში, დათანხმდნენ გერმანიის მკაცრ კრიტერიუმებს:

- ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი 1,5%-ზე მეტად არ უნდა აღემატებოდეს ამ მხრივ სამი ყველაზე წარმატებული წევრი ქვეყნის ინფლაციის საშუალო მაჩვენებელს.
- საბიუჯეტო დეფიციტი უნდა იყოს GDP-ის 3%-ზე ნაკლები.
- სახელმწიფოს დავალიანება უნდა იყოს GDP-ის 60%-ზე ნაკლები.
- წლიური ნომინალური გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს ამ მხრივ სამი ყველაზე წარმატებული წევრი ქვეყნის საშუალო განაკვეთს.
- წევრი ქვეყნის ვალუტა სულ მცირე ორი წლის განმავლობაში უნდა ფიქსირდებოდეს გაცვლითი კურსის მექანიზმის ნორმალურ ჩარჩოებში, გაუფასურების გარეშე.

კონფერენციაზე ასევე შეთანხმდნენ, რომ ეცბ-სა და ეროვნული ცენტრალური ბანკებისგან შემდგარი ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემა მესამე ეტაპის დასაწყისში დაარსდებოდა. ეცბ-ის მმართველი საბჭო კი, რომელიც შედგებოდა ეროვნული ცენტრალური ბანკის მმართველებისა და ევროპული საბჭოს მიერ დანიშნული ექვს-წევრიანი აღმასრულებელი ბორდისგან, იქნებოდა უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, და მისი პასუხისმგებლობის სფერო იქნებოდა მონეტარული პოლიტიკა, უცხოური გაცვლითი ოპერაციები, წევრი ქვეყნების ოფიციალური უცხოური რეზერვების მართვა, და გადახდების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. ასევე, გადაწყდა, რომ ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის მთავარი მიზანი, გერმანული ცენტრალური ბანკის მსგავსად, ფასების სტაბილურობის შენარჩუნება იქნებოდა.

ემკ-ზე მოლაპარაკებები მაასტრიხტის სამიტამდე თითქმის დასრულებული იყო. ემკ-თი გერმანიამ ყველაზე მეტი დათ-

მო მარკას, ეროვნულ მონეტარულ პოლიტიკაზე კონტროლისა და ევროპული მონეტარული სისტემის საშუალებით ევროპულ მონეტარულ პოლიტიკაზე დე-ფაქტო კონტროლის სახით, ამიტომ პოლიტიკური კავშირისგან მას მეტის მიღება სურდა. იგი დაინტერესებული იყო მისთვის უკვე კარგად ნაცნობი ფედერალურის მსგავსი სისტემით, სადაც ეროვნულ დონეზე არსებულ საკამათო საკითხებს (თავშესაფრის პოლიტიკა და თავდაცვა) მოაგვარებდა. ასევე, გერმანიას სურდა მეტი ძალაუფლების მქონე პარლამენტი, სადაც დიდი გერმანული კონტიგენტი იქნებოდა წარმოდგენილი. თუმცა, ბრიტანეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო პოლიტიკურ კავშირზე დაძაბული მოლაპარაკებები ჩიხში იყო შესული. ამიტომ კოლმა განაცხადა, რომ მაასტრიხტის სამიტზე იგი დაბლოკავდა ემკ-ს, თუ პოლიტიკურ კავშირზე მისი წარმოდგენით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები არ იქნებოდა მიღებული. მისი ეს საქციელი ნაკლებ სავარაუდო იყო, თუმცა, თავად ფაქტი ნათელი სიგნალი იყო იმისა, რომ კოლი სერიოზულად იყო დაინტერესებული პოლიტიკურ კავშირზე მოლაპარაკებებით.

პოლიტიკური კავშირი

პოლიტიკური კავშირი ფარავდა ინსტიტუციური საკითხებისა და პოლიტიკის სფეროების ფართო სპექტრს. იგი მოიცავდა მინისტრთა საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის გაფართოებას, პარლამენტის როლს, სოციალურ პოლიტიკას, ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკად გარდაქმნასა და კიდევ ბევრ სხვა საკითხს. წევრ სახელმწიფოთა პოზიციებიც შესაბამისად განსხვავებული იყო.

რა ერთეული იქნებოდა ევროკავშირი? თავმჯდომარე ქვეყანა ლუქსემბურგმა ხელშეკრულების პროექტში შეიტანა „ფედერალური მიზანი". თუმცა, 1991 წლის ივნისში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მეიჯორი ამას კატეგორიულად შეეწინააღ-

მდეგა. მეიჯორი კიდევ უფრო გააღიზიანა შემდგომმა თავმჯდომარე ქვეყანა ნიდერლანდებმა, რომელმაც „ფედერალური მიზანი“ „ფედერალური მოწოდებით“ შეცვალა. კონფერენციის მიმდინარეობასთან ერთად, მეიჯორმა მოითხოვა „ფ“-ზე დაწყებული სიტყვის საერთოდ ამოღება. საბოლოო ჯამში, ბრიტანეთის მიერ განხორციელებული სხვა დათმობების სანაცვლოდ, ამოღებულ იქნა სიტყვა „ფედერალური“.

ბრიტანელებს და დანიელებს სურდათ, რომ შემოთავაზებული საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეები ინტერგავერნმენტალისტური გადაწვეტილების მიღების სფერო ყოფილიყო. ამიტომ თავმჯდომარე ქვეყანა ლუქსემბურგმა ევროკავშირის სამ საყრდენიანი (სამ სვეტიანი) სტრუქტურის იდეა წარმოადგინა: რომის ხელშეკრულება (პირველი საყრდენი), საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (მეორე საყრდენი) და მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეები (მესამე საყრდენი). ამის მიუხედავად, ახალმა თავმჯდომარე ქვეყანა ნიდერლანდებმა გადაწყვიტა ლუქსემბურგში მიღწეული სამსაყრდენიანი სისტემა ევროკავშირის უნიტარული სტრუქტურით შეეცვალა. 1991 წლის სექტემბერში მეიჯორი ჰააგაში ჩავიდა და გააფრთხილა ჰოლანდიელები, რომ ლუქსემბურგის ფორმულა არ შეეცვალათ. სხვა ნევრ ქვეყნებსაც უნიტარული სტრუქტურა სურდათ, მაგრამ ბრიტანეთთან ბატალიების მომხრე თითქმის არავინ იყო. ამიტომ სექტემბრის ბოლოს საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომაზე ნიდერლანდების ინიციატივას მხოლოდ ბელგიამ და კომისიამ დაუჭირა მხარი. „შავ ორშაბათს“ ხელშეკრულების პროექტის თითქმის ერთსულოვანი უარყოფა ყველასთვის ნათელი სიგნალი იყო - ევროკავშირის სტრუქტურა არ იქნებოდა უნიტარული და მომავალში მოიცავდა სამ საყრდენს, რომელთაგან პირველი დარჩებოდა სუპრანაციონალიზმის, მეორე და მესამე კი ინტერგავერნმენტალიზმის სფეროდ.

ემკ-თან დაკავშირებულ მუხლებთან ერთად, მაასტრიხტის ხელშეკრულება მოიცავდა რომის ხელშეკრულების რამდენიმე მნიშვნელოვან შეცვლილ მუხლს, რომლებიც ასევე ევროკავშირის პირველი საყრდენის კომპეტენციას განეკუთვნებოდა. ესენი იყო მინისტრთა საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის გაფართოება და პარლამენტის საკანონმდებლო ძალაუფლების მკვეთრი ზრდა. ცვლილებების მთავარ მიზანს გადაწყვეტილების მიღების ეფექტურობისა და ევროპული თანამეგობრობის დემოკრატიული ლეგიტიმაციის ზრდა წარმოადგენდა. წევრმა ქვეყნებმა კარგად იცოდნენ, რომ თანამშრომლობის პროცედურის გზით პარლამენტის საკანონმდებლო ძალაუფლებით აღჭურვის მიუხედავად, ერთიანმა ევროპულმა აქტმა კიდევ უფრო გააღრმავა ე.წ. დემოკრატიული დეფიციტი. ევროპული თანამეგობრობისადმი საჯარო უკმაყოფილებისა და პარლამენტისადმი ენთუზიაზმის ნაკლებობის ნიშნად, 1989 წლის ივნისის პარლამენტის არჩევნებზე წინა ორ არჩევნებთან შედარებით ნაკლები ხალხი მივიდა. ამის მიუხედავად, პარლამენტი და მისი მხარდამჭერები (განსაკუთრებით, ბელგია, გერმანია და იტალია) ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის დროს პარლამენტისთვის საკანონმდებლო ძალაუფლების გაზრდას ლობირებდნენ. პარლამენტისთვის ძალაუფლების გაზრდის წინააღმდეგი იყო რამდენიმე სახელმწიფო, მათ შორის, დიდი ბრიტანეთი (ეროვნული სუვერენიტეტის მიზეზით) და ირლანდია (პარლამენტში მცირე წარმომადგენლობის გამო).

საბოლოოდ, მოლაპარაკებებზე შეთანხმდნენ, რომ პარლამენტი გაძლიერდებოდა, თუმცა, არა იმდენად, რამდენადაც ეს თავად პარლამენტს სურდა. მაასტრიხტის ხელშეკრულებით, კონსულტაციის პროცედურით დაფარვადი საკითხები თანამშრომლობის პროცედურაში (მეორე მოსმენის უფლება) გადავიდა, შიდა ბაზართან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი კი თანამშრომლობიდან - ახლად შექმნილ თანაგადაწყვეტის პროცედურაში (მინისტრთა საბჭოსთან გაზიარებული

საკანონმდებლო ძალაუფლება). შედეგად, თანამშრომლობა ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტიური პროცედურა გახდა, თანაგადაწყვეტისას კანონმდებლობის მიღების პროცესში კი პარლამენტი თითქმის მინისტრთა საბჭოს წონადი ინსტიტუტი გახდა.

ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია პარლამენტისთვის სხვამხრივაც იყო მომგებიანი. მაგალითად, მაასტრიხტის ხელშეკრულებამ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულება თანხმობის პროცედურას დაუქვემდებარა. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტს არ ჰქონდა არანაირი როლი ხელშეკრულების ინტერგავერნმენტალისტურ საყრდენებში, თანხმობის პროცედურის გამოყენებით პარლამენტი მაინც თამაშობდა თავის შეზღუდულ როლს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში. ხელშეკრულებამ ასევე გააფართოვა თანხმობის პროცედურა ისეთ შიდა საკითხებზე, როგორებიცაა პარლამენტის არჩევნების ერთიანი პროცედურების ჩამოყალიბება, ევროკავშირის მოქალაქეობის მუხლების შემუშავება, ცხოვრების უფლებები, და სტრუქტურული ფონდების გამოყენება. ამასთან, მაასტრიხტის ხელშეკრულებამ გააძლიერა პარლამენტის ზედამხედველობის ფუნქცია, მისცა რა მას გამოძიების უფლება, პეტიციის უფლება და ევროპული ომბუდსმენის დანიშვნის უფლება. ხელშეკრულების მიხედვით, წევრი ქვეყნები ვალდებულნი გახდნენ კომისიის ახალი პრეზიდენტის კანდიდატის შერჩევისას კონსულტაციები გაემართათ პარლამენტთან. ამასთან, კომისიის ახალი კოლეგია ვალდებული გახდა, დანიშვნაზე მიეღო პარლამენტის თანხმობა.

საბოლოო ჯამში, პარლამენტმა ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციიდან ყველაზე მეტი მიიღო. ამის საპირისპიროდ, კომისია გადარჩა ფორმალური ძალაუფლების მნიშვნელოვან შეზღუდვას. მოლაპარაკებების დროს რამდენიმე სახელმწიფომ კომისიის წინააღმდეგ გაილაშქრა. მათ სურდათ, კომისია აღარ ყოფილიყო კანონმდებლობის ინიცირების ექსკლუზიური უფლების მქონე, და კვალიფიციური უმრავლესობის გამოყენებით მი-

ნისტრთა საბჭოს ჰქონოდა კომისიის წინადადებების ჩასწორების საშუალება. თუმცა, ამ საკითხზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

მაასტრიხტის ხელშეკრულებაში დარჩა სუბსიდიარობის პრინციპიც, რაც გულისხმობდა იმას, რომ ევროკავშირი უნდა ჩართულიყო იმ საკითხებში, რომელთა მოგვარებაც ყველაზე უკეთ ევროპულ დონეზე შეიძლებოდა, დანარჩენი საკითხები კი ეროვნული დონის კომპეტენციას განეკუთვნებოდა.

ფილიპე გონსალესს სურდა მაასტრიხტის ხელშეკრულებასთან მისი სახელიც ყოფილიყო ასოცირებული, ამიტომ მან ევროკავშირის მოქალაქეობის კონცეფცია წამოწია წინ. სხვა ქვეყნებმა მხარი დაუჭირეს ამ შემოთავაზებას იმ პირობით, თუ იგი ეროვნულ მოქალაქეობას არ შეენინააღმდეგებოდა. ამასთან, ხელშეკრულებამ განმარტა და გააფართოვა თანამეგობრობის კომპეტენცია ისეთ სფეროებში, როგორებიცაა განათლება, კულტურა, გარემოს დაცვა, და მომხმარებელთა დაცვა. ერთიანი ევროპული აქტის ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის მსგავსად, გონსალესი ამჯერადაც მხარს უჭერდა ხელშეკრულებაში ერთიანობის მუხლების შეტანას იმ მიზეზით, რომ ეკონომიკური და მონეტარული კავშირის ჩამოყალიბება საჭიროებდა შედარებით ღარიბი ქვეყნებისთვის დამატებითი ფინანსების გამოყოფას. მან ამჯერადაც წარმატებით დაიცვა თავისი პოზიცია. შედეგად, გადაწყდა, რომ 1993 წლის დეკემბრის ბოლოსთვის დაარსდებოდა ერთიანობის ფონდი, რომელიც დააფინანსებდა გარემოს დაცვით და სატრანსპორტო პროექტებსა და კონვერგენციის მიღწევისთვის საჭირო პროგრამას.

სოციალური პოლიტიკა მაასტრიხტის სამიტის ბოლო მოწყვლადი საკითხი იყო. დელორსა და თერთმეტ ლიდერს სურდა სოციალური პოლიტიკის მუხლების პაკეტი (ე.წ. „სოციალური თავი") ხელშეკრულებაში შეეტანათ. ამით გაფართოვდებოდა კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრა და მეტი როლი ექნებოდათ „სოციალურ პარტნიორებს". თუმცა, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ამის წინააღმდეგი იყო. დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ, ხელშეკრულებიდან ამოიღეს ეს სენსიტიური თავი. სამაგიეროდ, ხელშეკრულებას პროტოკოლის სახით დაე-

მატა აღნიშნული თავი, რამაც საშუალება მისცა დანარჩენ ქვეყნებს, რომ ევროკავშირის ინსტიტუტებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გამოყენებით და ბრიტანეთის მონაწილეობის გარეშე განევითარებინათ სოციალური პოლიტიკა.

მეორე საყრდენი

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა კონფერენციის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი აღმოჩნდა. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკები ეროვნული სუვერენიტეტის განუყოფელი ნაწილი იყო, ამიტომ ქვეყნები არ აპირებდნენ ჭეშმარიტად საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებას, რომ აღარაფერი ვთქვათ საერთო თავდაცვის პოლიტიკაზე. არანაირი ნიშანი არ ჩანდა, რომ ამ სფეროებში ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის მსგავსად ქვეყნები გააზიარებდნენ თავიანთ სუვერენიტეტს. მათ განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ინტერესები, ორიენტაციები და ტრადიციები გააჩნდათ. მაქსიმუმი, რაც შეიძლებოდა მიეღწიათ, იყო კოორდინაციის მაღალი ხარისხი.

მას შემდეგ, რაც ერთიანი ბაზრის პროგრამისა და ეკონომიკური და მონეტარული კავშირისკენ სვლის წყალობით ამაღლდა ევროპული თანამეგობრობის საერთაშორისო პროფილი, გაიზარდა ასევე სხვაობა საგარეო ეკონომიკურ და საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს შორის. ევროპული თანამეგობრობის საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკასა და ტრადიციულ საგარეო პოლიტიკას შორის განსხვავება განსაკუთრებით ნათელი გახდა 1990 წლის აგვისტოში ერაყის მიერ ქუვეითის დაპყრობისას. ევროპულმა თანამეგობრობამ მყისიერად იმოქმედა და ორ დღეში ემბარგო დაადო ერაყიდან და დაპყრობილი ქუვეითიდან იმპორტირებულ ნავთობს. ასევე, ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის ფარგლებში წევრმა ქვეყნებმა ერთობლივად დაგმეს ერაყის ქმედება. თუმცა, ამის იქით მათ ვერ შეძლეს ერთობლივი მოქმედება. 1990 წლის აგვისტოში შესაძლო სამხედრო პასუხის

განხილვის მიზნით საფრანგეთმა მოიწვია დასავლეთ ევროპული კავშირის სხდომა. მაგრამ დასავლეთ ევროპული კავშირი არ მოიცავდა ევროპული თანამეგობრობის ყველა წევრს. აქედან იტალიამ გამოიტანა ლოგიკური დასკვნა, რომ გაერთიანებულიყო დასავლეთ ევროპული კავშირი და ევროპული თანამეგობრობა. 1990 წლის ოქტომბერში რომში ევროპულმა საბჭომ დაასკვნა, რომ საჭირო იყო უსაფრთხოების სფეროში მეტი ინტეგრაცია, თუმცა, ლიდერები ვერ შეთანხმდნენ იმაზე, თუ რა ფორმით, რა შინაარსითა და რა პროცედურებით მოხდებოდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ან დასავლეთ ევროპული კავშირის მომავალ ევროპულ კავშირთან დაკავშირება.

თავდაცვასთან დაკავშირებული ნებისმიერი დისკუსია საბოლოოდ მაინც ნატო-ზე დისკუსიაში იზრდებოდა. საფრანგეთს სურდა ევროკავშირის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება, ბრიტანეთი ამ საკითხზე აშშ-ს შეშფოთებას იზიარებდა, გერმანია კი ინტელექტუალურად საფრანგეთს უჭერდა მხარს, პოლიტიკურად კი ბრიტანეთს. აშშ-მა დაგმო ეს იდეა, რის გამოც კონფერენციის განმავლობაში ეს თემა განხილვის საგანი აღარ იყო. დანიამ, ირლანდიამ და საბერძნეთმა, რომლებიც ევროკავშირის მილიტარიზაციას ეწინააღმდეგებოდნენ, აშშ-ის პოზიციის გამო შვებით ამოისუნთქეს. თუმცა, აშშ-ის ჩარევის გარეშეც, წევრ ქვეყნებს მაინც ძალიან გაუჭირდებოდათ ამ მიმართულებით ცვლილებების განხორციელება.

საბოლოოდ, მაასტრიხტის ხელშეკრულებაში ჩაიწერა, რომ დასავლეთ ევროპული კავშირი იყო ევროკავშირის განვითარების განუყოფელი ნაწილი და რომ ევროკავშირს შეეძლო ეთხოვა დასავლეთ ევროპული კავშირისთვის, დაემუშავებინა და იმპლემენტაცია მოეხდინა ევროკავშირის იმ გადაწყვეტილებების, რომელთაც თავდაცვის ელემენტები გააჩნდა. ამასთან, უფრო მეტად ატლანტიცისტი წევრი ქვეყნები არწმუნებდნენ აშშ-ს, რომ ხელშეკრულებაში არ იყო არაფერი ისეთი, რაც დაასუსტებდა ნატო-ს ან ნატო-ში აშშ-ის როლს. გარდა ამისა, მაასტრიხტის სამიტზე დასავლეთ ევროპული კავშირის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ მათ რიგებში მიეღოთ საბერძნეთი. ეს არ იყო

ევროპული თანამეგობრობის თემა, თუმცა, საბერძნეთს სურდა დასავლეთ ევროპული კავშირის წევრობა იმისთვის, რომ მეტი დისტანცირება მოეხდინა ნატო-ს ახალი წევრი და დასავლეთ ევროპული კავშირის არაწევრი ქვეყანა თურქეთისგან.

როგორც უკვე აღინიშნა, ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის დასაწყისში განვითარებულმა სპარსეთი ყურის კრიზისმა ნათლად აჩვენა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ზღვარი. კონფერენციის ბოლოს კი იუგოსლავიის დაშლა კიდევ ერთი მკაფიო მაგალითი იყო იმისა, რომ რთულ საერთაშორისო საკითხებზე ევროკავშირს უჭირდა ერთიანი პოზიციის შემუშავება. ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებმა გააფრთხილეს გამოყოფის მოსურნე ქვეყნები, რომ ცივი ომის ბოლოს არ გამოსულიყვნენ იუგოსლავიის ფედერაციიდან. როდესაც სლოვენია და ხორვატია მაინც გამოეყვნენ და იუგოსლავიური არმია სლოვენიაში შეიჭრა, ევროპულმა თანამეგობრობამ მხარეებს შორის მედიაციისთვის სასწრაფოდ გააგზავნა მისია. საომარმა მოქმედებებმა 1991 წლის ივნისში, ზუსტად ლუქსემბურგის ევროპული საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას იფეთქა. ევროპული თანამეგობრობის საგარეო საქმეთა მინისტრების ტროიკამ (ყოფილი, მიმდინარე და მომავალი თავმჯდომარეობები) მაშინვე დატოვა ლუქსემბურგი და ბელგრადში ჩავიდა სამშვიდობო მისიით. სლოვენიაში საომარი მოქმედებები მალევე შეწყდა და იუგოსლავიის არმიამ დატოვა ტერიტორია. თუმცა, უფრო სისხლიანი ომი გაჩაღდა ხორვატიაში, სადაც სერბებით დომინირებულმა ფედერალურმა ძალებმა გამოყოფილი რესპუბლიკის უკან დაბრუნება სცადეს. ევროპულ თანამეგობრობას ბრძოლების შეჩერების მხოლოდ შეზღუდული ინსტრუმენტები ჰქონდა, მათ შორის, ეკონომიკური სანქციები და ჯილდოები, დიპლომატიური აღიარება ან მხარეების იზოლაცია. ევროპულ თანამეგობრობას არ შეეძლო სამხედრო ღონისძიებების გატარება, მაგრამ ზოგიერთ სახელმწიფოს ჰქონდა იმის საშუალება, რომ ინდივიდუალურად, გაეროს ეგიდით ან ნატოს ან დასავლეთ ევროპული კავშირის ოპერაციებში მიეღო მონაწილეობა.

1991 წლის სექტემბერში ჰააგაში ევროპული თანამეგობრობის ეგიდით ჩატარდა სამშვიდობო კონფერენცია. თუმცა, ევროპულმა თანამეგობრობამ ვერ შეძლო მხარეებზე საკმარისი ზეწოლის განხორციელება. საქმე გაართულა იმანაც, რომ 1991 წლის შემოდგომაზე გერმანიამ მოითხოვა ხორვატიისა და სლოვენიის დამოუკიდებლობის აღიარება. სხვა ქვეყნები გაღიზიანდნენ საერთაშორისო საკითხებზე გერმანიის ხელახალი დაინტერესებით, თანაც ეშინოდათ, რომ გამოყოფილი რესპუბლიკების დიპლომატიური აღიარება კიდევ უფრო დაძაბავდა სიტუაციას. დეკემბრის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოზე დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდა, რომ ჩამოაყალიბებდნენ იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის დაშლისას წარმოქმნილი ახალი სახელმწიფოების აღიარების კრიტერიუმებს. თუმცა, რამდენიმე წევრმა ქვეყანამ მაინც ვერ გაუძლო გერმანიის ზეწოლას და 1992 წლის იანვარში აღიარა ხორვატია და სლოვენია.

იუგოსლავიაში გართულებული მდგომარეობა და ევროპულ თანამეგობრობაში დიპლომატიური აღიარების დისკუსიები მაასტრიხტის სამიტს დაემთხვა. ძლიერი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის აშკარა საჭიროების მიუხედავად, იუგოსლავიის ფონზე წევრი ქვეყნები მაინც სიფრთხილით ეკიდებოდნენ ამ საკითხს. ამასთან, ხორვატიის დამოუკიდებლობისადმი გერმანიის მხარდაჭერამ გააღვივა 50 წლის წინ ნაცისტური რეჟიმის მიერ ხორვატიელი ფაშისტების მხარდაჭერის მოგონებები, რამაც მნიშვნელოვნად „მოწამლა" მდგომარეობა საფრანგეთში. ამიტომ პოლიტიკურ კავშირზე დასკვნითი მოლაპარაკებებისას ევროპული თანამეგობრობის თავდაცვითი იდენტობის ან სრულყოფილად ფუნქციონირებადი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის ხელსაყრელი გარემო არ ყოფილა.

შესაბამისად, მაასტრიხტის ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას ეხება, საკმაოდ შეკვეცილი იყო. მასში განიმარტა პოლიტიკის მიზნები, ხელშეკრულებამ წევრ მოუწოდა ქვეყნებს „სისტემატიური თანამშრომლობისკენ" და საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში დააფუძნა ევროკავშირის ინსტრუმენტი „ერთიანი

ქმედება“. ხელშეკრულების მიხედვით, ამ ინსტრუმენტის მიღება უნდა მომხდარიყო ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, მისი იმპლემენტაცია კი შესაძლებელი იქნებოდა უმრავლესობით კენჭისყრით. ასეთმა კომპრომისულმა ვარიანტმა ფაქტობრივად ასახა ამ სფეროებში წევრი ქვეყნების მოწყვლადობა, სენსიტიურობა, და მნიშვნელოვნად შეზღუდა ერთიანი ქმედების ეფექტურობა. ახალი მოწყობის ამგვარი არადამაკმაყოფილებელი ბუნების გამო, წევრი ქვეყნები მაასტრიხტში შეთანხმდნენ, რომ ხუთი წლის შემდეგ გამართავდნენ ახალ ინტერგავერნმენტალისტურ კონფერენციას, რომლის დროსაც შეაფასებდნენ და გადახედავდნენ საგარეო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის თანამშრომლობის სფეროში მიღწეულ პროგრესს.

მესამე საყრდენი

ერთიანი ბაზრის პროგრამა ითვალისწინებდა ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას. ამასთან, ცივი ომის დასრულების შემდეგ დასავლეთ ევროპაში შიშობდნენ, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან დაიწყებოდა მიგრანტების მასობრივი შემოდინება. ამიტომ მაასტრიხტის ხელშეკრულების ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის განმავლობაში აქტუალურ საკითხებად იქცა იმიგრაცია, თავშესაფარი და საერთაშორისო კრიმინალის კონტროლი.

წევრი ქვეყნები მაასტრიხტამდეც ცდილობდნენ ამ საკითხების მოგვარებას. მაგალითად, 1970-იან წლებში იუსტიციის მინისტრებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა ჩამოაყალიბეს ‘ტრევის ჯგუფი’, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა ტერორიზმისა და საერთაშორისო კრიმინალის საკითხებზე თანამშრომლობის წახალისება. 1985 წელს საფრანგეთმა, გერმანიამ და ბენილუქსის ქვეყნებმა ხელი მოაწერეს შენგენის შეთანხმებას, რომლითაც გააუქმეს ერთმანეთის საზღვრებზე არსებული სასაზღვრო პუნქტები. იგი ფარავდა ყველაფერს საპოლიციო თანამშრომლობიდან დაწყებული სტუმარი-მუშების (გრძელვადიანი მუშახელი

ევროპულ თანამეგობრობაში, ძირითადად, თურქეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან) უფლებებითა და ფისკალური თაღლითობით დასრულებული. მოგვიანებით მას ყველა წევრი ქვეყანა შეუერთდა, გარდა ბრიტანეთისა (რომელსაც სურდა, რომ საკუთარ საზღვრებზე სრული კონტროლი თავად განეხორციელებინა) და ირლანდიისა (რომელსაც ბრიტანეთთან ჩამოყალიბებული ჰქონდა თავისუფალი მოგზაურობის ზონის რეჟიმი). გარდა ამისა, აღმოსავლეთ ევროპაში იმიგრანტებისა და თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის მკვეთრი მატების გამო, 1986 წელს იუსტიციის მინისტრებმა ჩამოაყალიბეს 'იმიგრაციის საკითხზე მაღალი თანამდებობის პირთა დროებითი ჯგუფი'. დროებითი ჯგუფი ფუნქციონირებდა არაფორმალურ და ინტერგავერნმენტალისტურ ბაზაზე. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა კი იყო 1990 წლის დუბლინის კონვენცია, რომელიც ადგენდა ევროპულ თანამეგობრობაში შემოსული თავშესაფრის აპლიკაციების განხილვის წესებს.

ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ დასავლეთ ევროპა მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დადგა - მოსალოდნელი იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპელების კიდევ უფრო დიდი რაოდენობით შემოდინება. ამიტომ წევრი ქვეყნები მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების ყოვლისმომცველ და ყველა მიმართულებაზე დაფიქრდნენ. პოლიტიკურ კავშირზე ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია მთავრობებისთვის კარგი შესაძლებლობა იყო, იმიგრაციის, თავშესაფრის, პოლიციისა და სასამართლო თანამშრომლობის საკითხები მომავალ ევროკავშირში შეეტანათ. თუმცა, შიდა უსაფრთხოების საკითხებისადმი ქვეყნების სენსიტიურობის გათვალისწინებით, მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეები ცალკე, ინტერგავერნმენტალისტურ საყრდენში მოაქციეს. ამ საყრდენში კომისიის ჩართულობა მინიმალური იყო.

საბოლოო ჯამში, მაასტრიხტის ხელშეკრულების მესამე საყრდენი მოიცავდა საერთო ინტერესის რამდენიმე სფეროს, მათ შორის, თავშესაფარი, იმიგრაცია, თანამეგობრობის გარე საზღვრების კონტროლი, საბაჟო თანამშრომლობა, ნარკოტიკებისა

და თაღლითობის წინააღმდეგ თანამშრომლობა, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხებში სასამართლო თანამშრომლობა, პოლიციური თანამშრომლობა და სხვა. ვინაიდან ეს საკითხები ეკონომიკური ინტეგრაციისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, წევრმა სახელმწიფოებმა ხელშეკრულებაში შეიტანეს მუხლი, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის განვითარების და საჭიროების შესაბამისად, შესაძლებელი იყო ამ საყრდენით დაფარვადი რომელიმე სფეროს გადატანა პირველ, სუპრანაციონალურ საყრდენში. გარდა ამისა, არ მომხდარა მაასტრიხტის ხელშეკრულებაში შენგენის შეთანხმების ინკორპორირება, თუმცა, იგი მაინც მჭიდროდ დარჩა დაკავშირებული მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეები მუხლებთან.

შედეგები

1990-1991 წლების ორი ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის შედეგი იყო მაასტრიხტის ხელშეკრულება. ევროკავშირის უმთავრესი მიზანი ეკონომიკური და მონეტარული კავშირი გახდა. წევრმა სახელმწიფოებმა ვალდებულება აიღეს, ჩამოეყალიბებინათ საერთო მონეტარული პოლიტიკა და ერთიანი ვალუტა, თუმცა, ყველა ქვეყანა არ მონაწილეობდა ამ პროცესში.

ხელშეკრულების ინტერგავერნმენტალისტური საყრდენი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ არ იყო ისეთი რადიკალური ცვლილებების შემცველი, როგორიც იყო ხელშეკრულების პირველი საყრდენი. იგი უფრო საგარეო პოლიტიკების კოორდინაციის სფეროში წევრი ქვეყნების მანამდე არსებული მცდელობების გაგრძელება იყო, ვიდრე რადიკალური ცვლილება ამ მიმართულებით. 'ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობისთვის' სახელის 'საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკით' გადარქმევა უფრო სიმბოლურ ელემენტებს შეიცავდა, ვიდრე რეალურ რადიკალურ ცვლილებებს. ხელშეკრულების მესამე საყრდენიც მეორის მსგავსად უფრო განგრძობადობას განასახიერებდა, ვიდრე ცვლილებას.

მაასტრიხტის ხელშეკრულებამ გააფართოვა თანამეგობრობის კომპეტენცია რამდენიმე ახალ სფეროში, გაზარდა კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრა, გააძლიერა თანამშრომლობის პროცედურა და დააფუძნა თანაგადაწყვეტის პროცედურა, რამაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ევროკავშირზე. გაძლიერდა და გაფართოვდა მმართველობის ევროპული დონე, სადაც მინისტრთა საბჭომ და პარლამენტმა გადამწყვეტი საკანონმდებლო ფუნქციები გაიზიარა. პოლიტიკური მნიშვნელობის შემცირების მიუხედავად, კომისია მაინც ევროკავშირის ძირითად აქტორად დარჩა. დაარსდა რეგიონების კომიტეტი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავდა წევრი ქვეყნების მიერ ევროკავშირის სისტემაში მმართველობის ახალი დონის აღიარებას.

ხელშეკრულებამ ასევე შემოიტანა მნიშვნელოვანი ინოვაცია - დიფერენცირებული ინტეგრაციის ინსტიტუციონალიზაცია. მაგალითად, სოციალურ პოლიტიკაში გამონაკლისი იქნა დაშვებული ბრიტანეთის სახით; ყველა წევრი ვერ მიიღებდა ემკ-ის მესამე ეტაპში მონაწილეობას; ბრიტანეთს საშუალება მიეცა, თუ არ სურდა, საერთოდ არ მიეღო მესამე ეტაპში მონაწილეობა. მაასტრიხტამდე, კრიტიკულად განწყობილ ქვეყნებს არ სურდათ სხვადასხვა ახალი ინიციატივებში ჩართვა. ამიტომ დიფერენცირებული ინტეგრაცია ამ სირთულის დაძლევის საშუალებად განიხილებოდა. მაასტრიხტის ხელშეკრულებამ კი ეს პრინციპი ოფიციალურად აღიარა.

1990-1991 წლების ინტერგავერნმენტალისტურ კონფერენციებს არ ჰყოლია აბსოლუტური გამარჯვებულები ან აბსოლუტური დამარცხებულები. ყველა ქვეყანა გამარჯვებული დარჩა, თუმცა, მათ ვერ მიიღეს ყველაფერი, რაც სურდათ. საფრანგეთი მოხარული იყო ემკ-ით, მაგრამ მისი ბევრი მიმართულება არ მოსწონდა. გერმანიისთვის უკეთესი იქნებოდა პოლიტიკურ კავშირის შესახებ უფრო ძლიერი მუხლები. დანია კმაყოფილი იყო გარემოს დაცვის პოლიტიკაზე ევროკავშირის მეტი ყურადღებით, მაგრამ არ მოსწონდა ის, რომ ხელშეკრულების ბევრი სხვა მუხლი ეროვნულ სუვერენიტეტს ხელყოფდა. ირლანდია ბედნიერი იყო იმით, რომ ერთიანობის ფონდიდან მიიღებდა ფინან-

სებს, მაგრამ წუხდა შიდა პოლიტიკაზე საერთო თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის გავლენაზე. ხელშეკრულების უმეტესი ნაწილის არმოწონების მიუხედავად, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მეიჯორი კმაყოფილი იყო იმით, რომ სოციალური პოლიტიკის მუხლები მხოლოდ სოციალური პროტოკოლის სახით დაემატა ხელშეკრულებას. ასეა თუ ისე, ყველა ლიდერმა მაასტრიხტის ხელშეკრულება ეროვნულ დედაქალაქებში მოსახლეობასთან საკუთარი ქვეყნის გამარჯვებად შეაფასა.

რატიფიკაცია

1992 წლის თებერვალში მაასტრიხტის სამიტზე საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს მაასტრიხტის ხელშეკრულებას, რომელიც რატიფიკაციის დასრულების შემდეგ ძალაში 1993 წლის იანვარში უნდა შესულიყო. ხელშეკრულებამ საზოგადოების გაცილებით მეტი ყურადღება მიიპყრო, ვიდრე ერთიანმა ევროპულმა აქტმა. ბევრი ევროპელი შეშფოთებული იყო იმით, რომ დაკარგავდნენ ეროვნულ ვალუტებს და სანაცვლოდ მიიღებდნენ ევროპულ ვალუტას. ამის მიუხედავად, ეროვნული მთავრობები მაინც დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ რატიფიკაციის პროცესი შეფერხების გარეშე დასრულდებოდა.

მხოლოდ დანია და ირლანდია იყვნენ ვალდებულნი საკუთარი კონსტიტუციების მიხედვით, რომ რატიფიკაციისთვის რეფერენდუმები ჩაეტარებინათ. დანიის რეფერენდუმი 1992 წლის ივნისში დაიგეგმა. ბევრი დამკვირვებელი თვლიდა, რომ შედეგი დადებითი იქნებოდა. თუმცა, ყველასგან გასაკვირად, დანიელებმა უმნიშვნელო სხვაობით (50,7%/49,3%) უარყვეს ხელშეკრულება. შედეგმა შოკის ტალღასავით გადაურა ევროკავშირს. ბევრი მიზეზი იყო იმისა, თუ რატომ თქვეს დანიელებმა უარი. ზოგი უშუალოდ ხელშეკრულებას უკავშირდებოდა, ზოგი საზოგადოდ ევროკავშირს. ზოგი მათგანი რაციონალური იყო, ზოგიც არა. მიზეზებს შორის იყო ემკ-ზე ბუნდოვანი შეშფოთება, ევროკავშირში გაერთიანებული გერმანიის შიში, დანიის გარემოს

დაცვის მაღალი სტანდარტების შემცირება და სხვა. ზოგი ისე გამოთქვამდა უარყოფით დამოკიდებულებას ხელშეკრულების ბუნდოვანების შესახებ, რომ წაკითხულიც არ ჰქონდა მისი ტექსტი. ასეა თუ ისე, 30,000 ხმამ გადაწყვიტა რეფერენდუმის ბედი, მცირე უმრავლესობა მაინც „არა"-ს მხარეს იყო.

რატიფიკაციის გარეშე შეუძლებელი იყო ხელშეკრულების იმპლემენტაცია, ეროვნულ მთავრობებს კი არ სურდათ ხელახალი მოლაპარაკებები. ამიტომ მათ გადაწყვიტეს, რომ დანიელი ამომრჩევლების გულის მოსაგებად დანიას შესთავაზებდნენ სპეციალურ დათმობებს. ზოგადად, თანამეგობრობის ლიდერებმა აღიარეს, რომ დანიელების მიერ ხელშეკრულების უარყოფა ასახვა იყო იმ გავრცელებული საზოგადოებრივი უკმაყოფილებისა, რომელიც ევროპული ინტეგრაციის ინსტიტუტებთან და პროცედურებთან იყო დაკავშირებული. სწორედ ამიტომ დანიური რეფერენდუმის შედეგი ასოცირებული გახდა დემოკრატიულ დეფიციტთან.

ირლანდიის რეფერენდუმი დანიური რეფერენდუმიდან ორი კვირის შემდეგ ჩატარდა. ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა კარგად გამოიყენა სტრუქტურული ფონდებიდან მისაღები დაფინანსების საკითხი და რეფერენდუმამდე გააფრთხილა ამომრჩეველი, რომ უარის შემთხვევაში დაკარგავდნენ მილიარდობით ფუნტს ევროპული თანამეგობრობიდან დახმარების სახით. ირლანდიელებმა მყარად დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია - ხმის მისაცემად მისული 57% მოსახლეობის 69%-მა მხარი დაუჭირა ხელშეკრულებას. ეს იყო იმის ნათელი ნიშანი, რომ ირლანდიის საზოგადოება ევროპული ინტეგრაციის განუხრელი მომხრე იყო.

1992 წლის ივნისის ბოლოს ლისაბონში თანამეგობრობის ლიდერები შეიკრიბნენ იმისთვის, რომ განეხილათ დანიური რეფერენდუმი და მაასტრიხტის ხელშეკრულება. მათ გააორმაგეს მცდელობა იმისთვის, რომ ევროკავშირის ფუნქციონირება გაეხადათ უფრო ღია, უფრო შეღწევადი, უფრო ნათელი და უფრო თანმიმდევრული. თუმცა, ხელშეკრულების მთავარი გამოცდა 1992 წლის სექტემბერში შედგა, როდესაც საფრანგეთმა რეფერენდუმი გამართა. საფრანგეთის პარლამენტს უკვე რატიფი-

ცირებული ჰქონდა ხელშეკრულება, მაგრამ მიტერანმა მაინც გადაწყვიტა საკითხის რეფერენდუმზე გატანა. მიტერანი პოზიტიურ შედეგში დარწმუნებული იყო, ამიტომ სურდა ამ ქმედებით ერთხელ და სამუდამოდ წელში გაეტეხა ფრანგი ევროსკეპტიკოსები. მას ასევე შიდა პოლიტიკური მოტივები ამოძრავებდა (მას ოპოზიციურ კონსერვატიულ პარტიაში ხელშეკრულებაზე არსებული დაპირისპირების გაღრმავება სურდა).

თუმცა, მიტერანი შეცდა. მან სათანადოდ ვერ გათვალა შედეგები - კონსერვატორებთან ერთად მან საკუთარ სოციალისტურ პარტიაშიც გააღრმავა დაპირისპირება და ხელშეკრულების ბედიც სერიოზულად გარისკა. საფრანგეთის მთავრობამ მიიჩნია, რომ მოგება გარანტირებული ჰქონდა და ხელშეკრულების მხარდამჭერი კამპანია აგვისტოს არდადეგებამდე არ დაიწყო. „არა"-ს მხარდამჭერებმა კი ადრეულ ეტაპზევე მოახდინეს მობილიზება. ისინი ეფექტურად იყენებდნენ საზოგადოებაში არსებულ შეშფოთებას გერმანიის გაერთიანების, მონეტარული კავშირისა და ბოსნიაში მიმდინარე მოვლენების (რომლის დროსაც პრობლემის მოგვარებისთვის გადადგმული ევროპული თანამეგობრობის მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა) შესახებ. ამას დაემატა მოსახლეობის მხრიდან პიროვნულად მიტერანისადმი უარყოფითი დამოკიდებულებაც, რაც მისი წარუმატებელი საშინაო პოლიტიკით იყო გამოწვეული.

კამპანიის ბოლო დღეებში ამომრჩეველთა გულის მოსაგებად ორივე მხარე უჩვეულო, სასოწარკვეთილ არგუმენტებს იყენებდა. რეფერენდუმის წინ ფრანგულმა *„Le Monde"*-მა ისიც კი დაწერა, რომ ხელშეკრულების უარყოფა საფრანგეთისა და ევროპისთვის ჰიტლერის შემდეგ ყველაზე დიდი კატასტროფა იქნებოდა. ოპონენტები კი ხელშეკრულებას აფასებდნენ როგორც გერმანიისთვის დანებებას, საფრანგეთის დამოუკიდებლობისა და სიდიადის დაკარგვას. ორივე მხარე აპელირებდა დე გოლის სამართალმემკვიდრეობაზე. თუმცა, როგორც შედეგით გამოჩნდა, მთავრობამ უკეთესად მოახერხა იმის მტკიცება, რომ ხელშეკრულების „არა" იქნებოდა დე გოლის, პომპიდუს, ჟისკარდისა და მიტერანის ერთობლივი საქმის უგულვებელყოფა.

რეფერენდუმზე 70%-იანი აქტივობა დაფიქსირდა. საფრანგეთის საზოგადოებამ 51,05% / 48,95% -ით მხარი დაუჭირა ხელშეკრულების რატიფიკაციას.

დანიისა და საფრანგეთის რეფერენდუმების შედეგებმა ბრიტანეთის ევროსკეპტიკოსები გააძლიერა. ამასთან, 1992 წლის სექტემბერში დიდი ბრიტანეთი სავალუტო კრიზისში აღმოჩნდა, რომლის დროსაც ინგლისის ბანკმა მილიარდობით ფუნტი დაკარგა. მთავრობა იძულებული იყო სტერლინგი ევროპული მონეტარული სისტემის გაცვლითი კურსის მექანიზმიდან გამოეყვანა. საკუთარ პარტიაში მოძლიერებული ევროსკეპტიკოსებისა და მზარდი ანტი-ევროკავშირული პრესით გარემოცულმა მეიჯორმა გადაწყვიტა, რომ 1992 წლის დეკემბერში თემთა პალატისთვის დოკუმენტის რატიფიკაციისთვის გადაცემის ნაცვლად, დალოდებოდა დანიის განმეორებით რეფერენდუმს, რომელიც 1993 წლის მაისისთვის იყო დაგეგმილი.

ამავდროულად, 1992 წლის დეკემბრის ედინბურგის სამიტზე ევროპულმა საბჭომ დანიისთვის დაამტკიცა მაასტრიხტის ხელშეკრულებიდან სპეციალური გამონაკლისები. მათგან მნიშვნელოვანი იყო დანიის არმონაწილეობა ემკ-ის მესამე ეტაპსა და საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილებებში თავდაცვის ელემენტებით.

ამასთან ერთად, ევროპულმა საბჭომ მიიღო რამდენიმე გადაწყვეტილება ტრანსპარენტულობისა და ღიაობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, მინისტრთა საბჭოს შეხვედრების ტელევიზიით გადმოცემა და ოფიციალური კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნება. რატიფიკაციის კრიზისმა და მოგვიანებით ნორდიკული ქვეყნების (რომელთაც ღია მმართველობის ძლიერი ტრადიციები ჰქონდათ) ევროკავშირში გაწევრიანებამ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ევროკავშირზე და აიძულა მისი ლიდერები, არსებითი ნაბიჯები გადაედგათ დემოკრატიული დეფიციტის აღმოსაფხვრელად.

ედინბურგის სამიტის შედეგებით გამხნევებულმა დანიის ახალმა მთავრობამ მოახერხა დანიელთა უმრავლესობის დარწმუნება. განმეორებით რეფერენდუმზე დანიელების 56,8%-მა

მხარი დაუჭირა ხელშეკრულების რატიფიკაციას. 1993 წლის აგვისტოში დანიური რეფერენდუმით გამხნევებულმა მეიჯორმა კი ხელშეკრულება რატიფიკაციისთვის თემთა პალატას გადასცა. ამავდროულად, რატიფიკაციის პროცესი სხვა ქვეყნებში შეუფერხებლად მიმდინარეობდა. გამონაკლისი იყო გერმანია. სასამართლოში შეტანილ იქნა სარჩელი მაასტრიხტის ხელშეკრულების კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, რის გამოც რატიფიკაციის პროცესი სასამართლოს გადაწყვეტილებამდე შეჩერებულ იქნა.

ბრიტანეთის პარლამენტის მიერ რატიფიკაციის წარმატებით დასრულებისა და გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების (რომლის მიხედვითაც მაასტრიხტის ხელშეკრულება თავსებადი იყო გერმანიის კონსტიტუციასთან) შემდეგ, ევროკავშირის მასშტაბით რატიფიკაციის პროცესში მოიხსნა ყველა ბარიერი. მაასტრიხტის ხელშეკრულება ძალაში 1993 წლის ნოემბერში შევიდა. ევროკავშირის ინსტიტუტებმა, მთავრობებმა და სხვა აქტორებმა დაჩქარებულ რეჟიმში დაიწყეს ხელშეკრულების მუხლების პრაქტიკაში განხორციელება. ეკონომიკური და მონეტარული კავშირისკენ სვლა უკვე დაწყებული იყო, განხორციელდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის იმპლემენტაცია, ქვეყნებმა დაიწყეს მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეებზე უფრო მჭიდრო თანამშრომლობა. სიტყვა „ევროპული კავშირი“ მალევე იქნა ატაცებული როგორც შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. თუმცა, რატიფიკაციის კრიზისმა მაინც თავისი დაღი დაასვა ევროკავშირის სრულყოფილ და გამართულ ფუნქციონირებას და სერიოზული პოლიტიკური პრობლემები შექმნა ამ პროცესში.

თავი 8

1990-2000-იანი წლები: „გაფართოებების ეპოქა"

ცივი ომის დასრულებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ევროკავშირის უპრეცენდენტოდ დიდი მასშტაბითა და ფორმით გაფართოების პერსპექტივა. სამი კატეგორიის ქვეყნები შეეცადნენ ევროკავშირში გაწევრიანებას: ნეიტრალური სახელმწიფოები, რომლებიც აღარ იყვნენ შეზღუდულები ცივი ომით (ავსტრია, ფინეთი, მალტა და შვედეთი); არანეიტრალური და ზოგიერთ შემთხვევაში ნატო-ს წევრი ქვეყნებიც, რომლებმაც შეიტანეს ან გააააქტიურეს თავიანთი აპლიკაციები რადიკალურად ცვალებადი საერთაშორისო მდგომარეობის პარალელურად (კვიპროსი, ნორვეგია და თურქეთი); და ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები (ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი და სლოვენია). თითოეული ქვეყანა განსხვავებული იყო დანარჩენისგან, მაგრამ მაინც იყო გარკვეული მსგავსებები იმისთვის, რომ ევროკავშირს მათთან მიმართებაში ჰქონოდა ერთიანი მიდგომა. მაგალითად, ავსტრია და სკანდინავიის ქვეყნები შეიძლება ცალკე ჯგუფად გამოიყოს: ისინი ეკონომიკურად კარგად იყვნენ განვითარებული, პოლიტიკური სტაბილურობით ხასიათდებოდნენ და კარგად იყვნენ გათვითცნობიერებული ევროკავშირის პოლიტიკის მიმართულებებსა და პროცედურებში. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები კიდევ ერთი განსხვავებული ჯგუფი იყო: ეკონომიკურად განუვითარებელი, პოლიტიკურად არასტაბილური და ევროკავშირის პოლიტიკის მიმართულებებისა და პროცედურებისგან შორს მდგარი. განსხვავებული ჯგუფი იყო კვიპროსი და თურქეთიც. ამ ქვეყნებს შორის ნაკლები იყო მსგავსება ეკონომიკურად და პოლიტიკურად, მაგრამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული თურქეთის მიერ ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპაციასთან და საბერძნეთის მიერ კვიპროსის გაწევრიანებისადმი აქტიურ მხარდაჭერასთან. და ბოლოს, მალტა, ხმელთა-

შუაზღვისპირეთის მიკრო სახელმწიფო, ე.წ. ***sui generis*** ანუ უნიკალურ მაგალითს წარმოადგენდა.

ცივი ომის დასრულებისას ევროპული თანამეგობრობა შიდა მოვლენებით იყო დაკავებული, განსაკუთრებით, გერმანიის გაერთიანებით, ეკონომიკური და მონეტარული კავშირითა (ემკ) და ერთიანი ბაზრის დასრულებით. ამიტომ წევრ ქვეყნებსა და კომისიას არ უნდოდა დამატებით თავის შეწუხება გაფართოების პროცესებით. მათი სურვილის მიუხედავად, ავსტრია და სკანდინავიის ქვეყნები უკმაყოფილოები იყვნენ ევროპული ეკონომიკური სივრცის პირობებით, რის გამოც ევროკავშირში გაწევრიანება მოითხოვეს. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსაც ჰქონდათ ევროკავშირში რაც შეიძლება დაჩქარებულად (მათი სურვილით, 1990-იანი წლების ბოლოსთვის) შესვლის სურვილი.

გარდა გაფართოების „არასათანადო დროისა“, ევროპული თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ გაფართოებაზე. საფრანგეთს ევროკავშირში გავლენის დაკარგვის ეშინოდა. წინა გაფართოებებისა და გერმანიის გაერთიანების წყალობით, მისი ტრადიციული როლი ისედაც უკვე საფრთხის წინაშე იდგა. დიდი რაოდენობით ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებით სიმძიმის პოლიტიკური ცენტრი აშკარად და მტკიცედ გადაიწევდა გერმანიის მიმართულებით. ისტორიულად ევროსკეპტიკოსი ბრიტანეთი და დანია მხარს უჭერდნენ გაფართოებას იმ იმედით, რომ ეს პროცესი შეაფერხებდა, გააჭიანურებდა პოლიტიკური კავშირისკენ სვლას. ამასთან, დანიას ფინეთის, ნორვეგიის და შვედეთის გაწევრიანებით სკანდინავიური სოლიდარობის აღდგენის სურვილიც ამოძრავებდა. ევროკავშირის ღარიბი ქვეყნები მოხარული იყვნენ, რომ მომავალი მდიდარი ქვეყნები (ავსტრია, ფინეთი, ნორვეგია და შვედეთი) მნიშვნელოვან ფინანსურ შენატანს განახორციელებდნენ ევროკავშირის ბიუჯეტში, თუმცა, გულზე არ ეხატებოდათ ის, რომ ამ ფინანსების ხელახალი გადანაწილება და გაზიარება მოუხდებო-

დათ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სხვა პოტენციურ ღარიბ წევრ-სახელმწიფოებთან.

საწყისი შეხედულებების მიუხედავად, კომისიამ და წევრმა ქვეყნებმა მალე გააცნობიერეს, რომ გაფართოება გარდაუვალი პროცესი იყო. ცივი ომის დასრულების შემდეგ, ევროკავშირს აღარ შეეძლო საკუთარი თავის მხოლოდ დასავლეთ ევროპით შემოსაზღვრა. სხვა ევროპულ ქვეყნებსაც ჰქონდათ იმის სამართლიანი უფლება, რომ ევროკავშირის წევრობისთვის „ებრძოლათ“. ევროპული თანამეგობრობა ათწლეულების მანძილზე ქადაგებდა პან-ევროპულ ჩართულობას, ამიტომ იგი ფაქტობრივად საკუთარი რიტორიკის მსხვერპლი გახდა - იგი ვერ ეტყოდა უარს წევრობის მოსურნე ევროპულ ქვეყნებს. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის ევროკავშირის წევრობა ღირსებისა და პოლიტიკური აღიარების საკითხსა და კეთილდღეობის გზაზე დადგომას წარმოადგენდა.

ევროკავშირში გაწევრიანების პროცესები ყველა საზოგადოებაში განსხვავებულად წარიმართა, რაც ამ ქვეყნების განსხვავებული ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური მახასიათებლების პირდაპირი შედეგი იყო.

ავსტრიული და სკანდინავიური გაფართოება

ცივი ომის დასრულების შემდეგ, თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის (*EFTA - ეფტა*) წევრებმა ევროკავშირში გაწევრიანება მოინდომეს. ევროკავშირი შეეცადა მათი გადაწყვეტილების შეცვლას და სანაცვლოდ შესთავაზა ევროპული ეკონომიკური სივრცე, რომლის საშუალებითაც ეს ქვეყნები ერთიანი ბაზრიდან მიიღებდნენ თითქმის იმავე სარგებელს, რასაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ოღონდ ევროკავშირში გაწევრიანების გარეშე. თუმცა, წევრობის მოსურნე ბევრი სახელმწიფოსთვის ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, რის გამოც ზოგიერთმა მათგანმა ევროპული ეკონომიკური სივრცის დასრულებამდეც კი შეიტანეს გაწევრიანების აპლიკაციები.

მაასტრიხტის რატიფიკაციის კრიზისის, პოსტ-მაასტრიხტის საბიუჯეტო პაკეტზე შეთანხმებისა და აპლიკანტების მხრიდან დაჩქარებული გაწევრიანების მოთხოვნის გამო გაწევრიანების მოლაპარაკებები 1993 წელს დაიწყო. გაფართოების წინა რაუნდებთან შედარებით, ეს პროცესი შედარებით იოლი იყო. დღის წესრიგის ბევრი საკითხი (ანუ ე.წ. „თავები“) უკვე იყო ევროპული ეკონომიკური სივრცის ნაწილი. თუმცა, პრობლემები მაინც იყო ენერგიის, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის სფეროებში. სოციალური და გარემოს დაცვის სტანდარტები და სოფლის მეურნეობის სუბსიდიები ზოგადად უფრო მაღალი იყო ამ კანდიდატ ქვეყნებში, ვიდრე თავად ევროკავშირში. ნორვეგიას არ სურდა კონტროლის დაკარგვა თავისი ნავთობისა და ბუნებრივი გაზის უზარმაზარ რეზერვებსა და თევზით მდიდარ წყლებზე. სირთულეები წარმოიქმნა ისეთ თემებზეც, როგორებიცაა ფინეთის, ნორვეგიისა და შვედეთის ვრცელი და მეჩხერად დასახლებული რეგიონებისთვის დახმარება, ევროკავშირის მიერ შვედური სნაფის (შვედური პროდუქტი, რომელიც მიჩვევას, მასზე დამოკიდებულებას იწვევს) აკრძალვა, და ალკოჰოლის გაყიდვებზე შვედეთის სახელმწიფო მონოპოლია.

რამდენიმე თვიანი დაძაბული მოლაპარაკებებისა და ვაჭრობის შემდეგ 1994 წლის შუა პერიოდში გაფორმდა გაწევრიანების ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავდა კონკრეტული რეგულაციური მიმართულებების სპეციალურად დადგენილ წესებს; სტრუქტურული ფონდების ახალ კატეგორიას არქტიკული სივრცის რეგიონებისთვის; გაფართოებულ ევროკავშირში სოფლის მეურნეობის შეცვლილი ფასების შესაბამისად ფერმერთა შემოსავლების შენარჩუნების სპეციალურ მექანიზმებს; გაწევრიანების შემდეგ ამ კანდიდატ ქვეყნებში გარემოს დაცვითი სტანდარტების მაღალი დონის შენარჩუნებასა და სხვა საკითხებს. თუმცა, ევროკავშირის მიერ ნორვეგიისთვის განხორციელებული სპეციალური დათმობები არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ ნორვეგიის რეფერენდუმი წარმატებით დასრულებულიყო. ნორვეგიის საზოგადოების უმრავლესობამ გაწევრიანებაზე

უარი განაცხადა. ამის საპირისპიროდ, გაწევრიანდნენ ავსტრია (66%), ფინეთი (60%) და შვედეთი (52%).

ევროკავშირის მხრიდან ხელშეკრულებების რატიფიკაცია შედარებით მარტივად წარიმართა. პარლამენტმა გამოთქვა შეშფოთება იმის გამო, რომ გაფართოების პარალელურად და მისთვის სათანადოდ მოსამზადებლად ევროკავშირი ფაქტობრივად არანაირი ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელებას არ აპირებდა. ამაზე საპასუხოდ, მინისტრთა საბჭომ განახორციელა მხოლოდ ერთადერთი ცვლილება, რომელიც 1994 წლის მარტის იოანინას კომპრომისით არის ცნობილი. შედეგად, ბრიტანეთისა და ესპანეთის მოთხოვნით, გაიზარდა კვალიფიციურ უმრავლესობის მოთხოვნები. პარლამენტმა გააკრიტიკა იოანინას კომპრომისი, ვინაიდან იგი გადაწყვეტილების მიღების პროცესს კიდევ უფრო ართულებდა და ნაკლებ ეფექტურს ხდიდა. თუმცა, პარლამენტს სხვა რეალური ალტერნატივა არ ჰქონდა. ამიტომ 1995 წლის იანვარში იგი იძულებული იყო, გაფართოებისთვის თანხმობა განეცხადებინა. ამის მიუხედავად, პარლამენტის მიერ ამ თემაზე განხორციელებული ზეწოლის შემდეგ, წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, მომდევნო ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის დღის წესრიგში ინსტიტუციური რეფორმაც შეეტანათ.

ევროკავშირისთვის ეს იყო ყველაზე მარტივი და ნაკლები პრობლემების შემქმნელი გაფართოება. სამივე ახალი სახელმწიფო დემოგრაფიულად პატარა და ეკონომიკურად ძლიერი იყო. შვედეთი შედარებით ევროსკეპტიკოსი იყო, ავსტრია და ფინეთი კი უფრო მეტი ენთუზიაზმით იყვნენ განწყობილნი. ევროკავშირის დახურული საკანონმდებლო სისტემა და ბურუსით მოცული ადმინისტრაციული კულტურა სრული შოკი აღმოჩნდა ფინელი და შვედი პოლიტიკოსებისა და საჯარო მოხელეებისთვის. მათ მთელი მონდომებით დაიწყეს ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების პროცესის ღიაობისა და გამჭვირვალობის მხარდაჭერა. ასევე, ფინეთი და შვედეთი ითხოვდნენ სოციალური და გარემოს დაცვის მაღალ სტანდარტებსა და ევროკავშირის უფრო ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკას. ამასთან, ისინი

ემხრობოდნენ ევროკავშირის „ჩრდილოეთის მიმართულების“ განვითარებას, მათ შორის, რუსეთთან დაახლოებასა და ბალტიის ზღვაში მათი მეზობლების (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) ადრეულ გაწევრიანების.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული გაფართოება

კომუნიზმის კრახი იყო ცივი ომისა და მსოფლიოს ბიპოლარული დაყოფის დასასრული. ამავე დროს, ეს იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროცესების დასაწყისი, რაც მსოფლიოს ფუნდამენტურ ცვლილებებს უქადდა. ამ პერიოდში დაიწყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტ-კომუნისტური საზოგადოებების დემოკრატიზაცია. კომუნიტური რეჟიმის დამხობა იყო ლიბერალური დემოკრატიისა და მისი ფასეულობების ისტორიული გამარჯვება ავტორიტარულ სოციალიზმზე (კომუნიზმზე), რომელმაც, თავის მხრივ, ვერ შექმნა სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა და ვერ უზრუნველყო პოლიტიკური და პიროვნული თავისუფლება. თავისუფლება, თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, კანონის უზენაესობა, პლურალიზმი, ინდივიდუალიზმი და ტოლერანტობა გახდა პოსტ-კომუნისტურ საზოგადოებებში ანტიკომუნისტური და პრო-დემოკრატიული პოლიტიკური ძალების მთავარი მამოძრავებელი იდეები და პოლიტიკური მიზნები.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიზაციის პროცესი სამხრეთ ევროპული ან ლათინური ამერიკის ქვეყნების მაგალითებთან შედარებით განსხვავებულად წარიმართა. ეს პროცესი ხასიათდებოდა ყოფილი ავტორიტარული რეჟიმიდან რადიკალური დისტანცირებით, პრო-დემოკრატიული მოძრაობებით, რეჟიმის ცვლილების პროცესში დიდი სოციალური ჯგუფების მონაწილეობით და გარეშე ფაქტორების (განსაკუთრებით, ევროკავშირის) გავლენით. ამ სახელმწიფოებში დემოკრატიზაცია და ევროკავშირში გაწევრიანება პარალელური, მაგრამ ურთიერთგადაჯაჭვული და ურთიერთთავსებადი პრო-

ცესები იყო. ევროკავშირში სრული წევრობა აღიქმებოდა როგორც გარდამავალი პერიოდის დასასრული და დემოკრატიული კონსოლიდაციის დადასტურება.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპული გაფართოება რაღაცით ჰგავდა 1980-იან წლებში ხმელთაშუაზღვისპირეთის გაფართოების პროცესს. ახლად გადემოკრატიულებულ და ეკონომიკურად განუვითარებელ საბერძნეთს, პორტუგალიასა და ესპანეთს ათი წელი დასჭირდათ ევროპულ თანამეგობრობაში გასაწევრიანებლად. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები იმედოვნებდნენ, რომ დაახლოებით ამდენივე დრო დასჭირდებოდათ მათი გაწევრიანების პროცესს, მიუხედავად იმისა, რომ ესენი ხმელთაშუაზღვისპირეთის მაშინდელ კანდიდატებზე კიდევ უფრო ღარიბები იყვნენ, კიდევ უფრო სუსტი ადმინისტრაციული სტრუქტურები გააჩნდათ, და რომ ევროკავშირის წესები და რეგულაციები კიდევ უფრო დიდი რაოდენობით იყო ამჟამად, ვიდრე ერთი დეკადის წინ.

მსგავსებების მიუხედავად, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების გაწევრიანების პროცესი ბუნდოვანებითა და მოულოდნელობებით იყო აღსავსე. წევრი სახელმწიფოები და კომისია ცდილობდნენ სწორი გზის მოძიებას. ამ პროცესში ევროკავშირსა და აპლიკანტ ქვეყნებს შორის იყო გაუგებრობებიც და ბრალდებებიც. აპლიკანტი სახელმწიფოები ევროკავშირს ფეხის ათრევაში ადანაშაულებდნენ, ევროკავშირი კი აპლიკანტებს მიუთითებდა, არ გაეზვიადებინათ მოვლენები. საზოგადოება ორივე მხრიდან ამ პროცესით დაღლილი იყო და აინტერესებდათ, ღირდა კი განხორციელებული ქმედებები საბოლოო შედეგად?!

ის სახელმწიფოები, რომლებიც დაინტერესებულები იყვნენ გაფართოებით, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნის განმავლობაში მაქსიმალურად მხარს უჭერდნენ ამ პროცესს. მათ მნიშვნელოვანი სადავეები ეჭირათ ხელში რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, გაფართოება უმთავრესად ინტერგავერნმენტალისტური სფერო იყო. და მეორე, თავმჯდომარე ქვეყანა უძღვებოდა მოლაპარაკებებს და ახდენდა წევრი ქვეყნების პო-

ზიციების კოორდინაციას. კომისია მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებდა: აწვდიდა ინფორმაციას, ამზადებდა პროგრესის თაობაზე ანგარიშებს და წარმოადგენდა პატიოსან არბიტრს. პარლამენტს კიდევ უფრო შეზღუდული ჰქონდა ფუნქციები ამ სფეროში და ძირითადად მხოლოდ რიტორიკული მხარდაჭერით შემოიფარგლებოდა.

დახმარებიდან ასოციაციამდე

1989 წელს კომისიამ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისთვის დასავლეთ ევროპიდან გაგზავნილი დახმარების კოორდინაციის პასუხისმგებლობა აიღო. ევროპულმა თანამეგობრობამ დაიწყო დახმარების საკუთარი პროგრამის (პოლონეთისა და უნგრეთისთვის ეკონომიკის რეკონსტრუქციაში დახმარება - *PHARE*) განხორციელება. ჰუმანიტარულ დახმარებასთან ერთად, *PHARE* მხარს უჭერდა ამ ქვეყნების სოციალურ-საბაზრო ეკონომიკების განვითარებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას. საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის ინიციატივით დაარსდა ასევე რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი (*EBRD*), რომელიც მალევე ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო სესხების მთავარი მომწოდებელი გახდა. ფინანსური და ტექნიკური დახმარება მნიშვნელოვანი და საჭირო პირველი ნაბიჯები იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მოდერნიზაციის საქმეში.

ამასთან ერთად, ევროპულ თანამეგობრობასა და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის ორმხრივ ფორმატში გაფორმდა ვაჭრობისა და თანამშრომლობის შეთანხმებები, რომლებიც მიზნად ისახავდა ამ ქვეყნების პროდუქტებისთვის თანამეგობრობის ბაზრის გაღებას. თუმცა, როდესაც ბაზარზე შეღწევის კონკრეტულ მექანიზმებზე მიდგა საქმე, ევროპულმა თანამეგობრობამ უარი განაცხადა სოფლის მეურნეობის და მსუბუქი მრეწველობის პროდუქტებსა და ლითონზე სერიოზული დათმობების გაკეთებაზე. ეს სფეროები პოლიტი-

კურად სენსიტიური იყო თანამეგობრობისთვის და ეკონომიკურად ძალიან მნიშვნელოვანი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის. ამ ქმედებით კარგად გამოჩნდა განსხვავება წევრი ქვეყნების პროტექციონისტულ ტენდენციასა და პან-ევროპული ინტეგრაციის რიტორიკას შორის. თუმცა, ევროპულმა თანამეგობრობამ იგრძნო მორალური პასუხისმგებლობა და რამდენიმე პოსტ-საბჭოთა ბლოკის ქვეყანას ასოციაციის ხელშეკრულება შესთავაზა. იდეას მხარს განსაკუთრებით უჭერდა ჰელმუტ კოლი, რომლის სახელმწიფოც ყველაზე მეტ მოგებას ნახავდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმატებული ტრანზიციით. შესაბამისად, 1990 წლის აგვისტოში კომისიამ ასოციაციის ხელშეკრულება წარუდგინა ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ და რეგიონში სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვან ქვეყნებს ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და უნგრეთის სახით. ე.წ. „ევროპის ხელშეკრულებები“ მოიცავდა თავისუფალ ვაჭრობას, ინტენსიურ ეკონომიკურ თანამშრომლობასა და ინსტიტუციონალიზებულ პოლიტიკურ ურთიერთობებს. წევრ ქვეყნებს არ სურდათ მათთვის ევროკავშირის წევრობის დაპირება მიეცათ, მაგრამ აღიარეს, რომ ამ ქვეყნების საბოლოო მიზანს ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენდა.

ასოციაციის ხელშეკრულებებზე მოლაპარაკებები ჩეხოსლოვაკიასთან, პოლონეთსა და უნგრეთთან 1991 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ევროპული თანამეგობრობა მკაცრად იდგა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ბაზარზე შესვლის უფლება და ადამიანების გადაადგილება. შეთანხმებების რატიფიცირება კიდევ უფრო მეტ ხანს გაგრძელდა, რაც გამოწვეული იყო რამდენიმე წევრ ქვეყანაში ხელშეკრულების ცალკეული მუხლებისადმი (განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობაზე) სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების წინააღმდეგობით. ხელშეკრულებები ფარავდა როგორც ევროპული თანამეგობრობის, ასევე წევრი ქვეყნების კომპეტენციის სფეროებს. ამიტომ კომისიამ ხელშეკრულებების მხოლოდ ნაწილის იმპლემენტაცია განახორციელა, მთლიანი ხელშეკრულებები კი რატიფიკაციისთვის

წევრ სახელმწიფოებს გადასცა. ამასთან, კომისიამ დაიწყო ევროპის ხელშეკრულების მოლაპარაკებები რეგიონის დანარჩენ ქვეყნებთანაც, რომელთა დასრულებაც წინა სამ ქვეყანასთან ერთად მოხდა (1993 წლის იანვარში ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდეგ ცალკე ხელშეკრულებები გაფორმდა ჩეხეთთან და სლოვაკეთთან). საბოლოო ჯამში, მოლაპარაკებებისა და რატიფიკაციის პროცესმა 1990-იანი წლების შუა პერიოდამდე გაგრძელდა და ნათლად მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ ევროკავშირს არ შეეძლო აქტიურად და ეფექტურად ემოქმედა თავის აღმოსავლეთ მეზობლებთან.

კოპენჰაგენიდან კოპენჰაგენამდე

მაასტრიხტის ხელშეკრულების მიღებისა და რატიფიკაციის კრიზისის დაძლევის შემდეგ, ევროკავშირმა მთელი ყურადღება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპული გაფართოების გამოწვევაზე გადაიტანა. დანიის ზეწოლით, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს გაფართოებას, 1993 წლის ივნისის ევროპულმა საბჭომ კოპენჰაგენში განაცხადა, რომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ასოციაციის ქვეყნები მათი სურვილის შემთხვევაში გახდებოდნენ ევროკავშირის წევრები. ამასთან, ახალი მომავალი წევრი ქვეყნებისთვის ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა კომისიის მიერ შემუშავებული გაწევრიანების კრიტერიუმები, რომელსაც კოპენჰაგენის კრიტერიუმები ეწოდა და რომელიც მოიცავდა შემდეგს:

- სტაბილურობა იმ ინსტიტუტების, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებს და უმცირესობების უფლებების პატივისცემასა და დაცვას.
- ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის არსებობა, რომელიც კონკურენტული იქნება და გაუძლებს ევროკავშირის საბაზრო ძალებს.

- წევრობის ვალდებულებების აღება, მათ შორის, პოლიტიკური, ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მიზნებისა და საშუალებების აღიარება და პატივისცემა.

დელორი არ იყო მაინცდამაინც დადებითად განწყობილი გაფართოებისადმი. თუმცა, საბოლოო ჯამში, დაინახა რა, რომ ეს პროცესი გარდაუვალი იყო, დათანხმდა. მისი, როგორც კომისიის პრეზიდენტის დღეები, დათვლილი იყო. მან თანამდებობა 1995 წლის იანვარში დატოვა. კომისიის მომდევნო პრეზიდენტი ჟაკ სანტერი უფრო ღია იყო გაფართოებისადმი. კოლი ერთადერთი ლიდერი იყო დიდი წევრი ქვეყნებიდან, რომელიც მთელი გულით უჭერდა მხარს გაფართოებას (ყოველ შემთხვევაში, გერმანიასთან ახლოს მდებარე ქვეყნების მაინც). 1995 წლის მაისში არჩეული საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი ჟაკ შირაკი მის წინამორბედ მიტერანზე კიდევ უფრო ნაკლებად იყო დაინტერესებული გაფართოებით. ჯონ მეიჯორი მხარს უჭერდა ამ პროცესს იმ იმედით, რომ გაფართოება ევროკავშირს დაასუსტებდა. მეიჯორის პოზიცია ნაკლებად იყო მისაღები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, რადგან მათ ძლიერ ევროკავშირში უნდოდათ ყოფნა და დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ იმ ფაქტს, რომ მათივე სურვილით სუვერენიტეტის ნაწილის დათმობა მოუწევდათ.

1994-1996 წლებში, ასოციაციის ხელშეკრულებების ძალაში შესვლის შემდეგ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გაწევრიანების აპლიკაციები გააააქტიურეს. იმ პერიოდისთვის ევროკავშირიც და აპლიკანტი ქვეყნებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ წინ მძიმე პერიოდი ელოდათ. ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა ადმინისტრაციულად, ეკონომიკურად და გარემოს დაცვის კუთხით ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა. რეგიონში კვლავ მძაფრად ებრძოდნენ კომუნისტების მიერ რამდენიმე ათწლეულების მანძილზე არასწორი მართვის დანატოვარს. ყველა მათგანი ცდილობდა კომუნიზმიდან კაპიტალიზმზე, დიქტატორობიდან დემოკრატიაზე გადასვლას. რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის გრძელვადიანი პროცესი მოიცავდა სამართლებრივ, საბანკო

და ბიზნეს რეფორმებს; სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიების პრივატიზაციას; სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიის მოდერნიზაციას; სოციალური კეთილდღეობის არსებით რეფორმას; გარემოს დაცვის პირობებისა და სტანდარტების რადიკალურ გაუმჯობესებას; ახალი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებას; და შენობა-ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის აღდგენა-განვითარებას. ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა კარგი მოტივატორი იყო აპლიკანტი ქვეყნებისთვის, რათა მტკივნეული რეფორმები გაეტარებინათ.

1990-იანი წლების შუა პერიოდში ევროკავშირსა და აპლიკანტ ქვეყნებს შორის ერთი რამ ნათელი იყო: ევროკავშირი აღიარებდა გაფართოების გარდაუვალობას, აპლიკანტი ქვეყნები კი მთელი სერიოზულობით ეკიდებოდნენ არსებულ გამოწვევებს. თუმცა, ამ დაუწერელ შეთანხმებაში არ ჩანდა ევროკავშირის ვალდებულება, რომ გაფართოების მოლოდინში მოეხდინა თავისი პოლიტიკის მიმართულებებისა და პროცედურების რესტრუქტურიზება. იგი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის აპლიკანტ ქვეყნებს მთელი სიმკაცრით სთხოვდა რადიკალურ რეფორმებს, მაშინ როდესაც უარს ამბობდა მსგავსი მტკივნეული, მაგრამ საჭირო რეფორმების გატარებას საკუთარ ინსტიტუტებსა და პოლიტიკის სფეროებში. ევროკავშირმა მხოლოდ უგულოდ და არაადეკვატურად განახორციელა რამდენიმე აქტივობა, მათ შორის სოფლის მეურნეობის და ერთიანობის პოლიტიკის რეფორმა და საკუთარი ინსტიტუციური სტრუქტურის გამარტივება (ეს მცდელობები საბოლოოდ აისახა *დღის წესრიგი 2000*-ის მოლაპარაკებებში პოლიტიკის მიმართულებების რეფორმირებისთვის და *ნიცის ხელშეკრულებაში* ინსტიტუციური რეფორმირებისთვის). ნათელი იყო, რომ ევროკავშირს გაფართოების გადატანა მარტივად, მტკივნეული, მაგრამ საჭირო შიდა რეფორმების გარეშე უნდოდა.

ევროკავშირმა აპლიკანტი ქვეყნების გაფართოებისთვის მომზადება 1994 წლიდან დაიწყო. კომისიის ანგარიშის საფუძველზე და გერმანიის, როგორც 1994 წლის მეორე ნახევარში თავმჯდომარე ქვეყნის მხარდაჭერით, 1994 წლის დეკემბერში

ევროპულმა საბჭომ ქალაქ ესენში დაამტკიცა „სტრუქტურირებული დიალოგი“ ევროკავშირსა და აპლიკანტ ქვეყნებს შორის. „სტრუქტურირებული დიალოგი“ ევროკავშირის პოლიტიკის თითქმის ყველა მიმართულებას ფარავდა და მოიცავდა როგორც რეგულარულ შეხვედრებს მინისტრების დონეზე, ისე ევროპული საბჭოს ფორმატში სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა ყოველწლიურ სხდომებს. პირველი ასეთი მაღალი დონის შეხვედრა სწორედ ესენის სამიტზე შედგა.

ევროკავშირმა ასევე დაიწყო კანდიდატი ქვეყნების ერთიან ბაზარში ინტეგრირების პროცესი. 1995 წლის ივნისში ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა კომისიის თეთრი წიგნი იმაზე, თუ როგორ უნდა მომხდარიყო კანდიდატი სახელმწიფოების მომზადება სექტორ-სექტორ ერთიან ბაზარში სრულყოფილი მონაწილეობისთვის. თეთრი წიგნის დაწვრილმანებულობამ და დეტალურობამ მკაფიო სიგნალი გაუგზავნა ორივე მხარეს, რომ წინ უზარმაზარი და რთული დავალება ჰქონდათ შესასრულებელი. კანონების უბრალოდ მიღების ნაცვლად, კანდიდატებს თავიანთი მთლიანი ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ეკონომიკური სტრუქტურების ცვლილება უნდა განეხორციელებინათ. მათ დასახმარებლად კი ევროკავშირმა PHARE-ის რეფორმირება მოახდინა და სხვა ინიციატივებიც აამუშავა.

როგორც გაწევრიანების სტრატეგიების ნაწილი, კანდიდატების უმრავლესობამ დაამტკიცა დეტალური გაწევრიანებისწინა გეგმები ანუ ადმინისტრაციული საგზაო რუკები. ისინი ამისთვის კომისიის თეთრი წიგნით ხელმძღვანელობდნენ და მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჰქონდათ ევროკავშირისგან. ამასთან, კომისიამ ევროკავშირის წევრობისთვის კანდიდატების მზაობაზე ფორმალური მოსაზრების დასაფიქსირებლად დაიწყო ინფორმაციის შეგროვება და ანალიზის ჩატარება. როგორც *დღის წესრიგი 2000*-ის პაკეტის ნაწილი, მან 1997 წლის ივლისში გამოაქვეყნა მოსაზრება, რომელშიც აპლიკანტებზე ასკვნიდა შემდეგს:

- *დემოკრატია და კანონის უზენაესობა:* ყველას ჰქონდა ადეკვატური საკონსტიტუციო და ინსტიტუციური წესები და პრაქტიკები. გამონაკლისი მხოლოდ სლოვაკეთი იყო,

რომელიც, როგორც ჩანს, ისევ ავტორიტარული მმართველობისკენ იხრებოდა.

- *ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა:* ყველამ კარგ პროგრესს მიაღწია, მაგრამ საჭირო იყო სტრუქტურული რეფორმები, განსაკუთრებით ფინანსურ სექტორში და სოციალური უსაფრთხოების მიმართულებით.
- *ევროკავშირის წესები და რეგულაციები:* ყველა ევროკავშირის წესებისა და რეგულაციების გაზიარების პროცესში იყვნენ და წინ კიდევ გრძელი გზა იყო გასავლელი.

კომისიისთვის ყველაზე რთული და საკამათო საკითხი იყო ის, თუ ევროპული საბჭოსთვის გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყება რომელ ქვეყნებთან შეეთავაზებინა. ათივე კანდიდატი ქვეყანა განვითარების სხვადასხვა დონეზე იდგა. ზოგს უფრო სიღრმისეულად და სრულყოფილად ჰქონდა რეფორმები განხორციელებული, ზოგს ნაკლებად. არცერთ მათგანს არ სურდა, ყოფილიყო „მეორადი" ქვეყნების სიაში, რომლებიც შედარებით მოგვიანებით გახდებოდნენ ევროკავშირის წევრები. თავად ევროკავშირი და მისი წევრები თითოეულ კანდიდატს განსხვავებულად აფასებდნენ. მისი ზომის, მდებარეობისა და ეკონომიკური მნიშვნელობის გამო, პოლონეთი გაწევრიანების სიის სათავეში იყო. ჩეხეთის რესპუბლიკა და უნგრეთი, რომლებიც ეკონომიკურად შედარებით განვითარებული იყვნენ, ცენტრალური მდებარეობით გამოირჩეოდნენ და კულტურულად მჭიდროდ იყვნენ დასავლეთ ევროპასთან დაკავშირებული, ადრეული გაწევრიანების ასევე კარგი კანდიდატები იყვნენ. ბალტიის ქვეყნებს ევროკავშირის სკანდინავიის წევრი სახელმწიფოებიდან ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდათ, თუმცა, მათი რუსეთთან სიახლოვე სერიოზულ სტრატეგიულ გამოწვევას წარმოადგენდა. სლოვენია, მდიდარი და სტაბილური ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა, ეკონომიკურად, კულტურულად, პოლიტიკურად და გეოგრაფიულად ახლოს იყო ავსტრიასთან და მისგან მხარდაჭერით სარგებლობდა. ბულგარეთი და რუმინეთი კი ევროკავშირისგან ყველა გაგებით ძალიან შორს იყვნენ.

კომისიამ ევროკავშირს გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყების რეკომენდაცია ხუთ სახელმწიფოზე მისცა. ესენი იყვნენ ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, პოლონეთი, ესტონეთი და სლოვენია. პირველი სამი არჩევანი მოსალოდნელი იყო. კომისიამ ესტონეთი და სლოვენია სიას არა მხოლოდ იმიტომ დაამატა, რომ ისინი ამას იმსახურებდნენ, არამედ იმიტომაც, რომ მოეხდინა მკაფიო გამიჯვნა ევროკავშირისა და ნატოს გაფართოებებს შორის. კომისიის მიერ *დღის წესრიგი 2000-ის* გამოქვეყნებამდე ერთი კვირით ადრე, ნატომ განაცხადა, რომ 1999 წელს ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი და პოლონეთი ამ სამხედრო ალიანსს შეუერთდებოდნენ. რუსეთის შეშფოთების გასანეიტრალებლად, კომისია შეეცადა ეჩვენებინა, რომ ნატოსა და ევროკავშირის გაფართოებები ერთმანეთთან არ იყო დაკავშირებული და განსხვავებულ პროცესებს წარმოადგენდა. ამასთან, კომისიამ სიაში ესტონეთი შეიყვანა იმიტომაც, რომ იგი ევროკავშირში პოპულარული იყო, სლოვენია კი იმიტომ, რომ იგი გაწევრიანებისთვის ცალსახად იყო მზად (თან სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან კანდიდატის შერჩევა პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებდა).

თავისი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გამოქვეყნებამდე კომისიამ მჭიდრო კონსულტაციები აწარმოა წევრ სახელმწიფოებთან. შესაბამისად, 1997 წლის დეკემბრის ლუქსემბურგის სამიტზე ევროპულმა საბჭომ იოლად დაამტკიცა კომისიის შემოთავაზებები. ევროპულმა საბჭომ ასევე დაადასტურა, რომ ევროკავშირი დაიწყებდა გაწევრიანების მოლაპარაკებებს სხვა ქვეყნებთანაც მაშინ, როდესაც კომისია ჩათვლიდა, რომ ისინი ამისთვის მზად იყვნენ. ამისთვის მან კომისიას დაავალა, მოემზადებინა ყოველწლიური ანგარიშები აპლიკანტი წევრების პროგრესის თაობაზე. ამის მიუხედავად, სხვა ქვეყნებმა შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი და მოეჩვენათ, თითქოს პოსტ-ცივი ომის ევროპაში ახალი გამყოფი ხაზები იქმნებოდა მათსა და გაფართოებულ ევროკავშირს შორის. ლიტვა და ლატვია განსაკუთრებით გაღიზიანებულები იყვნენ ადრეული გაწევრიანების მოლაპარაკებებისთვის ესტონეთის შერჩევით. თუმცა, იზოლა-

ციის შიში შეიძლება დახმარებოდა კიდეც მათ და სხვა აპლიკანტ ქვეყნებს იმაში, რომ გაეორმაგებინათ თავიანთი მცდელობები რეფორმების მიმართულებით, რათა რაც შეიძლება მალე შეერთებოდნენ გაწევრიანების პირველი რიგის ქვეყნებს.

ევროკავშირმა პირველ ხუთ ქვეყანასთან გაწევრიანების მოლაპარაკებები 1998 წლის მარტში დაიწყო. პირველი ეტაპი მოიცავდა თითოეული კანდიდატი ქვეყნის პროგრესის ძალიან მოკლე განხილვას, „სკრინინგის პროცესს". არსებითი მოლაპარაკებები კი 1998 წლის ნოემბერში დაიწყო. ვრცელი დღის წესრიგი წარმოდგენილი იყო ოცდაათამდე „თავში" (ანუ თემატურ პაკეტებში, რომელიც ევროკავშირის პოლიტიკის მიმართულებებსა და პროგრამებს ფარავს). მოლაპარაკებებისას პირველ რიგში ყველაზე ნაკლებ სადავო თავები დახურეს. მოლაპარაკებების მიმდინარეობის კვალდაკვალ კი მეტი და მეტი თავი იხურებოდა (ანუ ხდებოდა მათზე შეთანხმება).

1999 წლის ოქტომბერში კომისიამ უკვე დანარჩენ ხუთ აპლიკანტთან გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყების რეკომენდაცია გამოაქვეყნა. ანალიზი ცხადყოფდა, რომ ეს ქვეყნები ამას იმსახურებდნენ, მაგრამ კომისიის გადაწყვეტილებაზე უდავოდ იქონია გავლენა კანდიდატი ქვეყნების და უფრო მეტად ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლამ, რომლებიც ძირითადად სტრატეგიული მიზეზებიდან გამომდინარე აქტიურად უჭერდნენ მხარს გაფართოების სრულ, ერთიან რაუნდს. გაფართოების პროცესის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი იყო 1990-იანი წლების განმავლობაში ბალკანეთში არსებული არასტაბილურობა და განსაკუთრებით, 1999 წლის კოსოვოს ომი. ამის ფონზე დარჩენილმა ხუთმა კანდიდატმა მცდელობები არ დააკლო გაწევრიანების კრიტერიუმების შესრულებას. თუმცა, რუმინეთი და ბულგარეთი თავადვე აღიარებდნენ, რომ მათ ჯერ კიდევ გრძელი გზა ჰქონდათ გასავლელი. სლოვაკეთმა, რომელიც ამჯერად უკვე დემოკრატიული მთავრობის მიერ იმართებოდა, 1990-იანი წლების ბოლოს არსებით ეკონომიკურ პროგრესს მიაღწია. შესაბამისად, 1999 წლის დეკემბრის ჰელსინკის სამიტზე ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა

კომისიის რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც 2000 წლის თებერვალში ევროკავშირი დაიწყებდა გაფართოების მოლაპარაკებებს ლატვიასთან, ლიტვასთან, სლოვაკეთთან, ბულგარეთსა და რუმინეთთან.

გვიანი დასაწყისის მიუხედავად, აპლიკანტთა მეორე ჯგუფი (ბულგარეთისა და რუმინეთის გამოკლებით) მოლაპარაკებებში მალე დაეწია პირველ ჯგუფში. თითოეული ქვეყანა პროგრესირებდა განსხვავებული სიჩქარით, რაც დამოკიდებული იყო დღის წესრიგში არსებული პრობლემური საკითხების რაოდენობითა და სირთულით. მოლაპარაკებების შედეგები მეტნაკლებად ტრანსპარენტული იყო და კომისიის დახმარებით შესაძლებელი იყო მათი გადახედვა. 2002 წლის ბოლოსთვის, მხოლოდ ორი ყველაზე საკამათო საკითხი იყო გადასაწყვეტი - სოფლის მეურნეობა და ბიუჯეტი. ინსტიტუციური საკითხები (განსაკუთრებით, ევროკავშირის ინსტიტუტებში ახალი წევრი ქვეყნების წარმომადგენლების განაწილება) არ წარმოადგენდა გაწევრიანების მოლაპარაკებების ნაწილს. ისინი ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა 2000 წლის ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის დროს შეათანხმეს, რომელიც მოგვიანებით ნიცის ხელშეკრულებაში აისახა.

ევროკავშირი ყოველთვის ერიდებოდა გაწევრიანების კონკრეტული თარიღის დასახელებას. 1990-იანი წლების შუა პერიოდში ყველაზე აქტიურმა აპლიკანტებმა თავად დაასახელეს ამგვარ თარიღად 2000 წელი. თუმცა, როდესაც 2000 წელმა ჩაიარა, მათ იმედები 2002 წლისთვის გაუჩნდათ. საბოლოოდ, 2001 წლის ივნისის გოტებორგის სამიტზე, ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა, რომ ის ქვეყანა, რომელიც 2002 წლის დეკემბრისთვის წარმატებით დაასრულებდა მოლაპარაკებებს, 2004 წლის დასაწყისში გახდებოდა ევროკავშირის წევრი. ეს დაახლოებით ერთწლიანი პერიოდი გამოყენებულ იქნებოდა გაწევრიანების ხელშეკრულების რატიფიკაციისთვის და თან ახალი წევრი ქვეყნები ევროპული პარლამენტის 2004 წლის ივნისის არჩევნებისთვისაც სათანადოდ მოემზადებოდნენ.

2002 წლის ანგარიშში გაფართოების შესახებ, კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც 2004 წლისთვის გაფართოება შეიძლება მომხდარიყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რვა ქვეყანასთან (გამონაკლისი იყო ბულგარეთი და რუმინეთი, რომელთა წევრობის რეკომენდაცია კომისიამ 2007 წლისთვის გასცა). ამის მიუხედავად, კომისია ანგარიშში მიუთითებდა, რომ წევრობის კანდიდატ ქვეყნებში მაინც რჩებოდა ისეთი პრობლემები, როგორებიცაა კორუფცია, ეკონომიკური დანაშაული, სასამართლოს დამოუკიდებლობის ნაკლებობა, ევროკავშირის წესებისა და რეგულაციების არასრულყოფილი იმპლემენტაცია და სხვა. რამდენიმე თავი ჯერ კიდევ დასახური იყო, თუმცა, კომისია იმედოვნებდა, რომ მოლაპარაკებები 2002 წლის დეკემბერში დასრულდებოდა და 2004 წლისთვის ყველა კანდიდატი ქვეყანა ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მზად იქნებოდა. 2007-2013 წლებში სოფლის მეურნეობის დაფინანსების საკითხის მოგვარების შემდეგ, რომელიც ევროპულმა საბჭომ 2002 წლის ოქტომბერში ბრიუსელში შეათანხმა, ევროკავშირის მხრიდან გაწევრიანების მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების გზაზე ყველა დაბრკოლება მოიხსნა. კანდიდატი ქვეყნები არ იყვნენ კმაყოფილი იმით, რომ ევროკავშირის ძველ წევრი სახელმწიფოების ფერმერებთან შედარებით სოფლის მეურნეობის მცირე სუბსიდიებს მიიღებდნენ, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. ამიტომ მათ 2002 წლის დეკემბერში კოპენჰაგენის სამიტზე დაასრულებს გაწევრიანების მოლაპარაკებები. ამით დასრულდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გაფართოების „კოპენჰაგენიდან კოპენჰაგენამდე“ ციკლი: 1993 წლის ივნისში ევროპული საბჭოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების კრიტერიუმების მიღებიდან დაახლოებით ათი წლის შემდეგ ევროპული საბჭოს მიერვე გაწევრიანების ხელშეკრულების დამტკიცებამდე.

ცალკეული გართულებების მიუხედავად, გაწევრიანების რატიფიკაციის პროცესი ევროკავშირშიც და კანდიდატ ქვეყნებშიც შეუფერხებლად, წარმატებით დასრულდა.

ევროკავშირი გაწევრიანების ხელშეკრულებებზე მოლაპარაკებებს კვიპროსთან და მალტასთანაც აწარმოებდა. კვიპროსმა 1990 წლის ივლისში შეიტანა გაწევრიანების აპლიკაცია, კომისიამ კი პოზიტიური მოსაზრება უკვე 1993 წლის ივნისში დააფიქსირა. ევროკავშირს გაწევრიანების მოლაპარაკებები კვიპროსთან ავსტრიისა და სკანდინავიის აპლიკანტებთან ერთად შეეძლო ეწარმოებინა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. ევროკავშირს ამის გასაგები მიზეზი ჰქონდა: კვიპროსი გაყოფილი იყო თურქეთის მიერ ოკუპირებულ ჩრდილოეთად და ბერძენი კვიპროსელების სამხრეთად, რის გამოც კვიპროსის გაწევრიანების აპლიკაცია არც თუ ისე მიმზიდველი იყო.

თუმცა, ევროკავშირი კვიპროსს მუდმივად ვერ უგულვებელყოფდა. 1997 წლის დეკემბერში ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხუთ ქვეყანასთან ერთად მოლაპარაკებები დაიწყო კვიპროსთანაც (ე.წ. 5+1 ფორმატი). ამ ფაქტმა გააღიზიანა თურქეთი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა კვიპროსის მთავრობის უფლებას, მოლაპარაკებები ეწარმოებინა მთლიანი კუნძულის სახელით. ამ პერიოდში თურქეთი მზად იყო დაესრულებინა კუნძულის დაყოფა იმ პირობით, რომ კვიპროსის მთავრობა დიდი თურქული უმცირესობის უფლებებს დაიცავდა. ევროკავშირსაც ჰქონდა გარკვეული ბერკეტები თურქეთზე გავლენის მოსახდენად, ვინაიდან თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანებისკენ ისწრაფოდა (თურქეთმა ასოციაციის ხელშეკრულება გააფორმა 1964 წელს, 1987 წელს კი გაწევრიანების აპლიკაცია შეიტანა).

თურქეთი ევროკავშირის ყველა სხვა აპლიკანტისგან განსხვავდებოდა. იმ დროისთვის იგი ღარიბი და პოლიტიკურად არასტაბილური იყო. მას ადამიანის უფლებების საეჭვო მაჩვენებლები ჰქონდა და დისკრიმინაციულ პირობებში ამყოფებდა ქურთების უმცირესობას. როგორც ევროკავშირის წევრი, იგი გერმანიის შემდეგ, მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი სახელმწიფო იქნებოდა. ზოგიერთი ევროპელი იმაზეც მიუთი-

თებდა, რომ თურქეთი არ იყო ევროპის ნაწილი და რომ მისი ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ახლო აღმოსავლეთში მდებარეობდა. უფრო მეტი, თურქეთი მუსლიმური საზოგადოება იყო. ეს ფაქტი თეორიულად არარელევანტური უნდა ყოფილიყო, მაგრამ პრაქტიკაში ბევრი ევროპელის შეფასებებს განსაზღვრავდა. გერმანელები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ იმაზე, რომ თურქეთის „სტუმარმა მუშებმა" *('guest workers')* ვერ მოახერხეს გერმანიის საზოგადოებაში ინტეგრირება, ამიტომ, მათივე მტკიცებით, თურქეთი ვერასდროს ვერ შეძლებდა ევროკავშირში ასიმილაციას. დასავლეთ ევროპელებს ჰქონდათ სავსებით ლოგიკური და ლეგიტიმური ეკონომიკური და პოლიტიკური კითხვის ნიშნები, რომლებიც თურქეთის მზაობასთან იყო დაკავშირებული, თუმცა, ბევრი მათგანის არგუმენტები შინაგანად ანტი-მუსლიმური განწყობით იყო ნაკარნახევი. ყველა მათგანი საბოლოოდ საბერძნეთისკენ იშვერდა თითს, რომელიც ისტორიულად დაპირისპირებული იყო თურქეთთან.

მეორე მხრივ, თურქეთს სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა. იგი არასტაბილურ რეგიონში დასავლურ სიმაგრეს წარმოადგენდა. თურქეთმა ევროკავშირში გაწევრიანებისთვის სწორედ ამ ბერკეტის გამოყენება სცადა. იგი ასევე ყურადღებას ამახვილებდა მის საზღვრებს შიგნით მუსლიმური ფუნდამენტალიზმის საფრთხეზე იმ იმედით, რომ ევროკავშირის გულსა და მხარდაჭერას მოიგებდა. თურქეთის სტრატეგიული ღირებულებისა და ისრაელთან თურქეთის არაოფიციალური ალიანსის გამო, აშშ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას აქტიურად უჭერდა მხარს. ევროკავშირმა კი ჩათვალა, რომ თურქეთის აპლიკაცია აშშ-ის საქმეს არ წარმოადგენდა და რომ ამ ქმედებით აშშ-ს ფუნდამენტურად არ ესმოდა ევროკავშირის რაობა, ხასიათი და გაწევრიანების კრიტერიუმები.

1997 წელს, როდესაც ევროპული საბჭო შეთანხმდა, რომ 5+1-თან დაიწყებდა გაწევრიანების მოლაპარაკებებს, მან რეაგირება არ მოახდინა თურქეთის აპლიკაციაზე. თურქეთის სანუგეშოდ, ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა პოლიტიკური კონსულტაციებისთვის ეწარმოებინა ევროპული კონფერენცია, ანუ

ყველა წევრი და აპლიკანტი ქვეყნის ლიდერების ყოველწლიური შეხვედრა. 1998 წლის მარტში, თავის აპლიკაციაზე ევროკავშირის მოპყრობით გაბრაზებულმა თურქეთმა ბოიკოტი გამოუცხადა ევროპული კონფერენციის პირველ სხდომას. თურქეთმა იმდენად უხეშად გააპროტესტა გაფართოების პროცესიდან მისი იზოლაცია და იმდენად გააქტიურდა გაწევრიანების პერსპექტივის გასაუმჯობესებლად, რომ 1999 წლის დეკემბერში ევროპულმა საბჭომ უკან დაიხია და თურქეთი კანდიდატ ქვეყნად ოფიციალურად დაასახელა.

თურქეთი კვლავ აღშფოთდა 2002 წლის ოქტომბერში, როდესაც 2004 წლის გაფართოებისთვის კომისიამ რეკომენდაცია გასცა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რვა ქვეყნის, პლიუს კვიპროსისა და მალტას შესახებ. კომისიამ კვლავ თავი აარიდა თურქეთის პოლიტიკურად მნიშვნელოვან საკითხს და ქვეყნისთვის მხოლოდ გაწევრიანებისწინა დახმარების გაზრდა მოითხოვა. ამის მიუხედავად, 2002 წლის დეკემბრის კოპენჰაგენის სამიტზე ევროპული საბჭო შეთანხმდა, რომ 2004 წლის ბოლოსთვის გადაწყვეტდა, დაწყებულიყო თუ არა გაწევრიანების მოლაპარაკებები თურქეთთან. ამ პერიოდში კი თურქეთმა ევროკავშირის პირობების დასაკმაყოფილებლად საჭირო პოლიტიკური და კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელება დაგეგმა.

2002 წლის დეკემბრის კოპენჰაგენის სამიტზე ინტენსიური დიპლომატიური მოლაპარაკებები გაიმართა კვიპროსის საკითხთან დაკავშირებით. წევრ ქვეყნებს არ სურდათ დაყოფილი კვიპროსის ევროკავშირში მიღება. თუმცა, საბერძნეთი იმუქრებოდა, რომ დაბლოკავდა მთლიან გაფართოებას, თუ ამ პროცესში კვიპროსიც არ იქნებოდა ჩართული. ევროკავშირის გადაწყვეტილებით, რომ მაინც მომხდარიყო დაყოფილი კვიპროსის გაწევრიანება, თურქეთმა ევროკავშირზე გავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი დაკარგა. გამოუვალი მდგომარეობიდან ევროკავშირმა კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო: თურქეთს გაწევრიანების საბოლოო პერსპექტივას და დამატებით ეკონომიკურ დახმარებას დაპირდა, საბერძნეთს კი კვიპროსის გაწევრიანების პირობა მისცა. თუმცა, თურქეთისთ-

ვის გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყების ზუსტი თარიღი არ დაუსახელებია, რის გამოც კოპენჰაგენის სამიტზე თურქეთ--ევროკავშირის ურთიერთობები მაინც დაიძაბა და კვიპროსის გაერთიანების პერსპექტივა სერიოზულად დააზიანა.

1990 წელს მალტას კონსერვატიულმა ნაციონალისტურმა პარტიამ ევროპულ თანამეგობრობაში გაწევრიანების აპლიკაცია შეიტანეს. ბრიტანეთიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მალტას ნეიტრალური ქვეყნის სტატუსი ჰქონდა. ამიტომ ოპოზიციური ლეიბორისტული პარტია ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირში გაწევრიანებას. 1996 წლის ოქტომბერში არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ლეიბორისტებმა მაშინვე გააუქმეს მალტის გაწევრიანების აპლიკაცია. ევროკავშირმა შვებით ამოისუნთქა, ვინაიდან უკვე ერთით ნაკლები აპლიკანტი ჰყავდა. თუმცა, 1998 წლის სექტემბერში, როდესაც ხელისუფლებაში კონსერვატორები დაბრუნდნენ, მათ მალტის აპლიკაცია კვლავ განაახლეს. 1999 წლის თებერვალში კომისიამ თავის ანგარიშში განაცხადა, რომ მალტას ჰქონდა შესაძლებლობა შეერთებოდა გაწევრიანების მოლაპარაკებებს, რომლებიც უკვე მიმდინარეობდა 5+1-ის ფორმატში. ერთადერთი პრობლემა ევროკავშირისთვის იყო მალტას ზომა: ევროკავშირისთვის არ იყო სასიამოვნო, ჰყოლოდა კიდევ ერთი დაახლოებით ლუქსემბურგის ზომის სახელმწიფო, მაგრამ ლუქსემბურგის საერთაშორისო რეპუტაციისა და ევროპული ინტეგრაციის ტრადიციის გარეშე. ამის მიუხედავად, მალტამ მარტივად მოახერხა გაწევრიანების მოლაპარაკებების 2002 წლის ბოლოსთვის დასრულება. 2003 წლის მარტის რეფერენდუმზე მალტას მოსახლეობის უმრავლესობამ ევროკავშირში გაწევრიანებას მხარი დაუჭირა. თუმცა, ანტი-ევროკავშირულმა ლეიბორისტულმა პარტიამ დაჟინებით მოითხოვა, რომ ეს საკითხი მომდევნო არჩევნებზე გადაწყვეტილიყო. 2003 წლის აპრილში ათენში გაწევრიანების ხელშეკრულებების ხელმოწერის ცერემონია გაიმართა. ამ ცერემონიამდე ერთი კვირით ადრე კი მალტის არჩევნებზე კონსერვატიულმა პარტიამ იოლად გაიმარჯვა, რითაც მალტის ევროკავშირში გაწევრიანება საბოლოოდ გადაწყდა.

რუმინეთი პირველი სახელმწიფო იყო პოსტ-კომუნისტური ევროპიდან, ვინც ოფიციალური ურთიერთობები დაამყარა ევროპულ თანამეგობრობასთან. 1974 წელს რუმინეთი თანამეგობრობის პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის მონაწილე გახდა. 1989 წლის რუმინეთის რევოლუციის შემდეგ, ევროკავშირის წევრობა ყველა მთავრობის და თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიის პრიორიტეტად იქცა. რუმინეთმა ევროპის ხელშეკრულებას ხელი 1993 წელს მოაწერა, წევრობის განაცხადი კი ოფიციალურად 1995 წელს, უნგრეთისა და პოლონეთის შემდეგ გამოთქვა. გაწევრიანების განაცხადის პარალელურად, რუმინეთში მიიღეს „სნაგოვის დეკლარაცია“, რომელსაც 14 ძირითადი პოლიტიკური პარტია აწერდა ხელს და რომელშიც ევროკავშირის წევრობისადმი სრული მხარდაჭერა იყო დაფიქსირებული.

გაწევრიანებისთვის რუმინეთს, ისევე, როგორც სხვა აპლიკანტ ქვეყნებს, მოუწია მთელი რიგი რეფორმების განხორციელება, მათ შორის, დემოკრატიული სისტემის კონსოლიდაცია, ფუნქციონირებადი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დანერგვა და კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის დამკვიდრება. 2004 წლის ივნისში, ევროკავშირსა და ბულგარეთს შორის გამართულმა ასოცირების კომიტეტმა დაადასტურა გაწევრიანების პროცესში ქვეყნის ზოგადი კარგი პროგრესი. თუმცა, ხაზი გაესვა ასევე ბულგარეთის მართლმსაჯულების სტრუქტურების დამატებითი რეფორმირების, პოლიტიკური კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მეტი ბრძოლის საჭიროებას. პრობლემურ საკითხებს შორის იყო ასევე საზოგადოებაში რომას თემის ინტეგრაციის ნაკლებობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბულგარეთმა და რუმინეთმა ვერ შეძლეს 2004 წლისთვის ათ სხვა ქვეყანასთან ერთად ევროკავშირში გაწევრიანება. საერთო ჯამში, ამის ძირითადი მიზეზები იყო ფართოდ გავრცელებული კორუფცია, სუსტი ადმინისტრაციული შესაძლებლობები და სასამართლოს დამოუკიდებლობის საეჭვოობა. შესაძლო ევროკავშირის წევრობის გარდამქმნე-

ლი გავლენა ბულგარეთისა და რუმინეთის შემთხვევაში ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. ამ პირობებში შუალედური გამოსავალი იყო წევრობის რამდენიმე წლით გადადება.

ევროკავშირს შეეძლო, ეს ქვეყნები განუსაზღვრელი ვადით დაეტოვებინა გარეთ, მაგრამ ამით შესუსტდებოდა მათზე გავლენის მოხდენის ბერკეტები და დაზიანდებოდა ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის საერთაშორისო იმიჯი. სანაცვლოდ, ევროკავშირმა გაწევრიანების მოლაპარაკებებში შეიტანა მუხლები, რომლის მიხედვითაც მას შესაძლებლობა ექნებოდა, დაეჯარიმებინა ბულგარეთი და რუმინეთი იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გაატარებდნენ ადმინისტრაციულ და სამართლებრივ რეფორმებს ან შეწყვეტდნენ კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულტან ბრძოლას. კერძოდ, ევროპულ კომისიას შეეძლებოდა, შეეჩერებინა ფინანსური ტრანსფერები, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის სუბსიდიები და რეგიონული განვითარების ფონდები. აგრეთვე, ევროპულ კომისიას შეეძლებოდა, შეეწყვიტა ბულგარეთსა და რუმინეთში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარება ევროკავშირის მასშტაბით, რაც მნიშვნელოვნად შეაფერხებდა ერთიან ბაზარში მათ მონაწილეობას.

ამ შეზღუდვების მიუხედავად, ბრიუსელსა და ევროკავშირში ნაკლები ენთუზიაზმი იყო რუმინეთისა და ბულგარეთის გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, ალბათ გარდაუვლად მოხდენის განწყობით, 2004 წლის დეკემბერში, ქ. ბრიუსელში ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა ორივე ქვეყანასთან გაწევრიანების მოლაპარაკებების დასრულება. მოგვიანებით, 2006 წლის სექტემბერში ევროპული კომისიის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ ბულგარეთსა და რუმინეთს არ დაუწესდებოდათ პირდაპირი შეზღუდვები, მაგრამ ცალკეულ სფეროებში (მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა, კორუფციის აღმოფხვრა და ორგანიზებულ დანაშაულთა ბრძოლა) პროგრესს კომისია მკაცრ მონიტორინგს გაუწევდა.

გაწევრიანების ხელშეკრულებების ხელმოწერის ცერემონია, რომელიც 2005 წლის აპრილში, ლუქსემბურგში გაიმართა, ბევ-

რად ნაკლებ პომპეზური იყო, ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების შემთხვევაში.

ბულგარელებისა და რუმინელების უმრავლესობა მოუთმენლად ელოდა გაწევრიანებას. გაწევრიანების ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხზე რუმინეთის პარლამენტი ერთსულოვანი იყო. ბულგარეთის პარლამენტის შემთხვევაში მხოლოდ ერთმა პარლამენტარმა არ დაუჭირა მხარი რატიფიკაციას. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული პარლამენტები დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდნენ ამ მოვლენას, თუმცა, არცერთმა მათგანმა არ დაბლოკა ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანება. შედეგად, 2007 წლის იანვარში ორივე ქვეყანა ოფიციალურად გახდა ევროკავშირის წევრი.

ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანების მიუხედავად, ევროკავშირის ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ ამ სახელმწიფოების მოქალაქეებისთვის შეინარჩუნა სამუშაო ნებართვის აღების ვალდებულება. 2005 წლის გაწევრიანების ხელშეკრულებაში არსებობდა მუხლი, რომლითაც ევროკავშირის წევრებს შეეძლოთ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში (2+3+2 წელი) დაეწესებინათ ამგვარი შეზღუდვა. 2014 წლის 1-ლი იანვრისთვის, გაწევრიანებიდან შვიდი წლის შემდეგ, ეს შეზღუდვები სრულად მოიხსნა.

ხორვატიის გაწევრიანება

ხორვატიამ ევროკავშირში გაწევრიანება მხოლოდ 2013 წლის 1 ივლისს შეძლო. არსებობდა ასეთი დაგვიანების რამდენიმე მიზეზი. ავტორიტარული პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული მემკვიდრეობის გარდა, მათ შორის იყო დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ერი-სახელმწიფოს მშენებლობის რთული პროცესი, პოსტ-კონფლიქტური მემკვიდრეობა და საკამათოთ ქცეული პოლიტიკური საკითხები. ამან შეაფერხა დემოკრატიზაცია და ნეგატიური გავლენა იქონია გარდამავალი პოლიტიკური ელიტების ჩამოყალიბებაზე, გარდამავალი სტრატეგიების არჩევანზე, პოლიტიკური ხელისუფლებების ქმედებებზე, ერი-

სახელმწიფოს საკონსტიტუციო მოდელსა და პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტების ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე.

დემოკრატიული ტრანზიციის ნელი პროცესისა და დემოკრატიული დეფიციტის მიუხედავად, რომელიც განსაკუთრებით 1990-იან წლებში არსებობდა, ევროკავშირში წევრობა ყოველთვის იყო ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. ხორვატიის საზოგადოებისა და მთავრობების პრო-ევროპული ორიენტაცია და ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანებაზე კონსენსუსი იყო გაწევრიანების პროცესის მთავარი, მაგრამ არასაკმარისი წინაპირობა. კერძოდ, ევროკავშირი მოითხოვდა კონკრეტული დემოკრატიული სტანდარტების მიღწევას, რისმა შეუსრულებლობამაც რამდენიმე წლით გაახანგრძლივა ორგანიზაციაში ხორვატიის ინტეგრაცია. ამასთან, გაჭიანურებულმა პროცესმა ხელი შეუწყო ევროსკეპტიკოსების გაძლიერებას და ხორვატულ საზოგადოებაში გაწევრიანების მხარდამჭერის შემცირებას.

ხორვატიის მხრიდან ევროკავშირის კანონმდებლობასთან სამართლებრივი, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ჰარმონიზაციისა და რეფორმების გრძელი პერიოდი და ქვეყნის მიერ წინა გაფართოებებთან შედარებით მაღალი კრიტერიუმების დაკმაყოფილება ასახავდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან იმ სკეპტიკურ განწყობას, რაც თან ახლდა დამატებით გაფართოებას. რუმინეთისა და ბულგარეთის გამოცდილების გათვალისწინებით, ისინი განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდებოდნენ არასათანადო მომზადების გარეშე პოტენციური კანდიდატების მიღებას. აგრეთვე, ამას ემატებოდა მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი, ევროზონის კრიზისი და სამხრეთულ ქვეყნებში (საბერძნეთი, ესპანეთი, პორტუგალია) არსებული სერიოზული პრობლემები.

სწორედ ამ რთულ პირობებსა და კონტექსტში მოუწია ხორვატიას ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მომზადება და გაწევრიანების მოლაპარაკებების წარმოება. ქვეყანამ გაწევრიანებაზე ოფიციალური განაცხადი 2003 წელს გააკეთა, ევროპული საბჭოსგან კი კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, ევროპული კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, 2004 წლის შუა პერიოდში

მიიღო. ე.წ. სკრინინგის პროცესთან ერთად, გაწევრიანების მოლაპარაკებები 2005 წლის ოქტომბერში დაიწყო.

ხორვატიის გაწევრიანების პროცესი მოიცავდა მართლმსაჯულების რეფორმებსა და ადამიანის უფლებების პატივისცემის დანერგვას (კორუფციასთან ბრძოლას შეეწირა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ივო სანადერი, რომელიც ქრთამის აღებისთვის გაასამართლეს). აგრეთვე, ხორვატია იძულებული გახდა, ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალისთვის გადაეცა თავისი რამდენიმე მოქალაქე. სასამართლოსთან თანამშრომლობის ნაკლებობა იყო ევროკავშირთან სტაბილიზაციისა და ასოცირების ხელშეკრულების შეჩერების მიზეზი. ხორვატიასთან გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყებაზე ევროპული საბჭოს მიერ 2004 წელს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების წინაპირობა სწორედ სასამართლოსთან სრული თანამშრომლობა იყო. 2005 წლის 16 მარტს, მოლაპარაკებების დაწყების წინა დღეს, ევროკავშირმა გადადო პროცესის დაწყება იმ მოტივით, რომ ხორვატია სათანადოდ არ ცდილობდა სასამართლოს მიერ ომის დანაშაულებსა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ბრალდებული ყოფილი გენერლის ანტე გოტოვინას დაკავებას. ბოლოსდაბოლოს, ხორვატიის მთავრობის დახმარებით, ესპანეთის პოლიციამ გოტოვინა კანარის კუნძულებზე დააკავა და სასამართლოს ჰააგაში გადასცა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი მოლაპარაკებების დაწყება.

ხორვატიის გაწევრიანების პროცესი მნიშვნელოვნად შეფერხდა ასევე ევროკავშირის წევრ სლოვენიასთან არსებული სასაზღვრო, განსაკუთრებით, პირანის ყურის მონაკვეთზე, დავის გამო. ამ მიზეზით, 2008 წლის დეკემბრიდან 2009 წლის ოქტომბრამდე სლოვენია ბლოკავდა ხორვატიის გაწევრიანებას. საბოლოოდ, 2010 წლის 6 ივნისს, სლოვენიამ მხარი დაუჭირა აღნიშნულ სასაზღვრო დავაზე გაეროს არბიტრების გადაწყვეტილებას, რამაც მოხსნა ევროკავშირში ხორვატიის წევრობის ყოველგვარი დაბრკოლება.

ხორვატიამ გაწევრიანების მოლაპარაკებები 2011 წლის 30 ივნისს დაასრულა, 2011 წლის 9 დეკემბერს კი ხელი მოაწერა გაწევრიანების ხელშეკრულებას. 2012 წლის 22 იანვარს ხორვატიაში გაიმართა რეფერენდუმი, რომელზეც მოსახლეობის 66%-მა მხარი დაუჭირა ევროკავშირის წევრობას. რატიფიკაციის პროცესი ევროკავშირში 2013 წლის 21 ივნისს დასრულდა, 2013 წლის 1-ელ ივლისს კი ხორვატია ოფიციალურად გახდა ევროკავშირის წევრი.

ბულგარეთისა და რუმინეთის მსგავსად, ევროკავშირის წევრობის მიუხედავად, ხორვატიასაც ჰქონდა გარკვეული შეზღუდვები. კერძოდ, ხორვატი მუშახელის თავისუფალი გადაადგილება შეზღუდული იყო შვიდწლიანი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში.

თავი 9

1990-2000-იანი წლები: ინსტიტუციური და პროგრამული გამოწვევები

ინსტიტუციური გამოწვევები ამსტერდამიდან ნიცამდე

ევროკავშირს ჯერ კიდევ 1990-იანი წლების შუა პერიოდში შეეძლო ინსტიტუციური რეფორმის განხორციელება, როდესაც სამი ქვეყანა გახდა მისი წევრი და როდესაც რამდენიმე წელიწადში „დიდი გაფართოება“ ახლოვდებოდა. მაასტრიხტის ხელშეკრულებით შემდეგი ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია 1996 წლისთვის დაიგეგმა იმ მიზნით, რომ მომხდარიყო ჯერ კიდევ არსებული სირთულეების მოგვარება, განსაკუთრებით, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში. იყო მოლოდინი, რომ 1996-1997 წლების ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია ინსტიტუციურ რეფორმებზე დისკუსიისთვის იქნებოდა გამოყენებული. თუმცა, არავინ ელოდა რადიკალურ ცვლილებებს ევროკავშირის ინსტიტუციურ სტრუქტურასა თუ გადაწყვეტილების მიღების პროცედურებში, რაც ძალიან ამბიციური და პოლიტიკურად სარისკო საქმე იქნებოდა.

მართლაც, კომისიის, მინისტრთა საბჭოსა და პარლამენტის წევრებით დაკომპლექტებული კვლევითი ჯგუფის (*Reflection Group*) რეკომენდაციით, განსახორციელებელი იყო მხოლოდ მცირე ინსტიტუციური რეფორმა, მაგალითად, კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრისა და თანაგადაწყვეტის პროცედურის უფრო ხშირი გამოყენება. კვლევითი ჯგუფის პირველი შეხვედრა 1995 წლის ივნისში სიცილიის ქალაქ მესინაში შედგა. ზუსტად 40 წლის წინ ამავე ქალაქში საგარეო საქმეთა მინისტრებმა, ფაქტობრივად, გამოაცოცხლეს ევროპული ინტეგრაცია, ამიტომ ამჟამინდელ შეხვედრას ერთგვარი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. თუმცა, სიმბოლიზმის მიუხედავად, ჯგუფმა გაცილებით ნაკლებ მასშტაბური ცვლილებების შემოთავაზება

მოახდინა. ჯგუფის მთავარი მიზანი მომდევნო ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციისთვის რეალური დღის წესრიგის შედგენა და მოსალოდნელი თანხმობის, გადაკვეთის წერტილების დადგენა იყო. მაგრამ მონაწილეთა განსხვავებული მიდგომები და პრიორიტეტები თავიდანვე ნათელი იყო - ერთ მხარეს იყვნენ კომისია, პარლამენტი და რამდენიმე სუპრანაციონალური მსოფლმხედველობის მქონე ქვეყნები, მეორე მხარეს კი ინტერგავერნმენტალიზმის მხარდამჭერები, განსაკუთრებით, ბრიტანეთი, დანია და შვედეთი. კვლევითმა ჯგუფმა თავისი საბოლოო ანგარიში ევროპულ საბჭოს 1995 წლის დეკემბერში მადრიდის სამიტზე წარუდგინა.

აშკარა იყო, რომ ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის დღის წესრიგში „მოქნილობა" (*flexibility*) და „გაღრმავებული თანამშრომლობა" (*enhanced cooperation*) მთავარი ინსტიტუციური საკითხი იქნებოდა. ხელშეკრულებებში „ჩამატებული პუნქტების" იდეა (რომელიც გამონაკლისის სახით ნებას აძლევდა ცალკეულ ქვეყნებს, პოლიტიკის ზოგიერთ მიმართულებაში უფრო მჭიდრო თანამშრომლობაში მონაწილეობა არ მიეღოთ) აქტუალური გახდა რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, უკვე არსებობდა ამის პრეცენდენტი, როდესაც მაასტრიხტის ხელშეკრულებას დაემატა გამონაკლისის პუნქტები (*Opt-out clause*) და როდესაც დანიისთვის განხორციელდა სპეციალური დათმობა იმ მიზნით, რომ გადაელახათ მაასტრიხტის ხელშეკრულების რატიფიკაციის კრიზისი. მეორე, იყო იმის დიდი ალბათობა, რომ წევრი სახელმწიფოების მხოლოდ ნაწილი შეძლებდა ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მესამე ეტაპში მონაწილეობას. ემკ-ის წარმატების მიზნით, ევროკავშირის წევრები შეთანხმდნენ, რომ ემკ-ში მონაწილე ქვეყნებს უნდა ჰქონოდათ ეკონომიკისა და ფისკალური პოლიტიკის კონკრეტულ სფეროებში უფრო მჭიდრო თანამშრომლობის საშუალება, და, ამავე დროს, მასში არმონაწილე ქვეყნებს არ უნდა დაებრკოლებინათ ეს პროცესი. ყველას აზრით, ბრიტანეთი უპირველესი სკეპტიკოსი სახელმწიფო იყო. მართლაც, სწორედ ბრიტანეთი იყო იმის უმთავრესი მიზეზი, თუ რატომ იყო „გაღრმავებული თანამშრომლობის"

იდეა ასე აქტუალური. და ბოლოს, ფართო მასშტაბიანი გაფართოების პერსპექტივა კიდევ უფრო აქტუალურს ხდიდა „გაღრმავებულ თანამშრომლობას“.

„გაღრმავებული თანამშრომლობის“ არსი კარგად გადმოსცეს გერმანიის მმართველი კონსერვატიული პარტიის წევრებმა. მათი აზრით (რაც ასახავდა ასევე ოფიციალური გერმანიის აზროვნებასა და პოზიციასაც), იმ ქვეყნების ურთიერთობა, რომლებიც დაინტერესებული და ორიენტირებული იყვნენ უფრო მჭიდრო ინტეგრაციითა და თანამშრომლობით, აუცილებლად კიდევ უფრო უნდა გაძლიერებულიყო. „გაღრმავებული თანამშრომლობა“ კი ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო სტრატეგია, ინსტრუმენტი, მეთოდი იყო.

ამსტერდამის ხელშეკრულება

ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია 1996 წლის მარტში ტურინის სპეციალურ სამიტზე დაიწყო. 1997 წლის დასაწყისამდე მოლაპარაკებები უშედეგოდ მიმდინარეობდა. მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო რეალურ შედეგებზე საუბარი, როდესაც ივნისის ამსტერდამის სამიტისთვის სავარაუდო შეთანხმების მიღწევის ვარაუდები იქნა გამოთქმული. წევრი ქვეყნები უცდიდნენ ბრიტანეთის არჩევნებს და განგებ აჭიანურებდნენ მოლაპარაკებებს. საქმე ის იყო, რომ არჩევნები მაქსიმუმ 1997 წლის მაისში ჩატარდებოდა და ისეთი პირი უჩანდა, რომ მეიჯორის კონსერვატორები დამარცხდებოდნენ ტონი ბლერის ლეიბორისტებთან, რომლებიც უფრო პროევროპული განცხადებებით გამოირჩეოდნენ. მართლაც, ლეიბორისტებმა გაიმარჯვეს.

მოლაპარაკებების კვალდაკვალ „გაღრმავებული თანამშრომლობა“ ნაკლებ საკამათო გახდა. შედგა კონსენსუსი, რომლის მიხედვითაც „მოქნილობა“ არ იქნებოდა მუდმივად და ხშირად გამოყენებული და რომ ის ბოლო ალტერნატივა და კონკრეტული სირთულიდან დროებითი გამოსავალი იქნებოდა. 1995 წლის დეკემბერში, ინტერგავერნმენტალისტური

კონფერენციის დაწყებამდე, კოლისა და შირაკის ერთობლივი წინადადებით შეთანხმდნენ, რომ „მოქნილობა“ განხორციელდებოდა ევროკავშირის შიგნით და არა გარეთ, მხოლოდ ევროკავშირის ინსტიტუტების, პროცედურებისა და მექანიზმების გამოყენებით. ამის გამო „მოქნილობის“ პირობები მისაღები გახდა იტალიისა და ევროკავშირის სხვა არადამფუძნებელი ქვეყნებისთვის. მომლაპარაკებლებმა გადაწყვიტეს „მოქნილობის“ ხელშეკრულებაში შეტანა იმ მიზნით, რომ მკაცრად განესაზღვრათ მისი გამოყენების პირობები და მექანიზმები და ამით თავიდან აეცილებინათ ევროკავშირის წესებისა და რეგულაციებისადმი მისი ხშირი გამოყენებით გამოწვეული საფრთხეები. მათ ჩამოაყალიბეს დასაშვებადობის პუნქტები, რომლის მიხედვითაც ქვეყნების უმრავლესობას უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ნება მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში ეძლეოდათ. ასევე, მათში აღწერილი იყო ის, თუ პოლიტიკის ცალკეულ მიმართულებებში როგორ შეეძლოთ მათ ამის განხორციელება. ამასთან, ხელშეკრულებას დაემატა მუხლი, რომლის მიხედვითაც ეროვნული ინტერესების საფუძველზე და მათი გათვალისწინებით წევრ ქვეყანას შეეძლო დაებლოკა „მოქნილობის“ განხორციელება. ეს მუხლი გათვალისწინებული იყო ბრიტანეთისა და სხვა წევრებისთვის, რომლებიც შიშობდნენ, რომ „გაღრმავებული თანამშრომლობა“ ხშირად ადეკვატურად და საჭიროებისამებრ არ იქნებოდა გამოყენებული. საბოლოო ჯამში, „მოქნილობა“ ამსტერდამის ხელშეკრულების მნიშვნელოვან ინსტიტუციურ ინოვაციად იქცა. თუმცა, პრაქტიკაში მისი განხორციელება, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, თითქმის შეუძლებელი გახდა.

ამგვარად, არაფორმალური დიფერენცირებული ინტეგრაცია („მოქნილობისა“ და „გაღრმავებული თანამშრომლობის“ ნათელი გამოხატულება) ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებების მნიშვნელოვანი პრინციპი გახდა. მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის ხელისუფლება შეიცვალა და გაჩნდა იმის ალბათობაც, რომ ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მესამე ეტაპი 1999 წელს ქვეყნების უმრავლესობასთან ერთად დაიწყე-

ბოდა, „მოქნილობამ“ ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის ბოლოს დაკარგა ის აქტუალობა, რაც მოლაპარაკებების დასაწყისში ჰქონდა. ამის მიუხედავად, მოსალოდნელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული გაფართოების კონტექსტში მან რელევანტურობა მაინც შეინარჩუნა.

ინტერგავერნმენტალისტურ კონფერენციაზე განხილულ იქნა სამი ერთმანეთთან დაკავშირებული ინსტიტუციური რეფორმა: მინისტრთა საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის პროცედურის დაფარვის სფეროების გაზრდა, წევრ ქვეყნებს შორის აწონილი ხმების ხელახალი გადანაწილება და კომისრების შემცირება ერთი ქვეყანა-ერთი კომისრის პრინციპით. დიდი ქვეყნები განსაკუთრებით იყვნენ შეშფოთებულები იმით, რომ გაფართოებების პარალელურად მათი ხმების წონა იკლებდა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული გაფართოების გამო (კანდიდატი ქვეყნების უმრავლესობა პატარა სახელმწიფო იყო), კიდევ უფრო ნეგატიურად იყვნენ ამ საკითხისადმი განწყობილები. ამიტომ იმისათვის, რომ კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრა გავრცელებულიყო ისეთ საკითხებზე, რომლებსაც აქამდე ერთსულოვნების პროცედურა ფარავდა, დიდმა ქვეყნებმა მოითხოვეს ან მათი ხმების გაზრდა ან ორმაგი უმრავლესობის შემოღება (ტრადიციული კვალიფიციური უმრავლესობის პირობას დამატებული დემოგრაფიული კრიტერიუმი).

მინისტრთა საბჭოში ხმების რაოდენობა მჭიდროდ გახდა დაკავშირებული პოლიტიკურად კიდევ ერთ სენსიტიურ საკითხთან - კომისრების რიცხვთან. ფორმულა - პატარა ქვეყნებისთვის ერთი კომისარი, დიდი ქვეყნებისთვის კი ორი - ევროპული თანამეგობრობის დაარსებიდან არ შეცვლილა. ამიტომ კოლეგია 1958 წელს ცხრა წევრიდან 1996 წელს ოც წევრამდე გაიზარდა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული გაფართოების არგუმენტით, წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ კომისია მსგავსი ტემპებით არ შეიძლებოდა გაზრდილიყო. პატარა ქვეყნები მხარს უჭერდნენ კომისრების შემცირებას იმ პირობით, თუ მათი წარმომადგენლობა არ შემცირდებოდა (ანუ დიდსა და პატარა ქვეყნებს თითო-თითო კომისარი უნდა ჰყოლოდა). დიდი

ქვეყნები კი, მინისტრთა საბჭოში მათი ხმების გაზრდის სანაცვლოდ, მზად იყვნენ ერთი კომისრით ყოფილიყვნენ წარმოდგენილი. უფრო რადიკალური წინადადება წარადგინა საფრანგეთმა, რომელსაც კომისიის ზომასა და წევრი ქვეყნების რაოდენობას შორის კავშირის საერთოდ გაწყვეტა სურდა. მისი ინიციატივით, კომისართა რაოდენობა 10-12 წევრამდე უნდა შემცირებულიყო (ოღონდ, ამათგან ერთი მუდმივად ფრანგი იქნებოდა).

ბოლოს, 1997 წლის ივნისის ამსტერდამის სამიტზე ლიდერები შეთანხმდნენ, რომ კვალიფიციური უმრავლესობის პროცედურა რამდენიმე ახალ სფეროს დაფარავდა. ამის საპირისპიროდ, ვერ შედგა მათი შეთანხმება მინისტრთა საბჭოში ხმების ხელახალ გადანაწილებასა და კომისიის ზომასა და შემადგენლობაზე. ამ მოლაპარაკებებით კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ინსტიტუციური საკითხები ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის პოლიტიკურად ზედმეტად სენსიტიურ ხასიათს ატარებდა. სამიტის ბოლო ღამეს, დაღლილმა და მოლაპარაკებების გაგრძელების არმოსურნე ლიდერებმა გადაწყვიტეს, რომ გაფართოებამდე გამართავდნენ კიდევ ერთ ინტერგავერნმენტალისტურ კონფერენციას, რომლის დროსაც დეტალურად და ყოვლისმომცველად მიმოიხილავდნენ ინსტიტუტების შემადგენლობისა და ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებების მუხლებს. სწორედ ეს გახდა 2000 წლის ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის ბაზისი, რაც მოგვიანებით ნიცის ხელშეკრულებაში აისახა.

ამსტერდამის სამიტზე ლიდერებმა ინსტიტუციური რეფორმის რთული საკითხი დროებით ალბათ იმიტომ მოიშორეს, რომ გაფართოება ჯერ მწვავედ არ იდგა დღის წესრიგში. ამის მიუხედავად, ამსტერდამის ხელშეკრულება მაინც შეიცავდა რამდენიმე აღსანიშნავ ინსტიტუციურ ცვლილებას. პარლამენტის სასარგებლოდ, ხელშეკრულებამ საკანონდებლო გადაწყვეტილების მიღების თანამშრომლობის პროცედურა თითქმის უფუნქციოდ დატოვა. სამაგიეროდ, გაზარდა და გაამარტივა თანაგადაწყვეტის პროცედურა. ასევე, პარლამენტის ინიციატივით პარლამენტარების რაოდენობა 700-ით განისაზღვრა. საფრანგეთის დაჟინებული მოთხოვნით კი, წევრი ქვეყნები შეთანხმდ-

ნენ, რომ პარლამენტის პლენარული სხდომების უმრავლესობა სტრასბურგში გაიმართებოდა (იმის მიუხედავად, რომ პარლამენტის სამდივნო ბრიუსელში მდებარეობდა). ეს დასანანი ნაბიჯი იყო, ვინაიდან პარლამენტის პერიპეტიულმა არსებობამ (ანუ თვის განმავლობაში ბრიუსელსა და სტრასბურგში წინ და უკან სიარულმა) ინსტიტუტის სანდოობა და ეფექტურობა შეამცირა.

ნიცის ხელშეკრულება

2000 წელს ევროკავშირმა ახალი ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია დაიწყო იმ მიზნით, რომ გადაეწყვიტა ე.წ. ამსტერდამის დანატოვარი (კვალიფიციური უმრავლესობის კიდევ უფრო გაფართოება, მინისტრთა საბჭოში ხმების გადანაწილება და კომისიის შემადგენლობა). წევრმა ქვეყნებმა ასევე განიხილეს ახალი პოტენციური წევრი სახელმწიფოების ხმებისა და ადგილების რაოდენობაც. კონფერენციის დღის წესრიგი ძალიან შეზღუდული და არადამაკმაყოფილებელი იყო. კომისიის დავალებით „ბრძენმა კაცებმა“ მოამზადეს ანგარიში კონფერენციის შესაძლო დღის წესრიგის შესახებ. მათ ხელმძღვანელობდა ბელგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ევროფედერალისტი ჟან-ლუკ დეჰაენი. ანგარიშის მიხედვით, რეკომენდირებულ იყო დღის წესრიგის გაფართოება. თუმცა, წევრი ქვეყნების უმრავლესობა მაინც მხოლოდ გაფართოებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური რეფორმის მომხრე იყო.

2000 წლის პირველ ნახევარში პორტუგალიის თავმჯდომარეობის დაჟინებული მოთხოვნით, „მოქნილობა“ ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის დღის წესრიგში იქნა დამატებული. ზოგიერთი ქვეყანა შიშობდა, რომ „მოქნილობა“ საფრთხეს უქმნიდა ევროკავშირის ერთიანობასა და მასში საკუთარ პოზიციებს. თუმცა, ამსტერდამის ხელშეკრულებაში მისი დამატებით მათ გარკვეული დათმობების გაკეთება უკვე მოუწიათ. ამიტომ, ამჯერად „მოქნილობის“ პრაქტიკაში განხორციელებაზე ნებართვის მიცემა მათთვის დიდი მოულოდნელობა და წინააღმდეგო-

ბის შემცველი აღარ იყო. შედეგად, შეთანხმდნენ, რომ „მოქნილობის“ განხორციელებაზე ეროვნულ ვეტოს გააუქმებდნენ და ასევე შეამცირებდნენ პროცედურის ინიცირებისთვის საჭირო სახელმწიფოების რაოდენობას.

მოლაპარაკებების კვალდაკვალ დაპირისპირება გამწვავდა დიდ და პატარა ქვეყნებს შორის მინისტრთა საბჭოში ხმების რაოდენობისა და კომისიის ზომის საკითხებზე. საფრანგეთი დიდი ქვეყნების სასარგებლოდ ხელახალი ინსტიტუციური ბალანსირების მომხრე იყო. მან (ცუდად) გამოიყენა თავისი, როგორც 2000 წლის მეორე ნახევარში თავმჯდომარე ქვეყნის, პოზიცია და საკუთარი ინტერესების დაცვა თავგამოდებით დაიწყო, რამაც 2000 წლის ოქტომბრის ბიარიცის არაფორმალურ სამიტზე ევროკავშირის ლიდერების გაღიზიანება გამოიწვია. სამიტის შემდეგ საფრანგეთმა განაცხადა, რომ ბიარიცმა კონფერენციის წინ სიტუაცია განმუხტა. რეალურად კი, 2000 წლის დეკემბრის ნიცის სამიტისთვის ამან საფუძველი დაუდო პატარა ქვეყნების მიერ ინსტიტუციური წარმომადგენლობის დაცვის გაცხარებულ ბატალიებს.

ხმების გადანაწილებამ გააღრმავა დაპირისპირება არა მხოლოდ დიდ და პატარა ქვეყნებს შორის, არამედ პატარა ქვეყნების შიგნითა და დიდი ქვეყნების შიგნითაც. საფრანგეთი მოწოდებული იყოს იმისკენ, რომ გერმანიის რაოდენობის ხმები ჰქონოდა (იმის მიუხედავად, რომ გერმანიის მოსახლეობა საფრანგეთისაზე გაცილებით მეტი იყო). თავისი პოზიციის დასაცავად, გოლისტ შირაკს ჟან მონეს არგუმენტიც კი მოჰყავდა, რომ მინისტრთა საბჭოში საფრანგეთისა და გერმანიის ხმების თანაბარი განაწილება, თანასწორობა ორიგინალური ფრანგულ-გერმანული გარიგების განუყოფელი ნაწილი იყო. გერმანიის ახალი კანცლერი შროდერი დასთანხმდა შირაკის მოთხოვნას იმ პირობით, რომ კვალიფიციური უმრავლესობის პროცედურას დაემატებოდა დემოგრაფიული კომპონენტი. რაც შეეხება პატარა ქვეყნებს, ნიდერლანდებმა მოსახლეობის რაოდენობით მასზე პატარა ბელგიის გულისწყრომა გამოიწვია, როდესაც მან მინისტრთა საბჭოში ბელგიასთან შედარებით მეტი ხმები მოითხოვა.

ამით ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ტრადიციული პარიტეტი, თანასწორობის ბალანსი ერთხელ და სამუდამოდ დაირღვა.

ძალიან იშვიათად დაუთმია ინტერგავერნმენტალისტურ კონფერენციას ამდენი დრო ასეთი მცირე შედეგების მქონე ასეთი მცირე რაოდენობის საკითხებისთვის. წევრმა ქვეყნებმა კონფერენციის უდიდესი დრო თავიანთი პოზიციების შესახებ ერთიდაიგივეს განმეორებას დაუთმეს. კონკრეტულად ნიცის სამიტზე კი მათ დღის წესრიგს თითქმის მთლიანად გადაუხვიეს. ევროპულ საბჭოს სამი დღე დასჭირდა ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის დასრულებისთვის, ორი დღე კი ლიდერებმა ევროკავშირის სხვა საკითხებს დაუთმეს. ჯამში, ნიცის სამიტი ევროკავშირის ისტორიაში ყველაზე გრძელვადიანი გამოდგა. თუმცა, მისი შედეგები ნაკლებ ამბიციური იყო. ნიცის სამიტზე მიღწეული შეთანხმებით, შემოღებულ იქნა სამმაგი უმრავლესობა: აწონილი ხმების კვალიფიციური უმრავლესობა (72%), წევრი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა (50%+1) და, წევრი ქვეყნის მოთხოვნის შემთხვევაში, ევროკავშირის მოსახლეობის კვალიფიციური უმრავლესობა (62%). საბოლოო ჯამში, ბელგიამ დათმო ჰოლანდიასთან შედარებით ნაკლები ხმების ქონის საკითხში, ოღონდ იმ პირობით, რომ ევროპული საბჭოს ყველა სხდომა (ანუ სამიტები) ამიერიდან ბრიუსელში ჩატარდებოდა. ნიცის ხელშეკრულებამ ასევე გაზარდა კვალიფიციური უმრავლესობის კენჭისყრას განკუთვნილი სფეროების რაოდენობა.

კონფერენციის დასაწყისში დიდ ქვეყნებს სურდათ, კომისრების რაოდენობა წევრი ქვეყნების რაოდენობაზე მცირე ყოფილიყო. მათი პოზიციით, კომისრების შერჩევა უნდა მომხდარიყო ერთობლივად შემუშავებული სისტემით, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა წევრ სახელმწიფოს შორის თანასწორობის დაცვას. თუმცა, პატარა ქვეყნები არ დაეთანხმნენ ამგვარ შემოთავაზებას, ვინაიდან ეშინოდათ, რომ დიდი ქვეყნები მათ საწინააღმდეგოდ გამოიყენებდნენ ამგვარ სისტემას. მათ დიდ ქვეყნებს ასევე არ დაუთმეს მინისტრთა საბჭოში ხმების გაზრდის საკითხი. საბოლოო ჯამში, შეთანხმდნენ, რომ თითოეულ ქვეყანას ეყოლებოდა ერთი კომისარი მანამ, სანამ ევროკავში-

რის წევრების რაოდენობა 27-ს მიაღწევდა. ამ უკანასკნელის შემთხვევაში კი მოხდებოდა კომისრების როტაცია მოგვიანებით შემუშავებული სისტემის მიხედვით. ნიცის ხელშეკრულებამ ცვლილებები შეიტანა პარლამენტარების რაოდენობაშიც - ზედა ზღვრად 700-ის ნაცვლად 750 დადგინდა. შესაბამისად, წევრ ქვეყნებს თავიანთი ეროვნული დელეგაციების რაოდენობის შემცირება მოუწიათ იმ მიზნით, რომ გაფართოებულ ევროკავშირში ახალი წევრებისთვისაც მომხდარიყო შესაბამისი კვოტების გამოყოფა.

ნიცის ხელშეკრულებამ გაფართოებისთვის ევროკავშირის ინსტიტუციურად მომზადების პროცესის მხოლოდ შეზღუდულ წინსვლას დაუდო საფუძველი. მან უფრო გაართულა გადაწყვეტილების მიღების ისედაც რთული სისტემა (მან შემოიტანა წევრი ქვეყნების რაოდენობისა და ევროკავშირის მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლები). კომისიის ზომისა და შემადგენლობის მუხლები კი ნიცის აშკარა ნაკლოვანი დანატოვარი იყო.

ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის უღიმღამო შედეგმა ევროკავშირი და ხელშეკრულების რეფორმის პროცესი არაპოპულარობისთვის გაწირა. 2001 წლის ივნისში ირლანდიის ამომრჩეველმა (64%-ით) რეფერენდუმის გზით უარყო ხელშეკრულება. რეფერენდუმზე ხელშეკრულების ჩავარდნამ ევროკავშირის გაფართოების პროცესიც საფრთხის ქვეშ დააყენა. თუმცა, რეფერენდუმიდან ერთი კვირის შემდეგ ევროპულმა საბჭომ განაცხადა, რომ 2004 წლის დასაწყისისთვის ევროკავშირი მაინც გაფართოვდებოდა. კომისიისა და სხვა მთავრობების მხარდაჭერით, ირლანდიის ხელისუფლება მუშაობდა იმაზე, რომ ხელახალ რეფერენდუმზე (რომელიც 2002 წლის ოქტომბერში იყო დანიშნული) მოსახლეობისგან თანხმობა მიეღო. ამის პარალელურად, *კონვენცია ევროპის მომავალზე* ბრიუსელში უკვე მუშაობდა მომავალი ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის მომზადებაზე. ახალი კონფერენციის მიზანი იყო გაფართოების შემდეგ ევროკავშირის ფორმისა და სტრუქტურის განხილვა. ამიტომ გაუგებარი იყო, თუ რატომ ანიჭებდა ნიცის ხელშეკრულებას ევროკავშირი ამხელა მნიშვნელობას. ასე იყო

თუ ისე, ევროკავშირის ისტებლიშმენტისა და კანდიდატი ქვეყნების გასახარად, გაცილებით მაღალი აქტივობის წყალობით ირლანდიის ამომრჩეველმა ამჯერად მხარი დაუჭირა (63%) ნიცის ხელშეკრულებას.

ნიცის პოლიტიკური მემკვიდრეობა გაცილებით მდგრადი და მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მისი ინსტიტუციური მუხლები. ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის წარმოების დაძაბულმა და მომწამლავმა ხასიათმა საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს ხელშეკრულების რეფორმაზე ინტერგავერნმენტალისტური მოლაპარაკებების სურვილი დაუკარგა. დიდ და პატარა ქვეყნებს შორის უნდობლობა და კონკრეტულ ქვეყნებს შორის მწვავე, დაძაბული ურთიერთობები ასევე ნიცის მემკვიდრეობის ნაწილი იყო. პატარა წევრმა და აპლიკანტმა ქვეყნებმა გააცნობიერეს, რომ ევროკავშირი დიდი ქვეყნების მიერ დომინირებული ინტერგავერნმენტალისტური მიმართულებით მიდიოდა. კონფერენციის განმავლობაში საფრანგეთის საქციელი კი განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო და გრძელ ვადაში შეიძლება, მისი პოზიცია ევროკავშირში შეესუსტებინა კიდეც. საფრანგეთმა ძლიერი ანტიპათია გამოიწვია არა მხოლოდ პატარა ქვეყნებში, არამედ ევროკავშირში მის ტრადიციულ პარტნიორ გერმანიაშიც.

სხვა ინსტიტუციური რეფორმები

გაფართოებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური გამოწვევები საჭიროებდა როგორც ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ, ასევე მასთან არადაკავშირებულ რეფორმას. ეს უკანასკნელი შეიძლებოდა განხორციელებულიყო ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის ჩატარებისა და ხელშეკრულების ფორმალური ცვლილების გარეშეც. ამიტომ იგი მთავარი გამოსავალი იყო იმისა, რომ ევროკავშირს გაფართოებაზე მოეხდინა ინსტიტუციური ადაპტაცია. ამგვარი რეფორმა 1999 წლის მარტში კომისიის გადადგომის საპასუხოდ (კომისიის მისამართით იყო კორუფციისა და არასათანადო მართვის ბრალდებები) და-

იწყო. გაფართოების მოახლოების პარალელურად იგი სხვა ინსტიტუტებზეც გავრცელდა.

კომისიის გადადგომამ ინსტიტუციურ ცვლილებებს დაუდო სათავე. კომისიის ახალმა პრეზიდენტმა რომანო პროდიმ გადაწყვიტა ძირფესვიანად შეეცვალა ბრიუსელის ბიუროკრატია. მისი ამბიციური მიზანი ითვალისწინებდა არა მარტო ადმინისტრაციული პროცედურებისა და პრაქტიკის, არამედ კომისიის კულტურის ცვლილებასაც კი. პროდის რეფორმა მოიცავდა კომისრებისა და მაღალი თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის გაძლიერებას, კაბინეტების დენაციონალიზაციასა და გავლენის შემცირებას, პორტფოლიოებისა და გენერალური-დირექტორატების (დეპარტამენტების) არსებით გადახედვასა და თავიდან გადანაწილებას. რეფორმების შეუქცევადობისა და წარმატების უზრუნველსაყოფად პროდიმ კომისიის ვიცე-პრეზიდენტად ნილ კინოკი დანიშნა.

2000 წლის მარტში, კომისიის შიგნითა და გარეთ აქტიური კონსულტაციების შემდეგ, კინოკმა რეფორმის ყოვლისმომცველი სტრატეგია თეთრი წიგნის ფორმით წარმოადგინა. თეთრი წიგნი ორი ნაწილისგან, ორი დოკუმენტისგან შედგებოდა. პირველი ნაწილში დადგენილი და აღწერილი იყო სამი პრიორიტეტი: გრძელვადიანი დაგეგმარება, ფინანსური კონტროლი და მენეჯმენტი, და საკადრო პოლიტიკა. მეორე ნაწილი (მეორე დოკუმენტი) კი უკვე დეტალურ სამოქმედო გეგმას მოიცავდა. კინოკის რეფორმა ძირითადად საჯარო ადმინისტრირების ბრიტანულ და სკანდინავიურ მოდელებს ეფუძნებოდა და უპირისპირდებოდა კომისიაში აქამდე არსებულ ფრანგულ მოდელს. ამიტომ საფრანგეთის მთავრობამ და ბევრმა ფრანგმა მოხელემ დაიწუნა კომისიის რეფორმის სტრატეგია, რომელიც კომისიის საწყის ორგანიზაციულ პრინციპებსა და პათოს უგულვებელყოფდა. მან საფრანგეთში ასევე გაამძაფრა კამათი ევროპული ინტეგრაციის მიმართულებისა და ევროკავშირში საფრანგეთის გავლენის კლების თაობაზე.

კომისიის რეფორმის სტრატეგია გრძელ ვადაზე იყო გათვლილი და იყო პასუხი უფრო კორუფციისა და არასწორი მარ-

თვის ბრალდებებზე, ვიდრე გაფართოების მოსალოდნელ ხელისშემშლელ გავლენაზე. მართლაც, თეთრ წიგნს თითქმის არ უხსენებია გაფართოება. ამის მიუხედავად, რეფორმამ ირიბად მოამზადა კომისიას იმისათვის, რაც უახლოეს მომავალში ევროკავშირში იყო მოსალოდნელი.

ტრიუმფ-პირისის ანგარიშზე დაყრდნობით, 1999 წელს ეროვნულმა მთავრობებმა მინისტრთა საბჭოს რეფორმაც დაიწყეს, თუმცა, იგი გაცილებით ნაკლებ ამბიციური და მასშტაბური იყო, ვიდრე კომისიის რეფორმა. ევროპული საბჭოს მიერ დამტკიცებული ტრიუმფ-პირისის ანგარიშის მითითებები და ოპერაციული რეკომენდაციები მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრების მაკოორდინირებელი როლის გაძლიერებას, საბჭოს კონფიგურაციების შემცირებას, საკანონმდებლო პროცედურების დახვეწასა და ყველა დონეზე მოსამზადებელი სამუშაო პროცესის გაუმჯობესებას. გაფართოების მოახლოებასთან ერთად, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა როტაციული თავმჯდომარეობის ეფექტურობა და შესაძლებლობაც, მაგრამ ეს ცვლილება ხელშეკრულების შეცვლას საჭიროებდა, ამიტომ ამ მიმართულებით გადაწყვეტილების მიღება დროებით გადაიდო.

კომისიისა და მინისტრთა საბჭოსადმი რეფორმების მოწოდებებისა და მხარდაჭერის მიუხედავად, პარლამენტი თავად არ ჩქარობდა „საკუთარი სახლის დალაგებას“. ევროპარლამენტარებმა აღიარეს, რომ საჭირო იყო პარლამენტის რეფორმაც, მათ შორის, პლენარული სესიების უკეთ ორგანიზება, უფრო საინტერესო და პროდუქტიული დებატების გამართვა, კენჭისყრის პროცედურების რაციონალიზაცია, და კანონპროექტში დამატებების რაოდენობის შემცირება. თუმცა, ისინი ამ სირთულეების აღმოსაფხვრელად თითქმის არაფერს აკეთებდნენ. 2002 წლის იანვარში, გაფართოებამდე ორი წლით ადრე, პარლამენტის პრეზიდენტი გახდა პატ კოქსი და მხოლოდ ახლა მოხერხდა მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით პარლამენტის სერიოზული რეფორმის პროგრამის დაწყება. ამ რეფორმების გარეშე პარლამენტი გაფართოებით წარმოშობილი მეტად რთული ადმინისტრაციული

და ორგანიზაციული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდებოდა და შეიძლება ბაბილონის გოდოლსაც კი დამსგავსებოდა.

უფრო მჭიდრო პოლიტიკური კავშირი

გაფართოებისა და ჩვეულებრივი ევროპელებისგან გაუცხოების საპასუხოდ, ევროკავშირმა 1990-იანი წლების განმავლობაში და ახალი ათასწლეულის დასაწყისში უფრო მკაფიო პოლიტიკური პროფილი შეიძინა. მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ევროკავშირი ისეთი პოლიტიკური მიზნებითა და კონსტიტუციური ელემენტებით აღჭურვა, როგორებიც იყო ევროკავშირის მოქალაქეობის ცნება; დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ეროვნული იდენტობების დაცვა; და სუბსიდიარობის პრინციპი. ამსტერდამის ხელშეკრულება ამ მხრივ კიდევ უფრო შორს წავიდა. მასში შეტანილ იქნა მუხლი, რომლის მიხედვითაც ევროკავშირი ეფუძნებოდა თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის, და კანონის უზენაესობის პრინციპებს. ხელშეკრულების ეს მცირედი ცვლილება დიდი მნიშვნელობის მატარებელი იყო. ევროკავშირი და მისი წინამორბედი თანამეგობრობები თავისი არსით, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ერთეულები იყო, თუმცა, მათთვის მკაფიო პოლიტიკური ფასეულობებით დახასიათება წევრ ქვეყნებს აქამდე არასდროს მოუხდენიათ. მათი ჩამონათვალი ასე ნათლად პირველად ამსტერდამის ხელშეკრულებაში ჩაიწერა.

ამსტერდამის ხელშეკრულება შეიცავდა ასევე მუხლს, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო წევრი სახელმწიფოს დასჯა, მისთვის სანქციის დაწესება, თუ იგი უგულვებელყოფდა ხელშეკრულებაში ნახსენებ პრინციპებსა და ფასეულობებს. ევროპულ საბჭოს მიეცა უფლება, კვალიფიციური უმრავლესობით შეეწყვიტა დამრღვევი წევრი სახელმწიფოს გარკვეული უფლებები, მათ შორის, საბჭოში მთავრობის კენჭისყრის უფლება. წევრმა ქვეყნებმა ეს მუხლი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის აპლიკანტების გამო ჩაწერეს. პრინციპში, ეს იყო ამს-

ტერდამის ხელშეკრულების ერთ-ერთი ის მცირეთაგანი მუხლი, რომლის მიღების საფუძველიც მომავალი გაფართოება იყო.

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან მალევე ავსტრიის ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ და უკიდურესი მემარჯვენე თავისუფლების პარტიამ მთავრობის ფორმირების მიზნით მოლაპარაკებები დაიწყეს. თავისუფლების პარტიის ლიდერი იორგ ჰაიდერი ნამდვილი დემაგოგი იყო და რასიზმსა და ქსენოფობიას უჭერდა მხარს. ჰაიდერის მთავრობაში მოსვლით შეშფოთებული ევროკავშირის წევრი ქვეყნები ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი ღონისძიებებით დაიმუქრნენ იმ შემთხვევისთვის, თუ ქრისტიან-დემოკრატები და თავისუფლების პარტია კოალიციას ჩამოაყალიბებდნენ. ამის მიუხედავად, 2000 წლის თებერვალში ამ პარტიებმა უკან არ დაიხიეს და ავსტრიის კოალიციური მთავრობის ფორმირება მაინც განახორციელეს, რის საპასუხოდაც წევრმა სახელმწიფოებმა ავსტრიის წინააღმდეგ რბილ პოლიტიკურ სანქციებს მიმართეს.

თუმცა, მალევე ნათელი გახდა, რომ ჰაიდერი მეორე ჰიტლერი არ იყო და რომ არც XXI საუკუნის ავსტრია ჰგავდა 1930-იani წლების ავსტრიას. უფრო მეტიც, ავსტრიის ახალი მთავრობა საფრთხეს არ უქმნიდა თავისუფლებას, დემოკრატიასა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებებს. ხელისუფლებაში მოსვლიდან ცოტა ხანში, ავსტრიის მთავრობამ გამოაქვეყნა პროგრამა, სადაც ცალსახად უჭერდა მხარს ევროპულ ინტეგრაციას და გმობდა რასიზმს. წევრმა ქვეყნებმა ავსტრიაში მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციის გარკვევა „ბრძენ კაცებს" დაავალეს. 2000 წლის ზაფხულში მათ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ უმცირესობების, მიგრანტებისა და ლტოლვილების უფლებები ისევე იყო დაცული ავსტრიაში, როგორც ევროკავშირის სხვა ნებისმიერ ადგილას.

ავსტრიაში სიტუაციის გარკვევის შემდეგ, ევროკავშირისა და ეროვნული სახელმწიფოების ინსტიტუტებმა *ფუნდამენტური უფლებების ქარტია* შეიმუშავეს. აღნიშნული ქარტია გერმანიამ ოფიციალურად 1999 წელს გერმანიის კონსტიტუციის ორმოცდაათი წლისთავის აღნიშვნისას წარადგინა. მასზე მო-

ლაპარაკებები 2000 წელს შედარებით მარტივად წარიმართა და დასრულდა. სამუშაო დანახარჯების გაზრდის მოტივით, ბრიტანეთის მთავრობამ და ბიზნესის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ქარტიაში სოციალური უფლებების შეტანა დაბლოკეს. სხვა მხრივ, ქარტია კამათის საგანი არ გამხდარა. 2000 წლის დეკემბრის ნიცის სამიტზე ევროპულმა საბჭომ აღიარა ქარტია, თუმცა, მისი კონსტიტუციური სტატუსის განხილვა შემდეგი ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციისთვის გადადო. ქარტიას სავალდებულო ძალა არ ჰქონდა, მაგრამ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსთვის იგი მაინც გახდა ადამიანის უფლებების სამართლის განვითარების მთავარი წყარო.

პოლიტიკურად და ეკონომიკურად, ახალი ევროკავშირი ჩვეულებრივი ევროპელის ცხოვრებაში ყველგან იყო წარმოდგენილი. ავსტრიის მოვლენებმაც დაადასტურა, რომ ეროვნულ და ევროპულ პოლიტიკას შორის ზღვარი წაშლილი იყო. 1999 წლის იანვარში ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მესამე ეტაპის დაწყება ძალიან დიდ პოლიტიკურ დატვირთვას ატარებდა. ევროზე გადასვლა გართულებების გარეშე განხორციელდა - ეროვნული ვალუტების გასაპროტესტებლად არცერთი დემონსტრაცია არ ჩატარებულა. ევროპელები ზოგადად მიესალმებოდნენ ევროს. ისინი არც ამსტერდამის ხელშეკრულების მიერ „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის“ (*an area of freedom, security and justice*) დაარსებას შეწინააღმდეგებიან. როგორც ჩანს, ევროპელებს სურდათ, ევროკავშირს უფრო დიდი როლი ეთამაშა საერთაშორისო არენაზე, მათ შორის, როგორც მშვიდობისმყოფელი კოსოვოსა და ავღანეთში და როგორც კანონების შემქმნელი კომერციის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროებში.

საზოგადოების უკმაყოფილება. 1990-იანების განმავლობაში და 2000-იანი წლების დასაწყისში ევროკავშირის აქტივობებისადმი საზოგადოებრივი თანხმობის მიუხედავად არსებობდა სერიოზული საზოგადოებრივი უკმაყოფილებაც ევროკავშირის ინსტიტუტებისა და მათი საქმიანობის წესისადმი. ეს ძირითა-

დად შეეხებოდა დემოკრატიულ დეფიციტს. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის ინსტიტუტებში ანგარიშვალდებულების პრობლემა არ იდგა: ხალხი პირდაპირ ირჩევდა ეროვნულ მთავრობებს, რომლებიც, თავის მხრივ, აყალიბებდნენ მინისტრთა საბჭოსა და ევროპულ საბჭოს; ხალხი პირდაპირი წესით ირჩევდა ევროპულ პარლამენტსაც; შემდგომში სწორედ ეს ინსტიტუტები წარმართავდნენ ძირითად საბიუჯეტო, გადაწყვეტილებების მიღებისა და ზედამხედველობის პროცესებს; კომისია არ იყო არჩევითი ორგანო, თუმცა, იგი პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე (როგორც ეს 1999 წელს კომისიის გადადგომამ ნათლად აჩვენა); მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო და ევროპული ცენტრალური ბანკი არარჩეული, დამოუკიდებელი და ძლიერი ორგანოები იყვნენ, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ნორმა, მოვლენა იყო და იგი უმრავლესი ლიბერალური დემოკრატიის უზენაესი სასამართლოებისა და ცენტრალური ბანკების სისტემისთვისაც იყო დამახასიათებელი. უფრო მეტიც, დემოკრატიული დეფიციტის აღმოსაფხვრელად, წევრმა სახელმწიფოებმა ამსტერდამის ხელშეკრულებით კიდევ უფრო გააძლიერეს სუბსიდიარობა და გაზარდეს ღიაობა და ტრანსპარენტულობა, და ევროკავშირის საქმიანობაში ჩართეს ეროვნული პარლამენტები.

ევროკავშირის მმართველობის ხარისხის გაზრდის მიზნით განხორციელებულმა ქმედებებმა ვერ დააშოშმინა ევროკავშირის შესახებ საზოგადოებრივი შეშფოთება. 1998-1999 წლებში კომისიისადმი გამოთქმულმა ბრალდებებმა კიდევ უფრო გაამძაფრა მოსახლეობის პოზიცია ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოსადმი. პარლამენტის ზეწოლით, კომისია დამოუკიდებელ ექსპერტთა კომიტეტის ჩამოყალიბებას დასთანხმდა, რომლებსაც კორუფციისა და არასწორი მართვის ბრალდებები უნდა გამოეძიებინა. კომიტეტის ანგარიში გამანადგურებელი იყო კომისიისთვის. პარლამეტმა ცალსახად განაცხადა, რომ კომისია პარლამენტისგან ნდობის გამოცხადების კენჭისყრაზე პოზიტიურ შედეგს ვერ მიიღებდა, რის გამოც კომისია გადადგა.

პარლამენტმა ეს შედეგი ჩათვალა, როგორც მისი შესაძლებლობა, ანგარიშვალდებული ჰყოლოდა კომისია. თუმცა, ბევრი ევროპელისთვის ეს სულაც არ იყო ღირსშესანიშნავი მოვლენა. მათთვის თავად პარლამენტი განასახიერებდა ყველაფერს ცუდს, რაც კი ევროკავშირს ჰქონდა. პარლამენტარების მუდმივი წინ და უკან მგზავრობა ბრიუსელსა და სტრასბურგში და მათი მეფური, დიდებული ცხოვრების სტილი უარყოფითად აისახა პარლამენტისა და ზოგადად ევროკავშირის რეპუტაციაზე. იმის ნაცვლად, რომ კომისიის (ფაქტობრივად) გადაყენების გამო მოსახლეობას ნდობა და ინტერესი გასჩენოდა პარლამენტისადმი, 1999 წლის ივნისის პარლამენტის არჩევნებზე მხოლოდ 49,9%-იანი აქტივობა დაფიქსირდა (ანუ ყველაზე ნაკლები, ვიდრე წინა ოთხივე არჩევნებზე). დისკრედიტირებულმა კომისიამ კიდევ ექვსი თვე გააგრძელა ფუნქციონირება, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ევროკავშირისადმი საზოგადოების უნდობლობა.

იმის გარდა, რომ ევროკავშირის ინსტიტუტები არ მოსწონდათ, ბევრი ევროპელი გაღიზიანებული იყო (მათი შეფასებით) ევროკავშირის გადამეტებულობით, ზედმეტი დაინტერესებითაც. ავსტრიასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა ცეცხლზე ნავთი დაასხა. წევრი ქვეყნების სანქციებმა, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო ევროკავშირის ოფიციალური ქმედება, ბევრი ადამიანი შეურაცხყო. ზოგიერთი წევრი ქვეყანა განსაკუთრებით მონდომებული იყო და მხარს უჭერდა სანქციების დაწესებას. საფრანგეთმა და ბელგიამ კი, რომელსაც საკმაოდ პოპულარული უკიდურესი მემარჯვენე პარტიები ჰყავდა ქვეყნის შიგნით, ეს სიტუაცია შიდა პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენეს. ბევრი ევროპელისთვის მიუღებელი იყო ჰაიდერი და მისი აზროვნება, მაგრამ ასევე არ მოსწონდა გადამეტებული (და ზოგისთვის გაუგებარიც) ჩართულობა ავსტრიულ შიდა პოლიტიკაში და რამდენიმე წევრი სახელმწიფოს მიერ ამ მოვლენების სათავისოდ გამოყენება.

რეფერენდუმის შიში. ავსტრიის მოვლენებმა ასევე ნათლად წარმოაჩინა ის, რომ წევრი სახელმწიფოები უფრთხოდნენ ევ-

როკავშირის საკითხებზე რეფერენდუმის ჩატარებას. 2000 წლის მაისში ავსტრიის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი ევროკავშირში დარჩენა-არდარჩენაზე რეფერენდუმს ჩაატარებდა, თუ წევრი ქვეყნები ავსტრიაზე დაწესებულ სანქციებს არ მოხსნიდნენ. ევროკავშირში ავსტრიის პარტნიორები ბოლოს და ბოლოს გონს მოეგნენ. ავსტრიამაც და სხვა მთავრობებმაც იცოდნენ, რომ რეფერენდუმის შედეგები შეიძლება დიდი დარტყმა ყოფილიყო ევროკავშირისადმი. 1998 წლის არჩევნების მანიფესტში გერმანიის მთავრობა რეფერენდუმის უფრო ხშირად გამოყენების მოწოდებებით გამოდიოდა. თუმცა, მოგვიანებით მან უკან დაიხია და ევროკავშირის გაფართოების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებაზე უარი განაცხადა. მართალია, ეროვნული ლიდერები ბევრი სხვა მეთოდით ცდილობდნენ ევროკავშირის ანგარიშვალდებულების გაზრდას, მაგრამ მათ კარგად ესმოდათ, რომ გავრცელებული საზოგადოებრივი უკმაყოფილება და მზარდი აგრესია სერიოზული რისკის ქვეშ დააყენებდა რეფერენდუმის შედეგებს.

2001 წლის ივნისში ნიცის ხელშეკრულებაზე ირლანდიაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგმა (ირლანდია ერთადერთი წევრი ქვეყანა იყო, რომელიც კონსტიტუციის საფუძველზე ვალდებული იყო ჩაეტარებინა რეფერენდუმი) ეს პოზიცია კიდევ უფრო გაამყარა (პირველი რეფერენდუმის შედეგი ნეგატიური იყო). არსებობდა ბევრი ევროკავშირთან არადაკავშირებული საკითხი, რის გამოც ირლანდიელებმა უარყვეს ნიცის ხელშეკრულება, თუმცა, შედეგი პრინციპში გამოხატავდა ევროკავშირის ინიციატივებისადმი საზოგადოების მხარდაჭერის კლების ტენდენციას. შემდგომში ირლანდიის მთავრობამ საკითხს უფრო მარტივის ფორმულირება მისცა - ნიცის ხელშეკრულების სახით უჭერდნენ თუ არა მხარს ევროკავშირის გაფართოებას. ევროკავშირის ინსტიტუტებმა და მთავრობებმა კი ირლანდიელები ამაგის არდაფასებაში „დაადანაშაულეს“. პირველზე იყო ირლანდიელების რეაქცია თუ მეორეზე, ძნელია ამის დადგენა, მაგრამ ფაქტია, რომ 2002 წლის ოქტომბრის განმეორებით რეფერენდუმზე უფრო მეტი აქტივობა დაფიქსირდა და იგი ამჯე-

რად ნიცის ხელშეკრულების რატიფიკაციისთვის პოზიტიური შედეგით დასრულდა.

ერთი მხრივ, ევროკავშირის ლიდერები აცხადებდნენ, რომ ირლანდიის ამომრჩევლის მხრიდან არადემოკრატიული იყო ხელშეკრულების ჩაგდება მაშინ, როდესაც ყველა სხვა ქვეყანაში იგი უკვე რატიფიცირებული იყო. მითუმეტეს, რომ პირველ რეფერენდუმზე აქტივობა მხოლოდ და მხოლოდ 35% იყო. ლიდერებმა დაასკვნეს, რომ ევროკავშირის მომავლის შესახებ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში ჩვეულებრივი ევროპელების ნდობა არ შეიძლებოდა. მეორე მხრივ, ბევრი ირლანდიელი, ხელშეკრულებაზე მათი პოზიციის მიუხედავად, თვლიდა, რომ ირლანდიისა და ევროკავშირის ლიდერების მხრიდან არადემოკრატიული იყო პირველი რეფერენდუმის შედეგების უგულვებელყოფა და მეორე რეფერენდუმის დაჟინებული მოთხოვნა. საკითხისადმი ევროკავშირის მოპყრობამ ბევრ ევროპელში გააჩინა იმის მოსაზრება, რომ ევროკავშირი ამპარტავანი და ზღვარსგადასული სისტემა იყო.

ირლანდიის რეფერენდუმის თაობაზე მთავარი კითხვა მაინც ის იყო, თუ როგორ შეეძლო ასე ძლიერ და ასე სწრაფად გამხდარიყო ქვეყანა ევროკავშირის წინააღმდეგი, რომელმაც ყველაზე მეტი სარგებელი მიიღო ევროკავშირის წევრობისგან და რომელიც ტრადიციულად მხარს უჭერდა ევროპულ ინტეგრაციას. თუმცა, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ რეალურად ძალიან ცოტამ მიიღო ნიცის ხელშეკრულების უარყოფის გადაწყვეტილება თავად ხელშეკრულების ნაკლოვანებების გამო. „არა“ კამპანიას ძირითადად სოციალურ კონსერვატორები და უკიდურესი ნაციონალისტები აწარმოებდნენ, რომლებიც უფრთხოდნენ გაღრმავებული ინტეგრაციის გავლენას ირლანდიურ იდენტობაზე, ნეიტრალიტეტსა და საზოგადოებაზე. სხვებს კი, რომლებმაც ასევე უარყვეს ხელშეკრულება ან უბრალოდ შეგნებულად არ მივიდნენ რეფერენდუმზე, ევროკავშირის ბევრი მოქალაქის მსგავსად, ინსტიტუციურად არ მოსწონდათ ევროკავშირი. ისინი იზიარებდნენ ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას (რომელიც ზოგი სინამდვილეს შეესაბამებოდა, ზოგიც არა), რომ ევ-

როკავშირი იყო ზედმეტად გაუცხოებული, ფრიგიდული, არაანგარიშვალდებული და ბუნდოვანი.

კონსტიტუცია ევროპისთვის

მართალია, ირლანდიის ამომრჩეველმა 2002 წლის ოქტომბერში პოზიტიურად გადაწყვიტა ნიცის ხელშეკრულების ბედი, მაგრამ ევროკავშირის ინსტიტუტების და წევრი ქვეყნების წარმომადგენლები უკვე იკრიბებოდნენ ბრიუსელში „კონვენცია ევროპის მომავალზე" ფორმატში იმისათვის, რომ ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტში ჩამოეყალიბებინათ. კონვენცია შედეგი იყო იმ უკმაყოფილებისა, რაც ნიცის ხელშეკრულებასა და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს ახლდა. 2000 წლის მაისში, კონფერენციის განმავლობაში, ბერლინში სიტყვით გამოსვლისას გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იოშკა ფიშერმა გაფართოებული ევროკავშირის ბუნების, დამფუძნებელი პრინციპებისა და ინსტიტუციური სტრუქტურის შესახებ ისაუბრა. მან ევროკავშირისთვის უფრო მეტი ფედერალური ელემენტების მინიჭების მოწოდება გააკეთა. 2001 წლის სექტემბერში საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ბერლინში გერმანიის პარლამენტის წინაშე თავისი ისტორიული გამოსვლისას ფიშერის მოწოდებებს გამოეხმაურა. მან მხარი დაუჭირა ევროპული ინტეგრაციის გაღრმავებას, მაგრამ, ამავე დროს, წევრი ქვეყნების ინტერესებისა და იდენტობების დაცვის სურვილიც გამოთქვა. აქედან დაიწყო ევროკავშირის მომავლის შესახებ დებატები, რომელსაც კომისრები, ევროპარლამენტარები და წევრი და კანდიდატი სახელმწიფოების წამყვანი პოლიტიკოსებიც შეუერთდნენ.

ნიცის შემდგომ პერიოდზე ჯერ კიდევ ნიცის წინა პერიოდში დაწყებული აქტიური დებატები ნათლად მიუთითებდა იმ ფართოდ გავრცელებულ უკმაყოფილებაზე, რაც 2000 წლის კონფერენციისა და მისი შეზღუდული შედეგებისგან იყო გამოწვეული. ნიცის ხელშეკრულებას დაერთო დეკლარაცია, რომელიც წევრ ქვეყნებს ევროკავშირის მომავლის შესახებ უფრო ღრმა და უფ-

რო ფართო დებატებისკენ მოუწოდებდა. ფაქტობრივად, ეს იყო საფუძველი ახალი, 2004 წლის ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის, რომელზეც იმსჯელებდნენ ევროკავშირის სისტემაში ეროვნული პარლამენტების როლზე, ხელშეკრულებების გამარტივებაზე, ევროკავშირსა და წევრ ქვეყნებს შორის კომპეტენციების მკაფიო გამიჯვნა-დელიმიტაციასა და ფუნდამენტური უფლებების ქარტიის კონსტიტუციურ სტატუსზე. ნიცის დეკლარაცია ასევე მოუწოდებდა 2001 წლის ლაეკენის ევროპულ საბჭოს, რომ ამ პროცესის (ანუ ხელშეკრულების რეფორმის) გაგრძელების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ზომები მიეღო.

მოსალოდნელი გაფართოებისა და საზოგადოებასა და ევროკავშირს შორის გაუცხოების მასშტაბებმა, საბოლოო ჯამში, დაარწმუნა ევროპული საბჭო, რომ შემდეგი კონფერენცია არ შეიძლებოდა წინას მსგავსი ყოფილიყო. 2000 წლის დეკემბრის ნიცის სამიტსა და 2001 წლის დეკემბრის ლაეკენის სამიტს შორის პერიოდში, ნიცის ხელშეკრულებაზე უკმაყოფილებისა და ირლანდიის რეფერენდუმის შოკის წყალობითა და გავლენით, რეფორმის მოსურნე რამდენიმე ქვეყანამ წარმატებით მოახერხა შემდეგი ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის დღის წესრიგის გაფართოება. მათ შორის იყვნენ როგორც ევროსკეპტიკოსი (მაგ.: შვედეთი), ისე ევრითოპტიმისტი (მაგ.: ბელგია) სახელმწიფოები, რომლებიც ეჭვობდნენ, რომ ევროკავშირი ვერ გაუმკლავდებოდა გაფართოებით გამოწვეულ პრობლემებს და ასევე, ვერ მოახერხებდა ჩვეულებრივ ევროპელებთან ჩატეხილი ხიდის აღდგენას.

საბოლოოდ, ლაეკენის ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა არა მხოლოდ კონფერენციის დღის წესრიგის საკითხების გაზრდა, არამედ თავად კონფერენციის მომზადების განსხვავებული, ახალი წესის შემოღება. ევროპულმა საბჭომ იხელმძღვანელა 2000 წელს ფუნდამენტური უფლებების ქარტიის პროექტის შედგენის მეთოდი და განაცხადა, რომ ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის მაქსიმალურად ფართოდ და ღიად მოსამზადებლად კონვენციის ფორმატში შეიკრიბებოდნენ ეროვნული მთავრობების, ეროვნული პარლამენტების, ევროპული კომისი-

ისა და ევროპული პარლამენტის წარმომადგენლები. კონვენციის შემადგენლობა ევროკავშირის ხელშეკრულების რეფორმის პროცესში ჩართულობის გაზრდასა და მონაწილეების მაქსიმალურად დივერსიფიკაციას უზრუნველყოფდა. კონვენციაში იქნებოდნენ ეროვნული ლიდერების 15 წარმომადგენელი (ანუ თითო წარმომადგენელი თითო წევრი ქვეყნიდან), ეროვნული პარლამენტების 30 წარმომადგენელი (ანუ ორი წარმომადგენელი თითო წევრი სახელმწიფოს ეროვნული პარლამენტიდან), ევროპული კომისიის ორი და ევროპული პარლამენტის 16 წარმომადგენელი. კანდიდატ ქვეყნებს წევრი ქვეყნების წარმომადგენლობების მსგავსად მიეცემოდათ კონვენციაში მონაწილეობის საშუალება, მაგრამ მათ არ ექნებოდათ გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება.

კონვენციას ეყოლებოდა ერთი თავმჯდომარე და ორი ვიცე-თავმჯდომარე. ევროპულმა საბჭომ ისინი ჩვეულებრივი მეთოდით შეარჩია. შირაკმა განაცხადა, რომ ან ფრანგი იქნებოდა თავმჯდომარე ან კონვენცია საერთოდ არ დაფუძნდებოდა. თავმჯდომარედ მან საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ჟისკარდი წარადგინა (უფრო იმიტომ, რომ საფრანგეთის მოახლოებული არჩევნებზე შირაკს მისი ეროვნული პოლიტიკური არენიდან მოცილება სურდა). პატარა წევრ ქვეყნებს კარგად ახსოვდათ მათდამი და კომისიისადმი ჟისკარდის ცივი და უინტერესო დამოკიდებულება, მაგრამ გრძნობდნენ, რომ მისი კანდიდატურის დაბლოკვის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. 70 წელს გადაცილებული და დიდი წევრი სახელმწიფოების ინტერესების პრინციპული დამცველი ჟისკარდი ევროპის მომავლის პიროვნული განმასახიერებელი გახდა. ევროპულმა საბჭომ დანარჩენი ვიცი-თავმჯდომარეებიც მსგავსი პოლიტიკური საფუძვლებით შეარჩია.

კონვენციამ მუშაობა 2002 წლის თებერვალში ბრიუსელში დაიწყო. პირველი ექვსი თვის განმავლობაში მისი წევრები სხვადასხვა პოლიტიკის სფეროებისა და ინსტიტუციურ საკითხებზე ფართო დისკუსიებს მართავდნენ. პლენარული სესიების გარდა, ჟისკარდი სამუშაო ჯგუფების შეხვედრებსაც უწევდა ორგანიზებას, რომლის დროსაც განიხილებოდა საკითხები ეკონომიკუ-

რი მმართველობიდან დაწყებული საგარეო ურთიერთობებით დასრულებული. კონვენცია უშუალოდ კონკრეტულ საქმეზე წლის ბოლოს, საფრანგეთისა და გერმანიის არჩევნებისა და ნიცის ხელშეკრულებაზე ირლანდიის მეორე რეფერენდუმის შემდეგ გადავიდა. კონსტიტუციის პროექტის შექმნის გადაწყვეტილება უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე არსებით მნიშვნელობას, ვინაიდან მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს ხელშეკრულებებისთვის უკვე დიდი ხანია კონსტიტუციური ტექსტის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული.

ყველაზე საკამათო ინსტიტუციური საკითხი ხუთი წლის ვადით ევროპული საბჭოს პრეზიდენტის არჩევა იყო. ჟისკარდსა და დიდი წევრი ქვეყნების ლიდერების უმრავლესობას მიაჩნდა, რომ ამ ცვლილების განხორციელების გარეშე შეუძლებელი იყო ევროპული საბჭოს ეფექტურობისა და საერთაშორისო არენაზე ევროკავშირის რეპუტაციისა და გავლენის გაზრდა. პატარა წევრი სახელმწიფოებისთვის კი ეს ევროკავშირის საქმიანობაში დიდი ქვეყნების დომინირების მცდელობის კიდევ ერთი მაგალითი იყო. მათი შეშფოთების გასანეიტრალებლად გადაწყდა ევროპული კომისიის პრეზიდენტის არჩევის (და არა დანიშვნის, როგორც მანამდე იყო) შემოღებაც. თუმცა, ევროპული საბჭოს პრეზიდენტის პოსტი ევროკავშირის თავმჯდომარეობასთან სერიოზულ კონკურენციასა და ფუნქციების დუბლირებას წარმოშობდა, რაც გაძლიერების ნაცვლად, საფრთხეს უქმნიდა მსოფლიოში ევროკავშირის როლს. კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც ევროკავშირს დაეხმარებოდა უკეთ ემართა თავისი საგარეო ურთიერთობები, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლისა და საგარეო ურთიერთობების კომისრის პოსტების გაერთიანებისა და მათ ნაცვლად ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ფოსტის შემოღების იდეა იყო.

დიდი და პატარა ქვეყნები დავობდნენ ასევე კომისიის ზომასა და შემადგენლობაზე, რომელიც, ერთი შეხედვით, ნიცის ხელშეკრულების მიერ უკვე იყო დარეგულირებული. კონვენცია თვლიდა, რომ

- ლეგიტიმაციის მიზეზით, თითოეულ წევრ ქვეყანას უნდა წარმოედგინა კომისრის კანდიდატურა;
- ეფექტურობის მიზეზით, მხოლოდ კომისრების ერთ, ძირითად ჯგუფს უნდა ჰქონოდა ხმის მიცემის უფლება;
- და თანასწორობის მიზეზით, კომისრების ამ ძირითადი ჯგუფის წევრობა როტაციული წესით სამართლიანად უნდა განაწილებულიყო წევრ ქვეყნებს შორის.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც, ერთი შეხედვით, ასევე ნიცის ხელშეკრულებით იყო მოგვარებული, კვალიფიციური უმრავლესობა აღმოჩნდა. იგი ყველაზე საკამათო თემა იყო არა მხოლოდ კონვენციის, არამედ მომდევნო ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის განმავლობაში. ჟისკარდი მინისტრთა საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობის კალკულაციის რთული ნიცის ფორმულის მარტივი სისტემით ჩანაცვლებას ითხოვდა. ჟისკარდის ფორმულა ასეთი იყო: ქვეყნების უმრავლესობა, რომლებიც ევროკავშირის მოსახლეობის მინიმუმ 60%-ს წარმოადგენენ. ნიცის შეთანხმებიდან ერთ-ერთი ყველაზე მეტი სარგებლის მიმღები ესპანეთი დაჟინებით ითხოვდა ამ შეთანხმების ძალაში დატოვებას, წინააღმდეგ შემთხვევაში 2003-2004 წლების ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის ჩაშლით იმუქრებოდა.

კონსტიტუციის პროექტი უფრო მეტი იყო, ვიდრე არსებული ხელშეკრულებების უბრალოდ შეჯამება-ჩასწორება. ინსტიტუციურ საკითხებზე არადამაკმაყოფილებელი კომპრომისების მიუხედავად, კონსტიტუცია პოლიტიკურად ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მან ფუნდამენტური უფლებების ქარტია კონსტიტუციაში შეიტანა, რითაც იგი, ფაქტობრივად, აშშ-ის უფლებათა ბილს გაუთანაბრა. კონსტიტუციის პროექტი აცხადებდა, რომ ევროკავშირი ეფუძნებოდა დემოკრატიას, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემას. მან ევროკავშირის მთავარ მაორგანიზებელ პრინციპებად მოლაპარაკებების შედეგად შეჯერებული და გადაცემული ძალაუფლება, სუბსიდიარობა, პროპორციულობა და ქვეყნებს შორის ლოიალური თანამშრომლობა აღიარა. მან ასევე დაადგინა ევროკავშირში ძალაუფლებისა და

კომპეტენციების განაწილების საზღვრები. ბრიტანეთის წინააღმდეგობის გამო, კონსტიტუციის პროექტში არ იქნა დამატებული სიტყვა „ფედერალური“. მის ნაცვლად გამოყენებულ იქნა ისეთი ნაკლებ საკამათო ფრაზები, როგორებიცაა „თანამეგობრობის გზა“ და „თანამეგობრობის მეთოდი“. ამის მიუხედავად, იგი ცალსახად მიანიშნებდა ევროკავშირის უფრო მეტად ფედერალიზაციაზე და, ამავე დროს, იგი ევროკავშირის უნიკალურ პოლიტიკურ ბუნებას უსვამდა ხაზს.

2003 წლის ივნისში თესალონიკის სამიტზე ევროპულმა საბჭომ მოიწონა კონსტიტუციის პროექტი, როგორც ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის „დაწყების კარგი ბაზისი“. თავად ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია კი 2003 წლის ოქტომბერში დაიწყო. პოლიტიკური მნიშვნელობის მიუხედავად, კონვენციამ და ინტერგავერნმენტალისტურმა კონფერენციამ ბრიუსელს მიღმა ნაკლები ყურადღება და ინტერესი გამოიწვია. პარადოქსულია, მაგრამ კონვენციამ და ინტერგავერნმენტალისტურმა კონფერენციამ კიდევ უფრო გააძლიერა წარმოდგენა, რომელიც ევროკავშირის ისტორიის განმავლობაში მუდმივად მუსირებდა, და რომლის მიხედვითაც ევროპული ინტეგრაცია (განსაკუთრებით კი პოლიტიკური კავშირი) ელიტების მიერ წარმართული პროცესი იყო. საბოლოოდ, ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულების ცვლილებების შედეგად ანტაგონისტურად განწყობილმა და გაუცხოებულმა ევროპელებმა ეროვნულ რეფერენდუმებზე პროცესი კრახისთვის გაწირეს, პოსტკონვენციური ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის შედეგებმაც იგივე სცენარი გაიმეორეს.

პროგრამული გამოწვევები მაასტრიხტიდან მონეტარულ კავშირამდე

ეკონომიკური და მონეტარული კავშირის პოსტ-მაასტრიხტის პერიოდი რატიფიკაციის პროცესამდეც ცუდად დაიწყო. გერმანიამ თავისი საპროცენტო განაკვეთები გაზარდა იმისათ-

ვის, რომ ახლად შეერთებულ აღმოსავლეთ გერმანიის რეკონსტრუქციისთვის მეტი ფული მოეზიდა. ამ ღონისძიებამ მარკის ღირებულება გააძლიერა, ევროპული მონეტარული სისტემის გაცვლითი კურსის მექანიზმის სხვა ვალუტები კი გააუფასურა. სუსტ ვალუტებზე უარყოფითად იმოქმედა რატიფიკაციის კრიზისმაც. 1992 წლის აგვისტოში გაცვლითი კურსის არანევრი რამდენიმე ვალუტა (ჯერ ფინური მარკა, შემდეგ კი შვედური კრონა) ძლიერი სპეკულაციური შეტევების გამო ჩამოიშალა. ფულის გაუფასურება, როგორც წესი, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისუსტეებზე მიანიშნებდა, რის გამოც იტალია არ აპირებდა ლირის გაუფასურებას. თუმცა, საბოლოო ჯამში, იტალიამ უარი თქვა თავის სიამაყეზე და 1992 წლის სექტემბერში ლირა 7%-ით გააუფასურა. ბრიტანეთის შესაბამისი ორგანოები 1990 წლის ოქტომბრიდან (ანუ როდესაც ბრიტანული ფუნტი გაცვლითი კურსის მექანიზმის წევრი გახდა) იბრძოდნენ ფუნტის ღირებულების შენარჩუნებისთვის (სტერლინგი გაცვლითი კურსის მექანიზმის წევრი მაღალი ღირებულებით გახდა - 2,95 გერმანული მარკასთან მიმართებაში). ბრიტანელების გაღიზიანება გამოიწვია იმან, რომ გერმანიის ცენტრალურმა ბანკმა ფუნტის გადასარჩენად სავალუტო ბაზარზე ინტერვენციაზე უარი განაცხადა. ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა ველარ შეძლო სტერლინგის მაღალი ღირებულების შენარჩუნება, რის გამოც გაუფასურების ნაცვლად იგი 1992 წლის 16 სექტემბერს „შავ ოთხშაბათს“ გაცვლითი კურსის მექანიზმიდან გამოიყვანა.

საფრანგეთის რეფერენდუმზე მაასტრიხტის ხელშეკრულების ჯერ სავარაუდო ჩავარდნის მოლოდინმა და შემდეგ კი შედეგების მცირედით განსხვავებულობამ დამატებითი ზეწოლა განახორციელა ფრანგულ ფრანკზე. გერმანიამ ყველას დაანახა, თუ როგორი ახლო ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთთან, ჩაერია ამ პროცესში და სექტემბრის მეორე ნახევარში ფრანკი ტრაგედიისგან იხსნა. ფრანკი გაცვლითი კურსის მექანიზმის დადგენილ მარჟებში შენარჩუნდა. ფრანკი გადარჩა, მაგრამ სხვა ისეთი სუსტი ვალუტები, როგორებიც იყო ესპანური პესე-

ტა, პორტუგალიური ესკუდო, ირლანდიური ფუნტი და იტალიური ლირა, 1992 წლის ბოლოსა და 1993 დასაწყისში გაუფასურდა.

სავალუტო კრიზისმა პიკს 1993 წლის ივლისში მიაღწია, როდესაც გერმანიის ცენტრალურმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე უარი განაცხადა. საერთაშორისო სავალუტო ტრანზაქციები სწრაფი ტემპებით იზრდებოდა და ევროკავშირის მასშტაბით უზარმაზარი რაოდენობის კაპიტალი თავისუფლად გადაადგილდებოდა, რის გამოც გერმანიამ განაცხადა, რომ იგი ვეღარ დაეხმარებოდა ფრანკს. 1993 წლის აგვისტოს სასწრაფო საგანგებო შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ გაცვლითი კურსის მექანიზმში ვალუტები გერმანულ მარკასთან მიმართებაში 2,5%-ის ნაცვლად, 15%-იანი მარჟით იმერყეველებდნენ. ამ გადაწყვეტილებამ შედარებით შეამსუბუქა სავალუტო წნეხი.

ზოგიერთმა ცენტრალურმა ბანკმა უზარმაზარი ფული დაკარგა სავალუტო კრიზისის დროს. ზოგიერთმა სპეკულანტმა კი, მაგალითად, საერთაშორისო ფინანსისტმა ჯორჯ სოროსმა, ამ პროცესებისგან დიდი ფული მიიღო. ბრიტანეთში კრიზისს გამანადგურებელი შედეგი ჰქონდა გაცვლითი კურსის მექანიზმისა და, ზოგადად, ეკონომიკური და მონეტარული კავშირისთვის, ვინაიდან ეს უკანასკნელი სავალუტო ქაოსთან და ეროვნულ შეურაცხყოფასთან გახდა ასოცირებული. თუმცა, მეორე მხრივ, სავალუტო კრიზისმა კიდევ უფრო გაამყარა ევროკავშირის პოლიტიკოსების რწმენა, რომ ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მიღწევა მნიშვნელოვანი იყო. თუ ამჟამად გერმანიის ცენტრალური ბანკი, რომლის საპროცენტო განაკვეთებმაც გააღრმავა კრიზისი, გერმანიის ინტერესების დაცვაზე იყო ორიენტირებული, ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირში ევროპული ცენტრალური ბანკი ემკ-ის წევრების ინტერესების დაცვაზე იზრუნებდა. ამასთან, სხვადასხვა ვალუტები ვეღარ იქნებოდა სპეკულანტების სამიზნე, ვინაიდან მონეტარული კავშირი მხოლოდ ერთიანი ვალუტით იქნებოდა წარმოდგენილი.

გზა ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირამდე. ემკ-ის მეორე ეტაპი დიდი ზარზეიმის გარეშე 1994 წლის ივლისში დაიწყო. ამავე დროს დაარსდა ევროპული მონეტარული ინსტიტუტი, რომლის მოვალეობაც მესამე ეტაპისთვის ტექნიკური მომზადება და წევრი ქვეყნების მონეტარული პოლიტიკების კოორდინაცია იყო. მის ფუნქციებს ასევე განეკუთვნებოდა მომავალი ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის (მათ შორის, ევროპული ცენტრალური ბანკის) მარეგულირებელი, ორგანიზაციული და ლოგისტიკური ჩარჩოების დადგენა, ეროვნული ვალუტებიდან ერთიან ევროპულ ვალუტაზე გადასვლის გეგმის და სცენარის შემუშავება, მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და პროცედურების ჩამოყალიბება, საზღვრებსშორისი გადახდების სისტემის შექმნა და სანდო სტატისტიკის წარმოება. ვინაიდან იგი ევროპული ცენტრალური ბანკის წინამორბედი ორგანო იყო, კოლმა დაჟინებით მოითხოვა მისი ფრანკფურტში (გერმანული ცენტრალური ბანკის ადგილი და ძლიერი მონეტარული პოლიტიკის სიმბოლო) განთავსება.

მაასტრიხტის ხელშეკრულებით ემკ-ის მესამე ეტაპის დაწყება შესაძლებელი იყო 1997 წლის იანვარში, თუ ამ პერიოდისთვის წევრი ქვეყნების უმრავლესობა დააკმაყოფილებდა კონვერგენციის კრიტერიუმებს. თუმცა, 1990-იანი წლების შუა პერიოდშივე ნათელი იყო, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა. ევროკავშირი რეცესიაში იყო. გერმანიაში საპროცენტო განაკვეთების აწევით გაიზარდა სხვა ქვეყნის საპროცენტო განაკვეთებიც. შესაბამისად, იზრდებოდა ნასესხები ვალის მომსახურების ხარჯები და მცირდებოდა ინვესტიციები. გაიზარდა უმუშევრობა და შემცირდა მომხმარებლების მიერ ხარჯვა, რის გამოც გადასახადების სახით ქვეყნები ნაკლებს იღებდნენ, მაგრამ მეტს ხარჯავდნენ საზოგადოების კეთილდღეობაზე. ასეთ პირობებში მთავრობებისთვის დეფიციტისა და დავალიანებების შემცირება ემკ-ის მესამე ეტაპისთვის საჭირო ზვრამდე შეუძლებელი იყო. ამასთან, წევრი ქვეყნების უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებდა ინფლაციის დადგენილ კრიტერიუმებსაც. აქედან გამომდინარე, 1995 წლის დეკემბრის მადრიდის სამიტზე

ევროპულმა საბჭომ მესამე ეტაპის 1997 წელს დაწყებაზე უარი განაცხადა. ამავე სამიტზე წევრი ქვეყნების ლიდერებმა ახალ ვალუტას „ევრო“ უწოდეს და ევროპული მონეტარული ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ეროვნული ვალუტიდან ევროზე გადასვლის სცენარი დაამტკიცეს.

1997 წლის მსგავსად, ემკ-ის მიღწევა არც 1999 წლისთვის ჩანდა რეალური. ამიტომ ლიდერების პოლიტიკურ ნებას, რომ მაინც ემკ-ის მიმართულებით ევლოთ, ზოგი სულელურ ნაბიჯად აფასებდა. თუმცა, მოგვიანებით ნათელი გახდა, რომ მათი ღონისძიებები სწორი ყოფილა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული იყო კოლისა და სანტერის როლი და წვლილი. ორივენი პოლიტიკურად შედარებით სუსტ პოზიციაში იმყოფებოდნენ (კოლმა 1994 წლის ოქტომბრის არჩევნები მცირე სხვაობით მოიგო და პარლამენტის ზედა პალატაში უმრავლესობა არ ჰყავდა; სანტერი კი კომისიის პრეზიდენტობის დაწყების დღიდან სუსტ ლიდერად მიიჩნეოდა) და ორივე მათგანმა კარიერა უღიმღამოდ დაასრულა (კოლი დაადანაშაულეს მისი პარტიისთვის არალეგალური შემოწირულობის მიღებაში; სანტერი კი კომისიაში კორუფციის ბრალდებების შემდეგ იძულებული იყო გადამდგარიყო). ამის მიუხედავად, 1990-იანი წლების შუა პერიოდში კოლი დიდი მონდომებით უჭერდა მხარს ემკ-ის, ამტკიცებდა რა, რომ ეს იყო გადამწყვეტად მნიშვნელოვანი გერმანიისა და ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური წარმატებისთვის. კოლთან შედარებით ნაკლებ გავლენიანი სანტერი კი კომისიის საშუალებით ემკ-ის და ევროს მიღწევისთვის საჭირო ტექნიკური ხასიათის ინსტრუმენტებზე აქტიურად მუშაობდა.

პარიზში ლიდერის შეცვლამ ფრანგულ-გერმანული ურთიერთობების ხასიათიც შეცვალა. 1995 წლის მაისში საფრანგეთის პრეზიდენტი მიტერანის შემდეგ ჟაკ შირაკი გახდა. 1995 წლის დეკემბერში მთავრობის მიერ განხორციელებული საბიუჯეტო შეკვეცების გასაპროტესტებლად პარიზში სისხლიანი დემონსტრაციები გაიმართა. ახლად არჩეული პრეზიდენტისთვის ეს ერთგვარი სიგნალი იყო - ემკ-ის სტანდარტებთან საფრანგეთის საჯარო ფინანსების დაახლოება პოლიტიკურად ძალიან

სარისკო იყო. თუმცა, ფრანგულ პოლიტიკურ სისტემაში ძალაუფლების თავისებური განაწილება პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს შორის საშუალებას აძლევდა შირაკს მტკივნეული რეფორმები თავად განეხორციელებინა, პასუხისმგებლობა კი პრემიერ-მინისტრს აეღო. თანაც, შირაკმა მალევე გააცნობიერა, რომ საფრანგეთს ემკ-ის გარდა სხვა არცერთი ნორმალური ალტერნატივა არ ჰქონდა. ასევე, მას ევროპელი ლიდერის სტატუსის მიღების სურვილიც ჰქონდა. ამიტომ მან უარი თქვა თავის ადრინდელ პოზიციაზე და მთელი მონდომებით დაუჭირა მხარი ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირს.

1990-იანი წლების მეორე ნახევრის დასაწყისში ეკონომიკამ გაუმჯობესება დაიწყო. 1996-1997 წლებიდან უმუშევრობამაც ნელ-ნელა იკლო. ეკონომიკის გაუმჯობესებითა და ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერით, წევრი ქვეყნების უმრავლესობამ 1999 წლისთვის მაასტრიხტის კონვერგენციის კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოახერხა. გარკვეულ შემთხვევებში კრიტერიუმების შეფასება შედარებით რბილადაც განხორციელდა. მაგალითად, შეიძლება წევრ სახელმწიფოს საჯარო დავალიანება 60%-ზე მეტი ჰქონდა, მაგრამ თუ იგი არსებითად და დამაკმაყოფილებლად ამცირებდა მას (და 1999 წლის დასაწყისში არა, მაგრამ მალე მოახერხებდა ამ ზღვრამდე დავალიანების კლებას), ეს კრიტერიუმი დამაკმაყოფილებლად ეთვლებოდა. იგივე ფორმით ხელმძღვანელობდნენ GDP-ის 3%-იანი დეფიციტის შემთხვევაშიც (ანუ შეიძლება 3%-ზე მეტი ყოფილიყო, მაგრამ თუ კლება არსებითი იყო და არსებობდა რეალური მოლოდინი, რომ ეს მოთხოვნა უახლოეს მომავალში შესრულდებოდა, კრიტერიუმი დამაკმაყოფილებლად ითვლებოდა).

კომისიამ და ევროპულმა მონეტარულმა ინსტიტუტმა ეკონომიკური კონვერგენციის შესახებ ანგარიშები წარმოადგინეს, რომელშიც რეკომენდაციის სახით აცხადებდნენ, რომ 1999 წლის იანვარში თერთმეტი ქვეყანა ემკ-ის მესამე ეტაპის დასაწყებად მზად იყო (ბრიტანეთსა და დანიას მაასტრიხტის ხელშეკრულებით, გამონაკლისის სახით, არ ჰქონდა კრიტერიუმების შესრულების ვალდებულება; შვედეთმა, კრიტერიუმების

დაკმაყოფილების მიუხედავად, თავისი ნებით უარი თქვა მესამე ეტაპში მონაწილეობაზე; საბერძნეთი კი მოგვიანებით, 2001 წელს შეუერთდა დანარჩენ თერთმეტ ქვეყანას). 1998 წლის მარტში ბრიუსელში ევროპულმა საბჭომ ყოყმანის გარეშე ოფიციალურად დაამტკიცა ეს რეკომენდაციები.

ბრიუსელის სამიტზე შირაკსა და კოლს შორის ერთ-ერთ საკითხზე დაიძაბა ურთიერთობა. ეს იყო ევროპული ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის პოსტი. განსაკუთრებით იმის გამო, რომ ეცბ ფრანკფურტში იქნებოდა განთავსებული, შირაკი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მისი პირველი პრეზიდენტი ფრანგი ყოფილიყო. ეროვნული ცენტრალური ბანკების მმართველებმა ეცბ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე ევროპულ საბჭოს ჰოლანდიის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი ვიმ დუისენბერგი შესთავაზეს. კოლი მხარს უჭერდა დუისენბერგს, ვინაიდან მას სჯეროდა, რომ იგი მონეტარული პოლიტიკის იმპლემენტაციას წარმატებით განახორციელებდა. შირაკმა უგულებელყო ცენტრალური ბანკების კანდიდატი და მის ნაცვლად საფრანგეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის ჟან-კლოდ ტრიშეს დანიშვნა მოითხოვა. ბატალიები კომპრომისით დასრულდა: პირველ ეტაპზე დუისენბერგი დაინიშნებოდა ეცბ-ის პრეზიდენტად. იგი ბანკს გაუძღვებოდა მანამ, სანამ მოხდებოდა მონეტარული პოლიტიკის იმპლემენტაცია და ევროს ქაღალდის ფულისა და მონეტების ემისია. შემდეგ კი (ანუ დაახლოებით 2002 წლის მეორე ნახევარში) ეცბ-ის პრეზიდენტის თანამდებობას პრეზიდენტის ვადის დარჩენილი დროის განმავლობაში (სულ რვა წლის ვადით ინიშნება ეცბ-ის პრეზიდენტი) დაიკავებდა ჟან-კლოდ ტრიშე.

დუისენბერგის დანიშვნასთან დაკავშირებულმა კამათმა შირაკსა და კოლს შორის ურთიერთობები გააფუჭა. 1998 წლის ოქტომბერში კოლის არჩევნებში დამარცხებამ დაძაბულ ფრანგულ-გერმანულ ურთიერთობებში სიახლის შემოტანის მოლოდინები გააჩინა. თუმცა, შირაკის მიერ ფრანგული ინტერესების განუხრელად და მოუქნელად დაცვამ გერმანიის ახალი კანცლერი შროდერიც მის მიმართ მალევე ნეგატიურად განაწყო.

მესამე ეტაპი. ემკ-ის მესამე ეტაპი 1999 წლის იანვარში დაიწყო, როდესაც მონაწილე ვალუტების გაცვლითი კურსები მუდმივ ფორმატში დაფიქსირდა, ევროპული მონეტარული ინსტიტუტი ფრანკფურტში ევროპულმა ცენტრალურმა ბანკმა ჩაანაცვლა და მანვე აიღო ევროზონის მონეტარული პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა. ევრო მხოლოდ პირობითად არსებობდა, იგი ბაზარზე სამი წლის შემდეგ გამოჩნდა. ამ პერიოდის განმავლობაში ევროპული ცენტრალური ბანკი, კომისია და კომპეტენტური ეროვნული ორგანოები ახალი ვალუტის გამოშვებისა და ძველი ვალუტის მიმოქცევიდან ამოღებისთვის საჭირო ლოგისტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ. მაასტრიხტის ხელშეკრულებით, ძველი და ახალი ვალუტები ერთობლივ მიმოქცევაში ექვსი თვე შეიძლებოდა დარჩენილიყო. თუმცა, დაბნეულობის თავიდან ასარიდებლად, წევრი ქვეყნები გეგმავდნენ, რომ რაც შეიძლება დროულად გაეწვიათ ძველი ვალუტები.

ევროს ქაღალდის ბანკნოტები და მონეტები 2002 წლის იანვარში ჩაეშვა მიმოქცევაში. პროცესმა წარმატებით, ზედმეტი სირთულეების გარეშე ჩაიარა. მოსახლეობამ ბევრი ობიექტური მიზეზის გამო სიხარულით მიიღო ახალი ვალუტა. ევროპული ცენტრალური ბანკი კი დიდი სირთულით ახერხებდა დიდ და განვითარების თვალსაზრისით არათანაბარ ევროზონაში მონეტარული პოლიტიკის მართვას. ევროზონა მოიცავდა როგორც სწრაფად განვითარებად ირლანდიის, ასევე, სტაგნაციაში ჩავარდნილ გერმანიის ეკონომიკასაც. ზომის თვალსაზრისით ამ ორ ქვეყანას შორის აშკარა სხვაობა იყო, რის გამოც ევროპული ცენტრალური ბანკი საპროცენტო განაკვეთებს უფრო გერმანიის რეალობიდან გამომდინარე ადგენდა, ვიდრე ირლანდიის, რაც, რა თქმა უნდა, ერთგვარად აფერხებდა ირლანდიის განვითარებას. ევროპული ცენტრალური ბანკი კონსტიტუციურად ვალდებული იყო ებრძოლა ინფლაციის წინააღმდეგ. 2002-2003 წელს კი ევროზონაში ფასების დაცემისა და ეკონომიკური აქტივობის ტემპების შენელების დროს, ეცბ მოულოდნელი დეფლაციის რისკის წინაშე აღმოჩნდა.

ევრომ 1999 წლის იანვარში თავისი არსებობა დოლართან მიმართებაში 1,18-იან ნიშნულზე დაიწყო. მისი ღირებულება მალევე მკვეთრად დაეცა, თუმცა, 2002-2003 წლებში მან კვლავ საწყისი მდგომარეობა აღიდგინა. ევროს ღირებულებაში საწყისი დაცემა ბევრისთვის ნიშანი იყო იმისა, რომ ემკ არ იდგა მყარ საფუძვლებზე. ზოგი თვლიდა, რომ ეს იყო ბაზრის რეაქცია ევროს საწყის გადაჭარბებულ მოლოდინებზე და შეფასებებზე. ევროკავშირის პოლიტიკოსებისა და ოფიციალური პირებისთვის ეს დიდი იმედგაცრუება იყო, ვინაიდან მათ ევრო მომავალში მსოფლიოს მასშტაბით დოლარის ჩამნაცვლებელ ალტერნატივად წარმოედგინათ. მწარმოებლებისთვის, ეს ნიშნავდა, რომ ევროზონიდან ექსპორტირებული საქონელი უფრო მეტად კონკურენტუნარიანი იყო. ტურისტებისთვის კი ეს შედარებით იაფ დასვენებასთან ასოცირდებოდა.

სტაბილურობისა და ზრდის პაქტი. 1997 წლის ივნისში ამსტერდამის სამიტზე წევრი ქვეყნების ლიდერები სტაბილურობისა და ზრდის პაქტზე შეთანხმდნენ, რომლის მიზანიც ემკ-ის მესამე ეტაპის შემდეგ, საბიუჯეტო დისციპლინების გაგრძელებით, ერთიანი ვალუტის მდგრადობის შენარჩუნება იყო. გერმანიის დაჟინებული მოთხოვნით, პაქტში შევიდა მუხლი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იყო ევროზონის იმ ქვეყნის დაჯარიმება, რომელსაც „გადაჭარბებული“ საბიუჯეტო დეფიციტი (GDP-ის 3%-ზე მეტი) ჰქონდა. პაქტი ზოგიერთი ქვეყნისთვის სერიოზული შეზღუდვა აღმოჩნდა 2002-2003 წლებში. განმეორებითი რეცესიის დროს გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებისა და გაზრდილი დანახარჯების პარალელურად, მათ 3%-იანი ნიშნულის შენარჩუნება ვერ შეძლეს. ირონიულია, მაგრამ ერთ-ერთი ასეთი დამრღვევი თავად გერმანია იყო. მაგრამ შროდერის მთავრობამ, რომელიც 2002 წლის სექტემბერში მცირე უპირატესობით ხელმეორედ აირჩიეს, უუნარო იყო ან არ სურდა ამ მიმართულებით აქტიური მოქმედება. კიდევ ერთი ქვეყანა საფრანგეთიც ზერელედ ეკიდებოდა თავის მაღალ საბიუჯეტო დეფიციტს.

კომისიისთვის რთული იყო სტაბილურობისა და ზრდის პაქტის მხარდაჭერა და მისი განხორციელება მას შემდეგ, რაც მინისტრთა საბჭომ დაბლოკა კომისიის მცდელობა, გერმანიისთვის ფორმალური „ადრეული გაფრთხილება“ მიეცა. ამასთან, 2002 წლის ოქტომბერში კომისიის პრეზიდენტმა პროდიმ პაქტს „სულელური“ უწოდა. პარლამენტის წინაშე გამოსვლისას, მან ასეთი დახასიათება იმით ახსნა, რომ პაქტი გართულებულ ეკონომიკურ ვითარებას არ შეესაბამებოდა. მისი აზრით, ზრდის ტემპების დაცემისა და უმუშევრობის მატების პირობებში, პაქტით გათვალისწინებული შეზღუდვებისთვის დამორჩილების ნაცვლად, საჭირო იყო ფულის სესხება და ხარჯვითი ნაწილის გაზრდა. პროდის განაცხადში და გერმანიისა და საფრანგეთის საქციელში პრობლემა ის იყო, რომ ამან შეარყია ეკონომიკური და მონეტარული კავშირის სანდოობა, შეასუსტა ევროპული ცენტრალური ბანკის პოზიცია და გააღიზიანა ის წევრი ქვეყნები, რომლებმაც მკაცრი ფისკალური დისციპლინის გატარების გამო 1990-იან წლებში მტკივნეული პოლიტიკური ნაბიჯები გადადგეს.

ემკ არასოდეს ყოფილა საბოლოო მიზანი. ის უფრო იყო საბოლოო მიზნის მიღწევის საშუალება. საბოლოო მიზანს კი პროდუქტიულობის ზრდა, ზრდის მეტი ტემპები და მეტი სამუშაო ადგილი წარმოადგენდა. 2002 წლისთვის ეს მიზნები ჯერ კიდევ მიუწვდომელი და ბუნდოვანი იყო. აშშ-ში რეცესიამ და პოსტ-11 სექტემბრის გაურკვევლობის პერიოდმაც თავისი როლი ითამაშა არასახარბიელო ეკონომიკურ შედეგებში. გერმანიას, როგორც ევროზონის ეკონომიკის მოტორს, შეეძლო ამ შესაძლებლობის გამოყენება, ლიდერის ფუნქციის შესრულება და რეცესიიდან რეგიონის გამოყვანა. თუმცა, მან არ განახორციელა უკიდურესად საჭირო რეფორმები. უფრო მეტიც, მან დაამძიმა საკუთარი თავი და ევროზონა თავისი მოუქნელი შრომითი კანონებით, პროდუქციის წარმოების მაღალი დანახარჯებითა და კეთილდღეობისთვის გაღებული უზარმაზარი ვალით.

ბლერის სურვილისა და ბრიტანეთის მიერ კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიუხედავად, ბრიტანეთი ევროზონის გარეთ

დარჩა. ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა და ლეიბორისტულ პარტიაში ბლერის კონკურენტმა გორდონ ბრაუნმა ევროს მიღებამდე ბრიტანეთის ეკონომიკისთვის საკუთარი კრიტერიუმები დაადგინა. ამასთან, მთავრობამ პირობა დადო, რომ ემკ-ის მესამე ეტაპში გაწევრიანებამდე რეფერენდუმს ჩაატარებდა. ბლერს ემკ ეკონომიკური მიზეზით სურდა, თუმცა, მას პოლიტიკური მოტივების ამოძრავებდა. მისი აზრით, ევროს მიღების გარეშე ბრიტანეთი თავის წონასა და გავლენას სრულად ვერ გამოიყენებდა.

სოფლის მეურნეობა და ერთიანობა

1990-იან წლებსა და 2000-იანების დასაწყისში სოფლის მეურნეობისა და ერთიანობის პოლიტიკები ევროკავშირის ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს იკავებდნენ. მოსალოდნელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული გაფართოება ორივე მათგანზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა. კანდიდატი ქვეყნები ღარიბები იყვნენ და შედარებით დიდი სოფლის მეურნეობის სექტორი ჰქონდათ, შესაბამისად, მათი მონაწილეობა სოფლის მეურნეობის პოლიტიკასა და ერთიანობის პოლიტიკაში ისეთივე პირობებით, როგორითაც წევრი ქვეყნები იყვნენ, ევროკავშირს გაბანკროტებას გამოიწვევდა. ამიტომ გაფართოებამ სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და ერთიანობის პოლიტიკის რადიკალური რეფორმის საჭიროება მოიტანა. თუმცა, ბრიუსელიდან მსხვილი ფინანსური ტრანსფერების მიმღები წევრი სახელმწიფოები მათი წილის დათმობას არ აპირებდნენ.

1992 წლის მაისში, გატის ურუგვაის რაუნდის დასრულებისთვის (რომლისთვისაც საჭირო იყო ჭარბი პროდუქციის კონტროლი და თავისუფალი ბაზრისთვის ხელისშემშლელი სუბსიდიების შემცირება), მინისტრთა საბჭომ არსებითი რეფორმის გადაწყვეტილება მიიღო. მაკშერის რეფორმის მიხედვით, სუბსიდიების ბაზისის ფერმერებისთვის პირდაპირი გადახდისკენ გადატანით, გაწყდა კავშირი გარანტირებულ ფასებსა და ჭარბ პროდუქციას შორის. პარადოქსია, მაგრამ რეფორმირებული სსმპ

უფრო ძვირადღირებული იყო, ვიდრე წინა ვარიანტი იმიტომ, რომ მსხვილ კომპენსაციას იღებდნენ ის დიდი ფერმერებიც, რომლებსაც სხვა შემთხვევაში შემოსავლები მნიშვნელოვნად შეუმცირდებოდათ. რეფორმის პაკეტის საფუძველზე, 1992 წლის ოქტომბერში კომისიამ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ექსპორტის სუბსიდიების შემცირების შეთანხმებას მიაღწია. თუმცა, საფრანგეთს სტატუს-კვოს შენარჩუნება სურდა და ამიტომ დაბლოკა ხელშეკრულება. მანვე, გერმანიასთან ერთად, აიძულა კომოსია აშშ-თან თავიდან დაეწყო მოლაპარაკებები და შეეცვალა პირობები. წინააღმდეგობის მიუხედავად, საბოლოო ჯამში, აშშ მაინც დათანხმდა კომისიასთან ახალ შეთანხმებაზე. 1993 წლის დეკემბერში ევროპული საბჭოს მიერ ამ ხელშეკრულების დამტკიცებით, ურუგვაის რაუნდის დასრულების შესაძლებლობა შეიქმნა.

მომხმარებლები შეშფოთებულები იყვნენ იმით, რომ სსმპ პროდუქციის მასიურ წარმოებაზე იყო ორიენტირებული და ნაკლებ ყურადღებას უთმობდა საკვების ხარისხს. ასევე, მოსახლეობამ გააცნობიერა გარემოს პირობებზე სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ნეგატიური გავლენაც. მომხმარებლების პოზიციის გათვალისწინებითა და ამსტერდამის ხელშეკრულების ვალდებულებით, ევროკავშირმა გადაწყვიტა სოფლის მეურნეობის პოლიტიკა უფრო მეტად მომხმარებელზე და გარემო პირობებზე ორიენტირებული გაეხადა. *დღის წესრიგი 2000*-ის საშუალებით, რომელიც ევროპულმა საბჭომ 1999 წლის მარტში დაამტკიცა, ევროკავშირმა თანდათან დაიწყო ორგანულ მეურნეობაზე, სოფლის მეურნეობისა და გარემოს ჰარმონიულ თანაარსებობისა და სოფლის განვითარებაზე ზრუნვა.

2002 წლის ბოლოს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან გაფართოების მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების გამო, წევრ ქვეყნებს შემდეგ ფინანსურ პაკეტში (2007-2013 წლების პერიოდისთვის) სოფლის მეურნეობის დანახარჯებზე ახალი შეთანხმება ესაჭიროებოდათ. ბრიუსელის სამიტის გახსნამდე გერმანია და საფრანგეთი შეთანხმდნენ, რომ არ შეკვეცავდნენ დანახარჯებს, მაგრამ 2006 წლის შემდეგ მის

ზრდას 1%-ით შეამცირებდნენ. ამ საკითხზე საფრანგეთ-გერმანიის მყარი თანხმობის შემდეგ, სხვა წევრ ქვეყნებს, რომლებსაც გაფართოების პროცესის რაც შეიძლება დროულად დასრულება სურდათ, სხვა ალტერნატივა აღარ ჰქონდათ და მორჩილად დაეთანხმნენ სულ მცირე შემდეგი ათი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის უსაშველოდ დიდი დანახარჯების არსებობას. ანუ ევროკავშირმა სოფლის მეურნეობის ხარჯების შემცირების კიდევ ერთი შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა.

სსმპ შენარჩუნდა ნაწილობრივ იმიტომაც, რომ მას ევროპული ინტეგრაციის ისტორიაში საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა. საფრანგეთისთვის იგი იყო გერმანიასთან საწყისი გარიგების ფუნდამენტური ნაწილი. იგი სსმპ-ს თავგამოდებით იცავდა, როგორც საფრანგეთ-გერმანიის ხელახალი დაახლოების უმთავრეს სიმბოლოს. გერმანიას კარგად ესმოდა საფრანგეთის ინტერესები და ამის გათვალისწინებით, მან საფრანგეთს რამდენჯერმე გაუწია ანგარიში, მათ შორის, 1999 წლის მარტსა და 2002 წლის ოქტომბერში. ამასთან, შიდა პოლიტიკური ვითარება სოფლის მეურნეობის მხარეს იყო, რის გამოც საფრანგეთისთვის შეუძლებელი იყო, გერმანიისთვის კი ძალიან რთული, რომ მისი რადიკალური რეფორმირება მოეხდინა. ფერმერები რაოდენობრივად ცოტანი, მაგრამ პოლიტიკურად გავლენიანები იყვნენ. მათ მოსახლეობის მხარდაჭერაც ჰქონდათ. შესაბამისად, სსმპ-ის რეფორმის მოთხოვნა (განსაკუთრებით, საგარეო წყაროებიდან, მათ შორის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დოჰას რაუნდისას თავისუფალი სოფლის მეურნეობის მოვაჭრეთა და განვითარებადი სამყაროს მხრიდან) არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ ევროკავშირის ფერმერები გაეწაწყენებინათ, მყარად ფესვებგადგმული ფრანგულ-გერმანული ურთიერთობები კი შეესუსტებინათ.

მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ერთიანობისადმი ევროკავშირის ვალდებულებები კიდევ უფრო გააძლიერა. მათ შორის ერთ-ერთი ასეთი იყო ერთიანობის ფონდი, რომელიც 1993 წლის ბოლოსთვის უნდა შექმნილიყო და რომელიც ევროკავშირის

ნაკლებ განვითარებულ რეგიონებში ეკონომიკური კონვერგენციის მიღწევის მიზნით გარემოს დაცვისა და ტრანსპორტის პროექტებს განახორციელებდა. სხვა სიტყვებით, ეს ფონდი მიმართული იყო იმისკენ, რომ საბერძნეთს, ირლანდიას, პორტუგალიასა და ესპანეთს შეძლებოდათ საკმარისი ეკონომიკური კონვერგენციის მიღწევა და ამით ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მესამე ეტაპში მონაწილეობა. არსებულ სტრუქტურულ ფონდებთან ერთად, ერთიანობის ფონდი ევროკავშირის ბიუჯეტში ფინანსების ყველაზე მეტი შემტანი (*net contributor*) ქვეყნების მხრიდან ნაკლებ განვითარებული წევრი სახელმწიფოებისადმი (მათ დასახმარებლად) აღებული ვალდებულების კარგ მაგალითს წარმოადგენდა.

ამასთან, წევრი ქვეყნების შეთანხმდნენ, რომ გაზრდიდნენ რეგიონული განვითარებისთვის განკუთვნილ დაფინანსებას. 1988-1992 წლებისთვის დელორმა პოსტ-ერთიანი ევროპული აქტის საბიუჯეტო პაკეტის პროექტი (დელორი I) შეადგინა. 1992-1999 წლებისთვის მანვე მოამზადა ახალი საბიუჯეტო პაკეტი (დელორი II). დელორის II პაკეტი ერთიანობის პოლიტიკისთვის ფინანსების მნიშვნელოვან ზრდას ითვალისწინებდა, რაც გულისხმობდა „მიზანი 1"-ის რეგიონებისთვის ფინანსების გაორმაგებას, უფრო დიდ ერთიანობის ფონდსა და სხვა. თუმცა, 1992 წელს არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება დელორის მეორე პაკეტის განხორციელების საშუალებას არ იძლეოდა. ევროკავშირი რეცესიაში იყო, ევროპული მონეტარული სისტემა კრიზისში, მაასტრიხტის ხელშეკრულების ბედი კი ჯერაც გაურკვეველი. ამის მიუხედავად, 1992 წლის დეკემბრის ედინბურგის სამიტზე ევროპული საბჭო მაინც შეთანხმდა, რომ 1999 წლისთვის გააორმაგებდა დაფინანსებას ევროკავშირის ნაკლებად განვითარებული წევრი ქვეყნებისთვის. ეს იყო დელორის ერთ-ერთი ბოლო პოლიტიკური გამარჯვება.

1999 წლის შემდეგი საბიუჯეტო პაკეტი მეტად საკამათო აღმოჩნდა. ბიუჯეტში მთავარ შემტან ქვეყნებს აღარ სურდათ ირლანდიისა და საბერძნეთის სუბსიდირება (ირლანდია იმიტომ, რომ ამ ქვეყნის მისამართით განხორციელებული უზარმაზარი

ინვესტიციების კარგად წარმართვისა და მოხმარების გამო, ამ ქვეყანამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია და აღარ აკმაყოფილებდა „მიზანი 1“-ის რეგიონის კრიტერიუმებს. სწრაფი განვითარების გამო მას კელტურ ვეფხვსაც კი უწოდებდნენ. ხოლო საბერძნეთს იმიტომ, რომ ასევე უზარმაზარი ინვესტიციების მიუხედავად, ამ ფულის არასწორი მართვის გამო იგი მუდმივად ყველაზე ღარიბი იყო „მიზანი 1“-ის რეგიონის ქვეყნებიდან). წევრი სახელმწიფოები საბიუჯეტო ქამრებს იჭერდნენ მონეტარული პოლიტიკის გამო. ამასთან, „დიდი გაფართოებაც“ ახლოვდებოდა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ერთიანობის პოლიტიკის რეფორმა.

დღის წესრიგი 2000 ერთიანობის პოლიტიკის რეფორმის რამდენიმე შემოთავაზებას მოიცავდა. კომისიას სურდა, რომ 2000-2006 წლებში ერთიანობის ხარჯები ევროკავშირის წლიური ბიუჯეტის კვლავ მესამედი ყოფილიყო, საიდანაც უმეტესი ნაწილი კანდიდატ ქვეყნებს მოხმარდებოდა (ევროკავშირში მათ მიღებამდეც და მიღების შემდეგაც). კომისიის წინადადებით, სტრუქტურული ფონდების მიზნები სამამდე უნდა შემცირებულიყო და დარჩენილიყო მხოლოდ „დაბალი შემოსავლის ქვეყნები“, „გაღარიბების პროცესში მყოფი ინდუსტრიული რეგიონები“ და „ადამიანური რესურსების განვითარება“.

ამ მხრივ ევროპული საბჭოს გადამწყვეტი სამიტი 1999 წლის მარტში ჩატარდა. მას გერმანია თავმჯდომარეობდა. როგორც შედარებით ახალგაზრდა ლიდერს, შროდერს არ ჰქონდა ევროკავშირის სამიტების დიდი გამოცდილება. როგორც საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანას, მას სამიტის წარმატებით დასრულება სურდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მან სამიტის დაწყებამდე განაცხადა, რომ ევროკავშირის ხარჯვითი ნაწილის შემცირება სურდა, მან *დღის წესრიგი 2000*-ის თითქმის ყველა შემოთავაზება მაინც მიიღო. გაფართოება ამ დროს ჯერ დღის წესრიგში კრიტიკულად არ იდგა, ამიტომ რთული საბიუჯეტო გადაწყვეტილებების მიღება შემდეგი ფინანსური შვიდწლედის (2007-2013 წლების) პაკეტის მოლაპარაკებებისთვის გადადეს.

ერთიანობის პოლიტიკა (ანუ მდიდარ და ღარიბ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება) გაფართოებულ ევროკავშირშიც მნიშვნელოვან პრინციპად დარჩა. პრობლემა მხოლოდ ის იყო, თუ როგორ მომხდარიყო ამის პრაქტიკული განხორციელება. როგორც ჩანს, 2000-ანი წლების დასაწყისში თანდათან მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ღარიბი წევრი ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისთვის არსებითად მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე პირობის კომბინაცია, მათ შორის, ჯანსაღი მაკროეკონომიკური პოლიტიკა, სასურველი საერთაშორისო ეკონომიკური გარემო, ბრიუსელიდან განხორციელებული დიდი ფინანსური ტრანსფერები, ეროვნულ და ევროპულ დონეზე რეგიონული პოლიტიკის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, და ა.შ. ერთიანობის პოლიტიკა ზოგიერთ ამ ელემენტებს ფარავდა. დანარჩენებზე კი ევროკავშირი სხვა პოლიტიკის მიმართულებებით მუშაობდა.

შიდა უსაფრთხოება

გაღრმავებული ინტეგრაციისა და გლობალიზაციის სოციალურ გამოვლინებებზე საზოგადოებრივი შეშფოთების საპასუხოდ, 1990-იან წლებსა და 2000-იანების დასაწყისში წევრმა სახელმწიფოებმა მართლმსაჯულების და საშინაო საქმეებში თანამშრომლობის გაძლიერება დაიწყეს. ამსტერდამის ხელშეკრულება ამ მიმართულებით მნიშვნელოვან სიახლეებს მოიცავდა. საპოლიციო და სასამართლო თანამშრომლობის გარდა, წევრმა ქვეყნებმა ყველა სხვა საკითხი მაასტრიხტის ხელშეკრულების ინტერგავერნმენტალისტური მესამე საყრდენიდან (მართლმსაჯულებისა და საშინაო საკითხები) სუპრანაციონალურ პირველ საყრდენში გადაიტანეს. ისინი ასევე შენგენის შეთანხმების ევროკავშირის სამართლებრივ სისტემაში შეტანაზე შეთანხმდნენ. ამასთან, წევრი ქვეყნების გადაწყვეტილებით 2004 წელს

ჩამოყალიბდა „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცე“.

თავისი თავმჯდომარეობის დროს, 1999 წლის მეორე ნახევარში, ფინეთმა თავის მთავარ პრიორიტეტად მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეები გამოაცხადა და ოქტომბერში ქალაქ ტამპერეში ამ საკითხზე სპეციალური სამიტი მოიწვია. სამიტზე ევროპული საბჭოს მიერ „ტამპერეს ათი ქვაკუთხედი“ დამტკიცდა, რაც თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცისთვის მნიშვნელობის მისანიჭებლად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას გულისხმობდა. ეს ნაბიჯები მოიცავდა საერთო თავშესაფრისა და იმიგრაციის პოლიტიკას, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ უკეთეს ადმინისტრაციულ, სასამართლო და საპოლიციო თანამშრომლობას, მესამე ქვეყნების ეროვნების რეზიდენტებისთვის თანაბარი მოპყრობის უზრუნველყოფას, და სხვა.

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ეფექტური ანტიტერორისტული მექანიზმების შემუშავებისთვის საჭირო იყო წევრი ქვეყნების (ისევე, როგორც არაწევრი ქვეყნების) ერთობლივი და უფრო მჭიდრო თანამშრომლობა. 11 სექტემბრის პირველივე შედეგი იყო ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, ასევე, ევროკავშირსა და აშშ-ს შორის თანამშრომლობის გაძლიერება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ექსტრადიცია და ძებნილთა დაკავება.

უმუშევრობის ზრდის ფორმით გამოხატულმა ეკონომიკურმა საფრთხეებმა მდგომარეობა გაართულა. უკიდურესი მემარჯვენე დემაგოგებისთვის მარტივი იყო დამნაშავის არალეგალურ იმიგრანტებში ძიება. 2000-იანი წლების დასაწყისში ავსტრიაში, ბელგიაში, დანიასა და საფრანგეთში უკიდურესი მემარჯვენე პარტიების წარმატებებმა კარგად აჩვენა, რომ ექსტრემისტი მემარჯვენეების განცხადებებმა გავლენა იქონია საზოგადოებაზე. უკიდურესი მემარჯვენეების შეშფოთების განსაკუთრებული საგანი მოსალოდნელი გაფართოება იყო, ვინაიდან ისინი კარგად იყენებდნენ მოსახლეობის შიშს, რომ გაღარიბებული და დეგრადირებული ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპიდან

დასავლეთ ევროპაში მასების უკონტროლო შემოდინება განხორციელდებოდა. ასეთი შიშების საპასუხოდ, წევრ ქვეყნებს მიეცათ უფლება, ერთიანი ბაზრის და ზოგადად ევროკავშირის მნიშვნელოვანი ქვაკუთხედის (ადამიანების თავისუფალი გადაადგილება) განხორციელება ახალ წევრ ქვეყნებთან მიმართებაში შვიდი წლის დაგვიანებით მოეხდინათ. ანუ თუ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები 2004 წელს გახდებოდნენ ევროკავშირის წევრები, დანიას (ან ევროკავშირის ნებისმიერ სხვა წევრ ქვეყანას) ჰქონდა უფლება, ახალი წევრი სახელმწიფოებიდან ადამიანების თავისუფალი გადაადგილება კიდევ შემდეგი შვიდი წლის განმავლობაში შეეზღუდა. ასევე, ევროკავშირი აქტიურად მუშაობდა კანდიდატ ქვეყნებთან, რათა ევროკავშირის მომავალი აღმოსავლეთ საზღვრების დაცვა და უსაფრთხოება უზრუნველყო.

შეიძლება ითქვას, რომ თუ 2000-იან წლებში ევროპელებს უფრო მჭიდრო ინტეგრაცია სურდათ, ეს, უპირველეს ყოვლისა, შიდა უსაფრთხოების სფეროს ეხებოდა. თუმცა, ბევრი ევროპელის აზრით, ევროკავშირი არათუ ვერ ახერხებდა უსაფრთხოების გარანტიების შექმნას, არამედ თავად იყო ამ პრობლემების მიზეზი.

საგარეო ურთიერთობები

1990-2000-იან წლებში ევროკავშირი საერთაშორისო არენაზე ერთ-ერთი მთავარი აქტორი იყო. ევროკავშირის ნონა და სტატუსი, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური სუბიექტის, ძალიან მაღალი იყო. აშშ-თან ერთად, ევროკავშირს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში დომინანტური ადგილი ეკავა.

ევროკავშირმა თავისი გლობალური ეკონომიკური გავლენა რამდენიმე სავაჭრო და დახმარების პაქტების მოლაპარაკებით ან ხელახალი მოლაპარაკებით გაზარდა. მათ შორის აღსანიშნავია 2000 წლის *კოტონოუს ხელშეკრულება* (აფრიკის, კარიბის ზღვის აუზისა და წყნარი ოკეანის 80-ზე მეტ სახელმწიფოსთან), რომელმაც უკვე სამჯერ გადახედილი *ლომეს შეთანხმება* ჩაანაცვლა. ასევე მნიშვნელოვანი იყო 2001 წლის მარტში ძალაში

შესული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება მექსიკასთან. ევროკავშირმა აშშ-თან თავისი ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაცია პირველად 1999 წელს *ტრანსატლანტიკური დეკლარაციით*, შემდეგ კი 1995 წლის დეკემბრის *ახალი ტრანსატლანტიკური დღის წესრიგით* მოახდინა. ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკას მნიშვნელოვანი საერთაშორისო გავლენა ჰქონდა. გარდა იმისა, რომ იგი პირდაპირ აისახებოდა ევროკავშირში მოქმედ დიდ უცხოურ კომპანიებზე, კონკურენციის პოლიტიკა ევროკავშირის სავაჭრო ხელშეკრულებების განუყოფელი და შემადგენელი ნაწილიც იყო. ევროკავშირი ლიდერი მოთამაშე გახდა საერთაშორისო გარემოს დაცვის პოლიტიკაშიც, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2001 წელს აშშ-მა *კიოტოს პროტოკოლზე* უარი განაცხადა. და ბოლოს, ერთიანმა ევროპულმა ვალუტამ ევრომ ევროკავშირის საერთაშორისო იმიჯს დამატებითი ბრწყინვალება შემატა. თუმცა, ევროს საწყისმა მერყეობამ შეასუსტა ევროკავშირის ამბიცია, რომ ევრო დოლარის კონკურენტი და მსოფლიო რეზერვების წამყვანი ვალუტა ყოფილიყო.

ეკონომიკური რეალიებისგან განსხვავებით, ევროკავშირი სუსტი იყო საგარეო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სფეროებში. მაასტრიხტის ინოვაცია - საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა - არ იყო ისეთი წარმატებული, როგორც ეს ევროკავშირის ზოგიერთ წევრს სურდა. მაასტრიხტის ხელშეკრულების მიხედვით, ერთსულოვნად მიღების შემდეგ, *საერთო პოზიციისა* და *ერთიანი ქმედების* იმპლემენტაცია კვალიფიციური უმრავლესობით შეიძლებოდა. მაგრამ საერთო პოზიციასა და ერთიან ქმედებას შორის ზღვარი გაურკვეველი იყო, გადაწყვეტილების მიღების პროცესი კი - დამაბნეველი. ამასთან, მინისტრთა საბჭო ვერ გადაეჩვია ყველაფრის ერთსულოვნად გადაწყვეტის ძველ ჩვევასაც.

ევროპული სტაბილურობის პაქტი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ახლად დამოუკიდებლობა მიღებულ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობების წახალისების ერთ-ერთი პირველი და ყველაზე წარმატებული ერთიანი ქმედება იყო. ევროკავშირისთვის ეს მარტივად მართვადი მექანიზმი აღმოჩნდა. ამის სა-

პირისპიროდ, ევროკავშირმა ვერ შეძლო ბოსნიაში განვითარებული მოვლენების შეჩერება მანამ, სანამ 1995 წელს აშშ არ ჩაერია სამხედრო ძალებით. წევრმა ქვეყნებმა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძალაში შესვლამდე გააცნობიერეს მისი სისუსტეები, რის გამოც მაასტრიხტის ხელშეკრულებითვე დანიშნეს შემდეგი ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია 1996 წლისთვის, რათა მომხდარიყო მისი პროგრესის შეფასება და პროცედურების გადახედვა. ბოსნიაში ევროკავშირის არაეფექტურობით გამოწვეულმა საზოგადოებრივმა უკმაყოფილებამ და იმედგაცრუებამ ევროკავშირის ყურადღება მის საზღვრებს გარეთ უფრო ეფექტურად მოქმედების საჭიროებაზე გადაიტანა.

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე ამსტერდამის ხელშეკრულების მუხლები ნადვილად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა, არ იყო ისეთი შორს მიმავალი, როგორსაც ევროკავშირის სუპრანაციონალური ინსტიტუტები და სუპრანაციონალურად მოაზროვნე წევრი ქვეყნები ისურვებდნენ. აღნიშნული მუხლები მოიცავდა პოლიტიკის ახალ ინსტრუმენტებს, კვალიფიციური უმრავლესობის უფრო ხშირად და ფართოდ გამოყენებას, „კონსტრუქციული თავშეკავების“ უფლებას (იმ წევრებისთვის, რომელთაც არ უნდოდათ კონკრეტულ ინიციატივაში მონაწილეობა, მაგრამ ერთსულოვნების პროცედურის გათვალისწინებით, არც პროცესის დაბლოკვის მოსურნენი იყვნენ), და მინისტრთა საბჭოს სამდივნოში *პოლიტიკის დაგეგმარებისა და ადრეული გაფრთხილების ერთეულის* დაარსების გადაწყვეტილებას. ამსტერდამის ხელშეკრულებით ასევე დაფუძნდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროებში უმაღლესი წარმომადგენლის პოსტი, რომელსაც საგარეო არენაზე ევროკავშირი უნდა წარმოედგინა. ამასთან, ამსტერდამის ხელშეკრულების შემდეგ პერიოდში ევროკავშირმა ჩამოაყალიბა რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთო სტრატეგია, განსაკუთრებით, რუსეთთან, დასავლეთ ბალკანეთთან და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებთან მიმართებაში.

1999 წლის ივნისში ევროპულმა საბჭომ პირველ უმაღლეს წარმომადგენლად ხავიერ სოლანა დანიშნა. სოლანას გამოც-

დილება (იგი ნატოს გენერალური მდივანი იყო და საგარეო და თავდაცვის სფეროში აშშ-ის გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან მას კარგი კონტაქტები და ურთიერთობა ჰქონდა) ღირებული შენაძენი იგი ევროკავშირისთვის. როგორც მოსალოდნელი იყო, სოლანა ევროკავშირის საგარეო და თავდაცვის პოლიტიკების სფეროში თანამშრომლობას განასახიერებდა. მაგრამ მისი ძალაუფლება ფიქტიური და მორალური უფრო იყო, ვიდრე რეალური. პროცედურულმა სისუსტეებმა კვლავ საფრთხე შეუქმნა ევროკავშირის საგარეო ქმედებების ეფექტურობას: სოლანას თავმჯდომარე ქვეყნის მოსამსახურის როლი ეკავა; მაღალი თანამდებობის მიუხედავად, იგი ყველაზე პატარა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრსაც კი ემორჩილებოდა; და მის და საგარეო ურთიერთობების კომისარს შორის ურთიერთობა ბუნდოვანი, ფუნქციები კი გაუმიჯნავი იყო.

ბალკანეთში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის არაადეკვატურობა. ევროკავშირმა ვერ შეძლო სწრაფად და აგრესიულად მოქმედება 1998-1999 წლებში კოსოვოში სერბების მიერ მუსლიმი მოსახლეობის გაჟლეტის შესაჩერებლად. კოსოვოს მოვლენების შემდეგ, ევროკავშირის ბევრმა წევრმა ქვეყანამ ნატო-ს ეგიდით მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ოპერაციებში, თუმცა, დამოუკიდებლად ევროკავშირს არ შეეძლო ან არ ჰქონდა სურვილი, რომ კოსოვოს მოვლენებში გადამწყვეტი მოქმედებები განეხორციელებინა.

1998 წლის დეკემბერში ბრიტანულ-ფრანგული შეთავაზების საფუძველზე, ევროკავშირმა „ავტონომიური სამხედრო ქმედების შესაძლებლობის“ განვითარება დაიწყო, რაც 2003 წელს *სწრაფი რეაგირების ძალის* ჩამოყალიბებით დასრულდა. სამხედრო თვალსაზრისით, ევროკავშირის ყველაზე ძლიერ ქვეყანას ბრიტანეთს ევროპული თავდაცვითი ინიციატივების ნაცვლად, ტრადიციულად ყოველთვის აშშ-თან მჭიდრო თანამშრომლობის განვითარება ერჩივნა ხოლმე. მისი წინამორბედების მსგავსად, ბლერიც ატლანტიცისტი იყო, მაგრამ მას ასევე საგარეო და თავდაცვის სფეროებში ევროპული ინტეგრაციის

გაღრმავების სურვილიც ჰქონდა (თუმცა, ინტერგავერნმენტალიზმის საწყისებზე). ევროზე უარის თქმის შემდეგ, ბლერს ევროკავშირში ბრიტანეთისთვის ლიდერის როლის მინიჭების საშუალებად სწორედ თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა წარმოედგინა. შირაკი მოხარული იყო ამ საკითხზე ბრიტანეთთან თანამშრომლობით, ბოლოს და ბოლოს, ეს მიზანი ხომ საფრანგეთს უკვე დიდი ხანია გააჩნდა?!

აშშ-ის ადმინისტრაციაში ამ იდეამ მცირე ეჭვები გააჩინა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, 1999 წლის აპრილში ვაშინგტონის სამიტზე ნატო-მ ევროკავშირის ავტონომიური თავდაცვითი შესაძლებლობის მიზანი წარმატებით დაამტკიცა. ორი თვის შემდეგ კიოლნში ევროპულმა საბჭომ ნატოსგან დამოუკიდებლად (ანუ რეალურად, აშშ-გან დამოუკიდებლად) ევროკავშირის მიერ სამხედრო ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობის განვითარების გადაწყვეტილება მიიღო. კიოლნის დეკლარაციით, ეს იქნებოდა ევროპული კავშირის მშენებლობაში ახალი წინ გადადგმული ნაბიჯი.

ექვსი თვის შემდეგ, 1999 წლის დეკემბერში ჰელსინკის სამიტზე ევროპულმა საბჭომ დააკონკრეტა, თუ რა იქნებოდა ევროკავშირის სამხედრო შესაძლებლობები: 60 000-მდე კარგად შეიარაღებული პირადი შემადგენლობა, რომელსაც ექნებოდა მართვის, კონტროლისა და დაზვერვის საჭირო საშუალებები და რომელიც შეძლებდა 60 დღის განმავლობაში შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებას და მინიმუმ ერთი წლის მანძილზე ადგილზე დარჩენას. თავისი უსაფრთხოებისა და თავდაცვის განვითარებადი პოლიტიკის საწარმოებლად ევროკავშირმა რამდენიმე ორგანოც დააფუძნა: *პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტი, სამხედრო კომიტეტი* და *სამხედრო პირადი შემადგენლობა.* ამავე პერიოდში, ევროკავშირმა ეფექტურად გადაიბარა დასავლეთ ევროპული კავშირის ფუნქცია-მოვალეობები.

2000-იანი წლების დასაწყისში წევრი ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტები სერიოზულ სირთულეებს განიცდიდნენ. ამიტომ ყველაზე დიდი გამოწვევა ამ პროცესში იყო უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში უფრო მჭიდრო თანამშრომლობის რიტო-

რიკასა და რეალობას შორის განსხვავება. ამბიციური მიზნებისა და სურვილების მიუხედავად, რთული ეკონომიკური ვითარების გამო წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი სამხედრო ბიუჯეტების შეკვეცა განახორციელეს.

ევროკავშირში თავდაცვის სფეროში უფრო მჭიდრო თანამშრომლობის მოწოდებების მიუხედავად, ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის მნიშვნელოვნად დაიძაბა ურთიერთობა იმაზე, თუ როგორ მოქცეულიყვნენ ერაყთან დაკავშირებით. ვითარებამ პიკს მიაღწია 2003 წლის მარტში, როდესაც აშშ-მა და ბრიტანეთმა, საფრანგეთისა და გერმანიის წინააღმდეგობის მიუხედავად, ერაყი დაიპყრეს. ამის საპასუხოდ, ამავე წლის გვიან აპრილს საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიისა და ლუქსემბურგის ლიდერებმა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობაზე მინი-სამიტი ჩაატარეს, რომელზეც ბრიტანეთი და აშშ-სადმი პოზიტიურად განწყობილი წევრი სახელმწიფოები შეგნებულად არ მიიწვიეს.

სიტუაციის განსამუხტად, ევროკავშირს შიგნით და ასევე ევროკავშირისა და აშშ-ის ლიდერებს შორის ურთიერთობების დასარეგულირებლად, 2003 წლის ივნისში სოლანამ ევროპულ საბჭოს ახალი დოკუმენტი წარუდგინა. *„უსაფრთხო ევროპა უკეთეს მსოფლიოში“* გლობალური უსაფრთხოებისთვის სამ მთავარ გამოწვევას ასახელებდა: ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღი და არშემდგარი ქვეყნებიდან გამოწვეული შედეგები. ამ საფრთხეებზე სოლანა ევროკავშირის მხრიდან უხეში, ძლიერი ფორმებით რეაგირების (მათ შორის, სამხედრო ძალის გამოყენების) მომხრე იყო. ეს დოკუმენტი საფუძველი გახდა *უსაფრთხოების სტრატეგიის,* რომელიც ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა.

ახალი სტრატეგია 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებზე აშშ-ის ხედვას უფრო ასახავდა, ვიდრე ევროკავშირის ტრადიციულ მსოფლმხედველობას. თუმცა, იგი მხარს უჭერდა მრავალმხრივ საერთაშორისო სისტემასა და გაეროს ფუნდამენტურ როლს. მან კვლავ დააახლოვა ევროკავშირის შიგნით და ასევე ევროკავშირსა და აშშ-ს შორის არსებული განსხვავებული ხედვები. ამავე დროს, ევროკავშირის საერთაშორისო გავლენისა და სანდოობის გასაზრდე-

ლად, ახლად შემუშავებული კონსტიტუციის ხელშეკრულების პროექტი უკვე შეიცავდა ევროპული საბჭოს მუდმივმოქმედი პრეზიდენტისა და ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტების შემოღების მუხლებს.

თუმცა, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ეფექტურ პოლიტიკას თავისი ზღვარი ჰქონდა, რომლის იქითაც წევრი ქვეყნების უმრავლესობა გადაბიჯებას არ აპირებდა. მაგალითად, არც ბრიტანეთი და არც საფრანგეთი გაეროს უშიშროების საბჭოში ევროკავშირის ერთიანი ადგილისთვის საკუთარ მუდმივ წევრობას არ დათმობდა. ასევე, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას შეიძლება დაეშვა საკუთარი ეროვნული თავდაცვის პასუხისმგებლობის ევროპულ სუპრანაციონალურ ინსტიტუტებზე გადაცემა. ამის მიუხედავად, ევროკავშირმა ერაყისგან გარკვეული მაგალითები ისწავლა: მას არ/ვერ შეეძლო გამხდარიყო აშშ-ის მსგავსი ძლიერი ძალა, მაგრამ ევროკავშირმა საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე უფრო მეტი პასუხისმგებლობითა და უფრო მეტად თანმიმდევრული პოლიტიკით დაიწყო მოქმედება.

თავი 10

2000-იანი წლები: კონსტიტუციონალიზაცია და ლისაბონის ხელშეკრულება

კონსტიტუციური კონვენცია

ლაეკენის დეკლარაციაში ჩაიწერა, რომ გაფართოების პროცესში მყოფი ევროპული კავშირი უფრო დემოკრატიული, უფრო ტრანსპარენტული და უფრო ეფექტური უნდა ყოფილიყო. ევროკავშირი, ასევე, სამ ძირითად გამოწვევას უნდა გამკლავებოდა: როგორ დაეახლოებინათ მოქალაქეები (განსაკუთრებით, ახალგაზრდები) ევროპულ ინსტიტუტებთან? როგორ მომხდარიყო გაფართოებულ ევროკავშირში ევროპული პოლიტიკური სივრცის ორგანიზება და პოლიტიკის წარმოება? და როგორ გაეხადათ ევროკავშირი სტაბილურობის მოდელი ახალი, მრავალპოლარული მსოფლიოსთვის?

ამ სირთულეების მოსაგვარებლად შეიქმნა კონვენცია, რომელსაც რამდენიმე საკითხი დაევალა, მათ შორის, ევროკავშირის კომპეტენციების უკეთესი განსაზღვრა და გამიჯვნა, ევროკავშირის ინსტრუმენტების გამარტივება, დემოკრატიის, ტრანსპარენტულობისა და ეფექტურობის ზრდა, და ხელშეკრულებების გამარტივება და რეორგანიზება. კონვენცია 105 წევრისგან შედგებოდა. მსგავსად იმ კონვენციისა, რომელმაც ფუნდამენტური უფლებების ქარტია მოამზადა, ამ შემთხვევაშიც კონვენციაში უმრავლესობა სამთავრობოს ნაცვლად, საპარლამენტო წარმომადგენლებს ჰქონდათ. შესაბამისად, კონვენცია ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის მაგივრობას, ჩანაცვლებას არ აპირებდა.

კონვენცია 2002 წლის 28 თებერვალს გაიხსნა. კარგად ორგანიზებული და მოქნილი სამდივნოს დახმარებით, კონვენცია თავის საქმიანობას ოთხ სხვადასხვა ფორმატში ახორციელებდა:

- *პრეზიდენტის ოფისი* - საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი და კონვენციის პრეზიდენტი ჟისკარდი აქტიურად გან-

საზღვრავდა კონვენციის ფოკუსს, მიმდინარეობასა და შედეგების ფორმირების პროცესს. მას მკაფიოდ ჰქონდა ჩამოყალიბებული თავისი შეხედულებები, მათ შორის, ევროპული საბჭოს გაძლიერებაზე, კომისიის მოდელთან, და ეფექტურობისა და დემოკრატიულობის გაზრდის მიზნით, პროცედურების გამარტივებასთან დაკავშირებით.

- *პრეზიდიუმი* - თავმჯდომარისა და ორი ვიცე-თავმჯდომარის ჩათვლით, იგი კონვენციის 13 წევრისგან შედგებოდა. მისი ფუნქცია, საქმიანობის შესაფერისი ორგანიზებისა და მოვალეობების სწორი განაწილების უზრუნველყოფით, კონვენციისთვის მიმართულებისა და ბიძგის მიცემა იყო.
- *სამუშაო ჯგუფები* - კონკრეტული საკითხების სიღრმისეულად შესწავლის, დამუშავების მიზნით 11 ასეთი სამუშაო ჯგუფი იყო შექმნილი.
- *პლენარული სესიები* - თვეში მინიმუმ ერთხელ მაინც ტარდებოდა. ორი დღის განმავლობაში ტარდებოდა დებატები, განიხილებოდა სამუშაო ჯგუფებიდან წარმოდგენილი ანგარიშები და ნელ-ნელა ხდებოდა ტექსტის საბოლოო ვარიანტის შემუშავება.

ლაეკენის დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ კონვენციის მიერ გამოქვეყნებული საბოლოო დოკუმენტი ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის დისკუსიებისთვის საჭირო საწყისი წერტილი იქნებოდა, საბოლოო გადაწყვეტილებას კი, წევრი ქვეყნები მიიღებდნენ კონფერენციის განმავლობაში. თუმცა, როგორც კონვენციის მიმდინარეობამ აჩვენა, კონვენციის დოკუმენტი არა მხოლოდ დისკუსიების საწყისი წერტილი აღმოჩნდა, არამედ, უმრავლეს შემთხვევაში, განსაზღვრა კიდეც ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის შედეგები. კონვენციის დაწყებიდან მალევე ნათელი გახდა, რომ მისი წევრები მინიმალისტური მოთხოვნებითა და ინტერპრეტაციებით არ აპირებდნენ საკუთარი თავის შეზღუდვას. უფრო მეტიც, კონვენციის ამბიცია ევროკავშირისთვის კონსტიტუციის სრულყოფილი პროექტის შექმნა გახდა. დისკუსიების ასეთმა განვითა-

რებამ მაშინვე მიიპყრო ეროვნული მთავრობების ყურადღება. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ზოგიერთმა მათგანმა თავისი პირვანდელი წარმომადგენლები უფრო მაღალი თანამდებობის ფიგურებითაც კი ჩაანაცვლა.

კონვენციის პირველი პროექტის წარდგენა 2003 წლის ივნისის თესალონიკის ევროპული საბჭოსთვის იყო დაგეგმილი. მაგრამ ამ პერიოდისთვის ოთხნაწილიანი ტექსტის მხოლოდ პირველი და მეორე ნაწილები იყო დასრულებული, რის გამოც იგი გადაიდო. მესამე და მეოთხე ნაწილები ივლისში კონვენციის ბოლო პლენარულ სესიაზე იქნა დამტკიცებული (ჟისკარდს ეშინოდა, რომ ღია დაპირისპირება დაასუსტებდა კონვენციის პოზიციას, ამიტომ მისი დაჟინებული მოთხოვნით, ტექსტის ნაწილების მიღება კენჭისყრის ნაცვლად კონსენსუსის წესით მოხდა). საბოლოოდ, 2003 წლის 18 ივლისს ტექსტის ბოლო ვარიანტი სახელად *ევროპისთვის კონსტიტუციის დამფუძნებელი ხელშეკრულების პროექტი* მინისტრთა საბჭოს იტალიის თავმჯდომარეობას წარედგინა.

ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია

ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია 2003 წლის 4 ოქტომბერს დაიწყო. შემადგენლობის მიხედვით იგი წინა ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციების მსგავსი იყო: მის სათავეში იყვნენ სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურები, რომლებიც ყველაზე მტკივნეულ და პოლიტიკურად მნიშვნელოვან საკითხებს წყვეტდნენ; საგარეო საქმეთა მინისტრები რეგულარულად იკრიბებოდნენ და პროგრესს განიხილავდნენ; ძირითადი შრომა, დეტალური საქმიანობა კი ეროვნული წარმომადგენლების მიერ წარმოებდა. ის სახელმწიფოები, რომლებიც 2004 წლის მაისში ევროკავშირში გაწევრიანებისთვის ემზადებოდნენ, ინტერგავერნმენტალისტურ კონფერენციაში სრულუფლებიანი წევრის სტატუსით იღებდნენ მონაწილეობას.

ფუნქციონირების მიხედვით, ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მისი წინამორბედებისგან: მისი დღის წესრიგი მნიშვნელოვანწილად *ევროპისთვის კონსტიტუციის დამფუძნებელი ხელშეკრულების პროექტის* მიხედვით იყო განსაზღვრული და კონსტიტუციური კონვენციის მიერ შეთანხმებული. გარდა ამისა, მის მონაწილეებს სურდათ, რომ კონფერენცია უფრო სწრაფად დასრულებულიყო: ევროპულ საბჭოს იმედი ჰქონდა, რომ მისი დამთავრება 2004 წლის ივნისის ევროპული პარლამენტის არჩევნებამდე მოესწრებოდა.

როგორც ყოველთვის, ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის განმავლობაში მონაწილე ქვეყნებს განსხვავებული ინტერესები ამოძრავებდათ. მაგალითად, ცხრა წევრ ქვეყანას (ჩეხეთის რესპუბლიკას, ირლანდიას, იტალიას, ლიტვას, მალტას, პოლონეთს, პორტუგალიას, სლოვაკეთსა და ესპანეთს) ხელშეკრულებაში ევროპის ქრისტიანული მემკვიდრეობისა და ფასეულობების შესახებ მუხლის დამატების სურვილი ჰქონდა. შვიდი პატარა წევრი სახელმწიფო (ავსტრია, დანია, ესტონეთი, ირლანდია, ნიდერლანდები, პორტუგალია და სლოვენია) მინისტრთა საბჭოს როტაციული სისტემის შენარჩუნების მომხრე იყო. რვა წევრი (მათ შორის, ყველა ყოფილი „ნეიტრალური“) ქვეყანა (ავსტრია, დანია, ესტონეთი, ფინეთი, ირლანდია, პოლონეთი, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი) კი ერთიანი, კოლექტიური თავდაცვის მუხლის მიღებას ეწინააღმდეგებოდა.

იმისათვის, რომ კონვენციის მიერ შემოთავაზებული ტექსტის გარდა დამატებით შემოთავაზებებს ზედმეტი გართულებები არ შეექმნა და პროგრესი არ შეენელებინა, იტალიის თავმჯდომარეობამ გადაწყვიტა კონვენციის მიერ შეთანხმებულ ხელშეკრულების პროექტს მაქსიმალურად დაახლოებოდა და მინიმალურად მომხდარიყო მისი ჩარჩოებიდან გასვლა. შესაბამისად, კონვენციის ფარგლებში უკვე შეთანხმებული საკითხების ხელახალი განხილვა არ იყო წახალისებული. ამის მიუხედავად, ორი საკითხი მაინც იმდენად პრობლემური აღმოჩნდა, რომ 12-13 დეკემბრის ბრიუსელის სამიტზე ევროპულმა საბჭომ

მათზე შეთანხმებას ვერ მიაღწია. პირველი, ეს იყო კომისართა კოლეგიის ზომა. კონვენციის შეთავაზებით, 2009 წლიდან კომისრების რაოდენობა 15-მდე უნდა შემცირებულიყო. ქვეყნების უმრავლესობას ეჭვები ჰქონდათ ამ საკითხთან დაკავშირებით. განსაკუთრებით კი პატარა წევრ სახელმწიფოები იყვნენ შეშფოთებულები, ვინაიდან მათ კომისია დიდი ქვეყნების მიმართ პატარა ქვეყნების ინტერესების დამცველად წარმოედგინათ. მეორე პრობლემური საკითხი მინისტრთა საბჭოში კენჭისყრის პროცედურები იყო. კონვენციის რეკომენდაციით, საჭირო იყო კვალიფიციური უმრავლესობით აწონილი ხმების გაუქმება და ორმაგი უმრავლესობის სისტემის (წევრი ქვეყნების უმრავლესობა და ევროკავშირის მთლიანი მოსახლეობის 60%) დანერგვა. გერმანია განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა ამ შემოთავაზებას. მისი აზრით, ნიცის ხელშეკრულებით, პოლონეთს და ესპანეთს ხმების არაპროპორციულად მაღალი რაოდენობა ჰქონდა (თითოეულს 27-27 ხმა დაახლოებით 40-40 მილიონიანი მოსახლეობით, მაშინ, როდესაც 80 მილიონზე მეტი მოსახლეობის გერმანიას მხოლოდ 2-ით მეტი, 29 ჰქონდა).

დეკემბრის სამიტზე ამ საკითხებზე შეთანხმება ვერ შედგა. პოლონეთი და ესპანეთი ეწინააღმდეგებოდნენ მინისტრთა საბჭოს აწონილ ხმებთან დაკავშირებით ნიცის ხელშეკრულების პირობების გადახედვას. ამასთან, იტალიის თავმჯდომარეობა დაადანაშაულეს იმაში, რომ იგი კარგად ვერ ახორციელებდა თავის საქმიანობას. საბოლოო ჯამში, დეკემბრის სამიტზე კონსტიტუციური ხელშეკრულების ტექსტის დასრულება ვერ მოხერხდა.

ეს საკითხი შემდეგმა თავმჯდომარე ქვეყანა ირლანდიამ იტვირთა. მას გაუმართლა იმაშიც, მარტში საერთო არჩევნების ჩატარების შემდეგ ესპანეთში ხელისუფლება შეიცვალა - ძალაუფლებაში სოციალისტები მოვიდნენ. ახალ მთავრობას გერმანიასთან და საფრანგეთთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება სურდა, ამიტომ ესპანეთის პოზიცია მინისტრთა საბჭოს აწონილ ხმებთან დაკავშირებით რბილი და მოქნილი გახდა. ესპანეთის ქმედებით პოლონეთი იზოლაციაში მოექცა. პოლონეთს კი იზოლაციაში ყოფნა ყველაზე ნაკლებ უნდოდა - ჯერ ერთი, იგი

ახალი წევრი სახელმწიფო იყო, და მეორეც, სოფლის მეურნეობის პოლიტიკასთან და სტრუქტურულ ფონდებთან დაკავშირებით მთავარი პოლიტიკური ბატალიები პოლონეთს ჯერ კიდევ წინ ჰქონდა.

შესაბამისად, ევროპულმა საბჭომ ირლანდიის თავმჯდომარეობას უფლება მისცა, მარტის მეორე ნახევარში ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია გაეგრძელებინა. წევრმა ქვეყნებმა კომისიასთან და მინისტრთა საბჭოსთან დაკავშირებით მალევე შეთანხმებასაც მიაღწიეს:

- კომისართა კოლეგიის ზომა კვლავ შეკვეცილი დარჩა, თუმცა, კომპრომისის მიხედვით, ეს ცვლილება 2009 წლის ნაცვლად 2014 წელს მოხდებოდა.
- მინისტრთა საბჭოს აწონილი ხმები გაუქმდა, მაგრამ წევრი ქვეყნების უმრავლესობისა და ევროკავშირის მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლები გაიზარდა იმაზე მეტად, ვიდრე ეს კონვენციის რეკომენდაციებში იყო აღნიშნული.

ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია 2004 წლის 17-18 ივნისს ბრიუსელში, ევროპული საბჭოს სხდომაზე დასრულდა. 2004 წლის 29 დეკემბერს კი კონსტიტუციურ ხელშეკრულებას რომში ოფიციალურად მოეწერა ხელი.

კონსტიტუციური ხელშეკრულება

რატიფიკაციის შემთხვევაში, კონსტიტუციური ხელშეკრულება რომის ხელშეკრულებებსა (ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობა და ევრატომი) და მაასტრიხტის ხელშეკრულებას ნიცის ხელშეკრულების მდგომარეობით ერთიანი ხელშეკრულებით ჩაანაცვლებდა. ბევრის სურვილებისა და მოლოდინების საწინააღმდეგოდ, კონსტიტუციური ხელშეკრულება უსაშველოდ გრძელი იყო. იგი შედგებოდა პრეამბულის, ოთხ ნაწილში გაერთიანებული 448 მუხლის, 36 პროტოკოლის, 2 დამატებისა

და 50 დეკლარაციისგან. კონსტიტუციური ხელშეკრულების ძირითადი ოთხი ნაწილი შემდეგნაირად იყო ორგანიზებული:

- ნაწილი I – 1-60 მუხლებში გაწერილი იყო ევროკავშირის ზოგადი წესები და პრინციპები. ასევე, მოცემული იყო ევროკავშირის მიზნები, ძალაუფლება, ინსტიტუტები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები.
- ნაწილი II – 61-114 მუხლები ფუნდამენტური უფლებების ქარტიას მოიცავდა, რომლებიც ნიცის ხელშეკრულების „ღირსეული აღიარების“ შემდეგ ხელშეკრულებებში ოფიციალურად შევიდა.
- ნაწილი III – 115-436 მუხლები ევროკავშირის პოლიტიკის მიმართულებებსა და ფუნქციონირების საკითხებს ფარავდა. არსებული ხელშეკრულებების (განსაკუთრებით, ევროპული თანამეგობრობის დამაარსებელი ხელშეკრულების ანუ რომის ხელშეკრულების) ძირითად ნაწილი სწორედ ამ მუხლებში იყო მოცემული.
- ნაწილი IV – 437-448 მუხლებში განხილული იყო ზოგადი და ფინალური მუხლები, მათ შორის ხელშეკრულების მიღებისა და გადასინჯვის პროცედურები.

კონსტიტუციური ხელშეკრულებისთვის რამდენიმე რამ იყო დამახასიათებელი. პირველი, სიმბოლურად მნიშვნელოვანი სიტყვის „კონსტიტუცია“ გამოყენების მიუხედავად, იგი არ იყო ისეთი მარტივი დოკუმენტი, რომ ფართოდ ყოფილიყო „შესაფერის“ კონსტიტუციად აღიარებული. მხოლოდ ნაწილი I და ფუნდამენტური უფლებების ქარტია შეიძლებოდა განხილულიყო ისეთ ელემენტებად, რომლებსაც ბევრ ეროვნულ კონსტიტუციებში შეხვდებით. თუმცა, ეს ნაწილები ტრადიციულ კონსტიტუციურ საკითხებთან მიმართებაში საკმაოდ სუსტი იყო: არ იყო ხელისუფლების მკაფიო ფილოსოფია გახმოვანებული; არ იყო შექმნილი ევროკავშირის მოქალაქეობის მყარი საფუძველი; ევროკავშირის ბიუჯეტისთვის არ არსებობდა ის მუხლები, რომლებიც განკუთვნილი იყო მნიშვნელოვანი ხარჯვითი პოლიტიკის მიმართულებების დასაფინანსებლად; საგარეო და თავ-

დაცვის პოლიტიკის გამოყენებით მოქალაქეების ინტერესების დაცვისა და მხარდაჭერისათვის ევროკავშირისთვის გადაცემული ინსტრუმენტები კი კვლავ შედარებით სუსტი იყო. ანუ სხვა სიტყვებით, ევროკავშირის „კონსტიტუციას“ მხოლოდ ძალიან ბუნდოვნად და სუსტად ახასიათებდა ის თვისებები, რომლებთაც ეროვნულ კონსტიტუციებში, როგორც წესი, მყარად ჰქონდათ ფესვები გადგმული. ამასთან, იმის გამო, რომ წევრ ქვეყნებს სურვილი ჰქონდათ, დეტალურად კოდიფიცირებული ყოფილიყო ევროკავშირის ფუნქციონირების უამრავი სხვა სფერო, კონსტიტუციური ხელშეკრულების ნაწილად იქცა ჩვეულებრივი მოქალაქისთვის არაფრის მომცემი და უინტერესო უამრავი ტექნიკური საკითხიც.

მეორე, კონსტიტუციური ხელშეკრულების უმეტესი ნაწილი იმ ხელშეკრულებებიდან იყო გადმოტანილი, რომლის ჩანაცვლებასაც იგი აპირებდა (ნიცის ხელშეკრულების მდგომარეობით რომის ხელშეკრულებები და მაასტრიხტის ხელშეკრულება). ამასთან, მასში მთლიანად იყო შეტანილი ფუნდამენტური უფლებების ქარტია. შესაბამისად, კონსტიტუციურ ხელშეკრულებას არსებულ სახელშეკრულებო კანონმდებლობაში რადიკალური ცვლილებები არ შეჰქონდა.

მესამე, კონსტიტუციური ხელშეკრულება, ერთიანი ევროპული აქტის შემდეგ ხელშეკრულებების მსგავსად, ევროკავშირის უფრო მეტი ეფექტურობისა და უფრო მეტი დემოკრატიულობისთვის მხოლოდ მოკრძალებულ ცვლილებებს შეიცავდა. მაგალითისთვის, დიდი ყურადღება იყო მიპყრობილი ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე, სინამდვილეში კი იგი საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში მინისტრთა საბჭოს უმაღლესი წარმომადგენლისა და კომისიის საგარეო ურთიერთობათა კომისრის პოსტების უბრალოდ გაერთიანება იყო.

მეოთხე, კონსტიტუციური ხელშეკრულებით წევრი ქვეყნები შეეცადნენ, ევროკავშირისთვის მეტი ერთიანობა და იდენტობა მიენიჭებინათ. ამისთვის მათ რამდენიმე ღონისძიება განახორციელეს, მათ შორის, მართლმსაჯულების და საშინაო საქმეების საყრდენის მაასტრიხტის ხელშეკრულებაში გადატანა, ევრო-

კავშირისთვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება, ევროპული საბჭოს ნახევრად მუდმივი პრეზიდენტისა და ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტების შემოღება და სხვა.

მეხუთე, ინსტიტუციური მუხლებისა და გადაწყვეტილების მიღების წესების ცვლილებას, საერთო ჯამში, არსებითად არ დაურღვევია ევროკავშირში ინტერგავერნმენტალიზმის და სუპრანაციონალიზმის ბალანსი. ძალიან მცირე მატება იყო სუპრანაციონალიზმის მიმართულებით, როდესაც მინისტრთა საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრა რამდენიმე დამატებით სფეროზე გავრცელდა. თუმცა, ეს სფეროები ძირითადად ნაკლებ მნიშვნელოვანი და ტექნიკური ხასიათის იყო. მაღალი სენსიტიურობის საკითხები (მათ შორის, ხელშეკრულების რეფორმა, გაფართოება, ფინანსური თემები, სოციალური პოლიტიკა, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმეტესი ნაწილი და მთლიანი საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა) კვლავ ერთსულოვნად წყდებოდა. ინტერგავერნმენტალიზმის სასარგებლოდ კი, ევროპული საბჭოს პრეზიდენტის ახალი პოსტის შემოღებით გაძლიერდა ევროკავშირის ყველაზე ინტერგავერნმენტალისტური ინსტიტუტი - ევროპული საბჭო.

მეექვსე, კონსტიტუციური ხელშეკრულების მნიშვნელობა არ გამოიხატებოდა მხოლოდ ევროკავშირის სტრუქტურის, ინსტიტუტების, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ან მისი პოლიტიკის მიმართულებების შესახებ მუხლებში. არსებითი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, ასევე, სიტყვა „კონსტიტუციასა“ და ევროკავშირის ჰიმნისა (ბეთჰოვენის „სიხარულის ოდა“) და დროშისთვის (ლურჯ ფონზე 12 გამორჩეული, ყვითელი ფერის ვარსკვლავი) ხელშეკრულებითი სტატუსის მინიჭებასაც. ბევრი ევროპელისთვის (ევროფილისთვისაც და ევროსკეპტიკოსისთვისაც) ეს სიმბოლური დამატებები იყო ნიშანი, რომ „ევროპის მშენებლობის“ პროცესში უზარმაზარი ნაბიჯები იდგმებოდა. დიდწილად სწორედ ამ სიმბოლური დატვირთვის გამო, ხელშეკრულებამ გაცილებით მეტი პოლიტიკური ყურადღება მიიქცია, ვიდრე მისმა წინამორბედებმა 1990-იან და 2000-იან წლებ-

ში. ამასთან, რატიფიკაციის პროცესში სწორედ მისი წყალობით შეიქმნა ის გადაულახავი სირთულეები, რომლებმაც, საბოლოო ჯამში, მისი არსებობაც შეიწირა.

კონსტიტუციური ხელშეკრულების რატიფიკაცია

რომში ოფიციალურად ხელმოწერის მიუხედავად, რატიფიკაციის გარეშე კონსტიტუციური ხელშეკრულება ძალაში ვერ შევიდოდა. წევრმა ქვეყნებმა იცოდნენ, რომ ამ პროცესში პრობლემები აუცილებლად შეიქმნებოდა. ამიტომ ხელშეკრულების IV ნაწილში ჩაწერეს, რომ, თუ ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი წლის მანძილზე ქვეყნების 4/5-ი წარმატებით დაასრულებდა რატიფიკაციას, მაგრამ ერთ ან რამდენიმე ქვეყანას სირთულეები შეექმნებოდა, ეს საკითხი განსახილველად და სამოქმედოდ გადაეცემოდა ევროპულ საბჭოს. კონსტიტუციურ ხელშეკრულებას ხელი 2004 წლის ოქტომბერში მოეწერა, შესაბამისად, რატიფიკაციის დრო წევრ სახელმწიფოებს 2006 წლის ოქტომბრამდე ჰქონდათ.

წარსულში, პირველი გაფართოების შემდეგ, წევრ ქვეყნები ხელშეკრულებების რატიფიკაციას ყოველთვის პარლამენტის მეშვეობით ახდენდნენ. გამონაკლისი იყო მხოლოდ ირლანდია (ერთიანი ევროპული აქტი, მაასტრიხტის, ამსტერდამისა და ნიცის ხელშეკრულებები), დანია (ერთიანი ევროპული აქტი, მაასტრიხტისა და ამსტერდამის ხელშეკრულებები) და საფრანგეთი (მაასტრიხტის ხელშეკრულება). კონსტიტუციური ხელშეკრულების შემთხვევაში უფრო მეტი რეფერენდუმის ჩატარების ალბათობა მაღალი იყო: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ხელშეკრულებას დიდი სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა - იგი არ იყო უბრალოდ „კიდევ ერთი“ ჩამასწორებელი დოკუმენტი; და მეორე, იმიტომ, რომ გაფართოებულ ევროკავშირში ამჯერად გაცილებით მეტი წევრი ქვეყანა იყო. საბოლოოდ, ევროკავშირის წევრების დაახლოებით ნახევარმა რეფერენდუმის ჩატარება გადაწყვიტა. მათ გადაწყვეტილებაში ეროვნულ დონეზე პოლიტიკურმა წნეხმაც

დიდი გავლენა იქონია. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში არჩევნები ახლოვდებოდა, ოპოზიციურმა კონსერვატიულმა პარტიამ კი განაცხადა, რომ გამარჯვების შემთხვევაში რეფერენდუმს დანიშნავდა კონსტიტუციურ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. პრემიერ-მინისტრი ბლერი გამოუვალ მდგომარეობაში იყო: ეროვნულ დონეზე რეფერენდუმის არდანიშვნა მოახლოებული არჩევნებისთვის პოლიტიკურად წამგებიანი სვლა იყო; არადა გერმანიის კანცლერი, საფრანგეთის პრეზიდენტი და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი შეთანხმებულები იყვნენ, რომ არ გარისკავდნენ, არ დანიშნავდნენ რეფერენდუმს და რატიფიკაციას მხოლოდ პარლამენტის მეშვეობით განახორციელებდნენ. ბოლოს და ბოლოს, ბლერმა შიდა პოლიტიკას მიანიჭა უპირატესობა და კონსერვატორებს რეფერენდუმის დანიშვნის გადაწყვეტილებით უპასუხა. ამან, თავის მხრივ, გააძლიერა საფრანგეთში რეფერენდუმის ჩატარების მომხრეთა პოზიციები და გაზარდა პრეზიდენტ შირაკზე ზეწოლა.

ზოგადად, რეფერენდუმი მთავრობებისთვის გაცილებით რთულია საკონტროლოდ, ვიდრე საპარლამენტო კენჭისყრა. მოქალაქეებმა პრობლემები ორი გზით შეიძლება „შექმნან“:

- ერთი, შედარებით ობიექტური მიზეზით, რომ რეფერენდუმის საკითხთან დაკავშირებით მთავრობის პოზიციის წინააღმდეგი აზრი გამოხატონ (მაგალითად, მთავრობა ემხრობა ხელშეკრულებას, მოსახლეობა კი არა იმიტომ, რომ არ მოსწონს ინსტიტუციური ნაწილი ან მიაჩნია, რომ დემოკრატიული დეფიციტის გადასაჭრელად სათანადო და საკმარისი ნაბიჯები არ არის გადადგმული);
- და, მეორე, შედარებით სუბიექტური მიზეზით, რომ რეფერენდუმის საკითხზე ნეგატიური პასუხი დააფიქსირონ მასთან არადაკავშირებული მიზეზით (მაგალითად, იმიტომ, რომ არ მოსწონთ არსებული მთავრობა მისი სოციალური, საგადასახადო თუ სხვა პოლიტიკის გამო).

ამ ორივე „პრობლემამ“ გავლენა იქონია რატიფიკაციის რეფერენდუმებზე საფრანგეთში 2005 წლის 29 მაისს და ნიდერ-

ლანდებში ამავე წლის 1 ივნისს. ამ დროისთვის ათ წევრ ქვეყანას უკვე წარმატებით ჰქონდა რატიფიკაცია დასრულებული. მათ შორის, მხოლოდ ესპანეთმა გამართა რეფერენდუმი (42,3%-იანი აქტივობით ესპანეთის მოსახლეობის 76,7%-მა მხარი დაუჭირა კონსტიტუციურ ხელშეკრულებას). საფრანგეთსა და ნიდერლანდებში რეფერენდუმის კამპანიის პროცესებმა რამდენიმე მიზეზის გამო მნიშვნელოვნად გაზარდა *არა-ს* მხარდამჭერთა რაოდენობა. პირველი, იზრდებოდა ხელშეკრულების ფორმისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, ვინაიდან ბევრი ფიქრობდა, რომ ხელშეკრულება ემსახურებოდა ელიტის და არა ფართო საზოგადოების ინტერესებს. მეორე, მოქალაქეებში არსებობდა შეშფოთება, რომ ხელშეკრულებაში უპირატესობას „ანგლო-ამერიკული" სოციალური და ეკონომიკური ფასეულობები იღებდნენ. სინამდვილეში, წინა ხელშეკრულებებთან შედარებით ფასეულობებში არსებითი განსხვავება არ იყო, თუმცა, არა კამპანიის ორგანიზატორები ამის საწინააღმდეგოს მოსახლეობას წარმატებით უმტკიცებდნენ და, ასევე, აშინებდნენ, რომ კეთილდღეობის არსებული სისტემების შენარჩუნება შეიძლება ვეღარ მომხდარიყო. მესამე, არა კამპანიაში ჩართული იყო რამდენიმე ისეთი თემატიკაც, რომელიც არ ეხებოდა კონსტიტუციურ ხელშეკრულებას, მათ შორის, არსებული მთავრობისადმი უკმაყოფილება; 2004 წლის გაფართოებით და თურქეთის პოტენციური გაწევრიანებით გამოწვეული ნაკლები უსაფრთხოების განცდა; ნიდერლანდებში უკმაყოფილება იმის გამო, რომ ასეთი პატარა ქვეყანა ნილობრივად ევროკავშირის ბიუჯეტში ყველაზე მეტის შემტანი იყო. საბოლოოდ, ორივე რეფერენდუმის შედეგები კონსტიტუციური ხელშეკრულების აშკარა უარყოფა იყო. საფრანგეთში 54,9%-მა (69,7%-იანი აქტივობით), ნიდერლანდებში კი 61,7%-მა (63%-იანი აქტივობით) ნეგატიური პოზიცია დააფიქსირა.

ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგა საკითხი, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. ევროკავშირის ზოგი ლიდერი მხარს უჭერდა რატიფიკაციის პროცესის გაგრძელებას და არგუმენტის სიმყარისთვის კონსტიტუციური ხელშეკრულების „4/5"-ის მუხლი მოჰყავდა. მათ შორის იყვნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ქვეყნის ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრი ჟან-კლოდ იუნკერი, საფრანგეთის პრეზიდენტი შირაკი და გერმანიის კანცლერი შრიოდერი. თუმცა, საწინააღმდეგო აზრი ჰქონდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს. იგი თვლიდა, რომ ვინაიდან ყველა სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების რატიფიკაციის გარეშე იგი ძალაში ვერ შევიდოდა, აუცილებელი იყო პროცესის შეჩერება და მდგომარეობის შეფასება-გადახედვა.

საფრანგეთისა და ნიდერლანდების რეფერენდუმებიდან ერთი კვირის შემდეგ ევროპული საბჭოს სამიტი იყო ჩანიშნული. ევროპელმა ლიდერებმა მხედველობაში მიიღეს ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების უარყოფას ნეგატიური გავლენა ექნებოდა სხვა ქვეყნებში დაგეგმილ რეფერენდუმებზე და ამ ქვეყნის მთავრობებს კიდევ უფრო გაუჭირდებოდათ პოზიტიური შედეგების მიღწევა. შესაბამისად, მათ რატიფიკაციის პროცესის შეჩერება გადაწყვიტეს. სამიტის დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ ეს საკითხი 2006 წლის პირველ ნახევრამდე გადაიდებოდა, ეს პერიოდი კი ყველა ქვეყანაში მდგომარეობის შესწავლისა და შეფასებისთვის იქნებოდა გამოყენებული. იმ ქვეყნებს, რომლებშიც რეფერენდუმის ჩატარება ვერ მოესწრო, მისცეს ნება, სურვილისამებრ ემოქმედათ: გადაედოთ რეფერენდუმი ან მაინც ჩაეტარებინათ იგი. ლუქსემბურგის გარდა, ყველა წევრმა სახელმწიფომ შეაჩერა რეფერენდუმის პროცესი. ლუქსემბურგის რეფერენდუმზე 90,5%-იანი აქტივობიდან 56.52% დადებითი და 43,48% უარყოფითი პასუხი დაფიქსირდა.

კონსტიტუციური ხელშეკრულებიდან ლისაბონის ხელშეკრულებამდე

დეკლარაციის შემდგომი რამდენიმე თვის განმავლობაში თემის საჯარო განხილვა საერთოდ არ ყოფილა. ის მთავრობები, რომელთა ქვეყნებშიც კონსტიტუციური ხელშეკრულების რატიფიკაციის წარმატებით დასრულება მოესწრო (ასეთი სულ 18 იყო), დოკუმენტს მხარს უჭერდნენ და პროცესის გაგრძელება

სურდათ. ის მთავრობები კი, რომელთა ქვეყნებშიც სირთულეები შეიქმნა, უფრო მეტად ფრთხილობდნენ. 2006 წლის განმავლობაში ნელ-ნელა მოძლიერდა აზრი, რომ საჭირო იყო, ერთი მხრივ, ხელშეკრულებიდან „კონსტიტუციური" ელემენტების ამოღება და, მეორე მხრივ, რუტინული ცვლილებების დატოვება. ყველა ქვეყანა შეთანხმდა, რომ ახალი ხელშეკრულება წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო, როგორც უფრო დაბალპროფილიანი და ნაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე კონსტიტუციური ხელშეკრულება. ეს მათ საშუალებას მისცემდათ რატიფიკაციის პროცესი ჩვეულებრივი, სტანდარტული პროცედურით - საპარლამენტო კენჭისყრით განეხორციელებინათ (გამონაკლისი მხოლოდ ირლანდია იქნებოდა, სადაც პოლიტიკურად და კონსტიტუციურად სავალდებულო იყო ევროკავშირის ხელშეკრულებების რეფერენდუმით წესით რატიფიკაცია).

კონსტიტუციური ხელშეკრულების შთამომავლის შინაარსის მომზადება 2007 წლის პირველ ნახევარში მინისტრთა საბჭოს გერმანიის თავმჯდომარეობისას დაიწყო. საწყისი საქმიანობა წევრი ქვეყნების მაღალი თანამდებობის პირებმა, წარმომადგენლებმა - შერპასებმა განახორციელეს. მათ მიერ მომზადებული ბერლინის დეკლარაციის პროექტი 2007 წლის მარტში, ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის ხელშეკრულების (იგივე, რომის ხელშეკრულების) 50 წლის იუბილის აღნიშვნისას წარადგინეს.

დეკლარაციის გამოქვეყნებიდან მალევე, გერმანიის თავმჯდომარეობამ წევრ ქვეყნებს კითხვარები გაუგზავნა, რაშიც მათ ხელშეკრულების მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციები უნდა დაეფიქსირებინათ. ბრიტანეთმა თავისი „წითელი ხაზები" წარმოადგინა, რომლებიც, ძირითადად, სუვერენიტეტთან დაკავშირებული სფეროები იყო, მათ შორის, მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების მუხლებიდან ბრიტანეთისთვის მეტი დამოუკიდებლობა, მეტი გამონაკლისები; ასევე, იმის გარანტია, რომ ფუნდამენტური უფლებების ქარტია დიდი ბრიტანეთისთვის დამატებით სამართლებრივ ვალდებულებებს არ შექმნიდა.

გერმანია მოწოდებული იყო იმისკენ, რომ ახალი ხელშეკრულების მომზადების პროცესი რაც შეიძლება დროულად დასრულებულიყო და არ მომხდარიყო ტრადიციულად საკამათო საკითხების ხელახალი გადასინჯვა. ამიტომ მან, როგორც თავმჯდომარე ქვეყანამ, ნათლად განაცხადა, რომ იგი არ გეგმავდა და არ დაუჭერდა მხარს კლასიკური ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის ჩატარებას. გერმანიის პოზიციით, ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია უფრო მეტად დაკავდებოდა იმ ელემენტების განხილვით, რომელთა ამოღებაც საჭირო იყო კონსტიტუციური ხელშეკრულებიდან, რათა მას ეროვნული რატიფიკაციების პროცესი წარმატებით გაევლო.

2007 წლის ივნისში ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა შერპასების მიერ მომზადებული ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის მანდატის/დღის წესრიგის პროექტი. იგი ძალიან კონკრეტული და ვიწრო იყო (მათ შორის, დიდი ბრიტანეთის „წითელი ხაზების“ აღიარება). ახალი ხელშეკრულების სამუშაო ვარიანტს *რეფორმის ხელშეკრულება* ეწოდა.

ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციის მაქსიმალურად დეპოლიტიზაციის მიუხედავად, პოლიტიკური დისკუსიები მაინც გაიმართა. პოლონეთის მოთხოვნით, ნიცის ხელშეკრულებით გათვალისწინებული კენჭისყრის წესებისა და პროცედურების 2017 წლამდე მოქმედების მუხლი დეკლარაციის ნაცვლად თავად ხელშეკრულებაში და თანმხლებ პროტოკოლში შევიდა. დიდმა ბრიტანეთმა მანდატში ასახული მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეებიდან ბრიტანეთისთვის გამონაკლისები კიდევ უფრო გააფართოვა და ამაზე წევრი ქვეყნები დაითანხმა. ამასთან, მისი დაჟინებული მოთხოვნით, გამკაცრდა ტონი და უფრო მკაფიო გახდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხები იმისათვის, რომ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მათზე ხელი არ მისწვდენოდა და არც ინტერპრეტაციის საშუალება ჰქონოდა. თუმცა, ინტერგავერნმენტალისტური კონფერენცია უმეტეს წილად იურისტებისა და ექსპერტების საქმიანობას წარმოადგენდა. პოლიტიკური ჩართულობა შედარებით ნაკლები იყო, ვიდრე წინა კონფერენციების დროს.

ამის დასტური იყო თუნდაც ის, რომ კონფერენციის საქმიანობაზე პოლიტიკურად პასუხისმგებელი საგარეო საქმეთა მინისტრები სულ სამჯერ შეიკრიბნენ: პირველად, 23 ივლისს კონფერენციის გახსნაზე; მეორედ, 7-8 სექტემბერს არაფორმალურ სხდომაზე; და მესამედ, 15 ოქტომბერს საკითხების საბოლოოდ განსახილველად.

რეფორმის ხელშეკრულება 18 ოქტომბრის არაფორმალურ შეხვედრაზე სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურების მიერ პოლიტიკურად იქნა შეთანხმებული. მისი ოფიციალური ხელმოწერა კი, პორტუგალიის თავმჯდომარეობის დაჟინებული მოთხოვნით, ხელშეკრულებისთვის მისი დედაქალაქის სახელის დარქმევის მიზნით, 2007 წლის 13 დეკემბერს ლისაბონში განხორციელდა.

კონსტიტუციური ხელშეკრულებისგან ლისაბონის ხელშეკრულების განსხვავებულობის წარმოჩინების მცდელობები წარმატებული აღმოჩნდა. რამდენიმე სახელმწიფო განიხილავდა რეფერენდუმის საკითხს, თუმცა, საბოლოო ჯამში, შიდა კონსტიტუციური მიზეზების გამო, იგი მხოლოდ ერთ ქვეყანაში - ირლანდიაში - დაიგეგმა. ყველა სხვა სახელმწიფოში რატიფიკაცია პარლამენტების მიერ განხორციელდა. მაგრამ ამ პროცესში სხვა დამატებითი ინსტრუმენტებიც იყო ჩართული, რამაც, რიგ შემთხვევებში, რატიფიკაციის დასრულების დაგვიანება გამოიწვია. მაგალითად, გერმანიაში საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავდა ლისაბონის ხელშეკრულების გერმანიის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს. 2009 წლის ივლისში, მისი დასკვნით, იგი შეესაბამებოდა გერმანიის კონსტიტუციას, ვინაიდან გერმანიის პარლამენტს ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე უფრო მეტი საზედამხედველო ძალაუფლება ენიჭებოდა. ამასთან, პოლონეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში ევროსკეპტიკოსმა პრეზიდენტებმა ხელშეკრულების ხელმოწერის/დამტკიცების პროცესი გააჭიანურეს.

ნიცის ხელშეკრულების მსგავსად, ლისაბონის ხელშეკრულებაზე 2008 წლის ივნისში ირლანდიაში ჩატარებული რეფერენდუმი ჩავარდა: 53,1%-იანი აქტივობიდან ხელშეკრულებას 46,4%-მა

დაუჭირა მხარი, 53,6% კი წინააღმდეგ წავიდა. წინა რატიფიკაციის მსგავსად, კვლავ გადაწყდა, რომ ირლანდიას გამონაკლისის სახით მისცემდნენ გარანტიებს იმ საკითხებზე, რომელთა გამოც, ლიდერების აზრით, ირლანდიის მოსახლეობამ ნეგატიური პოზიცია დააფიქსირა. საბოლოო ჯამში, გარანტიებმა ორი სახე მიიღო:

- პირველი, ლისაბონის ხელშეკრულებაში ეწერა, რომ 2014 წლიდან კომისრების რაოდენობა წევრი ქვეყნების რაოდენობის 2/3-მდე შემცირდებოდა. ირლანდიაში შეშფოთებულები იყვნენ იმის გამო, რომ ირლანდიას ყოველთვის ვერ ეყოლებოდა ირლანდიელი კომისარი. ამიტომ 2008 წლის დეკემბრის სამიტზე ევროპული საბჭო შეთანხმდა, რომ ლისაბონის ხელშეკრულების ამ მუხლს ჩაანაცვლებდა ნიცის არსებული სისტემა - ერთი ქვეყნიდან ერთი კომისარი.
- მეორე, ლისაბონის ხელშეკრულებას დაემატა ახალი პროტოკოლი, რომლითაც ირლანდიას მიეცა გარანტია, რომ ხელშეკრულება გავლენას არ მოახდენდა ირლანდიის საგადასახადო პოლიტიკაზე, ეთიკურ საკითხებზე (განსაკუთრებით, აბორტზე), სამხედრო ნეიტრალიტეტსა და სოციალური პოლიტიკის გარკვეულ სფეროებზე.

ამის შემდეგ, 2009 წლის ოქტომბერში, ნიცის ხელშეკრულების მსგავსად, ირლანდიის ხელისუფლებამ განმეორებითი რეფერენდუმი დანიშნა და წინას მსგავსად ამ შემთხვევაშიც პოზიტიური პასუხი კომფორტული უმრავლესობით მიიღო: 58%-იანი აქტივობიდან 67,1%-მა დადებითი, 32,9%-მა კი უარყოფითი პასუხი დააფიქსირა. ირლანდიელების პოზიციაზე გავლენა ასევე იქონია საერთაშორისო ფინანსურმა კრიზისმა და ევროკავშირის „მფარველობის“ გარეთ მყოფი სხვა პატარა ქვეყნის ისლანდიის ეკონომიკური კოლაფსის სერიოზულმა საფრთხემაც.

ირლანდიის რეფერენდუმის წარმატების შემდეგ, პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმაც მალევე დაამტკიცა ხელშეკრულება. 3 ნოემბერს ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვაცლავ კლაუსის დაჟინებული მოთხოვნით, ევროპულმა საბჭომ დამატება შეიტანა ლისაბონის ხელშეკრულების 30-ე პროტო-

კოლში, რის შედეგადაც ფუნდამენტური უფლებების ქარტიის მოქმედება შეიზღუდა ჩეხეთთან მიმართებაში. ამასთან, ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგებოდა ჩეხეთის ეროვნულ კონსტიტუციას. ამის შემდეგ, კლაუსმა, ბოლოს და ბოლოს, ხელი მოაწერა ლისაბონის ხელშეკრულებას, რითაც წარმატებით დასრულდა ჩეხეთსა და ევროპულ კავშირში მისი რატიფიკაციის პროცესი.

2009 წლის 1 დეკემბერს (თითქმის რვა წლის შემდეგ 2001 წლის ლაეკენის სამიტიდან, რომლის დროსაც დაიწყო ხელშეკრულების მომზადება-შექმნის პროცესი) ლისაბონის ხელშეკრულება ძალაში შევიდა.

ლისაბონის ხელშეკრულება

კონსტიტუციური ხელშეკრულების არსებითი ნაწილი ლისაბონის ხელშეკრულებაში აისახა. ამის მინიმუმ ორი მიზეზი არსებობდა: პირველი, ახალი, ყველასათვის მისაღები ხელშეკრულების მიღების პროცესი 2001 წლიდან მიმდინარეობდა და მთავრობებს აღარ ჰქონდათ ამ პროცესის კიდევ უფრო მეტად გაგრძელების სურვილი. წევრ ქვეყნებს აღარ უნდოდათ პოზიციების ხელახალი განხილვა და მიღწეული შეთანხმებების გადასინჯვა, რაც დამატებით დროსა და ენერგიას მოითხოვდა. შესაბამისად, ინტერგავერნმენტალისტურ კონფერენციაზე კონსტიტუციური ხელშეკრულებიდან მხოლოდ „კონსტიტუციური“ ელემენტები ამოიღეს, და ზოგიერთ წევრ ქვეყნებს ცალკეული დამატებითი გარანტიები ან გამონაკლისები შესთავაზეს.

და მეორე, კონსტიტუციურ ხელშეკრულებაში კონკრეტული მუხლების შეტანის აუცილებლობა და მიზეზები კვლავ დღის წესრიგში იდგა. მაგალითად:

- საჭირო იყო ევროპული საბჭოსთვის მეტი ინსტიტუციური შესაძლებლობების მიცემა (ამიტომ ლისაბონის ხელშეკრულებაში შენარჩუნდა კონსტიტუციური ხელშეკრუ-

ლების მუხლი, რომლის მიხედვითაც დაარსდა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის პოსტი);

- ასევე, მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის საგარეო პროფილის გაზრდა/განვითარება (ამიტომ ლისაბონის ხელშეკრულებაში დარჩა კონსტიტუციური ხელშეკრულების მუხლი, რომლითაც, საერთო საგარეო და უსაფრთხოების სფეროში უმაღლესი წარმომადგენლისა და საგარეო ურთიერთობების კომისრის პოსტების გაერთიანებით, იქმნებოდა საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობა);
- ამასთან, არსებითად იყო საჭირო კომისართა კოლეგიის ერთიანობისა და ყოველდღიური საქმიანობის გაუმჯობესება (ამიტომ ლისაბონის ხელშეკრულებაში შენარჩუნდა კონსტიტუციური ხელშეკრულების მუხლი, რომლის მიხედვითაც 2014 წელს კომისართა რაოდენობა წევრი ქვეყნების რაოდენობის 2-3 გახდებოდა. თუმცა, მოგვიანებით, ირლანდიის რეფერენდუმის წარმატებისთვის ეს მუხლი ამოიღეს და ძალაში კვლავ ნიცის ფორმულა - ერთი ქვეყნიდან ერთი კომისარი - დარჩა);
- ამას გარდა, სასურველი იყო მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის ზრდა (ამიტომ ლისაბონის ხელშეკრულებაში დარჩა კონსტიტუციური ხელშეკრულების მუხლი, რომლის მიხედვითაც კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრის დაფარვის სფეროები იზრდებოდა);
- ყველაფერთან ერთად, საჭირო იყო მინისტრთა საბჭოს აწონილი ხმების უფრო მარტივი სისტემით ჩანაცვლება (ამიტომ ლისაბონის ხელშეკრულებაში შენარჩუნდა კონსტიტუციური ხელშეკრულების მუხლი, რომლითაც არსებული სამმაგი უმრავლესობა 2014 წლიდან ნაწილობრივ, 2017 წლიდან კი მთლიანად ჩანაცვლდებოდა ორმაგი უმრავლესობით - ხმის მიმცემი ქვეყნებისა (55%) და ევროკავშირის მოსახლეობის (65%) გაზრდილი პროცენტული მაჩვენებლებით);

- და ბოლოს, მნიშვნელოვან პრობლემას კვლავ წარმოადგენდა „დემოკრატიული დეფიციტი“ (ამიტომ ლისაბონის ხელშეკრულებაში შენარჩუნდა კონსტიტუციური ხელშეკრულების მუხლები, რომლითაც თანაგადაწყვეტის პროცედურის გაფართოებით იზრდებოდა ევროპული პარლამენტის როლი და რომლითაც, ასევე, ფუნქციონირებას იწყებდა მოქალაქეთა ინიციატივის პროცედურა - მოქალაქეთა უფლება, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კომისიისთვის მოეთხოვათ საკანონმდებლო წინადადების ინიცირება).

სხვა სიტყვებით, ლისაბონის ხელშეკრულებაში კონსტიტუციური ხელშეკრულების ფორმა შეიცვალა, მაგრამ შინაარსი, ფაქტობრივად, იგივე დარჩა. კომისიის მაღალმა ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ 2004 წლის მდგომარეობის კონსტიტუციური ხელშეკრულების დაახლოებით 95% ლისაბონის ხელშეკრულებაში კვლავ შენარჩუნებული იყო (ინსტიტუციური სტრუქტურის თვალსაზრისითაც და პოლიტიკის მიმართულებების შინაარსის მხრივაც).

ამის მიუხედავად, იყო ცვლილებებიც, რომლებიც რამდენიმე მიზეზის გამო განხორციელდა:

- იმისათვის, რომ ხელშეკრულება მოქალაქეებისთვის უფრო მისაღები გაეხადათ.
- იმისათვის, რომ დაეკმაყოფილებინათ ეროვნული და ინსტიტუციური ინტერესები - მაგალითად, დიდი ბრიტანეთის მოთხოვნით, საჭირო იყო ისეთი ცვლილებების განხორციელება, რომლითაც მისი მთავრობა დააშოშმინებდა შიდა ოპოზიციას და რომელთა შედეგად აღარ გახდებოდა იგი იძულებული, რომ რეფერენდუმი ჩაეტარებინა.
- იმისათვის, რომ თვალი გაესწორებინათ ახალი გამოწვევებისთვის, რომლებიც პოლიტიკურ დღის წესრიგზე ახდენდნენ ზეგავლენას - კლიმატის ცვლილებითა და ენერგო მიწოდებაში წარმოქმნილი სირთულეების გადასალახად, შეიქმნა ახალი სამართლებრივი ბაზები, საფუძვლები, აქტები.

ლისაბონის ხელშეკრულებამ რომის ხელშეკრულებას ახალი სახელი *ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულება (TFEU)* უწოდა. ლისაბონის ხელშეკრულების შესწორებები და დამატებები საკმაოდ მრავლად იყო, მათ უმეტესობას კი პოტენციურად დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო. მაგალითისთვის:

- ევროკავშირისთვის ახალი და გაძლიერებული კომპეტენციების მინიჭებით (განსაკუთრებით, შიდა უსაფრთხოებისა და ენერგეტიკის სფეროებში) მას შესაძლებლობა ექნებოდა, უკეთ განევითარებინა საჭირო და ერთიანი პოლიტიკის მიმართულებები;
- ევროპული საბჭოს პრეზიდენტი და საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ევროკავშირის უფრო ძლიერი და ფოკუსირებული ლიდერობის პოტენციალს ქმნიდნენ (თუმცა, ამ თანამდებობების შექმნით ინსტიტუტებს შორის პოტენციური დაძაბულობა შეიძლება განვითარდეს, ვინაიდან ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, ევროპული კომისიის პრეზიდენტისა და საგარეო ურთიერთობების საკითხის შემთხვევაში, უმაღლესი წარმომადგენლის ინტერესები შეიძლება გადაიკვეთოს და ისინი ამ ინტერესების დაცვისთვის გაჩაღებულ „ბრძოლაში“ აღმოჩნდნენ).
- 2014 წლიდან ნაწილობრივ და 2017 წლიდან მთლიანად, მინისტრთა საბჭოში კენჭისყრის ახალი წესებით ძალთა ბალანსი შეიძლება მნიშვნელოვნად გადაიხაროს დიდი ქვეყნების სასარგებლოდ.
- კვალიფიციური უმრავლესობის კენჭისყრის სფეროების გაფართოებამ ხელი უნდა შეუწყოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესს ისეთ მიმართულებებში, როგორიც არის, მაგალითად, ძალიან მნიშვნელოვანი მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეები.
- თანაგადაწყვეტის პროცედურის (ლისაბონის ხელშეკრულებით *ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურა*) დაფარვის სფეროების გაზრდითა და საბიუჯეტო (ორივე, ყოველწლიური და მრავალწლიანი ბიუჯეტის) პროცედუ-

რებში ცვლილებების შეტანით არსებითად გაძლიერდა ევროპული პარლამენტის ძალაუფლება.

ლისაბონის ხელშეკრულების მნიშვნელობას სხვადასხვაგვარად აფასებდნენ. ზოგი ფიქრობდა, რომ მან ინტეგრაციის პროცესში არსებითი წინსვლა მოახდინა, ზოგისთვის კი იგი მხოლოდ მოკრძალებულ რეფორმას ნიშნავდა. ევროსკეპტიკოსებისთვის იგი უკვე შეიცავდა ზედმეტად ბევრ სუპრანაციონალურ ელემენტებს, ევროფილები კი იმედგაცრუებულები იყვნენ - ისინი გაცილებით მეტს იმედოვნებდნენ, ვიდრე ეს „უბრალო შესწორებები“ იყო.

ლისაბონის ხელშეკრულების მნიშვნელობა

ლისაბონის ხელშეკრულება წინა ხელშეკრულებებისგან შედარებით განსხვავებულად შეიქმნა. პირველი, მისი მიღების პროცესი უსაშველოდ გაჭიანურდა. იგი 2001 წლის ლაეკენის დეკლარაციით დაიწყო და 2009 წლის ბოლოსკენ დასრულდა. მეორე, პროცესები გაცილებით რთული, კომპლექსური იყო. იგი მოიცავდა კონსტიტუციურ კონვენციას, ბერლინის დეკლარაციას და ორ ინტერგავერნმენტალისტურ კონფერენციას.

ამის მიუხედავად, საბოლოო შედეგი ძალიან ჰგავდა მის წინამორბედ ხელშეკრულებებს - იგი ჩამასწორებელი ხელშეკრულება უფრო იყო, ვიდრე რადიკალური ცვლილებების დოკუმენტი. იგი ყველაზე ახალი იყო იმ ხელშეკრულებათა სიიდან, რომლებიც 1980-იანი წლების შუა პერიოდის შემდეგ ასწორებდნენ და აფართოებდნენ ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებებს. მისი ცვლილებები გაცილებით ნაკლებ მასშტაბური იყო, ვიდრე ერთიანი ევროპული აქტის ან მაასტრიხტის ხელშეკრულების, რომლებმაც სამართლებრივი საფუძველი ჩაუყარეს ევროკავშირის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკის მიმართულებებს, კომპეტენციებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს.

კონსტიტუციური ხელშეკრულების წარმატებული რატიფიკაციის შემთხვევაში, მისი სიმბოლური ელემენტები აშკარა განმასხვავებელი იქნებოდა მისი წინამორბედებისგან. სიტყ-

ვა „კონსტიტუციურისა“ და დროშისა და ჰიმნის ოფიციალური გამოყენება და „საგარეო საქმეთა მინისტრის“ პოსტი ევროკავშირს სახელმწიფოს მსგავს მახასიათებლებს შემატებდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი მხოლოდ გარეგნულად იყო თვალის მომჭრელი, რეალურად კი კონსტიტუციური ხელშეკრულება მხოლოდ მცირედით განსხვავდებოდა იმისგან, რაც, საბოლოო ჯამში, ლისაბონის ხელშეკრულებაში აისახა.

მიუხედავად იმისა, რომ დამფუძნებელი ხელშეკრულებები ლისაბონის შემდეგ გრძელი, კომპლექსური და რთულად წასაკითხია, მათ ევროკავშირი ბევრი მიმართულებით უფრო თანმიმდევრული და ყოვლისმომცველი გახადეს. ამასთან, ხელშეკრულებებში ჩაიწერა, რომ ევროკავშირი ეფუძნება დემოკრატიას, კანონის უზენაესობას და ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვას; ევროკავშირის მაორგანიზებელი პრინციპებად ჩამოყალიბდა გაზიარებული ძალაუფლება, სუბსიდიარობა, პროპორციულობა და წევრ ქვეყნებს შორის ლოიალური თანამშრომლობა; და მკაფიოდ განისაზღვრა ევროკავშირის კომპეტენციები ეროვნულ კომპეტენციებთან მიმართებით. საყრდენოვანი სისტემა, რომელიც მაასტრიხტის ხელშეკრულებამ დაამკვიდრა, გაუქმდა, თუმცა, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის დარჩა გადაწყვეტილების მიღების განსხვავებული პროცედურები. დამაბნეველი ფრაზები „კავშირი“ და „თანამეგობრობა“ მთელს ტექსტში პირველმა მათგანმა ჩაანაცვლა. აგრეთვე, ევროკავშირმა ბოლოსდაბოლოს იურიდიული პირის სტატუსი შეიძინა.

საერთო ჯამში, ლისაბონის ხელშეკრულებამ ჩამოაყალიბა გონივრული ბალანსი ინსტიტუციურ ეფექტურობასა და დემოკრატიულ ლეგიტიმაციას შორის. კვალიფიციური უმრავლესობისთვის ორმაგი უმრავლესობის სისტემა უფრო სამართლიანი იყო, ვიდრე მისი წინამორბედი სამმაგი უმრავლესობა. ევროპულმა პარლამენტმა დამატებითი საბიუჯეტო ძალაუფლება და უფრო ძლიერი საკანონმდებლო როლი შეიძინა. ევროპულ კომისიაში თითო წევრი ქვეყნიდან ერთი კომისრის პრინციპის დატოვებაც სამართლიანი და დავების არიდების კარგი საშუალება იყო. საერთო ჯამში, ლისაბონის ხელშეკრულებამ შეინარჩუნა

წინა ხელშეკრულებებით დამკვიდრებული ტენდენცია ევროპული საბჭოს გაძლიერების, საბჭოსა და პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლების გაზიარების და ევროპული კომისიის პოლიტიკურად შეზღუდვის.

ხელშეკრულების რეფორმის დადებითი მხარეების მიუხედავად, მან მნიშვნელოვნად მოწამლა საზოგადოებრივი სენტიმენტები ევროკავშირში. ვერავინ იტყვის ზუსტად, ღირდა თუ არა ამად რეფორმის გაჭიანურებული პროცესის ბატალიები. კონსტიტუციურმა კონვენციამ სხვა ინტერგავერნმენტალისტური კონფერენციებისგან განსხვავებით უფრო მეტი მოსაზრებისა და ინსტიტუციური ჩართულობის შესაძლებლობა შექმნა. თუმცა, კონსტიტუციური ხელშეკრულების შინაარსზე მოლაპარაკება წინა კონფერენციების მსგავსი, უფრო მარტივი პროცესითაც შეიძლებოდა. ამასთან, ისიც საეჭვოა, კონვენციამ გაზარდა თუ არა რეფორმის პროცესის ლეგიტიმურობა. უფრო მეტიც, რეფორმის მთელი ამ წლების მანძილზე მხოლოდ დიდი ბრიტანეთსა (სადაც პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეიცვალა 2007 წელს) და პოლონეთში (2007 წლის ოქტომბრის არჩევნებზე) გახდა ხელშეკრულების რეფორმის საკითხი შიდა პოლიტიკაში აქტუალური.

ასეა თუ ისე, ლისაბონის ხელშეკრულების ტექსტმა და ზოგადად ხელშეკრულების რეფორმირების პროცესმა კიდევ ერთხელ გამოხატა ევროპული ინტეგრაციის კომპლექსური ბუნება. ევროკავშირის მშენებლობის თითოეულ ეტაპი საჭიროებდა დათმობებსა და კომპრომისებს წევრი ქვეყნების მთავრობების მხრიდან, რომლებიც, თავის მხრივ, ითვალისწინებდნენ ეროვნულ წნეხს და ევროპული პროექტის სასურველი მიმართულებით წაყვანის სურვილს. შედეგად, ყველა წინა ხელშეკრულების მსგავსად, ლისაბონის ხელშეკრულება ასახავს ევროკავშირის ისტორიის კონკრეტულ მომენტში შესაძლებლის ხელოვნებას. თუმცა, წინებისგან განსხვავებით, ლისაბონის ხელშეკრულებამ უფრო მეტი დროის გამოცდას უნდა გაუძლოს: ეროვნულმა მთავრობებმა დაკარგეს რეფორმირების მადა, ევროპულმა საზოგადოებებმა კი ხელშეკრულებების დამატებითი რეფორმირებისთვის საჭირო მოთმინება.

თავი 11

2000-2010-იანი წლები: ფინანსური კრიზისი

ფინანსური კრიზისი და რეცესია

2007 წლის ზაფხულში, როდესაც ევროკავშირის ლიდერები კონსტიტუციური ხელშეკრულების მომავალზე ფიქრობდნენ, ევროკავშირის ეკონომიკა ჯერ კიდევ კარგ ფორმაში იყო. ეკონომიკური აქტივობა განსხვავდებოდა ქვეყნების მიხედვით, თუმცა, ზოგადად წარმოება და მთლიანი შიდა პროდუქტი იზრდებოდა, უმუშევრობა კი მცირდებოდა მთელი ევროკავშირის მასშტაბით.

ატლანტიკის ოკეანის მეორე მხრიდან მიღებული ფინანსური ინფორმაცია, რომელიც უკავშირდებოდა იპოთეკით მხარდაჭერილი (გირავნობის საბუთით უზრუნველყოფილი) ფასიანი ქაღალდების პრობლემებს, დასაწყისში ევროპელების კმაყოფილებასაც კი იწვევდა, ვინაიდან მათი ფინანსური სისტემა ჯერჯერობით მყარად იდგა. ე.წ. ქვე-იპოთეკური სესხები, ანუ უძრავი ქონების სესხი მცირე ან ნულოვანი კრედიტუნარიანობის უზრუნველყოფით, აშშ-ში კრიზისის საფუძველი გახდა. ევროპელების უმრავლესობა ამგვარ სესხებს უაზრობად და არსებითად ამერიკულ ფენომენად მიიჩნევდა და თავს მშვიდად გრძნობდა იმ იმედით, რომ ასეთი სესხების გაცემა ევროპაში არ ხდებოდა. ევროპული დამოკიდებულება კარგად გამოიხატებოდა გერმანული სიტყვით „Schadenfreude" - სხვის უიღბლობაზე დაფუძნებული ბოროტი სიხარული.

თუმცა, გლობალური ფინანსური ბაზრების ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით, ევროპა აშშ-ში განვითარებული მოვლენებისგან დისტანცირებული და დაუზიანებელი ვერ გამოვიდოდა. ევროკავშირი განწირული იყო ამერიკული ე.წ. „კაზინო კაპიტალიზმის" ურყოფითი გვერდითი მოვლენებისთვის. უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ ბევრი ევროპული ბანკიც გასცემდა ე.წ. მარტივ სესხებს და დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდა იპოთეკით მხარდაჭერილი ფასიანი ქაღალდების გლო-

ბალურ ვაჭრობაში. გერმანული ბანკები ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამრღვევები აღმოჩნდნენ.

კრიზისის მიმდინარეობა ევროკავშირში

ევროპაში გლობალური კრიზისის ერთ-ერთი პირველი დიდი დარტყმა 2007 წლის სექტემბერში მოხდა. დიდი ბრიტანეთი, რომლის ეკონომიკური მოდელი აშშ-ის მოდელს უფრო წააგავდა, ვიდრე კონტინენტური ქვეყნების, პირველი მსხვერპლი აღმოჩნდა. 2007 ოქტომბერში ფინანსთა მინისტრებმა ეკოფინის (ეკონომიკური და ფინანსური საკითხების საბჭოს) ფარგლებში პირველად განიხილეს არსებული ვითარება. ეროვნულმა ლიდერებმა განხილვა დეკემბერში, ევროპული საბჭოს სხდომაზე გააგრძეს, სადაც შეთანხმდნენ, რომ „ევროკავშირში მაკროეკონომიკური ფუნდამენტი ძლიერია და რომ მოსალოდნელია მყარი ეკონომიკური ზრდა". თუმცა, ცხადია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ხელმძღვანელები ზედმეტად ოპტიმისტურად აფასებდნენ სიტუაციას. 2008 წლის იანვრის ბოლოს, 27 წევრი ქვეყნის ლიდერთან და ევროპული კომისიის პრეზიდენტთან ერთ ოთახში გადაწყვეტილების მიღების სირთულის გათვალისწინებით, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა „ოთხეულის ჯგუფის" (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია) მონაწილეობით მინი-სამიტი მოიწვია.

მინი-სამიტმა აჩვენა, რომ კრიზისზე შესაძლო რეაგირებასთან დაკავშირებით ოთხეულის ჯგუფის წევრებს შორის მოსაზრებები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის სურდა ევროკავშირის ფინანსურ ბაზრებზე კოორდინირებული სამთავრობო ინტერვენცია, ფინანსური ინსტიტუტების უკეთესი რეგულირებითა და მათი უფრო ძლიერი ზედამხედველობით. მისი აზრით, აუცილებელი იყო ასევე ის, რომ ევროკავშირის წამყვან სახელმწიფოებს წვლილი შეეტანათ საერთაშორისო ფინანსური არქიტექტურის ხელახალ ფორმირებაში. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ

ბრაუნი აღიარებდა მეტი ინტერვენციისა და ზედამხედველობის საჭიროებას, მაგრამ არა სარკოზის მიერ მოაზრებული მასშტაბებით. გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ჯერ არ იყო სრულად ჩამოყალიბებული თავის პოზიციაში და ჯერ კიდევ სწამდა, რომ გერმანიას შეეძლო შტორმის თავიდან არიდება. შესაბამისად, მას არ სურდა ამბიციური დღის წესრიგის მიღება.

მინი-სამიტზე დაფიქსირებული განსხვავებების გათვალისწინებით, მას არ მოჰყოლია კოორდინირებული ქმედებები. უფრო მეტიც, აშშ-ში კრიზისის გაძლიერებისა და მთელს ევროპაში მისი გავრცელების პარალელურად, ეროვნული მთავრობები მარტო მოქმედებდნენ. ევროზონის ქვეყნებში მონეტარული პოლიტიკა ევროპული ცენტრალური ბანკის ხელში იყო, რომელიც ინფლაციის შიშით ინარჩუნებდა მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. ევროზონის გარეთ მყოფ სხვა წევრ სახელმწიფოებში ეროვნული ცენტრალური ბანკები შედარებით დამოუკიდებლები იყვნენ. შესაბამისად, მთავრობებს შეეძლოთ ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორებიც არის ბანკების ფინანსური დახმარება (ე.წ. bail-out), რეკაპიტალიზაციის სქემები და ფისკალური (საბიუჯეტო) სტიმულირების პაკეტები. ყველა მათგანი ძვირი ჯდებოდა და ევროკავშირის მსგავს ინტეგრირებულ და ურთიერთდამოკიდებულ სივრცეში განხორციელების შემთხვევაში, სრულად ეფექტური ვერ იქნებოდა. კრიტიკულად საჭირო იყო კოორდინაცია, რისი გაკეთების სურვილიც არ ჰქონდა ევროკომისიას, საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანას (სლოვენია 2008 წლის პირველ ნახევარში) კი ეს უბრალოდ არ შეეძლო.

ქვეყნების სიჯიუტე თანდათან შერბილდა 2008 წლის ზაფხულისთვის, როდესაც ევროპაში მიყენებული ზიანის სრული მასშტაბები უფრო ნათელი გახდა. დიდი ბრიტანეთი, რომელსაც მსხვილი და მსუბუქად რეგულირებული ფინანსური სექტორი და სახლების მშენებლობის ბუმი ჰქონდა, მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ე.წ. სახლების ბუშტები (ანუ როდესაც ბანკი სახლის მშენებლობისთვის გასცემს სესხს, სახლის აშენებამდე მსესხებელი ვეღარ იხდის ფულს, ბანკი კი ფულს ვეღარ იღებს ვერანაირი მეთოდით იმის გამო, რომ უზრუნველყოფილი

ქონება ჯერ საერთოდ არ არის აშენებული) გასკდა აგრეთვე ირლანდიაში, ლატვიასა და ესპანეთში. უნგრეთი, რომელსაც დიდი საბიუჯეტო დეფიციტი ჰქონდა, კრიზისის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გახდა. გერმანიაც კი, რომელიც ცნობილია თავისი სიფრთხილითა და ფინანსური დისციპლინით, არ იყო უსაფრთხოდ გლობალური კრიზისისგან. აღმოჩნდა, რომ გერმანული ბანკები დიდ ინვესტიციებს ახორციელებდნენ ქვე-იპოთეკურ სესხებში, გერმანელი მწარმოებლები კი კარგავდნენ საექსპორტო შეკვეთებს. იქიდან გამომდინარე, რომ გერმანიის ეკონომიკას შიდა მოხმარებაზე მეტად ექსპორტი ამოძრავებს და რომელიც, თავის მხრივ, ევროზონის მთელს ეკონომიკას აძლევს ტონს, მისი შესუსტება პოტენციურად კატასტროფის ტოლფასი განვითარება იყო. საფრანგეთში, რომელსაც მცირე საექსპორტო სექტორი, ძლიერი ბანკები და მსხვილი შიდა მოთხოვნა ჰქონდა, ეკონომიკური ვითარება შედარებით უკეთესი იყო.

კრიზისის უზარმაზარი მასშტაბი სრულად ცხადი გახდა 2008 წლის სექტემბერში, როდესაც გაკოტრდა აშშ-ში მდებარე გლობალური ფინანსური სერვისების დიდი კომპანია „ლემან ბრაზერსი". მისმა დახურვამ გამოიწვია პანიკა და საფონდო ბირჟების ღირებულების მკვეთრი ვარდნა. ესკალაციის პროცესში მყოფი კრიზისისადმი ევროპული მთავრობების გულგრილი დამოკიდებულება ვერ იქნებოდა სწორი მიდგომა. საფრანგეთმა, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანამ, და ევროკომისიამ ბოლოსდაბოლოს დაიწყეს მოქმედება.

სარკოზი თავის სტიქიაში აღმოჩნდა. დადგა შესაძლებლობა, შეცვლილიყო ევროკავშირის ფინანსური სტრუქტურა ფრანგული ეკონომიკური მოდელის საფუძველზე, და საფრანგეთი (და თავად სარკოზი) დამდგარიყო საერთაშორისო ურთიერთობების წინახაზზე. დაიწყო ევროკავშირის ისტორიაში მაღალი დონის დიპლომატიის ყველაზე ინტენსიური პერიოდი - მხოლოდ ოქტომბერში გაიმართა რამდენიმე სამიტი ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერების სხვადასხვა კონფიგურაციით და აშშ-ევროკავშირის არაფორმალური სამიტი.

სამიტებმა აჩვენა, რომ ევროკავშირის სამ გამორჩეულ ეროვნულ ლიდერს (ბრაუნი, მერკელი, სარკოზი) შორის განსხვავებები კვლავ გადაუჭრელი იყო: სარკოზის ევროპული ფონდი გაბანკროტების გზაზე მყოფი ბანკების გადასარჩენად სურდა; მერკელი სკეპტიკურად იყო ამ იდეისადმი განწყობილი, ვინაიდან ამ ფონდის შევსება გერმანიის ხარჯზე უნდა მომხდარიყო; სარკოზის სურდა, რომ ევროპულ ცენტრალურ ბანკს შეემცირებინა საპროცენტო განაკვეთები (ამ საკითხზე ეროვნულ მთავრობებს არანაირი გავლენა არ ჰქონდათ) და ხაზს უსვამდა მის პოზიტიურ განწყობას ევროზონისთვის გარკვეული ფორმის ეკონომიკური მთავრობის ჩამოყალიბებისადმი; მერკელი ამჯობინებდა მაღალ საპროცენტო განაკვეთებს, თუ მისი ალტერნატივა ინფლაციის რისკს ზრდიდა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, პატივს სცემდა ევროპული ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობას. სარკოზისთვის მნიშვნელოვანი იყო ფინანსური ბაზრების მკაცრი რეგულირება; ბრაუნი თანახმა იყო, მომხდარიყო რეგულაციების გამკაცრება, თუმცა, მას ამ პროცესის წარმმართველად წარმოედგინა ეროვნული ორგანოები და არა ევროპული ინსტიტუტები.

ამ განსხვავებების მიუხედავად, ყველა თანხმდებოდა, რომ ფინანსური სტაბილურობისა და ეკონომიკური აღდგენისთვის ბრძოლას ორი ფრონტი ჰქონდა - რეგიონული (ევროკავშირის შიგნით) და გლობალური („დიდი ოცეულის“ ფარგლებში). მერკელი დათანხმდა ამ იდეას, მაგრამ უარი განაცხადა ევროკავშირის კონკრეტულ ფონდზე, რომლის მიზანი იქნებოდა ფინანსური ინსტიტუტების ლიკვიდურობის უზრუნველყოფა. ევროზონის ფინანსთა სამინისტროების, ევროკომისიისა და ევროპული ცენტრალური ბანკის ოფიციალურმა პირებმა დეტალებზე დაიწყეს მუშაობა. 12 ოქტომბერს გამართულ ევროზონის სამიტზე ევროკავშირის ლიდერებმა მიიღეს გეგმა და პირობა დადეს, რომ „იმოქმედებდნენ ერთობლივად, გადამწყვეტად და ყოვლისმომცველად იმ მიზნით, რომ აღედგინათ ფინანსური სისტემის ნდობა და შესაბამისი ფუნქციონირება, ასევე, ეკონომიკის შესაფერისი და ეფექტური ფინანსური პირობები“. ერთი კვირის შემდეგ, ქ. ბრიუსელში ევროპულმა საბჭომ მხარი დაუჭირა ამ გეგმას.

სარკოზისგან ზურგგამაგრებული ევროკომისიაც ბოლოსდაბოლოს ჩაერთო საქმეში. კომისიის პრეზიდენტი ხოსე მანუელ ბაროზო გახდა ერთობლივი ევროპული პასუხის კიდევ ერთი საჯარო სახე. ევროკომისიას, რომელიც პასუხისმგებელია ერთიანი ბაზრის ფუნქციონირების კონტროლსა და „სტაბილურობისა და ზრდის პაქტის“ (ევროზონის წევრ ქვეყნებს შორის ფისკალური პოლიტიკის კოორდინაციის მექანიზმი) მონიტორინგზე, სურდა, დაეკავებინა მკაცრი პოზიცია იმ ეროვნულ მთავრობასთან მიმართებით, რომელიც დაარღვევდა წესებს. თუმცა, კანონმდებლობის მკაცრი დაცვით, ევროკომისია გამოიწვევდა იმ ქვეყნების გაუცხოებას, რომლებიც მძიმე ეკონომიკური პირობების გამო არ იცავდნენ კონკურენციის პოლიტიკის კანონებს ან ჰქონდათ მაღალი საბიუჯეტო დეფიციტი. შესაბამისად, ევროკომისიას მოუწია, დაეცვა ბალანსი აღსრულებასა და პატიებას, თანაგრძნობასა და სანდოობას შორის. სხვა სიტყვებით, ევროკომისია თავის პოლიტიკაში უნდა ყოფილიყო მოქნილი.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის არსებობდა კონსენსუსი ფინანსური კონტროლისა და საბანკო ზედამხედველობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ამიტომ ევროკომისიამ წარმოადგინა რამდენიმე ახალი ინიციატივა, მათ შორის, ბანკის კაპიტალის მოთხოვნების გაძლიერება და საკრედიტო რეიტინგის სააგენტოების რეგულირება. ევროკომისიამ ასევე შეისწავლა უზრუნველყოფის ფონდებისა და კერძო კაპიტალდაბანდებების აქტივობები, რომლებისკენაც ხშირად იშვერდნენ ხელს კრიზისის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას. ბაროზომ დააფუძნა მაღალი დონის ჯგუფი, რომლის მოვალეობა იყო კრიზისის უფრო ფართოდ გაანალიზება და ფინანსური ინსტიტუტების უფრო ეფექტური ევროპული და გლობალური ზედამხედველობის საკითხზე რეკომენდაციების მომზადება.

ბაროზო ასევე კოორდინაციას უწევდა ზრდისა და სამუშაო ადგილებისთვის ეკონომიკური აღდგენის გეგმას, რომელიც 2008 წლის ნოემბრის ბოლოს გახდა საჯარო. იგი ძირითადად ევროკავშირის არსებული მექანიზმების ერთობა იყო, მათ შორის, ევროპული საინვესტიციო ბანკის მიერ უფრო მეტი სესხის

გაცემის შესაძლებლობა, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებისთვის, და შედარებით ღარიბი წევრი ქვეყნებისთვის სოციალური პოლიტიკისა და რეგიონული პოლიტიკის ფონდების უფრო დროული იმპლემენტაცია. საერთო ჯამში, არსებული და დაპირებული ინიციატივები ორი წლის მანძილზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის 1,5%-ს (200 მილიარდი ევრო) წარმოადგენდა. ეს ნებისმიერი სტანდარტით ნამდვილად მნიშვნელოვანი რაოდენობა იყო, თუმცა, ვერც კი შეედრებოდა აშშ-ის მასტიმულირებელ ხარჯვით პაკეტს (აშშ-ის მთლიანი შიდან პროდუქტის 5,5%).

2008 წლის დეკემბრის ევროპული საბჭოს სხდომაზე სამი საკითხი დომინირებდა: შემოთავაზებული 'ეკონომიკური აღდგენის გეგმა', ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიკაციასთან დაკავშირებით ირლანდიასთან მიმდინარე მოლაპარაკებები, და ენერგეტიკასა და კლიმატის ცვლილებაზე მექანიზმების რთული პაკეტი. ეკონომიკური აღდგენის გეგმა ყველაზე ნაკლებ საკამათო იყო, ვინაიდან სარკოზიმ და მერკელმა საჯაროდ დაუჭირეს მას მხარი თავიანთ ერთობლივ წერილში, რომელიც გერმანიისა და საფრანგეთის ორ წამყვან გაზეთში გამოქვეყნდა. ამის მიუხედავად, ორივე ლიდერი კვლავ ვერ თანხმდებოდა ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლის გზებზე. სარკოზი არ იყო კმაყოფილი გერმანიის მოკრძალებული სტიმულირების ხარჯვითი პაკეტით და მერკელის უარით, შეემცირებინა გერმანიის დამატებითი ღირებულების გადასახადი. მერკელი თვლიდა, რომ სარკოზი უპასუხისმგებლოდ და არასათანადოდ აფასებდა მაღალი საბიუჯეტო დეფიციტის საფრთხეს. საბოლოო ჯამში, მათ გადალახეს თავიანთი განსხვავებები და ევროპულ საბჭოზე მხარი დაუჭირეს შეთავაზებულ გეგმას.

2008 წლის ოქტომბრის ევროპული საბჭოს სხდომის შემდეგ, სარკოზი და ბაროზო ვაშინგტონს ეწვივნენ და გლობალური კრიზისის დაძლევასა და საერთაშორისო საფინანსო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით აშშ-ის პრეზიდენტთან ჯორჯ ბუშთან მოლაპარაკებები გამართეს. ევროპარლამენტის წინაშე გამოსვლისას, სარკოზიმ ეს ვიზიტი ევროკავშირისთვის ტრიუმ-

ფად შეაფასა და აღნიშნა, რომ ეს იყო იმის დასტური, რომ ევროკავშირს შეუძლია განსაზღვროს საერთაშორისო სისტემა.

2008 წლის ბოლოსთვის, ეკონომიკური აღდგენის გეგმის ამუშავება და დიდი ოცეულის პროცესში ევროკავშირის აქტიური მონაწილეობა ქმნიდა იმის შთაბეჭდილებას, რომ ფინანსური კრიზისის შესაჩერებლად ევროკავშირი ეფექტურად მოქმედებდა. თუმცა, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო. 2009 წლის დასაწყისში ეკონომიკური ვარდნის მასშტაბები სრულად გახდა ნათელი, რამაც ევროკავშირის სოლიდარობა სერიოზული გამოცდის წინაშე დააყენა. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, რომლებსაც ეკონომიკურმა კრიზისმა ძლიერად დაარტყა, ეკონომიკური აღდგენისთვის საკმარისი ფული არ ჰქონდათ და არც ევროზონაში შესვლის პერსპექტივა გააჩნდათ, თანდათან იზრდებოდა უკმაყოფილება. სარკოზის გაფრთხილება ფრანგ მანქანათმწარმოებლებს, რომ ისინი მიიღებდნენ ფინანსურ მხარდაჭერას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავიანთ საწარმოებს ჩეხეთის რესპუბლიკიდან საფრანგეთში დააბრუნებდნენ, ეკონომიკური ნაციონალიზმის იმდენად ზღვარგადასული მაგალითი იყო, რომ ევროკომისიის პრეზიდენტი ბაროზოც კი იძულებული იყო, პირადად გამოეხატა უკმაყოფილება.

ახალ წევრ ქვეყნებში მზარდი უკმაყოფილების გათვალისწინებით, 2009 წლის 1-ელ მარტს დაგეგმილი ევროკავშირის საგანგებო სამიტის წინ, პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მოიწვია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერები იმ მიზნით, რომ განეხილათ გაუარესებული ფინანსური და ეკონომიკური ვითარება. კრიზისის განმავლობაში ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები ერთმანეთს შეხვედნენ როგორც ბლოკი ევროკავშირის შიგნით. მათ მალევე გააცნობიერეს, რომ საერთო ბევრი არ ჰქონდათ. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა, შედარებით უკეთ უმკლავდებოდა ეკონომიკურ კრიზისს; სხვებს უჭირდათ კრიზისთან ჭიდილი (2009 წლის მარტისთვის უნგრეთსა და ლატვიაში ძალიან რეალური იყო ფინანსური კოლაფსი). შედარებით უკე-

თეს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებისთვის არ იყო სასურველი სერიოზულ კრიზისში მყოფ ქვეყნებთან ერთად ბლოკში ყოფნა.

მომდევნო დღეს გამართულ ევროკავშირის საგანგებო სამიტზე ეროვნულმა ლიდერებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ „იმოქმედებდნენ ერთობლივად და კოორდინირებულად, ერთიანი ბაზრისა და ეკონომიკური და მონეტარული კავშირის ფარგლებში“. სხვა სიტყვებით, მთავრობებს არ უნდა გამოეყენებინათ პროტექციონიზმი და პატივი უნდა ეცათ სტაბილურობისა და ზრდის პაქტის სტრუქტურებისთვის. ევროკავშირის სოლიდარობის სახელით, უნგრეთმა მოითხოვა მსხვილი ფინანსური დახმარება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბანკების რეკაპიტალიზაციის და საგარეო სავალუტო ვალის რესტრუქტურირებისთვის. მერკელი დიდად არ აღფრთოვანებულა ამ იდეით. ნაწილობრივ მათივე უპასუხისმგებლობის გამო სირთულის წინაშე მდგარი ქვეყნების დასახმარებლად ევროკავშირის ახალი ფონდის დაფუძნების ნაცვლად, მერკელს უკეთეს ვარიანტად მიაჩნდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინტერვენცია და ევროზონის არაწევრ ცალკეულ ქვეყნებში გადახდების დაბალანსების მხარდაჭერისთვის ევროკავშირის არსებული ინსტრუმენტის გამოყენება.

ევროკავშირის ლიდერები კვლავ შეიკრიბნენ ორი კვირის შემდეგ, მარტის რეგულარულ სამიტზე, რა დროსაც ტრადიციულად განიხილავდნენ ხოლმე ეკონომიკურ საკითხებს. აღნიშნულ სამიტზე შეთანხდნენ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდში შეიტანდნენ დამატებით 75 მილიარდ ევროს, გადახდების დაბალანსების მხარდაჭერის ევროკავშირის ინსტრუმენტს გაზრდიდნენ 50 მილიარდ ევრომდე და მიმდინარე ევროკავშირის მიუჯეტში გამოუყენებელ 5 მილიარდ ევროს დახარჯავდნენ ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურულ პროექტებში. გადაწყვეტილება, რომ გამოუყენებელ 5 მილიარდ ევროს წევრი ქვეყნების ბიუჯეტში დაბრუნების ნაცვლად დახარჯავდნენ სხვა მიზნებისთვის, მარტივი მისაღები არ ყოფილა, განსაკუთრებით, ევროკავშირის ბიუჯეტში მსხვილი გადამხდელი სახელმწიფოებისთვის, მათ შორის, გერმანიისთვის. ამ საკითხმა ევ-

როკავშირში დამატებითი საბიუჯეტო დისკუსიები გამოიწვია და აჩვენა, რომ გერმანია და მდიდარი წევრი ქვეყნები არ იყვნენ მზად, ეკონომიკური კრიზისის დროს შედარებით ღარიბი წევრი სახელმწიფოების დახმარებისთვის.

კრიზისისადმი დამოუკიდებლად მოქმედების გამო გამოწვეული დავები გახშირდა 2009 წლის გაზაფხულზე, როდესაც გაბანკროტების პირას მყოფმა მანქანების ამერიკულმა მწარმოებელმა „ჯენერალ მოტორსმა“ გადაწყვიტა თავისი ევროპული შვილობილი კომპანია „ოპელის“ გაყიდვა. „ოპელი“ ფუნქციონირებდა რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის, ოთხი ქარხანა ჰქონდა გერმანიაში. ამის გამო გერმანიის მთავრობა იძულებული იყო, მსხვილი სახელმწიფო სუბსიდიების უზრუნველყოფით, „ოპელის“ ახალი მფლობელის პირობებში შეენარჩუნებინა სამუშაო ადგილები გერმანიაში. ბელგიური მთავრობა, რომელიც ასევე იყო დაინტერესებული ბელგიაში „ოპელის“ მიერ შექმნილი სამუშაო ადგილების შენარჩუნებით, მაგრამ არ ჰქონდა გერმანიის მსგავსი გავლენა და მსხვილი ჯიბე, უკმაყოფილო და გაბრაზებული იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბელგიის პრემიერ-მინისტრმა გერმანია ევროკავშირის კანონმდებლობის დარღვევაში დაადანაშაულა.

კვლავ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ევროკავშირი აღარ იყო სოლიდარული, ერთიანი და კოორდინირებული თავის ქმედებაში და რომ კრიზისი კვლავ ძლიერდებოდა. თუმცა, სინამდვილეში ყველაზე რთული მომენტი უკვე გადავლილი იყო, ყოველ შემთხვევაში, 2010 წლის დასაწყისსში საბერძნეთის სუვერენული ვალის კრიზისის დაწყებამდე მაინც. 2009 წლის ზაფხულისთვის, ფინანსურმა სისტემამ სტაბილიზება დაიწყო და ეკონომიკური დაღმასვლა შენელდა, თუმცა, უმუშევრობა კვლავ ჯიუტად მაღალ დონეს ინარჩუნებდა.

2009 წლის ივნისში, ევროპული საბჭოს სამიტზე ეროვნული ლიდერები შეეცადნენ ერთიანი ღონისძიებების გატარებას. მათ მხარი დაუჭირეს თებერვალში მომზადებულ ანგარიშს ევროკავშირში ფინანსური ზედამხედველობის შესახებ. ანგარიში მოუწოდებდა ქვეყნებს, გაეტარებინათ ახალი მარეგულირებელი

დღის წესრიგი, უფრო მკაცრი ზედამხედველობა და ეფექტური კრიზისის მართვის პროცედურები. აგრეთვე, ანგარიშის მიხედვით, უნდა დაფუძნებულიყო ორი ახალი ორგანო ევროკავშირის დონეზე - ევროპული სისტემური რისკების საბჭო (ევროპული ცენტრალური ბანკის ფარგლებში და მისი ლოგისტიკური მხარდაჭერით) და ფინანსური ზედამხედველების ევროპული სისტემა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები მოხარულები იყვნენ ამ რეკომენდაციების დამტკიცებით, თუმცა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბრაუნი, წარმოადგენდა რა საბანკო და საფინანსო სფეროებში ეროვნული პრეროგატივების დამცველს, შიშობდა, რომ ამ ორგანოების შესახებ კონკრეტულ გეგმებზე შეთანხმება რთული იქნებოდა.

ამის მიუხედავად, 2009 წლის ბოლოსკენ, ეროვნული ლიდერები იმაზე უფრო მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ფინანსური და ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გზებზე, ვიდრე ოდესმე ამ პერიოდამდე. თუმცა, მათ მოუხდათ აშშ-თან ამ საკითხზე დაძაბული მოლაპარაკებების წარმოება. დიდი ოცეულის მეორე სამიტამდე, რომელიც 2009 წლის აპრილში, ქ. ლონდონში იგეგმებოდა, აშშ-ის ოფიციალური პირები ჩიოდნენ, რომ ევროკავშირი არ აკეთებდა საკმარისს გლობალური რეცესიის დასასრულებლად, განსაკუთრებით, სტიმულირების ხარჯვითი პაკეტით. ევროკავშირის ოფიციალური პირები საპასუხოდ აცხადებდნენ, რომ მართალია, ეკონომიკური აღდგენის გეგმა აშშ-ის სტიმულირების პაკეტის მხოლოდ ნახევარი იყო, მაგრამ მასში არ შედიოდა ავტომატური სტაბილიზატორები - უმუშევრობისა და სხვა სოციალური შეღავათები, რომლებიც არბილებდა უცაბედ შოკებს. ამგვარი შეღავათები ევროპაში ბევრად მსხვილი იყო, ვიდრე აშშ-ში და დაახლოებით 200 მილიარდ ევროს შეადგენდა. ბარაკ ობამა და ანგელა მერკელი (რომელიც ერთ-ერთი იმ ევროპელთაგანი იყო, რომელიც აშშ-ის ახალი პრეზიდენტის შარმის მსხვერპლი არ გახდა) ამ პროცესის წამყვანი პირები იყვნენ. სარკოზიმ, რომელსაც სურდა, დიდი ოცეულის დროს ფინანსური სერვისების უკეთესი გლობალური რეგულირების საკითხზე მერკელის მხარდაჭერა მიეღო, გერმანიის კან-

ცლერის პოზიცია დაიკავა. შედეგად, დიდი ოცეულის სამიტის დროს, ობამა და მერკელი შეთანხდნენ, რომ ვერ შეთანხდნენ. ამით დასრულდა ეკონომიკურ რეცესიასთან ბრძოლის გზების საკითხზე აშშ-სა და ევროკავშირს შორის შეუთანხმებლობის ერთი კონკრეტული პერიოდი.

გავლენა ევროკავშირზე

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის ეკონომიკების მახასიათებლები განსხვავდებოდა, კრიზისის გავლენაც ცვალებადი იყო - ირლანდიის კელტური ვეფხვი წარსულში დარჩა, ლატვია და უნგრეთი კინაღამ ფინანსური კოლაფსის მსხვერპლი გახდნენ, საფრანგეთში კი კრიზისმა მსუბუქად გადაიარა. კრიზისმა გერმანიაში რამდენიმე კრიტიკული ნაკლოვანება გამოაჩინა, კერძოდ, გერმანული მიწების (დამოუკიდებელი) ბანკები სუსტები იყვნენ, ქვეყანა კი ზედმეტად იყო ექსპორტზე დამოკიდებული.

კრიზისმა ასევე ნათლად აჩვენა, რომ ერთიანი ბაზარი და ეკონომიკური და მონეტარული კავშირი ჯერ კიდევ მყიფე იყო. ეროვნული მთავრობების ტენდენციამ, რომ დაეცვათ ეროვნული ბანკები და ინდუსტრიები, ერთიან ბაზარს დაშლით ემუქრებოდა. ევროზონაში საჯარო ფინანსების მკვეთრმა გაუარესებამ ძირი გამოუთხარა ეკონომიკური და მონეტარული კავშირის ფისკალური საფუძვლის - სტაბილობისა და ზრდის პაქტის - სანდოობას. ის ფაქტი, რომ დოლართან მიმართებაში ევროს ღირებულება მყარდებოდა 2009 წლის ნოემბრამდე (საბერძნეთის კრიზისის დაწყებამდე), ასახავდა უფრო მეტად აშშ-ის ეკონომიკის გრძელვადიანი სისუსტისადმი გლობალურ შიშებს, ვიდრე ევროზონის ეკონომიკების გრძელვადიანი სიძლიერისადმი რწმენას.

მეორე მხრივ, მთავრობების ქმედებები ასახავდა ევროპაში პოლიტიკურ რეალიებს. რთული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისთვის ხალხი ბრიუსელის ნაცვლად ეროვნული მთავრობებისგან ელოდა რეაგირებას. პოლიტიკოსებისგან შეცდომა იქნებოდა ეროვნულ ქმედებაზე უარის თქმა

იმ მიზეზით, რომ შეზღუდულები იყვნენ ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკის წესებით ან სტაბილურობისა და ზრდის პაქტიკის საბიუჯეტო დეფიციტის ზღვრებით. შესაბამისად, წევრი ქვეყნების ეროვნული მთავრობები იძულებული იყვნენ, ეროვნულ საჭირობებზე მოეხდინათ რეაგირება ევროკავშირის სტრუქტურის შიგნით, რაც ბევრი მოქალაქისთვის არც მოსაწონი იყო და არც გასაგები, მიუხედავად იმისა, რომ ერთიან ბაზარს უამრავი ხელშესახები სარგებელი ჰქონდა და ერთიანი ვალუტაც ბევრად მოსახერხებელი იყო. ამ პირობებში მთავრობების უმრავლესობამ შეძლო გონივრული ბალანსის მიღწევა ეროვნულ და ევროპულ ინტერესებს შორის, ყოველ შემთხვევაში მათ უსამართლოდ არ დაუდანაშაულებიათ ბრიუსელი მანევრირების თავისუფლების შეზღუდვისთვის. კრიზისის დროს გამართული სამიტების მაღალმა რაოდენობამ აჩვენა, რომ ეროვნული ლიდერები აფასებდნენ ევროკავშირში თანამშრომლობის მნიშვნელობას და მაღალ დონეზე დაძაბულობის განმუხტვის შესაძლებლობას.

პოლიტიკოსებს თვალი ყოველთვის შემდეგ არჩევნებზე უჭირავთ. კრიზისის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნები გერმანიაში ტარდებოდა, სადაც მერკელის ქრისტიან-დემოკრატიული პარტია კოალიციაში იყო თავის სოციალ-დემოკრატიულ ოპონენტებთან. 2009 წლის ივნისში დაგეგმილი ევროპარლამენტის არჩევნები გერმანიაში აღიქმებოდა, როგორც 2009 წლის სექტემბერში გასამართი ფედერალური არჩევნების ტესტი და ევროკავშირის ქვეყნებში იყო საშუალება, ამომრჩევლებს გამოეხატათ თავიანთი პოზიცია მთავრობების მხრიდან კრიზისის მართვის საკითხთან დაკავშირებით. ევროპარლამენტის არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ იდეოლოგიის მიუხედავად, ამომრჩევლებმა დასაჯეს მმართველი პარტიები, თვლიდნენ რა, რომ მათ სათანადოდ ვერ იმოქმედეს კრიზისის აღმოსაფხვრელად. გერმანიაში კი ამომრჩევლების უმრავლესობამ ეკონომიკის მართვისთვის მერკელის ქრისტიან-დემოკრატები არჩია.

ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პროცესმა აჩვენა, რომ მთავარი მოქმედი პირები იყვნენ ეროვნული მთავრობები. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან ევროკავშირი არ არის პასუხისმ-

გებელი ფისკალურ (საბიუჯეტო) პოლიტიკაზე. მასტიმულირებელი პაკეტები, იქნება ეს სუბსიდიები თუ ავტომატური მასტაბილიზატორები, მხოლოდ ეროვნული ბიუჯეტებიდან შეიძლება განხორციელდეს. რა თქმა უნდა, ეროვნული მთავრობები ცდილობდნენ, რომ ევროკავშირის, განსაკუთრებით, ევროზონის შიგნით მოეხდინათ თავიანთი გადაწყვეტილებების კოორდინაცია. ევროკავშირის შიგნი ფისკალური პოლიტიკის კოორდინაციის წარმმართველი ინსტიტუტები (ეკოფინი - ფინანსთა მინისტრების საბჭო, ევროჯგუფი - ევროზონის წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრები, და ევროპული საბჭო) ეროვნული პოლიტიკის მიმართულებებზე მხოლოდ გავლენას ახდენდნენ და არა მათ განსაზღვრას. ყველაზე რთულ სიტუაციებში მთავრობები პოლიტიკის კოორდინაციას არ შესწირავდნენ პოლიტიკურ გადარჩენასა და ეროვნული ეკონომიკის აღდგენას.

კრიზისის განმავლობაში ევროკავშირის მხრიდან პროცესში ყველაზე მეტად ჩართულები იყვნენ ევროპული ცენტრალური ბანკი, ევროპული საბჭო და ევროკომისია. პროცესმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ განსაკუთრებული სირთულეების დროს მხოლოდ ეროვნული ლიდერებით დაკომპლექტებულ ევროპულ საბჭოს შეეძლო პროგრესის მიღწევა და ევროკავშირის წინ წაყვანა. 2008 წლის მეორე ნახევარში საფრანგეთის თავმჯდომარეობამ კარგად გამოიყენა ევროპული საბჭო, ვინაიდან პრეზიდენტი სარკოზი აფასებდა კრიზისის მოგვარების საქმეში ევროკავშირის მნიშვნელობას. აგრეთვე, მას, როგორც დიდი, გავლენიანი და რესურსების მქონე ქვეყნის წარმომადგენელს, ჰქონდა პრობლემების მოგვარების უნარი და შესაძლებლობა. საფრანგეთის შემდგომი ჩეხეთის თავმჯდომარეობა შეზღუდული იყო ეროვნული პოლიტიკური კინკლაობით და მას არც ევროპული საბჭოს სათანადო გაძღოლისთვის საჭირო გავლენა ჰქონდა. კრიზისის პერიოდში ევროპული საბჭოს თავმჯდომარეობების განსხვავებულმა შესაძლებლობებმა და საქმიანობის ცვალებადმა ხარისხმა კიდევ უფრო გააძლიერა ევროპული საბჭოს მუდმივმოქმედი პრეზიდენტის საჭიროება და მოთხოვნა. თუმცა, საინტერესოა, მისცემდა გავლენიანი სახელმწიფოს ეგომანიაკალური ლიდერი

სარკოზი ლისაბონის ხელშეკრულებით (მოგვიანებით) გათვალისწინებული ევროპული საბჭოს პრეზიდენტს ჰერმან ვან რომპუის მისი დაჩრდილვის შესაძლებლობას?

ამასთან, კრიზისმა აჩვენა, რომ ევროკავშირის ოცდაშვილის წევრის სახელმწიფოს პირობებში ევროპული საბჭოს მართვა რთული იყო. ცალკეულ შემთხვევებში ზოგიერთი ლიდერი უფრო მცირე მასშტაბით, მინი-სამიტების ფარგლებში იკრიბებოდნენ, მაგალითად, დიდი ოთხეულის ფორმატში, ზოგჯერ ესპენეთის და ნიდერლანდების ლიდერებთან, და ყოველთვის ევროკომისიის პრეზიდენტთან ერთად. ეს ლიდერები ახერხებდნენ ხოლმე ერთიანი პოზიციის შემუშავებას და შემდეგ ევროპული საბჭოს მომდევნო სხდომის დროს სხვა ლიდერების დარწმუნებას და ამ პოზიციის გაზიარებას. თეორიაში, ევროკავშირში ყველა ქვეყანა თანასწორია. პრაქტიკაში, როდესაც საქმე ეხება ეკონომიკასა და ფინანსებს, თავდაცვასა და უსაფრთხოებას, დიდი სახელმწიფოები უფრო თანასწორები იყვნენ, ვიდრე პატარა წევრი ქვეყნები.

დიდ წევრ სახელმწიფოებს შორის დომინანტი როლი ეკავათ საფრანგეთსა და გერმანიას. ფინანსური კრიზისი მათი ურთიერთობებისთვის ტესტი იყო, გარე დამკვირვებლებისთვის კი - შესაძლებლობა, რომ ფრანგულ-გერმანული ტანდემის შესაძლო რღვევას დაკვირვებოდნენ. თუმცა, ამჯერადაც, პიროვნული (მერკელი და სარკოზი პიროვნულად სრულიად განსხვავებული ადამიანები და ლიდერები იყვნენ) და პოლიტიკასთან დაკავშირებული (გერმანია ძლიერ კრიტიკულად არის განწყობილი დეფიციტური ხარჯვისადმი მაშინ, როდესაც საფრანგეთი კომფორტულად გრძნობს თავს სახელმწიფო სესხებთან დაკავშირებით) განსხვავებების მიუხედავად, ორივე ქვეყანა ერთად შეიკრა და ევროკავშირს მათთვის სასურველი მიმართულებით უბიძგა. ევროკავშირის ისტორიის მანძილზე, ორგანიზაციის გაფართოებებთან ერთად, შესაძლოა, დასუსტდა ფრანგულ-გერმანული პარტნიორობა, თუმცა, ის დღემდე ანგარიშგასაწევ ძალად რჩება.

კიდევ რა შეეძლო ევროკომისიას გაეკეთებინა? ან გაეკეთებინა უკეთესად? ევროკომისიასთან დაკავშირებული კრიტიკის უმრავლესობა ეხება მის პრეზიდენტ ბაროზოს, რომელიც კრიზისის პირველი განვითარებისას გასაკვირად უმოქმედოდ გამოიყურებოდა. თუმცა, ის არ იყო ევროკავშირის ერთადერთი ლიდერი, ვინც კრიზისის სიმძიმე არასათანადოდ შეაფასა. მოქმედების დაწყების შემდეგ, ბაროზო სათავეში ჩაუდგა კრიზისის საპასუხო ძლიერ პროცესს (იმის გათვალისწინებით, რომ ევროკომისია საკმაოდ შეზღუდულია ფისკალური და მაკროეკონომიკური პოლიტიკის სფეროებში). პრაქტიკაში, ევროკომისიის პრეზიდენტის ყველაზე პროდუქტიული როლი იყო ერთიანი ეროვნული საპასუხო ქმედებების ნახალისება, განსაკუთრებით, ევროპული საბჭოს სხდომებში მონაწილეობის და ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანასთან მჭიდრო ურთიერთობების გამოყენების გზით. ამის იქით, რთული წარმოსადგენი იყო კომისიის პრეზიდენტის განსაკუთრებული აქტიურობა - ბაროზო ვერ შეძლებდა სარკოზისთვის ინიციატივის და ცენტრალური როლის წართმევას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი ამავე დროს იყო ევროპული საბჭოს პრეზიდენტი.

ფინანსურმა კრიზისმა ევროკავშირი ეკონომიკურად დაასუსტა. ეკონომიკური ზრდა შეფერხდა, ზოგიერთ ქვეყანაში კი ეკონომიკამ ვარდნა დაიწყო. უმუშევრობა დრამატულად გაიზარდა. სახელმწიფო ფინანსები მკვეთრად გაუარესდა, განსაკუთრებით საბერძნეთში, პორტუგალისა და ესპანეთში. 2009 წლის ბოლოსთვის საფრანგეთმაც კი დაკარგა დეფიციტური ხარჯვის სურვილი; გერმანიაში მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებით კი მთავრობა იძულებული იყო, 2016 წლისთვის დაბალანსებული ბიუჯეტი ჰქონოდა. კრიზისის ერთ-ერთი ნეგატიური შედეგი იყო ის, რომ ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში შემცირდა მხარდაჭერა ისეთი რეფორმებისადმი, რომლებიც აუცილებელია მდგრადი განვითარებისა და დასაქმების უზრუნველყოფისთვის, მათ შორის, სამუშაო ბაზრის ლიბერალიზება. კრიზისმა სერიოზული სირთულეები შექმნა ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც დემოგრაფიული პრობლე-

მის გამო ესაჭიროებათ ძვირადღირებული ჯანმრთელობის დაცვისა და საპენსიო ფონდები (კრიზისისგან გამოწვეული შემცირებული შემოსავლები ამ პროგრამების ეფექტურად დაფინანსების შესაძლებლობას არ იძლეოდა). ფინანსური კრიზისით გამოწვეული ნეგატიური შედეგების გამო, ძნელად წარმოსადგენია, რომ უახლოეს მომავალში ეროვნულმა მთავრობებმა ადეკვატურად უპასუხონ სტრუქტურული რეფორმის საჭიროებას.

ფინანსურმა კრიზისმა ევროკავშირის ქვეყნები აიძულა, გადაეხედათ თავისი პოლიტიკა და პოლიტიკის მარეგულირებელი ინსტიტუციური მოწყობა. ევროკავშირის დონეზე შეიქმნა ფინანსური ზედამხედველობის ევროპული სისტემა და ევროპული სისტემური რისკების საბჭო. ფინანსური ზედამხედველობის ევროპული სისტემა მოიცავს ევროპულ საზედამხედველო ორგანოებს (ევროპული საბანკო ორგანო, ევროპული სადაზღვევო და პროფესიული საპენსიო ორგანო, ევროპული ფასიანი ქაღალდებისა და ბაზრების ორგანო) და ეროვნულ ზედამხედველებს. მისი მიზანია ევროკავშირის მასშტაბით ტექნიკური საზედამხედველო სტანდარტების უზრუნველყოფა და ზედამხედველების კოორდინაცია. ევროპული სისტემური რისკების საბჭო შედგება ევროპული ცენტრალური ბანკისგან, ეროვნული ცენტრალური ბანკებისგან, ევროპული საზედამხედველო ორგანოებისა და ევროკომისიისგან. მისი მიზანია ევროკავშირში ფინანსური სისტემის სისტემური რისკების შეფასება, მათი პრევენცია ან შერბილება და ამ გზით ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა.

აგრეთვე, ევროზონის ქვეყნებისთვის ჩამოყალიბდა საბანკო კავშირი და საბანკო პოლიტიკის პასუხისმგებლობა ეროვნული დონიდან გადაეცა ევროკავშირს. საბანკო კავშირი ეფუძნება ორ მთავარ ინიციატივას - ერთიან საზედამხედველო მექანიზმსა (Single Supervisory Mechanism) და ერთიან მოგვარების მექანიზმს (Single Resolution Mechanism). პირველი მათგანი ევროპულ ცენტრალურ ბანკს აძლევს ევროკავშირის ფინანსურ სისტემაზე საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობას. მეორე მათგანი კი ევროკავშირში ბანკში შექმნილი პრობლემების (მაგალითად, გაბანკროტების დაწყების)

დროს ცენტრალურ ინსტიტუტს წარმოადგენს და უზრუნველყოფს იმას, რომ ბანკის დახურვა არ ვნებს ზოგადად ეკონომიკას და არ იწყევევს ფინანსურ არასტაბილურობას. საბანკო კავშირის ფუნქციონირება ხორციელდება წესების ერთიანი წიგნით (Single Rulebook), რომელიც კოლექტიურად არეგულირებს მთელი ევროკავშირის მასშტაბით ფინანსურ სექტორს.

საბერძნეთის კრიზისი

2009 წლის ზაფხულისთვის ევროზონაში ფინანსური კრიზისით გამოწვეული ეკონომიკური და საბიუჯეტო ვარდნები დასტაბილურდა, რამაც ევროკავშირში კრიზისიდან საბოლოოდ გამოსვლის თაობაზე იმედები გაჩნდა. თუმცა, მალევე, 2009 წლის ბოლოსკენ, ევროზონას კიდევ უფრო მძიმე სირთულესთან - საბერძნეთის სუვერენული ვალის კრიზისთან (ცნობილი ასევე, როგორც „ბერძნული დეპრესია") მოუწია შეჯახება.

საბერძნეთის კრიზისი რამდენიმე ფაქტორმა გამოიწვია, მათ შორის, გლობალურმა რეცესიამ, საბერძნეთის ეკონომიკის სტრუქტურულმა სისუსტეებმა და საბერძნეთის მთავრობის მხრიდან რეალური სამთავრობო ვალისა და დეფიციტის დონის შესახებ ინფორმაციის დამალვამ. ამას მოჰყვა ნდობის დაკარგვა, რამაც საბერძნეთი კატასტროფულ მდგომარეობაში ჩააგდო.

პრობლემა სათავეს საუკუნის დასაწყისში, 2001 წელს იღებს, როდესაც საბერძნეთი ევროზონის წევრი გახდა და ეროვნულ ვალუტად ევრო მიიღო. საერთო ჯამში, ამ პროცესმა გაზარდა ევროზონის წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა, თუმცა, არათანაბრად გაიზარდა შრომის ხარჯები - პერიფერიულ ქვეყნებში (მაგალითად, საბერძნეთში) უფრო მეტად, ვიდრე ცენტრში (მაგალითად, გერმანიაში). ამან შეამცირა საბერძნეთის კონკურენტუნარიანობა და შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი სავაჭრო დეფიციტი. საბერძნეთის სავაჭრო დეფიციტი და საბიუჯეტო დეფიციტი 1999 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 5% იყო, მაშინ როდესაც 2008-2009 წლებში 15% გახდა. ასეთ პი-

რობებში საჭირო იყო სხვა ქვეყნებიდან სესხის აღება ან პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა. ევროზონაში საბერძნეთის წევრობა ინვესტიციების კარგი წყარო იყო. კრედიტორები და ინვესტორები მშვიდად იყვნენ, ვინაიდან ევროზონის წევრობა ნიშნავდა ფინანსური დისციპლინის უზრუნველყოფას და პრობლემების შემთხვევაში ევროკავშირის მხრიდან საბერძნეთის დახმარებას.

ევროპაში ფინანსური კრიზისის გავრცელების პარალელურად, ევროკავშირის დიდი ქვეყნებიდან (მაგალითად, გერმანიიდან) საბერძნეთში შემოსული ფულის რაოდენობამ კლება დაიწყო. აგრეთვე, 2009 წელს ვრცელდებოდა ანგარიშები, რომლის მიხედვითაც არსებობდა სერიოზული ეჭვები საბერძნეთის მხრიდან ბიუჯეტის არასწორ მართვასა და ინფორმაციის დამალვაზე, რამაც გაზარდა ქვეყნის მხრიდან სესხის მიღების ხარჯები. ნაკლები პირდაპირი ინვესტიციები და გაძვირებული სესხები ნიშნავდა იმას, რომ საბერძნეთი ვეღარ მოახერხებდა თავისი საბიუჯეტო და სავაჭრო დეფიციტის ხელმისაწვდომი და შეღავათიანი სესხით დაფარვას.

ასეთ ვითარებაში გონივრული იქნებოდა საკუთარი ვალუტის გაუფასურება იმ მიზნით, რომ წახალისებულიყო ინვესტიციები და სესხის გადახდა მომხდარიყო უფრო იაფი ვალუტით. თუმცა, საბერძნეთის შემთხვევაში ეს შეუძლებელი იყო, ვინაიდან ქვეყანა ევროზონის წევრი იყო და ვალუტის მართვას ახორციელებდა ევროპული ცენტრალური ბანკი და არა ეროვნული ცენტრალური ბანკი. სანაცვლოდ, კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, 2010-2014 წლებში მთავრობამ ხელფასები შეკვეცა თითქმის 20%-ით, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა შემოსავალი და მთლიანი შიდა პროდუქტი და გამოიწვია მწვავე რეცესია, საგადასახადო შემოსავლებმა იკლო და მკვეთრად გაიზარდა მთლიან შიდა პროდუქტთან ვალის შეფარდება. უმუშევრობამ თითქმის 25%-ს მიაღწია (2003 წელს ეს მაჩვენებელი 10%-ზე დაბალი იყო).

საერთო ჯამში, 2010-2016 წლებში საბერძნეთის მთავრობამ გადასახადების გაზრდის, ხარჯვის შემცირებისა და რეფორმების 12 რაუნდი განახორციელა, რამაც თავის მხრივ საპროტესტო

გამოსვლებსა და ძალადობრივ დემონსტრაციებს შეუწყო ხელი. მთავრობების მცდელობების მიუხედავად, საბერძნეთს გაბანკროტების თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან, ევროჯგუფისა და ევროპული ცენტრალური ბანკისგან სამჯერ (2010, 2012 და 2015 წლებში) მოუწია სესხის აღება.

საბერძნეთის მთავრობამ 2014 წლის პოზიტიური საბიუჯეტო მაჩვენებლები (ხარჯებზე მეტი შემოსავლის მიღება) დააანონსა, რაც კრიზისის დასტაბილურებისა და ეკონომიკური აღდგენის დასაწყისი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ამის ნაცვლად, 2014 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკა კვლავ რეცესიამ მოიცვა. დეკემბერში პარლამენტმა რიგგარეშე არჩევნები დანიშნა, რის საფუძველზეც მთავრობაში ნაციონალისტური, პოპულისტური და უკიდურესი მემარცხენე სირიზას პარტია მოვიდა, პრემიერ-მინისტრი კი პარტიის ხელმძღვანელი ალექსის ციპრასი გახდა.

საერთაშორისო ტროიკამ (ევროკომისია, ევროპული ცენტრალური ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი) შეაჩერა საბერძნეთისთვის გამოყოფილი და დაგეგმილი ყველა ფინანსური დახმარება მანამ, სანამ ახალმა მთავრობამ არ დაარწმუნა ტროიკა, მიეღოთ დახმარების და გადახდის ახალი პროგრამა. თუმცა, მოლაპარაკებების ამ პერიოდში წარმოიშვა ლიკვიდურობის კრიზისი (გაჩერებული დახმარების გამო საბერძნეთის მთავრობასა და ბერძნულ ფინანსურ სისტემას არ ჰქონდა საკმარისი ვალუტა ვალდებულებების დასაფარად), გაუარესდა ათენის საფონდო ბირჟაზე საფონდო ფასები და კვლავ შეიზღუდა კერძო დაფინანსებაზე წვდომა.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ტროიკამ დახმარების პროგრამა ოთხთვიანი ტექნიკური გადავადების გამო შეაჩერა. საერთაშორისო აქტორები იმედოვნებდნენ, რომ 2015 წლის აპრილის ბოლომდე მოახერხებდნენ ახალ მთავრობასთან მოლაპარაკებებს, ივნისამდე კი მოხდებოდა ახალი ფინანსური ტრანსფერის გადარიცხვა. მოლაპარაკებები ივნისამდე უშედეგოდ მიმდინარეობდა. სუვერენული გაბანკროტების შიშით, საბერძნეთის მთავრობამ ივნისში ორი ახალი ინიციატივა წარადგინა, თუმცა, ტროიკამ ორივე მათგანი უარყო. ამან ევროზონიდან

გასვლის და საბანკო სექტორის კოლაფსის თავიდან აცილებისთვის კაპიტალის კონტროლის პერსპექტივა გააჩინა.

2016 წლის 26 ივნისს ციპრასის მთავრობამ ცალმხრივად შეწყვიტა მოლაპარაკებები და დააანონსა, რომ 5 ივლისს რეფერენდუმზე გაიტანდა ტროიკას მიერ 25 ივნისს შემოთავაზებულ ინიციატივას. 27 ივნისს დაიხურა საბერძნეთის საფონდო ბირჟა.

ციპრასის მთავრობა რეფერენდუმზე ტროიკას ინიციატივის ჩაგდებას უჭერდა მხარს, ოთხი ოპოზიციური პარტია კი რეფერენდუმს არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა. ამასობაში, ევროჯგუფმა გააკეთა განცხადება, რომ დახმარების მიმდინარე, მეორე პროგრამა 30 ივნისს, რეფერენდუმიდან 5 დღით ადრე იწურებოდა. მათივე განმარტებით, დახმარების პროგრამის 5 ივლისამდე გახანგრძლივება მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ საბერძნეთის მთავრობასთან 30 ივნისამდე შეძლებდნენ შეთანხმების მიღწევას. ევროჯგუფს სურდა, მთავრობას აეღო გარკვეული პასუხისმგებლობა დახმარების მესამე პროგრამისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ რეფერენდუმზე მოსახლეობა დამატებით რეფორმებს მხარს დაუჭერდა.

28 ივნისს, საერთაშორისო კრედიტორებთან შუალედური შეთანხმების გარეშე, საბერძნეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა რეფერენდუმის გამართვა. ევროპულმა ცენტრალურმა ბანკმა ბერძნული ბანკებისთვის შეინარჩუნა „ლიკვიდურობის საგანგებო დახმარება“. ბერძნები კი განაგრძობდნენ ანგარიშებიდან ფულის გამოტანას იმის შიშით, რომ უახლოეს მომავალში დაწესდებოდა კაპიტალის კონტროლი.

2015 წლის 30 ივნისს საბერძნეთი გახდა პირველი განვითარებული სახელმწიფო, რომელმაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხი ვერ გადაიხადა. კრიზისის ამ პიკურ პერიოდში ვალმა 323 მილიარდ ევროს ანუ ერთ სულ მოსახლეზე 30,000 ევროს მიაღწია.

5 ივლისს მოსახლეობის უმრავლესობამ (62,5%-იანი აქტივობიდან 61%-მა) მხარი არ დაუჭირა დახმარების მესამე პროგრამით გათვალისწინებულ პირობებს. რეფერენდუმის შედეგები მკვეთრად ნეგატიურად აისახა მსოფლიო საფონდო ინდექსებზე

და გააჩინა ევროკავშირიდან საბერძნეთის პოტენციური გასვლის შიში. 6 ივლისს თანამდებობიდან მოულოდნელად გადადგა საბერძნეთის პოპულისტი და ქარიზმატული ფინანსთა მინისტრი იანის ვაროუფაკისი.

ძნელია, რეფერენდუმის დანიშვნასთან დაკავშირებით საბერძნეთის მთავრობის ამგვარი გადაწყვეტილება პოპულისტურად არ შეფასდეს. უფრო მეტიც, მას რაიმე რეალური შედეგი არ მოუტანია - 13 ივლისს, 17 საათიანი მოლაპარაკებების შემდეგ, ევროზონის ლიდერებმა დახმარების მესამე პროგრამასთან დაკავშირებით მიაღწიეს გარდამავალ შეთანხმებას, რომელიც შინაარსობრივად ძალიან ჰგავდა ტროიკას ივნისის ინიციატივას.

2017 წლის შუა პერიოდისთვის საბერძნეთის სამთავრობო ობლიგაციები მიუახლოვდა 2010 წლამდე დონეს, რაც იყო ქვეყანაში ეკონომიკის ნორმალიზების ერთ-ერთი მაჩვენებელი. თუმცა, ქვეყნის ვალის რაოდენობა კვლავ კრიტიკულად მაღალი დარჩა. 13 ივლისს საბერძნეთის მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდს გაუგზავნა წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ქვეყანა 2018 წლის ივნისისთვის შეასრულებდა თავის აღებულ 21 ვალდებულებას, მათ შორის, შრომის კანონებში ცვლილებები, საჯარო სექტორის სამუშაო კონტრაქტების შეკვეცა, დროებითი კონტრაქტების გარდაქმნა მუდმივ ხელშეკრულებებად და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების შემცირების მიზნით საპენსიო თანხების ხელახალი გადაანგარიშება. ამით გარკვეულწილად დასრულდა საბერძნეთის კრიზისის ყველაზე კრიტიკული მონაკვეთი.

იოშკა ფიშერმა, რომელმაც XXI საუკუნის დასაწყისში დაიწყო ევროპის მომავალზე დებატები, 2009 წლის მარტში დაიჩივლა, რომ „გლობალური ეკონომიკური კრიზისი დაუნდობლად ხდის ფარდას ევროკავშირის ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს. მართლაც, რაც ევროპამ უპირველესად დაკარგა კონსტიტუციური ხელშეკრულების უარყოფით ახლა ნათელია: საკუთარი თავის და მისი მომავლის რწმენა... არსებობს საფრთხე, რომ ევროპა დაუბრუნდეს წარსულის ეროვნულ ეგოიზმსა და პროტექციონიზმს“. შეიძლება, ფიშერს ცოტა გაზვიადებულად წარმოედ-

გინა მოვლენები (თუმცა, ევროპაში პოპულიზმის მომძლავრება სულაც არ იძლევა ამის თქმის საშუალებას), მაგრამ მისი სიფრთხილე ასახავდა იმ იმედგაცრუებას, რაც საბოლოოდ ხელშეკრულების ცვლილების პროცესიდან ამოიზარდა. ეჭვგარეშეა, რომ თუ საბოლოო მიზანი ფედერალური ევროპაა, ევროპულ ინტეგრაციას ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი. ამჟამინდელი მდგომარეობით კი, ევროკავშირისა და ფინანსური კრიზისისადმი მისი პასუხით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ევროპულმა ინტეგრაციამ დაწყების დღიდან მართლაც დიდი გზა გაიარა, მითუმეტეს, გლობალურ პოლიტიკურ სისტემაში ერი-სახელმწიფოების წინააღმდეგობისა და სუპრანაციონალურ ორგანიზაციებში სუვერენიტეტის გაზიარების უკიდურესად რთული შესაძლებლობის გათვალისწინებით.

თავი 12

2010-იანი წლები: ევროპული მიგრაციული კრიზისი

ევროპული მიგრაციული კრიზისი აფრიკიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და სამხრეთ აზიიდან ევროკავშირში ლტოლვილებისა და ეკონომიკური მიგრანტების მოზღვავებით დაიწყო. დრამატული მოვლენების მთავარ ეპიცენტრს ხმელთაშუაზღვა და ბალკანეთი წარმოადგენდა. „მიგრაციული კრიზისის" ტერმინი აქტიურად 2015 წლის აპრილიდან გამოიყენება, ანუ იმ პერიოდიდან, როდესაც ევროპისკენ მიმავალი, ორიათასამდე მიგრანტის გადამყვანი ხუთი გემი ხმელთაშუაზღვაში ჩაიძირა და დაახლოებით 1200 ადამიანი დაიღუპა.

გემების მასიური ჩაძირვა მიმდინარეობდა ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმდინარე კონფლიქტების ფონზე, ასევე, მას შემდეგ, რაც ევროკავშირის ნევრი ქვეყნების მთავრობებმა უარი განაცხადეს იტალიის ხელმძღვანელობით გადარჩენის ოპერაციის „Mare Nostrum" დაფინანსების გაგრძელებაზე, რის სანაცვლოდაც 2014 წლის ნოემბერს დაიწყო ევროპული სასაზღვრო და საზღვაო დაცვის სააგენტოს (ევროკავშირის სააგენტო „ფრონტექსი") ოპერაცია „Operation Triton". 2015 წლის 23 აპრილს მთავრობები შეთანხდნენ, რომ ხმელთაშუაზღვაში გაესამმაგებინათ სასაზღვრო საპატრულო ოპერაციების დაფინანსება, რაც წინა „Mare Nostrum"-ის ხარჯებს გაუტოლდებოდა, თუმცა, არ დაფარავდა იმავე მასშტაბის ტერიტორიას. რამდენიმე კვირის შემდეგ, ევროკავშირმა დაიწყო ახალი ოპერაცია „Navfor Med".

საერთო ჯამში, ყველაზე აქტიურ 2015 წელს ევროკავშირში მილიონამდე არალეგალი მიგრანტი ჩავიდა. ევროსტატის მიხედვით, ოთხმა სახელმწიფომ (გერმანია, იტალია, საფრანგეთი, შვედეთი) მიიღო ევროკავშირის თავშესაფრის განცხადებები. ევროკავშირის სახელმწიფოებს უჭირდათ ერთიან პოზიციაზე შეთანხმება და ერთობლივად მოქმედება. როგორც წესი, ევროკავშირი მიჩვეული იყო მასობრივი მიგრაციის მართვას, მაგრამ

ამგვარი მასშტაბის ჰუმანიტარულ კრიზისთან გამკლავება, განსხვავებული ეროვნული ინტერესებისა და შიდა უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, მათთვისაც ძალიან რთული იყო. შეზღუდული კანონმდებლობისა და კიდევ უფრო ნაკლები საერთაშორისო თანამშრომლობის გამო, ფისკალური ტვირთი ძირითადად სამხრეთ ევროპულ ქვეყნებს დააწვათ. განსაკუთრებით, საბერძნეთსა და იტალიას, რომლებსაც ისედაც ჰქონდათ შიდა კრიზისები, რაც ართულებდა მათი მხრიდან ფინანსური და სხვა რესურსების მობილიზებას.

უფრო მეტიც, არალეგალი მიგრანტების უზარმაზარმა რაოდენობამ იმხელა გამოწვევის წინაშე დააყენა ევროკავშირის ბევრი წევრი ქვეყანა, რომ მოძლიერებულმა ნაციონალისტურმა და ნეგატიურმა საზოგადოებრივმა აზრმა საფრთხის ქვეშ დააყენა ისედაც მოწყვლადი ეროვნული პოლიტიკის მიმართულებები და გაართულა ევროკავშირის ერთიანი საკანონმდებლო ზომების მიღება. მიგრაციის საკითხებზე 2015 წელს მიღებულმა ევროკავშირის დღის წესრიგმა სხვადასხვა შედეგი გამოიღო. შედეგად, ევროკავშირის ბევრმა ქვეყანამ მიგრანტების ნაკადის შესაჩერებლად საკუთარი პოლიტიკის წარმოება დაიწყო.

პრეისტორია

2007-2011 წლებში არალეგალი იმიგრანტების დიდი ნაწილი წარმოშობით ახლო აღმოსავლეთიდან, აფრიკიდან და სამხრეთ აზიიდან იყო. მათი მთავარი მამოძრავებელი იყო ძალა ავღანეთში, ალჟირში, ბანგლადეშში, ჩადიში, ეგვიპტეში, ერიტრეაში, ეთიოპიაში, გამბიაში, განაში, გვინეაში, ინდოეთში, ერაყში, კოტ-დ'ივუარში, ლიბიაში, მალიში, მავრიტანიაში, მაროკოში, ნიგერიაში, პაკისტანში, პალესტინაში, სენეგალში, სომალიში, სუდანში, სირიაში, ტუნისსა და ზამბიაში არსებული სამოქალაქო კონფლიქტები, არასტაბილურობა, დევნა ან ეკონომიკური მიზეზები.

2011 წელს „არაბული გაზაფხულის" არეულობამ, ასევე, სირიასა და ერაყში დაწყებულმა კონფლიქტებმა, გაზარდა მიგრა-

ციული ნაკადები. 2011 წელს ტუნისში მიმდინარე პოლიტიკურმა არასტაბილურობამ პირველი ასეთი ტალღები გააჩინა - იტალიის კუნძულ ლამპედუზაზე ათასობით ტუნისელი ჩავიდა. ამას 2011-2012 წლებში მოჰყვა სუბსაჰარული აფრიკელების ტალღები ლიბიიდან მას შემდეგ, რაც ქვეყანაში დაამხეს ყოფილი დიქტატორი მუამმარ კადაფი. მოგვიანებით კი, ევროკავშირის საზღვრებს მიაწყდა ე.წ. „ისლამური სახელმწიფოსგან" დევნილი სირიელი და ერაყელი მიგრანტების ნაკადები.

არალეგალი მიგრანტების ძირითადი სატრანზიტო გზა თურქეთსა და საბერძნეთზე გადიოდა, რის გამოც ევროკავშირს მოუწია სასაზღვრო კონტროლის გაძლიერება. 2012 წელს, საბერძნეთ-თურქეთის საზღვრის გარკვეულ მონაკვეთზე აშენებული ღობის გამო, საბერძნეთში ხმელეთის გავლით იმიგრანტების შედინება 95%-ით შემცირდა. 2015 წელს, ბულგარეთმაც გააძლიერა სასაზღვრო ღობე იმისთვის, რომ შეემცირებინა იმიგრანტების ნაკადები თურქეთიდან. შედეგად, მიგრანტებმა თანდათან დაიწყეს საზღვაო გზებით, ნავების გამოყენებით ევროპაში შეღწევა.

2013 წელს, ლამპედუზაში მიგრანტების გემის ჩაძირვას 360-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, რის შემდეგაც იტალიის მთავრობამ დაიწყო მსხვილმასშტაბიანი საზღვაო ოპერაცია „Mare Nostrum", რომელიც ძებნისა და გადარჩენის ფუნქციებით იყო დაკავებული. 2014 წელს იტალიამ დახურა ეს ოპერაცია იმ მიზეზით, რომ მისი დანახარჯები ზედმეტად დიდი იყო ევროკავშირის მხოლოდ ერთი სახელმწიფოსთვის. სანაცვლოდ, ფრონტექსმა იტვირთა ეს როლი და დაიწყო ოპერაცია „Triton". იგი მოიცავდა ორ სადაზვერვო თვითმფრინავსა და სამ გემს, მისი ბიუჯეტი კი თვეში 2,9 მილიონი ევრო იყო. დიდი ბრიტანეთი ხშირად აკრიტიკებდა ამ ოპერაციას იმ არგუმენტით, რომ იგი უბიძგებდა მიგრანტებს, უფრო საშიში წყლებისკენ შეეცურათ და უფრო სარისკო მეთოდებით ეცადათ ზღვის გადაცურვა, რაც უფრო მეტ ტრაგიკულ შემთხვევას იწვევდა.

2015 წლის პირველ ექვს თვეში 137,000 არალეგალურმა მიგრანტმა შეძლო ხმელთაშუაზღვის გადაკვეთა და ევროპაში მოხ-

ვედრა. ივლისი აღმოჩნდა ყველაზე რეკორდული ერთ თვეში მიგრანტების რაოდენობის მხრივ - დაახლოებით 107,500 მიგრანტი ჩავიდა ევროკავშირში. აგვისტოში ევროკომისიის პრეს-სპიკერმა ვითარებას „საგანგაშოზე მეტი“ უწოდა და განაცხადა, რომ აუცილებელი იყო „კოლექტიური ევროპული პასუხი“ იმ ასობით ათას ადამიანთან გასამკლავებლად, რომლებიც ევროპულ სანაპიროებამდე მიღწევას ლამობდნენ.

მიგრაციული მარშრუტები

2015 წლის აგვისტოს მდგომარეობით, ფრონტექსმა დაადგინა ის ძირითადი საზღვაო და სახმელეთო მარშრუტები, რასაც არალეგალი მიგრანტები და ადამიანით ტრეფიკიორები იყენებდნენ ევროკავშირში შესასვლელად:

- დასავლეთ აფრიკული მარშრუტი
- დასავლეთ ხმელთაშუაზღვის მარშრუტი
- ცენტრალური ხმელთაშუაზღვის მარშრუტი
- აპულიასა და კალაბრიას მარშრუტი (იტალიის სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონები)
- წრიული მარშრუტი ალბანეთიდან საბერძნეთში
- დასავლეთ ბალკანური მარშრუტი
- აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის მარშრუტი
- აღმოსავლეთ საზღვრების მარშრუტი

ლამპედუზა (იტალია). ათასობით მიგრანტი ყოველ თვე ცდილობდა ხმელთაშუაზღვის გადაკვეთას და ამ გზით ევროკავშირში შეღწევას. იტალია და განსაკუთრებით, მისი სამხრეთული კუნძული ლამპედუზა, აფრიკელებისა და ახლო აღმოსავლეთელების უზარმაზარ რაოდენობას იღებდა. როგორც წესი, ეს ხდებოდა ტრეფიკიორების დახმარებით, რომლებიც ლიბიის არშემდგარი სახელმწიფოს უკონტროლო სანაპიროზე ოპერირებდნენ.

2013 წლის ივლისში, რომის შემდეგ თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში კუნძულს ესტუმრა პაპი ფრანცისი. 2013 წლის ოქტომბერში ლამპედუზაზე ტრაგედია დატრიალდა - მის სანაპიროებთან ჩაიძირა გემი, რომელსაც ძირითადად ერიტრეელი და სომალელი მიგრანტები გადაჰყავდა და რომლის შედეგად სულ ცოტა 300 ადამიანი დაიღუპა. 2015 წლის იანვრიდან აპრილამდე დაახლოებით 1600 ადამიანი დაიღუპა ლიბიიდან ლამპედუზამდე, რის გამოც ეს გახდა მსოფლიოში ყველაზე საშიში მარშრუტი მიგრანტებისთვის.

საბერძნეთი. მიგრანტები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთიდან მოდიოდნენ, 6-კილომეტრიანი წყლის გადაკვეთა უწევდათ თურქეთიდან ახლოს საბერძნეთის კუნძულებზე კიოსზე, კოსსა და ლესბოსზე მოსახვედრად. ევროკავშირმა დახმარება ევროკავშირს სთხოვა. ფრონტექსმა დაიწყო ოპერაცია „Poseidon" 11 საპატრულო ხომალდით, ერთი გემით, ორი ვერტმფრენით, ორი თვითმფრინავით და 18 მილიონი ევროს ბიუჯეტით. ადამიანის ტრეფიკიორები არალეგალ მიგრანტებს ახდევინებდნენ 1000-1500 დოლარს თურქეთის ქალაქ ბოდრუმიდან კოსის კუნძულამდე 25-წუთიან გემით მგზავრობაში.

უნგრეთი. მიგრანტების უმრავლესობა, რომლებიც ახლო აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთ აზიიდან მოდიოდნენ, შენგენის ზონაში შეღწევას ცდილობდნენ თურქეთის, ბალკანეთისა და სერბეთ-უნგრეთის საზღვრის გამოყენებით. 2015 წლის ივნისში, უნგრეთმა გამოაცხადა, რომ აპირებდა საპასუხო ზომების მიღებას სერბეთიდან არალეგალი მიგრანტების შემოდინების საწინააღმდეგოდ. მართლაც, 17 ივნისს უნგრეთის მთავრობამ სერბეთთან სამხრეთის საზღვრზე 175 კილომეტრზე 4 მეტრი სიმაღლის ღობის მშენებლობა დააანონსა. ევროკომისიამ უნგრულ სქემასთან დაკავშირებით გააფრთხილა ევროკავშირის ქვეყნები, რომ არ გადაედგათ ევროკავშირის ვალდებულებების საპირისპირო ნაბიჯები და მოუწოდა მათ, რომ არალეგალი მიგრანტების ნაკადებთან გასამკლავებლად გამოეყენებინათ სხვა გზები. თუმცა, უნგრეთმა ბოლომდე მიიყვანა პირვანდელი გეგმის შესრულება.

ავსტრია. 2015 წლის 27 აგვისტოს, ვენის სიახლოვეს, უჰაერო სატვირთო მანქანაში აღმოაჩინეს 71 გარდაცვლილი მიგრანტი. ამ ტრაგედიაზე საპასუხოდ, 2015 წლის 31 აგვისტროს, ავსტრიის მთავრობამ დაიწყო უნგრეთიდან შემოსული ტრანსპორტის შემოწმებები, რამაც წარმოშვა კილომეტრობით გაჩერებული მანქანის რიგები და საათობით შეყოვნებული მატარებლები.

მელილა და სეუტა (ესპანეთი/მაროკო). ესპანეთის ავტონომიური ქალაქები მელილა და სეუტა ერთადერთი ევროპული ტერიტორიებია, რომლებიც ხმელეთით ესაზღვრებიან აფრიკას. ამ ქალაქებშიც მზარდი იყო არადოკუმენტირებული მიგრანტების რაოდენობა, რომლებიც მელილასა და სეუტას გავლით ცდილობდნენ ევროკავშირამდე მიღწევას.

კალე (საფრანგეთი). 2015 წლის ზამფხულის განმავლობაში მინიმუმ 9 ადამიანი დაიღუპა ინგლისამდე მიღწევის მცდელობაში, იქნებოდა ეს მატარებლიდან გადმოვარდნა, მატარებლის დაჯახება თუ ევროგვირაბის შესასვლელში ჩავარდნა.

ნევრ ქვეყნებს შორის უთანხმოება

მიგრაციული კრიზისის დაწყებიდანვე ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვერ თანხმდებოდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა გამკლავებოდნენ ამ პროცესს. ზოგიერთი სახელმწიფო უსაფრთხოების ზომების გამკაცრებას ითხოვდა, სხვებს სურდათ ხარჯების გაზიარება და კრიზისის მართვა მთელი ევროკავშირის ჩართულობით. ამ უთანხმოებაში შეიძლება გამოიყოს ქვეყანათა სამი ჯგუფი. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ევროკავშირის სამხრეთელი წევრი სახელმწიფოები, მათ შორის, საბერძნეთი და იტალია, რომლებიც ევროკავშირში მიგრანტთა პირველი დანიშნულების ადგილი იყო. ეს ჯგუფი ყველაზე მეტად დააზარალა მიგრაციულმა კრიზისმა. ისინი დღემდე დგანან რესურსების ნაკლებობის, გადატვირთული და არაადეკვატური ინსტიტუტებისა და სისტემების, და ფინანსური არასტაბილურობის წინაშე. მათთვის უმნიშვნელოვანესია ევროკავშირის მხრიდან რესურსებისა

და ფინანსური მხარდაჭერის გაზრდა, ასევე, სხვა წევრი ქვეყნებისთვის ათასობით მიგრანტის ადგილცვლილებისა და სხვაგან დასახლების მექანიზმებისა და სქემების შემუშავება.

მეორე ჯგუფი შედგება ჩრდილოეთის ქვეყნებისგან - გერმანია, საფრანგეთი, სკანდინავიის სახელმწიფოები და დიდი ბრიტანეთი. ისინი ზოგადად თანხმდებოდნენ, რომ ტვირთის გაზიარება მნიშვნელოვანი იყო იმისთვის, რომ ევროკავშირის სამხრეთელი წევრებისთვის შემსუბუქებულიყო წნეხი და უკეთ მომხდარიყო ადამიანების ნაკადების მართვა. თუმცა, ეს ქვეყნები გაღიზიანებული იყვნენ იმით, რომ სამხრეთელი წევრები ვერ ახერხებდნენ კრიზისის სამართავად ევროკავშირის მექანიზმების სათანადოდ გამოყენებას. განსაკუთრებულ იმედგაცრუებას იწვევდა ის, რომ ასობით ათასი მიგრანტი ახერხებდა დუბლინის[1] სისტემით გათვალისწინებული თავშესაფრის პროტოკოლის გვერდის ავლას. თავის მხრივ, მიგრანტების ჩრდილოეთის ქვეყნებში მოხვედრის სურვილი გასაგები იყო, ვინაიდან საზოგადოებაში ლტოლვილების ინტეგრაციისთვის მათ უფრო ძლიერი ეკონომიკები და უფრო მეტი რესურსები ჰქონდათ.

მესამე ჯგუფში შედიან აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნები, განსაკუთრებით აღსანიშნავია, უნგრეთი, ავსტრია, პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა. ამ სახელმწიფოებში მეორადი მიგრაციის უზარმაზარი ტალღები იყო დაახლოებით 2015 წლის ოქტომბრიდან, რის გამოც ისინი ძლიერ ეწინააღმდეგებოდნენ ნებისმიერი სახის ერთიანი ან სავალდებულო დასახლების ან კვოტების სისტემას. მათი მოსაზრებით, თითოეული წევრი ქვეყნის

---

1 დუბლინის რეგულაცია განსაზღვრავს ევროკავშირის წევრი ქვეყნის პასუხისმგებლობას თავშესაფრის განცხადების განხილვის თაობაზე. თუ არსებობს ოჯახის გაერთიანების ან ჰუმანიტარული მიზეზი, თავშესაფრის განცხადების განხილვა ევალება იმ სახელმწიფოს, სადაც თავშესაფრის მაძიებელი პირველად შევიდა და სადაც მას აუღეს თითის ანაბეჭდები. თუ განმცხადებელი შემდეგ გადავიდა სხვა წევრ ქვეყანაში, უნდა მოხდეს მისი დაბრუნება პირველად შესვლის სახელმწიფოში. ევროპული მიგრაციული კრიზისის დაწყების შემდეგ დუბლინის ეს წესი მალევე მოექცა კრიტიკის ქვეშ, ვინაიდან ამგვარად პასუხისმგებლობის ტვირთი უმთავრესად დააწვა ევროკავშირის სასაზღვრო ქვეყნებს (მაგალითად, იტალია, საბერძნეთი, უნგრეთი) და არ მოხდა ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებს შორის ტვირთის სათანადო გაზიარება.

პასუხისმგებლობა იყო საკუთარი ქვეყნის ინტერესების საუკეთესო ფორმით დაცვა და მხოლოდ იმ რაოდენობით თავშესაფრის მაძიებლების მიღება, რაც ადეკვატურად შეესაბამებოდა მათ რესურსებსა და შესაძლებლობებს. ისინი ხშირად იყვნენ ევროკავშირის ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ადამიანის უფლებების დამცველი ჯგუფების კრიტიკის საგანი, ვინაიდან ატარებდნენ მთელ რიგ ძლიერ შემზღუდველ სასაზღვრო საკონტროლო ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავდა შემომსვლელი მიგრანტების რაოდენობის მკვეთრ შემცირებას.

ეს სამი ჯგუფი წარმოადგენდა განსხვავებულ იდეოლოგიებსა და მიდგომებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მომხდარიყო მიმდინარე მიგრაციულ კრიზისთან გამკლავება. ასეთმა ღრმა გახლეჩამ უფრო რთული გახადა ერთობლივი საკანონმდებლო გამოსავლის მოძებნა.

ევროკავშირის და წევრი ქვეყნების პოლიტიკა

წევრ ქვეყნებს შორის თანმიმდევრული საიმიგრაციო პოლიტიკის სტრატეგიის არარსებობის მიუხედავად, ევროკავშირმა მოახერხა რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივის და საკანონმდებლო აქტის მიღება. ეს მცდელობები ძირითადად ფოკუსირებული იყო საგანგებო ვითარების მართვაზე, საზღვრის უსაფრთხოებაზე, სხვადასხვა ოპერაციულ ზომებზე (მათ შორის, რელოკაცია, დასახლება, დაბრუნება და რეადმისია), საბიუჯეტო დახმარებაზე, შიდა აღმასრულებელ მექანიზმებსა და მესამე ქვეყნებთან ურთიერთობების გაძლიერებაზე.

2015 წლის 19 აპრილს სატელეფონო საუბრის შემდეგ იტალიის პრემიერი, საფრანგეთის პრეზიდენტი და მალტის პრემიერი შეთანხმდნენ, რომ მიგრანტების დაღუპვის საკითხის განსახილველად მოიწვევდნენ ევროკავშირის შინაგან საქმეთა მინისტრების საგანგებო საბჭოს. ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ფედერიკა მოგერინიმ კი 20 აპრილს, ლუქსემბურგში

დაგეგმილი ამ შეხვედრის წინ, ევროკავშირის ერთობლივი ქმედების მოწოდება გააკეთა.

20 აპრილს ევროპულმა კომისიამ წარმოადგინა 10-პუნქტიანი გეგმა:

- ფინანსების, რესურსებისა და დაფარვის არეალის გაზრდით ხმელთაშუაზღვაში ერთობლივი ოპერაციების („ტრიტონის" და „პოსეიდონის") გაძლიერება;
- კონტრაბანდისტების გემების დაკავებისა და განადგურების მიმართულებით სისტემური მცდელობა;
- ფრონტექსის, ევროკავშირის მართლმსაჯულების თანამშრომლობის ერთეულის (Eurojust), ევროპული თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისის (EASO) და სამართალდაცვით თანამშრომლობის საკითხებში ევროკავშირის სააგენტოს (Europol) რეგულარულ შეხვედრები და კონტრაბანდისტების შესახებ ინფორმაციის მოძიების საქმეში მჭიდრო თანამშრომლობა;
- გაგზავნის იტალიასა და საბერძნეთში თავშესაფრის განაცხადების ერთობლივი განხილვისთვის EASO-ს ჯგუფების გაგზავნა;
- ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან ყველა მიგრანტისთვის თითის ანაბეჭდების აღების უზრუნველყოფა;
- საგანგებო ადგილცვლილების მექანიზმის შესაძლებლობის განხილვა;
- მიგრანტების დასაბინავებლად ევროკავშირის მასშტაბით მოხალისეობრივი საპილოტე პროგრამა, რომელიც დაცვის საჭიროების მქონე პირებს შესთავაზებს ადგილებს;
- დაბრუნების ახალი პროგრამის დაწყება, რომელიც სასაზღვრო წევრი სახელმწიფოებიდან ფრონტექსის დახმარებით დროის მცირე მონაკვეთში უკან დააბრუნებს არარეგულარ მიგრანტებს;
- ევროკომისიის და ევროპული საგარეო ქმედების სამსახურის მიერ ერთობლივად ლიბიის მეზობელ ქვეყნებთან ჩართულობა;

- საკვანძო მესამე ქვეყნებში იმიგრაციის საკითხებში მეკავშირე ოფიცრების გაგზავნა, მიგრაციული ნაკადების თაობაზე ინფორმაციის მოგროვებისა და ევროკავშირის დელეგაციების როლის გასაძლიერებლად.

2015 წლის მაისში წევრ ქვეყნებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, ამ გეგმის საფუძველზე მიიღეს მიგრაციის საკითხებზე ევროპული დღის წესრიგი. იგი ეყრდნობა ევროკავშირის საიმიგრაციო პოლიტიკის ოთხ ძირითად მიზანს: 1) არარეგულარული მიგრაციისთვის წახალისების შემცირება; 2) საზღვრის მართვა - ადამიანების გადარჩენა და გარე საზღვრების დაცვა; 3) ევროპის მოვალეობა, რომ დაიცვას - ძლიერი, საერთო თავშესაფრის პოლიტიკა; 4) ლეგალური მიგრაციის ახალი პოლიტიკა.

23 აპრილს, ევროპული საბჭოს 5-საათიან საგანგებო სამიტზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები შეთანხდნენ, რომ გაასამმაგებდნენ ოპერაცია „ტრიტონის“ ბიუჯეტს 2015-2016 წლებისთვის (120 მილიონი ევრო).

14 სექტემბერს მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავდა იტალიისა და საბერძნეთისთვის საგანგებო დახმარების აღმოჩენას. ევროკავშირი შეთანხმდა, რომ ამ ქვეყნებისთვის უზრუნველეყო ოპერაციული მხარდაჭერა და დროებითი რელოკაციის სქემაში ჩაერთო 40,000 ადამიანი, რომელიც საჭიროებდა საერთაშორისო დაცვას. ერთი კვირის შემდეგ მიღებული საბჭოს გადაწყვეტილებით, მოხდებოდა დამატებით 120,000 ადამიანის რელოკაცია იტალიიდან, საბერძნეთიდან და სხვა წევრი ქვეყნებიდან.

მიგრაციული ნაკადების სამართავად ევროკავშირმა და მისმა წევრმა ქვეყნებმა მიიღეს რამდენიმე სამართლებრივი და პოლიტიკის ინსტრუმენტი. მათ შორის, აღსანიშნავია: 1) დროებითი რელოკაციის სისტემა, რომელიც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის, მოსახლეობის რაოდენობის, უმუშევრობის დონისა და სხვა მაჩვენებლების საფუძველზე ახდენს ძირითადად იტალიასა და საბერძნეთში ჩასული არალეგალი მიგრანტების გადანაწილებას ევროკავშირის სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში; 2) ე.წ. პრობლემური/ცხელი ადგილების მიდგომა - ევროკავშირი

ახდენს ყველაზე რთული პირობების და ვითარების მქონე ადგილების იდენტიფიცირებას და იქ დახმარებისთვის (მიგრანტების იდენტიფიცირება, თითის ანაბეჭდების აღება, რეგისტრაცია, განცხადებების განხილვა და მათი შესაძლო დეპორტაცია) აგზავნის ფრონტექსის, ევროპოლისა და EASO-ს ექსპერტებს. იტალიაში ასეთი ადგილები მოიცავდა აუგუსტას, ლამპედუზას, პორტე ემპედოკლეს, პოზალოს, ტარანტოსა და ტრაპანის. საბერძნეთში კი ასეთი ცხელი წერტილები იყო ლესბოსი, კიოსი, ლეროსი, სამოსი და კოსი; 3) უსაფრთხო მესამე ქვეყნები - ევროკავშირის საბჭომ მიიღო რეგულაცია უსაფრთხო მესამე ქვეყნების სიით. ეს ნიშნავს, რომ ასეთი ქვეყნებიდან შემოსული ადამიანები ავტომატურად არ ითვლებიან ლტოლვილებად.

გერმანიის ცვალებადი ლიბერალური პოლიტიკა

მიგრაციის კრიზისის ესკალაციასთან ერთად, ზღვარს უახლოვდებოდა გერმანიის შესაძლებლობა, სრულად დამორჩილებოდა ევროკავშირის პოლიტიკას. 2015 წლის ზაფხულამდე გერმანია ჯერ კიდევ მტკიცედ უჭერდა მხარს ევროკავშირის საკანონმდებლო პოლიტიკის ყველა ასპექტს და ამასვე მოუწოდებდა ყველა სხვა წევრ ქვეყანას. შესაბამისად, იგი იმედგაცრუებული იყო საბერძნეთისა და იტალიის უუნარობით, გამოეყენებინათ ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტრუმენტები არარეგულარული მიგრაციის ნაკადების სამართავად.

2015 წლის ზაფხულის შემდეგ გერმანიის იდეოლოგიამ ცვლილება განიცადა, რაც რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული. პირველი, მიგრანტების მასიურმა რაოდენობამ ბალკანეთის გავლით ევროკავშირს მიაღწია და უნგრეთი და ავსტრია მოიცვა მეორადმა მიგრაციულმა გადაადგილებებმა. მათი უმრავლესობის მიზანი გერმანიაში მოხვედრა იყო. მეორე, 2015 წლის ნოემბერს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში რამდენიმე მასშტაბური ტერორისტული აქტი მოხდა, რამაც უსაფრთხოების საკითხებზე დააფიქრა გერმანიის საზოგადოებაც და ხელისუფ-

ლებაც. და მესამე, ევროკავშირის ცალკეული ქვეყნები, მათ შორის, ვიშეგრადის (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი) კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ მიგრანტების რელოკაციის გრძელვადიან სავალდებულო სქემას, მითუმეტეს უსაფრთხოების გარანტიების გარეშე. შედეგად, გერმანიას მოუწია მიგრანტების საკითხზე თავისი ევროკავშირის პოლიტიკის გადახედვა - გერმანიამ შეცვალა თავისი პოზიცია და აგვისტოში დუბლინის კონვენციაში თავისი მონაწილეობა შეაჩერა. გერმანია აქტიურად შეუერთდა საფრანგეთის პრეზიდენტის მოწოდებას, რომ შემდგარიყო სავალდებულო ხელშეკრულება შემომავალი თავშესაფრის მაძიებლების დასახლებისა და რელოკაციის კვოტების სისტემაზე. ამან განარისხა ისედაც გაბრაზებული აღმოსავლეთ ევროპული წევრი სახელმწიფოები, რომლებმაც გერმანია დუბლინის მექანიზმის შეჩერების გამო კრიზისის ესკალაციაში დაადანაშაულეს.

თუმცა, პოლიტიკის ცვლილების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი იყო გერმანიის მხრიდან 2015 წლის 13 სექტემბერს ავსტრიასთან დროებითი სასაზღვრო კონტროლის დაწყება. გერმანია აცხადებდა, რომ (იმის ფონზე, რომ ცალკეული წევრი ქვეყნები ეწინააღმდეგებოდნენ რელოკაციის სქემით მიგრანტების გარკვეული რაოდენობის მიღებას) მისი მიმღები ცენტრები გადავსებული იყო და აღარ შეეძლო მიგრანტების დამატებითი რაოდენობების მიღება. ამ დროებით შეზღუდვას შეეძლო საშინაო პრინციპი დაეფუძნებინა, მაგრამ, გერმანია დაჟინებით უარყოფდა მის წინააღმდეგობას შენგენის შეთანხმებასთან (ადამიანების თავისუფალი გადაადგილების პრინციპი). თუმცა, ფაქტია, რომ უნგრეთმა, სლოვენიამ, სლოვაკეთმა, ხორვატიამ, პოლონეთმა, ჩეხეთმა და ავსტრიამ მოგვიანებით მსგავსი ზომების გატარება დაიწყეს, რაც საერთო ჯამში, სერიოზული კითხვის ქვეშ აყენებდა შენგენის შეთანხმების ლეგიტიმაციას. მათ ასევე შეწყვიტეს „უსაფრთხო ქვეყნების“ პოლიტიკა, აცხადებდნენ რა, რომ მათ არ ჰქონდათ სხვა ქვეყნებიდან მიგრანტების უკონტროლო შემოდინების შეჩერების შესაძლებლობა.

სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაინც შეიძლება ითქვას, რომ გერმანიას იმიგრანტებისადმი ერთ-ერთი ყველაზე ღია და ლმობიერი საიმიგრაციო პოლიტიკა ჰქონდა და ყველაზე მეტად ცდილობდა ევროკავშირის ერთიანობისა და თანმიმდევრულობის შენარჩუნებას. უფრო მეტიც, უნგრეთში მიმდინარე მიგრაციული ქაოსის ფონზე, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა საჯაროდ განაცხადა, რომ გერმანია დროებითი ბინადრობის უფლებას მისცემდა ლტოლვილებს. თუმცა, გერმანიის მთავრობის მხრიდან რთული იქნებოდა საზოგადოებაში მზარდი ნეგატიური განწყობების სრული იგნორირება, განსაკუთრებით, კიოლნსა და სხვა ქალაქებში მიგრანტებთან დაკავშირებული ნეგატიური ინციდენტების შემდეგ. ცალკეული ფედერალური მიწების დონეზე, ეკონომიკური და უსაფრთხოების რისკებიდან გამომდინარე, ბევრი პოლიტიკოსი უფრო მკაცრი პოლიტიკის გატარებას ითხოვდა. ქსენოფობია და ანტი-ისლამიზაცია ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა, რის საფუძველზეც აღმოცენდნენ ან გაძლიერდნენ ისეთი ჯგუფები, როგორებიც არიან „ხულიგნები სალაფიტების წინააღმდეგ", „ალტერნატივა გერმანიისთვის", „ულტრასები" და სხვა. ეს ჯგუფები აგრესიულად აპროტესტებდნენ გერმანიის პოლიტიკას, რაც ზოგჯერ ლტოლვილთა თავშესაფრებზე ძალადობრივ თავდასხმებში გადაიზრდებოდა ხოლმე. თუმცა, საინტერესოა, რომ მზარდ ანტი-იმიგრაციულ პროტესტებს არ გამოუწვევია განსაკუთრებული ცვლილება გერმანიის ღიაობასა ან საიმიგრაციო პოლიტიკაში.

უნგრეთის მკაცრი პოლიტიკა

უნგრეთი გერმანიის სრული ანტიპოდი იყო. იგი აღმოსავლეთ ევროპის სხვა წევრ ქვეყნებთან ერთად ძლიერ ეწინააღმდეგებოდა გერმანიის უფრო ლიბერალურ მიდგომას და კატეგორიულად არ სურდა რელოკაციისა და დასახლების კვოტების სავალდებულო სქემები. მიგრაციაზე უნგრეთის ფილოსოფიას წარმოადგენდა პროტექციონიზმი და საზღვრების მკაცრი კონტროლი.

2015 წლის სექტემბერში უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა ევროპულ საიმიგრაციო პოლიტიკას „გერმანიის პრობლემა“ უწოდა. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს უნგრეთის საზღვრები 350,000-ზე მეტმა არალეგალმა მიგრანტმა გადაკვეთა, მათი დიდი უმრავლესობა უნგრეთს მხოლოდ გერმანიამდე ტრანზიტისთვის იყენებდა. განსაკუთრებით გერმანიის მიერ დუბლინის კონვენციიდან გასვლის შემდეგ, უნგრეთმა თავისი ქმედებები ძირითადად თავშესაფრების მაძიებლების აღრიცხვისა და ინფორმაციის გადაცემით შემოფარგლა. 2015 წლის ბოლოსკენ კი, უფრო მკაცრი ზომების მიღების შემდეგ, თავშესაფრის განაცხადების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. მათ შორის აღსანიშნავია უნგრეთ-სერბეთის საზღვარზე ღობის მშენებლობა, რაც არალეგალი მიგრანტებისთვის ბარიერს წარმოადგენდა. ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა და ადამიანის უფლებების დამცველი ჯგუფები ამას შენგენის შეთანხმების აშკარა დარღვევად აფასებდნენ, მაგრამ უნგრეთი თავს იცავდა ევროკავშირის კანონმდებლობის არგუმენტით, რომ შენგენის ზონაში შესვლისას ყველა იმიგრანტი რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო პოლიციის მიერ. უნგრეთმა პროცესში ჩართო სამხედროები, რომლებიც სასაზღვრო პოლიციასთან ერთად მონაწილეობდნენ არალეგალი პირების დაკავებასა და კრიზისული სიტუაციების მართვაში. უფრო მეტიც, უნგრეთმა სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი გახადა ქვეყანაში სათანადო დოკუმენტების გარეშე მგზავრობა და ნებისმიერი ფორმით მათი დახმარება.

2015 წლის სექტემბერში კელეტის მატარებლების საერთაშორისო სადგურზე ათეულ ათასობით მიგრანტისა და უნგრელი ანტი-იმიგრანტების დემონსტრანტების მონაწილეობით მასობრივი პროტესტი დაიწყო. პოტენციური კონფლიქტის შიშით, უნგრეთი დათანხმდა ევროკავშირის თავშესაფრის მიღების პროცედურების გვერდის ავლას და ასამდე ავტობუსით მიგრანტების ავსტრიაში გადაყვანას. ამ მოვლენის შემდეგ უნგრეთმა გაამკაცრა სასაზღვრო კონტროლი, სერბეთთან აღმართა სასაზღვრო ღობე და საზღვრის არალეგალური კვეთის შემთხვევებისას

დაიწყო ცრემლსადენი გაზისა და წყლის ჭავლის გამოყენება. 2015 წლის სექტემბერში სერბეთის უსაფრთხო ქვეყნად აღიარების შემდეგ კი საერთოდ შეაჩერა სერბეთის გავლით შემოსული მიგრანტების მხრიდან თავშესაფრის განცხადებების მიღება და მათი ყველას უკან დეპორტაცია დაიწყო.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრს სჯეროდა, რომ ევროკავშირს არ ჰქონდა თავშესაფრის მაძიებლების მიღებაზე მოთხოვნის უფლება. მისი აზრით, ევროკავშირს უნდა ჩაეკეტა საზღვრები და პრობლემების მოგვარება გარეთ ეცადა. იგი ითხოვდა თურქეთში, ლიბანსა და იორდანიაში ლტოლვილთა ბანაკების პირობების გაუმჯობესებას და საერთაშორისო თანამეგობრობის, მათ შორის, აშშ-სა და არაბული ქვეყნების მხრიდან მეტ ჩართულობას.

2016 წელს ევროკავშირმა განაცხადა, რომ იგი აპირებდა სასამართლოში უნგრეთის წინააღმდეგ დავას იმის გამო, რომ უნგრეთის ადგილობრივი კანონმდებლობა უკიდურესად ართულებდა მიგრანტების მხრიდან თავშესაფრის მინიჭების საკითხზე გადაწყვეტილების გასაჩივრებას. აგრეთვე, გააფრთხილა უნგრეთი იმ ბრალდებებისთვის, რომ ქვეყანა არ სცემდა პატივს თავშესაფრის მაძიებლების უფლებებს და უგულებელყოფდა ევროკავშირის დოქტრინას, რომლის მიხედვითაც არ შეიძლებოდა მიგრანტების დეპორტაცია მათი განაცხადების განხილვის დროს. თუმცა, უნგრეთი დაჟინებით უარყოფდა ბრალდებებს და მტკიცედ იდგა მოსაზრებაზე, რომ მთლიანობაში ევროკავშირს უნდა გაემკაცრებინა საიმიგრაციო პოლიტიკა, რის გარეშეც იგი შეიძლება დესტაბილიზაციას მოეცვა.

საბერძნეთის სუსტი პოლიტიკა

საბერძნეთი არარეგულარული მიგრანტების და თავშესაფრის მაძიებლების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სატრანზიტო და საბოლოო დანიშნულების ქვეყანა იყო. მას ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ვერ იცავდა საკუთარ საზღვრებს და ზედმეტად იყო ევროკავშირის დახმარებაზე დამოკიდებული.

სხვა სამხრეთელ წევრ ქვეყნებთან ერთად, იგი სასოწარკვეთით ითხოვდა ევროკავშირის მასშტაბის რელოკაციის სქემებსა და კვოტებს. იგი ასევე ითხოვდა დუბლინის რეგულაციებისა და დუბლინის ტრანსფერის წესის შეჩერებას, ვინაიდან სწორედ მისი გამოყენებით ევროკავშირის წევრი ქვეყნები თავშესაფრის განაცხადების წარმოებისთვის მიგრანტებს უკან, საბერძნეთში (და იტალიაში), როგორც ევროკავშირში პირველი შესვლის ადგილს, აბრუნებდნენ. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის, ვრცელი სანაპირო ზოლისა და სუსტად კონტროლირებადი საზღვრების გამო, ბევრი არარეგულარი მიგრანტისთვის მარტივი იყო საბერძნეთში მოხვედრა. საერთაშორისო წნეხის შედეგად, საბერძნეთი იძულებული იყო ებრძოლა არარეგულარული მიგრაციის წინააღმდეგ არა მხოლოდ ეგეოსის ზღვაში, არამედ მის ჩრდილოეთ საზღვარზე თურქეთთან. 2015 წელს, 821,000 ადამიანმა შეძლო საბერძნეთში მოხვედრა, საიდანაც 816,000 ადამიანმა საზღვაო მარშრუტი გამოიყენა.

საბერძნეთი სტრუქტურულად და კანონმდებლობით მოუმზადებელი აღმოჩნდა მიგრაციულ კრიზისთან გასამკლავებლად. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის 2008 წლის ეკონომიკურ რეცესიას, რომელმაც ქვეყანაში რადიკალურად შეცვალა მიგრაციის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კლიმატი. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი მეოთხედით შემცირა, შემოსავალმა იკლო, უმუშევრობამ მკვეთრად იმატა და გაიზარდა დაძაბულობა ადგილობრივ საზოგადოებასა და მიგრანტების მზარდ მოსახლეობას შორის. მომრავლდა ქსენოფობიური და ანტი-მიგრაციული გრძნობები და გამოსვლები. მოქალაქეებმა ეკონომიკურ რეცესიასთან გასამკლავებლად ნაციონალისტურ ზომებს მიმართეს.

კრიზისის დაწყებიდან საბერძნეთმა სცადა რამდენიმე ინტერვენციისა და ოპერაციის განხორციელება უკანონო მიგრაციასთან საბრძოლველად. 2010 წელს, ეგეოსის ზღვიდან ევროს მდინარეზე (თურქეთთან საზღვარი) მიგრანტთა ნაკადების გადანაცვლების შემდეგ, საბერძნეთმა რეგიონში პოლიციის შენა-

ერთები განათავსა და დაიწყო საზღვრის მკაცრი კონტროლი. საბერძნეთის მთავრობამ ევროსის მდინარის გასწვრივ ააშენა 12,5 კილომეტრიანი ღობე და ფრონტექსის პროგრამის დახმარებით განათავსა სწრაფი ინტერვენციის ჯგუფები. შედეგად, მიგრაციულმა ნაკადებმა კვლავ ეგეოსის ზღვისკენ გადაინაცვლა.

2012 წელს საბერძნეთმა დაიწყო ოპერაცია „Xenios Zeus", რომელიც პატრასის, ატიკასა და ევროსის მიდამოებში არარეგულარი მიგრანტების შეკავებას ისახავდა მიზანს. 2014 წელს მიგრანტების შესაჩერებლად საბერძნეთმა სხვა უფრო საკამათო ოპერაციები განახორციელა, რაც მალევე მოექცა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი საბჭოსა და „Amnesty International"-ის კრიტიკის ქვეშ. 2015 წელს კი ქვეყანა დათანხმდა თურქეთთან საზღვრის გასწვრივ ფრონტექსის მცველების განლაგებას და ფორმალურად მოითხოვა თავის კუნძულებზე მიგრაციული ნაკადების მართვისთვის ევროკავშირის დახმარება.

ამ პერიოდისთვის საბერძნეთი ჯერ კიდევ ახერხებდა მეტ-ნაკლები თავსებადობით და ადეკვატურობით მიგრანტების მართვას. თუმცა, წლის ბოლოსთვის, დრამატული რაოდენობით იმიგრანტების მოზღვავების შემდეგ, თითქმის მოიშალა არსებული სახელმწიფო სისტემა - სერიოზული სირთულეები შეიქმნა საზღვრის მართვასა და კონტროლში. 2015 წლის დეკემბერს ევროკავშირმა გააფრთხილა საბერძნეთი, რომ სასამართლოში იჩივლებდა იმის გამო, რომ სხვა დარღვევებთან ერთად, ქვეყანა ვერ ახდენდა თავშესაფრის მაძიებლებისთვის შემოსვლიდან სამ დღეში თითის ანაბეჭდების აღებას. კრიტიკული სიმცირე იყო დროებითი მოთავსების ცენტრების. მიგრაციის საკითხებზე ევროკავშირის დღის წესრიგით გათვალისწინებული ხუთი პრობლემური ადგილიდან (ლესბოსი, ლეროსი, კოსი, კიოსი და სამოსი) 2015 წლის ბოლოსთვის მხოლოდ ერთგან (ლესბოსი) ფუნქციონირებდა ასეთი ცენტრი.

2015 წლის 6 სექტემბრიდან, მიგრანტების დიდი ჯგუფები, რომლებმაც გერმანიაში თავშესაფრის მიღება არ სურდათ, დანიის გავლით შვედეთისკენ დაიძრა. დანიური პოლიცია ცდილობდა, ყველა მიგრანტი ევროკავშირის წესების შესაბამისად დაერეგისტრირებინა, თუმცა, ამაზე ბევრმა უარი განაცხადა, რასაც პადბორგის მატარებლების სადგურზე გარკვეული დაპირისპირება მოჰყვა. 9 სექტემბერს დანიამ ერთი დღით შეაჩერა გერმანიასთან დამაკავშირებელი ყველა სარკინიგზო და საბორნე ხაზი. ასევე, მანქანებისთვის ჩაკეტა შვედეთისკენ მიმავალი ცენტრალური მაგისტრალი, რათა თავიდან აერიდებინა ავარიები, ვინაიდან ასობით მიგრანტი სწორედ ამ გზის გამოყენებით გადაადგილდებოდა შვედეთის მიმართულებით.

საწყისი დაძაბულობის შემდეგ, გადაწყდა, რომ სურვილის შემთხვევაში, მიგრანტები გააგრძელებდნენ ნორდიკული ქვეყნებისკენ გადაადგილებას. შედეგად, მომდევნო ხუთ კვირაში, დაახლოებით 30,000 მიგრანტმა გადაკვეთა დანიის საზღვრები, რომელთაგან 3,500 ადამიანმა თავშესაფარი დანიაში ითხოვა.

მას შემდეგ, რაც საბუთების არმქონე მიგრანტების შეჩერების მოტივით შვედეთმა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმება დაიწყო, 2016 წლის იანვარში დანიამ კვლავ აღადგინა კონტროლი გერმანია-დანიის სასაზღვრო მონაკვეთზე. შვედეთის ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით აისახა ორესუნდის ხიდზე, რომელიც დანიასა და შვედეთს აკავშირებს. უფრო მეტიც, 2016 წლის ივნისში შვედეთის პარლამენტმა კიდევ უფრო გაამკაცრა პოლიტიკა, რის საფუძველზეც 24 ნოემბრის შემდეგ ქვეყანაში შესული მიგრანტებისთვის ბინადრობის უფლება იქნება დროებითი და ოჯახის გაერთიანების მიზნით მიგრაცია შემცირდება. კანონი 2016 წლის 20 ივლისს 3 წლით შევიდა ძალაში. შვედეთის ხელისუფლების განმარტებით, 2015 წელს შვედეთში თავშესაფარი ითხოვა 160,000 ადამიანმა, საიდანაც დაახლოებით 45% არ იქნება დაკმაყოფილებული.

2015 წლის 13 სექტემბერს მიგრანტების შედარებით დიდმა ნაკადებმა მიაღწია ფინეთამდეც - დღეში დაახლოებით 300 თავშესაფრის მაძიებელი ახერხებდა შვედეთის გავლით, ჩრდილოეთის სახმელეთო საზღვრით ფინეთში მოხვედრას. 2015 წლის ნოემბრისთვის მათმა საერთო რიცხვმა 30,000-ს მიაღწია. თუმცა, ფინეთის მთავრობის განცხადებით, მათი განცხადებების 60%-65% არ იქნება დაკმაყოფილებული.

ევროკავშირი-თურქეთის შეთანხმება

2015 წლის 12 ნოემბერს მალტაში გამართულ სამიტზე ლიდერებმა განაცხადეს, რომ თურქეთს გამოუყოფდნენ სამ მილიარდ ევროს მის ტერიტორიაზე მყოფი ორ მილიონზე მეტი სირიელი ლტოლვილისთვის, სანაცვლოდ კი თურქეთისგან ითხოვდნენ ქვეყნის გავლით მიგრაციის შეჩერებას. აღნიშნული თანხა დამტკიცდა 2016 წლის თებერვალში (საერთო ჯამში, 2016-2018 წლებისთვის ევროკავშირი აპირებდა თურქეთში მყოფი ლტოლვილებისთვის 6 მილიარდი ევროს დახარჯვას).

2016 წლის იანვარში ჰოლანდიამ წარმოადგინა ინიციატივა, რის მიხედვითაც ევროკავშირი თურქეთიდან ყოველწლიურად მიიღებდა 250,000 ლტოლვილს, თურქეთი კი უზრუნველყოფდა ეგეოსის ზღვის მარშრუტის დაკეტვას. თუმცა, თურქეთმა ეს გეგმა არ გაიზიარა. ამავე წლის მარტში, ბრიუსელში შედგა ევროკავშირი-თურქეთის სამიტი. ევროკავშირმა თურქეთს შესთავაზა ახალი გეგმა, რის საფუძველზეც საბერძნეთში შესული თითო არალეგალის თურქეთში დაბრუნების სანაცვლოდ, ევროკავშირი მიიღებდა თურქეთში ლტოლვილად დარეგისტრირებულ ერთ სირიელს. თურქეთმა სანაცვლოდ მოითხოვა თავისი მოქალაქეებისთვის შენგენის ზონაში უვიზო გადაადგილების უფლების მინიჭება, ასევე, ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების მოლაპარაკებების დაჩქარება.

ეს შეთანხმება 2016 წლის 20 მარტს შევიდა ძალაში. თუმცა, თურქეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალების მცდელობისა

და ევროკავშირსა და თურქეთს შორის დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო, დღემდე არ არის პროგრესი შენგენის ზონაში თურქეთის მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილებისა და ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანების მოლაპარაკებების საკითხებთან დაკავშირებით. ხშირად ისმის თურქეთის მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან მუქარები, რომლებიც მიგრანტების საკითხზე ევროკავშირი-თურქეთის ხელშეკრულების გაუქმებას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულება საკმაოდ მყიფეა და მხარეებს შორის დამატებითი დაძაბულობის შედეგად შეიძლება შეჩერდეს მისი მოქმედება.

თავი 13

2010-იანი წლები: პოპულიზმის მოძლავრება ევროპაში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყოველთვის იყვნენ პოპულისტური მოძრაობები, უკიდურესი მემარცხენეებიც და მემარჯვენეებიც. თუმცა, როგორც წესი, მათ ეროვნულ პოლიტიკაში მარგინალური ადგილი ეკავათ. ამიტომ ამ მხრივ უკანასკნელ პერიოდამდე დასავლეთ ევროპა საკმაოდ სტაბილური პოლიტიკური გარემოთი ხასიათდებოდა - ძირითადად, მთავრობაში მონაცვლეობით მოდიოდნენ მემარცხენე-ცენტრისტები და მემარჯვენე-ცენტრისტები.

1980-იანი წლების ბოლოდან პოპულისტმა რადიკალმა მემარჯვენე პარტიებმა რამდენიმე დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოების პარტიულ სისტემაში დაიწყეს თავის დამკვიდრება. ზოგიერთ შემთხვევაში მათ სამთავრობო კოალიციებში შეძლეს შესვლა. დღესდღეისობით თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში პოპულისტი პარტიები წარმოდგენილი არიან ეროვნულ ან რეგიონულ პარლამენტებში. „ფრანგული ეროვნული ფრონტი", „ნამდვილი ფინების პარტია", მოძრაობა „უკეთესი უნგრეთი", ბერძნული „ოქროს განთიადი", „ალტერნატივა გერმანიისთვის", „თავისუფლების პარტია" ნიდერლანდებში, „შვედი დემოკრატები" და იტალიური „ჩრდილოეთის ლიგა" ამის კარგი მაგალითებია. 2014 და 2019 წლების ევროპარლამენტის არჩევნებზე ევროსკეპტიკოსმა პარტიებმა საარჩევნო წარმატებებსაც მიაღწიეს. შეიძლება ითქვას, რომ იცვლება ისტორიული ნორმა და ევროპის თანამედროვე ისტორიაში, კლასიკური მემარჯვენე-მემარცხენე პოლიტიკური დაპირისპირების ნაცვლად, ეროვნულ არჩევნებში გვხვდება ლიბერალებისა და სოციალ-დემოკრატების კონკურენცია სხვადასხვა სახის პოპულისტებთან.

მათი ძირითადი იდეოლოგია ნაციონალისტური პოპულიზმია, რაც ზოგჯერ სეპარატისტული რეგიონალიზმის სახესაც იღებს (როგორც, მაგალითად, ბელგიის „ფლანდრიული ინტე-

რესი"). ყველა მათგანის მიზნები და დღის წესრიგი განპირობებულია სხვადასხვა ეროვნული ისტორიით, ტრადიციებითა და გარემოებებით, თუმცა, ყველა მათგანი იმიგრანტებისა და ევროკავშირის წინააღმდეგია. ევროპის უმეტესობაში პოპულიზმის არგუმენტები არჩევნების მოსაგებად საკმარისი არ არის, მაგრამ მათ შეუძლიათ ეროვნული და ევროპული პოლიტიკის განსაზღვრა სხვადასხვა ფორმით, იმიგრაციაზე, ევროზონასა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე დებატების რეფორმულირება და სხვა.

ერთ დროს ტაბუდადებული ან ექსტრემისტულად მიჩნეული პოლიტიკური ხედვები დღეს მყარად არის წარმოდგენილი მთავარ პოლიტიკურ დისკურსში. ზოგიერთმა ზომიერმა პოლიტიკოსმა კი პოპულისტების ცალკეული გზავნილები გადაიღეს ან გარკვეულ საკითხებზე მემარჯვენე იდეოლოგიის არგუმენტები გაიზიარეს. მაგალითად, ვილდერსის ანტი-იმიგრაციულ გზავნილთან დასაპირისპირებლად, ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრმა მარკ რუტემ საპარლამენტო არჩევნების წინ იმიგრაციასა და ლტოლვილებზე უფრო მკაცრი პოზიცია დაიკავა. „ალტერნატივა გერმანიისთვის" და ქრისტიან-სოციალისტური კავშირის კრიტიკის საპასუხოდ, გერმანიის ლიბერალ კანცლერ ანგელა მერკელსაც კი მოუწია გერმანიის მიერ ახალი ლტოლვილების მიღების შესაძლებლობაზე ლიმიტების დაწესება.

ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ პოპულისტური რადიკალური მემარჯვენე პარტიების აღზევება ნიშანია იმისა, რომ ფუნდამენტური პრობლემები არსებობს თანამედროვე ევროპულ, გლობალიზებულ, ურბანულად დაყოფილ საზოგადოებებში და უკავშირდება სოციალურ გარიყვას, სხვადასხვა ფორმების უთანასწორობას, კულტურულ განსხვავებებსა და ერი-სახელმწიფოს გარდაქმნას. ამ პროცესში პოპულისტი პარტიები გამოირჩევიან ნაციონალისტური და რასისტული იდეოლოგიური თავდასხმებით (ისლამოფობია, ანტირომანიზმი), სულ უფრო ძლიერ უჭერენ მხარს ეთნიკურ საფუძველზე სოციალური კეთილდღეობის განაწილებას (შოვინისტური კეთილდღეობა), „იცავენ" ეროვნულ სუვერენიტეტს (განსაკუთრებით, ევროკავ-

შირთან მიმართებაში) და პოპულისტურად აკრიტიკებენ პოლიტიკურ ელიტასა და წარმომადგენლობით დემოკრატიას.

ტრადიციულად, ისინი ახერხებდნენ მხარდამჭერების მობილიზებას კულტურული საკითხების გარშემო. კულტურული გლობალიზაციის საკითხზე პოპულისტ რადიკალ მემარჯვენე პარტიებს ეთნოცენტრული და ავტორიტარული პოზიციები უკავიათ. მათ მხარდამჭერებში ეროვნული იდენტობა გამოიხატება კულტურული განსხვავებების უარყოფასა და მათგან დაცვაში. დასავლეთ ევროპის პრაქტიკაში ეს ხშირად გულისხმობს მზარდი იმიგრაციის/ისლამის და ევროპული ინტეგრაციის უარყოფას. სხვა სიტყვებით, ასეთი პარტიები აცხადებენ, რომ ეროვნულ და რელიგიურ იდენტობას იცავენ იმიგრაციისა და ევროპის „ისლამიზაციის" საფრთხისგან. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კი მათი ქმედებები ძირითადი რომას ეთნიკური ჯგუფის წინააღმდეგ დისკურსსა და ევროკავშირის წინააღმდეგობაში გამოიხატება. უკანასკნელი წლების მიგრაციულმა კრიზისმა ამ რეგიონშიც გააძლიერა დასავლეთ ევროპისთვის დამახასიათებელი ისლამოფობიის გარკვეული ელემენტები.

2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ პოპულისტი პარტიების ყურადღების ქვეშ მოექცა ეკონომიკური პროტექციონიზმი და სოციალური უსაფრთხოება. მართლაც, ეკონომიკური კრიზისი ოპტიმალური მომენტი აღმოჩნდა პოპულიზმისთვის, განსაკუთრებით, მემარჯვენე პოპულიზმისთვის.

გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის მასშტაბით თანამედროვე პოპულიზმის (რომელიც შეესაბამება ნაციონალისტურ, ავტორიტარულ მემარჯვენე იდეოლოგიას) მომძლავრება ასევე განაპირობა კონკრეტულ ქვეყანაში მოცემულ დროს არსებულმა პოლიტიკურმა შესაძლებლობებმა. ერთ ქვეყანაში სხვა დროს ან სხვა ქვეყანაში იგივე დროს შეიძლება არ მომხდარიყო პოპულისტური პარტიების აღზევება. სხვა მიზეზებთან ერთად, ამგვარად შეიძლება აიხსნას ევროკავშირის მასშტაბით პოპულისტი რადიკალი მემარჯვენე პარტიების გაძლიერების ტემპი და ხარისხი.

ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში, პოპულისტი პარტიები ეწინააღმდეგებიან საერთო „ევროპეანიზმს“ და „მიგრანტების მიერ შემოტანილი ისლამური გავლენებისგან იცავენ ევროპულ კულტურულ მემკვიდრეობას“. ასევე, ყურადღებას ამახვილებენ შიდა უსაფრთხოებასა და საერთაშორისო ტერორიზმზე. მათთვის მისაღებია ერებისა და ნაციონალიზმის ევროპა და მიუღებელია ევროპის ფედერალისტური კონცეფციები. ამ პარტიების პოლიტიკოსები ხშირად აკრიტიკებენ ევროკავშირის სუპრანაციონალურ არქიტექტურას და აცხადებენ, რომ იგი „ზედმეტად შორს წავიდა“. მათი მოწოდებაა ერების ევროპის იდეაზე დაფუძნებული კულტურული და ეკონომიკური იზოლაცია („ციხესიმაგრე ევროპა“). ამგვარი ევროსკეპტიციზმის მიზეზები შეიძლება მოიძებნოს ამომრჩეველთა მხრიდან ევროპული ტრანსნაციონალური პოლიტიკური სისტემისადმი პოლიტიკური გაუცხოებისა და უკმაყოფილების სუბიექტურ გრძნობებში (ე.წ. ევროკავშირის „დემოკრატიული დეფიციტი“). მართლაც, პოლიტიკურ ელიტასა და „ხალხს“ შორის პოლიტიკური გაუცხოება იდეალური მდგომარეობაა პოპულიზმისთვის.

პოპულისტმა რადიკალმა პარტიებმა დასაყრდენი იპოვეს ძირითადად მოდერნიზაციისგან დაზარალებულ მოსახლეობაში. მათი ამომრჩევლების იდეალური სოციალური პროფილი შეიძლება ასე დახასიათდეს: ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც პირველად მონაწილეობს არჩევნებში, მიეკუთვნება მუშათა კლასს, შედარებით დაბალი დონის ფორმალური განათლებითა და ნაკლები რელიგიური სენტიმენტებით. თუმცა, ეკონომიკური კრიზისის სოციალური შედეგის გათვალისწინებით, პარტიებმა მოახერხეს მუშათა კლასის სხვა ნაწილების მხარდაჭერის მოპოვებაც.

დასავლეთ ევროპაში ამ პარტიების მხარდამჭერთა გეოგრაფია ორ ნაწილად იყოფა: პირველია ურბანული და ქვეურბანული ამომრჩეველი, რომელიც ცხოვრობს ყოფილი ინდუსტრიების ან/და ურბანული სეგრეგაციის გარემოში; მეორე ტიპის ამომრჩეველი კი ცხოვრობს სოფლად, ეკონომიკურად მარგინალიზებულ რეგიონებში.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში რადიკალურმა მემარჯვენე პარტიებმა ფეხი მოიკიდეს ისეთ ამომრჩევლებში, რომლებიც დაზარალდნენ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გამო. ასეთაც ხშირად მოიაზრებიან ასაკოვანი მამაკაცები, ნაკლები უნარების მქონე არასტაბილური სამსახურით ან საშუალო ინდუსტრიულ ქალაქებში მცხოვრები ხანგრძლივი ვადით უმუშევარი პირები.

სამხრეთ ევროპაში კი, ანუ იმ ქვეყნებში, რომლებზეც ეკონომიკურმა და მიგრაციულმა კრიზისებმა განსაკუთრებული დარტყმა იქონია, რადიკალი პოპულისტური პარტიები მომძლავრდა. მაგალითად, ესპანეთში მკაცრი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის წინააღმდეგ „მებრძოლმა“ „Pomedos“-მა ამომრჩევლებში შემაშფოთებელი პოპულარობა მოიპოვა; საბერძნეთში კი სულაც პრემიერ-მინისტრ ალექსის ციპრასის მემარცხენე „სირიზას პარტია“ (იგივე „რადიკალური მემარცხენეების კოალიცია“) სახელისუფლებო კოალიციაში იყო მემარჯვენე პოპულისტ „დამოუკიდებელი ბერძნების“ პარტიასთან ერთად.

ეკონომიკური და მიგრაციული კრიზისების გარდა, პოპულისტების აღმასვლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი არსებული პოლიტიკური ელიტის მიმართ ამომრჩევლების გულგრილობაა. ბოლო წლებში ისმოდა გულისწყრომა იმასთან დაკავშირებით, რომ ევროკავშირის „კომპრომისის მანქანა“ სულ უფრო მეტად იყო მემარცხენე-ცენტრისტებსა და მემარჯვენე-ცენტრისტებს შორის ინსტიტუციონალიზებული მასშტაბური კოალიცია, რომელიც მუდმივად უგულებელყოფდა სხვა, საპირისპირო პოზიციებს.

რაც კიდევ უფრო საინტერესოა, აშშ-სგან განსხვავებით, სადაც რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის პოლიტიკური განსხვავებები საკმაოდ დიდია, ევროპულმა ზომიერმა პარტიებმა ნელ-ნელა იდეოლოგიური ცენტრისკენ დაიწყეს სვლა. ბევრი მემარცხენე პარტიის შემთხვევაში, ეს ცვლილება საკმაოდ აშკარა იყო. პარტიებმა იდეოლოგია უგულებელყვეს და პოსტ-პარტიული პრაგმატიზმი აირჩიეს. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის „ახალი ლეიბორისტები“ და გერ-

მანიის კანცლერის გერჰარდ შრიოდერის „ახალი ცენტრი“ ამის კარგი მაგალითებია. ორივე მათგანმა 1990-იან წლებში ისტორიული საარჩევნო გამარჯვებები მოიპოვა. მას შემდეგ, წლების განმავლობაში ცენტრისტულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ კეთილდღეობა მოიტანა, მაგრამ ასევე გააუცხოვა ტრადიციული მემარცხენე-ცენტრისტული მხარდამჭერების მსხვილი ნაწილი. ეს ადამიანები პოპულისტების იოლი სამიზნეები გახდნენ. მართალია, ეს პროცესი საკმაოდ ნელა მიმდინარეობდა, თუმცა, შედეგები შესაძლებელია დავინახოთ ათწლეულების მანძილზე პატივსაცემი მემარცხენე-ცენტრისტული პარტიების გაუჩინარებაში, ისეთების, როგორებიც არის, მაგალითად, ბერძნული „Pasok“ და პოლონური „სოციალ-დემოკრატები“.

იგივე ეხება მემარჯვენე-ცენტრისტულ პარტიებს. განსაკუთრებით ნათელი იყო, თუ როგორ შეცვალა გერმანიის კანცლერმა ანგელა მარკელმა თავისი კონსერვატიული „ქრისტიან--დემოკრატიული კავშირის“ პოზიციები გარკვეულ საკითხებზე მემარცხენე მიმართულებით. მაგალითად, მან პოზიტიური პოზიცია დაიკავა ლტოლვილების მიღებასთან, ბირთვული ენერგიის გამოყენებასთან, არაგერმანელი მშობლების გერმანიის მოქალაქე შვილისთვის ორი პასპორტის ქონასთან დაკავშირებით. მართალია, ყველა ეს გადაწყვეტილება პოპულარული იყო საზოგადოებაში, მაგრამ ტრადიციული გერმანული კონსერვატორული რწმენისგან შორს იყო და პოლიტიკური თავშესაფრის გარეშე ტოვებდა მკაცრ კონსერვატორებს. ამან გააჩინა შესაძლებლობა, ქრისტიან-დემოკრატების მარჯვნივ (იდეოლოგიურად) გაჩენილიყო პოპულისტური პარტია. შესაბამისად, არ იყო გასაკვირი, რომ პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ თავის საარჩევნო პროგრამაში აკრიტიკებდა მერკელის ზემოაღნიშნულ ყველა გადაწყვეტილებას, და შედეგად, ბუნდესტაგის და მიწების პარლამენტების არჩევნებში მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია.

ფრანგული ეროვნული ფრონტი შეიძლება მივიჩნიოთ ევროპაში წარმატებული ნაციონალისტური პოპულიზმის მაგალითად. პარტია გაძლიერდა კონტექსტში, სადაც პოსტ-ინდუსტრიალიზაციასა და გლობალიზაციას ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა საფრანგეთის საზოგადოებაში სოციალურ ერთიანობასა და თანამედროვე ფორმების სოციალური გარიყვის წარმოშობაზე. ასევე, პარტიის პოლიტიკურ იდენტობაზე გავლენას ახდენდა საფრანგეთის, როგორც ძლიერი ერი-სახელმწიფოს სუვერენიტეტის გარდაქმნა. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ საფრანგეთში ყოველთვის იყო დაშორიშორება „პოლიტიკურ კლასსა“ და მოქალაქეებს შორის, პოლიტიკური წარმომადგენლობის კრიზისმა ნოყიერი საფუძველი შექმნა პარტიის გაძლიერებისთვის.

უფრო მეტიც, 2008 წლის ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისს საფრანგეთში არსებითი გავლენა ჰქონდა უმუშევრობისა და სიღარიბის დონის ზრდაზე. მან გააძლიერა სოციალური გარიყვისა და ურბანული სეგრეგაციის არსებული ფორმები. მოდერნიზაციისგან „მოგებულებსა“ და „წაგებულებს“ შორის სოციალურ-სტრუქტურულმა პოლარიზაციამ ხელი შეუწყო ახალი ეკონომიკური დაპირისპირების (ლიბერალებსა და პროტექციონისტებს შორის) ფორმირებას. ფრანგული ეროვნული ფრონტის ამომრჩევლების დიდი ნაწილი სწორედ ეს „წაგებულები“ იყვნენ. ისინი თავს სოციალურად გარიყულებად გრძნობდნენ და ეშინოდათ სტატუსის დაკარგვის. შესაბამისად, ეროვნული ფრონტის პოპულისტურ მოწოდებებში ისინი სოციალურ დაცულობასა და უსაფრთხოებას ხედავდნენ.

ტრადიციულად, ეროვნული ფრონტის ამომრჩეველი იყო აღმოსავლეთ საფრანგეთის ყოფილ ინდუსტრიულ ურბანულ რეგიონებში მცხოვრები მემარჯვენე წვრილი ბურჟუაზია. ბოლო წლებში კი, ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, პარტიამ შეძლო მთელი ქვეყნის მასშტაბით მემარცხენე მუშათა კლასის ამომრჩევლების მხარდაჭერის მოპოვება. ეს პროცესი განსაკუთრებით მაშინ გააქტიურდა, რაც ეროვნული ფრონტის რი-

ტორიკამ გადაინაცვლა ეთნიკურ საფუძველზე კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და ეკონომიკური პროტექციონიზმისკენ, რაც, თავის მხრივ, პარტიის ლიდერის მარინ ლე პენის „დე-გლობალიზაციის“ ფართო არგუმენტის ნაწილი იყო.

არგუმენტების ბუნების გათვალისწინებით, ეროვნული ფრონტი განსაკუთრებული გამოწვევა „სოციალისტების პარტიისთვის“ გახდა, რომლის ამომრჩეველი უფრო და უფრო მცირდებოდა და მხარდაჭერას ძირითადად უმაღლესი განათლების საშუალო კლასის ამომრჩევლებშიღა ინარჩუნებდა.

ეროვნული ფრონტის კიდევ ერთი არგუმენტი იმიგრაციას უკავშირდებოდა. 1980-იან წლებში პარტიის რიტორიკა დაკავშირებული იყო უკონტროლი მიგრაციისგან მომდინარე „კრიმინალის შიშთან“. თანამედროვე საფრანგეთში კი პარტიის ძირითადი ფოკუსი გახდა ჩრდილოაფრიკელი მიგრანტების მხრიდან ფრანგულ საზოგადოებაში ინტეგრირების „სურვილის არქონა“, და ისლამი, როგორც ფრანგული კულტურული და რელიგიური იდენტობისთვის „საფრთხე“. მარინ ლე პენის ლიდერობით პარტია ცდილობდა, ფრანგულ პოლიტიკაში დაემკვიდრებინა რესპუბლიკური სეკულარიზმის ერთადერთი დამცველის ადგილი.

ეკონომიკური და კულტურული განზომილებების გარდა, პარტიისთვის ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკური მიმართულებაც (დე-ნაციონალიზაციის ევროპული ფორმები) მიუღებელი იყო - ლე პენს სუპრანაციონალური პოლიტიკური თანამეგობრობის ნაცვლად სურდა წევრი ქვეყნების ეროვნულ საზღვრებს დაფუძნებული ორგანიზაცია. მისთვის ევროკავშირი იყო ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური მიზეზებით მოტივირებული ევროსკეპტიციზმის განსახიერება.

ყველა ეს არგუმენტი მთელი სიმძაფრით იყო გაჟღერებული 2017 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს. ამ არჩევნებში მარინ ლე პენმა დიდ წარმატებებს მიაღწია და მისი პრეზიდენტის სავარძლისკენ თავდაჯერებული სვლა მხოლოდ ემანუელ მაკრონის მოულოდნელმა გამარჯვებამ შეაჩერა.

ნამდვილი ფინების პარტია ახალი ტიპის შოვინისტური კეთილდღეობის განსახიერებას წარმოადგენდა. იგი 1995 წელს დაფუძნდა მაშინდელი პოპულისტური „ფინური აგრარული პარტიის“ აქტივისტების მიერ. 2007 წლის საპარლამენტო არჩევნებისას მათ ხუთი პარლამენტარის გაყვანა შეძლეს.

კეთილდღეობის უზრუნველყოფის საკითხებში მათმა შოვინისტურმა მიდგომამ, პოლიტიკური ელიტის წინააღმდეგ „რიგითი ადამიანის“ გალაშქრების არგუმენტმა, ფინურ ეთნოლინგვისტურ საფუძველზე ნაციონალისტურმა და ევროკავშირისადმი კრიტიკულმა პოზიციებმა გლობალური ეკონომიკური კრიზისის დაწყების შემდგომ პერიოდში თავისი შედეგი გამოიღო - 2011 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პარტიამ წინასთან შედარებით რვაჯერ მეტი ამომრჩევლის მხარდაჭერის მოპოვება შეძლო და პარლამენტში სიდიდით მესამე პარტია (39 პარლამენტარი) გახდა. ფინეთის ახალი მთავრობის ფორმირების მოლაპარაკებებში პარტიამ ეკონომიკური კრიზისისადმი თავისი მიდგომის შეცვლაზე უარი განაცხადა და შედეგად, ყველაზე მსხვილ ოპოზიციურ პარტიად დარჩა.

პარტიის ევროსკეპტიციზმმა და ეროვნულმა კონსერვატიზმმა ევროკავშირის დონეზეც ჰპოვა ასახვა. მისი ერთადერთი ევროპარლამენტარი გახდა „თავისუფლებისა და დემოკრატიის ევროპის“ პოლიტიკური ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტი. 2014 წლის ევროპარლამენტის არჩევნებზე კი პარტიამ ევროპარლამენტში ორი წევრი შეიყვანა. თავიდან იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა ფრანგულ ეროვნულ ფრონტთან, თუმცა, საბოლოოდ, პარტიამ უფრო მემარჯვენე-ცენტრისტული პოზიცია დაიკავა და მაშინდელი პრემიერ-მინისტრის კამერონის ბრიტანელ კონსერვატორებთან პოლიტიკური ერთობა არჩია (ეს კიდევ ერთი მანიშნებელია იმისა, რომ ევროკავშირის დონეზე რადიკალ მემარჯვენე პარტიებს ერთნაირი პოზიციები არ აქვთ).

აღმოსავლეთ ევროპული ნაციონალიზმი: მოძრაობა უკეთესი უნგრეთისთვის

„მოძრაობა უკეთესი უნგრეთისთვის“ (Jobbik) 2003 წლის ოქტომბერში დაფუძნდა. მან პოპულისტური რადიკალური მემარჯვენა მემკვიდრეობა მარგინალიზებული უნგრული „მართლმსაჯულებისა და სიცოცხლის პარტიისგან“ მიიღო და პოლიტიკური ლეგიტიმაციის სულ სხვა დონეზე აიყვანა. Jobbik-ისთვის წარმატებული იყო 2009 წლის ევროპარლამენტის არჩევნები - მან ბრიუსელში სამი ევროპარლამენტარი გააგზავნა. 2010 წლის ეროვნულ არჩევნებში კი პარტიამ 16,7% მიიღო და ეროვნულ ასამბლეაში 47 პარლამენტით იყო წარმოდგენილი (იმ პერიოდში პარლამენტში სულ 386 წევრი იყო).

პარტიის წარმატების მიზეზი მისი რადიკალური რიტორიკა იყო, რომელიც პოლიტიკურ ექსპლოატაციას უწევდა ეკონომიკურ და კულტურულ დაპირისპირებას: ერთი მხრივ, ითხოვდა კორუფციული სკანდალების გამოძიებასა და პოლიტიკური ანგარიშვალდებულების გაზრდას; მეორე მხრივ, საუბრობდა უნგრეთის რომანის უმცირესობისგან მომდინარე „საზოგადოებრივ საფრთხეზე“. წინასაარჩევნო კამპანიის დროს პარტიის სლოგანი იყო „რადიკალური ცვლილება“, რაც მოიცავდა უნგრული ინტერესების დასაცავად ეროვნულ დონეზე ეკონომიკის კონტროლს. პარტიის ლიდერი ებრაულ ბიზნესს ადანაშაულებდა ქვეყნის ეკონომიკურ „დაპყრობაში“ და აცხადებდა, რომ „უნგრეთი არ იყიდებოდა“. ეს განცხადებები ერთმანეთში აერთიანებდა რადიკალურ მემარჯვენე ანტი-სემიტურ რიტორიკასა და ევროკავშირის პროექტისადმი ეკონომიკურ სკეპტიციზმს.

იდეოლოგიური თვალსაზრისით, Jobbik თავის თავს ახასიათებდა, როგორც „კონსერვატიული და რადიკალურ-პატრიოტული ქრისტიანული პარტია“, რომლის მთავარი მიზანი იყო უნგრული ღირებულებებისა და ინტერესების დაცვა. ამიტომ გასაგებია, რომ 2009 წლის ევროპარლამენტის არჩევნებზე მისი გზავნილი იყო „უნგრეთი უნგრელებისთვის“. რადიკალური ნაციონალიზმის დაცვით, Jobbik ერთმანეთში რწყავდა რელი-

გიასა და ნაციონალიზმს, და ქრისტიანობა უნგრული სახელმწიფოს საყრდენად მიაჩნდა. ამ თვალსაზრისით, პარტიას თავის მოთხოვნებში სურდა როგორც უნგრული ქრისტიანული ღირებულებების შენარჩუნება, ასევე, ეროვნული საზღვრების იმგვარად ცვლილება, რომ მეზობელ ქვეყნებში მცხოვრები ეთნიკურად უნგრული უმცირესობებით დასახლებული ტერიტორიები თანამედროვე უნგრეთში მოქცეულიყო. აგრეთვე, რომანის უმცირესობებისა (ერთ-ერთი წინასაარჩევნო რეკლამიდან - „სოციალურად არასასურველი ფენომენი"; კოლო, რომელსაც პარტიის ლიდერი სრისავს) და ებრაელებისადმი („ეროვნული უსაფრთხოებისადმი საფრთხე") პარტიის ლიდერის დამოკიდებულება კარგად ასახავს იმას, თუ როგორ ურევს Jobbik ქრისტიან ღირებულებებს ნაციონალიზმსა და ქსენოფობიაში.

Jobbik-ის ლიდერის ვონას აზრით, ევროკავშირი იყო ლიბერალურ-კულტური დიქტატი. მას რუსული გეოპოლიტიკური პროექტი „ევრაზიული კავშირი" ევროკავშირის ალტერნატივად წარმოედგინა. უფრო მეტიც, მან მხარი დაუჭირა 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას.

მართალია, იდეოლოგიურად Jobbik გარკვეული თანხვედრა ჰქონდა მმართველ მემარჯვენე ნაციონალურ-კონსერვატიულ და პოპულისტ Fidesz-სთან, მაგრამ 2014 წლის ეროვნული არჩევნების შემდეგ ეს პარტიები მაინც ვერ გახდნენ პარტნიორები.

პოპულიზმის დასასრულის დასაწყისი?

ჯერ კიდევ 2017 წლის პირველ ნახევარში ბევრი ევროპელი ლიდერი შიშობდა, რომ საზოგადოებრივი უკმაყოფილების ტალღა, რაც დიდი ბრიტანეთში ევროკავშირიდან გამოსვლის რეფერენდუმითა და აშშ-ის თეთრ სახლში დონალდ ტრამპის მოსვლით დასრულდა, ზედმეტად გააძლიერებდა ნაციონალისტურ, ანტი-იმიგრაციულ და ანტი-ევროკავშირულ პარტიებს და ძირს გამოუთხრიდა ევროპულ პროექტს.

თუმცა, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება პოპულისტური მოძრაობების ნაწილობრივი უკუგდება ჯერ ავსტრიაში, შემდეგ ნიდერლანდებსა და საფრანგეთში, ბოლოს კი გერმანიაში. უფრო მეტიც, ელისეის სასახლეში ახალგაზრდა, ენერგიული და ევროკავშირისადმი პოზიტიურად განწყობილი პრეზიდენტის ამბიციურად მოსვლა შეიძლება ევროკავშირის განახლებისა და ახალი ენთუზიაზმის მიცემის დასაწყისი გახდეს.

რა თქმა უნდა, შეცდომა იქნება იმის დაშვება, რომ პოპულიზმი აღარ წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს ევროპისა და ევროკავშირისადმი. ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ ძალაუფლებაში არიან პოპულისტი ავტორიტარები; 2019 წლის ევროპული პარლამენტის არჩევნებზე პოპულისტურმა პარტიებმა ანგარიშგასაწევი რაოდენობის ადგილები მოიპოვეს; იტალიაში კი სულაც 'ხუთი ვარსკვლავის მოძრაობა' და უკიდურესი მემარჯვენე 'ლეგა ნორდი' კოალიციურად იყვნენ ხელისუფლებაში, და ევროკავშირის დიდი და გავლენიანი წევრი სახელმწიფო იტალია პოპულიზმის მომძლავრების გამო დღემდე მყიფე და მოწყვლად პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფება; ეროვნულმა ფრონტმა საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურში ხმების მესამედი აიღო; ვილდერსის ანტი-ისლამური „თავისუფლების პარტია" კი ნიდერლანდების პარლამენტში მეორე ყველაზე მსხვილი პარტიაა. გერმანიაშიც კი, სადაც მემარჯვენე პოპულისტური მიმდინარეობა საერთოდ წარმოუდგენელი ჩანდა, ანტი-იმიგრაციულმა პარტიამ „ალტერნატივა გერმანიისთვის" ბუნდესტაგში 92 ადგილს მიიღო და მიწების პარლამენტებშიც კომფორტულად გრძნობს თავს. ავსტრია კი 2017 წლის დეკემბერში სულაც პირველი დასავლეთ ევროპული სახელმწიფო გახდა, სადაც მთავრობაში უკიდურესად მემარჯვენე პარტიამ დაიმკვიდრა ადგილი - სამთავრობო კოალიციური შეთანხმებით, საგარეო, შინაგანი და თავდაცვის მიმართულებები ჩაიბარა 1950-იან წლებში ყოფილი ნაცისტის მიერ დაფუძნებულმა „თავისუფლების პარტიამ", მისი ლიდერი ჰაინც-კრისტიან შტრახე კი ქვეყნის ვიცე-პრემიერი გახდა.

იმისათვის, რომ ეფექტურად მოხდეს პოპულიზმის შეკავება, ევროპამ კარგად უნდა გაიაზროს, თუ როგორ და რატომ აღზევდა პოპულიზმი. ამისათვის, პოპულისტებისა და მათი მხარდამჭერების უბრალოდ იგნორირების ან მათთვის იარლიყების მიწებების ნაცვლად, ხელისუფლებაში მყოფები სერიოზულობით უნდა მოეკიდონ მათ შიშებს და მოლოდინებს.

გლობალიზაციამ წარმოშვა სწრაფად განვითარებადი ეკონომიკური და სოციალური პრობლემები და ხელი შეუწყო შემოსავლების ზრდასა და სიმდიდრის უთანასწორო განაწილებას. ზოგიერთი ადამიანის ხედვით, გლობალიზაციამ დაიწყო ეროვნული კულტურების ჰომოგენიზაციაც. შედეგად, მათი მშობლებისა და ბებია-პაპებისგან განსხვავებით, ბევრი ადამიანი ეკონომიკური უსაფრთხოების მხრივ თავს მშვიდად ვერ გრძნობს. მსხვილმასშტაბიანი იმიგრაცია კი მათში საკუთარი ქვეყნის კულტურული და დემოგრაფიული მომავლის შესახებ ლეგიტიმურ შეშფოთებას იწვევს. ამგვარი შეშფოთების მიზეზები სავარაუდოდ მალე არ გაქრება, რის გამოც პოპულიზმი უფრო გრძელვადიანი გამოწვევაა, ვიდრე დროებითი კრიზისი. მართლაც, როგორც ერთ-ერთმა მკვლევარმა განაცხადა, „გასული ორი ათეული წლის მანძილზე ვიხილეთ არა პოპულისტური მომენტი, არამედ პოპულისტური შემობრუნება - ის, რაც პოლიტიკასა და საზოგადოებრივ აზრზე შემდეგ ათწლეულების განმავლობაში მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას“.

ევროპელმა ლიდერებმა პოპულისტების გზავნილები კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დააყენონ და მათგან მათი ინიციატივების შესახებ კონკრეტული დეტალები მოითხოვონ. პოპულისტები ხმამაღალი, საზოგადოების გამყოფი რიტორიკით გამოირჩევიან, მაგრამ სუსტები არიან, როდესაც საქმე ეხება კონკრეტულ გეგმებსა და გამოსავლის გზებს იმიგრაციის, ეკონომიკური პოლიტიკის ან ეროვნული უსაფრთხოების მიმართულებებით. ამ გზით, ზომიერ პოლიტიკოსებს შესაძლებლობა ექნებათ, ამომრჩევლებს დაანახონ, რომ პოპულისტების ინიციატივები პრაქტიკაში არაეფექტური და უტოპიურია. მართლაც, 21-ე საუკუნის პრობლემები თავისი ხასიათით ტრანსეროვნულია. მათთან

წარმატებული ბრძოლისთვს საჭიროა ღია და საერთაშორისო ჩართულობა და თანამშრომლობა. შეუძლებელია, გამყოფი ხაზებისა და ღობეების მშენებლობით კლიმატის ცვლილებასთან და მიგრაციასთან გამკლავება, ეკონომიკური განვითარების, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის, რეგიონული და გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევა.

თუმცა, ყველაფერთან ერთად, ევროკავშირის და წევრი ქვეყნების ლიდერებმა თავის მოსახლეობას რეალური გამოსავალი უნდა შესთავაზონ იმ პრობლემებზე, რომლებიც მოქალაქეების ნაწილს პოპულისტური პარტიების მხარდაჭერისკენ უბიძგებს. ევროპას სჭირდება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა უმუშევრობის შესამცირებლად, ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად და გლობალიზებულ მსოფლიოსთან დაზარალებული მუშახელისა და თემების ადაპტაციაში დასახმარებლად. სხვა სიტყვებით, საჭიროა ევროპაში ზომიერი პოლიტიკური ცენტრის გამოცოცხლება, ასევე, ლიბერალური დემოკრატიის, პლურალიზმისა და გლობალიზაციის დაცვა, ამ პროცესების უფრო სამართლიანად და ყველასთვის თანაბრად წარმართვით.

ემანუელ მაკრონმა საფრანგეთში აჩვენა, რომ ეს საარჩევნო სტრატეგია ეფექტურად მუშაობს. ლე პენის ნაციონალისტური, პროტექციონისტური პლატფორმის საპირწონედ, მან პოლიტიკური ცენტრის პოზიცია დაიკავა და დამაჯრებელად და ენერგიულად ისაუბრა პლურალისტური საზოგადოებისა და ინტეგრირებული ევროპის ღირებულებასა და დადებით მხარეებზე. მართლაც, ფრანგი ამომრჩევლების ორმა მესამედმა მისი ხედვა გაიზიარა.

ეს შეიძლება ერთადერთი გამოსავალი იყოს ევროპაში პოპულიზმის შესაკავებლად. ეკონომიკური და სოციალური პირობების შესაბამისად, პოპულიზმის არგუმენტები და საარჩევნო მხარდაჭერა გაიზრდება ან შემცირდება, მაგრამ იგი ყოველთვის იქნება გამოსავალი მათთვის, ვინც თვლის, რომ სისტემის მსხვერპლი გახდა.

თავი 14

2010-იანი წლები: ბრექსიტი

2016 წლის ივნისში გამართულ რეფერენდუმზე ბრიტანეთის მოქალაქეების უმრავლესობამ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლას დაუჭირა მხარი. თითქმის ოთხწლიანი დრამატული მოვლენების შემდეგ, 2020 წლის 31 იანვარს დიდმა ბრიტანეთმა ბოლოსდაბოლოს ოფიციალურად დატოვა ევროკავშირი. ბრექსიტი დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების ახალ ცივ წერტილს მიანიშნებს, მაგრამ ეს „კონფლიქტი“ რეალურად ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის.

ბრიტანული სკეპტიციზმი

დიდმა ბრიტანეთმა ევროპულ ეკონომიკურ თანამეგობრობაში გაწევრიანების პირველი განაცხადი 1963 წელს შეიტანა. საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა აპლიკაციას ვეტო დაადო, რისი მიზეზებიც ამ წიგნის მესამე თავში დეტალურად არის განმარტებული. იგივე ბედი ელოდა დიდი ბრიტანეთის მეორე აპლიკაციას. საბოლოოდ, 1973 წელს ქვეყანა ევროპული პროექტის წევრი გახდა, მაგრამ სულ რაღაც ორი წლის შემდეგ, უკვე მისი დატოვების წინაშე დადგა. 1975 წელს გამართული რეფერენდუმის კითხვა ასე ჟღერდა: „როგორ ფიქრობთ, უნდა დარჩეს დიდი ბრიტანეთი ევროპულ თანამეგობრობაში (საერთო ბაზარში)?“ 67%-მა მხარი დაუჭირა დარჩენას, მათ შორის, ბრიტანეთის 68 ადმინისტრაციულმა საგრაფომ, რეგიონმა და ჩრდილოეთ ირლანდიამ, მხოლოდ შეტლანდმა და დასავლეთ კუნძულებმა განაცხადეს „არა“. მემარცხენე-ცენტრისტულ ლეიბორისტულ პარტიაში ამ საკითხის გამო დაპირისპირება გაჩნდა, რის გამოც პრო-ევროპული ნაწილი გამოეყო ძირითად ბირთვს და სოციალ-დემოკრატიული პარტია დააფუძნა.

ევროპულ ეკონომიკურ თანამეგობრობასა და დიდ ბრიტანეთს შორის შემდეგმა სერიოზულმა დაძაბულობამ 1980-იანი წლების დასაწყისში იფეთქა, როდესაც კონსერვატორი პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი თანამეგობრობის ბიუჯეტში ბრიტანეთის შენატანის შემცირებაზე ხისტ მოლაპარაკებებს აწარმოებდა. დიდი ბრიტანეთის ანაზღაურების სქემა, რომელიც ფონტენმბლოს სამიტზე დაამტკიცეს და რამაც თანამეგობრობის ბიუჯეტში ბრიტანეთის შენატანი 20%-დან 12%-მდე შეამცირა, ბრექსიტამდე ძალაში იყო. დრამატული მოლაპარაკებების ეს დეტალებიც სიღრმისეულად არის განმარტებული მეხუთე თავში.

1993 წელს ძალაში შესულმა მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ევროპული თანამეგობრობის საფუძველზე შექმნა ევროკავშირი. იგი მიზნად ისახავდა ევროპის ერების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას, მათ შორის, საერთო საგარეო პოლიტიკას, ერთიანი მოქალაქეობის უფლებებს და ერთიან ვალუტას. მწვავე დაპირისპირების და აზრთა სხვადასხვაობის გამო, დიდმა ბრიტანეთმა უარი განაცხადა რამდენიმე მნიშვნელოვან ინიციატივაში მონაწილეობაზე.

1997 წელს ლეიბორისტმა პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა მნიშვნელოვანი საარჩევნო გამარჯვება იზეიმა. იგი ძლიერი პრო-ევროპული ლიდერი იყო და ცდილობდა, დანარჩენ ევროპასთან კავშირების აღდგენას. თუმცა, ცალკეული კრიზისები აფერხებდა მის მცდელობებს. კერძოდ, 1990-იანი წლების ბოლოს „შეშლილი ძროხის“ დაავადების გავრცელების შიშით, ბრიუსელმა ბრიტანეთიდან ძროხის ხორცის იმპორტი აკრძალა. 1999 წელს, ძროხის ხორცის ექსპორტზე მკაცრი შეზღუდვების შემდეგ, ევროკავშირის მასშტაბით აკრძალვა მოიხსნა, მაგრამ საფრანგეთმა იგი კიდევ რამდენიმე წელი შეინარჩუნა.

ევროპასა და დიდ ბრიტანეთს შორის ბრძოლები მხოლოდ ძროხის ხორცის გამო არ ყოფილა. 2000 წელს, 27-წლიანი დავის და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პოზიტიური ვერდიქტის შემდეგ, ბრიტანულმა შოკოლადმა ბოლო-ბოლო

შეძლო დანარჩენ ევროპაში შესვლა. ფრანგები, ბელგიელები, ესპანელები და იტალიელები დავობდნენ, რომ შოკოლადი მხოლოდ ქოქოსის კარაქისგან უნდა დამზადებულიყო და არა ბოსტნეულის ზეთისგან. ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ ბრიტანეთში დამზადებულ შოკოლადს ზედმეტად ბევრი რძე ჰქონდა.

2007 წელს, საკონსტიტუციო ხელშეკრულების ჩავარდნის შემდეგ, წევრმა ქვეყნებმა ლისაბონის ხელშეკრულების მოლაპარაკებები დაასრულეს. ახალმა დოკუმენტმა ბრიუსელს უფრო ფართო ძალაუფლება მიანიჭა. ლეიბორისტმა პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა გამოტოვა სატელევიზიო ცერემონია, რომლის დროსაც სხვა 26-მა ლიდერმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას. მან დოკუმენტს ხელი მოგვიანებით მოაწერა, მაგრამ ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ არ დაიცვა ის ხელშეკრულება, რომლის მიღებაშიც თავადაც მონაწილეობდა.

ბრიტანეთის ფინანსური სექტორის დაცვის მოტივით, 2011 წელს ქვეყნის ახალი პრემიერ-მინისტრი დეივიდ კამერონი ერთადერთი ლიდერი იყო, ვინც ლისაბონის ხელშეკრულებაში ცვლილების ტექსტს ვეტო დაადო. 2013 წლის პირველ ნახევარში მან თავის სიტყვით გამოსვლაში ისაუბრა ევროპაში არსებულ გამოწვევებზე და გასცა დაპირება, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში მისი კონსერვატიული პარტიის გამარჯვების შემთხვევაში, ევროკავშირში ბრიტანეთის წევრობის პირობებზე ხელახალ მოლაპარაკებებს გამართავდა.

ამ პერიოდში თანდათან იზრდებოდა პოპულისტური „დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიის“ მხარდაჭერა, რომელსაც ევროკავშირისადმი ძლიერ კრიტიკული პოზიცია ეკავა. დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან შესაძლო გამოსვლის მოთხოვნის საკითხში, პარტიას ხელს აძლევდა ეკონომიკური კრიზისის ნეგატიური შედეგები და მიმდინარე მიგრაციული კრიზისი.

დიდი ბრიტანეთის მიერ თავისი მონეტარული პოლიტიკის მართვის მცდელობებს მხოლოდ ეკონომიკური შედეგები არ ჰქონია. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან ევროსკეპტიციზმის გაძლიერებას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა.

2017 წლის მაისში აღინიშნებოდა 20 წლისთავი მას შემდეგ, რაც ახალი ლეიბორისტების მთავრობამ ინგლისის ბანკს დამოუკიდებლობა მიანიჭა. ეს იყო არა სრული დამოუკიდებლობა, არამედ მონეტარულ პოლიტიკაში „ოპერაციული დამოუკიდებლობა“: ბანკს საპროცენტო განაკვეთების დადგენა ხაზინის კანცლერთან კონსულტაციის გარეშე შეეძლო. სხვა შემთხვევებში კი, მაგალითად, ქვეყნის ვალუტის რეზერვებზე გადაწყვეტილებების მიღებისას, ბანკი კვლავ ხაზინას ემორჩილებოდა.

ბანკისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება ბოლო ნაბიჯი იყო ბრიტანელი გადაწყვეტილების მიმღებების მიერ მართული იმ ხანგრძლივი პროცესისა, რომლის დროსაც ინფლაციის კონტროლის მიღწევას არაერთი ლეიბორისტული და კონსერვატორი მთავრობა შეეწირა. 1970-იან წლებში ორივე პარტიას პრობლემები ჰქონდა შემოსავლებთან დაკავშირებული ეფექტური პოლიტიკის წარმოებაში. 1979 წელს, კონსერვატორებმა მონეტარიზმი დანერგეს, თუმცა, შედეგმა არ გაამართლა. შემდეგ ხაზინის კანცლერს ლოუსონს სურდა, დიდი ბრიტანეთი ევროპული გაცვლითი კურსის მექანიზმის წევრი გამხდარიყო და ამ გზით მიეღწია ინფლაციის კონტროლისთვის. ამისთვის მას ტეტჩერთან დაპირისპირება მოუწია, რასაც შეეწირა კიდეც. საინტერესოა, რომ 1990 წელს, ტეტჩერის გადადგომიდან ერთი თვით ადრე, ბრიტანული ფუნტი მექანიზმის მონაწილე მაინც გახდა.

1992 წლის 16 სექტემბერს, ე.წ. „შავ ოთხშაბათს“, ევროპული გაცვლითი კურსის მექანიზმის წევრობა ფუნტი სტერლინგისთვის კატასტროფული გამოსვლით დასრულდა. ყველა სხვა მიზეზთან ერთად, ამ პერიოდში მექანიზმის წევრობა ყველაზე ცუდი დრო აღმოჩნდა: გერმანიის ისტორიული გაერთიანების შემდეგ, მისი აღმოსავლეთ ნაწილის ეკონომიკის აღდგენას სე-

რიოზული ინფლაციური შედეგები ჰქონდა, გაცვლითი კურსის მექანიზმი კი გერმანული მონეტარული პოლიტიკის ასახვა იყო, რაც შეუფერებელი იყო დიდი ბრიტანეთის მონეტარული პოლიტიკისთვის.

ამ პერიოდში პრემიერ-მინისტრი უკვე ჯონ მეიჯორი იყო, რომელმაც პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო. მართალია, ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლაზე საუბრები მისი წევრობის დღიდან მიმდინარეობდა, მაგრამ კონსერვატიულ პარტიაში ევროსკეპტიციზმის საგანგაშო ზრდა სათავეს სწორედ ამ პერიოდიდან იღებს. 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებით დასრულდა კონსერვატორების პარტიაში პრო-ევროპელების დომინანტური პოზიცია და დაიწყო აღმასვლა იმათი, ვისაც ჯონ მეიჯორმა „ევროსკეპტიკი ნაძირლები" უწოდა.

ამავე პერიოდში, 1993 წელს დაფუძნდა პოპულისტი, ულტრა-ნაციონალისტური და ევროსკეპტიკი „დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტია". 2004 წლის ევროპარლამენტის არჩევნებზე მან ბრიტანეთში მესამე ადგილი დაიკავა, 2009 წლის არჩევნებზე - მეორე, 2014 წლის არჩევნებზე კი - პირველი (ხმების 27,5%-ით). ეს 1910 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქვეყნის მასშტაბით გამართულ არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა კონსერვატორების და ლეიბორისტების გარდა სხვა პარტიამ აიღო. ამ პარტიის საარჩევნო წარმატებამ 2016 წლის ბრექსიტის რეფერენდუმის შედეგზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

გზა რეფერენდუმამდე

2015 წლის მაისში არჩევნებში უმრავლესობით მოულოდნელი გამარჯვების შემდეგ, კამერონმა ბრიტანეთი-ევროკავშირის ურთიერთობებზე მოლაპარაკებები დაიწყო. მას არ სურდა კონკრეტულ გეგმებზე საუბარი იმის შიშით, რომ მისივე ევროსკეპტიკი თანაპარტიელები პოტენციურ ცვლილებებს შეაფასებდნენ როგორც არაადეკვატურს. თუმცა, 15-16 ოქტომბერს

გამართულ ევროპულ სამიტზე მას სთხოვეს ნოემბრისთვის მოთხოვნების კონკრეტული სიის შედგენა. 2016 წლის დასაწყისში მიღწეული შეთანხმება მოიცავდა ახალი მიგრანტებისთვის კეთილდღეობის დაფინანსებისა და ქვეყნის ფინანსური დაცვის მექანიზმებში ცვლილებებს, ასევე, უფრო მარტივ შესაძლებლობას, რომ დიდ ბრიტანეთს დაებლოკა ევროკავშირის რეგულაციები. 2016 წლის თებერვალში მან მოლაპარაკებების შედეგები გამოაცხადა და 23 ივნისს დიდი ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენა-არდარჩენის საკითხზე რეფერენდუმი დააანონსა.

როგორც საფრანგეთისა და გერმანიის რეფერენდუმების ისტორია აჩვენებს, რეფერენდუმები იშვიათ შემთხვევებშია დემოკრატიული ლეგიტიმაციის ფუნდამენტური საკითხების მოგვარების საშუალება. როგორც წესი, ისინი მოკლევადიანი პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებისთვის გამოიყენება. ბრექსიტის რეფერენდუმიც კამერონისთვის ამგვარ შესაძლებლობას წარმოადგენდა. 2016 წელს ეს იქნებოდა კონსერვატიული პარტიის და მისთვის ზედმეტად ენერგიული მემარჯვენე იდეოლოგიის წარმომადგენლების გაჩუმების შანსი. თუმცა, რეფერენდუმის გამართვას ეწინააღმდეგებოდნენ ვიცე-პრემიერი ნიკ კლეგი და ხაზინის კანცლერი ჯორჯ ოსბორნი. ასეა თუ ისე, 2015 წლის არჩევნებზე გამარჯვების, მისი წინასაარჩევნო დაპირების, საკუთარი ევროსკეპტიკოსი კონსერვატორი პარტიის წევრებისა და პოპულისტი ულტრა-ნაციონალისტების გაძლიერების დამატებითი პოლიტიკური წნეხის გათვალისწინებით, რეფერენდუმი გარდაუვალი გახდა.

დარჩენისა და დატოვების მომხრეების არგუმენტები ძირითადად ეხებოდა ვაჭრობას, იმიგრაციას, ევროკავშირის ბიუჯეტში ბრიტანეთის შენატანს, ევროკავშირის რეგულაციებსა და საერთაშორისო არენაზე ქვეყნის გავლენას. თუმცა, ყველაზე ბინძური კამპანია მაინც იმიგრაციის საკითხზე წარმოებდა, რომელიც პოლიტიკური საკითხიც იყო და საზოგადოებრივი აღშფოთების საგანიც. ანტი-იმიგრაციული სენტიმენტები ხშირად გადაიზრდებოდა ხოლმე რასიზმსა და ღია რელიგიურ დავაში. შესაბამისად, ბევრისთვის ბრექსიტი დღეს წარმოადგენს ხმის

მიცემას მრავალეროვნულობის წინააღმდეგ და ინგლისური ნაციონალიზმის სასარგებლოდ.

დარჩენის კამპანიას „ბრიტანეთი უფრო ძლიერი ევროპაში“ აწარმოებდა რამდენიმე ჯგუფი. ძირითადი მულტიპარტიული ჯგუფის ხელმძღვანელი იყო „Marks and Spencer“-ის ყოფილი თავმჯდომარე ლორდი როუზი. მას მხარს უჭერდა კონსერვატორების პარტიის რამდენიმე ცნობილი სახე, მათ შორის, პრემიერ-მინისტრი დეივიდ კამერონი და ხაზინის კანცლერი ჯორჯ ოსბორნი; ლეიბორისტული პარტიის პარლამენტარების უმეტესობა, მათ შორის, პარტიის ლიდერი ჯერემი კორბინი; ლიბერალ-დემოკრატების პარტია; პარტია „Plaid Cymru“; პარტია „ალიანსი“; მწვანეთა პარტია; და ჩრდილოეთ ირლანდიის „სოციალ-დემოკრატიული და ლეიბორისტული პარტია“. „შოტლანდიის ეროვნულმა პარტიამ“ დარჩენის კამპანია დამოუკიდებლად აწარმოა, ვინაიდან არ სურდა, კონსერვატორებთან ერთად პლატფორმის გაზიარება. კამპანიაში ჩართულები იყვნენ ასევე სხვადასხვა მცირე ზომის ჯგუფები, მათ შორის, „მეცნიერები ევროპისთვის“, „გარემოს დამცველები ევროპისთვის“ და „უნივერსიტეტები ევროპისთვის“.

კამპანია „ხმა მიეცი დატოვებას“ ასევე მულტიპარტიული პროცესი იყო. მას მხარს უჭერდნენ მაღალი რანგის კონსერვატორები, მათ შორის, იუსტიციის სახელმწიფო მდივანი მაიკლ გოვი და ლონდონის მერი ბორის ჯონსონი; ცალკეული ლეიბორისტი პარლამენტარები, მათ შორის, გიზელა სტუარტი და გრაჰამ სტრინგერი; „დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიის“ წევრები დუგლას კარსველი და სიუზან ევანსი; და ჩრდილოეთ ირლანდიის „დემოკრატიული უნიონისტთა პარტია“. „დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიის“ ლიდერი ნიგელ ფარაჯი არ იყო „ხმა მიეცი დატოვებას“ კამპანიის ნაწილი. მისი პარტია ევროკავშირის დატოვებისთვის საკუთარ კამპანიას აწარმოებდა.

რადიკალი მემარჯვენე პოპულისტი „დამოუკიდებლობის პარტიისა“ და სხვა ჯგუფების ტყუილ-ნარევმა, გაზვიადებებსა და შიშებზე აგებულმა კამპანიამ, ისევე როგორც მთავრობის

მხრიდან მოსახლეობის დასარწმუნებლად არასათანადო მომზადებამ და ქმედებებმა თავისი შედეგები გამოიღო.

რეფერენდუმი და შემდგომი პოლიტიკა

რეფერენდუმის შედეგები შოკისმომგვრელი და მოულოდნელი აღმოჩნდა: 71,8%-იანი აქტივობიდან (30 მილიონ ადამიანზე მეტი) 51,9%-მა მხარი დაუჭირა ევროკავშირიდან გამოსვლას, 48,1%-მა - დარჩენას. ქვეყანა თავის გადაწყვეტილებაში ერთიანი არ ყოფილა: ჩრდილოეთ ირლანდიამ მხარი დაუჭირა ევროკავშირში დარჩენას, ისევე, როგორც შოტლანდიამ (აქ მხოლოდ 38%-ს სურდა ორგანიზაციიდან გამოსვლა, რამაც შოტლანდიის დამოუკიდებლობაზე მეორე რეფერენდუმის გამართვის მოწოდებები გააძლიერა). ყველაზე მეტად ევროკავშირიდან გამოსვლის მომხრეები ინგლისში აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით, ინგლისის ყოფილ ინდუსტრიულ ჩრდილოეთში, აგრარულ და ღარიბ სამხრეთ-დასავლეთში, და ოდესღაც მსხვილი ქალაქების გარეუბნებში მცხოვრები საშუალო-ქვედა ფენის მოსახლეობაში.

მოსახლეობის უმრავლესობამ ევროკავშირიდან გამოსვლას რამდენიმე მიზეზით დაუჭირა მხარი: ზოგი მათგანი მოტივირებული იყო ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვის მოსაზრებით; ბევრმა თავისი ხმით გამოხატა ის პროტესტი, რაც გააჩნდა, როგორც ეკონომიკური განვითარებიდან გარიყულს; ზოგმა მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრა; მოსახლეობის ნაწილმა ამით ფაქტობრივად იმიგრაციული პოლიტიკის შეცვლა მოითხოვა; ბევრმა მათგანმა კი პოპულისტი პარტიების მიერ მიწოდებული, ხშირად არასწორი ინფორმაციის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება. საერთო ჯამში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაიმარჯვა პოპულიზმმა, ნაციონალიზმმა, გარკვეული დოზით ავტორიტარიზმმაც. მთელი ეს პროცესი მომავალში აუცილებლად იქნება განხილული ეროვნული ისტორიის, კონტექსტის, პიროვნებებისა და კულტურული იდეების ჩარჩოებში, ისევე როგორც საერთაშორისო მოვლენების კონტექსტში.

საინტერესოა, რომ რეფერენდუმის ჩატარებიდან რამდენიმე დღეში „გამოსვლის“ კამპანიის ლიდერების უმრავლესობამ პოლიტიკა დატოვა. უფრო მეტიც, ყველასგან მოულოდნელად „დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიის“ ლიდერის პოსტი დატოვა ნიგელ ფარაჯმა. მათ ასეთივე წარმატებით და მალევე დაივიწყეს (ზოგჯერ კი საჯაროდ საერთოდ უარყვეს) წინა-სარეფერენდუმო დაპირებები.

აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობამ რეფერენდუმის დროს ელიტების წინააღმდეგ მისცა ხმა, ბრექსიტის კამპანიის ლიდერების უმრავლესობა თავად ელიტისტები იყვნენ. ლონდონის მერი ბორის ჯონსონი სიმდიდრეში დაიბადა, განათლება ეტონსა და ოქსფორდში მიიღო და ხშირად ჩნდებოდა ლონდონის მაღალი საზოგადოების წრეებში. ის არც ნიუკასლელი ავტობუსის მძღოლი ყოფილა და არც სანდერლენდელი მაღაზიის გამყიდველი. თუმცა, როგორც წესი, პოპულისტური პოლიტიკის ლიდერები იშვიათად არიან საზოგადოების რიგითი ფენების წევრები. ისინი არიან ელიტები, რომლებიც საზოგადოებრივ მისწრაფებებსა და შეშფოთებებს აჟღერებენ. და ამჟამად, ისევე როგორც ყოველთვის სხვა შემთხვევებში, მათაც ჰქონდათ საკუთარი დღის წესრიგი, რომლებიც შორს იყო ხალხისგან. ჯონსონის მაგალითზე, აშკარა იყო მისი კარიერული სწრაფვები. და დაპირებების მიუხედავად, არც მას და არც სხვა პოპულისტებს არ ჰქონდათ რეფერენდუმის შემდეგ თავიანთი დაპირებების შესრულების კონკრეტული გეგმები. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ არანაირი „ყოველკვირეულად ბრიუსელისთვის გადახდილი 350 მილიონი ფუნტი სტერლინგი“ არ იქნებოდა ხელმისაწვდომი ეროვნული ჯანდაცვის სერვისის ან საზოგადოებრივი საცხოვრებლების მშენებლობის დასაფინანსებლად.

რეფერენდუმის შედეგს გადაჰყვა პრემიერ-მინისტრი კამერონი, რომელმაც მთელი თავისი პოლიტიკური ავტორიტეტი სასწორის მეორე მხარეს დადო. ბევრი მკვლევარი და დამკვირვებელი აღნიშნავს, რომ რეფერენდუმის შედეგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი სწორედ კამერონის არასწორი კალკულაციები იყო, დაწყებული რეფერენდუმისთვის შეუფერებელი

დროით (პოლიტიკური თვალსაზრისით), გაგრძელებული საკუთარ კონსერვატორების პარტიაში დაპირისპირების აღმოფხვრის შეუძლებლობით/უუნარობით, და დასრულებული არასწორად ნაწარმოები წინასარეფერენდუმო კამპანიით.

კამერონის გადადგომის შემდეგ, (არჩევნების გარეშე) პრემიერ-მინისტრი გახდა კამერონის მთავრობაში შინაგან საქმეთა მდივანი ტერეზა მეი. იგი ევროკავშირში დარჩენას უჭერდა მხარს, თუმცა, პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შემდეგ მან განაცხადა, რომ პატივს სცემდა რეფერენდუმის შედეგებს („ბრექსიტი ნიშნავს ბრექსიტს“) და გააჟღერა მისი განზრახვის შესახებ, რომ აემოქმედებინა ევროკავშირის ხელშეკრულების 50-ე მუხლი, რაც ევროკავშირიდან გამოსვლის თაობაზე წევრი ქვეყნის მხრიდან ოფიციალური შეტყობინების გაკეთებას გულისხმობს. აგრეთვე, მთავრობაში დანიშნა „თავგადაკლული“ ბრექსიტელები: ლონდონის მერი ბორის ჯონსონი (საგარეო და თანამეგობრობის საქმეების სახელმწიფო მდივანი), დეივიდ დეივისი (ევროკავშირიდან გამოსვლის საკითხებში სახელმწიფო მდივანი) და ლაიამ ფოქსი (საერთაშორისო ვაჭრობის სახელმწიფო მდივანი). 2016 წლის შემოდგომაზე კონსერვატიული პარტიის კონფერენციაზე პოპულისტი მემარჯვენე ხასიათის სიტყვით გამოსვლისას, მეიმ იმიგრაციის კონტროლი თავისი ბრექსიტის გეგმების ცენტრალურ საკითხად დაასახელა და სრულად უგულებელყო ბრექსიტის ეკონომიკური შედეგები.

დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მთავრობას აეკრძალა პარლამენტის თანხმობის გარეშე 50-ე მუხლის ამოქმედება. საინტერესოა, რომ კანონპროექტს პარლამენტში პრობლემა არ შექმნია - მას მხარი იმ პარლამენტარებმაც დაუჭირეს, ვინც რეფერენდუმისას ქვეყნის ევროკავშირში დარჩენის მომხრეები იყვნენ.

ევროკავშირის ხელშეკრულების 50-ე მუხლით გათვალისწინებული შეტყობინება 2017 წლის 29 მარტს გადაეცა ევროკავშირის საბჭოს, რითაც დაიწყო გამოსვლის მოლაპარაკებების ორწლიანი (2019 წლის 29 მარტამდე) პროცედურა. ოფიციალური მოლაპარაკებები 19 ივნისს დაიწყო. ევროკავშირისა და

დიდი ბრიტანეთის მომლაპარაკებელი ჯგუფები შეთანხმდნენ, რომ ყოველ თვე შეიკრიბებოდნენ ერთი კვირის მანძილზე. მათი საწყისი მიზნები იყო შემდეგ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა: ბრიტანეთისა და ევროკავშირის მოქალაქეების უფლებები ბრექსიტის შემდეგ; თანხის რაოდენობა, რასაც ბრიტანეთი გადაიხდის დატოვებამდე; ჩრდილოეთ ირლანდიასა და ირლანდიის რესპუბლიკას შორის საზღვრის თემა.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის სურვილი იყო „აღდგენის კანონპროექტის" მომზადება, რაშიც გაერთიანდებოდა იმ პერიოდამდე ქვეყანაში მოქმედი ევროკავშირის ყველა კანონი. ამის შემდეგ მოხდებოდა თითოეული მათგანის გაანალიზება და შერჩევითად მათი დატოვება ან ახალი (ბრიტანული) კანონით ჩანაცვლება. დიდი ბრიტანეთი დაინტერესებული იყო მოლაპარაკებების ორი პარალელური პროცესის წარმოებით: პირველი ევროკავშირიდან ბრიტანეთის გამოსვლის ხელშეკრულებაზე (ე.წ. „გაყრის პირობებზე") და მეორე ევროკავშირი-დიდი ბრიტანეთის მომავალ ურთიერთობებზე. პირველი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიც არის ბრიტანეთის მიერ ევროკავშირისთვის თანხის დაბრუნება, მხარეთა მოქალაქეების უფლებები და ბრიტანეთში ბაზირებული ევროკავშირის სააგენტოების გადატანა. მეორე მოიცავდა ისეთ სფეროებს, როგორებიც არის ვაჭრობა, უსაფრთხოება და სხვა. თუმცა, ევროკავშირმა მკაფიოდ დააფიქსირა, რომ არ სურდა მეორეზე მოლაპარაკებების დაწყება მანამ, სანამ პირველზე არ იქნებოდა „საკმარისი პროგრესი".

რეფერენდუმის შემდგომი მოვლენები ევროკავშირში

2016 წლის 28 ივნისს, რეფერენდუმიდან ხუთი დღის შემდეგ, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ბუნდესტაგს განუცხადა ბრიტანეთთან მომავალი მოლაპარაკებებისას ევროკავშირის პოზიციის თაობაზე: ქვეყანა შეძლებდა ერთიან ბაზარში დარჩენას მხოლოდ მაშინ, თუ იგი მიიღებდა ევროკავშირის მიგრანტებს (ბრიტანეთში გადასულ ევროკავშირის წევრი

ქვეყნების მოქალაქეებს); ასევე, შეუძლებელი იქნებოდა ერთიანი ბაზრის ოთხი თავისუფლების შერჩევითად გამოყენება ("Rosinenpicken"). მან ბრიტანეთი გააფრთხილა, რომ არ ყოფილიყო ილუზიებში. მეორე დღეს ევროპული საბჭოს პრეზიენტმა დონალდ ტუსკმა დაადასტურა, რომ დიდ ბრიტანეთს არ ექნებოდა ერთიან ბაზარზე წვდომის შესაძლებლობა მისი ოთხი თავისუფლების (საქონლის, კაპიტალის, სერვისებისა და ადამიანების თავისუფალი გადაადგილება) გარეშე. მოგვიანებით, ევროპარლამენტის მხრიდან მომლაპარაკებელმა გაი ფერჰოფშტადტმაც განმარტა, რომ ერთიანი ბაზრის პირობების შერჩევითად მიღება ან უარყოფა არ იქნებოდა განხილვის საგანი.

სანაცვლოდ, როგორც უკვე აღინიშნა, 2016 წლის ოქტომბრის პარტიის კონფერენციაზე, პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ ხაზი გაუსვა, რომ ევროკავშირის კანონების იურისდიქციის და ევროპიდან თავისუფალი გადაადგილების შეჩერება პრიორიტეტებს წარმოადგენდა. მან სურვილი გამოთქვა, რომ ბრიტანულ კომპანიებს ჰქონოდათ ერთიან ბაზარში ვაჭრობისა და ოპერირების მაქსიმალური თავისუფლება, და იგივე გაეკეთებინათ ევროპულ ბიზნესებს ბრიტანეთში, მაგრამ არა სუვერენიტეტის დაკარგვის ხარჯზე.

2016 წლის ნოემბერში მეიმ წარმოადგინა ინიციატივა, რომ ორმხრივად უზრუნველეყოთ ბრიტანეთში ევროკავშირის 3,3 მილიონი იმიგრანტისა და ევროკავშირში 1,2 მილიონი ბრიტანელის ცხოვრების უფლების გარანტიები, იმ მიზნით, რომ მათი ბედი არ გამხდარიყო ბრექსიტის მოლაპარაკებების სავაჭრო საკითხი. ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობის მხრიდან საწყისი პოზიტიური დამოკიდებულების მიუხედავად, ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა და გერმანიის კანცლერმა მეის ინიციატივა დაბლოკეს.

2017 წლის 29 მარტს ევროპული საბჭოს პრეზიდენტისთვის გადაცემული დოკუმენტი, რომლითაც 50-ე მუხლი ოფიციალურად ამოქმედდა, მოუწოდებდა ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის „ღრმა და სპეციალური ურთიერთობების" ჩამოყალიბებას. იგი ასევე მოიცავდა გაფრთხილებას, რომ შეთანხმე-

ბის ვერმიღწევის შემთხვევაში ევროკავშირი-დიდი ბრიტანეთის ვაჭრობა დაეფუძნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პირობებს და შესუსტდება ბრიტანეთის თანამშრომლობა დანაშაულსა და ტერორიზმთან ბრძოლაში. პრემიერ-მინისტრი მეი აგრეთვე აღნიშნავდა, რომ ვინაიდან ევროკავშირის ლიდერებს არ სურდათ შერჩევითად ერთიანი ბაზრის პირობების დათმობა, დიდი ბრიტანეთის მიზანი არ იქნებოდა მასში მუდმივი წევრობა. სანაცვლოდ, ბრიტანეთის სურვილი იყო ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმება. პასუხად, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა უარი განაცხადა მომავალი თანამშრომლობის საკითხების განხილვაზე მანამ, სანამ მხარეები ჯერ ე.წ. „გაყრაზე“ არ შეთანხმდებოდნენ. ევროპარლამენტის წამყვანმა მომლაპარაკებელმა ბრიტანულ დოკუმენტში უსაფრთხოებისა და ტერორიზმის ნაწილს „შანტაჟი“ უწოდა. ევროკომისიის პრეზიდენტის ჟან-კლოდ იუნკერის შეფასებით კი, დიდი ბრიტანეთის მიერ ბლოკის დატოვება იყო „გადაწყვეტილება, რომელსაც ისინი ერთ დღეს აუცილებლად ინანებენ“.

2017 წლის 29 აპრილს, საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი რაუნდის შემდეგ, ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის ლიდერმა განხილვის გარეშე დაამტკიცა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის მიერ მომზადებული მოლაპარაკებების გაიდლაინები. დოკუმენტის მიხედვით, დიდი ბრიტანეთი ჯერ უნდა დათანხმებოდა ფინანსურ ვალდებულებას და ქვეყანაში ევროკავშირის მოქალაქეებისთვის მუდმივი სარგებლის (მაგ.: სოციალური შეღავათები) მინიჭებას მანამ, სანამ ევროკავშირის წევრი ქვეყნები შევიდოდნენ მომავალ ურთიერთობებზე მოლაპარაკებებში. ფინანსური ვალდებულებების ნაწილში, ევროკავშირის მომლაპარაკებლები ბრიტანეთისგან 52 მილიარდი ფუნტი სტერლინგის გადახდას ითხოვდნენ, მოგვიანებით კი, გერმანიის, საფრანგეთისა და პოლონეთის დამატებითი მოთხოვნების გამო, თანხა 92 მილიარდამდე გაიზარდა. თუმცა, 2017 წლის 4 მარტის ლორდთა პალატის ევროკავშირის კომიტეტის ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ თუ ორწლიანი მოლაპარაკებების ბოლოს ვერ მოხდებოდა შეთანხმების მიღწევა, დიდ ბრიტანეთს

შეეძლებოდა თანხის გადახდის გარეშე ევროკავშირის დატოვება. უფრო მეტიც, პრემიერ-მინისტრმა მეიმ ევროკომისიის პრეზიდენტს იუნკერს განუცხადა, რომ მომავალი (პოსტ-ბრექსიტის) ურთიერთობების შესახებ საუბრები შეძლებისდაგვარად მალე უნდა დაწყებულიყო და რომ არსებული ხელშეკრულებების საფუძველზე, ბრიტანეთს ევროკავშირისადმი არანაირი ვალი არ მართებდა.

2017 წლის 22 მაისს ევროპულმა საბჭო თავის მომლაპარაკებლებს ბრექსიტის მოლაპარაკებების დაწყების ნებართვა მისცა და დაამტკიცა მოლაპარაკებების დირექტივები. პირველი შეხვედრა 19 ივნისს შედგა, სადაც დეივისი და ბარნიერი (მიშელ ბარნიერი 2016 წლის დეკემბერში ევროკავშირის მხრიდან მთავარ მომლაპარაკებლად დაინიშნა) შეთანხმდნენ, რომ საცხოვრებელი უფლებები იქნებოდა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი, ჩრდილოეთ ირლანდიის საზღვრის თაობაზე დისკუსია კი განხილული იქნებოდა შესაძლო სავაჭრო შეთანხმების კონტექსტში.

ბრექსიტის პირობებზე მოლაპარაკებები და რატიფიკაცია

არსებითი მოლაპარაკებები მეორე რაუნდით 2017 წლის ივლისში, ქ. ბრიუსელში დაიწყო და მას 98 ბრიტანელი და 45 ევროკავშირის წარმომადგენელი ესწრებოდა. ბრიტანელებმა მოითხოვეს „გაყრის კანონით“ მოთხოვნილი (ამჯერად) 65 მილიარდი ევროს დეტალური აღწერა, ევროკავშირის მომლაპარაკებლებმა კი ბრიტანეთის მოქალაქეთა უფლებების შეთავაზება გააკრიტიკეს. დეივიდ დეივისმა არ მიიღო ევროკავშირის მიერ მოთხოვნილი ფინანსური ვალდებულება, მიშელ ბარნიერმა კი განმარტა, რომ იგი არ აპირებდა მისი მოთხოვნის დათმობას, რისი მიხედვითაც მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ბრექსიტის შემდეგ კვლავ უნდა გააგრძელოს დიდ ბრიტანეთში ევროკავშირის მოქალაქეების უფლებების საკითხზე თავისი იურისდიქციის გავრცელება (ისტორიულად, ეს ბრიტანეთში ევროსკეპტიციზმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც იყო).

პირველი რაუნდებიდან ცხადი გახდა ის, რაც დღევანდელი გადმოსახედიდან ნათელია: ბრექსიტის მოლაპარაკებები იქნებოდა რთული, კომპლექსური, ურთიერთბრალდებებით სავსე, და შესაძლოა, სულაც შეთანხმების გარეშე დასრულებულიყო.

ბრექსიტის პირველი ვადა 2019 წლის 29 მარტი იყო. თუ ამ პერიოდამდე ვერ მოხდებოდა მხარეებს შორის შეთანხმება, არსებობდა ორი შესაძლებლობა: ან მხარეები გააგრძელებდნენ მოლაპარაკებების დროს (ამისთვის ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობა იყო საჭირო), ან ურთიერთობების მარეგულირებელი წესები ავტომატურად დაკარგავდა ძალას და დიდ ბრიტანეთს მოუწევდა რიგითი, არაწევრი, მესამე ქვეყნის მსგავსად ევროკავშირთან კონტაქტი, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის წესების გათვალისწინებით.

თუმცა, ამ ვადის გადაწევა ორჯერ მოხდა, ვინაიდან ბრიტანელმა პარლამენტარებმა ორჯერ უარყვეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტერეზა მეის მიერ ევროკავშირთან მოლაპარაკებული ბრექსიტის შეთანხმება. კანონმდებლების უმრავლესობის უკმაყოფილების მთავარი მიზეზი იყო ე.წ. ბექსტოპი (ეს დროებითი მექანიზმი შემუშავდა იმისთვის, რომ უზრუნველეყო ჩრდილოეთ ირლანდიასა და ირლანდიის რესპუბლიკას შორის სასაზღვრო პოსტების ან ბარიერების არარსებობა. საჭიროების შემთხვევაში, დიდი ბრიტანეთი დარჩებოდა ევროკავშირთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობაში, რაც ეწინააღმდეგებოდა ბრექსიტის არსს). პარლამენტში აღნიშნული შეთანხმების მესამედ ჩავარდნის შემდეგ, პრემიერ-მინისტრი მეი გადადგა.

ახალმა პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა ასევე ვერ შეძლო პარლამენტარების უმრავლესობის დარწმუნება, რის გამოც ვითარება ჩიხში შევიდა. კრიზისული სიტუაციის განსამუხტად, მან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნა და 2020 წლის 31 იანვრამდე ბრექსიტის ვადის გადაწევა მოითხოვა. 2019 წლის 12 დეკემბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატიულმა პარტიამ 80 მანდატიანი უმრავლესობით გაიმარჯვა. გარდა ამისა, მეისგან განსხვავებით, ჯონსონმა ბრექსიტის შეთანხმებიდან ამოიღო ბექსტოპის მექანიზმი და იგი

ახალი საბაჟო მექანიზმით ჩაანაცვლა. ახალი შეთავაზებული რეგულაციით, ჩრდილოეთ ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთს შორის ყალიბდება საბაჟო საზღვარი. დიდი ბრიტანეთიდან ჩრდილოეთ ირლანდიაში შემავალი გარკვეული საქონელი ექვემდებარება შემოწმებას და ევროკავშირის იმპორტის გადასახადს (ტარიფებს). ეს თანხა საქონლის მფლობელს დაუბრუნდება, თუ ეს საქონელი ჩრდილოეთ ირლანდიაში დარჩება (და არ გადავა ირლანდიის რესპუბლიკაში). ამ ახალი რეგულაციის მხარდამჭერები ამტკიცებდნენ, რომ დიდი ბრიტანეთი შეძლებდა დამოუკიდებლად სხვა ქვეყნებთან სავაჭრო შეთანხმებების დადებას, რაც შეუძლებელი იყო ბექსტოპის დატოვების შემთხვევაში. პრემიერ-მინისტრ ჯონსონს მეის მიერ მოლაპარაკებული ბრექსიტის შეთანხმების სხვა პუნქტები ფაქტობრივად არ შეუცვლია: ევროკავშირში მცხოვრები დიდი ბრიტანეთის მოქალაქეების და დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ევროკავშირის მოქალაქეების უფლებებს გარდამავალ პერიოდში საფრთხე არ დაემუქრება; დიდ ბრიტანეთს ევროკავშირისთვის მოუწევს დაახლოებით 30 მილიარდი ფუნტი სტერლინგის გადახდა.

არჩევნებში დამაჯერებელი უმრავლესობით გამარჯვების და ბრექსიტის შეთანხმებაში ბექსტოპის საკითხის დარეგულირების გათვალისწინებით, პრემიერ-მინისტრ ჯონსონს აღარ გასჭირვებია ბრექსიტის კანონმდებლობის დასამტკიცებლად პარლამენტში საკმარისი ხმების მოგროვება. შედეგად, 2020 წლის 31 იანვარს, გაწევრიანებიდან 47 წლის შემდეგ, დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირი ოფიციალურად დატოვა.

Bache, I., George, S. & Bulmer, S. (2011). *Politics in the European Union.* 3rd Edition. Oxford: Oxford University Press.

Barlai, M., Fähnrich, B., Griessler, C. & Rhomberg, M. (2017, eds.). *The Migrant Crisis: European Perspectives and National Discourses.* Zürich: LIT Verlag.

Bröning, M. (2016). The Rise of Populism in Europe: Can the Center Hold? *Foreign Affairs Snapshot,* June 3.

Carrera, S., Blockmans, S., Gros, D. & Guild, E. (2015). The EU's Response to the Refugee Crisis: Taking Stock and Setting Policy Priorities. *CEPS Essay,* 20, pp. 1-22.

Chiva, C. & Phinnemore, D. (2012, *eds.). The European Union's 2007 Enlargement.* London: Routledge.

Clarke, H., Goodwin, M. & Whiteley, P. (2017). *Brexit: Why Britain Voted to Leave the European Union.* Cambridge: Cambridge University Press.

Dedman, M. (2009). *The Origins and Development of the European Union 1945-2008: A History of European Integration.* London: Routledge.

Dinan, D. (2014). *Europe Recast: A History of European Union.* 2nd edition. Boulder: Lynne Rienner Publishers.

Dinan, D. (2004). *Europe Recast: A History of European Union.* Basingstoke: Palgrave Macmillan.

Dinan, D. (2014, *ed.). Origin and Evolution of the European Union.* 2nd edition. Oxford: Oxford University Press.

Dinan, D. (2010). *Ever Closer Union: An Introduction to European Integration.* 4th edition. Boulder: Lynne Rienner Publishers.

Dinan, D., Nugent, N. & Paterson, W. E. (2017, *eds.). The European Union in Crisis.* Basingstoke: Palgrave Macmillan.

Grimmel, A. (2017). *The Crisis of the European Union: Challenges, Analyses, Solutions.* London: Routledge.

Kaiser, W. & Varsori, A. (2010). *European Union History: Themes and Debates.* Basingstoke: Malgrave Macmillan.

Lehne, S. (2017). Populism: The Risks and Impact on European States. *Carnegie Europe*, June 6.

Maldini, P. & Pauković, D. (2016, *eds.). Croatia and the European Union: Changes and Development.* London: Routledge.

McCormick, J. (2017). *Understanding the European Union: A Concise Introduction.* 7th edition. Basingstoke: Palgrave Macmillan.

Nugent, N. (2010). *The Government and Politics of the European Union.* 7th Edition. Basingstoke: Palgrave Macmillan.

Outhwaite, W. (2017, ed.). *Brexit: Sociological Responses.* London: Anthem Press.

Sajdik, M. & Schwarzinger, M. (2009). *European Union Enlargement: Background, Developments, Facts.* London: Transaction Publishers.

ლევან მახაშვილი

ლევან მახაშვილი არის ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. იგი ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დოქტორის და მაასტრიხტის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს. ლევანი არის ევროკავშირის მმართველობასა და საგარეო პოლიტიკაზე, ევროპეიზაციასა და ანტი-დასავლურ საინფორმაციო ომზე რეფერირებადი აკადემიური სტატიებისა და წიგნის თავების ავტორი.

ამჟამად ლევან მახაშვილი არის პარლამენტის თავმჯდომარის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში. იგი ექსპერტად ჩართულია ევროკავშირის „ერასმუს+“-ის ჟან მონეს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პროექტებში. სხვადასხვა პერიოდში იგი მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტსა და მთავარი პროკურატურის ანალიტიკურ სამსახურში, აგრეთვე, წლების მანძილზე ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

ლევან მახაშვილს მინიჭებული აქვს უმცროსი მრჩევლის დიპლომატიური რანგი, ასევე, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის „ვერცხლის ფარი“ ცენტრის ფუნქციონირებასა და საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაში შეტანილი წვლილისთვის. ლევანს მოპოვებული აქვს ათეულობით პროფესიული, აკადემიური და კვლევითი სტიპენდია და გრანტი, მათ შორის, შემდეგი ორგანიზაციებისგან: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ევროკავშირი, დიდი ბრიტანეთის ჯონ სმიტის ფონდი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ფონდი ღია საზოგადოება, ვენის დიპლომატიური აკადემია, ბერლინის ჰერტის სკოლა.

მერაბ გოხელაშვილი

მერაბ გოხელაშვილი არის საჯარო მმართველობის დოქტორი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2019). სხვადასხვა დროს მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში. წლების მანძილზე სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მუშაობდა და ასევე იყო ევრორეგიონული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. საერთაშორისო ურთიერთობებსა და საჯარო მმართველობის მიმართულებით გავლილი აქვს ტრენინგები, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ. მერაბს გამოქვეყნებული აქვს 10-მდე ნაშრომი განათლების მენეჯმენტისა და ადმინისტრირების მიმართულებით.

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71
www.mtsignobari.ge